საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

როზეტა ანსთიანი

თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 2012

UDC(უაკ) 33(031)
ა-871

როზეტა ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012. – 515 გვ.

ენციკლოპედიური ლექსიკონი მოიცავს თანამედროვე მიკრო-, მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს, აგრეთვე ცნობილი ეკონომისტების, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატების მეცნიერული მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ყოველი ტერმინის სალექსიკონო სტატია შედგება მისი სახელწოდების, აბრევიატურის (თუკი აქვს), ინგლისური შესატყვისის, ეტიმოლოგიისა და ახსნა–განმარტებისაგან.

ლექსიკონი განკუთვნილია მეცნიერ–ეკონომისტებისა და პრაქტიკოსებისათვის. იგი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო მასალა, სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს, საერთოდ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სარედაქციო კოლეგია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები – **ვლადიმერ პაპავა**, **ავთანდილ სილაგაძე**; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები **ნოდარ ჭითანავა**, **სოლომონ პავლიაშვილი;** ეკონომიკის დოქტორები **იოსებ არჩვაძე**, **ჯემალ კახნიაშვილი.**

რეცენზენტები: ლეო ჩიქავა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტი;
თეიმურაზ ბერიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ISBN 978–9941–9134–0–2

© რ. ასათიანი, 2012;
© გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

რეცენზიის მაგიერ

ნებისმიერი მეცნიერების განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია შესაბამისი მეცნიერული აპარატი და მისი ადეკვატური გამოყენება, რაც სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ცნობილია, რომ მეცნიერული აპარატის შემადგენელი ნაწილია ზუსტი ტერმინოლოგია, ტერმინების ზედმიწევნით სრული განმარტება. საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის და კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერებისათვის ეს გარემოება ორმაგად აქტუალურია, ვინაიდან ტერმინების საშუალებით ხორციელდება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირების კვლევა, კვლევის შედეგების შეჯამება, მეტიც, მეცნიერული ტერმინების სიზუსტისა და რაოდენობის მიხედვით მსჯელობენ ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების დონეზე.

ბოლო წლებში საქართველოს საცნობარო და სალექსიკონო ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ლექსიკონი თუ ცნობარი გამოვიდა ეკონომიკის ცნებებსა და კატეგორიებზე, რაც უდაოდ მისასალმებელია. განმარტებითი ლექსიკონების გამოსვლის დღევანდელი აუცილებლობა განპირობებულია ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებებით, მეურნეობრიობის თვისებრივად ახალ მოდელზე – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი შეიძინა საბაზრო ეკონომიკის ამსახველი ეკონომიკური და საბანკო ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის საკითხმა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, ჩვენი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ მომზადებული „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. მასში ყურადღებას იქცევს ორი მონათესავე, მაგრამ მაინც განსხვავებული დარგის – ეკონომიკისა და ბიზნესის ტერმინების ახსნა-განმარტება. პირველ შემთხვევაში ავტორი იძლევა ეკონომიკის სხვადასხვა მხარის ახსნას, ხოლო მეორე შემთხვევაში მოცემულია ბიზნესგარემოში კონკრეტული ქმედებებისა და ქცევების ამსახველი ტერმინების გან-

მარტება, რაც უდაოდ გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს სალექსიკონო და საცნობარო ლიტერატურაში.

ლექსიკონში მოცემულია ეკონომიკური და საბანკო ტერმინების, საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკური კლასიფიკატორების, კონცეფციების, თეორიებისა და მოძღვრებების ახსნა-განმარტება, გადმოცემულია გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტების ბიოგრაფიული მონაცემები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ტერმინების განმარტებით, არამედ იძლევა მათ სიღრმისეულ ახსნას (მაგალითად, ეკონომიკური თეორია, ეკონომიქსი და სხვ.), რაც ასევე ლექსიკონის ღირებულ მხარესა და სიახლეს წარმოადგენს.

ენციკლოპედიური ლექსიკონი, თავისი ფორმითა და შინაარსით სერიოზული განაცხადია, შედგენილია იმგვარად, რომ საშუალებას აძლევს მკითხველს არა მარტო პროფესიულად დაეუფლოს ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, არამედ კარგად გაერკვეს თანამედროვე ეკონომიკის რთულ ურთიერთკავშირებში.

ლექსიკონში წარმოდგენილი ძირითადი ტერმინების განმარტებები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ასახავს ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

თეიმურაზ ბერიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვუძღვნი ჩემი ძვირფასი
მშობლების – ქეთევან და შალვა
ასათიანების ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

ლექსიკონში თავმოყრილია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები, წარმოდგენილია ეკონომიკის დარგის მსოფლიოში ცნობილი ზოგიერთი უცხოელი მეცნიერისა და ღვაწლმოსილი ქართველი ეკონომისტების, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების ბიოგრაფიები.

ლექსიკონს ერთვის სტატიათა ანბანური და თემატური საძიებელი, მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი, დადგენილი ადამიანის განვითარების ინდექსის (**HDI**) საფუძველზე, აგრეთვე ქვეყნებისა და ტერიტორიების ანბანური ჩამონათვალი ვალუტებისა და კოდების ჩვენებით.

ლექსიკონს საფუძვლად დაედო ქართული და უცხოური ეკონომიკური ლიტერატურა (ენციკლოპედიები, ლექსიკონები, მონოგრაფიები, სტატიები), მათ შორის, დევიდ უ. პირსის საერთო რედაქციით გამოცემული „მაკმილანის თანამედროვე ეკონომიქსის ლექსიკონი“ (მეოთხე გამოცემა), „ოქსფორდის განმარტებითი ბიზნეს-ლექსიკონი“, ო. ბლანშარის „მაკროეკონომიკა“, აგრეთვე ჩვენი ნაშრომები - „ეკონომიქსი“ (განმარტებითი ლექსიკონი, მესამე გადამუშავებული გამოცემა), „თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი“, „ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი“, „მომსახურება და საბაზრო სისტემა“, „ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება“, „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ და ა.შ.

წიგნში უმეტესად შესულია საკუთრივ ავტორისეული განსაზღვრებები, ჩამოყალიბებული ხანგრძლივი (22 წლის მანძილზე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის პროცესში. ამიტომ ზოგიერთი ტერმინი (ცნება) სხვებთან შედარებით ვრცლად არის განმარტებული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ლექსიკონი, შეიძლება ითქვას, ორიგინალურია.

მოცემული ტერმინები და ცნებები ეხება არა მხოლოდ ეკონომიკის ერთ რომელიმე სფეროს, არამედ მთელ ეკონომიკას, როგორც მიკრო-, ისე მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკას.

ენციკლოპედიური ლექსიკონი შედგენილია შემდეგი წესების დაცვით:

1. სასათაურო ტერმინები, ცნებები, გამოთქმები დალაგებულია ქართული ანბანის მიხედვით;

2. სასათაურო სიტყვა (სიტყვები) გამოყოფილია ნახევრად შავი მთავრული შრიფტით;

3. ტერმინის განმარტება მოცემულია მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტში;

4. სასათაურო სიტყვის (სიტყვების) შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია ინგლისური შესატყვისი;

5. თუ სასათაურო სიტყვა უცხოური წარმოშობისაა, ინგლისური შესატყვისის შემდეგ ტრანსკრიფციაში მოცემულია მისი ეტიმოლოგია;

6. ნიშანი „ < “ ნიშნავს: წარმოდგება... გან;

7. ლექსიკონში ქართულ ენაზე მოცემულია თანამედროვე პირობებში დამკვიდრებული ინგლისური სიტყვებისაგან მომდინარე აბრევიატურები. მაგ., **კაფ**-ი (**CAF - Cost and Freight** – ღირებულება და ფრახტი).

ვფიქრობთ, განმარტებითი ლექსიკონი დაეხმარება მკითხველს, გაერკვეს საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში, ამასთან, იგი ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტერმინებისა და ცნებების გავრცელება-დამკვიდრებას.

დიდ მადლობას ვუხდი სარედაქციო კოლეგიასა და რეცენზენტებს გაწეული შრომისათვის.

მკითხველის ყველა ობიექტურ შენიშვნასა და წინადადებას ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომ გამოცემაში.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი
აპრილი, 2012

ლექსიკონში გამოყენებული აბრევიატურები

ბსპ – ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა
გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ეას – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
ემფ – ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა
თეზ – თავისუფალი ეკონომიკური ზონა
მეპ – მთლიანი ეროვნული პროდუქტი
მესკ – მოხალისე ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი
მტპ – მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესი
მშპ – მთლიანი შიდა პროდუქტი
სიფ – ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი
სრნ – სავალდებულო რეზერვების ნორმა
სსდკ – საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია
სსფ – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ფსს – ფედერალური სარეზერვო სისტემა
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შსო – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ASPE – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია
EACT – თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია
EBRD – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC – ევროპული გაერთიანება
EEC – ევროპული ეკონომიკური გაერთიანება
EMPI – ვალუტის ბაზარზე ზეწოლის ინდექსი
EU – ევროკავშირი
EU-GBC – ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭო
GATT – ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება
HDI – ადამიანის განვითარების ინდექსი
IBRD – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
ISIC – ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია
MNC – ტრანსეროვნული (ტრანსნაციონალური) კორპორაცია
NACE – ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი სამრეწველო კლასიფიკაცია
NICs – ახალი ინდუსტრიული ქვეყნები
OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
USAID – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WTO – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

ქართული ანბანი

ა — ან	მ — მან	ღ — ღან
ბ — ბან	ნ — ნარ	ყ — ყარ
გ — გან	ო — ონ	შ — შინ
დ — დონ	პ — პარ	ჩ — ჩინ
ე — ენ	ჟ — ჟან	ც — ცან
ვ — ვინ	რ — რაე	ძ — ძილ
ზ — ზენ	ს — სან	წ — წილ
თ — თან	ტ — ტარ	ჭ — ჭარ
ი — ინ	უ — უნ	ხ — ხან
კ — კან	ფ — ფარ	ჯ — ჯან
ლ — ლას	ქ — ქან	ჰ — ჰაე

ა

აბანდონმენტი (abandonment) - დაზღვეული ქონების დაკარგვის, განადგურების ან სხვა მსგავს შემთხვევაში (მაგ., გემის ჩაძირვის გამო), საკუთრების უფლებაზე უარის თქმისა და აღნიშნული ფაქტის დადასტურების საფუძველზე, მზღვეველის მიერ დაზღვევის თანხის მთლიანად გადახდა მესაკუთრისათვის.

აბსენტეიზმი (absenteeism) - 1. სამსახურიდან დათხოვნა სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო; 2. წარმოების ფინანსური მართვის გამოცალკავება მისი ტექნოლოგიური ასპექტებისგან.

აბსოლუტური მოგება (absolute profit) – იმ შემოსავლის ტოლი მოგება, რომელსაც ფირმა იღებს საქონლის (მომსახურების) გაყიდვით, დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ.

აბსოლუტური უპირატესობა (absolute advantage) - 1. უპირატესობა, რომელიც აქვს ერთ მწარმოებელს სხვებთან შედარებით მაღალი შრომის მწარმოებლურობის საფუძველზე ერთეული პროდუქციის წარმოებაზე ნაკლები რესურსების გამოყენების შედეგად; 2. უპირატესობა, რომელიც აქვს ერთ ქვეყანას სხვებთან შედარებით, თუ მას, გამომდინარე თავისი ბუნებრივი (natural advantage) ან შეძენილი (acquired advantage) უპირატესობებიდან (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მოწინავე ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა.შ.), შეუძლია უფრო ეფექტიანად აწარმოოს (ერთეულ დანახარჯზე მეტი პროდუქცია მიიღოს) ესა თუ ის საქონელი. საერთაშორისო ვაჭრობა კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თითოეული ქვეყანა დასპეციალდეს იმ საქონლის წარმოებაში, რომლისთვისაც მას აქვს ეს კონკრეტული უპირატესობები. მაგ., იაპონიას, შეძენილი უპირატესობის საფუძველზე, იმის გამო, რომ აქვს მოწინავე ტექნოლოგია, ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შეუძლია ბევრად იაფად აწარმოოს, ვთქვათ, მოტორიზებული გადაზიდვის საშუალებები, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყანას. უზბეკეთს, ბუნებრივი უპირატესობებიდან გამომდინარე, უფრო ეფექტიანად შეუძლია აწარმოოს ბამბა, ვიდრე უკრაინას, ბალტიისპირეთის ქვეყნებს და ბევრ სხვა ქვეყანას. საქართველოს, ასევე, ბუნებრივი უპირატესობებიდან გამომდინარე, გაცილებით ეფექტიანად შეუძლია აწარმოოს ხილი, ვიდრე რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას. მაგრამ **საერთაშორისო ვაჭრობაში სხვაობა აბსოლუტურ ხარჯებს შორის არ ასრულებს მთავარ როლს, აქ არ-**

სებითია მოცემული საქონლის წარმოების ალტერნატიულ ღირებულებებს შორის განსხვავება. როცა ეს ღირებულება მოცემულ ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში, მაშინ საქმე გვაქვს შეფარდებით უპირატესობასთან.

აბსოლუტური უპირატესობის თეორია (theory of absolute advantage) - თეორია, რომლის მიხედვითაც **A** ქვეყანას, რომელსაც აქვს ბუნებრივი (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები) ან შეძენილი (მოწინავე ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა.შ.) უპირატესობები, შეუძლია უფრო ეფექტიანად აწარმოოს ესა თუ ის საქონელი (ე.ი. გამოუშვას ერთეულ დანახარჯზე მეტი პროდუქცია), ვიდრე **B** ქვეყანას.

არ არის აუცილებელი ასეთი სახის აბსოლუტური უპირატესობა ნიშნავდეს იმას, რომ **A** ქვეყანას შეუძლია წარმატებით მოახდინოს ამ საქონლის ექსპორტი **B** ქვეყანაში, ვინაიდან **B** ქვეყანა შეიძლება ფლობდეს შეფარდებით უპირატესობას მოცემული საქონლის წარმოებაში.

აბსოლუტური უპირატესობის თეორია პირველად დაამუშავა ა. სმითმა ნაშრომში: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.

აბსოლუტური ფასები (absolute prices) – შეფარდებითი ფასებისგან განსხვავებით, უშუალოდ ფულით, ფულადი ერთეულით გამოხატული ფასები საქონელსა და მომსახურებაზე.

აბსორბცია (absorption)– წერტილი (ზღვარი), რომელიც გამოხატავს ბაზრის გაჯერებას ფასიანი ქაღალდებით და ყოველი დამატებითი პარტია უარყოფით გავლენას ახდენს ფასზე.

აგენტი (agent) [<ლათ. agens (agentis) მოქმედი] - ფირმის წარმომადგენელი, რწმუნებული, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სხვა პირის საქმიან დავალებას, რისთვისაც იღებს გარკვეულ საკომისიო შემოსავალს. შესრულებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აგენტები შეიძლება იყვნენ: ბროკერები, დილერები, კომისიონერები და ა.შ.

აგლომერაცია (aglomerare) – იმ ფირმების, დაწესებულებების, დასახლებებისა(უპირატესად ქალაქის ტიპის) და ა.შ. სივრცობრივი თვალსაზრისით კომპაქტური განლაგება, რომლებიც დაჯგუფებულნი არიან წარმოებრივი, კულტურული, რეკრეაციული და სხვ. კავშირებით. აგლომერაცია განაპირობებს დანახარჯების ეკონომიას (agglomeration economies), ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებას, სპეციალიზებულ მომწოდებელთა სისტემის განვითარებასა

და ა.შ.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ (agrarian revolution) – ორგანიზაციული და ტექნიკური ცვლილებების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი გაზრდა. აგრარული რევოლუცია მჭიდრო კავშირშია ინდუსტრიალიზაციასთან. იგი გულისხმობს მზარდ ინვესტიციებს აგრარულ სექტორში (სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, ნადირობასა და მეთევზეობაში) თანამედროვე მანქანა-მოწყობილობების დანერგვის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და მევენახეობის განვითარების მიზნით. ყოველივე ეს განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრ ამაღლებას, კაპიტალუკუგების გადიდებას, რაც, აგრარული სექტორის გადიდებასთან ერთად, ხელს უწყობს სამუშაო ძალის გამოთავისუფლებას აგრარული წარმოებიდან და მის დასაქმებას მომსახურების ან ინდუსტრიულ სექტორებში, როგორც ეს დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ (agrarian sector) - ეკონომიკის სექტორი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებული, კვების პროდუქტებისა და ნედლეულის (ხე-ტყე, ბამბა და ა.შ.) მწარმოებელი მოსახლეობა. იგი, როგორც წესი, ეკონომიკის შედარებით დაბალშემოსავლიანი სექტორია, გარკვეულწილად შედგება არასაქონლო მეურნეობებისაგან და ეკონომიკაში მისი მაღალი ხვედრითი წონა ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის.

გაეროს **ᲡᲡᲓᲙ**-ის მიხედვით, აგრარული სექტორი ეკონომიკის პირველადი სექტორია. მასში შედის სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ნადირობა და მეთევზეობა.

ᲐᲒᲠᲔᲒᲘᲠᲔᲑᲐ (aggregation) [<ლათ. aggregatus შეერთება] - ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, გამსხვილება უფრო განზოგადებულ ერთობლივ მაჩვენებლად (სიდიდედ).

ᲐᲒᲠᲔᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ (aggregate production function) - დამოკიდებულება გამოშვებული პროდუქციის (გამოშვების) რაოდენობასა და მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ (human development index - **HDI**) - მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: 1. მოსახლეობის ერთ სულზე **მშპ**-ის წარმოების ინდექსი; 2. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი; 3. მოსახ-

ლეობის განათლების დონის ინდექსი. მათი შეჯერებით გამოიყვანება საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის რეიტინგს ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით.

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნები იყოფა 4 ჯგუფად: 1. ძალიან მაღალი ინდექსის მქონე; 2. მაღალი ინდექსის მქონე; 3. საშუალო ინდექსის მქონე და 4. დაბალი ინდექსის მქონე ქვეყნებად. 2011 წელს გამოკვლეული 187 სახელმწიფოდან ძალზე მაღალი დონისაა 47, მაღალი დონის – 47, საშუალო დონის – 47, ხოლო დაბალი დონის – 46 ქვეყანა. საქართველო **HDI**-ის მიხედვით მაღალი რეიტინგის მქონე სახელმწიფოთა ჯგუფს განეკუთვნება და უჭირავს 75-ე ადგილი.

ადამიანისეული კაპიტალი (human capital) - ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც გამოხატავს ადამიანის პროფესიულ დონეს, მის განათლებას, კვალიფიკაციას, ცოდნას და გამოცდილებას. რაც უფრო მაღალია მისი ხარისხი, მით უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობა.

ადამიანისეულ კაპიტალს ქმნის ინვესტიციები ადამიანისეულ რესურსებში, რომლის მიზანია თვით ადამიანის, მისი ინტელექტუალური პოტენციალის, შემოქმედებითი უნარის განვითარების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი ინვესტირების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მეტია შემოსავლები დანახარჯებზე და დაცულია თუ არა სტანდარტული საინვესტიციო კრიტერიუმები.

ზოგიერთი ეკონომისტის, მაგ., ჯ. კენდრიკის აზრით, ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება უნდა შევიდეს ერთობლივი აქტივების ღირებულებასა და საზოგადოების ეროვნულ სიმდიდრეში.

ადაპტაციის ლაგი (adaptation lag) - დროის პერიოდი ცვლილების შესახებ სიგნალის მიღებიდან ადაპტაციის დაწყებამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი (local budget) - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მუნიციპალური წარმონაქმნის ბიუჯეტი, რომელსაც ადგენენ, ამტკიცებენ და განკარგავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ადენდუმი (addendum) [<ლათ. addere დამატება) – ხელშეკრულების, მაგ., ჩარტერის, დამატება, რომელსაც ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები შეიმუშავებენ.

ად ვალორემი (ad valorem) [<ლათ. ad valorem ღირებულების მიხედვით] - ძვირფასი ტვირთის გადაზიდვისათვის გადასახდელების გამოთვლის ან საქონლის ფასიდან პროცენტებში საბაჟო გადასახადის გაანგარიშების მეთოდი.

ადმინისტრაციული ლაგი (administrative lag) - დროის მო-

ნაკვეთი ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან მისი აღსრულების დაწყებამდე. ლაგის ეს სახეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მართვის ეფექტიანობაზე და მის სწრაფ რეაგირებაზე, ან იშვიათ, მაგრამ უფრო რადიკალურ ცვლილებებზე.

ადმინისტრაციული ფასი (administrative price) - ფასი, რომელიც დგინდება ფიზიკური ან იურიდიული პირების გადაწყვეტილებით და არ არის საბაზრო ძალების ობიექტური თამაშის შედეგი. ადმინისტრაციული ფასის დადგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელს ყიდის მონოპოლისტი ან სახელმწიფო ორგანო. საპირისპიროა — მოქნილი ფასი.

ავალი (aval) (ფრანგ. aval) - სათამასუქო თავდებობა, რომელსაც კისრულობს მესამე პირი (ავალისტი) განსაკუთრებული საგარანტიო ბარათის გაცემით. ავალისტის ხელის მოწერა აუცილებელია თამასუქის წინაპირზე ან დამატებით ფურცელზე — ალონჟზე. საგარეო-სავაჭრო გარიგებებში ავალისტის როლში გამოდის იმპორტიორის ბანკი.

ავანსი (advance) (ფრანგ. avance) — ფულადი თანხა, რომელიც წინასწარ გაიცემა მომავალი გადასახდელის ხარჯზე. ჩვეულებრივ, ავანსის სახით გაიცემა გადასახდელი თანხის დაახლოებით 10-40%.

ავანსირება (advancement) (ფრანგ. avancer) - ავანსის გაცემა.

ავანსირებული კაპიტალი (advance capital) - წარმოებაში წინასწარ დაბანდებული კაპიტალი ფულადი თანხის ან ქონებრივი ფასეულობის სახით.

ავანტაჟი (avantage) (ფრანგ. avantage) - ხელსაყრელი მდგომარეობა, პიროვნების (ჯგუფის) სარგებლობა, უპირატესობა.

ავერაჟი (averaging) - საბირჟო თამაშის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს დროის გარკვეულ შუალედში გამოშვებული აქციების ყიდვა–გაყიდვას მისი კურსის ცვლილების შესაბამისად.

ავიაზედნადები (airway bill) - ავიატვირთბარათი, გადაზიდვის კონტრაქტის დამადასტურებელი სავაჭრო ქვითარი.

ავიზო (aviso, advice) [<იტალ. avviso შეტყობინება] - 1. წერილობითი უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის საქონლის, ფულის ან თამასუქის გაგზავნას; 2. ოფიციალური შეტყობინება სამეურნეო ოპერაციის შესრულების შესახებ, რომელსაც უგზავნის ერთი კონტრაჰენტი მეორეს; 3. ურთიერთანგარიშსწორებაში მომხდარი ცვლილებების შეტყობინება ფოსტით ან ტელეგრაფით; 4. ოფიციალური შეტყობინება, რომელსაც უგზავ-

ნის ბანკი მეანაბრეს, მისი ანაბრის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანის შესახებ.

ა'ვისტა (a' vista) [<იტალ. a' vista წარდგენისას] - თამასუქი გადახდის ვადის მიუთითებლად. ასეთი თამასუქის გასანაღდებლად წარდგენა შეიძლება ნებისმიერ დროს.

ავისტა (avista) [<იტალ., იხ. ა'ვისტა] - წარწერა თამასუქზე ან ფულადი ანგარიშსწორების სხვა დოკუმენტზე, რომელიც ადასტურებს ამ დოკუმენტის განაღდებას წარდგენისთანავე ან წარდგენიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

ავსტრიული სკოლა (austrian school) - ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ-ერთი განშტოება, მარჟინალური მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 70-იან წლებში ავსტრიაში. ზოგჯერ მას მოიხსენიებენ როგორც ვენის სკოლას, რადგან მისი წარმომადგენლები ფ. ვიზერი, კ. მენგერი, ო. ბემ-ბავერკი და ა.შ. ვენის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ. ავსტრიულ სკოლას დიდი წვლილი მიუძღვის ზღვრული სარგებლიანობის თეორიის შექმნაში. იგი პირველად 1871 წელს ჩამოაყალიბა კ. მენგერმა ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები", ხოლო ბემ-ბავერკმა განავითარა ეს თეორია ნაშრომში – „კაპიტალი და სარგებელი". ავსტრიული სკოლა დაუპირისპირდა შრომითი ღირებულების თეორიას. იხ.: **შრომითი ღირებულების თეორია, ზღვრული სარგებლიანობის თეორია, მარჟინალიზმი, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია.**

ავტარკია (autarky) [<ბერძნ. autarkeia თვითდაკმაყოფილება] - ქვეყნის სამეურნეო გამოცალკევების პოლიტიკა, რომელიც ქმნის კარჩაკეტილ, თვითუზრუნველყოფად ეკონომიკას.

ავტომატიზაცია (automation) – შრომის შეცვლა ავტომატური პროცესებით, მაგალითად, მანქანის ან მისი დეტალების მუშაობის კონტროლი, ავტომატური შეღებვა და ა.შ. ავტომატიზაცია, ჩვეულებრივ, განაპირობებს ტექნოლოგიურ უმუშევრობას, მაგრამ ასეთ პირდაპირ კავშირს არა აქვს ადგილი თუ იგი ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის საწინდარია.

ავტომატური სტაბილიზატორები(automatic stabilizers, built-in-stabilizers) - ფისკალური სისტემის ინსტრუმენტები, რომლებიც რეცესიის პერიოდში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ავტომატური ცვლილებებით გავლენას ახდენენ

ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებაზე. როდესაც ეკონომიკაში იწყება ვარდნა, მთავრობის მიერ გადასახადების სახით აკრეფილი თანხა ავტომატურად მცირდება, ვინაიდან რეცესიის პერიოდში ყველა სახის შემოსავალი (მათ შორის ხელფასი, მოგება და ა.შ.) მცირდება და საგადასახადო შენატანებიც სახელმწიფო ბიუჯეტში კლებულობს (იმის გამო, რომ მათი სიდიდე უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული). საგადასახადო ამონაგების ავტომატური შემცირება ასტიმულირებს ერთობლივ მოთხოვნას და, აქედან გამომდინარე, ამცირებს ეკონომიკურ რყევადობას.

იმის გამო, რომ ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში ყველა სახის შემოსავალი (მათ შორის ხელფასი, მოგება და ა.შ.) იზრდება, საგადასახადო შენატანებიც სახელმწიფო ბიუჯეტში მატულობს.

ავტომატური სტაბილიზატორის როლს სახელმწიფო სოციალური ხარჯებიც ასრულებს. კერძოდ, რეცესიის დროს, როდესაც იკვეცება სამუშაო ადგილები, ის პირები, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, იღებენ სხვადასხვა სახის ფულად დახმარებას (მათ შორის, უმუშევრობისთვის დაზღვევას). სახელმწიფო სოციალური ხარჯების ავტომატური გადიდება ასტიმულირებს ერთობლივ მოთხოვნას და, მაშასადამე, ამცირებს ეკონომიკურ რყევადობას.

ავტომატური სტაბილიზატორების ეფექტიანობა არც ისე მაღალია, რომ მთლიანად მოსპოს ეკონომიკაში მოკლევადიანი ვარდნის შემთხვევები, მაგრამ იგი წარმოქმნის სტაბილურობის ელემენტებს, უმუშევრობისა და ინფლაციის წინააღმდეგ ასრულებს ე.წ. ჩაშენებული სტაბილიზატორის როლს. ამიტომ ავტომატურ სტაბილიზატორებს ჩაშენებულ სტაბილიზატორებსაც უწოდებენ.

ავტონომიური ინვესტიცია (autonomous investment) **-** კაპიტალდაბანდება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემოსავლების დონის ცვლილებასთან. ასეთი ინვესტიციების მაგალითად გამოდგება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები, ის ინვესტიციები, რომლებიც ხმარდება გამოგონებებს, აგრეთვე გრძელვადიანი ინვესტიციების ის ნაწილი, რომელთა ანაზღაურება სწრაფად არ ხდება.

ავტონომიური ხარჯები (autonomous expenditures) – ხარჯები, რომლებიც შემოსავლებისგან დამოუკიდებლად განიხილება მოდელში – შემოსავლები-ხარჯები. ასეთია, მაგალითად, სახელმწიფო ხარჯები, ინვესტიციების ზოგიერთი სახეობა (ავტონომიური ინვესტიციები), საექსპორტო ხარჯები და ა.შ.

ავუარი (asset) [<ფრანგ. avoir ქონება] - ფართო გაგებით - აქტივი (ფულადი სახსრები, ჩეკი, თამასუქი, აკრედიტივი და სხვ.), რომლის მეშვეობითაც წარმოებს ფულადი ვალდებულებების დაფარვა. ვიწრო გაგებით — ბანკის ფულადი სახსრები, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე საზღვარგარეთის ბანკებში ამ ბანკის ანგარიშზე არსებული აქტივები უცხოურ ვალუტაში. განასხვავებენ თავისუფალ (შეუზღუდავად მოსახმარ), ბლოკირებულ (სახელმწიფოს და ბანკების განკარგულებაში არსებულ) და განსაზღვრული რეჟიმის მქონე ავუარებს.

„აზიური ვეფხვები“ (“asian tigers”) – ოთხი აზიური ქვეყანა (სამხრეთი კორეა, სინგაპური, ტაივანი, ჰონგ-კონგი).

აკერლოფი ჯორჯ (დაიბ. 1940) (Akerlof George) - ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (2001) ჯ. სტიგლიცთან და მ. სპენსთან ერთად, ასიმეტრიული ინფორმაციის ბაზრების ანალიზში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისათვის.

აკვიზიტორი (acquirer) [<ლათ. acquisitor მომპოვებელი, შემძენი] - სატრანსპორტო ან სადაზღვევო საწარმოთა თანამშრომელი ან აგენტი, რომლის ვალდებულებებშიც შედის ახალი ტვირთის მოზიდვა და დაზღვევა.

აკორდული გადასახადი (lump-sum tax) - სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფიქსირებული გადასახადი, რომელიც არ არის დამოკიდებული შემოსავლების ან შესყიდვების სიდიდეზე.

აკრედიტივი (letter of credit) [<ლათ. accreditivus რწმუნებისა] - 1. საბანკო ანგარიშის სახეობა, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აძლევს შესაძლებლობას, სააკრედიტივო დავალებაში მითითებული პირობების დაცვით მიიღოს გასამრჯელო ვალდებულების შესრულებისთანავე; 2. ანგარიშსწორების ფორმა საგარეო ვაჭრობაში. აკრედიტივი ხშირად გამოიყენება ტრატასთან ერთად საგარეო ვაჭრობის დაფინანსების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით; 3. სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის უფლებას ბანკში მიიღოს აკრედიტივში მითითებული თანხა.

აკრი (acre) - ფართობის ერთეული ინგლისურ საზომთა სისტემაში: 1 ა = 0,4047 ჰექტარს.

„ალდაგი“ (Aldagi) - აქციონერული საზოგადოება, პირველი არასახელმწიფო სადაზღვევო კომპანია საქართველოში. დაარსდა 1990 წელს. 2006 წლის ბოლომდე ეკავა ლიდერის პოზიცია, ვიდრე მისი აქციების 100% არ შეიძინა სადაზღვევო კომპანია „ბი-

სიაიმ“. 2009 წლის მონაცემებით, გაერთიანებული კომპანიის „ალდაგი ბისიაის“ წილი ბაზრის 41,3%-ს შეადგენს.

ალე მორის (დაბ. 1911) (Alais Morris) - ფრანგი ეკონომისტი, ნეოლიბერალური მიმართულების წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (1988). მიენიჭა ნოვატორული წვლილისთვის ბაზრისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების თეორიაში.

ალოკაციური ეფექტიანობა (allocative efficiency) - 1. პროდუქციის წარმოების ოპტიმალური ანუ საუკეთესო კომბინაცია რესურსების ეფექტიანი კომბინაციის გზით; რესურსების ისეთი კომბინაცია, როდესაც პროდუქციას აწარმოებენ მინიმალური ალტერნატიული დანახარჯებით. რესურსების ასეთ გამოყენებას ტექნიკურ ეფექტიანობასაც უწოდებენ; 2. სიტუაცია, როდესაც შეუძლებელია რეორგანიზაციით ან გაცვლით ერთი ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეორის ინტერესების შელახვის გარეშე. მეორე სახელწოდებაა **პარეტო-ეფექტიანობა.**

ალოკაციური ფუნქცია (allocation function) - სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკაში განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას. სახელმწიფოს ალოკაციური ფუნქცია აუცილებლობითაა განპირობებული, ვინაიდან გარკვეული სახის დოვლათი, რომელიც საზოგადოებრივი საქონლის სახელწოდებითაა ცნობილი, არ შეიძლება საბაზრო ფასით მიეწოდოს საზოგადოებას. სახელმწიფოს ეს ფუნქცია უკავშირდება აგრეთვე გარე ეფექტების, ექსტერნალიების პრობლემას, როდესაც ერთი ინდივიდის მოქმედებას სხვებისთვის მოაქვს ხარჯი ან მოგება.

ალოკაციური ფუნქცია სახელმწიფოს სამი ფუნქციიდან ერთ-ერთია, რომლის განსაზღვრაც რ. ა. მასგრეივსა და სხვა ავტორებს ეკუთვნით. არსებობს აგრეთვე სახელმწიფოს გამანაწილებელი და სტაბილიზაციური ფუნქციები. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ამ ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძალზე მოხერხებულია, პრაქტიკაში ისინი ხშირად გაერთიანებულია.

ასეთი დაყოფის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან, ფასების მექანიზმი ვერ იძლევა სიგნალს პოტენციური მოთხოვნის შესახებ, საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება დაირღვეს არსებული წონასწორობა.

ალონჟი (allonge [<ფრანგ. allonge წანაკერი] - თამასუქზე მიმაგრებული დამატებითი ფურცელი – სათავდებო საგარანტიო

ბარათი, ავალი.

ალპარი (al par) - ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, თამასუქის საბაზრო (საბირჟო) კურსის ტოლობა მათ ნომინალთან (ნომინალურ ღირებულებასთან).

ალტერნატივა (alternative) [ლათ. alter ერთი ორიდან] – ურთიერთგამომრიცხავი შესაძლებლობა; ორი ან რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთი ვარიანტის არჩევა, რომელსაც აქვს უპირატესობა (მათ შორის, ეკონომიკური).

ალტერნატიული დანახარჯი (ღირებულება) (opportunity cost) - ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დანახარჯი (ღირებულება), იმ საქონლისა და მომსახურების ალტერნატიული დანახარჯი, რომელთა დათმობა აუცილებელია მოცემული საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან შესაძენად. სხვა სიტყვებით, ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად გარკვეული რესურსების არჩევა ნიშნავს სხვა, ალტერნატიული საქონლის წარმოების შეუძლებლობას.

ნებისმიერ ქვეყანას, განვითარების დონის მიუხედავად, აქვს წარმოებრივი შესაძლებლობის ზღვარი. მას არ შეუძლია განუსაზღვრელად გაზარდოს წარმოება სრული დასაქმების პირობებშიც კი, ვინაიდან ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია რესურსების უკმარისობის გამო. რესურსების შეზღუდულობა იწვევს წარმოების შეზღუდვასაც. ამიტომ რაიმე საქონლის წარმოება განაპირობებს იმავე რესურსების გამოყენებაზე უარის თქმას სხვა, ალტერნატიული პროდუქტის საწარმოებლად. ამრიგად, ყველა დანახარჯი, გარკვეულწილად, ალტერნატიულია. რეალურ წარმოებრივ საქმიანობაში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ ფაქტობრივი ფულადი, არამედ ალტერნატიული დანახარჯიც.

ამალგამაცია (amalgamation) [ფრანგ. amalgame <ბერძნ. malagma რბილი სარჩული] - საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს ორი ან რამდენიმე ბანკის შერწყმას კონკურენციული ბრძოლის პროცესში. განასხვავებენ ამალგამაციის ორ სახეობას: 1. მსხვილი ბანკის მიერ მცირე ბანკის შთანთქმას; 2. ბანკების ნებაყოფლობითი შერწყმის საფუძველზე ახალი ბანკის წარმოქმნას.

ამბალაჟი [<ფრანგ. emballage საფუთავი] - 1. საფუთავი მასალა; 2. შეფუთვის ხარჯები.

ამორტიზაცია (amortization, depreciation) [<ლათ. amortisation დაფარვა, გადახდა] - 1. რეალური აქტივების ღირებულების შემცირება, მათი ნაწილის ყოველწლიური ჩამოწერა ექსპლუატაცი-

ის პროცესში; ცვეთის კვალობაზე ძირითადი კაპიტალის ღირებულების გადატანა მზა პროდუქციაზე; 2. ფულადი სახსრების მიზნობრივი გადარიცხვა და დაგროვება ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურების მიზნით შემდგომი გამოყენებისათვის; 3. ვალის თანდათანობითი დაფარვა გრაფიკის მიხედვით, პერიოდული შენატანების ან ვალდებულებების გამოსყიდვის გზით.

ამორტიზაციის ნორმა (amortization rate) - ამორტიზაციის წლიური თანხის პროცენტული შეფარდება ძირითადი კაპიტალის პირვანდელ საბალანსო ღირებულებასთან. ამორტიზაციის წლიური ნორმები დიფერენცირებულია ძირითადი კაპიტალის სახეობათა მიხედვით.

ამპლიაცია (ampliatio)– ხელწერილის ასლი ფულის მიღების შესახებ.

ამხანაგობა (company) - ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანება ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობისთვის. განასხვავებენ შერეულ (კომანდიტურ) და სრულ ამხანაგობას.

ანაბარი (deposit) - ბანკში შესანახად და სარგებლის მიღების მიზნით შეტანილი ფულადი თანხა. არსებობს ვადიანი და მოკითხვამდე ანაბარი. ვადიანი ანაბარი გარკვეული ვადით შეიტანება ბანკში, ხოლო მოკითხვამდე ანაბარი – შენახვის ვადის მიუთითებლად.

ანგარიშგება (reporting) - ფირმების, ორგანიზაციების მიერ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ანგარიშების პერიოდულად შედგენა.

ანგარიში (account) - განსაზღვრული ფორმით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის გამოსახატავად. მაგ., დროის გარკვეულ მონაკვეთში აქტივისა და პასივის, ან კიდევ, მათი მარაგის ცვლილებების ანგარიში, რომელიც შეიძლება იყოს აუდიტორული, ბუღალტრული, კაპიტალის მოძრაობის, კომერციული, მიმდინარე ოპერაციების, მოგებისა და ზარალის, საკორესპონდენტო, ფიდუციარული და ა.შ.

ანგარიშსწორება (payment, settlement) - ფულის გადახდა ვალდებულებების მიხედვით ნაღდი ან უნაღდო ფორმით. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს აკრედიტივით, ჩეკებით ან სხვა სახის ფასიანი ქაღალდებით, კრედიტებით, ურთიერთმოთხოვნების ჩათვლით, ხელფასების გაცემითა და ა.შ.

ანგარიშსწორების ანგარიში (paying account) - ანგარიში, რომელსაც ბანკი უხდის იურიდიულ პირებს ფულადი სახსრების შესანახად და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწო-

რების განხორციელებისათვის.

ანგარიშ-ფაქტურა (invoice) - სავაჭრო გარიგების ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი ადგენს და უგზავნის მყიდველს; შეიცავს საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებს. იგი მოიცავს ცნობებს გასაყიდი საქონლისა და ფასის შესახებ, ასევე, წარმოადგენს ანგარიშსწორებისათვის გადახდის საფუძველს. ანგარიშ-ფაქტურა ადასტურებს საქონლის ან მომსახურების ფაქტობრივ მიწოდებას მყიდველისათვის.

ანდერაიტინგი (underwriting) - ბოლო გამოშვების ფასიანი ქაღალდების შეძენა მათი გაყიდვის მიზნით. ჩვეულებრივ ანდერაიტინგს ახორციელებენ საინვესტიციო დილერები — ანდერაიტერები.

ანკეტა (form, questionnaire [ფრანგ. enquete] - გამოკითხვის ფურცელი, ძირითადი დოკუმენტი ანკეტირების გზით გამოკვლევის ჩატარებისათვის.

ანკეტირება (inquiry) - სხვადასხვა მოვლენასა და ღონისძიებაზე მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაქციის შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდი. ანკეტირების პროცედურა შედგება ანკეტირების შემუშავების, გავრცელების, დამუშავებისა და ანალიზისაგან.

ანკეტირება არის უშუალო (ინტერვიუ) ან გაშუალებული (ანკეტა) გზით რესპონდენტისაგან (პირი, რომლის გამოკითხვაც ხდება) პირველადი, ვერბალური (სიტყვიერი) ინფორმაციის შეკრება. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად.

ანტიდემპინგური გადასახადი (anti-dumping duties) - საბაჟო გადასახადი, რომელიც იცავს ეროვნულ მრეწველობას დემპინგური (ხელოვნურად დაქვეითებული) ფასის მქონე საქონლის იმპორტისაგან.

ანტიდემპინგური კანონმდებლობა (anti-dumping legislation) - დემპინგის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური სამართლებრივი აქტები და დებულებები.

ანტიდოვლათი (bad) - პროდუქტი, რომელსაც მომხმარებლისთვის უარყოფითი ეფექტი მოაქვს. ეს ტერმინი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში. მას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ გარე ეფექტებთან დაკავშირებული ხარჯების განხილვისას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა (anti-trust laws) - მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს წარმოების მეტისმეტი მონოპოლიზაციის (ფირმების შერწყმა, ერთი ფირმის მიერ მეორის შთანთქმა, კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებები ბაზრების განაწი-

ლებისა და ფასების დადგენის მიზნით) შეზღუდვას. ანტიმონოპოლიური კანონები ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას, იცავს მცირე და საშუალო ფირმებს.

ANTICIPACIA (anticipation) [<ლათ. anticipatio] - ფულის გადახდა სავალო ვალდებულების საფუძველზე დათქმულ ვადამდე.

ANTREPRENIORI (entrepreneur) [<ფრანგ. entrepreneur მეწარმე] - 1. კერძო თეატრის, ცირკის და ა.შ. მფლობელი, არენდატორი. 2. მეწარმე.

ANTREPRIZI (private theatrical enterprise) [<ფრანგ. entreprise] - კერძო სანახაობითი საწარმო (თეატრი, ცირკი და ა.შ.).

ANUITETI (annuity) - ვადიანი სახელმწიფო სესხი ვალის ყოველწლიური დაფარვითა და პროცენტის გადახდით.

AJIO (agio) [იტალ. aggio] - 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით; 2. ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ნიშნების საბირჟო (საბაზრო) კურსის აწევა, მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით. მაგ., თუ 10 დოლარის ღირებულების აქცია ბირჟაზე 11 დოლარად იყიდება, მაშინ აჟიო შეადგენს 10%-ს. იგივეა, რაც ლაჟი. საპირისპირო — დიზაჟიო.

AJIOTAJI (stock-jobbing) [<ფრანგ. agiotage] - სპეკულაციური ოპერაციები ბირჟაზე ან ბაზარზე საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ფასების ხელოვნური გაზრდის მიზნით.

ARAERTGVAROVANI KAPITALI (heterogeneous capital) - სხვადასხვა სახის ფიზიკური კაპიტალი, გამოყენებული მაღალსპეციალიზებული კონკრეტული წარმოებრივი პროცესებისათვის. მისი სხვა მიზნით გამოყენება შეუძლებელია. არაერთგვაროვანი კაპიტალი განსხვავდება ერთგვაროვანი ძირითადი კაპიტალისაგან, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა საქონლის წარმოებისათვის და სხვადასხვა წარმოებრივ პროცესში. თუ კაპიტალი არაერთგვაროვანია, მაშინ, როგორც კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლები (ა. პიგუ, დ. რობერტსონი და სხვები) აღნიშნავენ, წარმოიქმნება სერიოზული პრობლემები ერთობლივი წარმოებრივი ფუნქციის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი კი ნეოკლასიკურ მოდელებში გამოიყენება.

ARAINSTITUCIURI SAMOQALAQO MOSAXLEOBA (noninstitucional civilian population) – ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არის სამუშაო ასაკს ქვემოთ (მოსახლეობა 16 წლამდე), ასევე, პოტენციურად გამოსადეგი სამოქალაქო დასაქმებისთვის (შეიარაღებულ ძალებში,

საპატიმროებში და ა.შ. მყოფი პირები).

არაკანონიერი წარმოება (illegal production) – ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას-93) თანახმად, არაკანონიერი წარმოება კანონით აკრძალული საქმიანობაა (ნარკოტიკების წარმოება და განაწილება) ან საქმიანობის ის სახეობები, რომლებიც ნებართვის გარეშე ხორციელდება. მაგ., სამედიცინო პრაქტიკა ლიცენზიის გარეშე. აქედან გამომდინარე, არაკანონიერი წარმოება იყოფა ორ კატეგორიად: 1. კანონით აკრძალული საქონლისა და მომსახურების წარმოება და რეალიზაცია; 2. ეკონომიკური საქმიანობის ის სახეობები, რომელთა წარმოება და რეალიზაცია ჩვეულებრივ ნებადართულია, მაგრამ თუ ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, მაშინ ისინი არაკანონიერად ითვლება.

არაკომერციული ორგანიზაცია (non-profit institution) - ორგანიზაცია, რომელიც მოგებას არ იღებს თავისი ძირითადი საქმიანობიდან. არაკომერციული ორგანიზაცია იქმნება სოციალური, ქველმოქმედი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამმართველო მიზნების მისაღწევად, მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, მოქალაქეების სულიერი და სხვა არამატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, კამათისა და კონფლიქტების გადაწყვეტის და ა.შ. მიზნების მისაღწევად. (მაგალითად, მრავალი ორგანიზაცია ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში). არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების), არაკომერციული პარტნიორობის, დაწესებულებების, ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციების, სპეციალური, ქველმოქმედი და სხვა ფონდების, ასოციაციების, კავშირებისა და სხვა ფორმებით, რომლებიც მოქმედი კანონებითაა გასათვალისწინებელი. ითვლება, რომ ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ სპეციფიკურ რეჟიმში და სხვა ფირმებისაგან განსხვავებულ მიზნებს ისახავენ.

არაკონკურენტული მოხმარება (non-rival consumption) - საქონლის მოხმარება ითვლება არაკონკურენტულად, თუ ერთი ინდივიდის მიერ მისი მოხმარება არანაირად არ ამცირებს მეორე ინდივიდისათვის ამ საქონლის მიწოდებას. ასეთი საქონლის მოხმარება არ უკავშირდება ალტერნატიულ დანახარჯებს. მოხმარების არაკონკურენტულობა საზოგადოებრივი საქონლის თვისებაა. ამის მაგალითია სატელევიზიო

სიგნალი, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი ინდივიდის მიერ ასეთი სიგნალის მიღება არ ამცირებს მის ხელმისაწვდომობას სხვებისათვის. ეკონომისტების მტკიცებით, ასეთი ტიპის საქონელი უნდა მიეწოდებოდეს ნულოვანი ფასით ყოველ ზღვრულ (დამატებით) ერთეულზე.

არამატერიალური მომსახურება (non-material, intangible service) - შრომის სპეციფიკური ეკონომიკური ფორმა, რომლის სასარგებლო ეფექტიც არამატერიალიზებულ მომსახურებაში ვლინდება.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის მიხედვით, არამატერიალური მომსახურება ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პირადი მომსახურება, მეორეს — სოციალური მომსახურება. თუმცა ამგვარი დაყოფა პირობითია, ვინაიდან არსებობს მომსახურების ისეთი სახეობები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფს. მაგალითად, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და ა.შ. აკმაყოფილებს არა მხოლოდ პირად, არამედ სოციალურ მოთხოვნილებებსაც.

არამატერიალურ მომსახურებას განსაკუთრებული ადგილი უკავია მომსახურების სფეროში. მის წამყვან დარგებში ეკონომიკური საქმიანობა განიხილება არასაბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების, საზოგადოებრივი საქონლის თეორიის, საბიუჯეტო დაფინანსებისა და ნორმატიული ეკონომიკის პოზიციებიდან. დასავლეთში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სოციალურ-კულტურული მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის, უშიშროების ორგანოების მომსახურება და სხვ., რაც საზოგადოებრივ საქონელს წარმოადგენს, ქმნის ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს.

არანივთობრივი აქტივები (goodwill, intangible asset) - ტერმინი, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვაში და გამოხატავს ფირმის არანივთობრივი აქტივების ღირებულებას. ჩვეულებრივ გამოითვლება როგორც სხვაობა ფუნქციონირებად ფირმისთვის გადახდილ ფასსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის. თუ გასაყიდ ფირმას აქვს კარგი რეპუტაცია, ჰყავს მრავალი მომხმარებელი და კლიენტი, რომლებიც, ალბათ, დარჩებიან მასთან მისი გაყიდვის შემდეგ, ეს შედის მის არანივთობრივ აქტივებში.

არაპირდაპირი გადასახადი (indirect tax) - საგადასახადო ანარიცხი, რომელსაც საქონლის შეძენისას იხდის მყიდველი; მოხმარებაზე გადასახადი, რომელ-

საც კრეფენ გაყიდვის ყოველი აქტიდან, დაწყებული წარმოებრივი და განაწილებითი ციკლიდან და საბოლოო მოხმარებით დამთავრებული. მოიცავს გაყიდვაზე გადასახადს, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს, აქციზურ გადასახადს, საიმპორტო ბაჟს, საქმიანობის მონოპოლიურ სახეობებზე გადასახადს და ა.შ. შედის საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასში. ეს გადასახადები განვითარებად ქვეყნებში ქმნიან საგადასახადო ნაკრების ძირითად მასას, ვინაიდან პირდაპირ გადასახადებთან შედარებით ადვილია მათი რეგულირება და აკრეფა.

არასაბაზრო მომსახურება (non-market service) - მომსახურება, რომელიც იყიდება არასაბაზრო ფასით და ერთეული მომსახურების მწარმოებელი რესურსები (50 პროცენტი და მეტი) იქმნება არა მომსახურების რეალიზაციით, არამედ სამთავრობო ტრანსფერებით, საოჯახო მეურნეობიდან ნებაყოფლობითი შენატანებით, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებით და სხვ.

გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემის კლასიფიკაციის მიხედვით, არასაბაზრო მომსახურებას მიეკუთვნება: სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ეროვნული თავდაცვის, სავალდებულო სოციალური დაზღვევისა და სოციალური დაცვის მომსახურება; განათლებისა და მეცნიერული კვლევის დარგში (უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში) სახელმწიფოს და კერძო არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯზე გაწეული მომსახურება; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (საავადმყოფოები, კლინიკები, სანატორიუმები და სხვ., აგრეთვე ვეტერინარული საქმიანობა) სახელმწიფოსა და კერძო არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯზე გაწეული მომსახურება; კერძო არაკომერციული ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების, რელიგიური ორგანიზაციების, ტურისტული საინფორმაციო სააგენტოებისა და კლუბების, პოლიტიკური პარტიების, სამომხმარებლო და სამოქალაქო ორგანიზაციების მომსახურება; მომსახურება კულტურის, დასვენებისა და გართობის სფეროში (ბიბლიოთეკები, საზოგადოებრივი არქივები, მუზეუმები, სპორტული მოედნები და კლუბები, ბოტანიკური და ბიოლოგიური ბაღები) გაწეული სახელმწიფო და კერძო არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯზე; სასაფლაო მეურნეობის ორგანიზაციასთან, ნაგვის გატანასა და სანიტარიასთან დაკავშირებული არასაბაზრო მომსახურება;

საოჯახო მომსახურება (შინამოსამსახურეთა მომსახურება).

არასაბაზრო ურთიერთობა (non-market relations) - ურთიერთობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკაში ყალიბდება ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების, სახელმწიფო საწარმოებში მტკიცე ფასების დადგენის, სახელმწიფო დაკვეთების შემოღების, მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში. არასაბაზრო პირობებში მოქმედებენ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები.

არასაბაზრო ურთიერთობის არსებობას ძირითადად განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: პირველი, — ბაზრის მექანიზმი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს დაიკმაყოფილონ მხოლოდ მოთხოვნით გამოხატული მოთხოვნილებები. მაგრამ არსებობს მოთხოვნილებები, რომელთა ფულით გაზომვაც შეუძლებელია. ბაზარი მათზე არ რეაგირებს. ასეთი სახის მოთხოვნილებები უკავშირდება განსაკუთრებული ტიპის საქონელსა და მომსახურებას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „საზოგადოებრივი საქონლის“ სახელწოდებით. მისი კვლავწარმოების არეალი ქმნის ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს; მეორე, — ბაზარს არ შეუძლია მისთვის ნიშანდობლივი ფასწარმოქმნის მექანიზმის მეშვეობით შეაფასოს ადამიანთა საქმიანობის საბოლოო გარე ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს როგორც დადებით, ისე უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებში. გარე ეფექტების არსებობა განაპირობებს კერძო და სოციალური დანახარჯებისა და შედეგების გამიჯვნის აუცილებლობას. კერძო დანახარჯები და შედეგები ასახავს საბაზრო ურთიერთობას, მათი ტოლობა — საბაზრო წონასწორობას, ხოლო სოციალური დანახარჯები და შედეგები — ფსევდოსაბაზრო წონასწორობას, რომელიც თავისი ეკონომიკური შინაარსით გაცილებით ფართოა საბაზროზე. მხოლოდ ბაზარს არ შეუძლია ფსევდოსაბაზრო წონასწორობის დამყარება, იგი დგინდება სახელმწიფოსა და მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ერთობლივი ძალისხმევით. იქ, სადაც ბაზარი უძლურია, აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა; მესამე, ეკონომიკის დარგების — ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგების, სარკინიგზო მიმოსვლის, საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის და ა.შ. ტექნიკური და ტექნოლოგიური სპეციფიკა, რომელიც მოითხოვს წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ერთიან სისტემას, წარმოებული პროდუქციის თავისებუ-

რებები და მოხმარების მასობრივი ხასიათი, რომელიც განაპირობებს ფართომასშტაბიანი წარმოების აუცილებლობას, არ ქმნის ეკონომიკურ სივრცეს ნორმალური კონკურენციისათვის. ამიტომ ამ დარგებში სახელმწიფო მონოპოლია (ბუნებრივი მონოპოლია) განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით, რაც არასაბაზრო ურთიერთობებში აისახება.

არასაგადასახადო შემოსავალი (off-budget receipts) - შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსით. მას მიეკუთვნება: ლიცენზირებისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ქონების არენდიდან მიღებული შემოსავალი და ა.შ.

არასრულყოფილი კონკურენცია (imperfect competition) - საბაზრო სიტუაცია, როდესაც კონკურენციის სრულყოფილება ირღვევა თუნდაც ერთი გამყიდველის (ან მყიდველის) ზეგავლენით საბაზრო ფასზე. იგი გამოხატავს საბაზრო სტრუქტურის ნებისმიერ ფორმას — მონოპოლიას, ოლიგოპოლიას ან მონოპოლიურ კონკურენციას.

არატრადიციული ეკონომიკა (non-traditional economy) – ქვეყნის ეკონომიკის არაჯანსაღი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ზომბიეკონომიკისა (იხ.) და ნეკროეკონომიკის (იხ.) სახით.

არაფასისმიერი კონკურენცია (non-price competition) - ნებისმიერი კანონიერი საშუალების გამოყენება, გარდა ფასების შემცირებისა, ახალი მომხმარებლის მიზიდვის მიზნით. არაფასისმიერი კონკურენციის მეთოდებს შორის აღსანიშნავია რეკლამა, მარკეტინგის გაუმჯობესება, ინოვაციების დანერგვა და ა.შ.

არაფორმალური ეკონომიკა (informal economy) – ეკონომიკის, კერძოდ შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში). დიდ როლს ასრულებს დასაქმებისა და შემოსავლების ფორმირებაში. იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპები ან ურბანიზაცია მაღალია, არაფორმალური სექტორი სწრაფად იზრდება ქალაქებში მზარდი სამუშაო ძალის ხარჯზე, ამიტომ არაფორმალურ სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების აღრიცხვა ძალზე მნიშვნელოვანია **მშპ**-ის ასახვისათვის.

არაფორმალური სექტორის საერთაშორისო განსაზღვრება მიღებულ იქნა 1993 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შრომის ბაზრის სტატისტიკოსთა მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით.

არაფორმალურ სექტორში

დასაქმებულთა უმეტესი ნაწილის საქმიანობა სავსებით ლეგალურია, ამასთან, არარეგისტრირებული ან არალიცენზირებული, რაც განაპირობებს წარმოების დანახარჯების შემცირებას.

არაფორმალური სექტორი (informal sector) - ეკონომიკის სექტორი, რომელიც არ არის ჩართული ოფიციალურ სტატისტიკაში. მასში შედის თვითდასაქმებულთა კატეგორია, რომლის მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა განვითარებადი ქვეყნები. თვითდასაქმებულები ასრულებენ წვრილ შრომატევად სამუშაოებს, თუმცა, ხშირად მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეროვნული შემოსავლის წარმოებაში.

თვითდასაქმებულთა შრომა ხასიათდება დაბალი კაპიტალტევადობითა (ანუ გამოყენებულ მოწყობილობათა ღირებულების გამოშვებულ პროდუქციასთან შეფარდების დაბალი დონით) და დაბალი კაპიტალშეიარაღებით (ანუ გამოყენებულ მოწყობილობათა ღირებულების დახარჯული შრომის ღირებულებასთან შეფარდების დაბალი დონით).

არბიტრაჟი (arbitration, arbitrage) [ფრანგ. arbitrage]-1. სპეკულაცია რისკის გარეშე. კომერციული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ყიდვას ფასიანი ქაღალდების ერთ ბაზარზე ერთდროულად მეორეზე გაყიდვის მიზნით, სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის სხვაობის საფუძველზე მოგების მისაღებად. არბიტრაჟი ხელს უწყობს ფასებში მკვეთრი განსხვავების დაძლევას, რაც ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია; 2. სადავო საქმეთა განხილვის მეთოდი, როდესაც მხარეები მიმართავენ სამედიატორო მოსამართლეს (არბიტრს); 3. სამედიატორო სასამართლო, სადაც დავას წყვეტს მოსამართლე-შუამავალი (არბიტრი).

არბიტრაჟი „ად-ჰოკი“ (arbitrage “ad hoc”) - არბიტრაჟი, რომელიც იქმნება კონკრეტულ კონტრაქტთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადასაწყვეტად. უთანხმოებას, როგორც წესი, განიხილავს სამი პირი: ორი არბიტრი (მოსარჩელისა და მოპასუხის) და ერთი სუპერარბიტრი. კონტრაქტში დაწვრილებით არის განხილული არბიტრების არჩევისა და დანიშვნის წესები, დადგენილია გადაწყვეტილებათა მიღების საბოლოო ვადები. ჩვეულებრივ არბიტრებად იწვევენ საგარეო-სავაჭრო ოპერაციების საუკეთესო სპეციალისტებს. ისინი შეიძლება იყვნენ მეცნიერები, ფირმების პრეზიდენტები, ადვოკატები, სახელმწიფო ორგანიზაციების მოსამსახურეები. აუცილებლობის შემთხვევაში არბიტრე-

ბად შეიძლება მიიწვიონ ტექნიკური ექსპერტები.

არენდა (rent) [<ლათ. arrendare გაქირავება] - ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მეარენდე) აძლევს მეორე მხარეს — არენდატორს ქონებას (მიწას, შენობა-ნაგებობებს, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებს, დროებით გამოუყენებელ მოწყობილობებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვ.) დროებით სარგებლობისათვის განსაზღვრული ქირით. არენდატორი ვალდებულია გადაიხადოს საარენდო გადასახადი შრომითი საქმიანობის შედეგების მიუხედავად. არენდირებული ქონება შეიძლება გახდეს არენდატორის საკუთრება, თუ ეს უკანასკნელი მას მთლიანად გამოისყიდის.

არენდატორი (leaseholden, tenant) - პირი, საარენდო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, რომელიც რაიმეს არენდით იღებს მეარენდისაგან.

არი (are) [<ლათ. are ფართობი, ზედაპირი] - ფართობის ერთეული საზომთა მეტრულ სისტემაში.

1 ა = 100 კვ.მ., ანუ 0,01 ჰა.

არჩევანი ალტერნატიული ვარიანტებიდან (trade-off) - იმ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს, რომ არჩეული ვარიანტი განხორციელდება ალტერნატიულზე უარის თქმის ფასად. მაკროეკონომიკურ ტერმინოლოგიაში გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების შემუშავებისას ამა თუ იმ მიზნის არჩევის პრობლემის აღსანიშნავად. მაგ., არჩევანის პრობლემა უმუშევრობის ზრდასა და ინფლაციის დაჩქარებას შორის, მოგების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის და ა.შ.

ასორტიმენტი (range of goods, assortment) [<ფრანგ. assortiment] - სხვადასხვა სახის საქონლის ნაკრები, დაჯგუფებული განსაზღვრული ნიშნების მიხედვით. განასხვავებენ საწარმოო და სავაჭრო ასორტიმენტს.

ასოციაცია (association) [<ლათ. associatio გაერთიანება] - იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, შექმნილი ეკონომიკური (სამეურნეო), პოლიტიკური, სამეცნიერო და სხვა მიზნების მისაღწევად. ეკონომიკური ასოციაცია იქმნება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. კონცერნისაგან განსხვავებით, იქ შეზღუდვები ნაკლებად მკაცრია.

აუდიტი (audit) [<ლათ. იხ. აუდიტორი] - სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო-საფინანსო ანგარიშგების, საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო ოპერაციების წარმოების, მოქმედ კანონ-

მდებლობასა და ნორმატივებთან შესაბამისობის, სისრულისა და უტყუარობის, აგრეთვე, საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ექსპერტიზა, რომელსაც ატარებენ არასაუწყებო დამოუკიდებელი აუდიტორები სააუდიტორო ობიექტის შესწავლის, შემოწმებისა და რევიზიის გზით. აუდიტორულ მომსახურებად ითვლება აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე სამეურნეო სუბიექტებისათვის გაწეული კონსულტაციები და დახმარება.

აუდიტი ტარდება სააუდიტორო სტანდარტებისა და დადგენილი მეთოდიკის შესაბამისად. ცნობილია საინიციატივო და სავალდებულო აუდიტები. **საინიციატივო აუდიტი** ტარდება სამეურნეო სუბიექტის ინიციატივით და ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული სააუდიტო თემის მიხედვით. **სავალდებულო აუდიტი** დაწესებულია კანონმდებლობით გარკვეული წრის სამეურნეო სუბიექტებისათვის და ტარდება პერიოდულად კანონით დადგენილ თემაზე. აუდიტის ჩატარება სავალდებულოა:

- იმ სამეურნეო სუბიექტებისათვის, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაც მოქმედი კანონმდებლობით ითვალისწინებს მესაკუთრეთა შეზღუდულ ქონებრივ პასუხისმგებლობას;

— ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, არასაბიუჯეტო ფონდების, საფონდო და სასაქონლო ბირჟებისათვის;

- ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა და საინვესტიციო ინსტიტუტებისათვის;

- უცხოური იურიდიული პირებისათვის, რომლებიც მოგებას იღებენ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობით;

- უცხოური საინვესტიციო საწარმოებისათვის;

- სხვა სამეურნეო სუბიექტებისათვის, რომელთა სიაც ყოველწლიურად მტკიცდება.

აუდიტი ფასიანი მომსახურებაა. იგი, როგორც წესი, ტარდება ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო კონტროლისაგან დამოუკიდებლად და არ ცვლის მას.

აუდიტორი (auditor) [<ლათ. auditor მსმენელი] - აუდიტის ჩამტარებელი ფიზიკური პირი, როგორც წესი, მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება და კვალიფიკაცია, რაც დადასტურებულია სპეციალური საატესტაციო კომისიის მიერ. აუდიტორს სააუდიტორო საქმიანობის დაწყების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან ლიცენზიის მიღების შემდეგ. აუდიტორები ამ საქმიანობას ეწევიან როგორც ინდივიდუალუ-

რად, ისე აუდიტორულ ფირმებში. აუდიტორი ვალდებულია მოიპოვოს ისეთი ინფორმაცია და მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საუდიტო თემის სრულყოფილ შესწავლას, შეფასებასა და დასკვნის ობიექტურობას, ამასთან, გამორიცხავს ტენდენციურობასა და ცალმხრივობას. სამეურნეო სუბიექტის ადმინისტრაცია ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორს მისთვის სასურველი ინფორმაცია და მასალა, რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია სამეურნეო სუბიექტი. აუდიტის თემის შესახებ თავის საბოლოო მოსაზრებას აუდიტორი ასახავს დასკვნაში, რომელიც ოფიციალური დოკუმენტია და რომლის წარდგენაც ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიძლება. აუდიტის შედეგების რეალიზაციას, როგორც წესი, ახდენენ დამკვეთი და სხვა ადრესატები, რომლებიც აუდიტორულ დასკვნას იღებენ. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუდიტორს შეუძლია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე დასვას აუდიტორის შედეგების რეალიზაციის საკითხი.

აუდიტორული ფირმა (auditor firm) - ფირმა, რომლის წესდებაც ითვალისწინებს მხოლოდ აუდიტორულ და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

აუდიტორული საქმიანობა არის იმ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც მყარდება აუდიტის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის მომზადების, ჩატარებისა და შედეგების რეალიზაციის პროცესში სამეურნეო სუბიექტს (დამკვეთს), აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას), აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოსა და სხვა რომელიმე მესამე პირს შორის, მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე.

როგორც წესი, აუდიტორულ საქმიანობას არეგულირებს სახელმწიფო. ეს ხდება კანონების მიღებისა და მათ შესრულებაზე ხელისუფლების მეთვალყურეობის გზით. ამასთან, სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა აუდიტორული ფირმის საქმიანობაში. აუდიტორი დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან, კლიენტისაგან, ნებისმიერი მესამე პირისაგან. იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონებით, აუდიტორული სტანდარტებითა და მეთოდიკით. აუდიტორული ფირმა თანაბრად იცავს მესაკუთრის, სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს.

აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ორგანოები უმეტეს შემთხვევაში იქმნება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან (საქართველოში ამ მოვალეობას ასრულებს აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომელიც

შექმნილია პარლამენტთან).

აუდიტორული ფირმის მუშაობას მიმართავენ აუდიტორთა თვითმმართველობის ორგანოები. ისინი ამზადებენ აუდიტის სტანდარტებს და სხვა მეთოდური ხასიათის ნორმატიულ აქტებს. თვითმმართველობის ასეთი ორგანოები ძირითადად აუდიტორთა ნებაყოფლობითი პროფესიული გაერთიანებებია. ბევრ ქვეყანაში მათ აუდიტორული პალატები ეწოდებათ.

საქართველოში აუდიტორული პალატა შეიქმნა 1992 წლის დამლევს, ხოლო აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების პირველი აქციონერთა საზოგადოება – „იბერიაუდიტორი“ 1990 წელს დაარსდა. ამით დასაბამი მიეცა ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის დაწყებას.

ᲐᲣᲢᲠᲐᲘᲢᲘ (outright) - მარტივი ვადიანი სავალუტო გარიგება, რომელიც ითვალისწინებს ფულის გადახდას მონაწილე მხარეების მიერ მკაცრად განსაზღვრული „ფორვარდის“ კურსით.

ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲘ (outsider) [<ინგ. outsider] - ფირმა, ძირითადად მცირე და საშუალო, რომელიც არ შედის მონოპოლისტურ გაერთიანებაში.

ᲐᲣᲢᲡᲝᲠᲡᲘᲜᲒᲘ (outsourcing) – უკავშირდება კომპანიების მიერ ბიზნესმოდელის შეცვლას, იმ ოპერაციების გასხვისებას, რომლებიც არ შეადგენს მათი ბიზნესის ძირითად კომპეტენციას, ამასთან, უფრო იაფად შეუძლიათ შეისყიდონ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მიუხედავად ამისა, ამჟამად პროგრამირებისა და აპლიკაციების (პროგრამული გამოყენებების) შემუშავების აუტსორსინგი საკმაოდ მომწიფებული საბაზრო სეგმენტია განვითარებულ ქვეყნებში, მყარად არის დამკვიდრებული ისეთ განვითარებად და დიდ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, მალაიზია; გარკვეული ქვესეგმენტი ათვისებულია მცირე ქვეყნებშიც: ისრაელი, ესტონეთი, ლიტვა. ამ ბაზარზე ახლადშემოსული ქვეყნების (რუსეთი, ბრაზილია, ჩილე, ბელარუსი, ვიეტნამი) დამკვიდრების სისწრაფე მცირდება, მაგრამ ფართოვდება მათი მოქმედების არეალი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების აუტსორსინგი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ბიზნეს-პროცესების აუტსორსინგი, ვინაიდან მას აღემატება თითქმის ხუთჯერ, ამასთან, ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზარზე.

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ (auction) [<ლათ. auctio (auctionis)] - ბაზრის ერთ-ერთი ფორმა, სადაც პოტენციური მყიდველები თვით თავაზობენ ბაზარს საქონლის ფასს და არა უბრალოდ იხდიან გამყიდველის

მიერ დაწესებულ ფასს. აუქციონი საჯარო ვაჭრობაა აუქციონერის ხელმძღვანელობით, რომლის დროსაც გასაყიდ საქონელს იძენს უმაღლესი ფასის გადამხდელი პირი. ასეთ აუქციონს **ჩვეულებრივი** ანუ **ინგლისური აუქციონი** ეწოდება. აუქციონის სხვადასხვა სახეობათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე **ჰოლანდიური აუქციონი**, სადაც ვაჭრობა იწყება მაღალი ფასით, სანამ ვინმე არ გამოთქვამს სურვილს შეიძინოს მოცემული საქონელი ბოლოს გამოცხადებული ფასით. პრაქტიკაში საქონლის ბირჟებზე გამოიყენება ორმაგი აუქციონი, როდესაც ბირჟის წევრი შეიძლება იყოს როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი.

აუქციონი უფრო მეტად საგარეო ვაჭრობაში გავრცელებული საქონლის ლოტებად ან ცალკე ნივთებად გასაღების ხერხია, როდესაც საქონელი ან მისი ნიმუშები გამოფენილია დასათვალიერებლად პოტენციური მყიდველებისათვის. აუქციონის ზოგად პირობებს განსაზღვრავს გამყიდველი, ვაჭრობა კი იწყება ლოტის ან ნივთის ნომრის და საწყისი ფასის გამოცხადებით. აუქციონი წარმოადგენს ქონების იძულებით გაყიდვის ფორმასაც ვალების დაფარვის მიზნით.

არსებობს **დახურული და ღია აუქციონი.** აუქციონი დახურულია სადაც ყველა მყიდველი წერილობითი ფორმით წარადგენს თავის ფასს გარკვეული სახის ფასეულობის შესაძენად. ღია აუქციონში ნებადართულია შესასყიდი ქონების ფასის მრავალჯერადი შეთავაზება. ამ ფორმის აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს და ქვეყანაში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე, ეს უფლება შეიძლება ჰქონდეთ უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც.

აუქციონური ბაზარი (auction market) – კონკურენტული მიწოდების მოდელი, ორგანიზებული ბაზარი, სადაც ფასები რეგულირდება მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების საფუძველზე. მისი ძირითადი კომპონენტებია სტანდარტიზებული საქონელი, ანონიმური ვაჭრობა და კონკურენციის მონაწილეთა საკმაო რაოდენობა.

აქსელერატორი (accelerator) [<ლათ. accelerare დაჩქარება] **–** ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ინვესტიციებისა და შემოსავლების ცვალებადობას შორის; ინვესტიციის ნამატის ფარდობა შემოსავლის ნამატთან. აქსელერატორი გამოიყენება ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ მოდელებში მულტიპლიკატორთან ერთად.

აქსელერატორის პრინციპი (accelerator principle) **–** კონ-

ცეფცია, რომლის შესაბამისად პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპების ცვლილებები იწვევს იმავე მიმართულებით ინვესტიციებზე მოთხოვნის ცვლილებებს. მის თანახმად, ერთობლივი წმინდა ინვესტიციები დამოკიდებულია წარმოების მოცულობის მოსალოდნელ ცვლილებებზე. უმარტივესი ფორმით ეს პრინციპი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\mathbf{It = a \cdot L Yt{-}1 + b,}$$

სადაც **a** არის აქსელერაციის კოეფიციენტი, L – მცირე ცვლილება, **Yt–1 –** წარმოების მოცულობის ცვლილება წინა წელს, **b –** ინვესტიციები, რომლებიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის მწყობრიდან გამოსული ნაწილის შესაცვლელად.

აქსელერატორის პრინციპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ციკლის ახსნაში, მაგ., მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის თეორიაში, განსაკუთრებით ჰაროდ-დომარის თეორიაში.

აქსელერაციის კოეფიციენტი (accelerator coefficient) - კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს, რამდენჯერ იზრდება ახალი ინვესტიციები წარმოების მოცულობის ცვლილების საპასუხოდ. იგულისხმება, რომ ახალი ინვესტიციები უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოების მოცულობა, ვინაიდან მანქანა-დანადგარების ღირებულება ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად აღემატება მისი წლიური პროდუქციის ღირებულებას.

აქტივი (asset) [<ლათ. activus, ქმედითი, აქტიური] - 1. ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ნებისმიერი ქონება – ნაღდი ფული ანუ მიმოქცევაში გაშვებული ქაღალდისა და ლითონის ფულის ერთობლიობა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები, საბანკო ანაბრები, პატენტი, ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდები და სხვ., დასავლეთის პრაქტიკაში – აგრეთვე საქმიანი რეპუტაცია; იყოფა **რეალურ და ფინანსურ აქტივებად.** რეალური აქტივი წარმოებაში დაბანდებული მატერიალური რესურსებია, ხოლო ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება ფული, ობლიგაციები და აქციები. 2. სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი შემოსავლების სიჭარბე საზღვარგარეთ გაწეულ ხარჯებთან შედარებით (მაგ., საქონლის გატანის შედეგად); 3. საბუღალტრო ბალანსის ერთ-ერთი მხარე, სადაც მოცემულია სამეურნეო საშუალებების დასახელება, ხოლო მეორე მხარეს – პასივში ჩამოთვლილია სამეურნეო საშუალებების წყაროები.

აქტიური კაპიტალი (active capital) - კაპიტალი, რომელ-

იც თავისუფალია ვალდებულებებისა და ვალებისაგან.

აქტიური საგადასახდელო ბალანსი (active balance of payments) - საგადასახდელო ბალანსი, რომელშიც საზღვარგარეთიდან შემოსულობები აღემატება ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ გაწეულ ხარჯებსა და გადასახდელებს.

აქტუარიუსი (actuary) [<ლათ. actuarius მოანგარიშე] - დაზღვევის საქმის სპეციალისტი, რომელიც დაკავებულია სადაზღვევო შენატანების, პენსიებისა და ა.შ. გაანგარიშებით.

აქცეპტანტი (acceptor) - პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს წარმოდგენილი ანგარიშის, თამასუქის მიხედვით.

აქცეპტი (acceptance) [<ლათ. acceptus მიღებული] - 1. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე; 2. წარწერა გადასაპირებელ თამასუქზე, რომლითაც გადამხდელი ადასტურებს თავის ვალდებულებას, გაანაღდოს თამასუქი მასზე მითითებულ ვადაში. აქცეპტს აფორმებს აქცეპტანტი წარწერით „აქცეპტირებულია“ და ხელის მოწერით; 3. ბანკის თანხმობა გადასაპირებელ თამასუქზე აღნიშნული თანხის გადახდის გარანტიის შესახებ.

აქცეპტური კრედიტი (acceptance credit) - ბანკების მიერ გაცემული კრედიტი კლიენტის მიერ წარდგენილი გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტირების გზით. გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც იმპორტის დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა. აქცეპტური კრედიტის გაცემის ოპერაცია ხორციელდება შემდეგნაირად: იმპორტიორი შეუთანხმდება ექსპორტიორს იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელის მიერ ექსპორტირებულ საქონელში ფულს გადაიხდის იმპორტიორის მომსახურე ბანკი, ექსპორტიორის მიერ წარდგენილი გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტის გზით. ამასთან, დგინდება სააქცეპტო თანხა და გადახდის ვადა. იმპორტიორი ავალებს ბანკ-აქცეპტატს, გახსნას აკრედიტივი ექსპორტიორის სასარგებლოდ მის მიერ სასაქონლო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე. ექსპორტიორი, გაგზავნის რა საქონელს, გამოწერს ტრატას იმპორტიორის ბანკზე. ექსპორტიორის ბანკი გადაგზავნის ტრატას ექსპორტიორის სასაქონლო დოკუმენტებთან ერთად იმპორტიორის ბანკში აქცეპტისათვის. სასაქონლო დოკუმენტები გადაეცემა იმპორტიორს. ეს უკანასკნელი ტრატის გადახდის ვადის დადგომისას უხდის ბანკ-აქცეპტატს შესაბამის თანხას, რის შემდეგაც ბანკი ანაღდებს ტრატას.

აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტი (reimbursement credit) - აქცეპტური კრედიტის გარ-

თულებული ფორმა, რომლის დროსაც თამასუქი წარედგინება არა იმპორტიორის ბანკს, არამედ, ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე, რომელიმე პირველხარისხოვან ბანკს საერთაშორისო ბაზარზე. ამრიგად, აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტით სარგებლობისას ოპერაციაში მონაწილეობს სამი ბანკი: იმპორტიორის ბანკი აძლევს გარანტიას განვადებით ნაყიდი საქონლის ანაზღაურების შესახებ პირველხარისხოვან ბანკს რამბუსნული ვალდებულების ფორმით. ექსპორტიორის ბანკი გამოწერს პირველხარისხოვანი ბანკის სახელზე გადასაპირებელ თამასუქს იმპორტიორის მიერ გადმოტვირთულ საქონელზე. გადახდის ვადის დადგომის წინ იმპორტიორს შეაქვს საჭირო თანხა თავის ბანკში, რომელიც, რამბუსნული ვალდებულების შესაბამისად, გადაუგზავნის მას პირველხარისხოვან ბანკს. გადახდის ვადის დადგომისას პირველხარისხოვანი ბანკი გადაუგზავნის ამ თანხას ექსპორტიორის ბანკს.

აქცია (share, stock) [<ფრანგ. action] - ფასიანი ქაღალდი, გამოშვებული აქციონერული საზოგადოების მიერ, რომელიც აძლევს უფლებას მის მფლობელს, მიიღოს დივიდენდი აქციონერული საზოგადოების მოგებიდან.

შემოსავლის სიდიდის მიხედვით განასხვავებენ **ჩვეულებრივ და პრივილეგიურ აქციებს.** ჩვეულებრივი აქციების მიხედვით განაწილებული შემოსავლები მერყეობს მოგების ნორმის შესაბამისად. იგი იზრდება აქციონერული საზოგადოების მოგების ზრდასთან ერთად და, პირიქით, მცირდება მის შემცირებასთან ერთად. პრივილეგიური აქციების მიხედვით განაწილებული შემოსავლები არ იცვლება აქციონერული საზოგადოების მოგების ცვლილების შესაბამისად. იგი წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული სიდიდეა. აქციონერული საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი ქონების განაწილებისას, ჩვეულებრივი აქციის მფლობელთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება პრივილეგიური აქციის მფლობელს. როგორც წესი, პრივილეგიური აქციის მფლობელი არ სარგებლობს ხმის უფლებით, ჩვეულებრივის მფლობელი კი სარგებლობს. ამიტომ აქციონერული კომპანიების დამფუძნებლები უპირატესობას ანიჭებენ და თავისთვის იტოვებენ ჩვეულებრივ აქციებს, ხოლო პრივილეგიურს ყიდიან.

აქცია წარმოდგენზე (bearer share) - აქცია, რომლის ბლანკზეც არ არის მითითებული მისი მფლობელის სახელი. აქციონერული საზოგადოების აქციების რეგისტრაციის წიგნში ფიქსირებულია მხოლოდ ამ სახის აქციების საერთო რაოდენობა.

აქციების საკონტროლო პაკეტი (controlling stake, control share holding) - ერთი პირის სარგებლობაში არსებული აქციონერული საზოგადოების აქციების მთლიანი რაოდენობის ნაწილი, რომელიც აძლევს მას უფლებას განახორციელოს კონტროლი ამ საზოგადოების საქმიანობაზე.

აქციზი (**აქციზური გადასახადი**) (excise) [<ლათ. accidere წაჭრა] - არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა. წესდება ისეთ საქონელზე, რომელსაც ახასიათებს ორი ძირითადი თავისებურება: 1. ფასისგან დამოუკიდებლად იყიდება განუსაზღვრელი რაოდენობით; 2. არის შეუცვლელი სამომხმარებლო საქონელი. იგი შედის საქონლის (შაქრის, ჩაის, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს, მარილის, ბენზინის და ა.შ.) ფასში, აგრეთვე სატრანსპორტო, კომუნალური და სხვ. მომსახურების ტარიფში. აქციზი ზღუდავს მათ მოხმარებას. სახელმწიფო აფიქსირებს აქციზური გადასახადის სიდიდეს და ახორციელებს ფასებზე კონტროლს. აქციზი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

აქციზი რეგრესიული გადასახადია. აქციზური გადასახადის აკრეფისას შეძენილი პროდუქციის ერთეულზე თანაბარი სიდიდის გადასახადი ამოიღება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტია შემოსავალი, გადასახადის მით ნაკლები წილია მასში.

აქციის კურსი (share price) - ფასი, რომლითაც მოცემულ მომენტში ხდება კონკრეტული აქციონერული საზოგადოების აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟაზე, საქონლის ბირჟების საფონდო განყოფილებებში, ბანკებსა და საბროკერო კანტორებში. მუდმივად მოქმედი კაპიტალის ბაზრის პირობებში აქციის კურსი, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დივიდენდის განაკვეთსა და სარგებლის განაკვეთს შორის თანაფარდობაზე. მაგ., თუ დივიდენდის განაკვეთი უდრის 18%-ს, ხოლო სარგებლის განაკვეთი — 12%-ს, მაშინ აქციის კურსი შეადგენს მისი ნომინალური ფასის 150%-ს, ანუ აქცია 100 დოლარის ნომინალური ფასით ეღირება არანაკლებ 150 დოლარისა. აქციის კურსზე გავლენას ახდენს აგრეთვე აქციონერული საზოგადოების რეპუტაცია, მისი საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობა და სხვ. აქციის მრავალი მფლობელი იყენებს საბაზრო და ნომინალური აქციის კურსებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის ხარჯზე შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, სწრაფად და მომგებიანად ყიდის ამ აქციებს, რის გამოც მიწოდება სჭარბობს მოთხოვნას, აქციის კურსი ეცემა და, პირიქით, რეკლამისა და სხვა ფაქტორების

გავლენით, შეიძლება წარმოიქმნას აჟიოტაჟური მოთხოვნა აქციებზე და, შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდოს მათი კურსი. ნომინალურ ფასზე მაღალი აქციის კურსი ემისიური შემოსავლის წყაროა. აქციის კურსის დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

აქციონერი (stockholder, shareholder) [<ფრანგ. acctionaire] - პირი, რომელიც აქციონერთა საზოგადოების წევრი ხდება მისი აქციის ან აქციების შეძენის საფუძველზე. აქციონერი სარგებლობს გარკვეული უფლებებით. კერძოდ, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრაში, აირჩიოს ან არჩეული იქნეს აქციონერული საზოგადოების ხელმძღვანელად, მიიღოს მისი მოგების ნაწილი დივიდენდის სახით, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა აქციებზე გადასახადების გადახდისა და რეზერვების შევსების შემდეგ, უფლება აქვს მიიღოს ქონების ნაწილი (აქციების ღირებულების სიდიდის მიხედვით) აქციონერული საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში და ა.შ.

აქციონერული საზოგადოება (joint stock company, stock-company) - სამეურნეო აგენტთა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, შექმნილი დამფუძნებელ აქციონერთა სახსრების გაერთიანების საფუძველზე. აქციონერული საზოგადოება უნდა შედგებოდეს არანაკლებ ორი მონაწილისაგან. იგი იქმნება და მოქმედებს წესდების საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის უფლება ენიჭება რეგისტრაციის მომენტიდან. აქციონერული საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ცვლის წესდებას, ამტკიცებს გეგმებს, ირჩევს აქციონერული საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი და სარევიზიო კომისიების წევრებს. საერთო კრებაზე კენჭისყრა ტარდება შემდეგი პრინციპით: ერთი აქცია — ერთი ხმა.

აღმავლობა (growth, expansion, recovery) - ეკონომიკის განვითარების პერიოდი, საქმიანი აქტიურობის ციკლის ფაზა, რომელიც ხასიათდება საშუალოზე მაღალი ზრდის ტემპებით.

აღმავლობის დროს ეკონომიკური განვითარების დონე აჭარბებს კრიზისის დაწყებისას არსებულ დონეს.

აშკარა დანახარჯი (explicit expense) - დანახარჯი, რომელიც აშკარა (ფულადი) გადასახდელის ფორმას იღებს და ხმარდება წარმოების ფაქტორებისა და შუალედური პროდუქტის მიმწოდებლებს. იგი საბუღალტრო წიგნში რეგისტრირებული ფულადი დანახარჯია. აშკარა დანახარჯს მიე-

კუთვნება მუშების ხელფასი, მენეჯერთა გასამრჯელო, საკომისიო გადასახდელი სავაჭრო ფირმებისათვის, საბანკო და საფინანსო მომსახურების სხვა მიმწოდებელთა შრომის ანაზღაურება, ჰონორარები იურიდიული კონსულტაციებისათვის, სატრანსპორტო ხარჯების განაღდება და სხვ.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (International Development Agency of USA - USAID) - დაარსდა 1961 წელს ჯ. კენედის პრეზიდენტობის პერიოდში საგარეო დახმარების აქტის მიღების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია განვითარებადი ქვეყნების დახმარება ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, კერძოდ, დემოკრატიის მშენებლობაში, ბიზნესის ხელშეწყობაში, მწვავე სიღარიბის დაძლევასა და სტიქიური უბედურებით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრაში.

სააგენტო საქართველოს დახმარებას უწევს 1992 წლიდან. ამ მიზნით მან განვლილ პერიოდში 1 მლრდ დოლარზე მეტი გამოყო. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან ხელშეწყობას ითვალისწინებს USAID-ის „საქართველოს ბიზნეს-კლიმატის რეფორმის“ პროექტი. მისი როლი დიდია ენერგეტიკის განვითარებაში, სახელდობრ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) კანონმდებლობის დახვეწაში (1997), ელექტროენერგიისა (1998) და ბუნებრივი გაზის (1999) სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავებაში, ლიცენზირების წესებისა და რეგულირების სხვა ფუძემდებლური დოკუმენტების შექმნასაში და ა.შ. სააგენტო ტექნიკურ, მატერიალურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო დახმარებას უწევს და მოიცავს რეგულირების ყველა სფეროს.

ახალი ეკონომიკა (new economy) - ეკონომიკა, რომელშიც პოზიტიურად აისახება სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე საინფორმაციო ტექნოლოგიებში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებები. ახალი ეკონომიკა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი გარანტია

ახალი ზრდის თეორია (new growth theory) - ცნობილია აგრეთვე, როგორც **ენდოგენური ზრდის თეორია**. ტრადიციული ზრდის თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ხსნის სხვადასხვა ქვეყნისთვის გრძელვადიანი ბალანსირებული ზრდის განსხვავებულ შესაძლებლობებს, ამასთან, ღარიბიდან მდიდარ ქვეყნებში კაპიტალის გადადინების მიზეზებს.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (new industrial countries - **NiCs**) - ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონისა და დინამიკური მრეწველობის მქონე, მსოფლიო ვაჭრობაში, საფინანსო და საინვესტიციო სისტემაში აქტიურად ჩართული ქვეყ-

ნების მცირე ჯგუფი. მათ რიცხვს მიეკუთვნება არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი, სინგაპური, სამხრეთი კორეა, ტაივანი, ჰონკონგი (ჩინეთის შემადგ.).

ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა (new classical macroeconomics) - არსებითად ორთოდოქსული კლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელიც ეყრდნობა იმ შეხედულებას, რომ რაციონალური მოლოდინის შეთანაწყობა უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის კონცეფციასთან ბაზრების ეფექტიანი გაწმენდის შედეგია. ამ თეორიის მიხედვით, ეკონომიკა მყარ მდგომარეობაშია უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში, ხოლო ცდა იმისა, რომ დაირღვეს ეს წონასწორობა, მაგალითად, უმუშევრობის მის ბუნებრივ დონეზე ქვემოთ შემცირების შემთხვევაში, ადვილად ნეიტრალიზდება ეკონომიკური აგენტების მიერ. ნებისმიერი ცდა წარმოებისა და დასაქმების სტაბილიზაციისა ფისკალურ-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით არაეფექტიანია და ვერ ახდენს როგორც მოკლე-, ისე გრძელვადიან გავლენას რეალური ცვლადების მნიშვნელობაზე. ამ პოზიციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მოკლევადიან პერიოდშიც კი. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ ეკონომიკური მეცნიერების ეს მიმართულება მონეტარიზმის განვითარებაა. მისი არგუმენტები განსხვავდება ისეთი ცნობილი მონეტარისტების დასკვნებისაგან, როგორიც მ. ფრიდმენია. ფრიდმენის აზრით, მოთხოვნის მართვის პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიანი გადახრა წარმოების მოცულობისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან.

ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა ცდილობს დაასაბუთოს მოთხოვნის მართვის კეინზიანური პოლიტიკის არაეფექტიანობა და ყურადღება გადაიტანოს მიწოდების ეკონომიკურ თეორიაზე.

ახალი მიკროეკონომიკა (new microekonomics) – ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება, რომლის მომხრეები ცდილობენ გააიგივონ მიკრო- და მაკროეკონომიკა მიკროეკონომიკური დასაბუთების იმ მექანიზმით, რომელიც საფუძვლად უდევს ფასებისა და უმუშევრობის ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირს.

ახალი მიკროეკონომიკა ეყრდნობა უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჰიპოთეზას და უარყოფს ბაზრის მონაწილეთა უფასო და სრულ ინფორმირებულობას. ახალი მიკროეკონომიკა ცდილობს ახსნას უმუშევრობის დადებითი ბუნებრივი დონის არსებობა და უარყოფითი კავშირი ფასებსა და უმუშევრობას შორის, რომელიც

გამომდინარეობს მოკლევადიანი ფილიპსის მრუდიდან.

ახალი მიკროეკონომიკის მოდელები სხვადასხვაა, ამასთან, ყველა მოდელისთვის დამახასიათებელია წარმოების მოცულობის ცვლილებები, გამოწვეული წინასწარ განუჭვრეტელი ფასების შეცვლით. ამრიგად, ერთობლივი მოთხოვნის არაპროგნოზირებადი ზრდა იწვევს ინფლაციის მოულოდნელ ზრდას, ფასებისა და ხელფასების გაუთვალისწინებელ მატებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს წარმოების მოცულობისა და დასაქმების გადიდებას. ეს კი, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების ზრდაზე ჩვეულებრივი რეაქციაა.

ახალი შეხედულება ინვესტიციებზე (new view on investment) **-** ინვესტიციებისადმი ახალი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოწყობილობათა ბოლო თაობის ეფექტიანობის ზრდას, ეყრდნობა მსჯელობას იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი აქვეითებს ძირითადი კაპიტალის საშუალო ასაკს და ზრდის იმ კაპიტალის წილს, რომელშიც განივთებულია ახალი ტექნოლოგია.

ახალი პოლიტიკური ეკონომია (new political economy) **-** შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებებს, იკვლევს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ახირება (fad) **-** დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური ინვესტორების მზადყოფნა, გაუმართლებელი ოპტიმიზმიდან გამომდინარე, ფასიან ქაღალდებში გადაიხადონ იმაზე მეტი, ვიდრე ისინი რეალურად ღირს (იხ. რაციონალური სპეკულაციური „საპნის ბუშტი“).

ბ

ბადისებრი გარე ეფექტი (network externality) - გარე ეფექტის სახეობა, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდისათვის დოვლათის სარგებლიანობა დამოკიდებულია მოცემული დოვლათის მომხმარებელთა რაოდენობაზე.

ბაზარი (market) - საბაზრო ეკონომიკაში კვლავწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. იგი ჰორიზონტალური კავშირების განვითარების საფუძველზე გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში, რითაც საგრძნობლად ამარტივებს მმართველობის იერარქიულ ვერტიკალურ სტრუქტურას.

ბაზარი გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. მისთვის დამახასიათებელია: ა) საკუთრების პლურალიზმი და მეურნეობის მრავალფეროვნება; ბ) მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და მათი ეკონომიკური პასუხისმგებლობა; გ) მეწარმეობაში რეგლამენტაციის არქონა, რაციონალიზმი კონტრაჰენტის არჩევაში და სხვ.

ბაზარი, რომელიც შრომითი მოტივაციის ეფექტიან სისტემას ქმნის, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების გაერთიანების მოქნილი მექანიზმია. საბაზრო კონკურენციის მონაწილის მამოძრავებელი სუბიექტური მიზანი — მაქსიმალური მოგების მიღება, ბაზრის „უხილავი ხელით“, საბოლოო ანგარიშით, ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ინტერესებზე და აყალიბებს ობიექტურ კანონზომიერებებს, რომლებიც გამოხატულებას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში პოვებს.

განასხვავებენ **კერძო** და **ტერიტორიულ** ბაზრებს. კერძო ბაზრები იყოფა საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზრებად. ტერიტორიული საზღვრების მიხედვით განასხვავებენ ადგილობრივ, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს. ამათგან თითოეულს ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებასაც მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ცალკეული ფირმის საბაზრო სტრატეგიის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თანამედროვე დონე, ფართომასშტაბიანი წარმოების უპირატესობები, მაღალტექნოლოგიური და არაერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების სახეობების განსაკუთრებული სიმრავლე, ეკონომიკური კავშირების

მრავალფეროვნება და ა.შ. განაპირობებს ბაზარზე კონკურენციის მოდიფიკაციას.

ბაზრის კონიუნქტურა (market opportunities, condition) - იმ პირობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ყოველ მოცემულ მომენტში მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას.

ბაზრის ფიასკო (market failure) - სიტუაცია, რომლის დროსაც ბაზარს არ ძალუძს ეკონომიკურ არჩევანთან დაკავშირებული პროცესების იმგვარად კოორდინირება, რომ უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება. რესურსების განაწილების სფეროში ბაზრის ფიასკო, თეორიულად, სახელმწიფოს ჩარევის გამართლების საფუძველია.

ბაზრის წონასწორობა - (market balance) - მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გამომხატველი საბაზრო სიტუაცია, როდესაც არ არსებობს არც ჭარბი მოთხოვნა, არც ჭარბი მიწოდება და ბაზარს მიეწოდება იმდენი პროდუქცია, რამდენზეც არის მოთხოვნა.

ბაზრობა (fair) - სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, კომერსანტებისა და სხვათა მიერ პერიოდულად მოწყობილი ვაჭრობა საქონლის უპირატესად ბითუმად გაყიდვისა და შესყიდვისათვის გამოფენილი ნიმუშების მიხედვით.

„ბაი-ბეკი“ (“buy back”) - საქონელგაცვლის გრძელვადიანი ოპერაცია, რომლის დროსაც მანქანა-მოწყობილობების მისაწოდებლად გაცემული კრედიტი შემდგომში იფარება მათი მეშვეობით წარმოებული პროდუქციით.

ბალანსი (balance sheet) [ფრანგ. balance სასწორი] - ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოხატული ნატურალური ან ფულადი ფორმით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მხარეების შედარების ან დაპირისპირების გზით და გამოხატავს ტოლობას აქტივსა და პასივს შორის. ბალანსი ითვლება აქტიურად, თუ შემოსავლები სჭარბობს ხარჯებს, ხოლო პასიურად — თუ შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია.

განასხვავებენ საგადასახდელო, სავაჭრო, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური ოპერაციებისა და ა.შ. ბალანსებს.

„ბალანსირება დანის პირზე“ (“knife edge”) - ასე ეწოდება ეკონომიკური ზრდის თეორიაში სტაბილური ზრდის შეფერხებას, გამოხატულს გარანტირებული ზრდის ტემპის მერყეობაში. არსებობს აგრეთვე მეორე პრობლემა, რაც ბუნებრივი ზრდის ტემპის მიღწევაში მდგომარეობს. „დანის პირზე ბალანსირების“, წონასწორობის დაცვის ცენტრალური პრობლემაა წარმოების მოსალოდნელი დონის განსაზღვრა. თუ შე-

მოსავლის მოსალოდნელი ზრდის ტემპი გარანტირებულ ზრდის ტემპზე დაბალია, მაშინ მეწარმეები მცირე დოზით მოახდენენ ინვესტირებას. ეს გამოიწვევს ერთობლივი ზრდის დაცემას და ჭარბი სიმძლავრეების ზრდას, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება შემოსავლის მოსალოდნელი ზრდის ტემპების შემდგომი დაცემა.

ბანკების აქტიური ოპერაციები (banking active operations) - ოპერაციები, რომელთა საშუალებითაც ბანკები გასცემენ თავიანთ განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს (ფასიანი ქაღალდების ყიდვა, სესხის გაცემა და სხვ.).

ბანკების პასიური ოპერაციები (passive banking operations) - ოპერაციები, რომელთა საშუალებითაც ბანკები იზიდავენ ფულად სახსრებს (ანაბრების მიღება, ბანკნოტების გამოშვება და სხვ.).

ბანკი (bank) [<ფრანგ. banque] - საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება, რომლის მთავარი ფუნქციაც არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია (პასიური ოპერაციები) და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე (აქტიური ოპერაციები). დეპონენტის დაინტერესების მიზნით, ბანკი მათ უხდის განსაზღვრულ პროცენტს შეტანილ ანაბრებზე, კრედიტის გაცემისას კი დებიტორებს გაცილებით მაღალ პროცენტს ახდევინებს. ამ პროცენტებს შორის სხვაობა შეადგენს საბანკო მოგებას. ბანკი ასრულებს აგრეთვე შუამავლის ფუნქციას ფირმებსა და ცალკეულ პირებს შორის ურთიერთსაგადასახდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციების შესრულებისას და სხვ. ცენტრალური ბანკი არეგულირებს ქვეყანაში ფულის მიმოქცევას ფულის ემისიის ჩათვლით. დაკისრებული ფუნქციების მიხედვით განასხვავებენ ცენტრალურ, კომერციულ, საინვესტიციო, იპოთეკურ, ინოვაციურ და ა.შ. ბანკებს.

ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი (interbank interest rate) - სარგებლის ნორმა, რომელსაც ცენტრალური ბანკი სესხის გაცემისას ახდევინებს კომერციულ ბანკებს.

ბანკირი (banker) - ფულადი კაპიტალის მენეჯერი და მესაკუთრე, რომელიც დასპეციალებულია საბანკო ოპერაციების წარმოებაში.

ბანკნოტი (bank-note) [<ინგ. bank-note] - საბანკო ბილეთი, საკრედიტო ფულის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მიმოქცევაში უშვებენ საემისიო ბანკები; ბანკირის თამასუქი, რომლის წარმდგენსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ფულის მიღება.

ბანკომატი (auto teller machine - ATM) - საბანკო აპარატი,

რომლითაც კლიენტი, პლასტიკური ბარათის გამოყენებით, თავისი ანგარიშიდან დამოუკიდებლად აწარმოებს მარტივ ოპერაციებს.

ბანკროტი (bankrupt, insolvent) - გაკოტრებული მევალე.

ბაჟი (duty) - მოხმარებისათვის დაწესებული გადასახადის სახეობა. ბაჟით იბეგრებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ურთიერთობას ამყარებენ სახელმწიფოსთან ან ერთმანეთთან (ხელშეკრულების დადება არენდის შესახებ, შეთანხმება მეურვეობის თაობაზე და სხვ.).

ბარატრია (barratry) - წინასწარ განზრახული ზიანის მიყენება ტვირთისა და გემისათვის კაპიტნისა და ეკიპაჟის მიერ. ბარატრიის რისკი ექვემდებარება დაზღვევას.

ბარტერი (barter) — სასაქონლო გარიგება, რომლის თანახმად საქონლის გაცვლა საქონელზე ხდება ფულადი ანგარიშსწორების გარეშე, თანხის გადაუხდელად.

„ბაუმოლის დაავადება“ (“Bowmole’s desease”) - უკავშირდება მომსახურების სფეროში ხელფასის ზრდის უზრუნველყოფის საკითხში წარმოქმნილ სიძნელეებს: ამ სფეროში ხელფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკის მესამეულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედარებით დაბალი ტემპებით. მაგ., აშშ-ის მომსახურების სფეროს კერძო სექტორის მუშაკები ხელფასის სახით იღებენ მრეწველობაში დასაქმებულთა გამომუშავების 67%-ს; იაპონიაში ეს მაჩვენებელი ნაკლებია 7-ით, ხოლო გფრ-ში — 15%-ით. დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული მოვლენა პირველად გააანალიზა ცნობილმა ეკონომისტმა ბაუმოლმა. მან დაასაბუთა მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებისა და მომსახურების სფეროებს შორის ხელფასის დონის სხვაობის მუდმივი დაცვის მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, მომსახურებასთან შედარებით საქონლის წარმოების სფეროში შრომის მწარმოებლურობის უპირატესი ზრდის საფუძველზე. აღნიშნული მოვლენა ცნობილია „ბაუმოლის დაავადების“ სახელწოდებით.

ბეკერი გარი სტენლი (დაბ. 1930) (Becker Gary Stanley) - ამერიკელი ეკონომისტი, ნეოინსტიტუციური მიმართულების წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1992), ადამიანისეული კაპიტალის თეორიის ცნობილი მკვლევარი. პირველმა განახორციელა შრომის ბაზარზე რასობრივი დისკრიმინაციის ნეოკლასიკური ანალიზი, რაც აისახა მის მონოგრაფიულ გამოკვლევაში — „დისკრიმინაციის ეკონომიკა“ (1957). ნაშრომით „დაბანდე-

ბები ადამიანისეულ კაპიტალში: თეორიული ანალიზი“ (1962) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული პრობლემის კვლევაში. ბეკერის ნაშრომებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ეკონომიკური თეორია“, რომელიც 1871 წელს გამოვიდა ნიუ-იორკში. ნობელის პრემია მიენიჭა მაკროეკონომიკური ანალიზის გამოყენების სფეროს გაფართოებისათვის, რასაც ამავე სახელწოდების ნაშრომი მიუძღვნა.

ბემ-ბავერკი ოიგენ (1851-1914) (Bohm-Bawerk) - ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ-ერთი განშტოების მარჟინალური მიმართულების (ავსტრიული სკოლა) თვალსაჩინო წარმომადგენელი, ავტორი ნაშრომებისა: „კაპიტალი და სარგებელი“ (1884), „კაპიტალის პოზიტიური თეორია“ (1889) და სხვ.

ბენეფიციარი (beneficiary) - პირი, რომლის სასარგებლოდაც იხდიან ფულს და გასცემენ აკრედიტივს; სადაზღვევო პოლისის მიმღები.

ბიზნეს-გეგმა (business plan) - ფირმის საქმიანობის მოკლევადიანი პროგრამა, რომელიც მოიცავს მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშს; დგება ერთი თვის, კვარტალისა და წლისათვის (ზოგჯერ უფრო მეტი ხნითაც). ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს საწარმოს მიერ დასახული მიზნების შესრულების კონკრეტულ ღონისძიებათა ოპერატიულ პროგრამას. მას წინ უძღვის მიღწეული შედეგების ანუ წარმოების დანახარჯების, საქონლის გაყიდვის, წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების მოცულობისა და სტრუქტურის ანალიზი. პროგნოზულ მაჩვენებლებს უდარებენ მიღწეულს, რის საფუძველზეც ფასდება ფირმის მუშაობის მოსალოდნელი ეფექტიანობა. ბიზნეს-გეგმის მთავარი ამოცანაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განსაზღვრა. მისი შემუშავებისას ითვალისწინებენ ბაზრის მოსალოდნელ კონიუნქტურას, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის ცვალებადობის ტენდენციას, მომხმარებელთა გადახდისუნარიანობას, აგრეთვე რეკლამის, სერვისისა და ა.შ. საშუალებით მყიდველთა მოზიდვის შესაძლებლობებს. ფირმა, როგორც წესი, ეყრდნობა ჩამოყალიბებულ საბაზრო ფასებსა და ფაქტორებს. ბიზნეს-გეგმის განყოფილებებისა და მაჩვენებლების რაოდენობას განსაზღვრავს ფირმის სამმართველო. მისი წამყვანი განყოფილებებია: ა) მარკეტინგი, რომელიც ადგენს გაყიდვისა და შემოსავლების მოცულობას, შეჯამებულ დანახარჯებსა და კომერციულ შედეგებს; ბ) მონაცემების ბაზაზე შედგენილი წარმოებრივი დავალება პოტენციური მოთხოვნის, საბაზრო ფასე-

ბის მოძრაობის, ბაზრის გაჯერების შესახებ. მის საფუძველზე ზუსტდება პროდუქციის ასორტიმენტი, განისაზღვრება მომხმარებელთა მომსახურების მასშტაბები; გ) ფირმის საფინანსო გეგმა, რომელიც გამოხატავს საფინანსო რესურსების წყაროებსა და მათი მოძრაობის მიმართულებებს. ბიზნეს-გეგმა მოიცავს აგრეთვე ისეთ განყოფილებას, სადაც ასახულია პარტნიორთა სავალუტო ურთიერთდამოკიდებულება, საზღვარგარეთული ბანკების კრედიტების უცხოური ვალუტით გამოყენება, წმინდა მოგების განაწილება დამფუძნებლებს შორის და სხვა მაჩვენებლები. (ბიზნეს-ინჟინერინგი იხ. ცალკე ფურცელზე.)

ბიზნეს–ინკუბატორი (business-incubator) - მრავალპროფილიანი ორგანიზაცია, რომელიც ერთობლივი გამოყენების პირობით მეურვეობას უწევს მცირე ფირმებს და უზრუნველყოფს მათ შენობანაგებობებით, ტექნოლოგიური მოწყობილობებით და ა.შ. ურთიერთობის ასეთი ფორმა მიზნად ისახავს დაეხმაროს დამწყებ მეწარმეებს გადალახონ ფირმის რაციონალურად მართვასთან დაკავშირებული ისეთი წინა სასტარტო პრობლემები, როგორიცაა საინვესტიციო სახსრების მოზიდვა, ინოვაციური პროექტების დამუშავება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება, ბაზარზე მყარი პოზიციის მოპოვება, საქმიანი ურთიერთობის დამყარება ბაზრის კონტჰაგენტებთან და ა.შ. საინკუბაციო პერიოდი მოიცავს 2-3 წელს, რომლის გასვლის შემდეგ მცირე ფირმები ტოვებენ ინკუბატორს და იწყებენ დამოუკიდებელ საქმიანობას.

ბიზნესის წამოწყების მხარდასაჭერად ხელსაყრელი მიკროკლიმატის (ინკუბატორის) შექმნის იდეა პირველად შემუშავდა XX საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო პრაქტიკული რეალიზაცია 90-იანი წლებიდან დაიწყო.

ბიზნეს-ინჟინერინგი (business engineering) – ბიზნესის ფილოსოფიაზე დაფუძნებული საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება. იხ. ინჟინერინგი.

ინჟინერინგი, როგორც ინტელექტუალური მომსახურების ახალი დარგი, ფართოდ განვითარდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან და შედარებით მოკლე დროში გადაიქცა ეკონომიკის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტად. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მის ინტეგრაციას ბიზნესთან და წარმოების ოლიგოპოლიზაციას. მცირე და უმცირეს ფირმებთან ერთად, უმსხვილესმა სამრეწველო და სავაჭრო კომპანიებმა, ბანკებმა, სადაზღვევო და საბროკერო ფირმებმა, რომლებიც საქმიანი მომსახურების ამ სეგმენტში ხედავენ კაპიტალის დაბანდების მომგები-

ან სფეროს, შექმნეს ფილიალები და შვილობილი საზოგადოებები.

უკანასკნელ პერიოდში ბიზნეს-ინჟინერინგი ფართოდ იკიდებს ფეხს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს არის წარმოებრივი, კომერციული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური ხასიათის მომსახურების კომპლექსი. თანამედროვე ტექნოლოგიების მომხმარებელი ქვეყნების წრის გაფართოებამ განაპირობა ამ სპეციფიკური საქონლის რეალიზაციის აუცილებლობა მსოფლიო ბაზარზე. ინჟინერინგის წამყვანი ექსპორტიორებია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, იაპონიის წამყვანი კომპანიები, აგრეთვე კანადის, დანიის, შვეიცარიის, შვედეთისა და იტალიის ფირმები.

ბიზნეს-ინჟინერინგი, თავისი უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-სამშენებლო, წარმოებრივი, საყოფაცხოვრებო და ა.შ. პროექტების რეალიზაციისას. მისთვის დამახასიათებელია როგორც სპეციალიზაციის მაღალი დონე, ისე საექსპორტოდ წარდგენილი საინჟინერინგო მომსახურების მრავალფეროვნება, რამაც განაპირობა მსოფლიო ბაზარზე საინჟინრო-საკონსულტაციო ფირმებისადმი მოთხოვნის არსებითი ამაღლება. მკვეთრად გაიზარდა მათი როლი საწარმოთა მოდერნიზაციასა და მართვის სისტემის შემუშავებაში, ასაგები ობიექტების ტექნიკური დონის ამაღლებაში და ა.შ. თავის მხრივ, საინჟინრო-საკონსულტაციო ფირმები, კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ახორციელებენ მომსახურების დივერსიფიკაციას და ცდილობენ მიაღწიონ არსებით უპირატესობას მომსახურების როგორც ხარისხობრივ დონეში, ისე მის მწარმოებლურობაში. მსოფლიო ბაზარზე მათ წარმატებას, მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, განაპირობებს კომპლექსური „დისციპლინართაშორისი“ ინჟინერინგის განხორციელება, რის გამოც მათ აქვთ გარკვეული უპირატესობები. ასეთ ფირმებს მიეკუთვნება მაგ., კანადის „ლავალინ გრუპი“, აშშ-ის „ლუის ბრეგერ ინტერნეშნლ“, „ბექტელ გრუპი“, „მორისონ ნადსონი“, „ფლუორ დენიელი“, საფრანგეთის „ფრამატონი“,„ტექნიპი“,დიდ ბრიტანეთში – „ჯონ ბრაუნი“, „ტეილორ ვუდროუ“ და ა.შ.

მსოფლიო ბაზარზე დიდი განვითარება პოვა აგრეთვე ისეთმა დისციპლინართაშორისმა ფირმებმა, რომლებიც მომსახურების ფართო სპექტრს ქმნიან ტექნიკური დახმარების სფეროში. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურებისადმი საწარმოთა მოდერნიზაციის სფეროში, ასაგები სამრეწველო და სხვა ობიექტების ტექნიკური დონის

ამაღლებაში, წარმოების მართვის სისტემის შემუშავებაში და ა.შ.

განვითარებადი ქვეყნების მისწრაფება საკუთარი მრეწველობის შექმნასა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა ათვისებაში მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას ინჟინერინგის სფეროში. ამიტომ სავსებით კანონზომიერია განვითარებადი ქვეყნების, როგორც ინჟინერინგის იმპორტიორების, როლის ზრდა მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, საერთაშორისო ინჟინერინგზე არსებული მაღალი ფასები განაპირობებს მათ მიერ ამ სფეროში საკუთარი ბაზრის შექმნასა და ბიზნეს-ინჟინერინგის სწრაფ განვითარებას.

ბიზნესი (business) - ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც მოგება მოაქვს.

ბიზნესის ბლოკი (business block) - საწარმოო და სავაჭრო კომპანიები, რომლებიც აერთიანებენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი კაპიტალის ყველა ორგანიზაციულ ფორმას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ბსპ (social responsibility of businesses) - ბიზნესის ვალდებულება წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებაში, დაიცვას ეთიკური პრინციპები, ხელი შეუწყოს საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციას და ნეგატიური გავლენის მინიმიზაციას ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით.

ბსპ-ის ძირითადი მიმართულებებია: შრომის უსაფრთხოება, შრომის ანაზღაურების სტიმულირება, ხარისხიანი საქონლის (მომსახურების) წარმოება, ადამიანისეული კაპიტალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება, სპონსორობა და ქველმოქმედება, ზრუნვა გარემოს დაცვაზე, მზადყოფნა კრიზისულ სიტუაციებში მონაწილეობის მისაღებად, ბიზნეს-პარტნიორებსა და კორპორაციის კლიენტებს შორის კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა და ა.შ.

ბსპ-ის კონცეფციას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო ჩამოყალიბდა XX საუკუნის 30-იან წლებში; ფართო განვითარება ომის შემდგომ წლებში აშშ-ში პოვა.

1953 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი ეკონომისტის გ. ბოუენის წიგნი „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“. მასში ავტორმა ჩამოაყალიბა სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინა როგორც ბიზნესმენის ვალდებულება, თავისი საქმიანობა წარმართოს იმ მიმართულებებით, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოების კეთილდღეობისა და ქვეყნის

მდგრადი განვითარებისათვის.

ბიზნესმენი (businessman) - კომერსანტი, მეწარმე, რომელიც ბიზნესს ეწევა.

ბილ-ბროკერი (bill-broker) - მაკლერი, რომელიც საფონდო ბირჟაზე თამასუქების დისკონტის (განაღდების) და რედისკონტის (გადანაღდების) გარიგებებში შუამავლის როლს ასრულებს და იღებს საკომისიო გასამრჯელოს განსაზღვრული პროცენტის სახით თამასუქის თანხიდან.

ბიმეტალიზმი (bimetallism) - XVI-XIX სს.-ების ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ოქრო და ვერცხლი დაკანონებული იყო საყოველთაო ეკვივალენტად და წარმოადგენდა ფულადი მიმოქცევის საფუძველს.

ბირჟა (stock exchange) [<ლათ. bursa საფულე] - რეგულარულად ფუნქციონირებადი ორგანიზებული საბითუმო ბაზარი, სადაც მასობრივი წარმოების, დიდი პარტიების სტანდარტული და ერთგვაროვანი საქონლის ან ფასიანი ქაღალდების, ან კიდევ, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებები იდება. საჯარო ვაჭრობით ბირჟა ხელს უწყობს საბაზრო ფასების ჩამოყალიბებას. როგორც წესი, ბირჟას ჰყავს წევრთა ფიქსირებული შემადგენლობა და ეყრდნობა ვაჭრობის მკაცრ წესებს. ბირჟაზე წარმოდგენილი სახეობების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება საქონლის, საფონდო, ვალუტისა და შრომის ბირჟები.

ბიუკენენი ჯეიმს მაკჰილ (დაიბ. 1919) (Buchanan James M.) - ამერიკელი ეკონომისტი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1986), საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მკვლევარი. ნობელის პრემია მიენიჭა ნაშრომისათვის — „ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიის სახელშეკრულებო და კონსტიტუციური საფუძვლების კვლევისათვის“.

ბიუჯეტი (budget) [<ინგლ. — ჩანთა] - სახელმწიფოს, საწარმოს (ფირმის), შინამეურნეობისა და ა.შ. შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში. არის აგრეთვე დროის ბიუჯეტიც, რომელიც გამოხატავს არსებულ და დახარჯულ დროთა თანაფარდობას.

სახელმწიფო ბიუჯეტი შეიძლება იყოს **ფაქტობრივი, ციკლური და სტრუქტურული**. ფაქტობრივ ბიუჯეტში იგულისხმება ბიუჯეტის ის თანხა, რომელიც დამტკიცდა მოცემულ წელს. იგი შედგება სტრუქტურული ბიუჯეტისა (ითვალისწინებს სახელმწიფო შემოსავლებს, ხარჯებსა და დეფიციტს, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წელს) და ციკლური ბიუჯეტისაგან (რომელიც განიხილება ბიუჯეტზე ეკონომი-

კური ციკლის ზემოქმედების გათვალისწინებით).

ბიუჯეტის დეფიციტი (budget deficit, fiscal deficit) - სიტუაცია, როცა სახელმწიფო ხარჯები სჭარბობს საშემოსავლო სტატიების მიხედვით ბიუჯეტის შემოსავლებს განსაზღვრული დროის (კვარტალის, წლის) განმავლობაში.

ბიუჯეტის პროფიციტი (budget surplus) - ბიუჯეტის სიჭარბე, მდგომარეობა, როდესაც ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლები აღემატება მიმდინარე ხარჯებს. ეს ცნება ხშირად გამოიყენება იმ სიტუაციის ასახსნელად, როდესაც სახელმწიფო შემოსავლები აღემატება სახელმწიფო ხარჯებს.

ბიუჯეტში შენატანები (receipts) - სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები ფულად გამოხატულებაში.

ბლოკირებული ანგარიში (blocked account) - საბანკო ანგარიში, რომლის გამგებლობა შეზღუდულია სასამართლოს ან მთავრობის გადაწყვეტილებით.

ბონი (bond) [<ფრანგ. bon] - 1. მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულება, გამოშვებული ხაზინის, მუნიციპალური ორგანოებისა და კერძო ფირმების მიერ, რომელიც გამოიყენება მიმოქცევისა და გადახდის საშუალებად, ასრულებს ხურდა ფულის სუროგატის როლს (გავრცელებული იყო დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში — 1922-1924 წლების ფულად რეფორმამდე); 2. ხმარებიდან (მიმოქცევიდან) ამოღებული და კოლექციონირების საგნად ქცეული ქაღალდის ფული.

ბონისტიკა (bonistics) [<ფრანგ. bonistique] - დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ქაღალდის ფულად ნიშნებსა და ბონებს, როგორც ისტორიულ დოკუმენტებს; მჭიდრო კავშირშია ნუმიზმატიკასთან.

ბონიფიკაცია (bonification) [<ლათ. bonus კეთილი, კარგი] - 1. წანამატი იმ საქონლის ფასზე, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მაღალია (რეფაქცია); 2. ექსპორტირებულ საქონელზე გადახდევინებული გადასახადების უკან დაბრუნება ამ საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

ბონუსი (bonus) - 1. დამატებითი გასამრჯელო, პრემია; 2. დამატებითი ფასჩამოკლება. დაკლებულ თანხას გამყიდველი უთმობს მყიდველს გარიგების პირობების შესაბამისად.

ბორდერო (ფრანგ. bordereau) — 1. ამონაწერი საბუღალტრო დოკუმენტებიდან, ანგარიშებიდან და ა.შ. 2. რეალიზებული ფასიანი ქაღალდების ნუსხა, რომელსაც ადგენს ბანკი, საბანკო კანტორა

ან მაკლერი.

ბოსი (boss) - საწარმოს, დაწესებულების მეპატრონე; მეწარმე.

ბრაკერაჟი (sorting) - საქონლის შემოწმება ოფიციალური საქონელმცოდნეების (ბრაკერების) მიერ მისი ხარისხის, ვარგისიანობის განსაზღვრის, აგრეთვე დაწესებულ სტანდარტთან და დადებული ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის გარკვევის მიზნით.

ბრეტონ-ვუდსი (Breton-Woods) - აშშ-ის კურორტი ნიუ-ჰემპშირის შტატში, სადაც 1944 წელს ჩატარდა სავალუტო-ფინანსურ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის შესახებ.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა (Exchange system of Breton-Woods) - სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც იურიდიულად გაფორმდა ოქროდევიზური (ოქროსავალუტო) სტანდარტის სახით 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის (აშშ) კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. ეს სისტემა ეყრდნობოდა ეროვნული ვალუტების ფიქსირებულ გაცვლით კურსს. ფუნქციონირება შეწყვიტა 1971 წელს.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია (Bretton-Woods conference) - აშშ-ის კურორტ ბრეტონ ვუდსში გაეროს მიერ 1944 წელს სავალუტო-ფინანსურ საკითხებზე ჩატარებული კონფერენცია, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის შესახებ.

ბროკერი (broker) [<ინგლ. broker] - შუამავალი მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, მათი აგენტი კონტრაქტების დადებისას კომერციულ, სავალუტო, საკრედიტო და სადაზღვევო ოპერაციებში. დასპეციალებულია განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებაზე, მოქმედებს კლიენტთა დავალებით მათს ხარჯზე და მათგან იღებს საკომისიოს ანუ ბროკერის გასამრჯელოს. ტიპური მაგალითია საფონდო ბირჟის ბროკერი. ბროკერისაგან უნდა განვასხვავოთ დილერი. ზოგიერთ ბაზარზე „ბროკერს“ იყენებენ „დილერის“ მაგივრად. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ დილერები თავიანთი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე ასრულებდნენ ბროკერის ფუნქციებსაც.

საფონდო ბირჟის ბროკერი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების, ძირითადად, აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გარიგებებს.

ბროკერის გასამრჯელო (brokerage) — გასამრჯელო, რომელსაც იღებს ბროკერი კლიენტისაგან ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისათვის. ეს შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ან ოპერაციის ღირებულებისაგან პროცენტი.

ბრუტო (gross, weight) [<იტალ. brutto - უხეში] - საქონლის წონა ტარასა და შესაფუთავთან ერთად. საპირისპირო — ნეტო.

ბუნებრივი მონოპოლია (natural monopoly) — სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც ოფიციალურად აღიარებული გარდაუვალი მონოპოლიაა საქონლის (მომსახურების) წარმოებასა და გაყიდვაზე. ადგილი აქვს ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგებაში, სარკინიგზო მიმოსვლაში, საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობაში და ა.შ. საქმიანობის ამ სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა გამოწვეულია დარგის ტექნიკური და ტექნოლოგიური სპეციფიკით, რომელიც მოითხოვს წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ერთიან სისტემას. წარმოებული პროდუქციის მოხმარების მასობრივი ხასიათი განაპირობებს ფართომასშტაბური წარმოების აუცილებლობას. ამასთან, ვინაიდან ეს პროდუქცია გამოირჩევა ერთგვაროვნების მაღალი დონით და მისი შეცვლა ალტერნატიული პროდუქციით შეუძლებელია, ამიტომ ამ დარგებში, წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან დაკავშირებით, ძლიერ მოქმედებს ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების ეკონომიის კანონი. მათში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემთხვევაში კერძო მეწარმეები, რომლებიც ბაზარზე დაიკავებდნენ მყარ პოზიციას, ადვილად შეძლებდნენ კონკურენციულ ბრძოლაში ახალი მეტოქეების დამარცხებას. მათი მდგომარეობა ბაზარზე, წარმოების ფართომასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის მონოპოლიური იქნებოდა და გამოიწვევდა რესურსების უკიდურესად არარაციონალურ ხარჯვას. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის ამ სფეროებში არ არსებობს ეკონომიკური სივრცე ნორმალური კონკურენციისათვის, რაც განაპირობებს ბუნებრივი მონოპოლიების არსებობას. ბუნებრივი მონოპოლია უნდა განვასხვაოთ ხელოვნური მონოპოლიისაგან, რომელიც ფორმირდება ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების მონოპოლიზაციის საფუძველზე და ხელოვნურად ზღუდავს საბაზრო მექანიზმის მოქმედების სფეროს.

ბუნებრივი რესურსები (natural resources) — ბუნებისგან ნაბოძები, ადამიანისთვის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი. ამჟამად ხელმისაწვდომობის საზღვარი შეადგენს დაახლოებით 4 მილს

(6,5 კმ) დედამიწის ზედაპირზე და 12 მილს (20 კმ) მის სიღრმეში. ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება ნაყოფიერი მიწები, ნავთობი, ქვანახშირი, ტყეები, მდინარეები, ქარი (თუ ხდება მისი გამოყენება ენერგიის მისაღებად) და ა.შ. ზოგიერთი რესურსი არაკვლავწარმოებადია, ზოგი კი არსებობს მუდმივად, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა რაოდენობით ხდება მათი გამოყენება.

ბუნებრივი ფასი (natural price) **–** ტერმინი, გამოყენებული ადამ სმითის მიერ საქონლის ღირებულების (ფასეულობის) დახასიათებისთვის. საქონლის ბუნებრივი ფასისგან ხდება საბაზრო ფასის გადახრა. ბუნებრივი ფასი გრძელვადიანი წონასწორობის ფასია და დამოკიდებულია წარმოების დანახარჯებზე.

ბუტიკი (boutique) – ვიწრო სპეციალიზებული საბროკერო ფირმა მომსახურების შეზღუდული წრით.

ბუღალტრული აღრიცხვა (accounting) – სამეურნეო აღრიცხვის მთლიანი სისტემის ერთერთი განმსაზღვრელი სახეობა, ინფორმაცია სამეურნეო საშუალებების წრებრუნვის შესახებ, წარმოების მთლიანი, მკაცრად დოკუმენტური აღრიცხვა, ემსახურება წარმოების მართვას, სამეურნეო საქმიანობის შედეგების გამოვლენასა და მათზე კონტროლის განხორციელებას. ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო საქმიანობას ასახავს ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით ღირებულებით გამოხატულებაში, მოიცავს კვლავწარმოების მთელ პროცესს, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობებს. ბუღალტრული აღრიცხვა ასახავს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების დამახასიათებელ მაჩვენებლებს.

ბუღალტრული ბალანსი (balance sheet) - ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი, განსაზღვრული თარიღისათვის ფირმის ფინანსური და სამეურნეო მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებელთა ერთობლიობა.

ბუღალტრული მოგება (accounting profit) - ერთობლივი შემოსავალი აშკარა დანახარჯების გამოკლებით.

ბუშელი (bushel) - ფხვერი და თხევადი ნივთიერებების საწყაო საზომთა ინგლისური სისტემის ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში ბუშელი უდრის 36,37, ხოლო აშშ-ში **–** 35,24 ლიტრს.

გ

გადამანაწილებელი ფუნქცია (distribution function) - სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ნაწილი, გამიზნული შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებისათვის საზოგადოებაში. ეს ფუნქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც შემოსავლების ან სიმდიდრის განაწილება სახელმწიფოს ზემოქმედებისას არასასურველ ხასიათს იღებს.

გადასაპირებელი თამასუქი (**ტრატა**) (bill of exchange, draft) - ბრძანება კონკრეტული პირის (მევალის) მიმართ მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) გარკვეულ დროში განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ. იგი შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში გადაცემის წარწერის (თამასუქზე წარწერის) მეშვეობით. გადასაპირებელი თამასუქი მოიცავს: 1. ტექსტში ჩართულ სიტყვას „თამასუქი“, შეტანილს იმ ენაზე, რომელზეც თვით დოკუმენტია შედგენილი; 2. დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არ არის შეპირობებული; 3. გადამხდელის ვინაობას; 4. გადახდის ვადის მითითებას; 5. იმ ადგილის აღნიშვნას, სადაც თანხა უნდა გადაიხადონ; 6. იმ პირის დასახელებას, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ ფული; 7. თამასუქის შედგენის თარიღისა და ადგილის მითითებას; 8. თამასუქის გამცემი პირის ხელის მოწერას. მარტივი თამასუქისაგან განსხვავებით, გადასაპირებელ თამასუქში მითითებულია გადამხდელის ვინაობა. გადასაპირებელ თამასუქს გამოწერს და ხელს აწერს კრედიტორი.

გადასახადი (tax) - სავალდებულო მოსაკრებელი, რომელიც ფიქსირებულად გადაირიცხება სახელმწიფო (ადგილობრივ) ბიუჯეტში მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად. გადასახადი არის **პირდაპირი და არაპირდაპირი.** პირდაპირი გადასახადით იბეგრება შემოსავალი და ქონება, ხოლო არაპირდაპირი შედის საქონლის ფასში. გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

„გადასახადი“ მიღებულ უმაღლეს განათლებაზე (graduate tax) - საუნივერსიტეტო განათლების სქემა, როდესაც სტუდენტი სწავლის პროცესში იღებს ფულს თავისი საგანმანათლებლო და ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ხოლო განათლების მიღების შემდეგ იხდის თავისი შემოსავლის

ფიქსირებულ ნაწილს.

გადასახადების სტრუქტურა (structure of taxes) - ყოველ ქვეყანას აქვს მრავალი სახეობის გადასახადი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო სისტემის სტრუქტურას. იგი გამოხატავს საშემოსავლო გადასახადის, ქონებაზე გადასახადისა და ხარჯებზე გადასახადის შეფარდებით მნიშვნელობას. მისი მეშვეობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა საგადასახადო სისტემის პროგრესულობის არსებობის, თუ არ არსებობის შესახებ.

განვითარებად ქვეყნებში გადასახადების სტრუქტურა უპირატესად იხრება არაპირდაპირი, განსაკუთრებით **დღგ**-ის, საბაჟო გადასახადებისა და აქციზებისაკენ. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი გადასახადები შედარებით ადვილი ასაკრეფია.

ქვეყნის განვითარების კვალობაზე იზრდება საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელობა. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს საშემოსავლო გადასახადის განვითარებული სისტემა.

გადასახადის ზღვრული განაკვეთი (marginal rate of tax) – გადასახადის განაკვეთი შემოსავლის, დანახარჯის, სიმდიდრის ან საჩუქრის დამატებით ერთეულზე. რაც უფრო მაღალია გადასახადის ზღვრული განაკვეთი, მით უფრო მაღალი შეიძლება იყოს ჩანაცვლების ეფექტიც.

გადაწყვეტილების მიღების ლაგი (decision lag) - დროის მონაკვეთი ეკონომიკური (განსაკუთრებით მაკროეკონომიკური) პრობლემის გადაწყვეტისთვის მოქმედების აუცილებლობის დადგენის მომენტსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მომენტს შორის. იგი შიდა (პოლიტიკური) ლაგის შემადგენელი ნაწილია.

გადახდის ვალუტა (currency of payment) - ვალუტა, რომლითაც საგარეო-სავაჭრო გარიგებისას საქონლის ღირებულებას იხდიან; შეიძლება არ დაემთხვეს ფასის ვალუტას.

გადახდისუნარიანი მოთხოვნილება (effective consumer demand) - ანუ მოთხოვნა, ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე; წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს წარმოებასა და მოხმარებას შორის, რაც განსაზღვრავს მისი შესწავლისა და პროგნოზირების დიდ მნიშვნელობას ფირმის მარკეტინგულ სტრატეგიაში.

გადახდისუნარიანობა (solvency) - სახელმწიფოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი, დროულად და მთლიანად შეასრულოს სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე საგადა-

სახადო ვალდებულებები.

გადახდისუნარიანობის თეორია (ability to pay theory) - დაბეგვრისადმი მიდგომა, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ტვირთი უნდა განაწილდეს გადასახადების გადახდის უნარის შესაბამისად. ეს თეორია ეფუძნება თანაბარი დანაკარგების კონცეფციას. დანაკარგი არის გადასახადების გადახდის შედეგად ეკონომიკური კეთილდღეობის შემცირება. არსებობს დანაკარგების ტოლობის სამი შესაძლო განსაზღვრა: ისინი შეიძლება იყოს აბსოლუტურად ტოლი, პროპორციულად ტოლი და ზღვრულად ტოლი. ამათგან არც ერთს არა აქვს პრინციპული უპირატესობა. საგადასახადო სისტემა პროგრესიულია, პროპორციული თუ რეგრესიული, დამოკიდებულია მიღებულ განსაზღვრასა და შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის გრაფიკის დახრის კუთხეზე. თუ ივარაუდება, რომ შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა ეცემა, მაშინ ეს სამი განსაზღვრა ყოველთვის არ იძლევა ერთნაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას. აღნიშნული თეორია საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა პირთა შემოსავლების სარგებლიანობა. ასეთი მიდგომა უარყოფილია კეთილდღეობის თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში.

გაეროს სსდკ (**საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია**) (International Standard of Branch Classification) - ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია, რომლის ამჟამად მოქმედი IV ვარიანტი განიხილა და დაამტკიცა გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 2006 წელს. I ვარიანტი, რომლის პროექტიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე მიიღეს 1948 წელს, ზემოთ აღნიშნულმა კომისიამ დაამტკიცა 1958 წელს, II ვარიანტი – 1968 წელს, ხოლო III ვარიანტი – 1989 წელს.

სსდკ-ის მესამე ვარიანტი წინანდელზე სრულყოფილი და დეტალიზებული იყო. იგი შედგებოდა 17 განყოფილებისა და 99 ქვეგანყოფილებისაგან. ეს განყოფილებებია: 1. სოფლის მეურნეობა; ნადირობა და სატყეო მეურნეობა; 2. თევზჭერა; 3. სამთო-მოპოვებითი მრეწველობა; 4. გადამამუშავებელი მრეწველობა; 5. მშენებლობა; 6. ელექტრო-, გაზ- და წყალმომარაგება; 7. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; 8. სასტუმროები და რესტორნები (საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახერებ-

ის ჩათვლით); 9. ტრანსპორტი; სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა; 10. საფინანსო შუამავლობა (სხვადასხვა სახის საფინანსო და საკრედიტო ოპერაციებთან ერთად ამ განყოფილებაში შედის ყველა სახის დაზღვევა, გარდა სავალდებულო სოციალურისა და საპენსიო უზრუნველყოფა; 11. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები; არენდა და კომერციული საქმიანობა; 12. სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაზღვევა; 13. განათლება; 14. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება; 15. სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; 16. საოჯახო მეურნეობები დაქირავებული მომსახურებით; 17. ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები. პირველი ხუთი განყოფილება მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს, ხოლო დანარჩენი თორმეტი, სერვისზე ორიენტირებულობის გამო, მომსახურების სფეროს შეადგენს. ასეთი დაყოფის აუცილებლობა კიდევ უფრო განამტკიცა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში განვითარებული ქვეყნების პირადი მოხმარების სტრუქტურაში მატერიალური დოვლათის ხვედრითი წონის ინტენსიურმა შემცირებამ და სხვადასხვა სახის მომსახურების წილის შესაბამისმა გადიდებამ.

ᲜᲜᲓᲙ-ის IV ვარიანტში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფერო (რეალური სექტორი) 5 განყოფილების ნაცვლად წარმოდგენილია 4 განყოფილებად, აგრარული სექტორის (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, მეთევზეობა) ერთ განყოფილებად წარმოდგენის საფუძველზე. დანარჩენი განყოფილებები მომსახურების დივერსიფიცირების შედეგად ჩამოყალიბებული დარგებია.

ᲜᲜᲓᲙ-ის მიზანია არა ეროვნული კლასიფიკაციების შეცვლა, არამედ ეროვნული სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო შედარებისათვის საფუძვლის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კლასიფიკაცია განსხვავდება საერთაშორისოსაგან, შედარებას ახდენენ ეროვნული კლასიფიკაციებიდან მიღებული მონაცემების გადაჯგუფების საფუძველზე.

განვითარებული ქვეყნები **ᲜᲜᲓᲙ**-ს განიხილავენ როგორც არსებითად საკუთარ ეროვნულ კლასიფიკაციაზე დაფუძნებულს და მისგან წარმოებულს, ხოლო განვითარებადი ქვეყნები, პირიქით, თავიანთ ეროვნულ კლასიფიკაციებს **ᲜᲜᲓᲙ**-ზე დაფუძნებულად და მისგან წარმოებულად მიიჩნევენ. განვითარებული სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კლასიფიკა-

ციების გადასინჯვისას, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, ცდილობენ მაქსიმალურად მიუახლოონ ისინი გაეროს **სსდკ**-ს. განვითარებადი ქვეყნები, იმის გამო, რომ საკუთარი კლასიფიკაციის დამუშავებისათვის არა აქვთ აუცილებელი ინფრასტრუქტურა (ეს ძირითადად განპირობებულია სტატისტიკის განვითარების დაბალი დონით), გაეროს **სსდკ**-ს იყენებენ უმნიშვნელო ცვლილებებით ან საერთოდ უცვლელად, როგორც ეროვნულ კლასიფიკაციებს.

სსდკ მჭიდრო კავშირშია გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემასთან. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის სახეობებად დაყოფას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოო პრინციპის მიხედვით ეროვნული ანგარიშების შედგენაში.

გაკოტრება (bankruptcy) [<იტალ. bancarotta] - ფინანსური კრახი, რაც დადგენილია სასამართლოს მიერ. გაკოტრების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან კომპანია კარგავს თავისი ქონების განკარგვის უფლებას.

გალონი (gallon) - მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, შეიცავს 8 პინტას. 1 გალონი თხევადი ნივთიერებებისათვის დიდ ბრიტანეთში უტოლდება 4546 ლიტრს, ხოლო აშშ-ში – 3785 ლიტრს, ფხვიერისათვის – 4405 ლიტრს (აშშ-ში); ამერიკული თხევადი გალონი გამოიყენება ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში.

გამოვლენის ლაგი (recognition lag) - შიდა ლაგის წარმოქმნის ერთ-ერთი კომპონენტი, განვლილი დრო პოტენციური დესტაბილიზაციური ფაქტორის წარმოშობის მომენტსა და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მიერ ამ მომენტის დადგენას შორის.

გამოთვლითი ეკონომიკა (computational economics) – მათემატიკური მოდელებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების იმიტაციური მოდელირების ციფრობრივი გადაწყვეტა. მათემატიკურ ეკონომიკასთან ერთად (რომელიც ძირითადად მოდელების ანალიტიკურ გადაჭრაზეა მიმართული) უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გავრცელდა გამოთვლითი ეკონომიკა, ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ეკონომიკური თეორიის განვითარებაში.

გამოთვლით ეკონომიკას, გამოთვლით ეკონომეტრიკასთან ერთად, აქვს გამოყენებითი მნიშვნელობა, წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიულ ღონისძიებათა ანალიზის საკვანძო ინსტრუმენტს, სათანადო წვლილი შეაქვს ეკონომიკის „ემპირიულ შემობრუნებაში“.

უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში თეორიული მათემატიკური ეკონომიკის (მათემატიკური მოდელირება) ბატონობა კითხვის ქვეშ დადგა. მის მთავარ კონკურენტად გამოდის არა ვერბალური მოდელირება, არამედ ემპირიული ეკონომიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკონომეტრიკური მოდელების გამოყენება.

გამოშვების ბუნებრივი მოცულობა (natural level of output) – წარმოების მოცულობა, რომელიც მიიღწევა დასაქმების ბუნებრივი დონის პირობებში.

გამყიდველის ბაზარი (seller's market) - სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, მონოპოლიზმის მაღალი დონე მონოპოლიურ ფასებს წარმოქმნის და ბაზრის კონტრაჰენტებს თავს ახვევს სამეურნეო ხელშეკრულებათა დისკრიმინაციულ პირობებს.

განაწილების თეორიები (distribution theories) - თეორიები, რომლებიც ხსნიან ეროვნული შემოსავლის განაწილების მექანიზმს კერძო პირებსა და ეკონომიკურ ჯგუფებს შორის. განასხვავებენ **შემოსავლის ფუნქციონალურ განაწილებას,** რაც გულისხმობს ეროვნული პროდუქტის განაწილებას წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) მესაკუთრეებს შორის და **პირადი შემოსავლის განაწილებას,** რომლის შესწავლისას ეკონომისტები იკვლევენ ინდივიდუალური შემოსავლების განმსაზღვრელ ფაქტორებს, იმ ფაქტორებისგან დამოუკიდებლად, რომელთა დახმარებითაც ეს შემოსავლები იქნა მიღებული.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლები (განსაკუთრებით დ. რიკარდო) შემოსავლების ფუნქციონალური განაწილების განხილვისას ხაზს უსვამდნენ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას კაპიტალზე მოგების ნორმასა და ფიქსირებულ ხელფასს შორის, რომელიც განისაზღვრება საცხოვრებელი მინიმუმით, მოსახლეობის ზრდითა და ზღვრული შრომის მწარმოებლურობით. ზღვრული მწარმოებლურობის დოქტრინა განავითარა ნეოკლასიკურმა სკოლამ, რომელშიც წარმოების ფაქტორების ფასი განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედებით. კ. მარქსის განაწილების თეორია ეყრდნობა კლასობრივი ბრძოლის, ტექნიკური პროგრესის, მოსახლეობის ზრდის, მუშათა ორგანიზებულობისა და კაპიტალისტური წარმოების ახალ სფეროებში შეღწევის ურთიერთდამოკიდებულებას.

განაწილების ნეოკეინზიანური მოდელი დაკავშირებულია მ. კალეცკის, ჯ. რობინსონის, ნ. კალდორისა და სხვა მეცნიერთა თეორიებთან, რომლებიც აქცენტს

აკეთებენ საბაზრო სტრუქტურების როლზე, მუშათა ორგანიზებასა და მოთხოვნის განმსაზღვრელ ფაქტორებზე მაკროეკონომიკურ მოდელებში.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ (developing countries) - მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ეს სახელწოდება ხმარებაში შემოვიდა XX საუკუნის 60-იან წლებში ისეთი სათაკილო გამონათქვამის მაგივრად, როგორიცაა სუსტად განვითარებული ანუ ჩამორჩენილი ქვეყნები. ითვლება, რომ ამ კატეგორიას მიეკუთვნება ქვეყნები, რომელთა **მშპ** მოსახლეობის ერთ სულზე არ აღემატება აშშ-ის შესაბამისი მაჩვენებლის (43555 დოლარი) ერთ მეხუთედს. თუმცა ასეთი განსაზღვრა არ არის აბსოლუტური, ვინაიდან ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, შუა აღმოსავლეთის ნავთობგადამმუშავებელი ქვეყნები, ამ მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ განვითარებულ ქვეყნებს (მაგ., ქუვეითი – 18370 დოლარი), მაგრამ შემოსავლების განაწილებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით, ისინი განვითარებადია.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ (development strategy) - განვითარების პრობლემისადმი მიდგომა, რაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ამა თუ იმ მოდელის გამოყენებაზე. არსებობს უამრავი ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრატეგია, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი მახასიათებლები: იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით, სამრეწველო განვითარება, ქალაქებისა და სასოფლო რაიონების ბალანსირებული განვითარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და გაფართოება, საექსპორტო სექტორის განვითარება უცხოური ვალუტის მიღების მიზნით და ა.შ. განვითარების სტრატეგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ (developed countries) - მსოფლიოს მაღალშემოსავლიანი სახელმწიფოები, რომლებმაც (ისტორიულად ან განვითარების დღევანდელ ეტაპზე) მიაღწიეს ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს, როგორიც შესაძლებელია არსებული სიმდიდრისა და ტექნოლოგიების პირობებში. სხვადასხვა ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანას მიიჩნევს განვითარებულად. მაგრამ არსებობს 22 ქვეყანა, რომლებიც ნებისმიერ კლასიფიკასიაში ხვდებიან. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერ-

ლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. განვითარებული ქვეყნების უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოსთან ისაა, რომ ამ ქვეყნებში გატარებული საბაზრო რეფორმების საფუძველზე მეტ-ნაკლები წარმატებულობით ფუნქციონირებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელმაც აშკარა უპირატესობა და მაღალი ეფექტიანობა დაამტკიცა როგორც წმინდა კაპიტალისტურ, ისე კვაზი-სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (disposable income) – შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მომხმარებლებს რჩებათ სახელმწიფოსგან ტრანსფერების მიღებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ. როცა განკარგვადი შემოსავალი იზრდება, იზრდება მოხმარებაც.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲘᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (disposable national income) - წმინდა ეროვნულ შემოსავალს პლუს მიმდინარე ტრანსფერები საზღვარგარეთიდან (ჰუმანიტარული დახმარება, შეწირულობა და სხვ.), გამოკლებული საზღვარგარეთ გაცემული ანალოგიური ტრანსფერები ანუ მინუს მიმდინარე ტრანსფერების სალდო.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲘᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (disposable gross national income) - რეალური შემოსავალი, რომელიც გამოიყენება ერთობლივი საბოლოო მოხმარებისა და დანაზოგისათვის. საბაზრო ფასებით იგი არის **ᲛᲨᲞ**-ს პლუს (მინუს) წმინდა სალდო ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადასახდელებისა და სხვა მიმდინარე ტრანსფერების მიხედვით.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲕᲘᲗᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (disposable net national income) - ტოლია განკარგულებაში დარჩენილ მთლიან ეროვნულ შემოსავალს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲔᲑᲐ (economy destatization, denationalization) - საწარმოთა გამოყვანა მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან და მათი გარდაქმნა კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, კოოპერატივებად, საპაიო ამხანაგობებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად. შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. მათ შორის ძირითადია სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, აქციონირება, არენდით გადაცემა და სხვ. დერეგულირებას ზოგ შემთხვევაში შეიძლება არ მოჰყვეს საკუთრების ფორმის შეცვლა. მთავარია, სახელმწიფომ უარი თქვას სამეურნეო რგოლების პირდაპირ მართვაზე. ამის საფუძველზე საწარ-

მოთა საქმიანობაში სახელმწიფო ორგანოების ფუნქციები მინიმუმამდე შემცირდება და, შესაბამისად, საწარმოს უფლებები გაფართოვდება. ამრიგად, განსახელმწიფოებრივება ითვალისწინებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლისა და ფუნქციების შეცვლას საზოგადოებრივი წარმოების სახელმწიფო რეგლამენტაციის სფეროს შეკვეცისა და ეკონომიკის რეგულირების უპირატესად არაეკონომიკური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის საფუძველზე.

საქართველოს ეკონომიკაში განსახელმწიფოებრივება განიხილება როგორც ეკონომიკის გასახელმწიფოებრივებისა (ნაციონალიზაციის) და საზოგადოებრივი წარმოების სახელმწიფო-დირექტიული რეგლამენტაციის საწინააღმდეგო პროცესი.

ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების თანმხლები ძირითადი პროცესებია: 1. ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის წილის შემცირება სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის საფუძველზე; 2. სახელმწიფო საწარმოთა კომერციალიზაცია; 3. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული **მეპ**-ის წილის შემცირება იმ წმინდა პროდუქტის წილის შეკვეცის საფუძველზე, რომელიც თავს იყრიდა საზოგადოების ცენტრალიზებულ ფონდში. პრაქტიკულად ლაპარაკია მოგების იმ წილის (როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურ) შემცირებაზე, რომელიც შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით; 4. პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების სავალდებულო სახელმწიფო დავალების შეცვლა ეკონომიკური სტიმულირების სისტემით, რაც, სახელდობრ, გულისხმობს სახელმწიფო შეკვეთებიდან სახელმწიფო შესყიდვებზე გადასვლას; 5. ცენტრალიზებული ინვესტიციებიდან დაკრედიტების სისტემაზე გადასვლა; 6. მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ძირითადი ნაწილის ცენტრალიზებულ განაწილებასა და გადანაწილებაზე უარის თქმა, საქონლის, შრომისა და კაპიტალის ბაზრების ფორმირება; 7. საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია.

საქართველოში ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების თანმხლები პროცესია სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია და საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება.

გარანტი (guarantee, warrantor) - პიროვნება, ორგანიზაცია, სახელმწიფო, რომელიც იძლევა გარკვეულ გარანტიებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას.

გარანტია (guarantee, warranty) - თავდებობა, სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ვალდებულებათა შესრულებას უზრუნველყოფს.

გარდამავალი პერიოდი (transition period) - დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში ეკონომიკური სისტემის კონვერსიის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში გადადის.

გარე დანახარჯები (external expenses) – ფირმის მთლიანი დანახარჯების ის ნაწილი, რომელსაც იგი გაიღებს გარეთ შეძენილი მატერიალური და შრომითი რესურსებისათვის.

გარე ეფექტები (externalities) - ექსტერნალიები, რომლებიც არ აისახება ფასების სისტემაში; ადამიანთა საქმიანობის საბოლოო შედეგების გარკვეული მხარე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოხატულება. დადებითი დაკავშირებულია სარგებლიანობასთან, ხოლო უარყოფითი – ხარჯთან. ეს არის ფასში აუსახველი ხელსაყრელობა ან ხარჯი და „გარე“ ეწოდება იმიტომ, რომ ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, არამედ ვლინდება მათ გარეთ მიმდინარე პროცესებშიც. გარე ეფექტების გამოვლენის არეალი ზოგჯერ ძალიან მასშტაბურია და ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე. ისინი თანამდევი ხარჯია, „გადასხმის“ ხარჯია. მათ მიეკუთვნება თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები, რომლებიც გამოვლინდება კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის გარეთ და აისახება შრომის როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებში. მაგ., გარემოს დაცვას, ან კიდევ, ინფექციური დაავადების თავიდან აცილების მიზნით სასმელი წყლის სანაციის პროგრამის განხორციელებას ახლავს უაღრესად დადებითი გარე ეფექტი – ეკოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევისა და მისგან გამოწვეული ზარალის თავიდან აცილება, ხოლო მოსახლეობის საგანმანათლებლო დონის ზრდა, რაც განაპირობებს კულტურული მსოფლმხედველობის ამაღლებას, ახალი გარემოსადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გადიდებას და სხვ., ხელს უწყობს სოფლის მცხოვრებთა მასობრივ მიგრაციას ქალაქში და, საბოლოო ანგარიშით, იწვევს სასოფლო-სამეურნეო კადრების დეფიციტს, ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებას, უმუშევრობასთან ერთად სიღატაკისა და დანაშაულობათა ზრდას, ან კიდევ, ქალთა შრომითი რესურსების დასაქმება იწვევს შობადობის შემცირებასა და ა.შ.

ბაზარს არ შეუძლია მისთვის ნიშანდობლივი ფასწარმოქმნის მექანიზმის მეშვეობით შეაფასოს ადამიანთა საქმიანობის გარე ეფექტები. ეს უკანასკნელი გამოიხატება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვით, ესთეტიკურ ფასეულობათა, კულტურის ძეგლთა, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებითა და მოვლა-პატრონობით, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და აქტიური საქმიანობის პერიოდის გადიდებით, დაავადებათა შემცირებით, პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის ზრდით, მოსახლეობის ფიზიკური განვითარების დონის, მოქალაქეობრივი კულტურის ამაღლებით და სხვ. გარე ეფექტის გამოხატვა ფულით შეუძლებელია. მისი გაზომვისათვის ფართოდ გამოიყენება ნატურალური მაჩვენებლები.

გარე ეფექტის ინტერნალიზაცია (externality internalization) - გარე ეფექტის გადაქცევა კერძო ხარჯების ელემენტად.

გარე ლაგი (outside lag) - დროის შუალედი მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციასა და მისი სრული ეფექტის მიღებას შორის.

გასაღების მრუდი (curve of sale) - გრაფიკული გამოსახულება მათემატიკური დამოკიდებულებისა ფასების დონესა და იმ საქონლის მოცულობას შორის, რომლის ყიდვაც შესაძლებელია ბაზარზე ფასების ამა თუ იმ დონის პირობებში. გასაღების მრუდის აგება გასაღების სამსახურის მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერ კომერციულ გადაწყვეტილებას იმის გათვალისწინებით იღებენ, თუ როგორ გავლენას მოახდენს იგი პროდუქციის გასაღებაზე. გასაღების მრუდის გამოყენებით შესაძლებელია ზუსტად შეირჩეს ფასების ოპტიმალური დონე და ფირმის ყველაზე გონივრული კომერციული პოლიტიკა.

გაუთვალისწინებელი დანახარჯი (unforeseen expense) - ამა თუ იმ რესურსის გამოყენებაზე გაწეული დანახარჯი, რაც იზომება ამ რესურსის ყველაზე უკეთესი ალტერნატიული გზის გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებით. ხელიდან გაშვებული, გამოუყენებელი შესაძლებლობების დანახარჯი.

გაუთვალისწინებელი ინფლაცია (unanticipated inflation) - ინფლაციის ფაქტობრივი ტემპის გადაჭარბება მოსალოდნელზე. თუ ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი წელიწადში 5%-ია, ხოლო ფაქტობრივი ამავე პერიოდში უტოლდება 10%-ს, მაშინ ინფლაციის გაუთვალისწინებელი ტემპი შეადგენს 5%-ს.

გაუფასურება (depreciation, devaluation) - ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის დაცე-

მა უცხოურ ვალუტასთან შედარებით.

გაყიდვაზე გადასახადი (sales tax) - არაპირდაპირი გადასახადი, რომელსაც იხდიან მომხმარებლები საქონლისა და მომსახურების შეძენისას. იგი ბრუნვიდან გადასახადის სახესხვაობაა, ფართოდ გამოიყენება აშშ-ში, ხოლო დიდ ბრიტანეთში, გფრ-სა და მრავალ სხვა ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოში) მან მიიღო დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის სახელწოდება.

„გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები (shoe leather costs) – საჩეკო ანგარიშიდან ვალუტის გამოსატანად ბანკში სიარულთან დაკავშირებული დანახარჯები. საქმე ისაა, რომ საშუალოვადიან პერიოდში რეალურ საპროცენტო განაკვეთზე ინფლაცია ზემოქმედებას არ ახდენს. ინფლაციის ზრდა ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე აისახება, რაც ფულის ფლობის მაღალ ალტერნატიულ დანახარჯებს იწვევს. საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ ფულის მარაგს ბანკში უფრო ხშირი სიარულით ამცირებენ, რითაც გამოიხატება „გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები. ეს დანახარჯები ნაკლები იქნებოდა, რომ ქვეყანაში ინფლაციის ზრდის ტემპი ნაკლები ყოფილიყო, რაც დადებით გავლენას მოახდენდა საქმიან აქტიურობაზე.

გაცვლითი კურსი - იხ. ვალუტის კურსი.

გედონისტიკური ფასი (hedonistic price) - საქონლის იმპლიციტური ანუ ფარული ფასი. საქონლის მოცემული რაოდენობა შეიძლება განაწილდეს მისი ხარისხის განმსაზღვრელი მრავალი მახასიათებლის მიხედვით. საქონლის ფასი ნაწილობრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს მის კონკრეტულ მახასიათებლებთან და ამის საფუძველზე შეფასდეს ხარისხის ცვლილებაც. გედონისტიკური ფასის თეორია ხარისხის ცვლილების შესაფასებლად პირველად შემოიღო ც. გრილიჰესმა და გამოიყენა საცხოვრებელზე მოთხოვნის ანალიზისა და გარემოს ეკონომიკურ თეორიაში.

გალბრეითი ჯონ კენეტი (1908-2006) (Galbraith John Kenneth) - ამერიკელი (წარმოშობით კანადელი) ეკონომისტი, სოციოლოგი და საზოგადო მოღვაწე. ნეოინსტიტუციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (1948). ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აშშ-სა და სხვა ქვეყნების მთავრობებთან და აკადემიურ ინსტიტუტებში. იყო აშშ-ის ელჩი ინდოეთში (1961-1963). მისი ცნობილი ნაშრომებია: „ინდუსტრიული საზოგადოება“ (1967), „ეკონომიკური თეორია და საზო-

გადოების მიზნები“ (1973), „ეკონომიკური თეორიის ისტორია: წარსული როგორც თანამედროვეობა“ (1987) და ა.შ.

გირავნობის სიგელი (mortgage) - უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული სავალო მოწმობა.

გირაო (mortgage) - სავალო ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფილია კონკრეტული უძრავი ქონებით (მიწა ან შენობა-ნაგებობა). სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი. იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ (გირაოს გამცემმა) აღებული ვალდებულება არ შეასრულა, გირაოს საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს მიითვისოს საგირავნო ქონება.

გირაო შეიძლება იყოს პირველი გირავნობის სიგელი, რომლის მიხედვითაც კრედიტორს ენიჭება უპირატესი უფლება, პირველმა წარმოადგინოს პრეტენზია დაგირავებულ ქონებაზე, ან მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. გირავნობის სიგელი, როცა პრეტენზიის წარდგენის ვადა დგება წინა გირავნობის სიგელის მესაკუთრის უფლების რეალიზაციის შემდეგ.

გირაოთი უზრუნველყოფილი ობლიგაცია (security in the form of bonds) - ობლიგაცია, რომელიც გამოშვებულია კორპორაციის გირაოთი. ასეთი ობლიგაციის მფლობელის, როგორც კრედიტორის, მოთხოვნა კმაყოფილდება პირველ რიგში.

გირვანქა (pound) [<ლათ. pondus წონა, საწონი] - 1. მასის ერთეული მრავალ ქვეყანაში, რომელსაც აქვს განსხვავებული სიდიდე — 317,62-დან 560 გრამამდე; 2. მასის ძირითადი ერთეული ინგლისურ საზომთა სისტემაში, უთანაბრდება 0,4536 კგ-ს, სააფთიაქო და სამონეტო გირვანქა — 0,3732 კგ-ს; 3. მასის ერთეული რუსულ სისტემაში, რომელიც გაუქმდა 1918 წელს. 1 გირვანქა — 1/40 ფუთს — 32 ლოტს — 0,4095 კგ-ს; 4. ზოგიერთი ქვეყნის ფულის ერთეული, მაგ., ეგვიპტური გირვანქა, გირვანქა სტერლინგი.

გლობალიზაცია (globalization) - მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია აშშ-სა და ევროატლანტიკური ბლოკის უმსხვილესი ქვეყნების მიერ შემუშავებული მოთხოვნების (ნორმების, ფასეულობების, კრიტერიუმებისა და ა.შ.) შესაბამისად.

გლობალიზაცია ფრაგმენტაციის (დაყოფა, დანაწევრება) საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თ. ლევიტმა იგი ცალ-

კეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახსნელად გამოიყენა. თუ თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, სულ რამდენიმე წელიწადში ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“ – ეს ტერმინი პირველმა გამოიყენა მ. ელბროუმ მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და კულტურის ერთიანობის გამოსახატავად. ამავე წელს, ფართო გაგებით, იგი აგრეთვე გამოიყენა იაპონელმა კ. ომემ, ხოლო 1999 წელს დავოსში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მთავარი თემა სწორედ გლობალიზაცია იყო.

გლობალიზაციის პროცესი სათავეს იღებს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, თუმცა ამ ყოვლისმომცველ პროცესს წინ უძღოდა ამავე საუკუნის 40-იან წლებში დაწყებული „კეინზიანური რევოლუცია“, რომელმაც ბიძგი მისცა თვისებრივად ახალ ეკონომიკურ ზრდას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გლობალიზაციის წარმოშობაში. აღნიშნული პროცესი გარკვეულწილად დააჩქარა 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლამ, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე მსოფლიოში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მომსახურების სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაში გამოიხატა. მსოფლიოს ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. 70-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას. ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა. საბაზრო ურთიერთობებმა საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით, შეიძლება ითქვას „შტამპი მოხსნა“ ველურ კაპიტალიზმს და გზა გაუხსნა საკუთრების დემოკრატიზაციის პროცესს. ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბაზარი პირველად მეურნეობის ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბდა. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, რამაც ხელი შეუწყო ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. განვითარებულმა სამყარომ მიიღო ახალი დროის გამო-

წვევა. საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

გლობალიზაციას ახალი იმპულსი შესძინა 90-იან წლებში ელვისებურად განვითარებულმა სოციალურმა კატაკლიზმებმა, რაც სწრაფად დაგვირგვინდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ნგრევითა და კომუნისტური სოციალიზმის ხანის დასრულებით. ეს დროის მოთხოვნა და გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის გამოძახილიც იყო.

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. იგი რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების შინაარსსაც.

გლობალიზაცია არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულსაც ხდის მათ. იგი აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს. გლობალიზაცია ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადაში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტელექტუალური კაპიტალის წარმოჩენას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდას და ა.შ. ბოლო ხანს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მომხდარმა რევოლუციამ და ტრანსპორტის სფეროში განხორციელებულმა კოლოსალურმა პროგრესმა შეამცირა წარმოების ხარჯები. ამიტომ ასეთი ტრანსფორმაციის პირობებში, შეიცვალა თავად **წარმოების მასშტაბის ეფექტიც.**

გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. ამიტომ მისი მასშტაბებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია **რამდენად მართული იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.**

გლობალიზაციის ძლიერი ტენდენციები დღეს გარდაუვალია. მას ბევრ პოზიტიურთან ერთად, ახლავს გარკვეული ნეგატიური შედეგები. **იგი განსაკუთრებულ საფ-**

რთხეს უქმნის მცირე რეგიონებს, ქვეყნებსა და ერებს, უარყოფით გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურებზე.

საერთაშორისო შეზღუდვების პირობებში დღეს შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკების მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიების განხორციელება. სახელმწიფოები, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის გზაზე ახალდამდგარი ქვეყნები ნაკლებად ავტონომიურია. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, ამასთან, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების ნაკლები უნარი შესწევთ. მცირე ქვეყნების კულტურა სულ უფრო მეტად ექცევა წინააღმდეგობაში მსოფლიო პროცესებთან.

ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მსოფლიოს სააგენტოებს, სავაჭრო ბლოკებსა და მთავარ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

დღეს ეროვნულ პოლიტიკას აღარ შეუძლია ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა. იგი სულ უფრო და უფრო „გრილდება“. ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანი მართვის ფუნქციები ეცემა.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენს განვითარებად ქვეყნებში.

გლობალიზაციის KOF-ინდექსი (KOF Globalization Index) - გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც შეიქმნა 2002 წელს. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს.

გლობალიზაციის KOF-ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობენ და პირველ ათეულში შედიან: ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდი, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი და უნგრეთი. ამ მაჩვენებლით საქართველო 59,85%-ით 90-ე ადგილზეა.

გლობალიზაციის KOF ინდექსით (პროცენტული გამოსახ-

ულებით) ყოველწლიურად განისაზღვრება მსოფლიოს 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.

პოლიტიკური გლობალიზაცია გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების მისიის წევრობა. ამ მაჩვენებლით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. პოლიტიკურ გლობალიზაციაში, საერთაშორისო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი გაეროსა და სხვა სტრუქტურებს აკისრია.

პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულში შედიან: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,88%-სა და 89,03%-ს შორის ფიქსირდება. საქართველო 46,08%-ით 138-ე ადგილზეა.

ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ტრანსეროვნული კორპორაციები (**ტეკ**-ები) ასრულებენ, განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციების გაძლიერება, ინფორმაციების ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები და ა.შ. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას.

ეკონომიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს, 96,67%-სა და 88,11%-ს შორის ფიქსირდება. ამ მაჩვენებლით პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდი, ესტონეთი, უნგრეთი, ბაჰრეინი, შვედეთი, ხოლო საქართველო 69,43%-ით 51-ე ადგილზეა.

სოციალური გლობალიზაცია განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებითა და წერილებით, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილით, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელ-

თა რაოდენობით, წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით **მშპ-**ში და ა.შ. იგი, კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოვებაში.

სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია. ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია. საქართველოს ამ მაჩვენებლით 58,94%-ით 83-ე ადგილი უჭირავს.

ГЛОБАЛУРი КОНКУРენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitivess Index - GCI) – ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის დადგენის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების განზოგადებული მაჩვენებელი. შეიმუშავა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ხავიერ სალარი არტინმა და პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს.

GCI შედგება სამი განყოფილებისა და 12 სვეტისგან, რომელთა გაანალიზება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას ქმნის.

GCI-ის პირველი განყოფილება – **ძირითადი მოთხოვნები** – მოიცავს შემდეგ ოთხ სვეტს: I – ქვეყნის ინსტიტუციონალური მშენებლობა; II – ინფრასტრუქტურა, III – მაკროეკონომიკური სტაბილურობა; IV – ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება.

GCI-ის მეორე განყოფილება **ეფექტიანობის საყრდენები** – მოიცავს შემდეგ ექვს სვეტს: V – უმაღლესი განათლება და ტრენინგი; VI – ბაზრის ეფექტიანობა; VII – შრომის ბაზრის ეფექტიანობა; VIII – ფინანსური ბაზრის მოქნილობა; IX – ტექნოლოგიური მზადყოფნა; X – ბაზრის სიდიდე.

GCI-ის მესამე განყოფილება – **ინოვაცია და დახვეწილობის ფაქტორები** – მოიცავს დანარჩენ ორ სვეტს: XI – ბიზნესის დახვეწილობა; XII – ინოვაცია.

GCI-ის თითოეული სვეტი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

GCI-ის I სვეტი – **ინსტიტუციონალური მშენებლობა**, თავის მხრივ, იყოფა:

1. საზოგადოებრივ (სახელმწიფო) და **2. კერძო ინსტიტუ-**

ტებად.

საზოგადოებრივ ინსტიტუტებში შედის:

1. **ქონების უფლება:**

1.1. ქონების დაცვა;

1.2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

2. **ეთიკა და კორუფცია:**

2.1. საზოგადოებრივი ფონდების გამოყენების მიზნობრიობა;

2.2. საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ.

3. **გადაჭარბებული გავლენები:**

3.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა;

3.2. არაობიექტურობა მთავრობის გადაწყვეტილებების მიღებისას.

4. **მთავრობის საქმიანობის არაეფექტურობა:**

4.1. სახელმწიფო ფინანსების არაეფექტიანი ხარჯვა;

4.2. სახელმწიფო რეგულირების სიმძიმე;

4.3. კანონმდებლობის არაეფექტურობა;

4.4. კანონმდებლობის არაეფექტურობა დავების გადაჭრისას;

4.5. მთავრობის საქმიანობის გამჭირვალობის სისუსტე.

5. უსაფრთხოება:

5.1. ტერორიზმისაგან ბიზნესის დაცვის ხარჯები;

5.2. კრიმინალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯები;

5.3. ორგანიზაციული დანაშაულის – მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯები;

5.4. პოლიციის სანდოობა.

კერძო ინსტიტუტებში შედის:

1. **კორპორაციული ეთიკა.**

2. **აღრიცხვიანობა:**

2.1. ბუღალტრული და აუდიტორული სტანდარტების სიძლიერე;

2.2. კორპორაციული მმართველობის ეფექტიანობა;

2.3. უმცირესობის (აქციათა მფლობელთა) ინტერესების დაცვა.

GCI-ის II სვეტი – **ინფრასტრუქტურა** მოიცავს:

A. **ზოგადად ინფრასტრუქტურის შეფასება (ხარისხი).**

B. **კონკრეტულად:**

1.1. გზების ხარისხი;

1.2. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ხარისხი;

1.3. პორტი;

1.4. საჰაერო ინფრასტრუქტურის ხარისხი;

1.5. ელექტროენერგია;

1.6. კავშირგაბმულობის განვითარების ხარისხი.

GCI-ის III სვეტი – **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** მოიცავს:

3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი;

3.2. ეროვნული დანაზოგების კოეფიციენტი;

3.3. ინფლაციის დონე;

3.4. საპროცენტო განაკვეთის

ამპლიტუდა;

3.5. სახელმწიფო ვალი.

GCI-ის IV სვეტი – **ჯანმრთელობის დაცვა და დაწყებითი განათლება** მოიცავს:

A. ჯანმრთელობის დაცვა:

4.1. მალარიის გავლენა ბიზნესზე;

4.2. მალარიის შემთხვევები;

4.3. ტებერკულიოზის გავლენა ბიზნესზე;

4.4. ტუბერკულიოზის შემთხვევები;

4.5. შიდსი;

4.6. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი;

4.7. სიცოცხლის ხანგრძლივობა.

B. დაწყებითი განათლება:

4.8. დაწყებითი განათლების ხარისხი;

4.9. სკოლაში შემსვლელ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა;

4.10. სამთავრობო ხარჯები.

GCI-ის V სვეტი – **უმაღლესი განათლება და ტრენინგი** მოიცავს:

A. რაოდენობრივი მაჩვენებლები:

საშუალო განათლების ხარჯები.

B. ხარისხობრივი მაჩვენებლები:

5.1. განათლების სისტემის ხარისხი;

5.2. მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლების ხარისხი;

5.3. მენეჯმენტის სკოლების ხარისხი;

5.4. სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

C. მუშაობის პროცესში სწავლება:

5.5. ტრენინგ-კურსების ხელმისაწვდომობა და სპეციალიზებული კვლევები;

5.6. თანამშრომელთა ტრენინგისათვის დახარჯული დრო და სახსრები.

GCI-ის VI სვეტი – **ბაზრის ეფექტიანობა** მოიცავს:

A. კონკურენციის დონე.

1. **შიდა ბაზარზე კონკურენცია:**

6.1. შიდა კონკურენციის ინტენსივობა;

6.2. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა;

6.3. საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა კონკურენციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით;

6.4. მთლიანი გადასახადის კოეფიციენტი;

6.5. ბიზნესის დაწყების პროცედურების რაოდენობა;

6.6. საჭირო დრო ბიზნესის დაწყებისათვის;

6.7. სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გატარების ხარჯები.

2. **საგარეო ბაზარზე კონკურენცია:**

6.8. საგაჭრო ბარიერები;

6.9. უცხოური კაპიტალის დომინირება;

6.10. უცხოური ინვესტიციების კანონების ზემოქმედება ბიზნესზე;

6.11. საბაჟო პროცედურების სიმძიმე;

6.12. იმპორტის ხვედრითი წონა **მშპ**-ში.

B. შიდა ბაზარზე მოთხოვნის ხარისხი:

6.12. მომხმარებლის ორიენტაციის ხარისხი ბაზარზე;

6.13. მომხმარებლის დახვეწილობის დონე.

GCI-ის VII სვეტი – **შრომის ბაზრის ეფექტიანობა** მოიცავს:

7.1. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის კოოპერაცია;

7.2. მოქნილობის ხარისხი ხელფასის განსაზღვრის დროს;

7.3. შრომის ბაზრის მოქნილობა;

7.4. დაქირავების და განთავისუფლების პრაქტიკა;

7.5. სამსახურიდან განთავისუფლების ხარჯები;

7.6. შრომის ანაზღაურება და შრომის მწარმოებლურობა;

7.7. პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა;

7.8. „ტვინების“ გადინება ქვეყნიდან;

7.9. ქალთა წილი სამუშაო ძალაში.

GCI-ის VIII სვეტი – **ფინანსური ბაზრის მოქნილობა** მოიცავს:

8.1. ფინანსური ბაზრის დახვეწილობა;

8.2. საფონდო ბირჟების ჩართულობა დაფინანსებაში;

8.3. სესხის აღების სიადვილე;

8.4. ვენჩურული კაპიტალის არსებობა/ხელმისაწვდომობა;

8.5. შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე;

8.6. ინვესტორთა დაცვის დონე;

8.7. ბანკების სიძლიერე;

8.8. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება;

8.9. იურიდიული უფლებების ინდექსი.

GCI-ის IX სვეტი – **ტექნოლოგიური მზადყოფნა** მოიცავს:

9.1. უახლოესი ტექნოლოგიებისათვის ხელმისაწვდომობა;

9.2. ტექნოლოგიების ათვისება ფირმის დონეზე;

9.3. კანონმდებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების შესახებ;

9.4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიური ტრანსფერები;

9.5. მობილური ტელეფონების აბონენტთა რაოდენობა;

9.6. ინტერნეტის მოხმარების ინდექსი;

9.7. პერსონალური კომპიუტერები;

9.8. ფართოზოლიანი ინტერნეტის მომხმარებლები.

GCI-ის X სვეტი – **ბაზრის სიდიდე** მოიცავს:

10.1. შიდა ბაზრის სიდიდის ინდექსი;

10.2. საგარეო ბაზრის სიდიდის ინდექსი.

GCI-ის XI სვეტი – **ბიზნესის დახვეწილობა** მოიცავს:

11.1. შიდა ბაზრის მომწოდებელთა რაოდენობა;

11.2. შიდა ბაზრის მომწოდებელთა ხარისხი;

11.3. კლასტერული განვითარების მდგომარეობა;

11.4. კონკურენტული უპირატესობის ხასიათი;

11.5. ღირებულებათა ჯაჭვის სიდიდე;

11.6. საერთაშორისო დისტრიბუციის კონტროლი;

11.7. წარმოების პროცესის დახვეწილობა;

11.8. მარკეტინგის გამოყენების ხარისხი;

11.9. კომპანიის მართვაში გადაწყვეტილებების მიღების დელეგირების სურვილი.

GCI-ის XII სვეტი – **ინოვაცია** მოიცავს:

12.1. ქვეყანაში ინოვაციური პროცესების არსებობის შესაძლებლობები და უნარი;

12.2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი;

12.3. კომპანიების სამეცნიერო კვლევებსა და ახალი პროდუქტების წარმოებაზე (R&D) დანახარჯები;

12.4. R&D-ის მიზნით კოოპერირების ხარისხი უნივერსიტეტებსა და კომპანიებს შორის:

12.5. მოწინავე ტექნოლოგიური პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;

12.6. მეცნიერებისა და ინჟინრების რიცხოვნობა;

12.7. პატენტები (სტატისტიკური სამსახურების ინფორმაცია).

წყარო: Business Forecast by; http://www3.weforum.org/docs/WEF_Global_competitiveness Report_2010_11.pdf

ГЛОБАЛУРИ КОНКУРენტუნარიანობის რეიტინგი (Global Competitivess rate) – ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დადგენის განზოგადებული მაჩვენებელი, გლობალური ინდიკატორი, ეყრდნობა გლობალური კონკურენტუნარიანობის (Global Competitivess Index - GCI) და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის (Business Competitivess Index - BCI) ინდექსებს. ორ ათეულ წელზე მეტია მას ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც, გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, ეფუძნება ბიზნესლიდერებსა და წამყვანი კვლევითი ინსტიტუტების გამოკითხვის შედეგებს, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებს. ანკეტა მოიცავს ბიზნესგარემოზე მოქმედ ფაქტორთა ფართო წრეს, რომელშიც, SWOT ანალიზის საფუძველზე, გათვალისწინებულია ქვეყნის

კონკურენტუნარიანობის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

გამოკითხვა ხორციელდება ყველა სიდიდის კომპანიის, მათ შორის მცირე კომპანიების (100-დან 20 ათასამდე) გამოკითხვას.

EF-ის მიერ გამოქვეყნებულ 2010-2011 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით 139 ქვეყნიდან პირველ ათეულში ყველაზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფოების რიცხვში შევიდა შემდეგი ქვეყნები: შვეიცარია, შვედეთი, სინგაპური, აშშ, გერმანია, იაპონია, ფინეთი, ნიდერლანდი, დანია, კანადა. შემდეგ მოდის ჰონკონგი, დიდი ბრიტანეთი, ტაივანი, ნორვეგია, საფრანგეთი, ავსტრალია, ყატარი, ავსტრია, ბელგია, ლუქსემბურგი და ა.შ.

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ყველაზე წარმატებულია ესტონეთი (33-ე ადგილი). ლიტვას უჭირავს 47-ე ადგილი, აზერბაიჯანს 57-ე, რუსეთს – 63-ე, ლატვიას – 70-ე, ყაზახეთს – 72-ე, უკრაინას – 89-ე ადგილი. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს უკავია 93-ე ადგილი, სომხეთს – 98-ე, ტაჯიკეთს – 116-ე, ხოლო ყირგიზეთს – 121-ე ადგილი. ბოლო ადგილები გაინაწილეს ყველაზე ჩამორჩენილმა განვითარებადმა ქვეყნებმა. 139 ქვეყანას შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ვერ მოხვდნენ ბელარუსი, მოლდოვა, უზბეკეთი, თურქმენეთი.

საგულისხმოა, რომ საქართველომ, წინა 2009-2010 წლებთან შედარებით, 2010-2011 წლებში მხოლოდ 3 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაშინ როდესაც აზერბაიჯანმა – 12 პოზიციით.

გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872-1950) (Gogichaishvili Filipe) - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1935), **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი** და **პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პირველი გამგე (1918-1923).** პოლიტიკური ეკონომიის გარდა კითხულობდა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ფინანსებისა და სტატისტიკის საუნივერსიტეტო კურსებს.

ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილების სტუდენტმა (1897-1901), მისი დამთავრების შემდეგ, აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში (1901). იყო თბილისის საქალაქო სათათბიროს, შემდეგ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს გამგე (1903-1913), რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში (1914-1916), კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარე (1917-1918), სახელმწიფო კონტროლიორი (1918-1920), საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1946-1950).

1905-1906 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას“. დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ ფოლკლორისტიკაშიც. 1905 წელს ვრცელი წინასიტყვაობით გამოაქვეყნა ა. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ქართული ფოლკლორული ნიმუშების მნიშვნელოვანი ნაწილი („სახალხო ლექსები“), ხოლო 1937 წელს გამოსცა ამ მდიდარი მასალის პოეტური ნაწილი („ხალხური სიტყვიერება“. ტ. 1).

ფ. გოგიჩაიშვილი ეწეოდა ფართო მთარგმნელობით მოღვაწეობას. მისი თარგმნილია არაერთი ეკონომიკური ხასიათის ნაშრომი, მათ შორის დევიდ რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“, ა. სმითის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, კ. მარქსის „კაპიტალი“, ტ. 1-3 და სხვ.

ფ. გოგიჩაიშვილს ეკუთვნის ნაშრომი „ხელოსნობა საქართველოში“, რომელიც გერმანულიდან ითარგმნა და „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ“ დასტამბა 1976 წელს.

გრადუალიზმი (gradualism) - 1. მეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც სწავლობს ეკონომიკური სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში ევოლუციური გადასვლის გზებსა და კანონზომიერებებს; 2. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ევოლუციური მოდელი, რომელიც ორთოდოქსული მოდელის ალტერნატივაა. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის თანდათანობითი კონვერსია ძველი ელემენტების გამოყენების საფუძველზე, გამორიცხავს უკიდურეს რადიკალიზმს და უშუალოდ გათვლილია ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე. გრადუალიზმისთვის ნიშანდობლივია: სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეცვლა-განახლება ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციების მნიშვნელოვანი შენარჩუნებითა და სახელმწიფო მარეგულირებელი როლის განმტკიცებით, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრება, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და სტიმულირება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლა და ა.შ. ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება ჩინეთში და უკავშირდება „ჩინურ სასწაულს“.

გრანტი (grant) - ინოვაციური ხასიათის სამუშაოთა მიზნობრივი შეღავათიანი ან დაუბრუნებელი დაფინანსება. გრანტის მიღების პრეტენდენტი შეიძლება იყოს

ერთი პირი ან გარკვეული ჯგუფი, რომელსაც დამუშავებული აქვს პროგრესული იდეა, მაგრამ არ გააჩნია დაფინანსების საკუთარი წყარო. გრანტი ჩვეულებრივ გაიცემა კონკურსის წესით. იგი ეძლევათ სახელმწიფო სტრუქტურებს, მეწარმეებს, კერძო ფირმებს გარკვეულ ვალდებულებათა დაკისრებით.

გრანტ-ელემენტი (grant elements) - გაცემული საგარეო კრედიტების შეღავათიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი. სხვაობა ვალის მომსახურებაზე მომავალში გადასახდელ ღირებულებასა და კრედიტის ნომინალურ სიდიდეს შორის. რაც უფრო მცირეა ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის მოცულობა და რაც უფრო ხანგრძლივია ძირითადი თანხის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი, მით უფრო შეღავათიანია კრედიტი.

სსფ-ის მოთხოვნით გრანტ-ელემენტმა არ უნდა გადააჭარბოს 35%-ს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს: კრედიტის ხანგრძლივობას — 10 წელი, შეღავათიან პერიოდს — 5 წელი, საპროცენტო წლიურ განაკვეთს — 4%.

გრძელვადიანი კრედიტი (long-term credit) - ფულადი სახსრების სესხად გაცემა ხანგრძლივი პერიოდით — 10-დან 45-60 წლამდე.

გუგუშვილი პაატა (1905-1987) (Gugushvili Paata) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1940), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1927). იყო თსუ ლექტორი, დოცენტი (1930-1940), პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე (1941-1942), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (1944-1976), განყოფილების გამგე (1976-1987), რომელსაც 1991 წლიდან მიენიჭა პ. გუგუშვილის სახელი, თავისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" მთავარი რედაქტორი (1958-1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1958-1962), საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრი (1959-1963).

პ. გუგუშვილი იყო პირველი ქართველი ეკონომისტი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში აირჩიეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან პირველმა დაიცვა საქართველოში სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკაში. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, სოციო-

ლოგიის, სტატისტიკის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, დემოგრაფიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების, ქართული ეკონომიკური აზრის, ქართული ჟურნალისტიკის, ბიბლიოლოგიის პრობლემებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ძირითადი ნაშრომებია: „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები". თბილისი, 1973; „სოციოლოგიური ეტიუდები". ტ. 1, თბილისი, 1970; ტ. 2, თბილისი, 1971; „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX- XX სს.-ში". ტ. 1, თბილისი, 1949; ტ. 2, თბილისი, 1956; ტ. 3, თბილისი, 1959; ტ. 4, თბილისი, 1962; ტ. 5, თბილისი, 1965; ტ. 6, თბილისი, 1979; ტ. 7, თბილისი, 1984.

გუდვილი (goodwill) - არამატერიალური აქტივები, რომელიც არ ექვემდებარება მატერიალურ განზომილებებს და გათვალისწინებულია კომპანიის მხოლოდ მთლიანად გაყიდვის (ყიდვის) შემთხვევაში. კომპანიის ერთობლივი აქტივების საბაზრო შეფასების გადამეტება ამ აქტივების ცალ-ცალკე აღებულ ინდივიდუალურ საბაზრო ფასზე. შესყიდული კომპანიის რეპუტაციის, მისი კავშირურთიერთობების, ხელსაყრელი ადგილმდებარეობისათვის გადახდილი საფასური.

გუნია ავთანდილი (1912-1997) (Gunia Avtandil) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), წევრ-კორესპონდენტი (1967), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1966). 1939 წელს დაამთავრა მოსკოვის გ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1942-1952 წლებში მუშაობდა მოსკოვში საკ. კპ ცკ-ის აპარატში, იყო საქართველოს კპ ცკ-ის განყოფილების გამგე (1953), საქართველოს კულტურის მინისტრი (1953-1957), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1957-1960), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1960-1976), დირექტორი (1976-1991), 1991 წლიდან გარდაცვალებამდე – საპატიო დირექტორი. ძირითადი ნაშრომებია: „კვლავწარმოების ტემპები და პროპორციები საქართველოს ეკონომიკაში". თბილისი, 1966 (რუსულ ენაზე); „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში". თბილისი, 1984.

დ

დაბალანსებული ბიუჯეტი (balanced budget) - ბიუჯეტი, რომელშიც მთლიანი ხარჯები ზუსტად მთლიანი შემოსავლების ტოლია.

დაბალანსებული ზრდა (balanced growth) – სიტუაცია, როცა ეფექტიანი სამუშაო ძალა, კაპიტალი და გამოშვება ერთი და იგივე ტემპით იზრდება.

დაზოგვის პარადოქსი (paradox of saving) – ყაირათიანობის პარადოქსი; მარტივი მოდელი, რომელიც უკავშირდება მოკლევადიან პერიოდში შემდეგი ორმაგი შედეგის მიღებას: მეტი დაზოგვა შედეგად გამოშვების შემცირებისა და უცვლელ დანაზოგს განაპირობებს. მაგრამ საშუალო- და გრძელვადიან პერიოდებში სხვა მექანიზმი მოქმედებს, რომლის შედეგად დანაზოგის დონის ზრდას უფრო მაღალი დანაზოგი და, შესაბამისად, შემოსავალი მოაქვს. ამრიგად, პოლიტიკა, რომელიც დაზოგვას წაახალისებს, ეფექტიანია საშუალო– და გრძელვადიან პერიოდებში, ხოლო მოკლევადიან პერიოდში მან შეიძლება რეცესია გამოიწვიოს.

დაზღვევის პოლისი (insurance policy) – დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმობა, რომელსაც მზღვეველი აძლევს დამზღვევს. დაზღვევის პოლისს, სავალდებულო წესით, თან ერთვის დაზღვევის წესები. მზღვეველს არა აქვს უფლება მოთხოვოს დამზღვევს რაიმე დამატებითი მტკიცებულება ამასთან დაკავშირებით. დაზღვევის პოლისში ასახულია დაზღვევის ძირითადი პირობები: დაზღვევის ობიექტი, დაზღვევის თანხა,დაზღვევის შენატანების ოდენობა და ვადები. როგორც წესი დაზღვევის პოლისი სახელობითია, შეიძლება იყოს წარდგენის უფლებით.

დაკვეთა (order) - საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სახე. დაკვეთის მნიშვნელოვანი ფორმაა სახელმწიფო დაკვეთები პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაზე, მათ შორის, ექსპორტზე.

დაკვეთების პორტფელი (backlog of orders) - დაკვეთების ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ფირმა მოცემულ დროის მონაკვეთში. დაკვეთების პორტფელი მას აძლევს საშუალებას, აწონ-დაწონოს წარმოებრივი სიმძლავრეების დატვირთვის შესაძლებლობები და დონე, თავისი ეკონომიკური პერსპექტივა და ადგილი ბაზარზე.

დაკრედიტება (crediting) [<ლათ. credere] - ფულის ან საქონლის გაცემა დროებით სარგებლობაში უკან დაბრუნების პი-

რობით (ჩვეულებრივ, კრედიტით სარგებლობისათვის წინასწარ შეთანხმებული პროცენტის გადახდით).

„ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲤᲐᲡᲘ (charm price) - ფსიქოლოგიური ფანდი, გამყიდველის მიერ ჩვეულებრივ „მრგვალ“ სიდიდეზე ცოტა დაბლა (მაგ., 10 დოლარის ნაცვლად – 9 დოლარი და 95 ცენტი) დადგენილი ფასი, რომელსაც ხშირად იყენებენ ვაჭრობაში მყიდველთა მიზიდვის მიზნით.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ - ᲓᲦᲒ (value-added tax-**VAT**) - უნივერსალური არაპირდაპირი გადასახადის სახეობა, რომელიც მოიცავს უმრავლესი სახის საქონელსა და მომსახურებას და იფარება წარმოებული დამატებული ღირებულების მთლიანი თანხიდან. **ᲓᲦᲒ**-ის საბოლოო გადამხდელი მომხმარებელია. ზოგიერთი საქონელი და მომსახურება თავისუფლდება დღგ-საგან.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ (value added) - ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვაობას წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა და შუალედური მოხმარების (მატერიალური დანახარჯების, საამორტიზაციო ანარიცხებისა და ზედნადები დანახარჯების) ღირებულებას შორის. გაიანგარიშება როგორც სხვაობა სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ (savings) - შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ გამოიყენება მიმდინარე მოხმარებისათვის და გამიზნულია ინვესტირებისათვის. სხვა სიტყვებით, იგი წარმოადგენს სხვაობას მიმდინარე შემოსავალსა და მიმდინარე მოხმარებას შორის. დანაზოგს ქმნიან როგორც ფირმები, ისე საოჯახო მეურნეობები (ჰაუსჰოლდის ბლოკი). ცნობილია, რომ როგორც ცალკეული პირების, ისე ქვეყნის შემოსავლების ზრდა ხელს უწყობს დანაზოგის გადიდებას. დანაზოგი კერძო და საზოგადოებრივი დანაზოგების ჯამია.

ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲐ (propensity to savings) - დანაზოგის წილის ზრდა შემოსავალში.

ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲘ (expenses, costs of production) - საწარმოს, ორგანიზაციისა და ა.შ. მიერ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობა, გამოხატული ფულადი ფორმით.

ᲓᲐᲠᲒᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ (intersechoral balance) - ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, დარგებს შორის სამეურნეო კავშირების ამსახველი, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ბალანსი. დგება როგორც ფულადი,

ისე ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით. ძირითადია მთლიანი და პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მაჩვენებლები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მას **„დანახარჯები-გამოშვება“** ეწოდება.

ДАРГОБРИВИ КОНКУРЕНТУНАРИАНОБА (branch competitiveness) – დარგის მდგრადი ზრდის უნარი, რომელიც მიიღწევა ორი გზით: 1. დარგობრივი მწარმოებლურობის ზრდითა და 2. დასაქმების ზრდით. საბოლოო ანგარიშით კი, დარგში დამატებული ღირებულების ზრდით. კონკურენტუნარიან დარგში კომპანიები პერმანენტულად აუმჯობესებენ მწარმოებლურობის მაჩვენებლებს როგორც ტექნოლოგიური, ისე მენეჯერული ინოვაციების შემოღებით, ამასთან, ბაზარს უფრო ხარისხიან ან უფრო იაფ პროდუქციას (მომსახურებას) აწვდიან, რითაც ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას. ფაქტორები კი, რომლებიც მოქმედებს დარგის კონკურენტუნარიანობაზე, განსხვავდება დარგების მიხედვით. ამიტომ ეკონომიკური ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ცალკეული დარგის განვითარების სტრატეგიას, რომლის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული დარგის კონკურენტუნარიანობის ფაქტორთა ანალიზის შემდეგ.

არსებობს ოთხი ეტაპი, რომელთა მიხედვითაც ხდება შერჩეულ დარგში კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის განსაზღვრა. **პირველ ეტაპზე** კეთდება დარგის ანალიზი გლობალურ კონტექსტში: მსოფლიოს რომელი კომპანიებია მოწინავე ამ დარგში, რა პროდუქცია და მომსახურება არის ყველაზე კონკურენტუნარიანი, ვინ არიან ამ დარგის ყველაზე გავლენიანი მოთამაშეები და რატომ. რამდენიმე მეთოდი გამოიყენება დარგის ანალიზის დროს, მაგრამ აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ანალიზი. ამ მეთოდის და ანალიზის ერთდროულად გამოყენების შედეგად ხდება დარგზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა, მათი პრიორეტიზაცია და დარგში წამყვანი ბიზნესმოდელების ნათლად წარმოდგენა; **მეორე ეტაპზე** ხდება შერჩეული დარგის ანალიზი უკვე იმ ფაქტორების ჭრილში, რომელთა პრიორეტიზაცია მოხდა პირველ ეტაპზე. გაანალიზდება მოცემულ დარგში შექმილი დამატებული ღიებულების წვლილი მთლიანად ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. ამ ეტაპზე საჭიროა ე.წ. ბენჩმარკინგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დარგის ძირითადი პარამეტრების შედარება უნდა მოხდეს სხვა ქვეყნის მოწინავე დარგის საშუალო პარამეტრებთან. ამ ეტაპობრივი ანალიზის შედეგად დარგის ხარვეზების დადგენა

ხდება ისევ დარგის ძირითადი მამოძრავებელი ძალების ჭრილში. მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიებისთვის (IT), როგორც მაღალი დამატებული ღირებულების მატარებელი დარგისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია დაფინანსების ისეთი სახეობა, როგორიც არის ვენჩურული კაპიტალი, განსაკუთრებით ე.წ. ბიზნესანგელოზების არსებობა. ეს ფაქტორი, სამაგიეროდ არ წარმოადგენს მუხრუჭს სატელეკომუნიკაციო ბიზნესში, პირიქით, თუ ტელეკომუნიკაციებში ანტიმონოპოლიურ რეგულირებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის იგი მეორეხარისხოვანია, სამაგიეროდ, უფრო მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების დაცვის კანონის მოქმედება ქვეყანაში და ა.შ.; **მესამე ეტაპზე** ხდება დარგის დაინტერესებული მხარეებისა და გავლენიანი მოთამაშეების გამოვლენა და მათი ინტერესების, ძალთა თანაფარდობისა და ლიდერული პოზიციების ანალიზი; **მეოთხე ეტაპზე** შემუშავდება დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. ეს შეიძლება იყოს წმინდა თეორიული სავარჯიშო, პრაქტიკული და რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ანუ რაც ხდება მეცნიერული კვლევის დროს კაბინეტებში. რეალური მდგომარეობის გათვალისწინება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხერხდება დარგის ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების შეკრება და მათი ნებაყოფლობითი თანამონაწილეობით დარგის სტრატეგიის ჩამოყალიბება, სტრატეგიული პროგრამის დასახვა და პასუხისმგებლობების განაწილება.

ასეთი შეხვედრების ორგანიზება და პოზიტიურ შედეგებამდე მიყვანა ძალზე რთული ამოცანაა, მაგრამ აუცილებელი, იმისათვის რომ შემუშავდეს დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა მხარის ინტერესებს და არ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის გატარებას.

დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ის, რომ კრიტიკული პარამეტრების მიხედვით მოცემულმა დარგმა ვერ შეძლოს კონკურენციის გაწევა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ამ დარგის საექსპორტო წამახალისებელი პოლიტიკის გატარება არ იქნებოდა ეკონომიკურად და ფინანსურად გამართლებული. იგივე ძალისხმევა სხვა დარგში უფრო დიდ ეფექტს მოიტანდა. მაგ., შესაძლოა აბრეშუმის ტექსტილის აღორძინება საქართველოში არ აღმოჩნდეს მარ-

თებული, ვინაიდან მსოფლიო ბაზარზე გაბატონებულ ჩინურ და ინდურ აბრეშუმს ხარჯთა სტრუქტურით ვერ გაუწიოს კონკურენცია, რაც ამ დარგისთვის კრიტიკული პარამეტრია.

დასაქმება (employment) - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა, რომელიც დაკავებულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობით. არსებობს **დაქირავებით დასაქმება და თვითდასაქმება.**

დაქირავებულ მუშაკად ითვლება პირი, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს ანაზღაურების მიღების მიზნით, აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნის, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებულად ითვლება შინამეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი, ან ის პირი, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ფულით ან ნატურით საოჯახო შემოსავლის მიღება.

დასაქმების ბუნებრივი დონე (natural level of employment) – დასაქმების დონე, როდესაც უმუშევრობა მისი ბუნებრივი დონის ტოლია.

დასაქმების დონე (rate of employment) - დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან.

დასაქმებული მოსახლეობა (employees) - შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, რომელიც აღრიცხულია ქვეყნის კანონმდებლობაში განსაზღვრული შესაბამისი ნორმებით.

დაუკვირვებადი ეკონომიკა (non-observable economy - NOE) – ტერმინი 1994 წელს შემოიღო ევროკავშირმა მთლიანი შიდა პროდუქტის ყოვლისმომცველი გაზომვის უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია რამდენად სრულად ასახავს ეკონომიკურ საქმიანობას ეროვნული ანგარიშები, რომელშიც უდიდესი როლი აკისრია არა მხოლოდ ეკონომიკურ კვლევებს, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვასაც. მაგრამ ეს ძნელად მისაღწევია ეკონომიკური საქმიანობის რიგი სახეობების აღრიცხვის სიძნელის გამო, რასაც თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო ართულებს მათი ფართო სპექტრი.

ფარულ, ჩრდილოვან, კრიმინალურ, არაფორმალურ სფეროებში, ასევე, შინამეურნეობებში საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებულ, ან კიდევ, ძირითადი მონაცემების შეკრე-

ბის სისტემის ნაკლოვანების შედეგად წარმოქმნილ ეკონომიკურ საქმიანობათა ერთობლიობას დაუკვირვებადი ეკონომიკა (ДЕ) ეწოდება.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება სიღარიბე გაიზომოს **მშპ**-ის მაჩვენებლით მოსახლეობის ერთ სულზე. ამასთან, **მშპ** არ იძლევა ქვეყნის ეკონომიკის ზუსტ შეფასებას, რაც საერთაშორისო შედარებისას გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის.

მთლიანი შიდა პროდუქტის სრულყოფილი შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ДЕ-ის გაზომვას საერთაშორისო სტანდარტების, სახელდობრ, 1993 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის (ЕАს-93) შესაბამისად, რაც განსაკუთრებით ძნელად მისაღწევია სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ დაუკვირვებადი ეკონომიკა გაცილებით მცირეა განვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე განვითარებადში. ამასთან, არსებობს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ როდესაც ოფიციალურ ეკონომიკაში ადგილი აქვს დაცემას, იმავდროულად იზრდება დაუკვირვებადი ეკონომიკა.

ДАУСАЕМЕБЛОБИС КОЕФИЦИЕНТИ (nonemployment rate) – გამოითვლება დაუსაქმებელი მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან.

ДАФРАХТВА (freight) - გემის დაქირავება.

ДАЩАРЕБУЛИ ИНФЛАЦИА (accelerating inflation) - ინფლაციის მკვეთრად მზარდი ტემპი.

ДАЦЕМА (**ЕКОНОМИКУРИ**) (recession) - დაბალი საქმიანი აქტიურობისა და უმუშევრობის მაღალი დონის პერიოდი, რომელიც ხასიათდება საშუალოსთან შედარებით ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემით.

ДАЦЕМИС ЕТАПИ (decay) - პერიოდი, რომელიც იწყება, სიმწიფის ეტაპის გადალახვის შემდეგ, საქონლის გასაღების დაცემით.

ДЕБЕНТУРА (debenture) [<ლათ. debere მევალედ ყოფნა] - საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნების შესახებ.

ДЕБИТАНТИ (petty merchant) - წვრილი ვაჭარი.

ДЕБИТОРИ (debtor) (ლათ. debitor) - დავალიანების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ДЕБИТОРУЛИ ДАВАЛИАНЕБА (debts, liabilities) - ვალი, რომელიც ეკუთვნის ფირმას იურიდიული ან ფიზიკური პირისგან და წარმოიქმნება მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე.

ДЕБУРСი (noncompensation for expenses) - აუნაზღაურებელი დანახარჯები.

ДЕВАЛВАЦИА (devaluation) [ლათ. de ...tvaleo] - 1. ცენტრალური ბანკის აქცია, რომელიც

ვლინდება ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსის შემცირებით, უცხოურ ვალუტებთან შედარებით.

დევალვაცია გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებისათვის, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ვინაიდან იგი უარყოფითად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე. ასეთ შემთხვევაში უცხოური ვალუტის მფლობელები დაბალ ფასებში იძენენ ადგილობრივ საქონელს, ხოლო შიდა ბაზარზე ფასები იმპორტზე იზრდება. თუ საექსპორტო პროდუქციის წარმოება არ გაიზრდება, მაშინ ექსპორტისაგან ნაკლები იქნება შემოსავალი, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს საგადასახდელო ბალანსის პრობლემას; 2. ოქროს პარიტეტის გაუქმებამდე (1978) დევალვაცია გამოხატავდა აგრეთვე ფულად ერთეულში (ეროვნულ ვალუტაში) ოქროს შემცველობის ოფიციალურ შემცირებას ან მისი კურსის დაცემას სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. საპირისპიროა — რევალვაცია.

ДЕВИЗИ (exchange) (ფრანგ. devises) - უცხოურ ვალუტაში გამოხატული საგადასახდელო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორება. დევიზად ითვლება თამასუქი, ჩეკი, ფულადი გზავნილი, უცხოური ფასიანი ქაღალდები, აკრედიტივი და სხვ.

ДЕЗИНВЕСТИЦИА (disinvestment) – ძირითადი კაპიტალის ნაწილის წინასწარგანზრახული დაშლა, ამორტიზაციის ანაზღაურებისათვის საჭირო აღდგენითი ინვესტიციების განუხორციელებლობა.

ДЕЗИНФЛАЦИА (desinflation) - ეკონომიკაში ფასების ზრდის ტემპის დაცემის ტენდენცია, ინფლაციის ტემპის შემცირება, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაღალი უმუშევრობის ხარჯზე. დეზინფლაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდით ან ხანგრძლივ პერიოდში — უმუშევრობის შედარებით მოკრძალებული ზრდით.

ДЕКУВЕРИ (decouvert) [<ფრანგ. decouvert თავდაუხურავი) — სხვაობა ქონების ფასსა და სადაზღვევო თანხას შორის, დატოვებული დამზღვევის რისკზე.

ДЕЛИВЕРИ (delivery order) - წერილობითი განკარგულება საქონლის გაცემის შესახებ.

ДЕЛИСТИНГИ (delisting) - აქციების ამოღება საკოტირო სიიდან ბირჟის ან თვით კომპანიის გადაწყვეტილებით. დელისტინგი ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: ა). თუ აქციები კომპანიამ უკან დააბრუნა ან გადაცვალა; ბ). თუ კომპანიას ჩამოერთვა აქტივები ან გაკოტრდა; გ).

თუ აქციების საჯარო გავრცელების მასშტაბი უმნიშვნელოა; დ). თუ კომპანია არღვევს ხელშეკრულებას ლისტინგის შესახებ და ა.შ.

დემერეჯი (demurrage) - ხელშეკრულება საზღვაო გადაზიდვის შესახებ, რომლის თანახმადაც გემის დამქირავებელი (დამფრახტველი) უხდის ჯარიმას გემის მფლობელს ხელშეკრულებით დადგენილი ზენორმატიული დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის.

დემონოპოლიზაცია (demonopolization) - სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული წარმოების მონოპოლიზებული სტრუქტურის წინააღმდეგ და კონკურენციის განვითარებისაკენ. ხორციელდება საკანონმდებლო ღონისძიებების საფუძველზე და თანაბარ პირობებს ქმნის საკუთრების სხვადასხვა ფორმისათვის. დემონოპოლიზაცია განაპირობებს მეწარმეთა რაოდენობის ზრდას, კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრას.

დემპინგი (dumping) [ინგლ. ჩამოგდება, ჩამოშვება] - საქონლის ექსპორტი ხელოვნურად შემცირებული ფასით (საშუალო საბაზრო დონეზე ბევრად იაფად), პოტენციური კონკურენტების შევიწროებისა და ბაზრის დაპყრობის მიზნით. დემპინგის წინააღმდეგ იყენებენ სპეციალურ საბაჟო გადასახადს.

დენადობის კოეფიციენტი (fluctuation index) – სამუშაოდან წასულთა შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობასთან.

დენომინაცია (denomination) - ქვეყნის ფულადი ერთეულის გამსხვილება ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლის საფუძველზე, დადგენილი თანაფარდობით. ანალოგიური თანაფარდობით გადაიანგარიშებენ ფასებს, ტარიფებს, ხელფასებს, ბანკების ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს, საწარმოთა ბალანსებს და ა.შ.

დეპოზიტი (deposit) [<ლათ. depositum შესანახად გაცემული ნივთი] - 1. შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები საფინანსო-საკრედიტო, ადმინისტრაციულ და საბაჟო ორგანიზაციებში; 2. მოვალის მიერ სასამართლო დაწესებულებებში კრედიტორისათვის გადასაცემად შეტანილი ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები.

დეპოზიტია: ანაბრები ბანკებში, ფასიანი ქაღალდები საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებში, შენატანები გადასახადის, ბაჟის და ა.შ. სახით და სხვ.

დეპოზიტი მოთხოვნამდე (sight deposit (bill) - საბანკო ანაბარი, რომლის გამოტანაც მოთხოვნისთანავე შეიძლება.

დეპოზიტი მოკითხვამდე (demand deposit, deposit money) -

ანაბრის სახით მოკითხვამდე ბანკში შენახული ფულადი სახსრები.

ДЕПОЗИТОРИ (depositor) - 1. დეპოზიტის მფლობელი; სხვაგვარად დეპონენტი; 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ეკუთვნის ფულადი თანხა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ეს ფული განსაზღვრულ ვადაში არა აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებს.

ДЕПОНЕНТИ (deponent) [<ლათ. deponens (deponentis) გადამწყობი] - იგივეა, რაც დეპოზიტორი.

ДЕПОНИРЕБА (deposition) - ფულადი თანხის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების შესანახად გადაცემა საკრედიტო დაწესებულებებისათვის.

ДЕПОРТი (deport) - სპეკულაციური საბირჟო გარიგება, რომელიც ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემას, კურსთაშორისი სხვაობით მოგების მიღების მიზნით.

ДЕПРЕСИУЛი РАИОНი (depressed area) - გეოგრაფიული ზონა ან რაიონი, რომელიც გაცილებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, ვიდრე ქვეყანა მთლიანად. „დეპრესიულობის“ ინდექსად ყველაზე მეტად გამოიყენება უმუშევართა წილი შრომისუნარიანთა მთლიან რიცხოვნობაში. ამასთან, გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ინდექსებიც, მათ შორის, ეკონომიკური ზრდის ტემპები და შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე. მოსახლეობის გადინება რეგიონიდან აგრეთვე განიხილება როგორც დეპრესიული რაიონის მახასიათებელი. ბევრ ქვეყანაში მთავრობა ატარებს რეგიონულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია დეპრესიული რაიონების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ДЕПРИВАТИЗАЦИА (de-privatization) – პრივატიზებული ქონების დროებითი ნაციონალიზაცია მისი ხელახალი პრივატიზაციის მიზნით. მაგ., თუკი ჩაითვლება, რომ პრივატიზაცია დარღვევით ჩატარდა, მაშინ შეიძლება განხორციელდეს დეპრივატიზაცია.

ДЕСЕТინა (dessiatina) [<ლათ. decima - მეათედი] - 1. მიწის საზომი ერთეული რუსეთში. ცნობილია XV საუკუნის ბოლოდან. თავდაპირველად წარმოადგენდა კვადრატს, რომლის გვერდები 1/10 ვერსს (2500 კვ საჟენი) უდრიდა. სახაზინო დესეტინა 2400 კვ. საჟენით ანუ 1,0925 ჰა-ით განისაზღვრა.

XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე რუსეთში გამოიყენებოდა აგრეთვე სამეურნეო ირიბი, სამეურნეო წრიული, და საბახჩე ასობითი დესეტინები და, შესაბამისად, შეადგენდა 3200, 3600, 10000 კვ. საჟენს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ზომის მეტრულ სისტემაზე გა-

დასვლასთან დაკავშირებით, დესეტინას გამოყენების სფერო შეიზღუდა, ხოლო 1927 წელს მთლიანად აიკრძალა; 2. მოსავლის ან სხვა შემოსავლის მეათედი ნაწილი, რომელსაც გადასახადის სახით იხდიდა მოსახლეობა, ეკლესია-მონასტრების შესანახად. თავდაპირველად, უძველეს დროში არსებობდა ებრაელებთან, შემდეგ კი დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებში გავრცელდა. შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია კრეფდა დესეტინას პურისა და ყურძნის მოსავლისგან (ე.წ. დიდი დესეტინა), საბოსტნე და ტექნიკური კულტურების მოსავლისაგან (ე.წ. მცირე დესეტინა), მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით მიღებული შემოსავლისაგან (ე.წ. სისხლის დესეტინა). მისი გაუქმება დაიწყო XVIII საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან. პირველად გაუქმდა საფრანგეთში 1789-1790 წლებში, სხვა ქვეყნებში — XIX საუკუნის მანძილზე სხვადასხვა პერიოდში. რუსეთში დესეტინა შემოღებულ იქნა X საუკუნეში, ხოლო გაუქმებული — XIX საუკუნის ბოლოს.

ДЕФИЦИТИ (deficit, shortage) [<ლათ. deficit უკმარობა] - 1. ეკონომიკური სიტუაცია, რომლის დროსაც არსებული ფასების პირობებში მოთხოვნა ამა თუ იმ საქონელზე აღემატება მის მიწოდებას. დეფიციტის წარმოშობაზე, წმინდა ეკონომიკური მიზეზების გარდა, გავლენას ახდენს ბუნებრივი, პოლიტიკური, ისტორიული და ა.შ. ფაქტორები. ამიტომ იგი ამა თუ იმ ფორმით შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ სამეურნეო სისტემაში, მათ შორის, განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაშიც. ფირმის საქმიანობის ლიმიტირება ხდება მოთხოვნით მის პროდუქციაზე. ამიტომ მოთხოვნის გაფართოებით წარმოშობილი სასაქონლო დეფიციტი ასტიმულირებს წარმოებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მიწოდების გაფართოებაში აისახება. დეფიციტი დაიძლევა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირებით, მაგრამ, ვინაიდან მიკროდონეზე ასეთი წონასწორობის მიღწევა ძნელია, იქმნება დეფიციტის საპირისპირო ვითარება — შეფარდებითი ჭარბწარმოება. წარმოების პროცესი ციკლურ ხასიათს იძენს, ამა თუ იმ საქონლის გამოშვების მოცულობა კი მასზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობით რეგულირდება. ამრიგად, მეურნეობის საბაზრო სისტემაში დეფიციტს დროებითი ხასიათი აქვს, მისი დაძლევის მექანიზმი კი თვით წარმოებაშია; 2. სიტუაცია, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები აღემატება შემოსავლებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯონ მეინარდ კეინზი იყო პირველი, ვინც წამოაყენა

წანადადება, მთავრობას დაეგეგმა დეფიციტი როგორც თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი.

დეფიციტის დაფინანსება (deficit finansing) - ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც იყენებს მთავრობა დეფიციტის დასაფარავად. ეს ტერმინი ასახავს როგორც მთავრობის შიდა საქმიანობის შედეგებით გამოწვეულ, ისე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დაფინანსებას.

დეფიციტური ვალუტა (starce, hard currency) - სხვაგვარად — მყარი ვალუტა.

დეფლატორი (implicit price deflator) - ფასების ინდექსი, გამოყენებული ეროვნული შემოსავლის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დეფლირებისათვის. დეფლატორი პააშეს ფასების ინდექსია, ამიტომ იგი უფრო ნელა იზრდება, ვიდრე ლასპეირესის ფასების ინდექსი, ისეთი, როგორიც არის საცალო ან საბითუმო ფასების ინდექსები.

დეფლაცია (deflation) [<ლათ. deflation გამობერვა] - ეკონომიკაში ფასების საშუალო დონის დაცემის ტენდენცია ერთობლივი მოთხოვნის დაქვეითების ან საქონლის ღირებულების დაცემის საფუძველზე, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ან მიმოქცევის არხებიდან ჭარბი ფულის ამოღების ხარჯზე. დეფლაცია ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესი და მასთან ბრძოლის საშუალებაა. მას სახელმწიფო ახორციელებს როგორც ფულად-საკრედიტო, ისე საგადასახადო მექანიზმით. საკრედიტო-ფულად ღონისძიებებს იგი ატარებს საკრედიტო რესტრიქციით, რაც გამოიხატება სარგებლის ნორმის ამაღლებით, კრედიტების ლიმიტირებით, სამომხმარებლო კრედიტის პირობების გაუარესებით და ა.შ. სახელმწიფო ჭარბ ფულს მიმოქცევიდან იღებს, აგრეთვე გადასახადების გადიდებით, ხელფასის „გაყინვით", სახელმწიფო ხარჯების ზოგიერთი სახეობის შემცირებით და სხვა ღონისძიებებით. დეფლაციური პოლიტიკის გატარება იწვევს ეკონომიკის განვითარების ტემპების შენელებასა და უმუშევრობის ზრდას.

დეფოლტი (default) - კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადება ვალების გადაუხდელობის გამო და ფასიან ქაღალდებზე პროცენტის გაცემის შეწყვეტა.

„დიდი დეპრესია" (Great Depression) - 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ყველაზე ღრმა ისტორიაში, რომელმაც სათავე ნიუ-იორკში აიღო.

„დიდი შვიდეული" (G7) – მსოფლიოს შვიდი ძლიერი სახელმწიფოს — აშშ, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია, კანადა — გაერთიანება.

დივერსიფიკაცია (diversi-

fication) [<ლათ. diversus სხვადასხვა+facere კეთება] - მრავალმხრივი განვითარება; **წარმოების დივერსიფიკაცია** — წარმოების მრავალი სახის ერთდროული განვითარება, ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოება; **ექსპორტის დივერსიფიკაცია** — ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების სახეების რაოდენობის გაზრდა.

ДИВЕРСИФИЦИРЕБУЛИ ПОРТФЕЛИ (diversified portfolio) - აქტივების ნაკრები, რომელსაც ფლობს ფირმა. ჩვეულებრივ, იგი მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მაგრამ პრინციპში არ გამორიცხავს რეალურ აქტივებსაც.

ДИВИДЕНДИ (dividend) [<ლათ. dividendus–განაწილებისათვის დაქვემდებარებული] - შემოსავალი, რომელსაც იღებს აქციის მფლობელი აქციონერული საზოგადოების მოგებიდან. ჩვეულებრივი აქციებიდან მიღებული დივიდენდის ოდენობა დამოკიდებულია აქციონერული საზოგადოების მოგებაზე, პრივილეგიური აქციებიდან მიღებული დივიდენდი კი მტკიცედ დადგენილი ფიქსირებული სიდიდეა.

ДИВИДЕНДИ ФАСИАНი ქАღАЛДЕБИს ФОРმИთ (stock dividend) – დივიდენდის გაცემის მეთოდი არა ნაღდი ფულით, არამედ ახალი, დამატებითი აქციებით. ამის განსახორციელებლად ფირმამ თავისი სახსრები უნდა გადაიტანოს წმინდა მოგებიდან კაპიტალის ანგარიშზე.

ДИЗАЖИО (disaggio) (იტალ. disaggio) - ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსის დაცემა მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით; ანგარიშობენ პროცენტობით. დიზაჟიო ქაღალდის ფულზე წარმოიშობა ინფლაციის პირობებში და მისი გამოვლენის ერთ-ერთი სახეა. საპირისპიროა — აჟიო.

ДИЛЕРИ (dealer) [<ინგლ. dealer საბირჟო მაკლერი, დალალი] - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საფონდო ბირჟის წევრია და პროფესიულ დონეზე ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით. ბროკერისაგან განსხვავებით, რომელიც შუამავალია, დილერი ოპერაციებს საკუთარი ხარჯებით აწარმოებს. მას არა აქვს უფლება, უშუალოდ კლიენტებთან დადოს შეთანხმება. იგი გარიგებას აწარმოებს ბროკერებთან. შეკვეთას კლიენტებისაგან ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვის შესახებ იღებენ მხოლოდ ბროკერები. დილერები სპეციალდებიან ფასიანი ქაღალდების სახეების მიხედვით. მათი მოგებაა სხვაობა ნაყიდ და გაყიდულ ფასიან ქაღალდებს შორის.

ДИСБАЛАНСИ (disbalance) - შემოსავლებისა და ხარჯების, აქტივებისა და პასივების, დებეტისა და კრედიტის დაუბალანსებლობა, შეუსაბამობა.

ДИСКОНТИ (discount) [<ლათ. computare] - 1. სარგებლის განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს კრედიტს; 2. თამასუქის განაღდება მისი ვადის გასვლამდე ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით ნაკლებ ფასში; 3. საბირჟო და სავალუტო გარიგებისას — შესაბამისად საქონლისა და ვალუტის ფასდათმობა (ფასგამოკლება).

ДИСКОНТИРЕБА (discounting) - კაპიტალურ თანხაზე სარგებლის განაკვეთის დამატება. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მომავალში გადასახდელი თანხის დღევანდელი ეკვივალენტის დასადგენად. მომავალი თანხის ამჟამინდელი ღირებულება განისაზღვრება დისკონტის კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც სარგებლის ნორმისა და დისკონტირების პერიოდზეა დამოკიდებული.

ДИСКОНТИРЕБУЛИ ДИРЕБУЛЕБА (discounted value) - მომავალში მოსალოდნელი შემოსავლის ან დანახარჯის (გადასახდელის) ჯამს მინუს კაპიტალზე სარგებელი, როგორც მოლოდინის კომპენსაცია.

ДИСКОНТИС ПРОЦЕНТИ (discount rate) - განაღდებული პროცენტი — სარგებელი, რომელსაც იხდიან თამასუქის ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვისას მათი ვადის გასვლამდე; სხვაობა თამასუქის ნომინალურ ღირებულებასა და მასში გადახდილ თანხას შორის.

ДИСКОНТУРИ ОБЛИГАЦИА (diskount bond) – ობლიგაცია, რომელიც განაღდებისას ერთჯერად გადახდას ექვემდებარება.

ДИСКРЕЦИА (discretion) [<ლათ. discretion] - ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ДИСКРЕЦИУЛИ МОქМЕДЕБА (discretionary) [<ლათ. იხ. დისკრეცია] - მოქმედება საკუთარი შეხედულებისამებრ.

ДИСПАША (claims adjustment) [<ფრანგ. dispache] - გემის ავარიის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება გაანგარიშება რეისის მონაწილე მხარეებს შორის ზარალის გასანაწილებლად.

ДИСПАჩი (dispatch) [<ინგლ. — სისწრაფე] - გასამრჯელო, პრემია, რომელსაც გემის მფლობელი უხდის ტვირთის მფლობელს გემის ვადამდე დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის.

ДИСТანციური სწავლება (distance learning) - განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა, რომელიც ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ორ მხარეს შორის კონტაქტის გარეშე იძლევა დაშორებულ მან-

ძილზე სწავლების განხორციელების საშუალებას, შესაძლებელს ხდის მინიმალური დანახარჯებით მსმენელთა დიდი რაოდენობის მიერ მრავალმხრივი და მაქსიმალურად მაღალკვალიფიციური ინფორმაციის მიღებას.

ДИСТРИБУТОРИ (distributor) [<ინგლ. distributor - გამანაწილებელი] - ფირმის აგენტი, რომელსაც ევალება ამ ფირმის პროდუქციის რეალიზაცია განსაზღვრულ რეგიონში. იგი მუშაობს შესაბამისი საქონლის მწარმოებელ ფირმასთან დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ბროკერისაგან განსხვავებით, დისტრიბუტორი არ არის შუამავალი, იგი ბირჟასთან არ არის დაკავშირებული და მუშაობს არა კლიენტის სახელით ან მისი ანგარიშით, არამედ თავისი სახელით და თავისი ანგარიშით. როგორც წესი, მწარმოებელი ფირმა აძლევს თავის დისტიბუტორს საქონელს გარკვეული ფასდაკლებით, რაც ამ უკანასკნელის შემოსავლის წყაროა. მაგრამ ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით დისტიბუტორს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს საბოლოო სარეალიზაციო ფასი. ფირმის შეთანხმება ამ სახის აგენტთან გრძელვადიანია და ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული შემდეგი ფუნქციების შესრულებას: მოცემულ რეგიონში რეკლამის ორგანიზაციას, მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევას, ბაზრის კონიუნქტურისა და მყიდველთა გამოხმაურებების ანალიზსა და სხვ. ამ ფუნქციების შესრულებისათვის ფირმა უზრუნველყოფს დისტრიბუტორს საჭირო სარეკლამო პროსპექტებით, აწვდის სათადარიგო ნაწილებს და ა.შ. მსხვილ ფირმებს თავიანთი დისტრიბუტორები ჰყავთ არა მხოლოდ რეგიონებში, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ ფირმებში დისტრიბუტორებთან კავშირის დასამყარებლად შექმნილია სპეციალური განყოფილებები.

ДОЛЛАРИ(dollar) - ამჟამად დოლარი მსოფლიოს 27 სახელმწიფოს (ავსტრალია, კანადა, სინგაპური, ახალი ზელანდია, ზიმბაბვე და ა.შ.) ვალუტას ჰქვია. თუმცა საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, აშშ დოლარი აინტერესებს. იგი შემოღებულ იქნა 1786 წელს. ამერიკული დოლარი (რომელიც 100 ცენტს უდრის) იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე მასაჩუსეტის შტატის ქალაქ დალტონში. ყოველდღიურად უშვებენ 22 მლნ 500 ათას ბანკნოტს, მათ შორის ერთდოლარიანი 45%-ს შეადგენს. ერთდოლარიანის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ წელიწადნახევარია, ხოლო ასდოლარიანის – 20 წელზე მეტი.

დომარი ევსეი (1914-1997) (Domar Evsey) - ამერიკელი პოლონური წარმოშობის ეკონომისტი, ეკონომიკური ზრდის თეორიების ცნობილი მკვლევარი. მან დაისახა მიზნად დაედგინა ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნისა და წარმოებრივი სიმძლავრეების ბალანსირებულ ზრდას. დომარის კვლევის შედეგები ჰაროდის მიერ მიღებული შედეგების ანალოგიური აღმოჩნდა. ამჟამად ისინი ცნობილია ჰაროდ-დომარის პირობების სახელწოდებით. იგი მიუთითებს ინვესტიციების ორმაგ ეფექტზე: პირველი, მათ მოაქვთ შემოსავალი, მეორე, ზრდიან წარმოებრივ სიმძლავრეებს, მაშინ როდესაც კეინზიანური თეორია მიუთითებდა მხოლოდ პირველ ეფექტზე. დომარის მთავარი ნაშრომია „ნარკვევები ეკონომიკური ზრდის თეორიებში“ (1957).

დოტაცია ბიუჯეტიდან (budget subsidy) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი სახსრების გაცემა დაუბრუნებლობის პირობით. დოტაცია ეძლევათ სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ბალანსირების მიზნით. ბოლო ხანს ეს ფორმა შეავიწროვა ფინანსური დახმარების ახალმა სახემ — სუბვენციამ.

დოუ-ჯონსის ინდექსი (Dow Jones' index) - 1. შემოიღო ამერიკელმა ბიზნესმენმა ჩ. დოუმ 1897 წელს. ადგენს ფასიანი ქაღალდების კურსის მიმართულებას (კრიზისკენ თუ აღმავლობისკენ). გამოიყვანება როგორც უმნიშვნელოვანესი აქციების საშუალო არითმეტიკული. დგება 3 ჯგუფად: I - 30 სამრეწველო აქცია; II - რკინიგზის აქცია; III - 15 კომუნალური აქცია. დოუ-ჯონსის ინდექსზე გავლენას ახდენს: რისკის ფაქტორი, სარგებლის განაკვეთი, ლიკვიდუნარიანობა, ფულის დაბანდების ალტერნატიული სფეროები; 2. აშშ-ის უმსხვილესი კომპანიების საშუალო აქციების კურსები, რომლებზეც მოდის საბირჟო ბრუნვის დაახლოებით მესამედი, მათ შორის ისეთი ცნობილი ფირმებისა, როგორიცაა „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფი“ (ATT), „ბეტლეჰემ სტილი“, „დიუპონი“, „ექსონი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „ჯენერალ მოტორზი“, „იუნაიტედ-სტილი“ და სხვ. 30 სამრეწველო კომპანიის აქციების კურსის დაჯამებით მიღებული თანხის საფუძველზე განისაზღვრება კრებსითი ინდექსი. მისი გაანგარიშება პერიოდულად კორექტირდება არსებული მდგომარეობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ დოუ-ჯონსის ინდექსს ამერიკულ პრესაში ხშირად აკრიტიკებენ და ალტერნატიული მაჩვენებლებიც კი

მოჰყავთ, მისი დინამიკა მაინც ზუსტად გამოხატავს ამ ქვეყნის მდგომარეობას. ანალოგიური ან მსგავსი მაჩვენებლები განვითარებული ფინანსური ბაზრების სხვა ქვეყნებშიც მუშავდება.

ДУАЛИЗМИ (dualism) - ურთიერთგამომრიცხავი პრინციპების, ვითარების (სასურველისა და არასასურველის) არსებობა საზოგადოებაში. ასეთი დუალიზმის მაგალითებია: საუნივერსიტეტო განათლება და მასობრივი წერაკითხვის უცოდინარობა, ფუფუნება და უკიდურესი სიღარიბე, ეკონომიკის ტრადიციული და თანამედროვე სექტორები, ზრდა და უძრაობა და ა.შ.

ДУАЛИЗМИС ТЕОРИА (dualism theory of) - თეორია, რომლის კონტურები პირველად მოხაზა მალთუსმა. იგი ეკონომიკას განიხილავდა როგორც ორი მთავარი სექტორის — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ერთიანობას. მალთუსის აზრით, ეკონომიკის ორ ნაწილად დაყოფა და მათ შორის ურთიერთქმედების შესწავლა განვითარების პროცესის ადვილად გაგების შესაძლებლობას იძლევა. სასოფლო-სამეურნეო სექტორისათვის დამახასიათებელია არასასაქონლო წარმოება, წარმოების პრიმიტიული და არაეფექტიანი მეთოდების გამოყენება, დაბალი შრომის ანაზღაურება და, შესაბამისად, დაბალი ცხოვრების დონე. სამრეწველო სექტორში, თუმცა, შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია, ფართოდ არის გავრცელებული სიღარიბე და უმუშევრობა. ეს არის მთავარი პრობლემა განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც მსხვილი ქალაქების გვერდით არის ახალი დასახლებული მოსახლეობა, რომელსაც არ შეუძლია იპოვოს სამუშაო ან საცხოვრებელი ან ორივე ერთად, მაგრამ არ სურს დაუბრუნდეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებს (იხ. ლუის-ფეისრეინისის მოდელი).

ДУИМИ (inch) [<ჰოლანდ. duim დიდი თითი] - 1. სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში; 2. სიგრძის ერთეული საზომთა ძველ რუსულ სისტემაში; გაუქმდა 1918 წელს. 1 დუიმი უდრის 1/12 ფუტს.

ДУОПОЛИЯ (duopoly) - საბაზრო სიტუაცია, ბაზრის ფუნქციონირების ფორმა, როდესაც კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ბაზარზე მრავალი გამყიდველი და მხოლოდ ორი მსხვილი მყიდველია. მათ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ გამყიდველებზე, მაგ., შეუძლიათ დასწიონ საბაზრო ფასები.

ე

ეგზოგენური მტკ (exogenous scientific-technological progress) [<ბერძ. exo გარედან, genos გვარი, მოდგმა] - წარმოების ავტონომიური ფაქტორი; ეგზოგენური (გარეგანი მიზეზებით წარმოქმნილი) ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივი ფუნქცია. გულისხმობს ტექნოლოგიური პროგრესის გარედან მართვას. საპირისპირო — ენდოგენური **მტკ**.

ევრო (euro) - ერთიანი ევროპული ვალუტა, ოფიციალური ფულის ერთეული შემოღებული ეკიუს (ecu) ნაცვლად 1999 წლის 1 იანვრიდან. ევროზონაში შევიდა 11 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. საბერძნეთს არ მიეცა უფლება და 2001 წლამდე ვერ გაერთიანდა ევროზონაში. 2007 წელს მას დაემატა სლოვენია, ხოლო 2008 წლის 1 იანვრიდან კვიპროსი და მალტა. შემოღების მომენტში ევროს გაცვლითი კურსი ასეთი იყო: 1 ევრო — 1 ეკიუ. 2002 წლის 1 იანვრამდე არსებობდა უნაღდო სახით. ბანკნოტებისა და მონეტების სახით მიმოქცევაში შევიდა 2002 წლის 1 იანვრიდან. სახელწოდება „ევრო“ შეთანხმებულ იქნა ევროკავშირში 1995 წლის დეკემბერში.

ახალი ევროპული ცენტრალური ბანკი დაფუძნდა ფრანკფურტში და იგი ევროზონის მონეტარულ პოლიტიკაზე გახდა პასუხისმგებელი. ევროს სიმბოლოა •. იგი შექმნა ევროკომისიამ და საჯაროდ გამოცხადდა დუბლინში 1996 წლის დეკემბერში.

ამჟამად საქართველოში სავალუტო რეზერვი ორ ვალუტაშია განთავსებული — ამერიკულ დოლარსა და ევროში. მათი თანაფარდობა 2003 წლის მონაცემებით, შესაბამისად, შეადგენდა 70% 30%-თან. 2007 წლის მონაცემებით, ეს თანაფარდობა გახდა 60% 40%-თან. მსოფლიოში და, ბუნებრივია, საქართველოშიც, მიმდინარე პროცესების ცვლილებებიდან გამომდინარე, დოლარსა და ევროს რეზერვებს შორის თანაფარდობა შეიცვალა. 2010 წლის მონაცემებით, ეს თანაფარდობაა 75% 22-25%-თან. დანარჩენი — სხვა სრულად კონვერტირებადი ვალუტებია.

ევროდოლარი (eurodollar) - ევროპული დოლარი. ამერიკული დოლარით გამოხატული ფულადი საშუალება, რომელსაც მფლობელები ათავსებენ აშშ-ის ფარგლებს გარეთ, უმთავრესად ევროპულ ბანკებში და იყენებენ საკრედიტო ოპერაციებისათვის. ევროდოლარის ბაზარი წარმოიშვა XX საუკუნის 50-იანი წლების დამლევს.

ევროკავშირი (European Union - **EU**) - შეიქმნა ევროპული გაერთიანების ბაზაზე მაასხტრიტის 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილსამყოფელია ბრიუსელი.

1993 წლიდან ევროკავშირში გაუქმდა შეზღუდვები კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაზე. 2007 წლის ბოლოსათვის მისი წევრი 27 ქვეყანა გახდა. ესენია: საფრანგეთი, ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი. ამჟამად 27 ქვეყნისგან შემდგარ ჯგუფს ზოგჯერ EU27-ს უწოდებენ.

ევროკავშირის ყველაზე დიდი ქვეყნებია: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო. ამ ქვეყნებზე მოდის EU27-ის 75%.

ევროკავშირის საკონსულტაციო და საკოორდინაციო ორგანოა ევროპარლამენტი, რომლის ადგილსამყოფელია სტრასბურგი. (იხ. ევროპული ეკონომიკური გაერთიანება; ევროპული გაერთიანება).

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს-საბჭო (EU-GBC) - შეიქმნა 2006 წლის 3 თებერვალს ბრიუსელში ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ (GGMW), STATOIL-მა და კანარგომ. ამავე წელს საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია გახდა ამ საბჭოს წევრი.

ევროობლიგაცია (Eurobond) - ფასიანი ქაღალდი, რომლის ემისიას ახორციელებს სახელმწიფო ევროპის ბაზრებზე (საფონდო ბირჟებზე გასაყიდად). ვალის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სახელმწიფო იღებს სესხად და ამისთვის იხდის საკმაოდ მაღალ პროცენტს. იგი შედარებით ძვირი სესხია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხები. ამასთან, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, არ ხდება მისი მიზნობრიობისა და ხარჯვის გაკონტროლება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank for Reconstruction and Development -**EBRD**) - სახელმწიფოთაშორისო ბანკი, დაარსდა 1991 წელს ლონდონში. ახორციელებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ცენტრალური აზიის ქვეყნების გრძელვადიან დაკრედიტებას, ამასთან, ინვესტირების გზით მათ დახმარე-

ბას უწევს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

ევროპული გაერთიანება (European Community - **EC**) - ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (**ECSC**), ევროპული ეკონომიკური გაერთიანებისა (**EEC**) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (**EAEC**) საერთო სახელწოდება. შეიქმნა 1967 წელს და აერთიანებდა დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანას (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი).

1993 წლის 1 ნოემბრიდან მაახსტრიტის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპულმა გაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის ოფიციალური სახელწოდება.

ევროპული ეკონომიკური გაერთიანება (European Economic Community - **EEC**) - დაარსდა 1957 წელს საერთო (ევროპული) ბაზრის სახელწოდებით საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდის მთავრობების მიერ ხელმოწერილი რომის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საბაჟო კავშირის შექმნას, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობისათვის ყველა ბარიერის ლიკვიდაციას, აგრეთვე საერთო სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას. გარდა აღნიშნულისა, გაერთიანების დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღეს ევროპულმა საინვესტიციო ბანკმა და ევროპულმა სოციალურმა ფონდმა, რომელთა მიზანი ამ გაერთიანების ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია იყო. 1968 წელს სრული საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა ყველა შიდა ტარიფი და შეიქმნა საერთო საგარეო ტარიფი. 1977 წელს გაერთიანებამ დადო ხელშეკრულება საბაჟო კავშირის შესახებ თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან, რაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი თანამშრომლობის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენდა.

გაერთიანებამ 1962 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის კოორდინირებასთან დაკავშირებით.

1972 წელს ბრიუსელის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, 1973 წელს გაერთიანების ექვს ქვეყანას დაემატა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, რომლებმაც თავიანთი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა გაერთიანების წესების შესაბამისად დაარეგულირეს. 1982 წელს გაერთიანებაში შევიდა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს

– პორტუგალია და ესპანეთი.

1967 წელს გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურა შეერწყა ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებისა (**ECSC**) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (**EAEC**) სტრუქტურებს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპული გაერთიანება, ხოლო 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებით, ევროგაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის სახელწოდება.

ევროპის ცენტრალური ბანკი (European Central Bank – ECB) – ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში, რომელიც პასუხისმგებელია ევროზონაში მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე.

ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი სამრეწველო კლასიფიკაცია (General Industrial Clasification of Economic Activities within European Communities) - **NACE** - ევროკავშირის საბაზო კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით როგორც ბაზა ეროვნული კლასიფიკაციების შესაქმნელად.

კლასიფიკაციის ობიექტებს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სახეები. **NACE** განკუთვნილია სამართლებრივი ერთეულების (იურიდიული და ფიზიკური პირების) აღწერისათვის მათი ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნის – ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. აღნიშნულ კლასიფიკაციაში დეტალიზებულია **ISIC**-ის კოდური პოზიციები ათნიშნა ციფრული კოდის მესამე და მეოთხე ნიშნის დონეზე.

ეკიუ (Ecu) - ევროპული ვალუტის ერთეული, შემოღებულ იქნა 1979 წელს. 1999 წლის პირველი იანვრიდან იგი ევრომ შეცვალა.

ეკოლოგიური ბანკი (ecological bank) - ასეთი ბანკის დეპოზიტები არის არა ფინანსური რესურსები, არამედ დასაშვებ ზომაზე ზევით დაბინძურების მოცულობის შემცირების დოკუმენტურად დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლები, რაც კომერციული გაცვლის საგანია. ეკოლოგიურ რეგულირებაში საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ეს მეთოდი უკავშირდება გარემოს დაბინძურების უფლების ბაზრის შექმნას. ის ფირმები, რომლებიც შეძლებენ გარემოს დაბინძურების „ზენორმატიულ“ შემცირებას, შეუძლიათ თავიანთი „ნამეტი“ (სხვაობა გარემოს ზენორმატიულ და ნორმატიულ დაბინძურებას შორის) ეკოლოგიური ბანკების მეშვეობით მიჰყიდონ სხვა ფირმებს. ამრიგად, ეს „ნამეტი“ იქცევა საგნად, რომელიც სტიმულს მისცემს ფირმებს არა მხოლოდ დაიცვან კანონით გათვალისწინებული ბუნების დაცვის ნორმები, არამედ კიდევ უფრო

შეამცირონ გარემოს დაბინძურების დონე, რათა ამით მიეცეთ შესაძლებლობა მათაც აწარმოონ ეს „ნამეტი“ და წარმოადგენდნენ მეანაბრეებს ეკოლოგიურ ბანკებში.

ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია (conception of ecological economy) - მხარს უჭერს ეკოლოგ-ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და მისი რეალიზაციისათვის ისახავს ორ გზას: პირველი მიმართულების წარმომადგენლები მთელ ეკოსისტემას ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და მოითხოვენ ეკონომიკურ საქმიანობაში ბუნებრივი პროცესების ჩართვას. მეორე მიმართულების წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებას მეურნეობრიობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულებამ მიიღო ენვაირომენტული დეტერმინიზმის (environmental determinism) სახელწოდება. მის მიხედვით გარემო არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომლებიც ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნასა და გარემოს დაბინძურებას.

ეკოლოგიური უსაფრთხოება (environmental safety) - მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმ შიდა და გარე ეფექტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებასა და, გარკვეული თვალსაზრისით, არყევს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

ეკონომეტრია, ეკონომეტრიკა (econometrics) - ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური მოვლენების ანალიზსა და პროგნოზირებაში მათემატიკური მოდელების გამოყენებაზე და დაკავშირებულია მათემატიკური წარმოდგენით რეალური მოვლენების ადეკვატურობის განსაზღვრა-შეფასებასთან.

ეკონომეტრიკული მოდელი (econometrical model) - მთელი ეკონომიკის ან მისი ნაწილის მათემატიკური მოდელი, რომლის პარამეტრები შეფასებულია ეკონომეტრიკული მეთოდებით.

ეკონომიკა (economy, economics) [<ბერძ. oikonomia მეურნეობის მართვა] - 1. მეურნეობა (ქვეყნის, საწარმოს, ოჯახისა და

ა.შ.), წარმოებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის ერთობლიობა. იყოფა მიკრო-, მეზო-, მაკრო-, და მეგაეკონომიკებად. 2. მეცნიერება, რომელიც სწავლობს როგორც ეკონომიკური კანონების თეორიულ ასპექტებს, ისე მეურნეობის კონკრეტულ მდგომარეობას. ინგლისურ ენაში პირველი მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება სიტყვა economy, ხოლო მეორისათვის-economics. სიტყვა economy მეორე მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ შემდეგ სიტყვათწყობაში – political economy-პოლიტიკური ეკონომია.

ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, იყოფა თეორიულ და კონკრეტულ ეკონომიკურ დისციპლინებად.

კლასიკური განმარტებით, ეკონომიკა, როგორც თეორიული ცოდნის სფერო, სწავლობს ადამიანთა ქცევას შეზღუდული რესურსების სხვადასხვა წესით გამოყენებისას. დასახული მიზნის მისაღწევად ამათგან ოპტიმალური წესის შერჩევა თეორიული ეკონომიკური მეცნიერების ლაიტმოტივია.

ეკონომიკა, როგორც კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინა, შეისწავლის ეკონომიკის სექტორებსა (აგრარული, ინდუსტრიული, მომსახურების) და დარგებს, როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, აგრეთვე, წარმოების პირობებსა და ელემენტებს.

თავდაპირველად ეკონომიკის შესახებ პრიმიტიული წარმოდგენები არსებობდა. მათ ძველეგვიპტურ პაპირუსებში, ქვაზე ამოკვეთილ ლურსმნულ წარწერებში, ძველინდურ ვედებში და სხვა წყაროებში ვხვდებით. შემდეგ ეკონომიკის მეცნიერულად გააზრების მცდელობა გამოჩნდა ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონებში (ძვ.წ. XVIII ს.), ჩინეთში – კონფუციისა და მენძის (ძვ.წ. VI-V სს.), (ძვ.წ. III ს.) შეხედულებებში და ა.შ.

ეკონომიკური მეცნიერების საწყისების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეებს – ქსენოფონტს, პლატონსა და არისტოტელეს.

ქსენოფონტმა დაწერა წიგნი „ოიკონომია“ და ამით პირველმა სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა სიტყვა „ეკონომიკა“. ამრიგად, „ეკონომიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. იგი (oikonomia) სიტყვა-სიტყვით საოჯახო მეურნეობის მართვას („ოიკოს“ – სახლი, მეურნეობა და „ნომოს“ – წესი, კანონი) ნიშნავს.

არისტოტელემ „ეკონომიკისაგან“ განასხვავა „ქრემატისტიკა“, როგორც არა მეურნეობის მართვის, არამედ ფულის კეთების ხელოვნება.

როგორიც უნდა ყოფილიყო

ანტიკური ეპოქის ამ ან სხვა მოღვაწეების (მაგალითად, ანტიკური რომის ცნობილი წარმომადგენლების — კატონის (234-149), ძმები ტიბერიუს (169-132) და გაიუს (153-121) გრაკქუსების, ვარონის (116-27), კოლუმელას (ახ. წ. I ს.) და სხვების, ან შემდგომი პერიოდის დიდ მოაზროვნეთა შეხედულებები ეკონომიკის შესახებ, მათ მაინც არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი. ეკონომიკა არ იყო მეცნიერების ცალკე, დამოუკიდებელი დარგი, ვინაიდან არ არსებობდა მეცნიერების კლასიფიკაცია. იგი მხოლოდ მეცნიერების ერთიან სისტემაში იყო ჩართული.

ასე რთულად იკაფავდა გზას ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სისტემურად შემსწავლელი მეცნიერება და ხაზგასმით აღსანიშნავი არაფერი ყოფილა XVI-XVII საუკუნეებამდე. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა — მერკანტილიზმი (ქვეყნის სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად საგარეო ვაჭრობის განვითარებას მიიჩნევდა), რომელმაც მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ფორმირებისათვის.

ეკონომიკის სერვიზაცია (servization of economy) - საზოგადოებრივ წარმოებასა და პირადი მოხმარების სტრუქტურაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წონის არსებითი ზრდის პროცესი. დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის, სადაც მომსახურების სფერომ ყველა ძირითადი მაჩვენებლით, მათ შორის, დასაქმებულთა რიცხოვნობით, საგრძნობლად გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად გადაიქცა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო იაპონიაში — მხოლოდ 70-იანი წლებიდან. ამჟამად აშშ-ში ყოველი ათი მომუშავიდან შვიდი დასაქმებულია მომსახურების სფეროში.

ეკონომიკის წმინდა მოგება (net profit of economy) - ეროვნული ანგარიშების სისტემაში მაკროეკონომიკური მოგების მაჩვენებელი, გაანგარიშებული როგორც სხვაობა ეკონომიკის მთლიან მოგებასა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (economically active population) - დასაქმებული მოსახლეობა (დაქირავებულები, დამქირავებლები და საკუთარი ბიზნესით დაკავებულები), სამხედრო მოსამსახურეები და სამუშაოს აქტიურად მაძიებელი რეგისტრირებული უმუშევრები. იგივეა, რაც სამუშაო ძალა.

ეკონომიკურად აქტიური სამოქალაქო მოსახლეობა (economically active civil population) - დასაქმებული მოსახლეობა (სამხედრო მოსამსახურეების გამოკლებით) და სამუშაოს მაძიებელი უმუშევრები.

ეკონომიკური ადამიანი (homo economicus) - ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩართული რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავის საქმიანობისას მაქსიმალური სარგებლიანობის მიღების პრინციპებით ხელმძღვანელობს. იგი მოცემული ისტორიული ეპოქის ძირითადი მოქმედი სუბიექტია. მისი ხასიათი, მიდრეკილებები, მიზნები, მოქმედებები და საქმიანობის საბოლოო შედეგები საზოგადოების ცხოვრების დეტერმინანტებად გვევლინება.

ა. სმითის შეხედულებით, ეკონომიკური ადამიანის უმთავრესი ნიშან-თვისებებია: 1. საქმიანობის შედეგებით პირადი დაინტერესება; 2. საქმიანობის პროცესში პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება როგორც თანამშრომლობის აუცილებელი პირობა; 3. საქმიანობისას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

ეკონომიკური აზროვნების წესი (the economic way of thinking) – ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა, რომელიც საერთოა ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. ის ინსტიტუტები, რომლებიც მართავენ საზოგადოებას (მასში, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკის მართვა იგულისხმება), მაგრამ ვერ ფლობენ მართვის საიდუმლოებას, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოებაში თანხმობას, სოლიდარობას, რის გამოც ქვეყანაში დიდია ქაოსისა და სიღარიბის საშიშროება. არადა, თანამედროვე მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებით, ეკონომიკურ აზროვნებაში ახალი, აპრობირებული წესების შემოღებით, ძალისხმევის კოორდინაციით, ქვეყნის ეროვნული უპირატესობების წინა პლანზე წამოწევით შესაძლებელია სოციალური ჰარმონიის, საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა, რაც ეროვნული ეკონომიკის აყვავების საწინდარია.

ეკონომიკური განვითარება (economic development) - საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესი. მოიცავს სამ მნიშვნელოვან შემადგენელს: 1. შემოსავლების, მოხმარების, განათლების, ჯანდაცვისა და ა.შ. დონის ზრდას; 2. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური სისტემების ფორმირების საფუძველზე ადამიანთა ურთიერთპატივისცემის ზრდის ხელშემწყობი პირობების შექმნას; 3. ისეთი სიტუაციის შექმნას, როდესაც საზოგადოებას აქვს თავი-

სი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზების არჩევის შესაძლებლობა.

ეკონომიკური განვითარება იწვევს პოზიტიურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურებში, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ქცევაში, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, უთანასწორობის შემცირებასა და უმუშევრობის აღმოფხვრაში. მისი მეშვეობით ვითარდება ეკონომიკური სისტემა და მზადდება ცხოვრების დონის ხარისხის შემდგომი ამაღლების მატერიალური და სულიერი პირობები.

ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია (General strategy of economic development) - ქვეყნის ეკონომიკის წარმართვის სტრატეგია, რეალობიდან გამომდინარე მოცემულ ეტაპზე შექმნილი განვითარების კურსი.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, სტრუქტურული თვალსაზრისით, დიამეტრალურად განსხვავდება წინა ეპოქების ეკონომიკისაგან, როდესაც დომინირებული მდგომარეობა ეკავა ჯერ სოფლის მეურნეობას, ხოლო შემდეგ – მრეწველობას. მაგალითად, თუ 1820 წელს აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70%, ამ დარგის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, 2008 წლის მონაცემებით, აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებულია მხოლოდ 1,0%, ინდუსტრიაში – 19,2%, ხოლო მომსახურების სფეროში – 79,8%. იაპონიაში ეს თანაფარდობა, შესაბამისად, ასეთია: 4,4%, 27,9% და 66,4%; გერმანიაში – 2,4%, 29,7%, 67,8%; საფრანგეთში – 3,8%, 24,3%, 71,8%; ავსტრალიაში – 3,6%, 21,1%, 75,0%; ლუქსემბურგში – 2,2%, 17,2%, 80,6%; ევროკავშირში – 5,6%, 27,7%, 66,7% და ა.შ.

არასაკმაოდ განვითარებული (ახალინდუსტრიული ქვეყნების) ეკონომიკისათვის არსებობს სხვადასხვა მიდგომა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ა) სამრეწველო განვითარება და იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით; ბ) სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა და ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში, საექსპორტო პროდუქციის წარმოების უპირატესი განვითარების საფუძველზე (უცხოური ვალუტის მიღების მიზნით) ექსპორტის გაზრდა; გ) ქალაქისა და სასოფლო რაიონების ბალანსირებული განვითარება და ა.შ. ახალინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მაღალია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წონა. მაგალითად, 2008 წლის მონაცემებით, ბრაზილიაში იგი შეადგენდა 20%-ს, ხოლო თურქეთში – 29,5%-ს (ინდუსტრია-

ში – 24,7, მომსახურების სფეროში – 45,8%-ს).

რაც შეეხება განვითარებად, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს, სადაც ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია, მათთან მიმართებაში ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგიისადმი კიდევ უფრო განსხვავებული მიდგომაა. I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ყველაზე მისაღები სამრეწველო წარმოების უპირატესი განვითარების სტრატეგიაა. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ გაიზიარა ეს შეხედულება და შეიმუშავა კიდეც შესაბამისი სტრატეგია. ზოგიერთ ქვეყანაში იმედისმომცემი შედეგებიც კი იქნა მიღწეული (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც უპირატესობას ექსპორტის განვითარებას ანიჭებდნენ, იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებასთან შედარებით), მაგრამ ქვეყნების უმრავლესობამ სავალალო შედეგები მიიღო, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

1. ინვესტიციებთან დაკავშირებული სირთულეები. მრეწველობის პრიორიტეტული განვითარება საკმაოდ დიდ ინვესტიციებს მოითხოვდა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის გამო თითქმის შეუძლებელი იყო, ადგილობრივი საინვესტიციო რესურსები კი, ჯერ ერთი, მცირე ოდენობის იყო და მეორეც, მათი გადასროლა მრეწველობაში ხდებოდა სოფლის მეურნეობის ხარჯზე და მის საზიანოდ, რაც ქვეყანაში მწვავე სასურსათო პრობლემებს წარმოშობდა;

2. ადგილობრივმა მრეწველობამ ნაკლებგანვითარებული ტექნოლოგიებისა და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამო, ვერ შეძლო იმპორტისადმი კონკურენციის გაწევა;

3. შიდა ბაზრის სივიწროვისა და დაბალი მოთხოვნის გამო, ეს ქვეყნები ვერ ახერხებდნენ რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

ამ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ ვერ შეძლო საგადასახდელო ბალანსის არსებითი გაუმჯობესება, ამასთან, იმპორტის სტრუქტურაც შეიცვალა. მზა სამომხმარებლო საქონლის ნაცვლად მასში მეტწილად სჭარბობდა მოწყობილობები, ნედლეული, დანადგარების ცალკეული ნაწილები და ა.შ. ამიტომ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდა, ხოლო შიდა ეკონომიკური პრობლემები გამწვავდა. სახელდობრ, სწრაფი ტემპით

იზრდებოდა სოფლიდან ქალაქში მიგრაცია და, შესაბამისად, უმუშევრობა, რასაც მოჰყვა პოლიტიკური პროცესების გამწვავება.

ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო პერიოდში შეცვალეს თავიანთი ეკონომიკური განვითარების კურსი და უპირატესობა სოფლის მეურნეობას მიანიჭეს. დღეს მსოფლიოში იგი აღიარებულია სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის დომინირებულ სექტორად. განვითარების სტრატეგიების უმრავლესობაშიც უპირატესობა სწორედ აგრარულ სექტორს აქვს მინიჭებული. ამ ტენდენციას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად, 2008 წლის მონაცემებით, ნიგერიის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70,0%, ინდუსტრიაში – 10,0%, ხოლო მომსახურების სფეროში – 20,0%; მოზამბიკში, შესაბამისად, 81,0%, 6,0%, 13,0%; ლიბერიაში – 70,0%, 8,0%, 22,0%; სუდანში 80,0%, 7,0%, 13,0% და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს, 2007 წლის ოფიციალური მონაცემებით, ეს თანაფარდობა ასეთია: აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 55,6%, ინდუსტრიაში – 8,9%, ხოლო მომსახურების სფეროში – 35,5%; შედარებისთვის, სომხეთში – 46,2%, 15,6%, 38,2%; აზერბაიჯანში – 39,3%, 12,1%, 48,6%.

ასეთია დღეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა, განვითარების გენერალური კურსი, რაც სამყაროს კიდევ უფრო დიფერენცირებულსა და კონტრასტულს ხდის. ერთი რამ კი ცხადია: დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტუნარიანი პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მათი ხვედრია.

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი – ედი (economic discomfort index) - მაკროეკონომიკური ინდიკატორი, **ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა ჯამი**, ახასიათებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, მაკროსტაბილურობის მდგრადობის დონეს, რომელთანაც უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია: რაც უფრო მაღალია **ედი**, მით მეტია ქვეყანაში უარყოფითი ტენდენციები და, პირიქით. მისი გაანგარიშებისათვის გამოიყენება როგორც საშუალო წლიური, ისე დეკემბრის მდგომარეობით არსებული წლიური ინფლაცია და შესაბამისი პერიოდის უმუშევრობის დონე. **ედი** ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველად შემოიტანა ცნობილმა ეკონომისტმა არტურ ოუკენმა (**ი. არჩვაძე**.

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება. „ახალი ეკონომისტი“, 2012, №1).

ეკონომიკური ეფექტიანობა (economic efficiency) - ეკონომიკური საქმიანობის შედეგიანობა, რომელიც გამოითვლება რესურსების გამოყენებით მიღებული ეკონომიკური შედეგის შეფარდებით წარმოების დანახარჯებთან.

ეკონომიკური ზრდა (economic growth) - განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით — ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, პოტენციური **მეპ**-ის მატება, გამოხატული შესადარი (მუდმივი) ფასებით; ქვეყნის მთლიანი წარმოებისა და მოხმარების ზრდა, რომელიც ხასიათდება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა: **მშპ**, **მეპ**, ეროვნული შემოსავალი და ა.შ. ფართო გაგებით — სოციალურ ინსტიტუტებში, საკუთრების სტრუქტურაში ცვლილებების პროცესი, რომელიც მოასწავებს ზრდის ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლას. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, მაგალითად, უ. როსტოუს ცნობილი თეორია ეკონომიკური განვითარების სტადიების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ისტორიული ცვლის მარქსისტული თეორიის ანტიპოდია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development- OECD) – საერთაშორისო ორგანიზაცია (1961), რომელმაც შეცვალა და გააფართოვა ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (OEEC) პარიზში 1960 წელს ხელმოწერილი კონვენციის საფუძველზე. ამით დამთავრდა მისი როგორც წმინდა ევროპული ორგანოს არსებობა, ვინაიდან აშშ და კანადა გახდნენ ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები, რითაც გაიზარდა მათი როლი განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების გაწევაში.

ამჟამად OECD სულ აერთიანებს 34 ქვეყანას. გარდა აშშ-სა და კანადისა, მასში შედის: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ჩილე, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, კორეა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი.

ეკონომიკური თეორია (economic theory) - განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით — ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ამა თუ იმ მიმართულების ამსახ-

ველი თეორია, ფართო გაგებით — ეკონომიკის განვითარების ზოგადი თეორია, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის როგორც ყველა ეკონომიკურ მიმართულებას, ისე ეკონომიკურ კანონებსა და კანონზომიერებებს, იკვლევს არსებით მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ეკონომიკური თეორია საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ამასთან, როგორც ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ სამუელსონი აღნიშნავს, იგი საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეფეა. მართლაც, საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის მას წამყვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან საზოგადოების ანატომიას, მის ეკონომიკურ განვითარებას სწავლობს. ეკონომიკურ თეორიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის განვითარების კანონზომიერებების აღმოჩენასა და შესწავლაში.

ეკონომიკა ნებისმიერი საზოგადოების არსებობის საფუძველია, საზოგადოებას კი უამრავი ბიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილება აქვს, რომლებიც სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების მოხმარებას უკავშირდება. ამ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად აუცილებელია როგორც ბუნებრივი (მიწა, მინერალური სიმდიდრე და ა.შ.), ისე წარმოებრივი რესურსების (მანქანა-დანადგარები, ინსტრუმენტები, სამუშაო ძალა, სამმართველო უნარი და სხვ.) გამოყენება. საზოგადოების მოთხოვნილებების ერთობლიობა აღემატება ყველა არსებული რესურსის წარმოებრივ შესაძლებლობებს. მოთხოვნილებები წინ უსწრებს წარმოებას, ამიტომ არის, რომ აბსოლუტური მატერიალური სიუხვე განუხორციელებელი ამოცანაა. რესურსები შეზღუდულია. ყველა მწვავე პრობლემა — ინფლაცია, უმუშევრობა, ბიუჯეტის დეფიციტი, სიღარიბე, გარემოს გაჭუჭყიანება და სხვ. — ორგანულად უკავშირდება შეზღუდული რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. ეს უდავო ფაქტი საფუძვლად უდევს ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების, განსაზღვრას.

შეზღუდული რესურსების გამოყენების პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობებისა და კანონზომიერებების შესწავლის რთული ამოცანის შესრულება ისტორიულად ეკონომიკურ თეორიას დაეკისრა.

ამრიგად, **ეკონომიკური თეორია შეისწავლის საზოგადოების განუსაზღვრელი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას, სხვადასხვა ეკო-**

ნომიკურ სისტემაში მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარებისას ადამიანთა (საბაზრო სისტემაში — ბიზნესის, შინამეურნეობისა და ხელისუფლების) ეკონომიკურ ქცევას.

გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკა იყოფა მიკრო-, მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკებად, თეორიული კვლევაც ამ ნიშნის მიხედვით მიმდინარეობს და ეკონომიკური თეორიაც სტრუქტურულად შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: მიკროეკონომიკური თეორია, მეზოეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკური თეორია და მეგაეკონომიკური თეორია.

მიკროეკონომიკა შეისწავლის ცალკეული სამეურნეო ერთეულების — შინამეურნეობის, ფირმებისა და სამთავრობო დაწესებულებების ეკონომიკურ საქმიანობას; მეზოეკონომიკა იკვლევს ეკონომიკის განსაზღვრულ ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით; მაკროეკონომიკა ეკონომიკას განიხილავს როგორც ერთ მთლიანს და აანალიზებს ისეთ ფართომასშტაბურ ეკონომიკურ პრობლემებს, როგორიცაა უმუშევრობა, ინფლაცია, ეკონომიკური ზრდა და ა.შ.; მეგაეკონომიკა იკვლევს საერთაშორისო მასშტაბის ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები და ა.შ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების ერთ მხარეს არის თეორიული ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკური თეორიის სახით, ხოლო მეორე მხარეს — ეკონომიკური მეცნიერების ყველა სხვა სფერო, ფუნქციონალური (ფინანსები, ფულის მიმოქცევა, სტატისტიკა და ა.შ.) თუ დარგობრივი მეცნიერებები. ამ მეცნიერებების ფუნდამენტი და მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური თეორია.

ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების, წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების სიმდიდრის შესწავლასთან, რაც დასაბუთებულია უილიამ პეტის, ადამ სმითის, დევიდ რიკარდოს და სხვა გამოჩენილ ეკონომისტთა ნაშრომებით, თუმცა, ეკონომიკური მეცნიერების წანამძღვრების ჩანასახი უძველესი პერიოდის აღმოსავლეთის მოაზროვნეთა მოძღვრებებშია მოცემული (იხ. ეკონომიკა).

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, როცა ინგლისში აღმოცენდა კლასიკურ-ლიბერალური მიმდინარეობა (კლასიკური პოლიტიკური ეკონომია), მეცნიერების ერთიან სისტემას გამოეყო ეკონომიკა, ეკონომიკური თეორიის სახით, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. ეკონომიკურ თეორიას, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისსა და დედაბოძს,

იმ პერიოდში პოლიტიკური ეკონომია ეწოდებოდა. ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ პირველად შემოიტანა სამეცნიერო ლიტერატურაში ფრანგმა მერკანტილისტმა მონკრეტიენმა, რომელმაც ჯერ კიდევ 1615 წელს გამოსცა წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“. ამით მან ახალი ელფერი შესძინა ქსენოფონტის მიერ შემოღებულ ტერმინს – „ეკონომიკას“. სიტყვა „პოლიტიკური“ მონკრეტიენმა პლატონისგან „ისესხა“ („პოლიტიკოს“ ბერძნულია და სახელმწიფოებრივს ნიშნავს). აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, კვლევის სფერო მთლიანად ქვეყნის მეურნეობის მართვა გახდა.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ სიღრმისეულად გააანალიზა და სისტემური მიდგომით მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სიმდიდრის წყარო უნდა ვეძიოთ არა ვაჭრობაში, ან მხოლოდ მიწათმოქმედებაში, არამედ მთლიანად წარმოებაში.

ადამ სმითის ცნობილი ნაშრომი – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776) აღიარებულია კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად, რომელმაც მის ავტორს „ეკონომიკის მამამთავრის“ სახელი მოუტანა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მთავარი კრედო ეკონომიკის ლიბერალიზაციაა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას, მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასებით ბაზრის თვითრეგულირებას („უხილავი ხელის“ თეორია) გულისხმობს. ა. სმითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა „Laissez faires“-ის პრინციპს, ანუ ბუნებრივი თავისუფლების პოლიტიკას. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარება უკავშირდება დევიდ რიკარდოს სახელს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკის არაერთი სფეროს კვლევაში.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია საუკუნენახევარზე მეტ ხანს (XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე) საფუძვლად ედო მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბაზაზე აღმოცენდა სხვადასხვა მიმდინარეობა, ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიაა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი და საპროგრამო დოკუმენტად იქცა სოციალისტური საზოგადოების აშენების მსურველი ქვეყნებისათვის. მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირისა და სხვა კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ეს 70-

წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და ადგილი დასავლურ თეორიებს დაეთმო.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის თავისებური გამოძახილი იყო და საკვლევით ეწინააღმდეგებოდა მას ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს. მის სათავეებთან იდგნენ ე. მარშალი, ო. ბემ-ბავერკი, კ. მენგერი, ფ. ვიზერი, უ. ჯევონსი, ვ. პარეტო, ლ. ვალრასი, ჯ. კლარკი და ა.შ., შემდეგ იგი განავითარეს მ. ფრიდმენმა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლებმა, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი, ჯ. მილი, რ. სოლოუ, მ. ბრაუნი და სხვები.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ძირითადად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კურსს აგრძელებს. მას სერიოზული დარტყმა კეინზიანური მიმდინარეობის წარმოშობამ მიაყენა. 1929-1933 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოაჩინა კლასიკურ-ლიბერალური მიმდინარეობის ნაკლოვანებები და ის წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოქმნა „უხილავი ხელის“ თეორიაზე აღმოცენებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ეკონომიკის მართვაში ცვლილებების შეტანა. ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც კეინზიანელობის სახელითაა ცნობილი. მას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომლის ნაზრევი ძირითადად აისახა მის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936). ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ ს. ჰარისი, ა. ჰანსენი, რ. ჰაროდი და სხვები. შეიქმნა ეკონომიკის ლიბერალიზაციის საპირისპირო — სახელმწიფო რეგულირების თეორია, რითაც ეკონომიკურ აზროვნებაში რევოლუციური გადატრიალება მოხდა. კეინზმა პირველმა გამოთქვა აზრი კრიზისული მოვლენების თავიდან აცილებისთვის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ. მისი ვარაუდით, სახელმწიფოს სოციალური ხარჯების გაზრდით, ან გადასახადების შემცირებით, ანდა ორივე ღონისძიების გატარებით შესაძლებელია მოთხოვნის ამაღლება, რითაც გამოცოცხლდება ბაზარი, გაფართოვდება წარმოება და ეკონომიკას დაუბრუნდება სრული დასაქმება.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის პრაქტიკაში დამკვიდრებით კეინზიანელობამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასა და „ველური“ კაპიტალიზმისაგან თვისებრივად განსხვავებული ახალი, სა-

ბაზრო სისტემის ფორმირებაში. აქედან მოყოლებული, კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა საკუთრების პლურალიზმზე (საკუთრების მრავალფორმიანობა მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დაფუძნებულ საბაზრო სისტემაში გადაიზარდა. სწორედ ამაში გამოიხატება ,,კეინზიანური რევოლუციის" არსი. კეინზიანური მოდელი აირჩიეს მსოფლიოს წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა XX საუკუნის 30-იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ და იგი 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე წარმატებით გამოიყენებოდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ასეთ სიტუაციაში ეკონომიკური თეორიის წინაშე ახალი ამოცანები დადგა. სრულიად ახალი შინაარსის მატარებელი რეალური ეკონომიკის ფუნქციონირების გამოკვლევისათვის ახალი ინსტრუმენტარიუმის გამოყენების აუცილებლობა შეიქმნა. მომწიფდა ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების ასახვისათვის. ამ პერიოდში ეკონომიკურ თეორიას გამოეყო მისი ერთ-ერთი უდიდესი განშტოება ეკონომიქსის სახით. იგი ახალი ეკონომიკური სისტემის – საბაზრო ეკონომიკის შემსწავლელი თეორია,ახალი სასწავლო დისციპლინაა, რომელიც გაჯერებულია საბაზრო ორგანიზაციაზე ორიენტირებული სამეურნეო პრაქტიკით.

1948 წელს პოლ სამუელსონმა გამოსცა ,,ეკონომიქსი", ყველაზე წარმატებული სახელმძღვანელო მსოფლიოში, რომელიც უკვე მეთექვსმეტეჯერ გამოიცა და მის ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.

ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობაა აგრეთვე ნეოკეინზიანელობა, რომელიც აღმოცენდა XX საუკუნის 50-იან წლებში კეინზიანელობის საფუძველზე. ნეოკეინზიანელებმა (ე. დომარი, ჯ. რობინსონი და სხვები) კეინზის თეორია გამოიყენეს მეთოდოლოგიურ საფუძვლად ახალი პროცესების ანალიზისათვის. ისინი ასაბუთებენ ეკონომიკის გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობას. მათ შემოიღეს ინდიკატური დაგეგმვა, რომელსაც საორიენტაციო ფუნქცია დაეკისრა.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიასა და პოლიტიკაში პრინციპული კორექტივების შეტანამ, რომელიც ეყრდნობა როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში, ახალი სიტყვა თქვა ეკონომიკურ თეორიაში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება ,,ნეოკლასიკური სინთეზის" სახით. იგი გულისხ-

მობს ეკონომიკური დაცემის პირობებში კეინზიანური, ხოლო ეკონომიკური აღმავლობისას – ნეოკლასიკური მეთოდების გამოყენებას. „ნეოკლასიკური სინთეზის“ მამამთავრად აღიარებულია პოლ სამუელსონი.

XX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის შენელება და 1974-1975 წლების კრიზისი, ყველაზე ძლიერი 1929-1933 წლების კრიზისის შემდეგ. დაიწყო კეინზიანური თეორიის მოწინააღმდეგეთა თავისებური „რენესანსი“, ხელშემწყობი პირობები შეიქმნა ნეოკლასიკური თეორიის აღორძინებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შესუსტების საფუძველზე ბაზრისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებისა და ერთობლივი მიწოდების გაზრდას. ამ მიმართულებამ პრაქტიკული გამოყენება პოვა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუმცა, ვერ მოხერხდა კეინზიანური თეორიის სრული დისკრედიტაცია. ნეოკლასიკური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია სახელმწიფოს სოციალური ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და სერიოზული პრობლემები შექმნა სოციალური დაცვის სფეროში. გამოიკვეთა ახალი მიმართულების შექმნის აუცილებლობა.

ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოვლენების გავლენით, ნეოკლასიკოსებმა ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. მათ აღიარეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, თუმცა, იგი რეგულირების ფულად-საკრედიტო ფორმით შემოფარგლეს. ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი პოსტულატები აისახა აშშ-ის პრეზიდენტის რეიგანის პოლიტიკაში, რომელსაც „რეიგანომიკა“ ეწოდა, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკაში, რომელსაც ტეტჩერიზმი ეწოდა.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, განვითარებული ქვეყნების და, პირველ რიგში, აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში „ნეოკლასიკური სინთეზის“ ადგილი თანამედროვე მონეტარიზმმა დაიკავა.

ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მოდელის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ გაილაშქრა ნეოკლასიკური მიმდინარეობის ამ ყველაზე გავლენიანმა ნაირსახეობამ. მილთონ ფრიდმენისა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლების თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სო-

ციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვისა“ და ა.შ. გზით. მათი აზრით, სახელმწიფო ხარჯები, ერთი მხრივ, ზრდის ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, მეორე მხრივ კი, იწვევს შრომის სტიმულირებისა და, აქედან გამომდინარე, წარმოების ზრდის დაცემას. მონეტარისტებისათვის ბაზარი თვითრეგულირების სისტემაა, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია ძირითადად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა და შეზღუდოს ეკონომიკაში ჩარევის ყველა ფორმა, მათ შორის, ნაკლებად გამოიყენოს საბიუჯეტო-საგადასახადო ბერკეტები.

„კეინზიანური რევოლუციის“ საპირისპირო ნეოკლასიკური მიმდინარეობის ამ მიმართულებას დასავლეთში „ფრიდმენის ანტიკეინზიანურ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ.

მონეტარიზმის ნაკლოვანებებმა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში მოკლე პერიოდში იჩინა თავი. 2008 წელს გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ამასთან, ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას, რამაც მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. ამაში ფრიდმენის მონეტარული პოლიტიკის ფართომასშტაბიანმა და უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა. კრიზისი, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. ასეთ სიტუაციაში წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია.

გარდა ზემოაღნიშნული მიმდინარეობებისა, ყურადღებას იმსახურებს ეკონომიკური თეორიის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში. მისი წარმომადგენლები არიან ტ. ვებლენი, ვ. როშერი, გ. შმოლერი, ვ. ზომბარტი, ჯ. გელბრეითი და სხვები, რომელთა აზრით მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს ევოლუციის გზით მივყავართ უკონფლიქტო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. ამ მიმდინარეობის საფუძველზე წარმოიშვა ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული

საზოგადოების თეორიები, კონვერგენციის თეორია და ა.შ.

ნეოინსტიტუციონალიზმი, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან რ. კოუზი, ჯ. ბიუკენენი და სხვები, აქცენტს სოციალურ პრობლემებზე აკეთებს. ამ თეორიის საფუძველზე გარკვეული ცვლილებები მოხდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. დღის წესრიგში დადგა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის სოციალურ-საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნა.

ამრიგად, ეკონომიკურმა თეორიამ, რომელიც ჩაისახა მერკანტილიზმის დროს, მომწიფდა ფიზიოკრატიზმის პერიოდში, ხოლო აღმოცენდა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბების საფუძველზე, განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო. მისი გამოყენების მასშტაბების ზრდამ ხელი შეუწყო და დააჩქარა კიდეც ინდუსტრიული საზოგადოების ტრანსფორმაცია უფრო მაღალ ისტორიულ ფაზაში — დასაბამი მისცა პოსტინდუსტრიულ ერას. ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებაზე. დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. ეკონომიკური თეორია კი, როგორც მეცნიერება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესახებ, ისევე ახალი ამოცანების წინაშე დადგა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა და პროცესებმა — მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამ, კომუნისტური რეჟიმის კრახმა, მრავალი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და განვითარების ახალ გზაზე დადგომამ სრულიად ახალი პრობლემების თეორიული გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა დააყენა ეკონომიკური თეორიის წინაშე.

ეკონომიკური თეორია არ არის კოსმოპოლიტური მეცნიერება. ეკონომიკურ თეორიაში ეროვნული მოტივის, როგორც მადომინირებელი ფაქტორის, შემოტანის აუცილებლობას დღევანდელი ცხოვრებაც გვიკარნახებს. ამასთან, დღეს, როდესაც ესოდენ სწრაფად მიმდინარეობს ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ანალიზი, მისი პერსპექტივების განჭვრეტა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. ეკონომიკური თეორია აღნიშნული და სხვა ახალი პრობლემების გაანალიზებითა და გადაჭრის გზების ძიებით კვლავაც გამდიდრდება ახალი იდეებით, მიმართულებებით და იქნება საზოგადოებრივი პროგრესის დამაჩქარებელი და თანამონაწილე.

საქართველოში ეკონომიკური

თეორიის, როგორც მეცნიერების, დამკვიდრებასა და განვითარებას საინტერესო ისტორია აქვს.

1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.) პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მის ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტთან, ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შემუშავებული პროექტით, შეიქმნა ეკონომიკური განყოფილება, ჩამოყალიბდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, რომლის პირველი გამგე 1923 წლის ნოემბრამდე თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი იყო. პოლიტიკური ეკონომიის კურსს, ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად, კითხულობდნენ პროფ. ნ. ქოიავა, მოსკოვიდან მოწვეული პროფ. ა. მანუილოვი, ვ. თევზაია და სხვ. ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის მუშაობა ფართოდ გაიშალა 1922 წლიდან, როდესაც უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ბაზაზე დაარსდა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური და იურიდიული განყოფილებებით, 1931 წელს კი ცალკე ჩამოყალიბდა ეკონომიკის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტში, სასწავლო-პედაგოგიურთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რასაც დიდად შეუწყო ხელი 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებამ და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტიკური ეკონომიის კათედრების გახსნამ. ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ პ. გუგუშვილი, გ. გამყრელიძე, ბ. რამიშვილი, ი. ბაჯაძე, ი. მიქელაძე, ვ. ჩანტლაძე, ნ. იაშვილი, ა. გოკიელი, ვ. მელქაძე, ვ. ბახტაძე, გ. გველესიანი, ა. გუნია, ა. ფანცხავა, ა. ნუცუბიძე და სხვები. ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა მუშაობა უცხოური ეკონომიკური, მათ შორის თეორიული ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემისათვის, ეკონომიკური ტერმინოლოგიის შედგენისათვის და ა.შ. ფ. გოგიჩაიშვილმა თარგმნა დევიდ რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“, ადამ სმითის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, კარლ მარქსის „კაპიტალის“ ყველა ტომი. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა „ეკონომიკური ტერმინოლოგიის და მეცნიერული თარგმანისათვის“ და პ. კუჭაიძესთან ერთად 1947 წელს გამოსცა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). ვ. ჩანტლაძემ 1959 წელს გამოსცა „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“, ხოლო 1979 წელს — „ფინანსების თეორიის საკითხები“.

დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის (შემდგომ – ეკონომიკური თეორიის) კათედრას საქართველოში ეკონომისტთა კადრების მომზადებაში. აწ გარდაცვლილი ქართველი მკვლევარებიდან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ცნობილნი არიან ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე, გ. ადეიშვილი, გ. მეგრელიშვილი, ნ. ტყეშელაშვილი, ი. კოდუა, ი. ქვაჩახია, გ. ბაქრაძე, გ. მშვილდაძე, ლ. ხარაზი, თ. ჩიკვაიძე, დ. ქორიძე, გ. ბასილაია, ი. კრავცოვი, ჯ. ჩხიკვაძე და სხვები.

ეკონომიკურმა თეორიამ ახალი შინაარსი შეიძინა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. წინა პლანზე წამოიწია საბაზრო ეკონომიკის თეორიამ. ამასთან, რევოლუციურმა ძვრებმა საქართველოში ეკონომიკურ თეორიას დიდი საზრუნავი გაუჩინა. ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით არსებითი ცვლილებები მოხდა სასწავლო პროგრამებსა და მეცნიერული კვლევის მეთოდებში. შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები. ჯ. კახნიაშვილმა მაკროეკონომიკურ თეორიაში გამოსცა სახელმძღვანელო ორ წიგნად: „მაკროეკონომიკა“ (1996) და „მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“ (1997); ლ. ჩიქავას ავტორობით გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო – „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ (1997); თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრამ, გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, 1998 წელს გამოსცა „ეკონომიკური თეორია“ – სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ა.შ.

მონოგრაფიული გამოკვლევები გამოსცეს: გ. პაპავამ („საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები“, 1991); ვლ. პაპავამ („საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“, 1991); რ. ასათიანმა („მომსახურება და საბაზრო სისტემა“, 1993); თ. ბერიძემ („სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლები: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების ახალი ასპექტები“, რუსულ ენაზე, 1995); გ. მალაშხიამ („მეტაეკონომიკა“, 1996); ვლ. პაპავამ („საბაზრო თანასწორობის დოქტრინა“, 1999); ნ. ჭითანავამ („გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, სამ ნაწილად, 1997, 1999, 2001); 2001 წელს დაიბეჭდა თ. ბასილიას, ა. სილაგაძის, თ. ჩიკვაიძის მონოგრაფია – „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“; 2002 წელს გამოვიდა ვლ. პაპავას მონოგრაფიული გამოკვლევა „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქარ-

თველოს ეკონომიკა“, 2005 წელს – „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“; 2006 წელს გამოიცა ლ. ჩიქავას მონოგრაფია – „ინოვაციური ეკონომიკა“, 2007 წელს – ე. ბარათაშვილის „რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა“, 2008 წელს – ნ. ჭითანავასა და ლ. თაკალანძის „სოციალური ეკონომიკა“, 2009 წელს – რ. ასათიანის „საქართველოს ეკონომიკა: ახალი ეპოქა“. I ნაწილი, ხოლო 2010 წელს – „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“. 2009 წელს გამოვიდა დ. იაკობიძის „საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი“, 2010 წელს – ი. მესხიას „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, 2010 წელს –ა. სილაგაძის „ეკონომიკური დოქტრინები“, 2011 წელს – ვლ. პაპავას „არატრადიციული ეკონომიკსი“, 2011 წელს – ა. თვალჭრელიძის, ა. სილაგაძის, გ. ქეშელაშვილისა და გ. გეგიას „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“ და ა.შ.

ფართო მუშაობა გაიშალა ორიგინალური ეკონომიკური ლექსიკონების გამოცემის თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია: ჯ. კახნიაშვილი. „საბაზრო ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი“, 1992; რ. ასათიანი. „ეკონომიქსი“. განმარტებითი ლექსიკონი, 1996 (I გამოცემა), 2003 (II გამოცემა), 2006 (III გამოცემა); რ. ასათიანი. „თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი“, 2009; „ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი“, 2010. „ეკონომიკური ლექსიკონი“. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, 2001; „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). ლ. ჩიქავას საერთო რედაქციით, 2001; „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. ა. სილაგაძის საერთო რედაქციით, 2005 და სხვ.

უცხოურიდან ითარგმნა ცნობილ ავტორთა სახელმძღვანელოები „ეკონომიქსში“, რამაც შინაარსობრივად გაამდიდრა ეკონომიკური თეორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში და აამაღლა თეორიული მიმართულებით ეკონომიკური პროცესების კვლევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა ამ დარგში. ესენია: ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი, ჯ. კახნიაშვილი. „ეკონომიკა“ (X კლასი, 2005; XI კლასი, 2005); რ. ასათიანი. „ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი“ (V კლასი, 2000); რ. ასათიანი. „ეკონომიკა“ (VI კლასი, 2004); რ. ასათიანი. „ეკონომიკა“ (VII კლასი, 2005) და ა.შ.

ეკონომიკური ინფორმაცია (economic information) - ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილებ-

ის, გაცვლისა და მოხმარების პროცესების შესახებ.

ეკონომიკური კიბერნეტიკა (economic cybernetics) - კიბერნეტიკის მიმართულება, რომელიც ამ მეცნიერების მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ეკონომიკურ სისტემებში პროცესების კვლევისა და ორგანიზაციისათვის.

ეკონომიკური კრიზისი (economic crisis) - ეკონომიკური ციკლის ერთ-ერთი ამოსავალი ფაზა, რომელიც ვლინდება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობასთან შედარებით საქონლის ჭარბწარმოებაში, წარმოებრივი სიმძლავრეების დაუტვირთაობაში, წარმოების მოცულობის მკვეთრ დაცემასა და უმუშევრობის სწრაფ ზრდაში.

ეკონომიკური პოლიტიკა (economic policy) - ეკონომიკის მართვის ბერკეტებისა და მეთოდების ერთობლიობა, ეკონომიკის მართვის სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა სისტემა. მოიცავს საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკასა და ა.შ.

ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათს განსაზღვრავს ხელისუფლების ქცევა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში. ეს შეიძლება იყოს აბსოლუტურად ჩაურევლობა ქვეყნის ეკონომიკაში (laissez-faires) ან უხეში ჩარევა მასში და მისი მკაცრი მართვა (როგორც დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისათვის), ან კიდევ, ხელისუფლების მიერ შუალედური პოზიციის დაკავება და მაკროეკონომიკური რეგულირების მკაცრად განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახედ: **მიკროეკონომიკურ პოლიტიკად,** რომლის ამოცანაა რესურსების განაწილების ეფექტიანობის სრულყოფა და **მაკროეკონომიკურ პოლიტიკად,** რომლის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ისინი იყოფა უფრო მცირე ნაწილებად. მაგალითად, მიკროეკონომიკური პოლიტიკის საზღვრებში შეიძლება გამოიყოს რეგიონული პოლიტიკა, კონკურენციის დაცვის პოლიტიკა და ა.შ., მაკროეკონომიკური პოლიტიკის საზღვრებში კი – ფისკალური პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობა გაუთვალისწინებელი სტატისტიკური ორგანოების მიერ ძირითადი მონაცემების შეკრების სისტემის ნაკლოვანებათა შედეგად (economic activity unaccounted by statistical organs due

to the shortcomings of the main data consolidation system) – დაუკვირვებადი ეკონომიკის ნაწილი, სტატისტიკური სისტემის გადაუჭრელი პრობლემაა, რის გამოც არ აისახება **მშპ**-ში. ზოგჯერ მას სტატისტიკურ ჩრდილოვან წარმოებას უწოდებენ და განასხვავებენ ეკონომიკურ ჩრდილოვან წარმოებისაგან, რომელიც გამოწვეულია არა ძირითადი მონაცემების შეკრების სისტემის ნაკლოვანებებით, არამედ ეკონომიკური მიზეზებით.

ეკონომიკური სისტემა (economic system) - საკუთრებითი და ორგანიზაციული ინსტიტუტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების ერთმანეთთან დაკავშირებული და განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობა, მრავალფეროვანი სტრუქტურული ელემენტების შერწყმა მკაფიოდ გამოხატულ ერთ მთელად, რომლის თითოეულ ნაწილს ერთმანეთთან მიმართებაში თავისი შესაბამისი ადგილი უკავია; ქვეყანაში მოქმედი პრინციპების, წესებისა და კანონმდებლობით განმტკიცებული ნორმების ერთობლიობა, რომელიც წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს. ეკონომიკურ სისტემაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ქვესისტემებს ქმნიან, რომლებსაც მთელი სისტემის სტაბილურობასა და მდგრად განვითარებაში განსაზღვრული როლი აკისრიათ. ეკონომიკური სისტემის რეალურ ბუნებასა და არსს ეს კავშირები განსაზღვრავენ.

ეკონომიკური ტერიტორია (economic territory) - მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება ამ ქვეყნის იურისდიქცია. მის საზღვრებში თავისუფლად გადაადგილდებიან მოცემული ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე თავისუფლად მოძრაობს საქონელი და ფული. ეკონომიკურ ტერიტორიაში შედის: საჰაერო სივრცე; ტერიტორიული ანკლავები საზღვარგარეთ (ე.ი. ზონები, რომლებსაც იყენებენ მოცემული ქვეყნის სამთავრო დაწესებულებები არენდის ან საკუთრების უფლების საფუძველზე, საელჩოები, სამეცნიერო და სამხედრო ბაზები); ექსტერიტორიული ანკლავები ანუ ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნის დაწესებულებების მიერ (ანკლავში შემავალ მიწაზე ან ნაგებობებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ნაწილ-

ში); ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ა.შ. მარაგები ქვეყნის გარეთ მდებარე ტერიტორიულ წყლებში, თუ მათი დამუშავება ხდება ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

ეკონომიკურ ტერიტორიაში არ შედის სხვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები – საკონსულოები, საელჩოები, სამეცნიერო და სამხედრო ბაზები და ა.შ. აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები, განლაგებული მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია დღეისათვის გაცილებით ნაკლებია მის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე, რამდენადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ახალგორისა და კოდორის ხეობის ტერიტორიებზე.

ეკონომიკური ტრენინგი (economic training) - კომპიუტერიზებული თამაში, რომელიც იძლევა მმართველობითი ზემოქმედების შეფასებითი გაანგარიშების შესაძლებლობას.

ეკონომიკური უსაფრთხოება (economic security) - ეკონომიკის დაცვა იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისაგან, რომლებიც არღვევენ კვლავწარმოებითი პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნიან ქვეყნის რესურსულ და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და სოციალურ ორიენტირებულობას, აფერხებენ ეკონომიკურ ზრდასა და ხელს უშლიან სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები (economic security criteria) - ეკონომიკური საფრთხის არდაშვება ზღვრული სიდიდეების ქვემოთ; ქვეყნის უზრუნველყოფა რესურსებით; ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების თავიდან აცილება, დანაკარგებისა და რისკის მინიმიზაცია; ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლება; ცხოვრების დონისა და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოება და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია (economic security strategy) - ქვეყნის სტრატეგია საკმაოდ მყარი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კულტურულ-ისტორიული თვითმყოფადობის, მისი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვას, ეკონომიკური მთლიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და პიროვნების განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. მისი ძირითადი მი-

მართულებებია: ეკონომიკის განვითარებისადმი მისადაგებული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება; ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფა და მათდამი სახელმწიფოს მხარდაჭერა; ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფა; საკუთრების დაცვა.

ეკონომიკური ციკლი (business cycle) - საქმიანი აქტიურობის ციკლი, ერთი კრიზისის დაწყებიდან მეორე კრიზისის დაწყებამდე დროის პერიოდი, რომელიც იყოფა ოთხ ფაზად: კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება, აღმავლობა.

ეკონომიკური ციკლის ცნობილი მკვლევრები არიან: მარქსი, კეინზი, ჰიკსი, შუმპეტერი, გუდვინი და ა.შ.

ეკონომიკური წარმოება (economic production) - ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (ეას-93) როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო საქმიანობა: 1. საქონლის წარმოება; 2. საბაზრო მომსახურების წარმოება; 3. ფინანსური საშუამავლო საქმიანობა (ბანკების, საინვესტიციო ფონდების, სადაზღვევო კომპანიებისა და ა.შ.); 4. არასაბაზრო მომსახურება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისადმი; 5. არასაბაზრო მომსახურება არაკომერციული ორგანიზაციებისა და შინამეურნეობებისადმი; 6. დაქირავებულ მოსამსახურეთა (მზარეულების, მძღოლების, მებაღეებისა და ა.შ.) მომსახურება; 7. გარემოს დაცვის მიზნით გაწეული მომსახურება.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა (economic order policy) – საბაზრო წესრიგის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის პოლიტიკის შეხამებას საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკასთან, იმ ჩარჩო პირობების გათვალისწინებით, რომელსაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ადგენს. ჩარჩო პირობებში შედის: 1. **ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა** და, პირველ ყოვლისა, საკუთრებით ურთიერთობათა წესრიგი; 2. **კონკურენციის დაცვის პირობები**, მაკროეკონომიკური რეგულირების პრიორიტეტები (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობების არსებობა და მისი განვითარების დონე, გადასახადების ლიბერალიზაციის დონე, საკრედიტო განაკვეთების სიდიდე, ბიზნესის თავისუფლების ხარისხი, ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემის სანდოობის ხარისხი, აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში კერძო სექტორი არის თუ არა პოლიტიკური რუპორი, ბიზნესის წარმომადგენლები იკავებენ თუ არა ადგილს ხელისუფლებაში და ა.შ. 3. **სოციალური დაცვის სისტემა** (საზოგადოებრივი საქონლის წარმოების დონე და ხარისხი, მოსახლეობის დაცვა უარყოფითი ექსტერნალიებისაგან,

ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა და მასშტაბები, სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა, საარსებო მინიმუმის თანაფარდობა პენსიებთან და მინიმალურ ხელფასთან, კომუნალური გადასახადების განაკვეთები, სოციალური დაზღვევის სამართლებრივი ნორმები და ა.შ.

ბაზარი სოციალური პრობლემების მიმართ არაელასტიკური და დაუნდობელია. თუ იგი თავის ნებაზეა მიშვებული, უთუოდ განაპირობებს უსამართლობასა და სიღატაკეს ქვეყანაში, რაც, საბოლოო ანგარიშით, ბუმერანგივით უბრუნდება თვით მას (ბაზარს), იწვევს სტაგნაციას, რომლის მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია. ეს აისახება უმუშევრობის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემაში, სოციალურ აფეთქებებსა და ა.შ.

აღნიშნული ჩარჩო პირობები აღნიშნავს მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განვითარების დონეს და უპასუხებს კითხვას: რეალურად არსებობს კი იგი ქვეყანაში თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები (economic-mathematical methods) - ეკონომიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინების კომპლექსში მოქცეული მეთოდები.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (economic-mathematical models) - ეკონომიკური ობიექტების, კანონზომიერებების, კავშირებისა და პროცესების აღწერილობა მათემატიკური ნიშნების მეშვეობით და მათი მაკავშირებელი მათემატიკური თანაფარდობის ერთობლიობა.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები (economic-statistical methods) - შემოღებულ იქნა XVII საუკუნეში ინგლისელი ეკონომისტის უილიამ პეტის მიერ ქვეყნის მეურნეობის ანალიზისათვის. იგი პირველი შეეცადა შეეფასებინა ინგლისის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ეროვნული შემოსავალი და გამოეკვლია არაპირდაპირი გადასახადების გავლენა ეკონომიკაზე.

ეროვნული ანგარიშიანობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ფრანგი ეკონომისტის ჟან ბატისტ სეის „წარმოების ფაქტორთა თეორიამ“. წარმოების სამი ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი) გარდა, სეი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა სამეწარმეო უნარს. ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი“ (1828) იგი აყალიბებდა თავის შეხედულებებს ამის შესახებ.

ეკონომიკა (economics) - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საბაზრო სისტემაში, საზოგადოების უსასრულო მოთხოვნილებებ-

ის მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით, შეზღუდული რესურსებით რა საზოგადოებრივი ფორმით, რა გზებით, როგორ და ვისთვის იწარმოოს. იგი საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია, პრაქტიკით გაჯერებული, მასზე ორიენტირებული თეორიაა.

ეკონომიქსი ეკონომიკური თეორიის კვლევის ახალი სფეროა (ისევე როგორც საერთაშორისო ეკონომიკა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა). წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ, განსაკუთრებული ეკონომიკური დისციპლინის სახით კი ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ეკონომიქსი შეზღუდული რესურსების მართვის მექანიზმის შემსწავლელი მეცნიერებაა (გ. მენქიუ).

ეკონომიქსი, მიუხედავად იმისა, რომ იმ კანონზომიერებებს ეყრდნობა, რომლებსაც ეკონომიკური თეორია ადგენს, მისგან გარკვეულწილად განსხვავებულ ხედვასაც ემყარება, პარადიგმის შეცვლას გულისხმობს. ეკონომიქსი ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზისას მხოლოდ შეზღუდული რესურსებით იფარგლება. მისი ლაიტმოტივია ამ რესურსების საბაზრო სისტემაში ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება და ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. ეკონომიკური თეორიის საგანი კი გაცილებით ფართოა. იგი ყველა ფუნქციონალური და დარგობრივი ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველი და მეთოდოლოგიური ბაზაა. ეკონომიკური თეორია არ არის მოქცეული ერთი ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში. იგი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს სწავლობს, იკვლევს სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში არსებით მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც იძლევა საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ მეცნიერულ დასაბუთებას. ეკონომიკური თეორია ყოველივე ამას ერთ სისტემაში აქცევს. ეკონომიქსის მიზანი არ არის მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, მხოლოდ ამ სისტემის ნაწილია, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონალური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა, ეკონომიკური თეორია კი ეკონომიკური ორგანიზმის გენეტიკურ კავშირებს სწავლობს.

ეკონომიქსი კმაყოფილდება ეკონომიკური ცხოვრების ზოგა-

დი ანალიზით. იგი არ იკვლევს ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეულ არსს და საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის მიზეზებს, ეკონომიკური თეორია კი იკვლევს ყოველივე ამას.

ეკონომიქსში პრაგმატული მიზნები წინა პლანზეა წამოწეული, ეკონომიკურ თეორიაში კი — თეორიულ-მეთოდოლოგიური. ეკონომიქსი მეტწილად რაოდენობრივი ანალიზია, ეკონომიკური თეორია კი — თვისებრივი. ეკონომიქსი ფართოდ იყენებს ეკონომეტრიკულ ანალიზს. მაგრამ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ახსნაში მათემატიკური მოდელების გამოყენება „წმინდა" თეორიისაგან დამოუკიდებლად ნაკლებად ასახავს რეალობას. ეკონომიკური თეორია ორიენტირებულია შემეცნებაზე, ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეული არსის გამოვლენაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, მაშინ როდესაც ეკონომიქსი მთავარ მიზნად ეკონომიკის მართვისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას ისახავს. „ეკონომიკური თეორია არ არის უშუალოდ სამეურნეო პოლიტიკაში გამოსაყენებელი მზა რეკომენდაციების კრებული, ის არის ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ვინც მას ფლობს, ყველას ეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში" (ჯონ მეინარდ კეინზი).

ეკონომიქსი ეკონომიკური სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტებისა და მათი შესაბამისი თეორიების ერთობლიობაა. იგი ფრაგმენტებიდან ქმნის ეკონომიკის მთლიან სურათს, ეკონომიკურმა თეორიამ კი, პირიქით, მთლიანობის ადეკვატური სურათის მეშვეობით უნდა ასახოს ეკონომიკური სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი.

ეკონომიქსი წარმოების განვითარების საკითხებს დანახარჯებისა და შედეგების ასპექტით, სარგებლიანობის კუთხით განიხილავს, ეკონომიკური თეორია კი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიული განვითარების ანალიზს მოიცავს. ეკონომიქსი გაურბის ეკონომიკური სისტემების შედარებით ანალიზს და შეისწავლის ერთი ეკონომიკური სისტემის სამეურნეო მექანიზმს. ეკონომიკური თეორიის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება, მეთოდი კი ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზია (კომპარტივიზმი). ამ მიმართულების შედეგია ინსტიტუციური თეორიები (კონვერგენციის, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოების) თეორიები. ეკონომიკურ თეორიას არ აინტერესებს ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა მისი კონკრეტული ზედაპირული ფორმით, მისი მიზანია ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების კანონებში გარ-

კვევა, ამ კანონთა მოქმედების მექანიზმის შეცნობა.

ეკონომიქსი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი. ეკონომიკური თეორია საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მისგან შექმნილი დოვლათის მითვისების გამო. ეკონომიკური თეორია ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. იგი არკვევს ეკონომიკური მოვლენის ისტორიულ წინაპირობებს, საიდან და რა მიზეზებით წარმოიშვა იგი და რა შედეგებისაკენ მივყავართ მის განვითარებას. იგი გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს, საით და როგორ მიემართება ეკონომიკური განვითარება. ამიტომაცაა, რომ **ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიქსის კვლევის საგნები ერთმანეთს კვეთს და ემთხვევა კიდეც, ოღონდ შესწავლის კუთხე აქვთ სხვადასხვაგვარი.**

„ეკონომიქსის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო 1948 წელს აშშ-ში გამოსცა პოლ სამუელსონმა. ეს იყო პერიოდი, როდესაც უკვე მომწიფდა ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების ასახვისათვის, ახალი ეკონომიკური მოვლენების ახსნისათვის. „ეკონომიქსის“, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური დისციპლინის, ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას ხელი შეუწყო XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების დივერსიფიკაციამ, ინტენსივობამ და მასშტაბურობამ.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა და პროცესებმა — მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამ, კომუნისტური რეჟიმის კრახმა, მრავალი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და განვითარების ახალ გზაზე დადგომამ ძველი და სრულიად ახალი პრობლემების ახლებური თეორიული გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა მოითხოვა. ამ თვისებრივად ახალი პრობლემების გადაჭრა კაცობრიობის წინა ეკონომიკური განვითარების კლასიკური სქემის ფარგლებს სცილდება.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობამ სავსებით კანონზომიერად „ეკონომიქსის“ სასწავლო კურსის შემოღება მოითხოვა უმაღლეს სასწავლებლებში, რასაც მოჰყვა როგორც უცხოური სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა, ისე ქართული შესაბამისი ლიტერატურის გამოცემა. სახელდობრ, კ. ღურწკაიამ თარგმნა და გამოსცა პ. სამუელსონისა და ვ. ნორდჰაუსის „ეკონომიქსი (XV

გამოცემა); მაკკონელისა და ბრიუს „ეკონომიქსი“ (XI გამოცემა); ს. ფიშერის, რ. დორნბუშის, რ. შმალენზის „ეკონომიქსი“ (II გამოცემა). გამოქვეყნდა მრავალი სახელმძღვანელო და სპეციალური ლიტერატურა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ეკონომიქსი“. შემდგენელი პ. ლეიაშვილი. თბ., „მეცნიერება“, 2003; მ. გველესიანი. „ეკონომიქსი“. ლექციების მოკლე კურსი. თბ., „კომენტარი“, 2000; რ. ასათიანი. „ეკონომიქსი“. განმარტებითი ლექსიკონი. I, II, III გამოცემები, თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 1996, 2003, 2006; ა. სილაგაძე, ჯ. კახნიაშვილი, ე. მექვაბიშვილი. „მიკროეკონომიქსი“. თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2006; რ. ასათიანი. „ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება“. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2005 და ა.შ.

ELASTIKURI MOTXOVNA (elastic demand) - მოთხოვნა, რომელსაც აქვს ტენდენცია, შეიცვალოს ფასების უმნიშვნელო ცვლილების შესაბამისად.

ELASTIKUROBA (elasticity) - პროცენტებში გამოხატული ცვლილება ერთი ცვლადისა პროცენტებში გამოხატული მეორე ცვლადის ცვლილების პასუხად. მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოთხოვნის ან მიწოდების ცვალებადობის ხარისხს ერთი რომელიმე ფაქტორის, მაგალითად, ფასის ზემოქმედებით.

მოთხოვნის ფასისმიერი ელასტიკურობა ახასიათებს შესასყიდი საქონლის ან მომსახურების რაოდენობის ცვალებადობის ხარისხს მისი ფასის შეცვლისას. **მოთხოვნის ელასტიკურობა** ნიშნავს იმას, რომ ფასის მცირეოდენი შეცვლა იწვევს იმ პროდუქციის რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელზეც არის მოთხოვნა. თუკი ფასის შეცვლა მხოლოდ ოდნავ ცვლის საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის რაოდენობას, მაშინ მოთხოვნა არაელასტიკურია.

საბაზრო ეკონომიკის თეორიაში გამოყოფენ **„ერთეული ელასტიკურობის“** ცნებას. იგი გამოხატავს სიტუაციას, რომლის დროსაც ფასის პროცენტული ცვლილება საქონელზე (მომსახურებაზე) მოთხოვნის პროცენტული ცვლილების ტოლია. ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი **„სავსებით არაელასტიკური მოთხოვნა“**, რაც იმას ნიშნავს, რომ საქონლის ფასის ცვლილება გავლენას არ ახდენს მასზე მოთხოვნის მოცულობაზე. **მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი** გამოიხატება ფორმულით:

$$\bullet_{\text{მოთხ.}} = \frac{\text{გარკვეულ საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილება}}{\text{გარკვეული საქონლის ფასის პროცენტული ცვლილება}}$$

მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელფასის დონის განსაზღვრისას. მაგ., ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა პრაქტიკულად არაელასტიკურია, მისი წარმოების გადიდება ერთდროულად ამცირებს ფასს ერთეულ პროუქციაზე და, აქედან გამომდინარე, ფერმერის შემოსავალსაც, რომლის კომპენსირებაც აუცილებელია. საკანონმდებლო გზით, წონასწორობის დონის გაუთვალისწინებლად ხელფასის მინიმუმის შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

მიწოდების ფასისმიერი ელასტიკურობა იმგვარად იზომება, როგორც მოთხოვნის ელასტიკურობა, ოღონდ ელასტიკურობის კოეფიციენტის ფორმულაში გარკვეულ საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილების სიდიდის ნაცვლად ჩაისმება გასაყიდი საქონლის მიწოდების მოცულობის პროცენტული ცვლილება.

მიწოდების ელასტიკურობის ძირითადი ფაქტორია დრო, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელი სათანადო რეაგირებას ახდენს მისი პროდუქციის ფასების შემცირებასა თუ გადიდებაზე. გამოყოფენ უმოკლეს-, მოკლე- და გრძელვადიან საბაზრო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელს შეუძლია რეაგირება მოახდინოს კონიუნქტურის ცვლილებაზე.

ელექტრონული ფული (electronic money, e-money) - კომპიუტერების მეშვეობით მრავალი საგადასახადო და საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულება, სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავება და გადაცემა საკრედიტო გარიგებების, ფულადი გადასახადებისა და ანგარიშსწორების შესახებ. ამის შედეგად სულ რაღაც რამდენიმე წამში შეიძლება ინფორმაციის მიღება იმ პირის საბანკო ანგარიშის შესახებ, რომელმაც წარმოადგინა ჩეკი ან ელექტრონული საკრედიტო ბარათი ამა თუ იმ საქონლის შესაძენად ან ამა თუ იმ სახის მომსახურების მისაღებად. ელექტრონული ფულის სისტემას ავსებს საბანკო ავტომატები, რომლებიც განლაგებულია ქალაქის სხვადასხვა ადგილას — მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეტროს სადგურებთან და ა.შ. მათი საშუალებით საბანკო ანგარიშის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს დამოუკიდებლად, საბანკო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, ჩაერთოს საბანკო კომპიუტერში და შეასრულოს ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ფულის შეტანა, გამოტანა და გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე, კრედიტის მიღება და ა.შ. დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ემბარგო (embargo) [<ესპ. embargo-აკრძალვა] - სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საქონლის, ოქროს, ფასიანი ქაღალდებისა და ა.შ. საზღვარგარეთ გატანის ან საზღვარგარეთიდან შემოტანის აკრძალვა ან სავაჭრო ურთიერთობის მთლიანად აღკვეთა ამა თუ იმ ქვეყანასთან ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით.

ემისია (emission) [ლათ. emissio–გამოშვება] - საბანკო და სახაზინო ბილეთების, ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება. ემისიის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლები განისაზღვრება ამ ფულის მსყიდველობით უნარსა და მის გამოშვებაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობით. ვთქვათ, სახელმწიფომ განახორციელა 100 მლნ დოლარის ემისია. ამ ფულის გამოშვებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 1 მლნ დოლარი, ე.ი. ერთ წელიწადს ასეთმა ოპერაციამ სახელმწიფოს მისცა 99 მლნ დოლარის შემოსავალი. შემდგომ წელიწადს ემისიის ხარჯები გაორკეცდა (ხელფასისა და ა.შ. ზრდის საფუძველზე) და ფასები გაიზარდა 100%-ით, ე.ი. ორჯერ. ასეთ შემთხვევაში 100 მლნ დოლარის მსყიდველობითი უნარი გაუტოლდება წინა წლის 50 მლნ დოლარის მსყიდველობით უნარს. შესაბამისად, სახელმწიფოს შემოსავალი შემცირდება 48 მლნ დოლარამდე.

ფასიანი ქაღალდების ემისია შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ისე კერძო კომპანიების მიერ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვება.

ემისიური მოგება (annulmission profit) – მოგება, რომელსაც იღებენ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები (ბანკები და ა.შ.) ფასიანი ქაღალდების ემიტენტებსა და მათ მყიდველებს შორის შუამავალი მომსახურებისათვის.

ემისიური შემოსავალი (annulmission income) - აქციონერული საზოგადოების შემოსავალი, რომელიც იქმნება აქციის ნომინალურ და საბაზრო კურსებს შორის სხვაობით. აქციის კურსი შეიძლება იყოს ნომინალზე მაღალი ან დაბალი. თუ კურსი მაღალია, მაშინ აქციონერთა საზოგადოება იღებს ემისიურ შემოსავალს. ამ უკანასკნელის განსაზღვრისას ითვალისწინებენ აქციის დამზადებისა და რეალიზაციის ხარჯებს. მაგ., 10 ათასი აქციის დამზადებაზე, როცა ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1000 ფრანკია, დაიხარჯა 100 ათასი ფრანკი, ხოლო საფონდო ბირჟაზე გაიყიდა 1360 ფრანკის კურსით. საბროკერო კანტორისათვის 70 ათასი ფრანკის ოდენობის კურტაჟის გადარიცხვის გათვალისწინებით, ემისიური შემოსავალი

შეადგენს 3430000 ფრანკს (1360–1000 = 360 X 10000 = 3600000–100000–70000). ემისიური შემოსავალი გადადის აქციონერთა საზოგადოების სარეზერვო ფონდში.

ემიტენტი (emitter) [ლათ. emittere - გამოშვება] - იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ემისიას.

ემიტირება (issue of money (securities) [ლათ. emittere -გამოშვება] - ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება, ემისიის განხორციელება.

ენგელის კანონი(Engel's law) - მოხმარების ემპირიული კანონი, დადგენილი ერნსტ ენგელის მიერ. კანონის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული შემოსავლის ნაწილი, დახარჯული კვების პროდუქტებზე, კეთილდღეობის კარგი ინდიკატორია. რაც უფრო მცირეა ეს ნაწილი, მით უფრო მაღალია კეთილდღეობა.

ენგელის კოეფიციენტი (Engel's coefficient) - კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ რაც უფრო იზრდება მოთხოვნა დოვლათზე, შემოსავლის ზრდასთან შეფარდებით, მით უფრო ელასტიკურია ეს მოთხოვნა. ცნობილმა გერმანელმა სტატისტიკოსმა, ე. ენგელმა პირველმა გამოიკვლია კავშირი მყიდველთა შემოსავლებსა და სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურას შორის. მან დაადგინა შემოსავლების დონის მიხედვით სხვადასხვა სახის დოვლათზე მოთხოვნის მოცულობის ფუნქციონალური დამოკიდებულების ცვალებადობა. ენგელის აზრით, მოთხოვნა პირველადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, ტრადიციული სახის კვების პროდუქტებზე (პურზე, კარტოფილზე და ა.შ.), გარკვეული მომენტიდან ჩამორჩება შემოსავლების ზრდას, ხოლო კვების ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ზეთის ხილი, მცენარეული ზეთი და ა.შ., აგრეთვე ფუფუნების საგნები და მომსახურების მრავალი სახეობა — შემოსავლების ზრდის პროპორციულად მატულობს. შემოსავლის ცვლილების ერთეულზე მოთხოვნის შეფარდებით ცვლილებას მან მოთხოვნის ელასტიკურობა უწოდა. ე.ი. მოთხოვნის ელასტიკურობა უდრის მოთხოვნის მოცულობის ცვლილება შეფარდებული შემოსავლების ცვლილებასთან.

ენდოგენური ზრდა (endogenous growth) - ეკონომიკური ზრდა წარმოების შიდა (მაგ., მასშტაბის ეფექტი, ტექნოლოგიის სრულყოფა და ა.შ.) და არა გარე, ეგზოგენური (მაგ., მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდება) ფაქტორების ზემოქმედებით.

ენდოგენური მტა (endogenous scientific technological progress) [<ბერძ. endon - შიგნით... genos-გვარი, მოდგმა] - ენდოგე-

ნური (შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი) ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივი ფუნქცია. იგი ვლინდება შრომასა და კაპიტალს შორის თანაფარდობის ცვლილებებით.

ენერგოტევადობა (energy intensity) – ინდიკატორი, რომელიც გამოხატავს პირველადი ენერგიის გამოყენების ეფექტიანობას მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთეულის წარმოებისას.

ერთობლივი დანახარჯები (gross expenses, expenditures) - მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამი წარმოების ყოველ კონკრეტულ დონეზე.

ერთობლივი დასაქმებული მოსახლეობა (total employees) - დასაქმებული მოსახლეობა პლუს სამხედრო მოსამსახურეები.

ერთობლივი მიწოდება (aggregate supply) - ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულება.

ერთობლივი მიწოდების ელასტიკურობა (elasticity of aggregate supply) - მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკაში ერთობლივი მიწოდების მოცულობის შემთვისებლობას საქონლისა და მომსახურების ფასების დონის ცვალებადობასთან. თუ ერთობლივი მიწოდების მოცულობის პროცენტული მატება სჭარბობს პროცენტებში გამოხატულ ფასების ზრდას, მაშინ ასეთი მიწოდება ელასტიკურია (Es>1); თუ ერთობლივი მიწოდების მოცულობის პროცენტული გადიდება ტოლია პროცენტებში გამოხატული ფასების ზრდისა, მაშინ მიწოდების ელასტიკურობა 1-ის ტოლად ითვლება (Es=1); მიწოდება არაელასტიკურია, როდესაც ფასების მატება სჭარბობს ერთობლივი მიწოდების მოცულობის ზრდას (Es<1).

ერთობლივი მიწოდების მრუდი (aggregate supply curve) - მრუდი მაკროეკონომიკური მოდელის გრაფიკზე, რომელიც ასახავს ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ერთობლივი მიწოდების დინამიკას და გამოხატავს დამოკიდებულებას ფასების ზრდასა და წარმოების მოცულობას შორის. მისი ყოველი წერტილი გვიჩვენებს, თუ შესაბამისი ფასით რა რაოდენობის წმინდა ეროვნული პროდუქტი შეიძლება მიეწოდოს ბაზარს.

ერთობლივი მოთხოვნა (aggregate demand) - ქვეყნის რეალური მსყიდველობითი უნარის მაჩვენებელი; ერთობლივი დანახარჯები, რომელშიც შედის სახელმწიფო სამომხმარებლო ხარჯები, კერძო სექტორის მოხმარება, შეჯამებული ინვესტიციები და ექსპორტ-იმპორტის დანახარჯების სალდო.

ერთობლივი მოთხოვნის ელასტიკურობა (elasticity of ag-

gregate demand) - მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის მოცულობის შემთვისებლობას საქონლისა და მომსახურების ფასების დონის ცვალებადობასთან. ასახავს მოცემულ საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას მათი ფასის ერთი პროცენტით შეცვლისას. თუ ერთობლივი მოთხოვნის მოცულობის პროცენტული ზრდა აღემატება ფასების შემცირების პროცენტულ დონეს, მაშინ მოთხოვნა ელასტიკურია (Ed>1). როცა ერთობლივი მოთხოვნისა და ფასების ცვლილების მაჩვენებლები თანაბარია (გამოხატული პროცენტულად), მოთხოვნის ელასტიკურობა ითვლება 1-ის ტოლად (Ed=1); თუ ფასების შემცირების პროცენტული დონე აღემატება ერთობლივი მოთხოვნის ზრდას (%-ში), ერთობლივი მოთხოვნა არაელასტიკურია (Ed<1). ერთობლივი მოთხოვნის ელასტიკურობა ფართოდ გამოიყენება ფასების დონის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (aggregate demand curve) - მრუდი მაკროეკონომიკური მოდელის გრაფიკზე, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას წმინდა ეროვნული პროდუქტის მოცულობასა და ფასების საერთო დონეს შორის. მისი ყოველი წერტილი გვიჩვენებს, რა რაოდენობის წმინდა ეროვნული პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს შესაბამისი ფასით. ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდისგან განსხვავებით, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი არ გამოხატავს ჩანაცვლების ეფექტს, რომლის დროსაც მზარდი ფასი აქვეითებს მოთხოვნას. ამ შემთხვევაში მზარდი ფასი ამცირებს პროდუქციაზე მოთხოვნის წონასწორობის დონეს რეალური ფულადი მასის კლების გზით, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდასა და ინვესტიციების შემცირებას.

ერთობლივი შემოსავალი (aggregate, gross income) - იხ. ეროვნული შემოსავალი.

ერთობლივი (აგრეგატული) წარმოებრივი ფუნქცია (aggregate production function) - ფუნქციონალური დამოკიდებულება მთელს ეკონომიკაში პროდუქციის ნაკადსა (**Y**), წარმოებაში მთლიან ფაქტობრივ შრომის დანახარჯებსა (**L**) და კაპიტალს (**K**) შორის. ჩვეულებრივ ეს ფუნქცია გამოისახება ასე:

$$Y=F(K,L).$$

ფორმულაში შეიძლება აისახოს მიწაც, დანახარჯებისა და ტექნოლოგიების სახით.

ერთობლივი ხარჯები (aggregate expenses) - ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მთლიანი თანხა.

ერთობლივ ხარჯებში (**Y**) შედის მოხმარება (**C**), ინვესტიციები (**I**), სახელმწიფო ხარჯები (**G**) პლუს ექსპორტს (**X**) მინუს იმპორტი (**M**). ფორმულით გამოისახება ასე:

$$Y = C+I+G+(X-M).$$

ერთობლივი ხარჯების მოცულობა განსაზღვრავს წარმოებისა და დასაქმების მოცულობას. იგი შეიძლება სისტემატურად მერყეობდეს ფასების საერთო დონის ცვლილებების გამო.

ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა (**ემფ**) (sole proprietorship firm, one man company) - ბიზნესის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა, ერთი პირის საწარმო, ერთპიროვნული საკუთრება (sole proprietor ship). ფირმის სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან შედარებით, **ემფ**-ს ბევრი უპირატესობა და ნაკლოვანება აქვს. უპირატესობათაგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: ფირმის მესაკუთრეს მთლიანად ეკუთვნის მოგება და სარგებლობს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით. ამასთან, წარმოების ორგანიზაციის ხარჯები ფირმაში დაბალია, საწარმოს სიმცირე მესაკუთრეს საშუალებას აძლევს კონტაქტი დაამყაროს როგორც პროდუქციის მწარმოებლებთან, ისე გამსაღებლებთან და ა.შ. ნაკლოვანებებია: 1. კაპიტალის გაფართოების შეზღუდული შესაძლებლობები; 2. ფირმის მესაკუთრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისათვის (სასამართლოს გადაწყვეტილებით მთელი მისი ქონება შეიძლება ვალის დაფარვას მოხმარდეს). ამასთან, **ემფ**-ის მესაკუთრე თვით უნდა ერკვეოდეს ყველა წარმოებრივ თუ ფინანსურ საკითხში და ფლობდეს მეწარმეობის ჩვევებს, რაც მემკვიდრეობით არ გადაიცემა. ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა ბიზნესის ყველაზე მერყევი ორგანიზაციული ფორმაა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) (System of National Accounts) - მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკისა და „დანარჩენ მსოფლიოსთან“ მისი ეკონომიკური კავშირების შესწავლას. იგი ეკონომიკის განვითარების მახასიათებელ ინდიკატორთა გაანგარიშებისა და სისტემატიზაციის უნივერსალური მეთოდია, რომელიც გამოიყენება მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში. **ეას** მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკის კონსოლიდირებულ ეროვნულ ანგარიშებს, არამედ დარგობრივ, სექტორულ და ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ანგარიშებსაც. **ეას**-ის პირველი ვარიანტი შეიქმნა 1953 წელს. პრაქტიკული გამოცდისა და სრულყოფის შემდეგ, 1968 წელს დამტკიცდა მისი მეორე ვარიან-

ტი, ხოლო „ცისფერი წიგნის“ სახელწოდებით სახელმძღვანელოდ გამოვიდა 1969 წელს. ეს გამოცემა მსოფლიოში აღიარებულ იქნა როგორც ურთულესი სისტემა. მის პარალელურად ევროპის რიგ ქვეყნებში მოქმედებდა შედარებით გამარტივებული და დეტალიზებული ევროსტატის ეგიდით გამოცემული „ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების ევროპული სისტემა“. 1993 წლიდან მსოფლიოში სტანდარტულ სახელმძღვანელოდ დაინერგა **ეას**-ის III ვარიანტი (**ეას-93**), რომელიც გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკური დირექტორატის, ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტატისტიკური სამსახურების ერთობლივი ნამუშევარია.

ეას-ის ძირითადი პრინციპებია: მთელი ეკონომიკის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა; ეკონომიკის სექტორებად დაყოფა; ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერა; შიდა და ეროვნული ეკონომიკის გამიჯვნა; შემოსავლებისა და ხარჯების მიმდინარე და კაპიტალურად დაყოფა, მსოფლიოს ქვეყნების მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა იყოფა **ეროვნული ეკონომიკის ანგარიშებად** და **საზღვარგარეთის სექტორის ანგარიშებად.** თავის მზრივ, ეროვნული ეკონომიკის ანგარიშებში შედის: საქონლისა და მომსახურების ანგარიში, წარმოების ანგარიში, შემოსავლების ფორმირების ანგარიში, შემოსავლების განაწილების ანგარიში, შემოსავლების გამოყენების ანგარიში, კაპიტალის ანგარიში, ფინანსური ანგარიში. საზღვარგარეთის სექტორის ანგარიშებში შედის: საქონლისა და მომსახურების ანგარიში, პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერების ანგარიში, ფინანსური ანგარიში, აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიში, გადაფასების ანგარიში.

ეროვნული ანგარიშები (national accounts) - ანგარიშებისა და საბალანსო ცხრილების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების რაოდენობრივ აღწერას გარკვეულ მონაკვეთში. მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება კრებსითი ეროვნული ანგარიშები, რომლებიც გამოხატავენ **მეპ**-ის შექმნის, ეროვნული შემოსავლის, კაპიტალწარმოქმნის განაწილებისა და გამოყენების პროცესს, მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტების მიერ სხვა სახელმწიფოებთან განხორციელებულ ოპერაციებს.

ეროვნული ანგარიშიანობა (national accounting) - მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტე-

მა, გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკურ სტატისტიკაში, ასახავს ეკონომიკური განვითარების (ეროვნული შემოსავლის, საბოლოო პროდუქტის წარმოების, განაწილების, გადანაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე ეროვნული სიმდიდრის ფორმირების) მნიშვნელოვან ასპექტებს. ტერმინი შემოიღო ჰოლანდიელმა ეკონომისტმა ედ. ვან კლიფმა XX საუკუნის 40-50-იან წლებში. გაერომ ეროვნული ანგარიშიანობა საფუძვლად დაუდო ეროვნულ ანგარიშთა სტანდარტულ სისტემას.

ეროვნული სიმდიდრე (national wealth) - განსაზღვრული პერიოდისთვის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ წინა თაობების მიერ შექმნილ მატერიალურ და არამატერიალურ ქონებას, აგრეთვე გამოკვლეულ და ეკონომიკურ ბრუნვაში მოქცეულ რესურსებს.

ფართო გაგებით, ეროვნული სიმდიდრე არის თაობების მიერ შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური სიმდიდრე, წარმოების პროცესში ჩართული და აღრიცხული ბუნებრივი რესურსები, აგრეთვე ადამიანისეული კაპიტალი (ინტელექტუალური კაპიტალი, დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება და ა.შ.). გამოითვლება მიმდინარე და შესადარ ფასებში. ახასიათებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოითვლება ეროვნული სიმდიდრის როგორც მთლიანი მოცულობა, ისე მისი ოდენობა ქვეყნის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით.

მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეფასებით, მსოფლიო ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურაში ბუნებრივი რესურსები შეადგენს 20,0%-ს, დაგროვილი მატერიალური სიმდიდრე – 16,0%-ს, ხოლო ადამიანისეული კაპიტალი – 64,0%-ს.

თანამედროვე მსოფლიოს ეროვნული სიმდიდრე (მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით), 550 ტრილიონ დოლარს შეადგენს. აქედან, 365 ტრილიონი მოდის ადამიანისეულ კაპიტალზე, მატერიალურ კაპიტალზე – 95, ხოლო ბუნებრივ რესურსებზე – 90 ტრილიონი დოლარი.

ეროვნული სიმდიდრე არათანაბარია სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ნახევარი მოდის „დიდ შვიდეულზე“ – აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, კანადა, იაპონია. დანარჩენი ნახევარი ნაწილდება შემდეგნაირად: ოპეკის ქვეყნებზე მოდის 95 ტრილიონი დოლარი, დსთ-ის ქვეყნებზე 80, დანარჩენ ქვეყნებზე – 100 ტრილიონი დოლარი.

ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყა-

ნა რუსეთია. მისი რესურსული პოტენციალი, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2-2,5-ჯერ აჭარბებს აშშ-ის რესურსულ პოტენციალს, 6-ჯერ გერმანიისას და 18-21-ჯერ – იაპონიისას. აშშ-ის ეროვნული სიმდიდრე, მიმდინარე ფასებით, დაახლოებით 24 ტრილიონი დოლარის ტოლია.

ეროვნული უპირატესობის რომბი (national priority rhomb) – მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ქვაკუთხედი, აისახება ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინანტში, რომლებიც ერთობლიობაში წარმოქმნიან იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ახალი, კონკურენტუნარიანი კომპანიების „აღმოცენებას". საბოლოო ანგარიშით ყალიბდება ის „სათამაშო ველი", რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა ქმნის საკუთარი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ეს დეტერმინანტებია:

1. ფაქტორული პირობები. ქვეყნის პოზიცია იმ წარმოების ფაქტორებთან (კვალიფიციური სამუშაო ძალა, ტექნოლოგიური, ადმინისტრაციული და ფიზიკური ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზრები, მიწოდების პირობები) მიმართებაში, რომლებიც აუცილებელია მოცემული დარგის კონკურენტუნარიანობისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ტემპით და რამდენად ეფექტიანად ქმნის და განაახლებს ქვეყანა ამ ფაქტორებს კონკურენტულ დარგებში. მაგალითად, კოლეჯდამთავრებული მუშახელი არ განაპირობებს კონკურენტულ უპირატესობას თანამედროვე პირობებში. ამისათვის იგი სპეციალიზებული უნდა იყოს დარგის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ვენჩურულ კაპიტალსა და სტაბილურ ინვესტიციებს მოითხოვს. კონკურენტული უპირატესობა უკავშირდება მსოფლიო კლასის მოდერნიზებული ინსტიტუტების შექმნასა და მათ მიერ წარმოებული ბრენდის შედეგია. მაგ., დანია მსოფლიო ლიდერია დიაბეტის კვლევასა და ინსულინის ექსპორტში, ხოლო ნიდერლანდი მსოფლიო ლიდერია ყვავილების კულტივირების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების სფეროში.

2. მოთხოვნის პირობები. ქვეყნის შიდა ბაზარზე მოცემული დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის რაოდენობრივი, განსაკუთრებით კი, ხარისხობრივი, თვისებრივი დეტერმინატები;

3. ქვეყანაში ერთმანეთთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების არსებობა;

4. კომპანიის მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენტული გარემო. ქვეყანაში

არსებული პირობები, რომლებიც წარმართავენ კომპანიების შექმნას, ორგანიზებასა და მართვას, აგრეთვე მეტოქეობასა და კონკურენციის ხასიათს.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი, როგორც სისტემა, გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა, დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, რომელთა საფუძველზე კომპანიები აცნობიერებენ რა მიმართულებით წარმართონ თავიანთი ბიზნესი და მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას. პორტერის აზრით, კომპანიებზე განხორციელებული სხვადასხვა სახის ზეწოლა აიძულებს მათ მიიზიდონ ინვესტიციები და განახორციელონ ინოვაციები. მაგალითად, იაპონელთა ცნობილმა განცხადებამ „ჩვენ ვართ კუნძული-სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების გარეშე“ – კარგი სამსახური გაუწია მათ ქვეყანას ამ ნაკლოვანებით გამოწვეული არახელსაყრელი მდგომარეობა კონკურენტული ინოვაციების განხორცილებითა და ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის უფრო მდგრადი სეგმენტების მოძიებაში უცხოელი მეტოქეებისათვის დასწრებით გადაეფარათ.

ამრიგად, ქვეყანაში ჩამოყალიბებული კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარემო დროთა განმავლობაში განამტკიცებს მათ კონკურენტულ უპირატესობას. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმცირის, მიწის მაღალი ფასის, მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის რომ გაუძლონ კონკურენციას, ისინი ადეკვატურად რეაგირებენ ბაზრის მოთხოვნებზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მიმართავენ წარმოების მოდერნიზაციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, ინოვაციებს, აფუძნებენ თანამედროვე სტრატეგიებს და ამით ქმნიან ახალ ბაზარს. ამ შემთხვევაში კონკურენტული ბრძოლის მოდელი არაფასისმიერ კონკურენციაში აისახება, რაც მაღალი ხარისხის, ტექნოლოგიურად სრულყოფილი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მიწოდებაში გამოიხატება.

ეროვნული შემოსავალი (national income) - ეროვნული წარმოებიდან მიღებული შემოსავალი; ეკონომიკაში ყველა სახის შემოსავლის ჯამი; საქონლისა და მომსახურების ფულადი შეფასება, რომელიც იქმნება ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის შედეგად. მოიცავს ხელფასს, რენტულ შემოსავალს, კორპორაციების შემოსავლებს, წმინდა პროცენტსა და საკუთრებიდან შემოსავლებს. გამოითვლება როგორც სხვაობა **მეპ**-ის სიდიდეს, ძირითადი კაპიტალის

მოხმარებასა და არაპირდაპირ გადასახადებზე გაწეულ ჯამობრივ დანახარჯებს შორის.

არსებობს სამი მიდგომა ეროვნული შემოსავლის განსაზღვრისადმი. **პირველი მიდგომის** მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლები იყოფა მოგებისგან შემოსავლებად და დასაქმებისგან შემოსავლებად; **მეორე მიდგომა** მდგომარეობს სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯების მთლიანი თანხის დაჯამებაში; **მესამე მიდგომა** გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორის პროდუქციის თანხის შეკრებას. **შემოსავლების, ხარჯებისა** და **გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე** დაფუძნებული ამ სამი მიდგომიდან გამომდინარეობს ეკონომიკური აგრეგატების აღწერის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც გამოიყენება ეროვნული შემოსავლის ანგარიშის შედგენისას. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოდ მოყვანილი ცხრილი (ციფრები პირობითია).

ცხრილი

შემოსავლების მეთოდი

	შემოსავალი დასაქმებიდან	40
პლუს	შემოსავალი ინდივიდუალური მეწარმეობიდან	5
პლუს	კომპანიის მთლიანი მოგება	5
პლუს	სახელმწიფო საწარმოების მთლიანი მოგება	5
პლუს	რენტა	5
	ტოლიამთლიანი შიგა შემოსავალი მარაგების გაძვირების გამოქვითამდე	60
მინუს	მარაგების გაძვირება	15
	ტოლიამთლიანი შიგა პროდუქტი	45
პლუს	წმინდა შემოსავალი საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან	5
	ტოლიამთლიანი ეროვნული პროდუქტი	50

ხარჯების მეთოდი

	სამომხმარებლო ხარჯები	35
პლუს	საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო ორგანოების მიმდინარე ხარჯები	10
პლუს	მთლიანი შიდა ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	10
პლუს	მარაგების ფიზიკური მოცულობის გადიდების ღირებულება და დაუმთავრებელი წარმოება	5
	ტოლიაერთობლივი შიგა ხარჯები საბაზრო ფასებში	60
პლუს	ექსპორტი და შემოსავალი საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან	10
მინუს	იმპორტი და შემოსავლები საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან	15
მინუს	არაპირდაპირი გადასახადები	10
პლუს	სუბსიდიები	5
	ტოლიამთლიანი ეროვნული პროდუქტი	50

წარმოების მოცულობათა მეთოდი

	სოფლის მეურნეობა და მრეწველობის მოპოვებითი დარგები	5
პლუს	მრეწველობის გადამმუშავებელი დარგები	20

პლუს	მომსახურება და მშენებლობა	20
ტოლია	მთლიანი შიგა პროდუქტი	45
პლუს	წმინდა შემოსავალი საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან	5
ტოლია	მთლიანი ეროვნული პროდუქტი	50
მინუს	ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია	10
ტოლია	წმინდა ეროვნული პროდუქტი	40

ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა **შემოსავლების მეთოდით** არ დაიყვანება ყველა შემოსავლის მარტივ დაჯამებამდე.

ეროვნული შემოსავალი არის ქვეყნის რეზიდენტების (კორპორაციები და კერძო პირები) შემოსავლების ერთობლიობა, რომელსაც იღებენ უშუალოდ მიმდინარე წარმოებიდან. იგი მოიცავს წარმოების ფაქტორთა მფლობელების შემოსავლებს და გამორიცხავს ყველა იმ შემოსავალს, რომელიც არ შეიძლება შეფასდეს გადასახადებად მიმდინარე წარმოებრივი საქმიანობისთვის. ყველა ფაქტორული შემოსავლის ჯამს წარმოადგენს მთლიანი შიდა შემოსავალი, რომელიც მარაგების გაძვირებით გამოწვეული ცვლილებების შემდეგ იძლევა მთლიან შიდა პროდუქტს. თუ ამის შემდეგ მას დაემატება წმინდა შემოსავალი საზღვარგარეთ არსებული საკუთრებიდან, მაშინ საბოლოოდ მიიღება **მთლიანი ეროვნული შემოსავალი, რომელიც უფრო ცნობილია როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტი**.

ხარჯების მეთოდის გამოყენებისას საბაზრო ფასებით ჯამდება სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯები ერთობლივი შიდა ხარჯების მისაღებად. იკრიბება მხოლოდ საბოლოო დოვლათის ღირებულებები და გამოირიცხება ყველა ხარჯი შუალედურ დოვლათზე. ამასთან, ვინაიდან საბოლოო დოვლათზე გავლენას ახდენს გადასახადები, სუბსიდიები და ხარჯები იმპორტზე, მაგრამ არ იცვლება ექსპორტის ღირებულება, ამიტომ ამ მეთოდით მთლიანი ეროვნული პროდუქტის მისაღებად აუცილებელია შესწორებების შეტანა აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით.

წარმოების მოცულობათა მეთოდი აჯამებს დამატებულ ღირებულებას წარმოების ყველა სტადიაზე ქვეყნის დარგებსა და საწარმოებში. ამ დამატებულ ღირებულებათა ჯამი იძლევა მთლიან შიდა პროდუქტს, რომელიც საზღვარგარეთ არსებული საკუთრებიდან წმინდა შემოსავლის დამატებით გარდაიქმნება მთლიან ეროვნულ პროდუქტად.

ამრიგად, სამივე მეთოდით გაიანგარიშება მთლიანი ეროვნული პროდუქტი, რომელიც, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის გამოქვითვის შემდეგ, იძლევა ეროვნულ შემოსავალს, ანუ უფრო ზუსტად, წმინდა ეროვნულ პროდუქტს.

ეროუ კენეთ ჯ. (დაბ. 1921) (Arrow Kennet J.) - ამერიკელი

ეკონომისტი, ჯონ ჰიკსთან ერთად ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი (1972). განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ეკონომეტრიკის განვითარებაში. მისი ნაშრომები ძირითადად ეძღვნება საყოველთაო წონასწორობის სისტემის ანალიზს. ნაშრომში „საზოგადოებრივი არჩევანი და ინდივიდუალური ფასეულობები“ (1951) განიხილა კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის დილემა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელთა სუვერენიტეტის პირობებში შეუძლებელია განსაზღვრო ინდივიდუალური პრიორიტეტების შესაბამისი საზოგადოებრივი პრიორიტეტები. ამიტომ შეუძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის შემუშავება, რომელიც პოზიტიურად დაკავშირებული იქნება ინდივიდუალურ არჩევანთან. საზოგადოებას არ შეუძლია შეიმუშაოს კოლექტიური შეხედულება იმის შესახებ, თუ რა სურს მას.

ეროუს ძირითადი ნაშრომებია: „გამოკვლევა წარმოებისა და მარაგების მათემატიკურ თეორიაში“ (1958), „ნარკვევები რისკის თეორიაში“ (1970), „კონკურენციის ზოგადი ანალიზი“ (1971) (ფრენკ ჰანთან ერთად) და ა.შ.

ეროუ-დებრიოს მოდელი (Arrow-Debreus model) - ნობელის პრემიის ლაურეატების კ. ეროუსა და ჟ. დებრიოს მიერ შემუშავებული კონკურენციული ბაზრის საყოველთაო წონასწორობის ეკონომიკურ-მათემატიკურ თეორიაზე აგებული მოდელი, რომელიც მათ ცალ-ცალკე დაამუშავეს, ხოლო შემდეგ ერთობლივ პუბლიკაციაში წარმოადგინეს 1954 წელს.

ეროუ-პრატას კოეფიციენტი (Arrow-Pratt coefficient) - რისკისგან გადახრის ინტენსივობის მაჩვენებელი, რომლის სიდიდე განისაზღვრება როგორც სარგებლიანობის მეორე წარმოებული ფუნქციის თანაფარდობა ზღვრულ სარგებლიანობასთან.

ეტატიზმი (etatism) [<ფრანგ. etat სახელმწიფო] - პოლიტიკური ცნება, რომელიც გამოხატავს აქტიურ ჩარევას საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

ეფექტიანი მოთხოვნა (effective demand) - ერთობლივი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოფილი მათი შეძენისთვის საჭირო რესურსებით. იგი განსხვავდება პოტენციური მოთხოვნისაგან, რომელიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილს, მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი მათი შეძენისთვის საჭირო რესურსებით და ამიტომ არ შეიძლება ფასების მექანიზმის მეშვეობით დაყვანილი იქნეს მომხმარებლამდე.

ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია იმით რომ, ვინაიდან ფასების

მექანიზმი არ იძლევა სიგნალს პოტენციური მოთხოვნის შესახებ, ამიტომ საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება წარმოიქმნას უწონასწორობა.

ეფექტიანობა (efficiency) - რესურსთა გამოყენების შეფასების კრიტერიუმი. გამოითვლება რესურსების გამოყენებით მიღებული შედეგის შეფარდებით წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯებთან. ბაზრის ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როცა რესურსები იმგვარად ნაწილდება, რომ მათი გამოყენებით მიიღება მაქსიმალურად შესაძლებელი წმინდა ეკონომიკური მოგება.

ექსპატრიანტი (expatriante) - ფართო გაგებით, ამ ტერმინში იგულისხმება უცხოელები, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია მისი უფრო ვიწრო გაგებით გამოყენებისა, განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში ჩამოსულ პირთა მიმართებაში. მათი სამუშაო, ორ ქვეყანას შორის ხელფასის დონეებში სხვაობიდან გამომდინარე, შედარებით მაღალანაზღაურებადია.

ექსპლუატაცია (exploitation) – გამოიყენება ორი მნიშვნელობით: პირველი გულისხმობს რესურსების გამოყენებას, ხოლო მეორე – დაქირავებული მუშაკის მიერ დახარჯული შრომის ანაზღაურებაში დამქირავებლის მიერ დაშვებულ შეცდომებს. ამის მაგალითია, როდესაც დამქირავებელი გაცილებით ნაკლებს უხდის დაქირავებულს, ვიდრე მისი შრომის ფასია.

ექსპლუატაციის ეს მეორე განმარტება უკავშირდება კარლ მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიას. მარქსის მიხედვით ზედმეტი ღირებულების ნორმა ექსპლუატაციის საზომია. ასეთმა ფორმულირებამ თავი იჩინა თანამედროვე ეკონომიკურ ტერმინებშიც (ჯ. რობინსონი) როგორც სხვაობამ დაქირავებულის ხელფასსა და მისი ზღვრული პროდუქტის ღირებულებას შორის.

ექსპორტი (export) - ერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გატანა საზღვარგარეთ საგარეო ბაზრებზე რეალიზაციის მიზნით. არსებობს **ხილული** და **უხილავი** ექსპორტი. ხილულია ფიზიკურად ხელშესახები საქონლის ექსპორტი, ხოლო უხილავი – მომსახურებისა.

ექსტრაპოლაცია (extrapolation) [<ლათ. polatio] - შეცვლა, განახლება) – 1. არსებული მონაცემების საფუძველზე ეკონომიკურ მაჩვენებელთა მოსალოდნელი მნიშვნელობების განსაზღვრა წარსულში მათი ცვლილებების გათვალისწინებით; 2. სტატისტიკური კვლევისას მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების საფუძველზე მიღებული დასკვნების გავრცელება მის მეორე ნაწილზე.

ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები (exterritorial organizations and bodies) - მოიცავს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა გაერ-

თიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული დანაყოფები, რეგიონული ორგანოები და ა.შ., ევროკავშირი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, არაბული სახელმწიფოების ლიგა, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია და სხვ. რაც შეეხება დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საელჩოებს, ისინი გაეროს **სსდკ**-ის მიხედვით კლასიფიცირებულია ქვეჯგუფში **–** „უცხოური საქმეები". ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სახელმწიფო მმართველობაში შედის.

ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები გაეროს **სსდკ**-ში ცალკე განყოფილებად შედის.

ექსტერიტორიულობა (exterritoriality) [<ლათ. exterritorialis] **-** განსაკუთრებული უფლებამოსილებანი (საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, ბეგარისა და გადასახადისაგან განთავისუფლება და სხვ.), რომლებსაც სახელმწიფო ანიჭებს უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ექსტერნალიზაცია (externality) **-** ფირმის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებული მომსახურების მიყიდვა სხვა კომპანიებისათვის. ჩვეულებრივ, ექსტერნალიზაცია ხორციელდება ფირმის შიგნით ქვეგანყოფილებების ან ფილიალების შექმნის გზით. იმ შემთხვევაში, თუ სოლიდურ საბაზრო წარმატებას მიაღწევს, ასეთ ფილიალს შეუძლია თავად გახდეს დამოუკიდებელი ფირმა. მაგ., ინგლისის ექვსი წამყვანი ფირმა, რომლებიც ამჟამად კომპიუტერულ მომსახურებაშია სპეციალიზებული, ადრე ამ ქვეყნის ტრანსეროვნული კორპორაციების ფილიალებად ითვლებოდა.

ეჯოურტი ფრენსის ისიდრო (1845–1926) (Edgeworth Fransis Ysidro) – ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი 1891–1922 წლებში, ამავე წლებში „ეკონომიკური ჟურნალის" გამომცემელი, მარჟინალისტი და ეკონომიკურ-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი. ცნობილია აგრეთვე როგორც სტატისტიკური მეთოდების მკვლევარი. ეჯოურტის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „მათემატიკური ფსიქოლოგია" (1881), „ალბათობისა და სარგებლიანობის გაზომვის მეთოდი" (1888), „მონოპოლიების თეორია" (1897), „განაწილების თეორია" (1904), „სტატიები პოლიტიკური ეკონომიის შესახებ" (1925) და ა.შ. მისი გამოკვლევებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ინდექსებისა და საბანკო საქმის მათემატიკური მოდელირებისადმი მიძღვნილმა პუბლიკაციებმა.

ვ

ვაგნერის კანონი (Wagner's law) - ჰიპოთეზა, რომელიც წამოაყენა XIX საუკუნის ბოლოს გერმანელმა ეკონომისტმა ადოლფ ვაგნერმა. მისი აზრით, სამრეწველო განვითარებას თან ახლავს სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდა მთლიან ეროვნულ პროდუქტში. ვაგნერმა ჩამოაყალიბა ამ მოვლენის სამი ძირითადი მიზეზი:

1. ხარჯების შეფარდებითი ზრდა სახელმწიფო მმართველობაზე, კანონიერების და წესრიგის დაცვაზე, აგრეთვე საზოგადოების განვითარების კვალობაზე ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაზე;

2. მოთხოვნის ელასტიკურობა სახელმწიფოს კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობაზე. მოთხოვნა ასეთი სახის მომსახურებაზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შემოსავლები;

3. ეკონომიკური განვითარების კვალობაზე სამრეწველო მონოპოლიების ზრდა, რომელიც სახელმწიფო კონტროლს მოითხოვს.

ვაგნერის წინასწარმეტყველება დაადასტურა შემდგომმა მოვლენებმა, თუმცა, იმ პერიოდში იგი გახდა მწვავე კრიტიკის ობიექტი.

ვადიანი ანაბარი (time deposits) - ვადიანი დეპოზიტი, დანაზოგი, რომელიც შენახულია ბანკში განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლამდე არ გაიცემა.

ვადიანი თამასუქი (time bill) - თამასუქი ფიქსირებული ვადით.

ვაკუფი (wakuf) [არაბ. wakf] - უძრავი ან მოძრავი ქონება (აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში), შეწირული რელიგიური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სასარგებლოდ.

ვალვაცია (valuation) [<ფრანგ. evaluation შეფასება) — უცხოური ვალუტის ღირებულების განსაზღვრა ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ერთეულით.

ვალი (debt) - ვალდებულება, წარმოქმნილი ფულადი სახსრების, სესხის ან საქონლის (მომსახურების) კრედიტით მიღების საფუძველზე, ანუ მოგვიანებით გადახდის შესახებ. ვალის ფორმა დამოკიდებულია გარიგების პირობებზე. მისი უმეტესობა ითვალისწინებს პროცენტის გადახდას გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, დადგენილ ვადაში. არსებობს ვალის სხვადასხვა სახე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საბაზრო ფორმა, ანუ შეიძლება მისი ყიდვა-გაყიდვა განსაზღვრულ ბაზარზე, მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა საფონდო ბირჟა.

ვალორიზაცია (valorization) [<ფრანგ. valorisition] - საქონლის ფასის, ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა სახელმწიფო ღონისძ-

იებების დახმარებით.

ვალრასი ლეონ (1834-1910) (Walras Leon) – წარმოშობით ფრანგი, 1870 წელს გახდა ლოზანის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პირველი ხელმძღვანელი. დიდი წარმატება მოუტანა ფასეულობის თეორიაში ზღვრული სარგებლიანობის თეორიის დამოუკიდებლად შემუშავებამ (1873), მაგრამ მისი უთვალსაჩინოესი მიღწევა ეკონომიკურ თეორიაში იყო ყველა ბაზრის მომცველი საყოველთაო წონასწორობის თეორიის შექმნა. ვალრასმა, მათემატიკური აპარატის გამოყენებით, წარმოადგინა ბაზრის იდეალური მოდელი, რომელიც აერთიანებს წარმოების, გაცვლის, კაპიტალისა და ფულის თეორიებს (1874-1877).

ვალუტა (currency) [<იტალ. valuta-ფასი, ღირებულება] - ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლაში და დაკავშირებულია ყოველგვარ ფულად ანგარიშსწორებასთან საერთაშორისო ურთიერთობაში. ვალუტას მიეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო საანგარიშსწორებო ფულადი ერთეულები (მაგ., ევრო), რომლებიც ემიტირებულია სამთავრობათაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ.

სხვადასხვა ქვეყნის ვალუტები საერთაშორისო ანგარიშსწორებაში არათანაბარი ზომით გამოიყენება, ვინაიდან ამ ქვეყნებს მსოფლიო საფინანსო გაერთიანების მიერ აღიარებული და დაკანონებული კონვერტირების სხვადასხვა რეჟიმი აქვთ. ამიტომ ქვეყნების ერთი ჯგუფი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, და სხვ.) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში იყენებს როგორც საკუთარ ეროვნულ ვალუტას, ისე უცხოურსაც, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოები (მათ შორის, საქართველო და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები) იძულებულნი არიან საერთაშორისო ანგარიშსწორებაში მხოლოდ უცხოური ვალუტები გამოიყენონ.

საერთაშორისო სავალუტო ბრუნვაში უპირატესად მონაწილეობს სულ რამდენიმე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომლებსაც ამჟამად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიაკუთვნებს აშშ-ის დოლარს, ევროს, ინგლისურ გირვანქა სტერლინგს და იაპონურ იენს. სწორედ ეს ვალუტები შეადგენენ მსოფლიო სავალუტო რეზერვების ძირითად მასას. არსებობს აგრეთვე სხვა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტები — ზოგიერთი ქვეყნის (შვეიცარიის, სინგაპურის და სხვ.) ეროვნული ფულადი ერთეულები, მაგრამ ემისიის მასშტაბის გამო მსოფლიოში მათი რაოდენობა არ არის საკმარისი საერთაშორისო

საგადასახადო ბრუნვის მომსახურებისათვის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფულადი ერთეულები ან შეზღუდული შექცევადობისაა, ან მთლიანად შეუქცევადი და მხოლოდ სავალუტო კოტირების მეშვეობით უკავშირდება სავალუტო სფეროს.

მსოფლიო ვაჭრობასა და საერთაშორისო ინვესტირებაში ძირითადი (სარეზერვო) ვალუტის როლს ასრულებს აშშ-ის დოლარი (აგრეთვე, ევრო), რომლის წილადაც მოდის საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი. ნედლეულის, ენერგომატარებლების, უმეტესი სახის მზა ნაწარმის მსოფლიო ფასები დოლარებშია ფიქსირებული.

ვალუტის ბაზარზე ზეწოლის ინდექსი (Exchange Market Pressure Index - **EMPI**) - მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის, საერთაშორისო რეზერვებისა და გაცვლითი კურსის ცვლილების საშუალო შეწონილი სიდიდე. იგი მხოლოდ რამდენიმე მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს მოიცავს და ამის გამო, ქვეყანაში მიმდინარე ყველა ეკონომიკურ პროცესს სრულად ვერ აღწერს. **EMPI** ინდექსი 1996 წელს შეიმუშავეს ეიჩენგრინმა, როუზმა და უაიპლოზმა. მაღალი ინდექსი ვალუტის ბაზარზე დიდ ზეწოლაზე მეტყველებს. **EMPI** გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$EMPI_{it} = \alpha \Delta e_{it} + \beta \Delta (i_{it} - \bar{i}_i) - \\ - Y(\Delta r_{it} - \overline{\Delta r}_i),$$

სადაც e_{it} - ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსია დოლარის მიმართ, i_{it} და r_{it} , შესაბამისად, – მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის და წმინდა საერთაშორისო რეზერვებისა და სარეზერვო ფულის შეფარდება i-ური ქვეყნისათვის; $\bar{i}_i$ და $\overline{\Delta r}_i$ აღნიშნავს i_{it} და Δr_{it} საშუალოს, Δ განსაზღვრავს ზრდის ტემპს. **EMPI** ინდექსი საკმაოდ მგრძნობიარეა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების მიმართ და ნათლად ასახავს კრიზისების „გადამდებ“ ეფექტს მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნებს შორის. მაგ., მექსიკის კრიზისი 1994-1995 წლებში და მისი გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, რუსეთის კრიზისი 1998 წელს და მისი გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყანაში **EMPI** ინდექსი ურთიერთდამოკიდებულების ახსნის მარტივი მეთოდია. მაგ., **EMPI** ინდექსის კორელაციის კოეფიციენტი საქართველოსა და თურქეთს შორის (0,555) უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოსა და რუსეთს შორის (0,367). ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკაზე თურქეთის ფინან-

სური კრიზისი, რუსეთთან შედარებით, უფრო დიდ გავლენას ახდენს.

ვალუტის ბაზარი (currency market) - მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტებისა და უცხოურ ვალუტებში გამოხატული საგადასახადო დოკუმენტების — ჩეკების, თამასუქების, აკრედიტივების და ა.შ. ყიდვა-გაყიდვას. ეს პროცესი ხორციელდება ვალუტების გაცვლის ფორმით და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დადგენილი კურსის შესაბამისად. ვალუტის ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების, ვალუტის ბირჟების, სავალუტო განყოფილებების, მსხვილი, პირველ ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების სპეციალიზებული საბროკერო ფირმების ერთობლიობაა. სავალუტო ოპერაციების ძირითად ნაწილს, ცენტრალური ბანკის ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებენ სავალუტო ბანკები. როგორც წესი, ეს არის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი უმსხვილესი ბანკები, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში აქვთ საკუთარი განყოფილებები და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარიგებებს ახორციელებენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ვალუტის ბაზრის დანიშნულებაა სხვადასხვა ვალუტაში საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკული რეალიზაცია, სახელმწიფოს, ბანკების, სხვადასხვა კორპორაციების სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ვალუტის კურსის დადგენა, სავალუტო რისკის დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება და სხვ.

ვალუტის ბაზარზე ანგარიშსწორება ხდება ნაღდი (დაუყოვნებელი), კომბინირებული და ვადიანი გადახდის ფორმით. სავალუტო ოპერაციებში ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ცნობილია „სპოტის“, ვადიანი გარიგება — „ფორვარდის“, ხოლო კომბინირებული — „სვოპის“ სახელწოდებით. გარდა ამისა, ვალუტის ბაზარზე სრულდება საარბიტრაჟო ოპერაციები, რომლებიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ვალუტის ბირჟა (currency stock market) [<ლათ. bursa - საფულე] - ბაზრის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც ხდება უცხოური ვალუტების კურსის (ფასის) კოტირება.

რაც შეეხება უცხოური ვალუტით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ვალუტის ბირჟაზე მათი მხოლოდ ნაწილი სრულდება.

ვალუტის ბირჟის განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბირჟაზე ფიქსირდება უცხოური ვალუტების ოფიციალური კურსი (ოფიციალური ფასი), როგორც საფინანსო და სტატისტი-

კური გაანგარიშებების საყოველაო მასშტაბი, რომელსაც ბაზად იყენებენ არასაბანკო სექტორის კლიენტებთან სავალუტო ანგარიშსწორებისას.

ვალუტის ბირჟის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრალური ბანკი. თუ რომელიმე ვალუტის კურსის ზედა ზღვარის ამაღლების საშიშროება წარმოიქმნება, იგი ზრდის ამ ვალუტის მიწოდებას, მაგრამ თუ, პირიქით, კურსის დაცემის ტენდენცია შეიმჩნევა, ცენტრალური ბანკი ყიდულობს ვალუტას მისი პარიტეტის შენარჩუნებისათვის. ცენტრალური ბანკის „ინტერვენცია“ შეიძლება განხორციელდეს ვალუტის ბირჟის ფარგლებს გარეთაც. ეს ნაკარნახევია, პირველ ყოვლისა, ოფიციალური კურსის დადგენის საჭიროებით.

ბირჟაზე სავალუტო ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ დევიზებით და არა მონეტებით ან სახაზინო ბილეთებით. ვაჭრობის დამთავრებისას ბირჟაზე ცხადდება მყიდველის, გამყიდველისა და საშუალო კურსები. ოფიციალურ ბიულეტენში, როგორც წესი, ქვეყნდება მხოლოდ მყიდველისა და გამყიდველის კურსები, რაც კლიენტებთან ანგარიშსწორების საფუძველია. თუ კლიენტი ვალუტას ყიდულობს, მაშინ ბანკი თანხას გაიანგარიშებს გამყიდველის კურსით, ხოლო თუ კლიენტი ვალუტას მიჰყიდის ბანკს, მაშინ თანხა გამოითვლება უფრო დაბალი მყიდველის კურსით. გამყიდველისა და მყიდველის კურსებს შორის სხვაობა დაახლოებით შეესაბამება სავალუტო ოპერაციებზე გაწეულ დანახარჯებს.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილია გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდის ვალუტის ბირჟები. ზოგ ქვეყანაში ასეთი ბირჟა საერთოდ არ არსებობს, კურსების კოტირება კი სხვადასხვაგვარად ხდება. მაგ., შვეიცარიაში უცხოური ვალუტების კურსებს მსხვილი ბანკები ადგენენ. ასევე ხდება დიდ ბრიტანეთშიც, სადაც პრესა აქვეყნებს ცნობებს მხოლოდ ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი კურსების შესახებ. სკანდინავიის ქვეყნებში ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის წინასწარ ხდება შეთანხმება აშშ-ის დოლარისა და ბრიტანული გირვანქა სტერლინგის კურსების თაობაზე. იტალიაში მოქმედებს ორი სხვადასხვა ვალუტის ბირჟა განსხვავებული კოტირებით. იტალიის ცენტრალური ბანკი მათი მონაწილეობის საფუძველზე ადგენს კურსის საშუალო სიდიდეს, რომლის მიხედვითაც ბანკები ანგარიშსწორებას ახდენენ თავიანთ კლიენტებთან.

ვალუტის ბლოკირება (blocked currency) - საბანკო ანგარიშებზე არსებული უცხოური ვალუ-

ტის გამოყენების აკრძალვა ან შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ვალუტის კალათა (currency basket) - ეროვნული ვალუტების ნაკრები, რომელსაც იყენებენ უცხოური ვალუტების კოტირებისას ეროვნული ან საერთაშორისო კოლექტიური ვალუტების კურსის განსაზღვრისათვის, რაც ვალუტების მსყიდველობითი უნარისა და გაცვლის საერთო ეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ვალუტის კონვერტირება (convertion of currency) - ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე მოქმედი ვალუტის კურსის მიხედვით, ანუ კონვერსიის განხორციელება.

ვალუტის კურსი (**გაცვლითი კურსი**) (currency exchange rate) - ეროვნული ვალუტის ერთეულის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს უცხოური ვალუტის ერთ ან რამდენიმე ერთეულზე და, პირიქით, ერთი ფულადი ერთეულის ფასი, რომელიც გამოსახულია მეორე ერთეულით. საბაზრო ეკონომიკაში განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით და გამოხატავს ეკონომიკის მდგომარეობას (მათ შორის, ფასების დონესაც).

არსებობს ალტერნატიული შეხედულება ვალუტის კურსზე, რომელიც გამომდინარეობს მონეტარული თეორიისაგან. იგი ვალუტის კურსს განიხილავს როგორც არა ფასს, რომელიც ათანაბრებს ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოზდების ნაკადებს, არამედ როგორც ორი ვალუტის შეფარდებით ფასს, გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ფულადი ერთეულის ღირებულებაზე, გავლენას მოახდენს მის გაცვლით კურსზე. როდესაც ვალუტის ბაზარზე არ ხორციელდება სამთავრობო ინტერვენციები, კურსი თავისუფლად ცურავს, მაღლდება ან ეცემა, მოცემულ ვალუტაზე აწონასწორებს მოთხოვნა-მიწოდებას. ინტერვენციები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის – დაწყებული სავალუტო კონტროლით, დამთავრებული ისეთი საქმიანობით, რომელიც უშუალოდ არ შედის საბაზრო ოპერაციებში, მაგრამ მიზნად ისახავს ვალუტის კურსის სტაბილიზაციას.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის შესაბამისად XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების დასაწყისამდე ვალუტის კურსებს სტაბილური შეთანხმებული პარიტეტები ჰქონდა, თუმცა, შესაძლებელი იყო მათი ცვლილება რევალვაციისა და დევალვაციის მეშვეობით. ცენტრალური ბანკი ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის გზით მასტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენდა მის კურ-

სზე რყევის პირობებში. 1971 წელს ასეთ მარეგულირებელ სისტემაში უარის თქმის შემდეგ ვალუტის კურსები გახდა მოქნილი რეგულირების ობიექტი, რომლის დროსაც ცენტრალური ბანკების ჩარევა უფრო აქტიურია არასასურველი რყევების დასაძლევად. ვალუტის კურსების მოქნილი რეგულირების სისტემას ზოგჯერ „ბინძურ" ცურვასაც კი უწოდებენ, ვინაიდან საკუთარ ვალუტის კურსზე სახელმწიფოს ზემოქმედება ხშირად ნაკარნახევია ანგარებიანი მოტივებით.

ვალუტის კურსის დაცემა (currency depreciation) - ერთი ვალუტის ღირებულების შემცირება სხვა ვალუტასთან შედარებით, ანუ მისი გაცვლითი კურსის კლება მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში. ეს მოვლენა თავისი შედეგებით დევალვაციის ანალოგიურია.

ვალუტის კურსის ზრდა (currency appreciation) - ერთი ვალუტის ღირებულების მატება სხვა ვალუტასთან შედარებით, ანუ მისი გაცვლითი კურსის ზრდა მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში. ეს მოვლენა თავისი შედეგებით რევალვაციის ანალოგიურია.

ვარანტი (warrant - მინდობილობა) - 1. ნოტარიულად დამტკიცებული წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს ერთი პირი მეორე პირის სახელზე მესამე პირთან მისი სახელით სამოქმედოდ. მინდობილობის წარდგენა შეიძლება ქონებრივი და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ბანკში, სასამართლოში, არბიტრაჟში, ბირჟასა და ა.შ.; 2. საქონლის განმაწესრიგებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში ინდოსამენტის მეშვეობით. მასში ფიქსირებულია წარმომადგენლის უფლებამოსილება აწარმოოს გარიგება ან ეწეოდეს სხვა სამართლებრივ საქმიანობას მრწმუნებლის სახელით.

ვაუჩერი (voucher) [<ინგ. voucher წერილობითი გარანტია] - მიზნობრივი საგადასახადო საშუალება; დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის უფლებას სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებული წილის (ფულადი ფორმით), სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დადგენილი მოცულობის და ა.შ. მიღებაზე.

საპრივატიზაციო ვაუჩერი არის ჩეკი, რომელიც იძლევა პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოების აქციების შეძენის უფლებას. ასეთი ვაუჩერი მისი მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერ კერძო პირზე, კომერციულ სტრუქტურასა თუ სხვა არასახელმწიფოებრივ მესაკუთრეზე. გასაყიდი ფასი შეიძლება ვაუჩერის საწყის, ნომინალურ ფასს დაემთხვეს, აღემატებოდეს ან მასზე ნაკლები იყოს.

ვაჭრობა (trade, merchandise) -

საქონლის გაცვლა ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის, განხორციელებული ბარტერის მეშვეობით ან უშუალოდ ფულით. ვაჭრობის უპირატესობაა მოხმარებისთვის ხელმისაწვდომი დოვლათისა და წარმოებრივი საქმიანობის სპეციალიზაციის დიაპაზონის გაფართოება. ვაჭრობის გარეშე ინდივიდებმა და ჯგუფებმა მოთხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილონ საკუთარი რესურსებით. თავისუფალი ვაჭრობა იწვევს შრომის დანაწილებას, რომელსაც მოაქვს სარგებლობა მისი ყველა მონაწილისათვის.

ვებლენი ტორსტეინ (1857-1929) (Veblen Thorstein) – ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი, ჩიკაგოს სკოლის პროფესორი და ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. კაპიტალისტური საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურის შესწავლას მიუძღვნა: „საქმიანი საწარმოს თეორია“ (1904), „მეცნიერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში“ (1919), „აბსენტეისტური საკუთრება“(1923), „ნარკვევები ჩვენ ცვალებად საზოგადოებრივ წყობაზე“ (1934) და ა.შ.

ვებლენს ეკუთვნის რიგი ეკონომიკური ტერმინის შემოღება და ორიგინალური განმარტება. მაგ., დემონსტრაციული მოხმარება, როგორც შთაბეჭდილების მოხდენა საზოგადოებაზე და არა უბრალოდ მოხმარება, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.

ძირითად კონფლიქტს ვებლენი (მარქსისგან განსხვავებით) ხედავდა არა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, არამედ თვითდასაქმებულებს შორის, კერძოდ, ვინც „აკეთებს“ ფულს და ვინც კიდევ – საქონელს. ვებლენის აზრით, ეს კონფლიქტი არსებობს ბიზნესმენებს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წარმოების ფინანსური მხარითა და მოგებით, ერთი მხრივ, და საინჟინრო და სხვა კადრებს შორის წარმოების ეფექტიანობით (ფიზიკური გამოხატულებით), მეორე მხრივ. მათ შორის კონფლიქტი წარმოიშვა ამ უკანასკნელთა მუდმივი განახლებისაკენ მისწრაფებით, რაც აუფასურებს ბიზნესმენთა კაპიტალის ღირებულებას. ვებლენი იკვლევდა „ფულადი კულტურის“ ინსტიტუტებს და ასაბუთებდა, რომ ტექნოლოგიები ამ ინსტიტუტების ნგრევით კიდევ უფრო გაამწვავებს არსებულ კონფლიქტს და გამოიწვევს სისტემის კრახს.

ვებლენის ეფექტი (Veblen effect) – მოვლენა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაცემისას მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს მოხდა ხარისხის გაუარე-

სების გამო და ამიტომაც ამცირებს მათ მოხმარებას. ფასების დაცემით ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ეწინააღმდეგება მოთხოვნის კანონს. ამ მოვლენის გაანალიზება უკავშირდება ამერიკელი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ეკონომიკაში ინსტიტუციური მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ტორსტეინ ვებლენის სახელს და ცნობილია ვებლენის ეფექტის სახელწოდებით.

ვენჩურული კაპიტალი (venture capital) - კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ინოვაციური პროექტების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური დამუშავებებისა და გამოგონებების დასაფინანსებლად და დაკავშირებულია დიდ რისკთან.

ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვისას, მოსალოდნელი შედეგების ნაკლებად სტაბილურობის გამო, მას ხშირად „სარისკო კაპიტალს“ უწოდებენ. ვენჩურული კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდება მეცნიერებატევად დარგებში.

ვენჩურული ოპერაციები (venture operations) [<ინგ. venture რისკის გაწევა] - ძირითადად ინოვაციური ბანკების მიერ მეცნიერულ-ტექნოლოგიური დამუშავებებისა და გამოგონებების დაფინანსებისა და დაკრედიტების მიზნით გატარებული ოპერაციები. ხასიათდება რისკის მაღალი დონით.

ვენჩურული (სარისკო) ფირმა (venture firm) - მცირე ან საშუალო სიდიდის კომერციული ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დაკავებულია ტექნიკურ სიახლეთა განხილვით, შერჩევითა და პრაქტიკული რეალიზაციით, მეცნიერული გამოკვლევების დამუშავებით, გარდა ამისა, აფინანსებს და კონსულტაციებს უწევს ამ სიახლეთა მფლობელ კომპანიებს. ვენჩურული ფირმები ძირითადად მსხვილი კომპანიებისაგან იღებენ შეკვეთებს.

ვირემენტი [<ფრანგ. virement - მოხვევა] - საბანკო ოპერაცია, რომლის დროსაც ხდება ერთი პირის მიმდინარე ანგარიშიდან მეორე პირის ანგარიშზე თანხის გადატანა.

ვიტაეკონომიკა (vitaleconomy) – ტრადიციული, სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზეა დაფუძნებული. მასში არ არსებობს ნეკრო- და ზომბიეკონომიკა.

ვიტაეკონომიკის სტრუქტურა ასეთია: 1. სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკა; 2. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა; 3. ახალი ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკის კერძო სექტორი. სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის ნათელი მაგალითია ენერგეტიკა და მომსახურების სფეროს რიგი დარგებისა (ტრანსპორტი, კავშირგაბ-

მულობა და ა.შ.). პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი და მათთან ერთად მრეწველობის უპირატესად მცირე ობიექტები გარდაიქმნება პრივატიზებულ ვიტაეკონომიკად.

ახალი ინვესტიციებით, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, მოწინავე და არა მოძველებული, მეორადი ტექნოლოგიებით შექმნილი ვიტაეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე ჯანსაღი ნაწილია. (**ვ. პაპავა**. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011).

ვიქსელის კრიტერიუმი (Viksel's criterion) - სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშემოსავლო დაბეგვრის ისეთი სისტემა, რომელიც თანაბარ ზიანს აყენებს ყველა მოქალაქის მატერიალურ კეთილდღეობას; მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილი „საგადასახადო ტვირთის განაწილების კრიტერიუმი", რომელიც შვედი ეკონომისტის კ. ვიქსელის სახელს ატარებს. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო შეძლებულთა შემოსავლებს უფრო მაღალ საგადასახადო განაკვეთს უწესებს, ვიდრე ღარიბებისას. პროგრესული დაბეგვრის ასეთი სკალა, ჯერ ერთი, ხელს უწყობს შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას, ხოლო მეორე, ზრდის საბიუჯეტო შენატანებს. ამრიგად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამოცანების გადაჭრაში ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები წარმოშობს სახელმწიფო საგადასახადო რეგულირების აუცილებლობას შემოსავლების გადანაწილებაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

ზ

ზარალი (Loss, Losses) - სახელმწიფოს, მეწარმის, მომხმარებლის ან შუამავლის მატერიალური, ქონებრივი და ფინანსური დანაკარგი, გამოწვეული სამეურნეო-ფინანსური კავშირების მოშლით, სასაქონლო და ფულადი მასის ბალანსირების დარღვევით, სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, უყაირათობით, მფლანგველობით, წუნდებული პროდუქციის გამოშვებით, კონფლიქტებით და სხვ. საზოგადოებისათვის დიდი ზარალი მოაქვს რეკეტს, ხელოვნური დეფიციტის შექმნას, მომხმარებელთა მოტყუებას, სპეკულაციას, ფარულ ეკონომიკას და ა.შ. საწარმოებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, როგორც წესი, ანაზღაურებს ვალდებულების დამრღვევი მხარე.

ზარალის ზღვრული ღირებულება (marginal damage cost) – როგორც წესი, გარემოს გაჭუჭყიანებით მიყენებული დამატებითი ზარალის ღირებულება გამოხატული ფულადი ფორმით. გარე ეფექტების (ექსტერნალიების) კერძო შემთხვევა. მაგ., მდინარეების, ტბების, ზღვებისა და ა.შ. ნავთობით გაჭუჭყიანების შედეგად კომერციული მეთევზეობისათვის მიყენებული დამატებითი ზარალი, რომლის ზუსტი შეფასება რთულია და მხოლოდ მიახლოებითია.

ზარალის ღირებულება (damage cost) - ფულადი ფორმით გამოხატული ზარალის ოდენობა. იგი ძირითადად გარემოს დაბინძურებით მიყენებული ზარალის გამომხატველია. ეკონომიკურ თეორიაში გარემოს დაბინძურება განიხილება როგორც გარე ეფექტების (ექსტერნალიების) კერძო შემთხვევა.

ზარაფხანა (mint) - მონეტების, ორდენებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო.

ზედნადები დანახარჯი (overhead expense, charge) - საწარმოს მართვისა და სამეურნეო მომსახურების დანახარჯი (ადმინისტრაციული პერსონალის შენახვის, შენობა-ნაგებობებისა და ინვენტარის მოვლა-რემონტის, შრომის უსაფრთხოებისა და სხვ.). ემატება საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად საჭირო ძირითად დანახარჯს და მასთან ერთად შედის თვითღირებულებაში.

ზენორმალური მოგება (super-normal profit) - „მოგების“ სინონიმი. თუ ფირმის მიერ მიღებული მოგება აღემატება ყველა ალტერნატიულ დანახარჯს, მაშინ ამბობენ, რომ იგი იღებს ზენორმალურ მოგებას.

ზომბიეკონომიკა (zomby-economy) – ჩაისახა XX საუკუ-

ნის 90-იან წლებში იაპონიაში, არსებობს მხოლოდ საბაზრო ურთიერთობების პირობებში. მისი ფუნქციონირების სფეროა ზომბი-ფირმები, ხოლო წყაროა დაკრედიტების შეღავათიანი სისტემა, რომელსაც ახორციელებენ ზომ-ბიბანკები (კრედიტებს აძლევენ ფირმებს საშუალო საბაზროზე და-ბალი საპროცენტო განაკვეთით). ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, დგას მთავრობა (სამთავრობო გარანტიები და ა.შ.), რაც, საბო-ლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბიბანკები, გარკვეულწილად, გადასახადების გადამხდელთა, ე.ი. მოსახლეობის ხარჯზე ფუნქციონი-რებენ. აქედან გამომდინარე, ზომ-ბიეკონომიკა, რომელიც ტვირთად აწვება ეკონომიკის ჯანსაღ ნაწ-ილს, ზომბიფირმების, ზომბიბანკე-ბისა და მთავრობის ერთობლივი საქმიანობის, მათი არაჯანსაღი ურთიერთობების შედეგია.

ზომბიეკონომიკის წარმოშობა უკავშირდება ფინანსურ კრიზისს, როდესაც საბანკო კრიზისის თავი-დან ასაცილებლად, ხელსაყრელი პირობები იქმნება საბიუჯეტო და-ფინანსების გზით ფირმების გა-დარჩენისათვის: ფინანსური კრიზი-სის ფონზე, უმუშევრობის გაზრ-და და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა მთავრობისაგან ლო-გიკურად მოითხოვს ასეთ ქმედე-ბას. სახელმწიფოს მხრიდან ფი-ნანსური მხარდაჭერის სისტემის შენარჩუნებას ზომბიეკონომიკის სტრუქტურები ფინანსური კრიზი-სის დაძლევის შემდეგაც ცდილო-ბენ.

ზომბიეკონომიკა დამახასიათე-ბელია არა მხოლოდ განვითარე-ბული, არამედ განვითარებადი ქვეყ-ნებისთვისაც.

ზრდის ინდექსი (growth index) - მთელ ეკონომიკაში საქმია-ნობის სახეობების მიხედვით გა-ანგარიშებული წინა წლის წონით შეწონილი (ლასპეირესის) ინდე-ქსი.

ზრდის ტემპი (growth rate) - ეკონომიკურ ანალიზში ფარ-თოდ გამოყენებული მაჩვენებელი. გამოხატავს დროის გარკვეულ პერიოდში მოცემული სიდიდის რაოდენობრივი პარამეტრების ცვ-ლილებას პროცენტებით, გვიჩვენებს რამდენი იყო და რამდენი გახდა.

„ზუსტი მომართვა“ (fine tuning) – ტერმინი გამოიყენება იმ სამთავრობო პოლიტიკის მიმართ, რომელიც ითვალისწინებს დაბეგ-ვრასა ან სახელმწიფო ხარჯებში მცირეოდენი ცვლილებების შეტა-ნას დასაქმებაზე, ეროვნული შე-მოსავლისა და ფასების დონეზე ზემოქმედების მიზნით.

ზღვრული ანტისარგებლი-ანობა (marginal disutility) - დამა-ტებითი ანტისარგებლიანობა, მიღე-ბული ამა თუ იმ ცვლადის მცირე ცვლილებიდან.

ზღვრული ერთეული (marginal unit) – რაიმის (მაგ., ზღვრული დანახარჯი, ზღვრული პროდუქტი, ზღვრული მწარმოებლურობა, ზღვრული სარგებლიანობა, ზღვრული შემოსავალი და ა.შ.) დამატებითი ერთეული.

ზღვრული (მარჟინალური) დანახარჯი (marginal cost, marginal expense - MC) [<ლათ. margo კიდე, საზღვარი, ნაპირი] - წარმოების მოცულობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი. საქონლის დამატებითი (ზღვრული) ერთეულის წარმოებისათვის საჭირო დამატებითი დანახარჯი.

ფორმულით ასე გამოიანგარიშება:

$$MC = \frac{\Delta C}{\Delta X}$$

სადაც **Δ** რაიმე მცირე ცვლილებაა, **C** - მთლიანი დანახარჯები, ხოლო **X** - გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. მეწარმე ზრდის წარმოების მასშტაბს, სანამ საქონლისა და მომსახურების ერთეულზე ზღვრული დანახარჯი არ გაუთანაბრდება საბაზრო ფასს. თუ ზღვრული დანახარჯი ამ ფასს გადასცდა, მეწარმე ზარალდება და, პირიქით, თუ იგი საბაზრო ფასზე ნაკლებია, მაშინ მეწარმე დამატებით მოგებას იღებს.

ზღვრული მაქსიმალური ფასი (marginal maximum price) - მოთხოვნის ფასი, მაქსიმალური ფასი, რომლის ზევითაც შეუძლებელია საბაზრო ფასის აწევა.

ზღვრული მინიმალური ფასი (marginal low price) - მიწოდების ფასი, მინიმალური ფასი, რომელზე დაბლაც შეუძლებელია საბაზრო ფასის დაცემა.

ზღვრული მწარმოებლურობა (marginal productivity) - წარმოების ფაქტორებით (კაპიტალი, შრომა, მიწა) შექმნილი ზღვრული პროდუქტის მოცულობა, რომელიც, წარმოების დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოხატავს მოცემული ფაქტორის ერთი ერთეულით გაზრდის შედეგად მიღებული პროდუქციის მატებას.

ზღვრული პროდუქტი (marginal product) - დამატებითი პროდუქტი, მიღებული რესურსების დამატებითი ერთეულიდან.

ზღვრული პროდუქტის ღირებულება (value of marginal) - ზღვრული ფიზიკური პროდუქტი, გამრავლებული პროდუქციის ერთეულის ფასზე.

ზღვრული სარგებლიანობა (marginal utility) - დამატებითი სარგებლიანობა, მიღებული ნებისმიერი დოვლათის დამატებითი ერთეულიდან. მათემატიკურად გამოისახება ასე:

$$MU = \frac{\Delta U}{\Delta X}$$

სადაც **MU** ზღვრული სარგე-

ბლიანობაა, **X** - საქონლის რაოდენობა, Δ - ცვლილება.

ზღვრული სარგებლიანობის კატეგორია წინა პლანზე წამოსწია და მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ცნობილმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ — მარჟინალიზმმა.

ზღვრული სარგებლიანობის თეორია (marginal revenue theory) - შრომითი ღირებულების თეორიისგან განსხვავებით, ფასწარმოქმნის საფუძვლად აღიარებს არა ღირებულებას, არამედ ნივთის სუბიექტურ შეფასებას, სარგებლიანობას, სამეურნეო კონტრაჰენტების სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ შეფასებას. იგი ასახავს ეკონომიკურ კავშირებს, რომლებიც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: მომხმარებელი — მოთხოვნილება — დოვლათის სარგებლიანობა — ფასი. ზღვრული სარგებლიანობის თეორიამ ფართო პოპულარობა პოვა მთელ მსოფლიოში. ამ თეორიის წარმომადგენლები (გოსენი, კლარკი, ჯევონსი, ვალრასი, მენგერი, ვიზერი, ბემ-ბავერკი, სიჩელი, ედვარდსი და სხვ.) უარყოფენ შრომითი ღირებულების თეორიას და ფასწარმოქმნაში დიდ მნიშვნელობას ნივთისადმი ეკონომიკური სუბიექტის დამოკიდებულებას ანიჭებენ.

ზღვრული შემოსავალი (marginal revenue, income) - საქონლის დამატებითი ერთეულის გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავალი, ე.ი. ზღვრული პროდუქტით მიღებული შემოსავალი.

თ

თავდაპირველი ღირებულება (history cost) - წარმოების ფაქტორთა ღირებულება მათი შეძენის მომენტში, ავანსირებული ღირებულება, რომელიც არ უტოლდება აღდგენით ღირებულებას, ანუ წარმოების ფაქტორების წარმოებით მიღებულ ღირებულებას.

თავისუფალი ბაზრის ნიშნები (signs of free markets) – სრულყოფილი ბაზარი, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის და არც არასდროს ყოფილა. იგი აბსტრაქციაა და შეიძლება მხოლოდ მისი იდეალურად წარმოდგენა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფორმულირებულია თავისუფალი ბაზრის ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას რეგულირებადი ბაზრისაგან.

თავისუფალი ბაზრის სისტემაში არ რჩება ადგილი მონოპოლიის ნებისმიერი ტიპისთვის; გამორიცხულია ინფლაცია, უმუშევრობა, კრიზისები; მისთვის დამახასიათებელია საკუთრების ნებისმიერი ფორმა, გარდა სახელმწიფო საკუთრებისა; თავისუფალი ბაზრის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა მონაწილეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ფასების რეალური დონე ნაკლებად არის დამოკიდებული ეკონომიკურ სუბიექტთა ნება-სურვილზე და დგინდება ბაზრის მექანიზმით, ფასწარმოქმნაში სუფევს სრული თავისუფლება. თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელია: კონკურენციის მონაწილეთა შეუზღუდავი რიცხოვნება, მათი თავისუფლად შეღწევა ბაზარზე და, ასევე, თავისუფალი გამოსვლა იქიდან; კონკურენციის თითოეული მონაწილის აბსოლუტურად სრული ინფორმირება ფასების, მოთხოვნის, მიწოდებისა და ა.შ. შესახებ; ყველა სახის რესურსის, მათ შორის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების აბსოლუტური მობილურობა; ერთსახელიანი პროდუქციის აბსოლუტური ერთგვაროვნება, რაც გამოიხატება, სახელდობრ, სავაჭრო მარკებისა და პროდუქციის ხარისხის სხვა მახასიათებლების უქონლობაში და ა.შ.

ნებისმიერ რეალურ, კონკურენტუნარიან ბაზარს ახასიათებს თავისუფლების ელემენტები, მაგრამ იგი სრულყოფილებას ვერასდროს ვერ აღწევს. ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი ბაზარი, სადაც დაცული იყოს თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, თუნდაც ის, რომ არ იყოს მონოპოლიური წარმონაქმნები, რომლებიც აფერხებენ ბაზარზე კონკურენციას, არ არსებობდეს სავაჭრო მარკები, ადგილი არ ჰქონდეს უმუშევრობას. ნებისმიერ ბაზარზე ხდება ინფლაციის

გავლენით საბაზრო პროცესების დამახინჯება, თავისუფალი ბაზრის რეჟიმიდან გადახრა, თუმცა, ყოველივე ეს ზღვარდებულია. მიუხედავად აღნიშნული დეფორმაციებისა, მოქმედებს საბაზრო მექანიზმი და ფასები იცვლება მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით.

თავისუფალი (სპეციალური) ეკონომიკური ზონა (თეზ) (tree economical area) - ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის საფუძველზე იქმნება ხელსაყრელი პირობები სხვადასხვაგვარი საგარეო-ეკონომიკური ოპერაციებისათვის. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია თავისუფალი ან შეღავათიანი მეწარმეობა, რომელიც იძლევა უახლესი ტექნოლოგიის, ნოუ-ჰაუს შესაძენად საჭირო დროისა და დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას, ხელს უწყობს ვალუტის მოზიდვას საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხარჯზე და ზრდის უცხოურ კაპიტალდაბანდებებს.

არსებობს **თეზ**-ის სამი ტიპი: 1. წარმოებრივი ზონები; 2. თავისუფალი პორტები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები; 3. საექსპორტო მრეწველობის ზონები.

წარმოებრივი ზონა – შემოსაზღვრული ტერიტორია ქვეყნის შიგნით, სადაც წესდება განსაკუთრებული შეღავათები (დაბეგვრის, ამორტიზაციის ნორმის და ა.შ. ნაწილში) მეურნეობის წარმართვისათვის.

თავისუფალ პორტსა (აეროპორტშიც) **და თავისუფალი ვაჭრობის ზონაში** შეტანისას ბაჟს არ ახდევინებენ, სანამ საქონელი საწყობშია და რეალიზებული არ არის.

საექსპორტო მრეწველობის ზონაში უბაჟოდ შეაქვთ საქონელი, საზღვარგარეთ გასატანად გამოსაშვები პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, დასაკომპლექტებელი მასალები და ნაკეთობები.

განასხვავებენ აგრეთვე თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის ზონებს და საექსპორტო ეკონომიკურ ზონებს.

თავისუფალი ვაჭრობა (free trade) – საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არ ერევა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ტარიფების, კვოტებისა და სხვა საშუალებების გამოყენების გზით.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა (free trade area, zone) - ქვეყნების ჯგუფი, რომელშიც გაუქმებულია საბაჟო და სხვა სავაჭრო ბარიერები, თუმცა, მასში შემავალი თითოეული ქვეყანა ატარებს თავის კომერციულ პოლიტიკას ამ ჯგუფში არშემავალ ქვეყნებთან.

თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის ზონა (joint ven-

ture zone) - სახელმწიფოს ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც იქმნება ხელსაყრელი პირობები ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობისათვის. ასეთ ზონებში შემოღებული აქვთ განსაკუთრებული შეღავათიანი რეჟიმი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის. განახვავებენ მის სამ ტიპს: პირველი ტიპი გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე სპეციალური კანონმდებლობის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობრიობის შეღავათიან რეჟიმს ადგილობრივი და უცხოელი ეკონომიკური სუბიექტებისათვის. საგადასახადო საბაჟო, სავალუტო, საკრედიტო და სამართლებრივი რეჟიმები წესდება სუბრეგიონების განვითარების კონკრეტული პირობებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ზონას მართავს ადგილობრივი ხელისუფლება; მეორე ტიპი გულისხმობს მცირე ტერიტორიებზე ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. სამართლებრივი ნორმები ამ ზონაში განაპირობებს არსებით შეღავათებს უცხოელი ინვესტორებისათვის, მათთვის გრძელვადიანი არენდით კეთილმოწყობილი, ინფორმაციული და სატრანსპორტო კომუნიკაციებითა და აუცილებელი სერვისით აღჭურვილი ტერიტორიების გადაცემას, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით საწარმოთა განლაგებისათვის; მესამე ტიპი გულისხმობს ნაკლებად ათვისებული ტერიტორიების კონცესიის სახით ან გრძელვადიანი არენდით გაცემას. ამ შემთხვევაში ზონას სამეურნეო მიზნით იყენებენ შერეული ტიპის სპეციალური ორგანიზაციები (კომპანიები). მეურნეობრიობის სამართლებრივი რეჟიმი მაქსიმალურად ლიბერალიზებულია. იგი უმთავრესად შემოიფარგლება ეკოლოგიური კანონმდებლობით და საერთაშორისო შეთანხმებებით. სახელმწიფო იღებს მოგებას საარენდო გადასახადის სახით და კომპანიის ეროვნული ნაწილის შემოსავლებიდან, არსებით ხარჯებს კი არ გაიღებს. პრაქტიკაში ვხვდებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე აღნიშნული ზონის სამივე ტიპის შეხამებას.

თამასუქი (bill of exchange, draft, promissory note) [გერ. wechsel] - კანონით დადგენილი ფორმის წერილობითი საგადასახადო ვალდებულება, ფულადი დოკუმენტი, მსესხებლის მიერ გაცემული კრედიტორის სახელზე, რომლითაც ამ უკანასკნელს ენიჭება უფლება, მოსთხოვოს მსესხებელს თამასუქში მითითებული თანხის გადახდა განსაზღვრულ ვადაში (იხ. აგრეთვე კამბიო).

საერთაშორისო ვაჭრობაში თამასუქი ანგარიშსწორებისა და

კომერციული დაკრედიტების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

თამასუქი ორი სახისაა: მარტივი (იხ.) და გადასაპირებელი (იხ.).

თამასუქის დისკონტი (bill discounting) - თამასუქის განაღდება ბანკების ან კერძო პირების მიერ მისი ვადის გასვლამდე პროცენტის გამოქვითვით.

თამაშთა თეორია (theory of games) - ინდივიდუალურ რაციონალურ გადაწყვეტილებათა თეორია, მიღებული ამ გადაწყვეტილებათა შედეგების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში. თანამედროვე თამაშთა თეორია იწყება ფ. ნეიმანისა და ო. მორგენშტერნის ნაშრომით — „თამაშთა თეორია და ეკონომიკური ქცევა“ (1944). იგი იკვლევს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა ურთიერთგავლენას ისეთ დაშვებისას, რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას რისკის პირობებში.

მაშინ, როდესაც ტრადიციული მიკროეკონომიკური თეორია გვთავაზობს გადაწყვეტილებათა მიღებას განსაზღვრულობის პირობებში, თამაშთა თეორიის მიხედვით რაციონალურ ინდივიდს გადაწყვეტილების მიღება უხდება განუსაზღვრელობის, გაურკვევლობის პირობებში. თუ ერთი ინდივიდის მოგება განაპირობებს მეორე ინდივიდის წაგებას, მაშინ ამბობენ, რომ ეს თამაში არის ნულოვანი თანხის. თამაში შეიძლება იყოს კოოპერატიული, როცა შესაძლებელია შეთანხმება და არაკოოპერატიული, როცა ჭარბობს ანტაგონიზმი.

თამაშთა თეორიამ დაამტკიცა თავისი სარგებლიანობა ეკონომიკური ქცევის ისეთი ასპექტების ანალიზისას, როგორიცაა ბუნებრივი რესურსებისა და საზოგადოებრივი საქონლის ამოწურვა.

თარგეტირება (targeting) – ცენტრალური ბანკის მიზანმიმართული მოქმედება აუცილებლობის შემთხვევაში, მაგ., მაღალი ინფლაციის დროს მოახდინოს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდის კორექტირება.

„თეთრსაყელოიანები“ (white-collar workers) - არაფიზიკური შრომით დასაქმებული მუშაკები, რომელთა ნახევარზე მეტი ჩაბმულია ინფორმაციულ მომსახურებაში. მათ მიაკუთვნებენ ძირითადად გონებრივი შრომით დაკავებულ მუშაკებს. „თეთრსაყელოიანები“, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, ჭარბობენ მომსახურების სფეროში. ამასთან, მათი წილი სწრაფი ტემპით იზრდება მაღალტექნოლოგიურ დარგებში — ელექტრონიკაში, ჩქაროსნულ ტრანსპორტში, ახალი მასალების, სამეცნიერო მოწყობილობების წარმოებაში და ა.შ.

თვითდაფინანსება (self-finance) - წარმოების გაფართოების დაფინანსება მოგების ან ახალი

აქციების გამოშვების ხარჯზე.

„თითქმის ფული“ (“almost money”) - აქტივების ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც შედის ვადიანი ანაბრების მთლიანი თანხა, არასაჩეკო შემნახველი ანგარიშები და იმ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მთლიანი მოცულობა, რომელიც ღია ბაზარზე შეიძლება გაიცვალოს ნაღდ ფულზე. „თითქმის ფული“ ლიკვიდური აქტივია, ვინაიდან ადვილია მისი გაცვლა ნაღდ ფულზე. თუმცა გაცვლამდე იგი ვერ ასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას და ამიტომ მას კვაზიფულსაც უწოდებენ.

ი

იარდი (yard) - სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში, უდრის 3 ფუტს, ანუ 97,44 სმ-ს.

„იაფი ფული“ (cheap money) - საკრედიტო სისტემის ისეთი მდგომარეობა, როცა ადვილია აიღო სესხად კაპიტალი. ეს შესაძლებელია დაბალი საპროცენტო განაკვეთის, საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ზრდის, დაკრედიტების სფეროში შეზღუდვების შესუსტებისა და ა.შ. პოლიტიკის განხორციელების პირობებში. „იაფი ფული“ მოსახლეობისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის ამსახველი ტერმინია.

იმიჯი (image) - საქონლის, მომსახურების, საწარმოს და ა.შ. რეპუტაცია. ის საქონელი (მომსახურება, საწარმო და ა.შ.), რომლის „სახემაც“ მომხმარებელთა აღიარება მოიპოვა, შემდგომში უზრუნველყოფს მომხმარებელთა ერთგულებას შესაბამისი საფირმო და სავაჭრო მარკებისადმი და მათ მტკიცე, მყარ მდგომარეობას ბაზარზე.

იმპორტზე გადასახადი (**საიმპორტო ბაჟი**) (import duties) - საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული არაპირდაპირი გადასახადის სახე; გამოიყენება იმპორტის მოცულობისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის.

იმპორტი (import) - სხვა ქვეყანაში წარმოებული საქონლის ან მომსახურების შემოტანა და მოხმარება მოცემულ ქვეყანაში. საქონელი ხილული იმპორტია, მომსახურება კი — უხილავი.

იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით (import substitution) - ერთ-ერთი მთავარი განვითარების სტრატეგია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ომის შემდგომ პირველ წლებში მრავალი ეკონომისტი და განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას მიიჩნევდნენ ეკონომიკური პროგრესის საუკეთესო სტრატეგიად. ამ თვალსაზრისით ყველაზე მართებული გზა იყო იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით, რაც გულისხმობს საკუთარი მრეწველობის შექმნას იმპორტული კვოტებითა და ტარიფებით დაცვის საფუძველზე. ითვლებოდა, რომ ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო მრეწველობის იმ დარგების განვითარებით, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელს. შემდეგ აქცენტი გადატანილ იქნა კაპიტალური საქონლის წარმოებაზე. იგულისხმებოდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით, რაც ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ ზრდას. არ გამოირიცხებოდა ის ვარაუდიც, რომ ამ

სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი ხარჯები თავის თავზე განვითარებულ ქვეყნებს უნდა აეღოთ. ამ სტრატეგიის გამოყენებამ მრავალ განვითარებად ქვეყანას არასახარბიელო შედეგები მოუტანა. საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა აღნიშნულ ქვეყნებში ნაკლებად გაუმჯობესდა, ხოლო მათი დამოკიდებულება განვითარებულ სახელმწიფოებზე არ შემცირებულა. იმპორტის სტრუქტურაში მზა სამომხმარებლო საქონლის წილი შემცირდა, მანქანა-მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების კი გაიზარდა. წარმოიქმნა ბარიერები ექსპორტისათვის, ვინაიდან საექსპორტო საქონლის მწარმოებელი ფირმები იძულებულნი გახდნენ ადგილობრივი ფირმებისაგან, რომლებიც პროტექციონისტურ პირობებში მუშაობდნენ, შეეძინათ ნედლეული და მასალები მსოფლიო დონეზე მაღალ ფასებში. ამ პოლიტიკამ განაპირობა ვალუტის კურსის გაზრდა, რამაც შეამცირა მათი ექსპორტის ეფექტიანობა.

იმპორტირებისადმი მიდრეკილება (propensity to import) - იმპორტზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია (the theory of english-american school) - ღირებულების ალტერნატიული თეორია, რომელიც წამოაყენა ინგლისურ-ამერიკულმა სკოლამ. ეს სკოლა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებელია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ალფრედ მარშალი. ამ თეორიას იზიარებს პოლ სამუელსონიც.

ინგლისურ-ამერიკულმა სკოლამ ღირებულების თეორიების - შრომითი ღირებულების თეორია (იხ.), ზღვრული სარგებლიანობის თეორია (იხ.), წარმოების დანახარჯების თეორია (იხ.), მოთხოვნა-მიწოდების თეორია (იხ.) — შეერთებით შექმნა ღირებულების ახალი თეორია, რომელშიც ამოსავალია მოთხოვნა-მიწოდების კანონი. ამ „ახალი თეორიის“ მიხედვით საქონლის მიწოდებას განსაზღვრავს წარმოების დანახარჯები, ხოლო მოთხოვნას — საქონლის ზღვრული სარგებლიანობა.

ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია ყველაზე ოპტიმალურია, იგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრის თავისებური სინთეზია.

ინდემნიტეტი (indemnity) - ზარალის ანაზღაურება, კომპენსაცია (როგორც წესი, საერთაშორისო სამართალში).

ინდექსაცია (index-linking, indexation) - ფასების ინდექსის ცვლილების მიხედვით კონტრაქტების ნომინალური ღირებულების პერიოდულად გადასინჯვის მექანიზმი, ხელფასისა და სხვა შემო-

სავლების კორექტირება ეკონომიკაში ფასების საშუალო დონის ცვალებადობის შესაბამისად.

ინდექსი (index) [<ლათ. index მაჩვენებელი] - ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც პროცენტობით გამოხატავს წარმოების მოცულობის, ფასების, საგარეო ვაჭრობისა და ა.შ. ცვლილებებს.

ინდივიდუალური მეწარმეობა (sole ownership) - სამეწარმეო საქმიანობის ინდივიდუალური გაძღოლა, მეწარმეობის უმარტივესი ფორმა. ინდივიდუალური მეწარმის ქონება განუყოფელია მისი პირადი ქონებისაგან, ხოლო ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი.

ინდიკატური დაგეგმვა (indicative planning) - ეროვნული ეკონომიკის საორიენტაციო დაგეგმვა სახელმწიფო დონეზე, რომელიც არ ზღუდავს ეროვნული კაპიტალის უფლებებს. მასში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემა და მათი რეალიზაციის გზები. ინდიკატური დაგეგმვა კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს შესაბამის კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებებს.

ინდიკატური გეგმა მოიცავს: 1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; 2. პროგნოზულ-ანალიტიკურ ნაწილს; 3. საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილს.

ინდიკატურ გეგმაში ასახულია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს დასახული პროგნოზული პარამეტრების მიღწევა.

ინდოსამენტი (endorsement) [<ფრანგ. endossement <ლათ. indorsum ზურგი]-გადაცემის წარწერა, — წარწერა თამასუქის, ჩეკის, კონოსამენტის და სხვა ფასიანი ქაღალდების მეორე მხარეზე, რომლითაც დასტურდება ამ დოკუმენტით განსაზღვრული უფლების გადაცემა სხვა პირისათვის (სხვაგვარად — ჟირო).

ინდოსანტი (endorsee) [<გერმ. indossant]-პირი, რომელიც ფასიანი ქაღალდების უკანა მხარეზე აკეთებს გადაცემის აღმნიშვნელ წარწერას (სხვაგვარად — ჟირანტი).

ინდოსატი (endorser) [<გერმ. indossant]-პირი, რომლის სასარგებლოდაც ფასიან ქაღალდზე გაკეთებულია გადაცემის წარწერა.

ინდუსტრია (industry) - გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით ეკონომიკის მეორეული სექტორი (აგრარული სექტორის შემდეგ), რომელშიც შედის მრეწველობა (თავისი მომპოვებელი და გადამმუშავებელი

დარგებით) და მშენებლობა.

ინდუსტრიული საზოგადოება (industrial society) - საზოგადოების განვითარების სტადია, სამრეწველო საზოგადოება, რომელმაც შეცვალა აგრარული საზოგადოება, ხოლო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გადაიზარდა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.

ინერცია (inertia) - ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა მიმდინარე პერიოდში, დაფუძნებული წინა პერიოდის ტენდენციაზე.

ინვესტირებისადმი მიდრეკილება (propensity to invest) -ეროვნული შემოსავლის იმ წილის ზრდა, რომელიც ხმარდება კაპიტალდაბანდებებს.

ინვესტიცია (investment) [<ლათ. investire შემოსვლა]-კერძო სექტორის ან სახელმწიფოს გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ: 1. დაბანდება რეალურ ძირითად კაპიტალსა და მატერიალურ-სასაქონლო მარაგში წარმოების განვითარებისათვის; 2. დაბანდება ფინანსურ აქტივებში (დეპოზიტში, ფასიან ქაღალდებში) შემოსავლის მიღების მიზნით.

ინვესტიციები მატერიალური, ტექნიკური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდებაა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. თანამედროვე ეკონომიკაში ინვესტიციების დიდი ნაწილი ფასიანი ქაღალდებითაა წარმოდგენილი.

პორტფელის ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში გათვალისწინებულია მხოლოდ შემოსავლის მისაღებად, **პირდაპირი** — კომპანიის მმართველობაში მონაწილეობისათვის. ინვესტიციები ძვირფას ლითონებში, მიწაზე ან სხვა უძრავ ქონებაში ხორციელდება ინფლაციისა და ფულადი რეფორმისაგან ფულადი სახსრების დაცვის მიზნით.

ინვესტიციების სიდიდე განისაზღვრება იმ პროექტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დადებით წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას ან შემოსავლების შიდა განაკვეთს. პირველ მაჩვენებელს ეწოდება **წმინდა დისკონტირებული ღირებულების კრიტერიუმი, ხოლო მეორეს — კაპიტალდაბანდების ზღვრული ეფექტიანობის კრიტერიუმი.**

ინვესტიციის ბაზარი (Investment market) - საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებისა და საინვესტიციო საქონლის ყიდვა-გაყიდვის სფერო. ინვესტიციის ბაზარი ემსახურება საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება-ორგანიზებას, საინვესტიციო საქონლის ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუ-

ალურ უზრუნველყოფას.

ინვესტორი (investor) [<ინგ. investor მეანაბრე]-იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს, აბანდებს საკუთარ, ნასესხ, ან მოზიდულ სახსრებს ინვესტიციურ პროექტებში. ინვესტორი თავისი სახელით იძენს ფასიან ქაღალდებს.

საინვესტიციო კაპიტალის ფორმირების მიხედვით ინვესტორი შეიძლება იყოს ორი სახის: **ინდივიდუალური და ინსტიტუციური.** ინდივიდუალური ინვესტორი ფასიან ქაღალდებს იძენს საკუთარი კაპიტალით. მას ბოლო კრედიტორს უწოდებენ. ინსტიტუციური ინვესტორი ფასიან ქაღალდებს ყიდულობს არა იმდენად საკუთარი, რამდენადაც მოზიდული ფულით, ანუ მის მიერ მობილიზებული ბოლო კრედიტორების კაპიტალით. იგი შუალედური რგოლია კაპიტალის მობილიზაციასა და ინვესტირებაში.

სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში შეიძლება იყოს ინსტიტუციური ინვესტორის, მაგ., კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, საპენსიო ფონდების და ა.შ. თავისუფალი სახსრების დროებითი მოთავსება, შეიძლება იყოს კაპიტალის მობილიზაციის ძირითადი მიზანი, მაგ., საინვესტიციო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების შექმნა.

ინვესტორის კატეგორიას არ მიეკუთვნებიან ბროკერები, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ კლიენტის ხარჯზე.

დილერები, რომლებიც საკუთარი ხარჯით აწარმოებენ ოპერაციებს, იყოფიან ორ კატეგორიად: პირველად და მეორად დილერებად. პირველადი დილერები ბაზარზე ავრცელებენ ახალ ფასიან ქაღალდებს და ამით ემიტენტისათვის ქმნიან დამატებით კაპიტალს, ხოლო მეორადი დილერები ყიდულობენ და ხელახლა ყიდიან მიმოქცევაში არსებულ ფასიან ქაღალდებს და ემიტენტისათვის არ ახდენენ ახალი კაპიტალის მობილიზაციას. მათი მეშვეობით კაპიტალი ინვესტორებს შორის მოძრაობს.

ინკასაცია (collection) [იტალ. incassare ყუთში ჩაწყობა]- ბანკში ნაღდი ფულის მიღება ფასიანი ქაღალდებით; ინკასოს ოპერაციების განხორციელება.

ინკასო (encashment, collection of payments) [იტალ. incasso]-საბანკო ოპერაციის სახეობა, რომლითაც ბანკი საანგარიშსწორებო დოკუმენტების (თამასუქის, ჩეკის, და ა.შ.) საფუძველზე კლიენტის დავალებით და მის ანგარიშზე იღებს კუთვნილ ფულად თანხას მესამე პირისაგან. საინკასო ოპერაციების ჩატარებისათვის ბანკს საკომისიო ეკუთვნის.

საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლო დოკუმენტების ინკასო

მდგომარეობს იმაში, რომ ექსპორტიორი ავალებს თავის ბანკს, მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის ვალუტა იმპორტიორისაგან, ამ უკანასკნელისათვის სასაქონლო დოკუმენტების გადაგზავნის საფუძველზე.

საინკასო ოპერაცია შედგება ოთხი ეტაპისაგან: 1. ექსპორტიორი გადასცემს თავის ბანკს საინკასო დავალებას და სასაქონლო დოკუმენტების დანართს, რასაც საფუძვლად უდევს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის დადებული ხელშეკრულება; 2. ექსპორტიორის ბანკი საინკასო დავალებას სასაქონლო დოკუმენტებთან ერთად გადაგზავნის იმპორტიორის ბანკში; 3. იმპორტიორის ბანკი მათ გადასცემს იმპორტიორს; 4. იმპორტიორის ბანკი იმპორტიორისაგან ვალუტის მიღების შემდეგ გადაგზავნის მას ექსპორტიორის ბანკის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი ამ თანხას ჩარიცხავს ექსპორტიორის ანგარიშზე. საინკასო ოპერაციების ჩატარებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

ინოვაცია (innovtion) - ახალი ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და მართვის პროგრესული ფორმების დანერგვა წარმოებაში, პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება სიტყვა „გამოგონების“ სინონიმად და დაკავშირებულია წარმოებრივი პროცესების ტექნოლოგიურ სრულყოფასთან, თუმცა, ინოვაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოგონება. იგი გამოგონების კომერციულ გამოყენებას გულისხმობს.

ინოვაცია არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ იგი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში განვითარების უწყვეტი პროცესია. ამით აიხსნება ᲔᲒᲛ-ების, რობოტების, კომპიუტერების, მობილური ტელეფონებისა და ა.შ. რამდენიმე თაობის არსებობა.

„ინოვაცია“ პირველად მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა იოზეფ შუმპეტერმა. ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1911) პირველმა გააშუქა ინოვაციური პროცესები და მათი როლი მოგების გადიდებაში.

ინოვაციური ბანკი (innovation bank) - კომერციული ბანკი, სპეციალიზებული ინოვაციური პროექტების, ე.ი. სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის (დაწყებული საცდელი ნიმუშების დაპროექტებიდან და შექმნიდან, დამთავრებული მათი მასობრივად დანერგვით) დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე, რომელთა ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბის, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით. გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტება. შესაძლე-

ბელია ინვესტიციური დაფინანსებაც იმ კომპანიების აქციების შეძენის გზით, რომლებიც ამუშავებენ და ნერგავენ რაიმე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ იდეას, აგრეთვე დაკავებული არიან ობლიგაციების ხანგრძლივი ვადით გავრცელებით, დასაფინანსებელი პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს შორის.

ინოვაციური ბანკი სხვა ბანკებისაგან გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით: საკრედიტო დაბანდების უკან დაბრუნების მაღალი რისკით; არსებითი განსხვავებით არა მხოლოდ ვადებში, არამედ სესხების მოცულობაში; მეანაბრის სახსრების დაცვის უზრუნველყოფისათვის დამატებითი გარანტიების აუცილებლობით. ეკონომიკის სტაბილიზაცია, კერძო სექტორში ინვესტიციური აქტიურობის ამაღლება, პრივატიზაციისა და მეწარმეობის განვითარება განაპირობებს ინოვაციური მიზნებისათვის კრედიტზე მოთხოვნის გაზრდას. თავის მხრივ, ეს პროცესი სტიმულს აძლევს ძირითადი კაპიტალის განახლებას და ხელს უწყობს მსოფლიო დონესთან შედარებით ტექნოლოგიებში არსებული ჩამორჩენის დაძლევას.

ინოვაციური ეკონომიკა (inovation economy) - ახალი ტიპის ცივილიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ემყარება ეკონომიკური განვითარების ახალ პარადიგმას, სადაც ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაცია წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორებია. ინოვაციური ეკონომიკა გულისხმობს წარმოებაში თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების (წარმოების კომპიუტერიზაცია, რობოტული და ლაზერული ტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია, მიკროპროცესორული ტექნოლოგია და ა.შ.) დანერგვას, უკიდეგანო ინფორმაციის ველში მუდმივად ყოფნას.

ინოვაციური ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა. XXI საუკუნის დასაწყისში იგი მხოლოდ ფორმირების პროცესშია. მისი კონტურები გამოიკვეთა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

ინჟინერინგი (engineering) - საქმიანი (წარმოებრივი დანიშნულების) მომსახურების ერთ-ერთი სახეობა, ინტელექტუალური საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს კომერციულ საფუძველზე ამა თუ იმ საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას. ინჟინერინგს ეწევიან როგორც სპეციალიზებული საინჟინრო-საკონსულტაციო ფირმები, ისე სამრეწველო, სამშენებლო და სხვა კომპანიები.

ინჟინერინგის ტიპის მომსახურების მთელ ერთობლიობას ყოფენ ორ ჯგუფად: 1. პროდუქციის წარმოების პროცესის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება; 2.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურება.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ა) წინასაპროექტო მომსახურება. მასში შედის: სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევები, ტოპოგრაფიული გადაღებები და ადგილმდებარეობის დაგეგმარება; ნიადაგის გამოკვლევა; წიაღისეულის ძიება, რეგიონების განაშენიანების, სატრანსპორტო ქსელის განვითარების გეგმების შემუშავება; პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებულობის მომზადებისათვის გამოკვლევების ჩატარება და სხვ., ბ) საპროექტო მომსახურება, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ბაზისურ და დეტალურ (დაწვრილებით) ინჟინერინგად. ბაზისურ ინჟინერინგში შედის: წინასწარი საინჟინერინგო გამოკვლევებისა და პროექტების, გენერალური გეგმისა და თანმხლები სქემების, რეკომენდაციების მომზადება, პროექტების ღირებულების, მისი ექსპლუატაციისა და შექმნისათვის საჭირო ხარჯების წინასწარი შეფასება. დეტალურ ინჟინერინგში შედის: ა) პროექტის დეტალური გამოკვლევა, შემაჯამებელი საარქიტექტურო პროექტის შემუშავება, ტექნიკური სპეციალისტების, მხაზველებისა და ა.შ. მომზადება. იგი მოიცავს ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით კონტრაქტის დადებისათვის გაწეულ სამუშაოებს, რომელშიც შედის: საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადება; აუქციონის ორგანიზაცია; წინადადებების შეფასება; რეკომენდაციების შედგენა; კონტრაქტის დადება; პროექტის გაძღოლა-ზედამხედველობა; მშენებლობის მართვა; სამუშაოს დამთავრების შესახებ სერტიფიკატის შედგენა და გაცემა, მშენებლობის შესახებ ტექნიკური დასკვნის გაკეთება; ტექნიკური პერსონალის მომზადება; პროდუქციის გასაღებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ბ) სპეციალური მომსახურება, განპირობებული მოცემული ობიექტის შექმნის კონკრეტული პრობლემებით (ნარჩენების უტილიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, იურიდიული პროცედურები და ა.შ.).

საინჟინერინგო მომსახურების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: წარმოების პროცესის მართვასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება; მოწყობილობების გამოცდასთან დაკავშირებული მომსახურება; ობიექტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მომსახურება (კადრების შერჩევა და მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია, ხელფასისა და სამუშაოთა სტრუქტურის დადგენა, ექსპლოატაციის მეთვალყურეობა და სხვ.); კვალიფიციური დახმარება დაფი-

ნანსების საკითხში (კონსულტაციები დაფინანსების ორგანიზაციაში, შემოსავლებისა და დანახარჯების შეფასება და რეკომენდაციები მათი ოპტიმიზაციის მიზნით, კონსულტაციები ფინანსური პოლიტიკის საკითხში და ა.შ.); პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება (ბაზრების კონიუნქტურის გამოკვლევა, რეკლამის ორგანიზაციაში დახმარების გაწევა, კონსულტაციები გასაღების სფეროში და ა.შ.); საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებული მომსახურება.

საინჟინერინგო მომსახურება კვლავწარმოებადია. ამით იგი განსხვავდება „ნოუ-ჰაუს“, ლიცენზიებისა და ტექნოლოგიის სფეროში ცოდნის სხვა ფორმებისაგან.

ინსტიტუციონალიზმი (institutionalism) - მიმდინარეობა ეკონომიკურ თეორიაში, რომლის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. ინსტიტუციონალიზმი წარმოიშვა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში და აისახა ამერიკელი ეკონომისტების თ. ვებლენის, ჯ. კომონსის, უ. მიტჩელისა და სხვათა ნაშრომებში.

ინსტიტუციონალისტები აკრიტიკებენ საბაზრო ეკონომიკის ავტომატურად რეგულირების კონცეფციას. მათ უკანა პლანზე გადასწიეს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების კერძო ინტერესების კვლევა და უპირატესობას ადამიანთა ქცევაში საზოგადოებრივ მოტივებს ანიჭებენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინსტიტუციონალიზმი გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ შეასრულა.

„ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია (“institutional binding” principle) - ამ კონცეფციას თანამედროვე პირობებში ეყრდნობა ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება. იგი აქცენტს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე აკეთებს. ამ პროცესის ორიენტირად საქართველომ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. ჯერ კიდევ, 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირ-

ველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

დღეს საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა **გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან.** ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.

ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის წესებისა და ნორმების ერთობლიობა, ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციებია. ახალი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნას, გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრას.

ინსტიტუციური უმუშევრობა (institutional unemployment) – ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე ვაკანტური სამუშაო ადგილების აუთვისებლობით (მათი არსებობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო) გამოწვეული უმუშევრობა.

ინტელექტუალური საკუთრება (intellectual property) - სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობა ინტელექტუალური შრომის პროდუქტების მფლობელობას, განკარგვასა და გამოყენებაში. ინტელექტუალური საკუთრების საფუძველს შეადგენს ცოდნა, ინტელექტი, გამოცდილება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია: დაპატენტებული ცოდნა, არატრივიალური იდეა, ტექნიკური სიახლე, მენეჯერის ნოვატორული გადაწყვეტილება და სხვ. ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური რეალიზაციის ფორმებია: კაპიტალი, მოგება, შემოსავალი, პროცენტი და რენტა.

ინფლაცია (inflation) [<ლათ. inflatio გაბერვა] - მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა (მსყიდველობითი უნარის დაცემას) და ფასების

საერთო დონის ზრდას. ამ პროცესს თან ახლავს უცხოური ვალუტის კურსის ზრდა და იმ ქვეყნის ვალუტის კურსის დაცემა, სადაც ინფლაციაა. ინფლაციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია: 1. დისპროპორციის წარმოშობა ფულად და საქონლურ მასას შორის, ფულადი მასის დაუსაქონლება; 2. მოხმარების საგნების წარმოების ჩამორჩენა მოსახლეობის მოთხოვნასთან შედარებით. თუ მოთხოვნა წინ უსწრებს მიწოდებას, მაშინ წარმოიქმნება ფულადი სახსრების სიჭარბე, საქონლის დეფიციტი, რაც ხელს უწყობს ფასების ზრდას; 3. ბაზარზე ისეთი საქონლის მიწოდება, რომელზეც მოთხოვნა არ არის. ეს გარემოება ფარულად განაპირობებს ფულის გაუფასურებას.

ინფლაციის დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ინფლაციური მოლოდინი, საინვესტიციო ნაკადები, შრომის მწარმოებლურობის ცვლილება, ეკონომიკის მონეტიზაციის დონე, გაცვლითი კურსის მოსალოდნელი დინამიკა, **მშპ**-ის ზრდის ტემპი და ა.შ. თავის მხრივ, ამ ფაქტორებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახორციელებს ცენტრალური ბანკი თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით. ამ მიზნით იგი იყენებს ისეთ არაპირდაპირ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები და, აგრეთვე იყენებს ისეთ პირდაპირ (ადმინისტრაციულ) ინსტრუმენტებს, როგორიცაა მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის განაკვეთის დონისადმი პირდაპირი კონტროლი და ა.შ.

ინფლაციური პროცესების დაჩქარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავალუტო, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისები, სასურსათო პრობლემის მკვეთრად გამწვავება და ა.შ.

არსებობს ზომიერი, ჭენებითი (ჰალოპირებული) და ჰიპერინფლაცია.

ზომიერია ინფლაცია, როდესაც გაუფასურება შედარებით შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ამ დროს ფასების ზრდის ტემპი დაბალია – წელიწადში 10%-ზე ნაკლები.

ჭენებითია ინფლაცია, როცა ქაღალდის ფული სწრაფად უფასურდება. ამ დროს ფასები ქაოსურია და იზრდება წელიწადში 200%-მდე. წარმოება დეზორგანიზებულია. ყველა ცდილობს, მოიმარაგოს საქონელი და თავიდან მოიშოროს უვარგისი ქაღალდის ფული. ამის გამო იწყება ფულის დაჩქარებული მატერიალიზაცია საქონელში.

ჰიპერინფლაცია ინფლაციის ძალზე მაღალი დონეა. მისი ზრდის ტემპი ჩვეულებრივ 200%-ზე მეტია, ზოგჯერ კი წელიწადში რამდენიმე ასეულ პროცენტსაც აღწევს. ჰიპერინფლაციის დროს მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა და ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება, ფასები და ხელფასი კატასტროფულად სცილდება ერთმანეთს. ასეთ პირობებში ცხოვრების დონის დაცემას ყველაზე უზრუნველყოფილი ფენებიც კი გრძნობენ. ჰიპერინფლაცია ძალიან იშვიათია, რაც არ შეიძლება ითქვას ჭენებადი ინფლაციის შესახებ. ეს უკანასკნელი არსებობს განვითარებულ ქვეყნებშიც კი, თუმცა, მათთვის მეტწილად დამახასიათებელია ზომიერი ინფლაცია.

ზომიერ ინფლაციას მძიმე ეკონომიკური შედეგები არ მოსდევს, მაშინ როდესაც ჭენებითი, განსაკუთრებით კი, ჰიპერინფლაცია მთელი ეროვნული მეურნეობის ქაოსს იწვევს, უკიდურესად ამწვავებს საზოგადოებაში წინააღმდეგობებს, აფერხებს კვლავწარმოების პროცესს, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც წარმოების საერთო მოცულობაზე (მაკროეკონომიკური ეფექტი), ისე რესურსების განაწილებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე (მიკროეკონომიკური ეფექტი). განსაკუთრებით მძიმეა ინფლაციის სოციალური შედეგები. ამ დროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა, მატულობს შემოსავლების უსამართლო განაწილება, რაც ააქტიურებს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

საქართველოში ჰიპერინფლაცია იყო 1993-1994 წლებში, როცა თვიური ინფლაცია 50-70%-ს და მეტს შეადგენდა.

ინფლაციის დონე (rate of inflation) - ფასების დონის ზრდის პროცენტული ცვლილება საბაზისო პერიოდთან შედარებით.

ინფლაციის კრიტიკული წერტილი (critical point of inflation) - ახასიათებს ინფლაციური პროცესებისათვის ნიშანდობლივ მომენტს, როდესაც ხდება გადასვლა ერთი რიგის მოვლენებიდან თვისებრივად განსხვავებულ მეორე რიგის მოვლენებზე. ინფლაციის კრიტიკულ წერტილს შეიძლება ჰქონდეს გამოხატვის სხვადასხვა ფორმა. ეს არის მომენტი, როდესაც მიმოქცევაში არსებული ფულის მსყიდველობითი უნარი იწყებს დაცემას, ე.ი. რაღაც გარკვეული მომენტიდან, მიუხედავად ფულადი თანხის ზრდისა, მოსახლეობას სულ უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეუძლია. ამრიგად, კრიტიკული წერტილი ახასიათებს ინფლაციის განსაზღვრულ ეტაპს, როდესაც იწყება მისი უკუშედე-

გების გამოვლენა. ეს მომენტი არ არის ერთდროული აქტი სხვადასხვა სოციაური ჯგუფებისა და სახელმწიფოსათვის. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის იგი ინფლაციის დაწყებისთანავე დგება. მალე მათ წვრილი მწარმოებლები მიჰყვებიან და შედარებით გვიან იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მსხვილი საწარმოების მფლობელნი; კრიტიკულ წერტილამდე მიდის სახელმწიფოც. გარკვეულ მომენტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯი იწყებს სწრაფ ზრდას, ხოლო შემოსავლები — შემცირებას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მიმართავს ფულის ახალ ემისიას. ამრიგად, ინფლაცია, როდესაც კრიტიკულ წერტილს მიაღწევს, სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთია. იგი ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას და ეკონომიკური ცხოვრების დეზორგანიზაციას იწვევს. ამიტომ ადრე თუ გვიან წარმოიქმნება ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციის აუცილებლობა.

ინფლაციის ნორმა (inflation rate) - გამოხატავს დროის განსაზღვრულ პერიოდში ფასების საერთო დონის მატების ტემპს. ინფლაციის ნორმა უდრის ნომინალური ფულადი მასის მატების ტემპს მინუს ფულზე რეალური მოთხოვნის მატების ტემპი (იხ. ინფლაციის დონე).

ინფლაციის თარგეტირება (inflation targeting) – მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც მოკლე-, ისე საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის სამიზნე, დასახული დონის მისაღწევად.

ინფლაციის ტემპი (rate of inflation) – ფასების დონის ზრდის ტემპი. განიხილავენ ფასების დონის ორ საზომს: 1. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორს, რომელიც გვიჩვენებს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასს; 2. სამომხმარებლო ფასების ინდექსს, რომელიც გვიჩვენებს ეკონომიკაში მოხმარებული საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასს.

ინფლაციური გადასახადი (inflation tax) - მომხმარებლის მიერ ფარული ფორმით გადახდილი გადასახადი ისეთ ეკონომიკურ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფო ინფლაციის გამომწვევ პოლიტიკას ატარებს: მიმოქცევაში უშვებს ფულის დამატებით რაოდენობას, რის საფუძველზეც არაპირდაპირი გზით მოსახლეობაში კრეფს მათი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს. ასეთ ხერხს მთავრობა მიმართავს იმ მიზნით, რომ მოსახლეობის ნდობა არ დაკარგოს, ვინაიდან ინფლაციური გადასახადი ნაკლებად საგრძნობია, ვიდრე პირდაპირ გაზრდილი საგადასახადო განაკვეთი. ხარჯების გადიდებისა და მათი დაფარვისათვის სახელმწი-

ფომ შეიძლება გაზარდოს საგადასახადო განაკვეთები ან დამატებითი ფულადი ემისია განახორციელოს. ემისიის შედეგად ფულის მსყიდველობითი უნარი ქვეითდება, რაც არსებითად საგადასახადო განაკვეთის გადიდების ტოლფასია.

ინფლაციური გადასახადი ინფლაციის ტემპისა და რეალური ფულადი მარაგების ნამრავლია.

ინფლაციური ეკონომიკა (inflationary economy) - ეკონომიკას ეწოდება ინფლაციური, თუკი ადგილი აქვს ფასების საერთო დონის პერმანენტულ ზრდას. ამასთან, თუ ფასების ზრდა გამოწვეულია ძირითადი მაკროეკონომიკური თანაფარდობების (ერთობლივი მოთხოვნა — ერთობლივი მიწოდება, დაგროვება-მოხმარება და ა.შ.) დისპროპორციით, მაშინ ინფლაციას აქვს თვითგამაძლიერებელი ხასიათი.

ინფლაციური მოლოდინი (inflationary expectations) - ეკონომიკური სუბიექტის მიერ ინფლაციის შესაძლო ტემპების შეფასება მომავალი დროისათვის. ინფლაციური მოლოდინი გარკვეულწილად ფირმების, წარმოების მუშაკების, მთლიანად მოსახლეობის ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მაღალი ინფლაციური მოლოდინი აჩქარებს ინფლაციურ პროცესს, დაბალი კი რამდენადმე ანელებს ინფლაციის ტემპებს. თუ, მაგალითად, მუშები შემდეგი წლისთვის (ან თვისთვის) ფასების მომატებას ელიან, ისინი ზეწოლას ახდენენ მეწარმეებზე და მოითხოვენ ხელფასის მომატებას ისე, რომ იგი არ ჩამორჩებოდეს თუნდაც ინფლაციის ტემპებს. თუ მეწარმეები ფასების ზრდის ტენდენციის შენარჩუნებას ელიან, ისინი ცდილობენ მოუმატონ ფასები წარმოებულ პროდუქციას ისე, რომ უზრუნველყონ ინფლაციასთან შედარებით მოგების წინგამსწრები ტემპით ზრდა და არ ეწინააღმდეგებიან ხელფასის გადიდებას იმ იმედით, რომ მის კომპენსაციას ფასების მატებით მოახდენენ.

ეკონომიკურ თეორიაში განასხვავებენ ინფლაციური მოლოდინის სამ ტიპს: ექსტრაპოლაციურს, ადაპტიურს და რაციონალურს.

ექსტრაპოლაციურ-ინფლაციურ მოლოდინთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სუბიექტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ტემპები მომავალში ადრინდელის ტოლი იქნება.

ადაპტიური ინფლაციური მოლოდინი ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური სუბიექტები პერსპექტივაში ინფლაციის შეფასებისას ახდენენ წინა პერიოდის ინფლაციის ტემპების კორექტირებას და აანალიზებენ დაშვებულ შეცდომებს. მაგ., ეკონომიკური სუბიექ-

ტი, თუ მაისში ინფლაციის ტემპების შეფასებისას შეცდა და ვერ შეაფასა იგი 5 პროცენტული პუნქტით, ივნისში ინფლაციის მაისის ფაქტობრივ ტემპებს გამოიყენებს. თუ ინფლაცია, ვთქვათ, 25%-ს შეადგენს, ეკონომიკური სუბიექტი მის კორექტირებას მოახდენს დაშვებული შეცდომის საფუძველზე, ე.ი. 25%-ს დაუმატებს 5%-ს. ამრიგად, ინფლაციური მოლოდინი ივნისში 30% იქნება.

რაციონალურ ინფლაციურ მოლოდინს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სუბიექტები მათთვის ხელმისაწვდომი ინფლაციის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრავენ ინფლაციის ტემპებს მომავალი პერიოდისათვის და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ.

ინფლაციური მოლოდინის პირველი ორი ტიპი რეალური ხასიათისაა, მესამე კი გარკვეულწილად თეორიული აბსტრაქციაა.

ინფორმაციის ასიმეტრია (asymetric information) - პოტენციურ კონტრაჰენტებს შორის შეთანხმების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის უთანაბრო განაწილება.

ინფრასტრუქტურა (infrastructure) [<ლათ. intra-ქვეშ, struktura-შედგენილობა] - ამა თუ იმ სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც დაქვემდებარებული, დამხმარე ხასიათი აქვს, მაგრამ მთელი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას განაპირობებს. ინფრასტრუქტურა, ფართო გაგებით, უზრუნველყოფს კვლავწარმოების პროცესის გარეგანი პირობების შექმნას. იგი მეურნეობის განსაკუთრებული სფეროა, რომელიც მომსახურებას უწევს როგორც წარმოებას, ისე მიმოქცევას.

განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურა იყოფა ოთხ დარგობრივ ჯგუფად: 1. წარმოებრივი ინფრასტუქტურა; 2. სოციალური ინფრასტრუქტურა; 3. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა; 4. ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა.

საბაზრო ურთიერთობის რთული სისტემა მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომლის გარეშეც ცივილიზებული ბაზრების ფუნქციონირება შეუძლებელია. საბაზრო ინფრასტრუქტურაში შედის ცალკეული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები (საქონლისა და საფონდო ბირჟები, საკრედიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, ბროკერთა ინსტიტუტები, მარკეტინგული მომსახურებით დაკავებული ფირმები და სხვ.), რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მათი მეშვეობით ბაზრები ეფექტიანად ართმევენ თავს საქონლისა და მომსახურების უკმარისობას და, რაც მთავარია, ხელს უწყობენ უდეფიციტო ეკონომიკის შექმნას.

იპოთეკა (mortgage) - სესხი, გაცემული უძრავი ქონების გირაოთი. დაგირავებული ქონება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სესხს, მევალის ხელში რჩება.

იპოთეკური ბანკი (mortgage bank) - საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს იპოთეკურ კრედიტს და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს.

იპოთეკური კრედიტი (mortgage credit) - კრედიტის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმა, სესხი, რომელსაც გასცემს იპოთეკური ბანკი ხანგრძლივი ვადით (10-დან 15 წლამდე) უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები) გირაოდ დატოვების საფუძველზე.

ირაციონალური მოთხოვნა (irrational demand) - პრობლემური ვითარება, როდესაც არსებობს მოთხოვნა ისეთ საქონელზე (თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლურ სასმელზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე და ა.შ.), რომელიც მავნე გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ მომხმარებელზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

ისტორიული მოდელები (historical models) – მოდელები, რომლებითაც, წონასწორობის თეორიული მოდელებისგან განსხვავებით, შესაძლებელია რეალურ სინამდვილეში სიტუაციებისა და ცვლილებების გაანალიზება.

„ისტორიული სკოლა“ („historical school“) - XIX საუკუნის გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი, რომელთა გამოკვლევებმა, განსაკუთრებით კი მეთოდოლოგიამ ძლიერი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ მეცნიერებაზე გერმანულენოვან ქვეყნებში. ამ სკოლის ფუძემდებლები ვ. როშერი, ბ. ჰილდებრანდი, კ. კნისი და სხვები აქცენტს ისტორიულ ასპექტებზე აკეთებდნენ და თვლიდნენ, რომ ისტორიულ გამოკვლევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოვლენის ეკონომიკურ ანალიზში. ისინი აკრიტიკებდნენ კლასიკურ სკოლას იმ თვალსაზრისით, რომ იგი ეკონომიკურ ანალიზში აქცენტს ეკონომიკურ კანონებზე აკეთებდა. ისტორიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის გ. შმოლერის აზრით, ა. სმითმა და დ. რიკარდომ ეკონომიკური საქმიანობის სფერო შემოფარგლეს მხოლოდ კერძო ინტერესებისა და პირადი სარგებლობის პოზიციით.

ისტორიული სკოლა საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ ისტორიას ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ასპექტების კვლევის საფუძვლად მიიჩნევდა.

იურიდიული პირი (juridical, legal person) - ფირმა, ორგანიზაცია, გაერთიანება და ა.შ., რომელიც კანონით ითვლება სამოქალაქო სამართლისა და ვალდებულების სუბიექტად, ე.ი. შეუძლია დამო-

უკიდებლად მოიპოვოს ქონებრივი უფლება, აიღოს ვალდებულებები და იყოს პასუხისმგებელი სასამართლოსა და არბიტრაჟის წინაშე. ყოველ იურიდიულ პირს თავისი სახელწოდება აქვს. ეს სტატუსი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა საქველმოქმედო, საზოგადოებრივ და ა.შ. ორგანიზაციასაც, რომელთა მიზანიც მოგების მიღება არ არის.

იჯარა (lease) [არაბ. ივჯარათუნ — გასამრჯელო სამუშაოსათვის] - ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მეივჯარე) აძლევს თავის ქონებას (მიწას, შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებსა და ა.შ.) მეორე მხარეს (მოივჯარეს) დროებით უფასო სარგებლობისათვის. შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებული შემოსავალი, არენდისაგან განსხვავებით, გადადის მეივჯარის (ქონების მესაკუთრის) საკუთრებაში, ხოლო ეს უკანასკნელი სამუშაოს შესრულებისათვის მოივჯარეს უხდის საივჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის საფასურს, გასამრჯელოს.

კ

კადასტრი (cadastre) [<ბერძნ. katastichon ფურცელი, რეესტრი, ნუსხა] - 1. იმ პირთა სია, რომლებზეც ვრცელდება სულადობრივი დაბეგვრა; 2. ცნობების სისტემატიზებული კრებული, რომელიც დგება შესაბამის ობიექტზე პერიოდული ან განუწყვეტელი დაკვირვების საფუძველზე (მაგ., მიწის კადასტრი, წყლის კადასტრი და ა.შ.). სინონ. რეესტრი.

კალკულაცია (calculation) [<ლათ. calculatio ანგარიში] - პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშება დანახარჯების სახეების (კალკულაციის სტატიების) მიხედვით.

კამბიო (debtor's bill) [<იტალ. cambio დახურდავება] - სესხის ბარათი, თამასუქი.

კანი რიჩარდ (1905-1989) (Kahn Richard) – ინგლისელი ეკონომისტი, 30-70-იან წლებში მოღვაწეობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, დიდი ღვაწლი მიუძღვის ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. 1931 წელს კანმა ეკონომიკურ თეორიაში პირველმა შემოიტანა „მულტიპლიკატორის" ცნება, დაადგინა საზოგადოებრივი ოპტიმუმის პირობები კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „რჩეული ნარკვევები დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ" (1973). კანის იდეები ფართოდ აისახა ჯ. კეინზის, პ. სამუელსონის, ა. ჰანსენისა და სხვათა ნაშრომებში.

კაპიტალი (capital) - ფართო გაგებით – საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის გამოყენებული რესურსები, წარმოების ფაქტორები. ვიწრო გაგებით – წარმოების ფაქტორების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, წარმოების საშუალების სახით. კაპიტალი შედგება როგორც ხანგრძლივი მოხმარების (ძირითადი კაპიტალი), ისე წარმოების ერთი ციკლის მანძილზე მოხმარებულ (საბრუნავი კაპიტალი) წარმოებრივი საქონლისაგან. ეს სიტყვა გამოიყენება აგრეთვე ფინანსური აქტივების გამოსახატავად.

კაპიტალის ბაზარი (capital market) - ფინანსური რესურსებით (ფული, აქციები, ობლიგაციები) ვაჭრობის, კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების აკუმულაციასა და გადანაწილებას, ძირითადი კაპიტალის მოძრაობას, ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციასა და ეკონომიკაში პროპორციების შენარჩუნებას.

კაპიტალის ბაზარზე თავს იყრის სახელმწიფო და კერძო ფირმების ფულადი დანაზოგები, რომლებიც საკრედიტო საშუალებებ-

ის სახით წარიმართება კვლავწარმოების განვითარებისათვის. ერთდროულად კაპიტალი თავმოყრილია კრედიტორის ხელში ფასიანი ქაღალდების სახით.

კაპიტალის ბაზარი მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის ბაზარს, ვალუტის ბაზრის განსაზღვრულ ნაწილს და ინვესტიციის (მათ შორის, უცხოურის) ბაზარს. კაპიტალის ბაზარზე ოპერაციების ძირითადი სახეებია: ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო სესხის, კომერციული და იპოთეკური კრედიტის მიღება-გაცემა. კაპიტალის ბაზარზე გარიგების ძირითადი ინსტრუმენტებია: დეპოზიტური სერტიფიკატები, საბანკო აქცეპტები და ა.შ., ხოლო გარიგების კონტრაჰენტები — საფონდო ბირჟები, სადაზღვევო, საბროკერო და სადილერო კომპანიები, აუდიტორული ფირმები, კომერციული და საინვესტიციო ბანკები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები და სხვ., რომლებიც საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების განშტოებულ ქსელს ქმნიან.

კაპიტალის ბაზარი სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს და მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი დიდ როლს ასრულებს ახალი რეგიონული ეკონომიკური კომპლექსების შექმნაში, საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე კრედიტორისა და სესხის ამღების როლში ძირითადად გამოდიან მსხვილი ტრანსეროვნული ფირმები და ბანკები, სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოები, საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ეროვნული ბანკი).

კაპიტალის ბაზარზე ძირითადი მაჩვენებელია პროცენტის განაკვეთი. ამ უკანასკნელის სტრუქტურა მოიცავს დისკონტს, კრედიტზე პროცენტულ განაკვეთს, ხაზინის თამასუქს და სხვ.

კაპიტალის გადაცემაზე გადასახადი (capital transfer tax) - სიმდიდრის გადაცემაზე გადასახადი, რომელიც შემოიღეს დიდ ბრიტანეთში 1974 წელს ქონებაზე გადასახადის ნაცვლად, ხოლო 1986 წელს შეიცვალა მემკვიდრეობაზე გადასახადით.

კაპიტალის გადაცემაზე გადასახადი შედგება ნაჩუქრობისა და მემკვიდრეობაზე გადასახადებისგან.

კაპიტალის დაგროვება (capital accumulation) - ძირითადი კაპიტალის დაგროვება წმინდა ინვესტიციების ხარჯზე.

კაპიტალტევადობა (capital

coefficients) - კაპიტალის მოცულობის შეფარდება ამ კაპიტალის გამოყენებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან.

კაპიტალუკუგება (capital-return) – კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის, კაპიტალტევადობის უკუპროპორციული მაჩვენებელი. გაიანგარიშება გამოშვებული მთლიანი პროდუქციის შეფარდებით მის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

კაპიტალური აქტივები (capitals assets) - აქტივები, რომლებიც ყოველდღიური საქმიანი ოპერაციებისას არ იყიდება და არ ყიდულობენ, მაგალითად, შენობანაგებობები, მოწყობილობები, მიწა და ფასიანი ქაღალდები.

კაპიტალშემიარაღების კოეფიციენტი (capital-output ratio) - ეკონომიკური ზრდის თეორიაში — საერთო კაპიტალური მარაგის შეფარდება წლიურ მთლიან შიდა პროდუქტთან.

კარატი (carat) – 1. ძვირფასი თვლების მასის საზომი (მაგ., ინგლისური კარატი უდრის 205 მგ-ს. პარიზის საერთაშორისო კონვენციის განსაზღვრით (1907) კარატი უდრის 200 მგ-ს; 2. ძვირფასი ლითონების სინჯის საზომი ერთეული. მაგ., ოქროს ინგლისური კარატი უდრის შენადნობის მასის 1/24-ს. თავდაპირველად კარატი ძველი ბერძნული წონის ერთეულს წარმოადგენდა (უდრიდა 0,189 გრამს), შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

საქართველოში XI-XVIIსს.-ში ცნობილია კერატის (0,212 გ), ხოლო XVII-XVIII სს.-ში ყირათის (0,192 გ) სახელწოდებით. კერატი შედიოდა დრამის წონით სისტემაში და მისი 1/12 ანუ 0,212გ იყო. ყირათი შეადგენდა მისხლის 1/24 ანუ 0,192 გრამს.

კარგო (cargo) [<ესპ. cargo დატვირთვა] - საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში — ხომალდის ტვირთი; კარგო-გეგმა — ხომალდზე ტვირთის განლაგების გეგმა; ხომალდის ტვირთის დაზღვევა.

კარტელი (cartel-kartell) [<იტალ. cartello] - მონოპოლიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა; მეწარმეთა გაერთიანება, რომლის მონაწილენიც ერთმანეთს უთანხმდებიან წარმოების მოცულობაზე, გასაღების ბაზრებზე, გაყიდვის პირობებზე, ფასებზე, გადახდის ვადებზე და ა.შ. კომერციული (ფასების დაწესება, პროდუქციის გასაღება და ა.შ.) და წარმოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

კასკო (transport insurance) [<იტალ. casco] - გადასაზიდი საშუალებების (გემების, თვითმფრინავების, ავტომობილების, ვაგონების, ცისტერნებისა და სხვ.) დაზღვევა.

კაფ-ი (cost and freight - **CAF**) - ღირებულება და ფრახტი —

საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას გაყიდვის საბაზისო პირობა, რომელიც ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას, გადაიტანოს საქონელი კონტრაქტით გათვალისწინებულ ნავსადგურამდე, დაფრახტოს გემი და დაფაროს მასთან დაკავშირებული ხარჯები. იმპორტიორი ვალდებულია მიიღოს საქონელი შეთანხმებით გათვალისწინებულ პორტში და დაფაროს მის გადმოტვირთვასთან დაკავშირებული ხარჯები.

კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია (welfare economics) - იკვლევს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ზემოქმედებას საზოგადოების წევრთა კეთილდღეობაზე. ნორმატიული ასპექტის ზოგადი სახელწოდება. კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია იძლევა პოლიტიკურ რეკომენდაციებს. იგი ძირითადად ეყრდნობა პარეტოს თეორიას, რომელსაც ზოგჯერ კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ თეორიასაც კი უწოდებენ. მისთვის, პიგუს თეორიისაგან განსხვავებით, ნიშანდობლივია სარგებლიანობის რაოდენობრივი გაზომვის იდეის უარყოფა. ზოგიერთმა ეკონომისტმა წამოაყენა წინადადება ბერგსონის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის გამოყენების შესახებ. იგი ასაბუთებს სარგებლიანობის რაოდენობრივად გაზომვის შესაძლებლობას. ამ ფუნქციის ფორმულირება უკავშირდება საზოგადოების მიზნებს, რომელშიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე წარმოდგენილია როგორც რესურსების ალოკაციის ფუნქცია.

კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები (welfare control programs) - ფართოდ გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში და შედგება **სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართულ და სადაზღვევო ტიპის სახელმწიფო პროგრამებისაგან**.

სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე საჭიროებებს. დახმარების მიღების უფლება დამოკიდებულია შემოსავლებისა და დანაზოგის სიდიდეზე.

სადაზღვევო ტიპის პროგრამები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ოჯახებმა და ცალკეულმა პირებმა განსაზღვრულ პირობებში შეინარჩუნონ გარკვეული ცხოვრების დონე. გარდა ამისა, არსებობს საკმაოდ ფართო მასშტაბის კერძო პროგრამები – კერძო საპენსიო სისტემები, რომლებიც ფინანსდება დაქირავებულთა სახსრების ხარჯზე.

სიღარიბესთან ბრძოლისათვის გამოიყენება კვების ტალონები. ეს არის უნივერსალური პროგრამა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველას მათ, რომელთა შემოსავალი დაბალია სიღარიბის

ოფიციალურ მონაცემებზე, სიღარიბის ზღვარზე.

აშშ-ში 1960-იანი წლებიდან ცნობილია სამედიცინო დახმარების სახელმწიფო სოციალური პროგრამა – „მედიკერი“ („medicare“) და მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დაცვის სოციალური პროგრამა – „მედიკეიდი“ („medicade“). ამჟამად აშშ-ში სოციალურ პროგრამებზე იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 11%.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორია (“welfare state” theory) - მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ, სოციალურ და ა.შ. ასპექტებს, ეყრდნობა სახელმწიფო სექტორის იმ ძირითად ამოცანებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს თანამედროვე ეკონომიკაში. ეს არის საზოგადოებრივი საქონლის წარმოება, საზოგადოების დაცვა უარყოფითი გარე ეფექტებისაგან (ექსტერნალიებისაგან), ბუნებრივი მონოპოლიების ჩართვა მაკროეკონომიკურ რეგულირებაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები უარყოფითი სოციალური შედეგების კორექტირება ანუ პარეტოს მიხედვით გაუმჯობესების მიღწევა რესურსების გადანაწილების გზით, როდესაც ერთი ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობა უმჯობესდება მეორე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ცნება შემოღებულ იქნა 1941 წელს, როგორც ფაშისტური გერმანიის მილიტარისტული პოლიტიკის ალტერნატივა. თანამედროვე „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ საკანონმდებლო აქტები ეყრდნობა ტ. ჰ. მარშალის „სოციალური მოქალაქეობის“ კონცეფციას. ამ კონცეფციის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოსავლების მინიმალური დონე, ამასთან, სოციალური დოვლათი უნდა მიაწოდოს თითოეულ მოქალაქეს – როგორც მისი პოლიტიკური უფლების განხორციელება და ქველმოქმედება.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის კვლევის ცენტრში დგას საზოგადოებრივი ხარჯებისა და ტრანსფერების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი. საზოგადოებრივი ხარჯები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: პირველი, სოციალური დახმარების გაწევა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის რჩენა; მეორე, ავადმყოფობისა და უმუშევრობის შემთხვევაში სავალდებულო დაზღვევა; მესამე, სოციალურად დაუცველი ფენების არსებობისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით დაკმაყოფილებაზე სახელმწიფოს მიერ

პასუხისმგებლობის აღება.

როდესაც ქვეყანას უდგას საუკეთესო პერიოდი, ზოგიერთი ადამიანი ვერ ახერხებს სამუშაოს შოვნას, ან საკმარისი ფულის გამომუშავებას აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მოხუცებულობისათვის დასაზოგად. ნებისმიერ დროში არიან მოხუცები, ინვალიდები, ავადმყოფები და სხვა მიზეზებით შრომისუუნარონი. ზოგიერთს არ გაუმართლდა დაბადებიდან და ისინი ვერ ფლობენ ვერც ფიზიკურ და ვერც გონებრივ უნარს. ცუდ დროში ბევრი მუშაკი, რომელსაც ჩვეულებრივ შესწევს უნარი უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი, კარგავს სამუშაოს. უარეს დროში, ისეთში, როგორიც ეკონომიკური დაცემის პერიოდია, მილიონობით ადამიანი ღატაკდება ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვა მიზეზებით. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ არ დაუშვან თავიანთი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და მით უმეტეს მათი შიმშილით დახოცვა.

სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ სფეროში აუცილებელია როგორც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობისათვის, ისე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისთვისაც. ამ მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის პროგრამები, რომელთაც ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა, ზოგიერთი პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს კერძო წყაროებიდანაც (იხ. კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები).

კეინზი ჯონ მეინარდ (1883-1946) (Keynes John Maynard) - XX საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი, თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი. პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო 1906 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც სახელმწიფო მოხელემ. 1913-1914 წლებში იყო სამეფო კომისიის წევრი ინდოეთის ფულის მიმოქცევისა და ფინანსების სფეროში, მუშაობდა ხაზინაში, იყო მისი მთავარი წარმომადგენელი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. კეინზი აკრიტიკებდა ომის შემდგომი რეპარაციის (ზარალის ანაზღაურება) მაღალ დონეს გერმანიის მიმართ. ნაშრომში „ვერსალის ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919) იგი ამტკიცებდა, რომ რეპარაციის დადგენილმა დონემ შეიძლება დაანგრიოს გერმანიის ეკონომიკა. კეინზმა დატოვა ხაზინა და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა კემბრიჯის უნივერსიტეტში, პარალელურად აგრძელებდა საბირჟო საქმიანობას ხიტში, თამაშობდა ლონდონის ბირჟაზე, რითაც დიდი სიმდიდრე დააგროვა. 1911 წლიდან კეინზი იყო ჟურნალ „Economic

Jornal"-ის გამომცემელი. მის ადრეულ ნაშრომებს ძირითადად პრაქტიკული ხასიათი აქვთ. ისინი ეხება დიდი ბრიტანეთის ოქროს სტანდარტზე დაბრუნებას („მისტერ ჩერჩილის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები", 1925), ფულად რეფორმას დიდ ბრიტანეთში („ტრაქტატი ფულადი რეფორმის შესახებ", 1923) და ა.შ.

კეინზი მაკმილანის კომისიის წევრი იყო და დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მუშაობაში (1944) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაარსებაში. 1942 წელს, „ინგლისის ბანკის" ერთ-ერთმა დირექტორმა, ლორდ კეინზ ტილტონსკის ტიტული მიიღო.

კეინზის ფუნდამენტური ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" (1936) ახალ ეტაპად არის აღიარებული ეკონომიკური აზრის ისტორიაში. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის შექმნით კეინზმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში. კეინზიანელების სახით ეკონომიკურ თეორიაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკის ფორმირებაში.

სავსებით სამართლიანად ადამ სმითი ითვლება XVIII საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მარქსი – XIX საუკუნისა, ხოლო ჯონ მეინარდ კეინზს ეკუთვნის XX საუკუნის პალმა.

კეინზიანელობა (Keynesianism) - ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც აღმოცენდა მაკროეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური თეორიიდან და დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომლის თეორია ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია".

კეინზიანელობა წარმოიშვა როგორც რეაქცია 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიაზე, როდესაც არ არსებობდა სტიმულები არა მარტო ახალი ინვესტიციებისათვის, არამედ კაპიტალის განახლებისთვისაც. კეინზმა თავისი არგუმენტები და დასკვნები დაუპირისპირა კლასიკური თეორიის არგუმენტებსა და დასკვნებს, რომლის პოსტულატები, მისი აზრით, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთ-

რებულ შემთხვევაში – როდესაც ეკონომიკური სიტუაცია გამოხატავს შესაძლო წონასწორობის საუკეთესო შემთხვევას, კეინზის თეორია კი, ძირითადად ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს ეძღვნება. იგი უმთავრესად იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს. ამიტომ მას ხშირად „დეპრესიული“ ან „სტაგნაციური“ ეკონომიკის თეორიას უწოდებენ.

კეინზის თეორიის ცენტრალური იდეა კვლევის მაკროეკონომიკური მეთოდია, მაშინ როდესაც კეინზიანამდელ ეკონომიკურ თეორიაში გაბატონებული იყო მიკროეკონომიკური მიდგომა. აქედან გამომდინარე, კვლევის ცენტრში იდგა ცალკეული ფირმა, მისი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების, როგორც კაპიტალის დაგროვების წყაროს, მაქსიმიზაციის პრობლემა.

კეინზიანური მაკროეკონომიკური თვალთახედვით, ერთი რომელიმე ფირმის აყვავების პირობები შეიძლება არ ემთხვეოდეს მთელი ეკონომიკის განვითარების პირობებს. მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციით, არამედ ეროვნული ეკონომიკური პროპორციების აღდგენითა და კვლავწარმოების საერთო პირობების სრულყოფით. კეინზის აზრით, საზოგადოების ყველა სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნის გაზრდაში, რაც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას. მან წინა პლანზე დააყენა „ეფექტიანი მოთხოვნა“ და, აქედან გამომდინარე, რეალიზაციის პირობების რეგულირების პრობლემა. კეინზმა პირველმა განიხილა უმუშევრობა, როგორც „ეფექტიანი მოთხოვნის“ არასაკმაო დონის შედეგი. ეკონომიკურ მეცნიერებაში მან პირველმა გამოთქვა აზრი, რომ „ეფექტიანი მოთხოვნის“ შექმნისათვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა, ბაზრის „შეცდომების გამოსწორებისათვის“ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ბალანსირების უზრუნველყოფა. კეინზის ვარაუდით, სახელმწიფო, დანახარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ამ ღონისძიების შერწყმით, შეძლებდა გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ამაღლებას და ამით გააფართოებდა წარმოებას, რომელიც ეკონომიკას დაუბრუნებდა სრულ დასაქმებას. ეს იყო „კეინზიანური რევოლუციის“ მთავარი იდეა. კეინ-

ზის მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზიანური კონცეფციის წარმოშობას, რომელიც არ არის მისი იდენტური.

ომის შემდგომ წლებში, ვიდრე 70-იანი წლების შუა ხანებამდე, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი. მისი რეალური განსახიერებაა შერეული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სკანდინავიისა და დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

კეინზიანური მოდელი (Keynesian model) - ჯონ მეინარდ კეინზის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში შემუშავებული მოდელი, მიძღვნილი ამ პერიოდში ეკონომიკური დეპრესიისა და უმუშევრობის მიზეზების ახსნისადმი. მის მიხედვით უმუშევრობის მიზეზს წარმოადგენს არასაკმაო ერთობლივი მოთხოვნა, რომლის დაძლევა შესაძლებელია სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდით, გამოუყენებელი და ნაკლებად დატვირთული სიმძლავრეების ამოქმედების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნით.

კეინზის ეფექტი (Keynes effect) - საქონელზე მოთხოვნის ცვლილება ფასების საერთო დონის ცვლილების შედეგად. მაგ., ფასების საერთო დონის შემცირება ზრდის ფულადი ნაშთის რეალურ სიდიდეს, რაც მეტი ფულის გამოყენების შესაძლებლობას ქმნის სპეკულაციური ოპერაციებისათვის. ამის შედეგად ობლიგაციების ღირებულება გაიზრდება, ხოლო სარგებლის განაკვეთი შემცირდება, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციების ზრდის სტიმულირებასა და საქონელზე მოთხოვნის გადიდებას გამოიწვევს.

„კემბრიჯის სკოლა“ („Cambridge School“) - ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ა. მარშალის ნაშრომების გავლენის არეალში მყოფი ეკონომისტთა ჯგუფი. თავდაპირველად ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ა. პიგუ, დ. რობერტსონი და ჯ.მ. კეინზი. ამასთან, კეინზის მეცნიერულმა მიღწევებმა საფუძველი ჩაუყარა კემბრიჯის თანამედროვე სკოლას, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი ნეოკლასიკური თეორიის, კერძოდ, პ. სამუელსონისა და რ. სოლოუს ნაშრომების მიმართ (ეს სკოლა პ. სამუელსონსა და რ. სოლოუს დღეს მიიჩნევს ნეოკლასიკური მიმდინარეობის მთავარ წარმომადგენლებად). ამ წინააღმდეგობამ წარმოქმნა დისკუსია XX საუკუნის 30-იან წლებში და გრძელდება დღესაც.

თანამედროვე კემბრიჯის სკოლას მიაჩნია, რომ ეკონომიკურ მოდელში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, არამედ ისტორიული, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჯ. რობინსონი, ნ. კალორი, ლ. კანი, პ. სრაფა და სხვები. ამასთან, მათ მიმდევრები ჰყავთ აშშ-ში, კანადაში, იტალიასა და ავსტრალიაში.

კენე ფრანსუა (1694-1774) (Quesnay Francois) - მთავარი ფიგურა XVIII საუკუნის ფრანგ ეკონომისტთა შორის, ცნობილი ფიზიოკრატი. კენე სპეციალობით ექიმი იყო. მისი ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად განზოგადებულია ნაშრომში „სამიწათმოქმედო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები“ (1753), სადაც კვლევის ობიექტად აღიარებულია მიწათმოქმედება, ხოლო ერთადერთ ნაყოფიერ სფეროდ — სოფლის მეურნეობა. ფ. კენეს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მისმა „ეკონომიკურმა ტაბულამ“ (1758), რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი ეკონომიკური პროპორციების გამოვლენის პირველი მაკროეკონომიკური მოდელია. როგორც მერკანტილისტების ოპონენტმა, მან ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა სოფლის მეურნეობაში თავისუფალი კონკურენციის უპირატესობის შესახებ. მისი „ეკონომიკური ტაბულა“ წარმოადგენს გაცვლის სქემას მიწათმოქმედებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო მუშაკებსა და ე.წ. „უნაყოფო“ კლასებს შორის. კენეს აზრით, მხოლოდ სოფლის მეურნეობას შეუძლია აწარმოოს პროდუქცია მოხმარებისთვის აუცილებელი დონის ზევით, ამიტომაც მხოლოდ სოფლის მეურნეობაა ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. „ეკონომიკურ ტაბულაში“ ნაჩვენებია თუ როგორ ნაწილდება „წმინდა პროდუქტი“ სამ კლასს შორის.

კენეს „ტაბულა“ არსებითად კ. მარქსის კვლავწარმოების სქემისა და ვ. ლეონტიევის გაცილებით რთული მოდელის წინამორბედია. კენეს აზრით, ვინაიდან სოფლის მეურნეობა სიმდიდრის ერთადერთი წყაროა, შესაძლებელია სახელმწიფო ფინანსების გამარტივება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით. კენეს მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ადამ სმითის შემოქმედებაზე.

კერძო ბირჟა (private stock exchange) - აქციონერთა კომპანია ან ჩაკეტილი კორპორაცია, რომლებშიც გარიგებების დადება მხოლოდ მათ წევრ აქციონერებს შეუძლიათ. კერძო ბირჟის წევრები ჩვეულებრივ კაპიტალის დაბანდებით დივიდენდს არ იღებენ. მათი

მოგება წარმოიქმნება იმ გასამრჯელოს ხარჯზე, რომელსაც იღებენ კლიენტებისაგან გარიგებების დადებისათვის, ე.ი. ბირჟის წევრები ბროკერის როლში გამოდიან.

კერძო დანაზოგი (private save) – დანაზოგი, რომელსაც ქმნიან მომხმარებლები და მათი განკარგვადი შემოსავლისა და სამომხმარებლო ხარჯების სხვაობის ტოლია. უფრო კონკრეტულად, კერძო დანაზოგი არის შემოსავალს მინუს გადასახადები და მინუს მოხმარება.

კერძო საქონელი (private property, commodity) - ყველა საქონელი თუ მომსახურება, რომელიც მოექცევა საბაზრო მექანიზმის ორბიტაში. მოხმარების ხასიათიდან გამომდინარე, „კერძო საქონელი“, ისევე როგორც „საზოგადოებრივი საქონელი“, იყოფა ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების საქონლად. ინდივიდუალური მოხმარების „კერძო საქონელს“ მიეკუთვნება: კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საქონელი და სხვ., ხოლო კოლექტიური მოხმარებისას – საზოგადოებრივი კვების კერძო ფირმების მომსახურება, კერძო საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვა, კერძო თეატრების, კინოთეატრების, აბანოების მომსახურება და სხვ.

კვაზიფული (quasimoney) [<ლათ. quasi თითქოს, ვითომ]- ფულადი სახსრები უნაღდო ფორმით, რომელიც ირიცხება კომერციულ ბანკებში ვადიან და შემნახველ ანაბრებზე.

კვოტა (quota) [<ლათ. quotu წილი] - 1. ნაწილი, წილი, ნორმა, პაი; საგადასახადო კვოტა – დაბეგვრის განსაზღვრული ერთეულიდან აკრეფილი გადასახადის სიდიდე; 2. წარმოებასა და გასაღებაში – წილი, დადგენილი საკარტელო შეთანხმების ფარგლებში მისი თითოეული მონაწილისათვის.

იმპორტული კვოტები გამოიყენება საქონლის საზღვარგარეთ შეძენის შესაზღუდად, ხოლო საექსპორტო კვოტები – ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნების საექსპორტო შემოსავლის სტაბილიზაციისა და მიწოდების შეზღუდვისათვის ფასების შენარჩუნების მიზნით.

კვოტირება (quotation) - წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. საფუძვლად უდევს მოცემული ქვეყნის ვალდებულებები საერთაშორისო შეთანხმებებში, აგრეთვე, ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ რეგულირებაში კვოტირება გამოიყენება მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირებისათვის.

კლანი (clan) [<კელტ. clann] - ვიწრო გაგებით – შოტლანდიელთა და ირლანდიელთა გვაროვნუ-

ლი თემი; ფართო გაგებით — ჯგუფი ან გვარი ნათესავებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან სამეურნეო ან საზოგადოებრივი ურთიერთობებით. აქედან წარმოდგება სიტყვა კლანიზმი, რომელიც გამოხატავს მიმართულებას საზოგადოებაში.

კლასიკური დიჰოტომია (classical dichotomy) - ეკონომიკური ცვლადების თეორიული დაყოფა ნომინალურ და რეალურ სიდიდეებად. ეკონომიკური მახასიათებლები იყოფა ორ ჯგუფად (დ. იუმი): პირველ ჯგუფს შეადგენს ნომინალური ცვლადები, ანუ ის სიდიდეები, რომლებიც იზომება ფულადი ერთეულით, ხოლო მეორე ჯგუფს — რეალური ცვლადები — სიდიდეები, რომლებიც იზომება ფიზიკური ერთეულებით. მაგ., ხორბლის ფასი ნომინალური ცვლადია, ვინაიდან ფულადი ერთეულით გამოიხატება, მაშინ როდესაც ხორბლის მოსავალი — რეალური ცვლადია, ვინაიდან ცენტნერებითა და ტონებით იზომება. ანალოგიურად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალური სიდიდეა, ვინაიდან ზომავს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას ფულადი ერთეულით, ხოლო რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი რეალური სიდიდეა, ვინაიდან გამოხატავს წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან რაოდენობას.

დ. იუმის აზრით, კლასიკური დიჰოტომია სასარგებლოა ეკონომიკის ანალიზისათვის, ვინაიდან მასში მოქმედი ძალების ერთი ნაწილი ზეგავლენას ახდენს ნომინალურ, ხოლო მეორე ნაწილი — რეალურ ცვლადებზე. სახელდობრ, იგი ამტკიცებდა, რომ ნომინალური სიდიდეები ფულად-საკრედიტო სისტემის ცვლილებების უშუალო ზემოქმედების ქვეშაა, ხოლო რეალური სიდიდეები — არა. მაგ., ფულის მიწოდების ცვლილება უშუალო ზეგავლენას ახდენს ნომინალურ, მაგრამ არარეალურ ეკონომიკურ სიდიდეებზე. თუ, ვთქვათ, ცენტრალური ბანკი გააორმაგებს ეკონომიკაში ფულის მიწოდებას, ამით გაორმაგდება ფასების დონე, ასევე ფულით გამოხატული ხელფასი (ნომინალური ხელფასი), აგრეთვე სხვა ნომინალური ცვლადები, რომელთაც აქვთ ღირებულებითი გამოხატულება, მაგრამ რეალური ცვლადები, ისეთები, როგორიცაა წარმოების, რეალური ხელფასის დონე და სარგებლის რეალური განაკვეთი — დარჩება უცვლელი.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია (classical political economy) - ლიბერალური ეკონომიკური თეორია, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის 70-იან წლებში და XX საუკუნის 30-იან წლებამდე საფუძვლად ედო წამყვანი

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. მისი ფუძემდებლები იყვნენ ინგლისელი მეცნიერები ადამ სმითი და დევიდ რიკარდო, თუმცა, კლასიკური ეკონომიკური თეორია სათავეს იღებს უილიამ პეტის შეხედულებებიდან. მის წარმოშობას დიდად შეუწყვეს ხელი ინგლისელმა ფილოსოფოსებმა ჯონ ლოკმა (1632-1704) და დევიდ იუმმა (1711-1776), აგრეთვე ეკონომისტმა დელეი ნორსმა (1641-1691), ხოლო განვითარებას — ჟან-ბატისტ სეიმ (1767-1832).

ეკონომიკური თეორიის ამ ფუძემდებლური მიმართულების ლაიტმოტივია — ეკონომიკის ლიბერალიზაციის, მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების იდეა. ეს იდეა ეყრდნობა ა. სმითის „უხილავი ხელის“ თეორიას. ამ იდეის მიხედვით სახელმწიფო განიხილება როგორც „ღამის დარაჯი“, სახელმწიფო საქმიანობა კი — როგორც არამწარმოებლური შრომა. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას წითელ ზოლად გასდევს კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით. მისი ყურადღების ცენტრშია ცალკეული ფირმა, მათი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ორ საუკუნეზე მეტ ხანს ედო საფუძვლად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს იყო მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალური კონცეფციის ბატონობის ეპოქა. მისი იდეოლოგია ადამიანს განიხილავს, როგორც ეკონომიკურ ფენომენს, როგორც წარმოების საშუალებას და არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანს.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ძირითადად იკვლევს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემებს, აგრეთვე სწავლობს სიმდიდრის ბუნებასა და წყაროებს, ეროვნული პროდუქტის განაწილებას წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს შორის შეზღუდული რესურსებისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში. იგი აქცენტს აკეთებს კაპიტალის დაგროვებაზე, ბაზრების გაფართოებასა და შრომის დანაწილებაზე.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კვლევის საგანია მიკროეკონომიკური პრობლემებიც. დ. რიკარდომ საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას. ღირებულების (ფასეულობის) კლასიკური თეორია აქცენტს შრომით დანახარჯებზე აკეთებს და ეყრდნობა შრომითი ღირებულების თეორიას, მაშინ როდესაც ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია

ხაზს უსვამს ფასეულობის სუბიექტურ ასპექტებს.

მეთოდოლოგიის საკითხებში კლასიკურ-ლიბერალური სკოლა ორ ბანაკად გაიყო. ერთ ბანაკში გაერთიანდნენ ისინი, ვინც მხარს უჭერდა ინდუქციურ მეთოდს, მაგალითად, ა. სმითი, რომელმაც ემპირიული წანამძღვრების ფორმულირებით გამოავლინა ემპირიული კანონები. მეორე ბანაკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო დ. რიკარდო, რომელიც მხარს უჭერდა დედუქციურ მეთოდს. მან ჰიპოთეზური წანამძღვრების საფუძველზე გააკეთა შესაბამისი დასკვნები.

კლასიფიკაცია (**ეკონომიკური საქმიანობის**) (Activity clasification) [<ლათ. classis ჯგუფი; facere კეთება]- წარმოებრივი ეკონომიკური საქმიანობის სახეების დაყოფა საერთო ნიშნების მქონე ჯგუფებად, მაგ., გაეროს ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (**ISIC**), ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი სამრეწველო კლასიფიკაცია (**NACE**) და ა.შ.

კლასტერი (cluster) - ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ჯგუფი (მწარმოებლები, მიმწოდებლები და სხვ.) და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (სახელმწიფო მართვის ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინფრასტრუქტურის კომპანიები და ა.შ.), რომლებიც მართალია ფუნქციონირებენ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ სიმბიოზურ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. კლასტერები მაღალტექნოლოგიური პარკებია (მათ **ტექნოპარკებსაც** უწოდებენ), რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულში შედიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი და ინდოეთი. რაც შეეხება რუსეთს, სამეცნიერო პოტენციალის საკმაოდ მაღალი დონის მიუხედავად, მას მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 1%-მდე უჭირავს.

ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის მიხედვით საქართველოში არსებული მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები დაყოფილია ხუთ ჯგუფად: ლიდერები (სულ 18 ქვეყანა), პოტენციური ლიდერები (სულ 19 ქვეყანა), ტექნოლოგიების დინამიკურად დამნერგავი ქვეყნები (სულ 26 ქვეყანა), მარგინალური ანუ ზღვართან მისული ქვეყნები

სულ (9 ქვეყანა) და დანარჩენი ქვეყნები. ამ ყველაზე ჩამორჩენილ ჯგუფშია საქართველოც, ანგოლასთან, ბანგლადეშთან, გვინეასთან, უგანდასთან და ამ დონის სხვა ქვეყნებთან ერთად.

კლებადი უკუგების კანონი (decreasing returns law of) - კანონი, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას ცვალებად დანახარჯებსა და წარმოების მოცულობას შორის. წარმოების მოცულობის გარკვეული მიჯნის იქით ცვალებადი დანახარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პროდუქციის მოცულობა, ე.ი. პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებაზე ცვალებადი დანახარჯების ყოველი დამატებითი ერთეული ნაკლებ პროდუქციას იძლევა. წარმოების დანახარჯებსა და შედეგებს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება გამოიხატება კლებადი უკუგების კანონით.

კლეიტონის კანონი (Claiton Act) - მიღებულ იქნა აშშ-ში 1914 წელს, მიზნად ისახავდა, შრომის კანონიდან გამომდინარე, ანტიტრესტულ კანონმდებლობაში არსებული დარღვევების კონკრეტულ განსაზღვრას და მათ აღმოფხვრას. კერძოდ, კანონი კრძალავდა: 1. ფასისმიერ დისკრიმინაციას, რომელიც აფერხებდა კონკურენციას და აძლიერებდა მონოპოლიებს; 2. ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის აქციების შეძენას, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა კონკურენციას და ერთდროულად განაპირობებდა კონკურენტ-კომპანიებში ერთი და იგივე პირების მიერ ხელმძღვანელი პოსტების დაკავებას. იგი გამორიცხავდა შრომის ბაზარს ანტიტრესტული კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან.

კლერკი (clerk) [ფრანგ. clerc <ლათ. clericus სასულიერო პირი]- საქმის მწარმოებელი პარლამენტში, სასამართლოში, ნოტარიატში, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში და ა.შ.

კლიომეტრია (cliometrics) - „ახალი ეკონომიკური თეორიის“ სახელწოდება, გამოყენებული ეკონომეტრიკაში ეკონომიკური ისტორიის პრობლემების შესწავლისათვის.

კლირინგი (clearing) [<ინგლ. გაწმენდა] - უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა საშინაო და საერთაშორისო სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის, დაფუძნებული მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთჩათვლაზე. განასხვავებენ **საბანკო და სავალუტო კლირინგს**. საბანკო კლირინგი გამოიყენება ქვეყნის შიგნით (ამ ფორმას პირველად ინგლისმა მიმართა XVIII საუკუნეში) და წარმოადგენს ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას, ხორციელდება საანგარიშსწორებო პალატების მეშვეობით. საბან-

კო კლირინგი დიდად უწყობს ხელს საჩეკო ბრუნვის ზრდას. სავალუტო კლირინგი ხორციელდება სახელმწიფოებს შორის საკლირინგო შეთანხმების ფორმით და ითვალისწინებს ურთიერთდავალიანების დაფარვას.

კომანდიტური ამხანაგობა (limited partnership) - შერეული ამხანაგობის სახეობა, რომლის წევრებიდან ერთ ნაწილს აქვს შეუზღუდავი პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით (კომპლემენტარები), ხოლო მეორე ნაწილს — შეზღუდული პასუხისმგებლობა თავისი წვლილის ფარგლებში (კომანდიტები).

კომერცია (commerce) [<ლათ. commercium] - 1. ვაჭრობა; 2. საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ.

კომერციალიზაცია (commercialization) - მსხვილი სახელმწიფო მონოპოლიების გარდაქმნა სახელმწიფო-აქციონერულ საზოგადოებებად — ჰოლდინგებად. იგი, საკუთრების ფორმის შეუცვლელად, საწარმოთა განსახელმწიფოებრივების ერთ-ერთი გზაა. კომერციალიზებული საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელშია. ამ საწარმოებში დასაქმებულებს უფლება აქვთ შეღავათიან პირობებში შეიძინონ მათ მიერ გამოშვებული აქციების ნაწილი. კომერციალიზაციის პროცესს ამერიკელები **კორპორატიზაციას** უწოდებენ.

კომბინირება (combine) – ვერტიკალური ინტეგრირება, ერთ კორპორაციაში სხვადასხვა დარგის ისეთი სამეურნეო ობიექტების გაერთიანება, რომელშიც ურთიერთდაკავშირებული საწარმოო პროცესები ხორციელდება. ამის შედეგად კორპორაციაში ყალიბდება ისეთი საწარმოო სტრუქტურა, რომელიც განაპირობებს წარმოების თანმიმდევრობას და უწყვეტობას ნედლეულის მოპოვებიდან და გადამუშავებიდან მზა პროდუქციის გამოშვებამდე.

კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები (commercial banks obligatory reserves) - კომერციული ბანკების ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან იქონიონ თავიანთ ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში.

კომერციული ბანკი (commercial bank) - უნივერსალური ხასიათის საკრედიტო დაწესებულება, ფინანსური შუამავალი, რომელსაც ლიცენზიით გადაცემული აქვს საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლება. მისი ძირითადი ფუნქციებია დეპოზიტების მიღება, კრედიტების გაცემა და კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურება. თუმცა კომერციული ბანკები დიდი ხანია აღარ იფარგლებიან ზემოაღნიშნული ფუნქციებით და სხვა ოპერაციე-

ბსაც ასრულებენ. ისინი დაკავებულნი არიან აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებითა და ა.შ.

კომერციული ბანკების სისტემაში ფართოდ გავრცელდა მომსახურების ისეთი სახეობები, როგორიცაა ლიზინგი და ფაქტორინგი.

კომერციული კრედიტი (commercial credit) - კრედიტი, რომელსაც გამყიდველი აძლევს მყიდველს იმ პირობით, რომ იგი ნაყიდი საქონლის საფასურს განვადებით გადაიხდის. კომერციული კრედიტი გაიცემა მიმდინარე ხარჯებისათვის ერთ წლამდე ვადით სათამასუქო კრედიტის ან ღია ანგარიშის ფორმით.

სათამასუქო კრედიტის არსი მდგომარეობს შემდეგში: გამყიდველი, საქონლის გაყიდვის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, აფორმებს გადასაპირებელ თამასუქს და წარუდგენს მყიდველს, ეს უკანასკნელი კი ახდენს მის აქცეპტირებას, ანუ იძლევა წერილობით თანხმობას, რომ ფულს გადაიხდის თამასუქში მითითებულ ვადებში.

კრედიტი ღია ანგარიშით გულისხმობს შეთანხმების საფუძველზე გამყიდველის მიერ გაყიდული საქონლის ღირებულების ვალის სახით ჩაწერას მყიდველის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი კისრულობს ვალდებულებას, დადგენილ ვადაში დაფაროს კრედიტი. კრედიტის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება საქონლის რეგულარულად მიწოდებისას.

კომერციული საქმიანობა (commercial activity) - გაეროს **სსდკ**-ის ერთ-ერთი განყოფილების შემადგენელი ნაწილი; მოიცავს კომპიუტერებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სამუშაოებს (კონსულტაციები ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებზე, საფინანსო, სტატისტიკური და ტექნიკური მონაცემების დამუშავება და შენახვა, საკანცელარიო, საბუღალტრო და **ეგმ**-ის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა), გამოკვლევებსა და დამუშავებებს (ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, ექსპერიმენტული დამუშავებები), სხვადასხვა კომერციულ საქმიანობას (სამუშაოები სამართლის, ანგარიშების შედგენის, საბუღალტრო აღრიცხვისა და რევიზიის სფეროში, კონსულტაციები დაბეგვრის საკითხებზე, ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, კონსულტაციები კომერციისა და მართვის საკითხებზე), საქმიანობას არქიტექტურისა და სამოქალაქო მშენებლობის სფეროში და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ კონსულტაციებს (საპროექტო-საკონსტრუ-

ქტორო, მარკშაიდერული, გეოლოგიურ-საძიებო, საინჟინრო სამუშაოები და ა.შ.), ყველა სახის მასალისა და პროდუქტის ტექნიკურ შემოწმებასა და ანალიზს, იმ კომერციულ საქმიანობას, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში (სამუშაო ძალის დაქირავება და პერსონალით უზრუნველყოფა, გამოძიებასა და ცალკეული პიროვნების ან ქონების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა, შენობის დასუფთავება-დალაგებასთან დაკავშირებული მომსახურება, ფოტოგრაფიული სამუშაოები, საბროკერო-საკომისიო ოპერაციები, ინკასირება, გამოფენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება, აქციონერული საქმიანობა, სარედაქციო საქმიანობა და სხვ.).

კომივოიაჟორი (commercial traveller) [<ფრანგ. commis voyageur] - 1. მოხეტიალე ვაჭარი; 2. სავაჭრო ფირმის მოგზაური აგენტი, რომელიც მყიდველებს ადგილზე სთავაზობს საქონელს ნიმუშებისა და კატალოგების მიხედვით.

კომპანიონი (partner) [ფრანგ. compagnon] - 1. ფირმის თანამფლობელი; 2. ფირმაში შეამხანაგებული პირი.

კომპენსაცია (compensation) [<ლათ. compensation - ანაზღაურება] - ზარალის, დანაკარგების, დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

კომპარატივიზმი (comparativism) [comparativus შედარებითი] - ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზი, ეკონომიკური თეორიის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ლ. რეინელდმა, დ. ჰოლდმა, პ. კნირშმა და ა.შ. ფართოდ დამკვიდრდა XX საუკუნის 30-იანი წლებში აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში. ამ მიმართულების შედეგია ინსტიტუციური (კონვერგენციის, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და ა.შ.) თეორიები.

კომპლემენტარი (limited partner) - ამხანაგობის სრული წევრი, რომელიც მის ვალდებულებებზე მთელი თავისი მდგომარეობით, პირადი ქონებით აგებს პასუხს და შეუზღუდავ პასუხისმგებლობას ატარებს.

კონგლომერატი (conglomerate) [<ლათ. conglomeratus თავმოყრილი, შეგროვილი] - ეკონომიკური გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც წარმოიშვა XX საუკუნის 50-იან წლებში; გაერთიანება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებისა, რომლებიც ერთმანეთთან პირდაპირი წარმოებრივი კოოპერაციით არ არიან დაკავშირებულნი, აწარმოებენ და ყიდიან ფართო ასორტიმენტის საქონელს.

კონგლომერაცია (conglo-

meration) [<ლათ. conglomerstio შექუჩება] - ცალკეული საგნების შეკავშირება ერთ მთლიანობად, როდესაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებსა და ნიშნებს.

კონდიცია (condition) [<ლათ. conditio] - ნორმა, სტანდარტი, რომელსაც, სახელშეკრულებო პირობების თანახმად, უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საქონელი.

კონვენცია (convention) [<ლათ. conventio ხელშეკრულება, შეთანხმება] - საერთაშორისო ხელშეკრულება ამა თუ იმ სპეციალურ საკითხზე, მაგ., კონვენცია საავტორო უფლების შენარჩუნების შესახებ; სარკინიგზო, საფოსტო-სატელეგრაფო კონვენცია და ა.შ.

კონვერსია (conversion) [<ლათ. conversio გარდაქმნა, შეცვლა] - სამხედრო წარმოების გარდაქმნა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებად. არსებობს ეკონომიკური კონვერსიის უფრო ფართო გაგება: მთელი საზოგადოებრივი წარმოების გარდაქმნა; სამრეწველო კონვერსია — მრეწველობის გარდაქმნა, პროფესიული კონვერსია-კადრების მომზადების პროფილის შეცვლა; ვალუტის კონვერსია — ერთი ვალუტის გაცვლა მეორეზე მოქმედი ვალუტის კურსის მიხედვით; სესხის კონვერსია — ადრე გამოშვებული სესხის შეცვლა ახლით და ა.შ.

კონვერტირებადი ობლიგაცია (convertible bond) - ობლიგაცია, რომლის მფლობელსაც შეუძლია შეუფერხებლად გაცვალოს იგი სხვა აქციაზე.

კონვერტირებადობა (convertibility) [<ლათ. convertere გადაქცევა] - ეროვნული ვალუტის უნარი, თავისუფლად გაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე ყველა სახის ოპერაციის დროს და ნებისმიერი ფორმით. ვალუტის კონვერტირებადობის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მისი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბზე, შიდა ფულადი მიმოქცევის მდგრადობაზე, ეროვნული ბაზრის განვითარების დონეზე და სხვ.

ვალუტა შეიძლება იყოს **სრულად კონვერტირებადი** (შექცევადი) — როდესაც მოცემული ქვეყნის ვალუტა იცვლება ნებისმიერ უცხოურზე, **ნაწილობრივ კონვერტირებადი** (ნაწილობრივ შექცევადი) — როდესაც მოცემული ქვეყნის ვალუტა იცვლება მხოლოდ ზოგიერთ უცხოურ ვალუტაზე და **არაკონვერტირებადი** (შეუქცევადი) — როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ფულად ერთეულს მთლიანად შენარჩუნებული აქვს სავალუტო შეზღუდვები და არ იცვლება სხვა უცხოურ ვალუტაზე.

ქართული ფულადი ერთეული — ლარი ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტაა.

კონიუნქტურა (conjuncture)

[<ლათ. conjyngere შეკვრა, დაკავშირება, შეერთება] - 1. ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეულ პერიოდში ეკონომიკის მდგომარეობისათვის; 2. ურთიერთდაკავშირებული პირობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ვითარება.

ბაზრის კონიუნქტურა – დროის გარკვეულ პერიოდში კონკრეტულ ადგილზე ჩამოყალიბებული საქონლის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური, სავაჭრო-ორგანიზაციული და სხვა პირობები. დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან ძირითადია: მომხმარებელთა ფულადი შემოსავლები, საქონლის ფასები, სასაქონლო რესურსების, მათ შორის, სასაქონლო მარაგის მოცულობა და სტრუქტურა.

კონკრეტული ბაზრის კონიუნქტურის დახასიათებისას ყურადღება, პირველ ყოვლისა, ექცევა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირების ხარისხს (დონეს). კონიუნქტურის შესწავლა გულისხმობს სისტემატურ დაკვირვებას ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების არსებულ და შესაძლო გადახრებზე. მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ხელსაყრელ და არახელსაყრელ კონიუნქტურას.

კონკურენტი (competitor) [<ლათ. concurreins გაჯიბრება <concurrere შეჯახება] - ზოგადი ცნება, რომელიც გამოიყენება ნებისმიერ დარგში: ეკონომიკაში, ხელოვნებაში და ა.შ. კონკურენტები შეიძლება იყვნენ როგორც ცალკეული პირები, ისე გარკვეული ჯგუფები, ფირმები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ინტერესები საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მაგრამ ერთდროულად დაინტერესებული არიან საერთო მიზნის მიღწევით. სიტყვა „კონკურენტი“ ხშირად იხმარება სამეურნეო საქმიანობაში მეტოქეობის გამოსახატავად.

კონკურენტული უპირატესობა (competitive advantage) - უპირატესობა, რომელსაც კომპანიები ინოვაციების დანერგვის გზით აღწევენ. ზოგიერთ ქვეყანაში ყალიბდება ისეთი ბიზნეს-გარემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და უფრო განვითარდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნის კომპანიები. დღეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ყურადღების ცენტრშია კონკურენციის გლობალიზაციის, კონკურენციისადმი გლობალური მიდგომის საკითხი. კონკურენციის გლობალიზაცია კომპანიებისაგან მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას.

მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები, მოწინავე ინფორმაციული და

ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები.

კონკურენტული უპირატესობის თეორია (theory of competitive advantage) - თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი თეორია, რომელსაც თანდათან ადგილს უთმობს შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ეს ახალი თეორია გასცდა წარმოების ხარჯების ანალიზს და აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობების პროდუქციის შექმნა და ა.შ. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არაექსტენსიური წარმოება. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც „პირველი ვიოლინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. კონკურენციაში უპირატესობას დღეს აღწევს არა ის, ვინც რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ ის, ვინც ქმნის ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზობს ინოვაციებს.

კონკურენტუნარიანობა (competitiveness) - 1. საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების, საქონლისა და მომსახურების თვისება კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე ანალოგიური თვისებების მქონე საბაზრო ურთიერთობების სუბიექტებს, საქონელსა და მომსახურებას. ამ თვისების შეფასება მაღალი, საშუალო და დაბალი კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას იძლევა;

2. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. მიუხედავად კონკურენტუნარიანობის ბევრი საერთო ნიშნისა, დიდი სხვაობაა ქვეყანათა კონკურენტუნარიანობის მოდელებს შორის. მაგ., აშშ-მა მსოფლიოში მიაღწია კონკურენტუნარიანობის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციებში, თვითმფრინავების წარმოებაში და ა.შ. დღეს მსოფლიოში

ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტუნარიან ქვეყნად წარმოდგენილია იაპონია ეკონომიკის ისეთი დარგებით, როგორიცაა ტექნიკა და მანქანათმშენებლობა.

ის გარემოება, რომ XXI საუკუნე აღიარებულია ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ, მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. იმისათვის, რომ კომპანიები კონკურენტუნარიანები იყვნენ, მათ თავიანთი პროდუქცია უნდა გაყიდონ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით მსოფლიოს მასშტაბით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა აყალიბებს თავისი ინდუსტრიისთვის.

უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავდნენ ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა ბიუჯეტის დეფიციტი, პროცენტის განაკვეთი, ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი სიმდიდრეები, იაფი სამუშაო ძალა, მენეჯმენტის განსხვავებული პრაქტიკა და ა.შ. მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკა არ ადასტურებს ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტებას. მაგ., რით შეიძლება აიხსნას ისეთი ქვეყნების (იაპონია, სამხრეთი კორეა...) წარმატება, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აფრიკის უმეტესი ქვეყნების წარუმატებლობა.

კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიდა ბაზრებზე. დღეს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად კომპანიები ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ინვესტიციებს დებენ ახალი უნარ-ჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებაში. იმისთვის, რომ ქვეყანა კონკურენტუნარიანი პარტნიორი გახდეს, მან უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა. დღეს მსოფლიოში ძალზე პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია“.

კონკურენცია (competition) [concurrere შეჯახება, შეტაკება] - 1. მეტოქეობა საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის; 2. ბრძოლა კონტრაჰენტებს შორის საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის ხელსაყრელი პირობებისათვის; 3. საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არის მრავალი მწარმოებელი (გამყიდველი) და მრავალი მომხმარებელი (მყიდველი).

კონკურენცია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

კონკურენციული ბაზარი (competitive market) - ბაზარი, სადაც მრავალი წვრილი გამყიდველი და მყიდველია. ისინი ახორ-

ციელებენ თავიანთ ოპერაციებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არ შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ ფასზე.

კონოსამენტი (bill of lading) [ფრანგ. connaissement] - ხელწერილი, რომელსაც გასცემს გემის კაპიტანი (ან საზღვაო სატრანსპორტო საწარმოს აგენტი) ტვირთის ზღვით გაგზავნისა და მიღების დასადასტურებლად.

კონსალტინგი (consulting) [<ინგლ. consulting - საკონსულტაციო] - სამმართველო კონსულტირება, განხორციელებული სპეციალიზებული კომერციული ფირმების მიერ წარმოების მართვის ორგანიზაციისა და სრულყოფის სფეროში ახალშექმნილი საწარმოების საქმიანობის დაფუძნების, მარკეტინგული კვლევის მიზნით. საკონსალტინგო ფირმები მსხვილი კომპანიების დაკვეთით აანალიზებენ ამ კომპანიების წარმოების ორგანიზაციისა და მართვის შესაბამისობას, მათი საქმიანობის შედეგებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მათი რენტაბელობის ამაღლებისათვის, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის, ადგენენ მათი განვითარების გრძელვადიან კონცეფციას და ბიზნეს-გეგმას, ამზადებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას შვილობილი კომპანიების შესაქმნელად და ა.შ. კონსულტანტები ჩვეულებრივ ისეთი სპეციალისტები არიან, რომლებსაც, თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება მენეჯმენტის, მარკეტინგის და ა.შ. სფეროში. საკონსალტინგო ფირმებთან ერთად, სამმართველო კონსულტირების სფეროში მომსახურებას ეწევიან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომლებსაც ამ მიზნით ჩამოყალიბებული აქვთ სპეციალური განყოფილებები და სამსახურები. საკონსალტინგო ფირმები მომსახურებას ეწევიან ფასწარმოქმნის სფეროში. ფასების პროექტის შედგენით ისინი მონაწილეობენ რესურსების მიმწოდებლებსა და პროდუქციის დამამზადებლებს შორის, აგრეთვე მათ შემკვეთებთან ხელშეკრულების დადებაში. საკონსალტინგო ფირმების მომსახურება მნიშვნელოვნად ამცირებს მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კონსალტინგი, ინჟინერინგთან და აუდიტთან ერთად, საბაზრო ინფრასტრუქტურის აუცილებელი ელემენტია.

კონსიგნანტი (consignor) [<ლათ. consignatio დოკუმენტი] - საქონლის მფლობელი, რომელიც საზღვარგარეთ ყიდის საქონელს კონსიგნატორის (კომისიონერის) მეშვეობით.

კონსოლიდირებული ვალი (consolidated duty) - ტრადიციუ-

ლად ეს ტერმინი გამოიყენება სახელმწიფო ვალის იმ ნაწილის გამოსახატავად, რომელსაც არა აქვს დაფარვის ვადები. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში მისი გამოყენება დაიწყო უფრო ფართო მნიშვნელობით, სახელდობრ, მოიცავს ვალს საშუალო და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ფორმით, ანუ მთელ ვალს მიმდინარე დავალიანების გარდა.

კონსორციუმი (consortium) [<ლათ. consortium თანამონაწილეობა]-კომპანიების ან ბანკების დროებითი შეთანხმება, გაერთიანება სესხის ერთობლივი გავრცელებისათვის, ფართო მასშტაბის ფინანსური ან კომერციული ოპერაციების ჩატარებისათვის, მსხვილი სამრეწველო მშენებლობის განხორციელებისათვის და ა.შ.

კონტრაჰენტი (counterpart) [<ლათ. contrahens მომრიგებელი] - 1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე მეორის მიმართ; 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აღებული აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ესა თუ ის ვალდებულება.

კონფისკაცია (confiscation) [<ლათ. confiscatio] - ქონების, ფულისა და სხვა ფასეულობების იძულებითი, უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული აქტით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.

კონფრონტაცია (confrontation) [ლათ. con წინააღმდეგ + frons (frontis) ჯიქურ, ფრონტი] - წინააღმდეგობა, დაპირისპირება, შეჯახება (სოციალური სისტემების, კლასთა ინტერესების, იდეურ-პოლიტიკური პრინციპების და ა.შ.).

კონცენტრაცია (concentration) [ლათ. concentratio <ლათ. cone + centrum ცენტრი, შუაგული] - თავმოყრა; **წარმოების კონცენტრაცია** — მოცემული წარმოების მოცულობის ზრდა მასში წარმოების ფაქტორების ზრდის კვალობაზე.

კონცენტრაციის აგრეგატული მაჩვენებელი (aggregate concentration) - ეკონომიკის მოცემულ სექტორში ან მთელ ეკონომიკაში წარმოების რამდენიმე უმსხვილეს კორპორაციად კონცენტრირების ხარისხი.

კონცერნი (concern) - იმ სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო საწარმოების გაერთიანება, რომლებიც, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საინვესტიციო, საფინანსო, საგარეო-ეკონომიკური და სხვა ფუნქციების ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის საფუძველზე, ერთობლივ საქმიანობას ეწევიან. კონცერნის საქმიანობის ორგანიზაციისათვის იქმნება მმართველობის სისტემა, რომელსაც კონცერნის წევრები ნებაყოფლობით გადასცემენ თავიანთი უფლებამოსილებისა და ფუნქციების ნაწ-

ილს. კონცერნის წევრები არ შეიძლება ერთდროულად შედიოდნენ სხვა კონცერნების შემადგენლობაში.

კონცესია (concession) [<ლათ. concessio ნებართვა, დათმობა] - 1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საექსპლუატაციოდ გადასცემს კერძო მეწარმეებს, უცხოურ ფირმებს განსაზღვრული ვადით სამრეწველო საწარმოებს ან მიწის ნაკვეთებს სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ა.შ. უფლებით; 2. საზღაური, რომელსაც ბანკები ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ორგანიზებისათვის იღებენ.

კონცესიონერი (concessionaire) - კონცესიის მფლობელი, იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო კონცესია.

კოოპერაცია (cooperation) [<ლათ. cooperatio თანამშრომლობა] - შრომის ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ადამიანთა დიდი ჯგუფი ერთობლივად მონაწილეობს ერთსა და იმავე ან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ შრომის პროცესებში.

კოორდინირებული პოლიტიკა (coordination policy) – მონეტარული ფისკალური პოლიტიკა. პრაქტიკაში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა ხშირად ერთდროულად გამოიყენება. მათი კომბინაცია ცნობილია, როგორც **მონეტარულ-ფისკალური კოორდინირებული პოლიტიკა,** ან, უბრალოდ, კოორდინირებული პოლიტიკა.

კორექტირებადი გადასახადი (correcting tax) – გადასახადი, დაწესებული უარყოფითი გარე ეფექტების მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მისგან მიღებული ზარალისათვის. იგი განაპირობებს ზღვრული კერძო ხარჯის გაზრდას ზღვრული საზოგადოებრივი ხარჯის დონემდე. თუმცა პრაქტიკაში ძალზე ძნელია ზღვრული ხარჯის ზუსტი გაანგარიშება. ამიტომ კორექტირებადი გადასახადი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს.

კორექტირებადი სუბსიდია (correcting subsidy) – სუბსიდია, გაცემული დადებითი გარე ეფექტების მქონე ეკონომიკური დოვლათის მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის. მისი მიზანია ზღვრული კერძო ხელსაყრელობის მიახლოება საზოგადოებრივ ზღვრულ ხელსაყრელობასთან.

კორპორაცია (corporation, public company) [<საშ. ლათ. corporatio გაერთიანება, საზოგადოება] - თანამედროვე მეწარმეობის, ბიზნესის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა. მისი თანამესაკუთრეა აქციის მფლობელთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც

აკისრია შეზღუდული პასუხისმგებლობა კორპორაციის აქციონერულ კაპიტალში თავისი წილის ოდენობის მიხედვით. კორპორაციის მთელი მოგება, რომელიც მის აქციონერებს ეკუთვნით, იყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილდება აქციის მფლობელებს შორის დივიდენდის სახით, მეორე კი ხმარდება რეინვესტირებას. ამ ფორმის ძირითადი უპირატესობაა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით დამატებითი კაპიტალის მობილიზაციის შესაძლებლობა. თავის საქმიანობას კორპორაცია წარმართავს მართვის მეცნიერულ მეთოდებსა და პროფესიულ მენეჯერებზე დაყრდნობით. მას აქვს შესაძლებლობა სწრაფად გადავიდეს საქმიანობის ერთი სახეობიდან მეორეზე. კორპორაცია ინარჩუნებს მემკვიდრეობითობას და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული აქციების გაყიდვის გამო თანამფლობელთა შეცვლაზე. ნაკლოვანებებიდან შეიძლება აღინიშნოს ის, რომ კორპორაცია ერთეულ მოგებაზე იხდის უფრო მაღალ გადასახადებს, ვიდრე ფირმის სხვა ორგანიზაციული ფორმები. იბეგრება როგორც კორპორაციის მოგება, ისე აქციონერთა დივიდენდი.

კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციის მფლობელი იღებს წილს, რომელიც მან შეიტანა ფირმის აქციონერულ კაპიტალში.

კორპორატიული ობლიგაცია (corporate bond) – ფირმების, კორპორაციების მიერ გამოშვებული ობლიგაცია.

კორუფცია (corruption) [ლათ. corruptio] - მექრთამეობა; თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეების მოსყიდვა. თანამდებობის პირების მიერ თავიანთი უფლებების ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით.

კოტირება (quotation) [<ფრანგ. secoter] - უცხოური ვალუტების, ფასიანი ქაღალდების კურსის ან საქონლის ფასების დადგენა ბირჟაზე მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

კოუზი რონალდ (დაბ. 1910) (Coase Ronald) – წარმოშობით ინგლისელი, ჯერ ლონდონის სკოლის, შემდეგ კი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ნეოკლასიკური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1991) ფირმის თეორიასა („ფირმის ბუნება“, 1937) და გარე ეფექტების კვლევაში შეტანილი წვლილისათვის. დიდია მისი დამსახურება ტრანსაქციული ხარჯების თეორიის შექმნასა და მათი შემცირების გზების გამოკვლევაში. სტატიაში „სოციალური ხარჯების პრობლემა“ (1960) კოუზმა გააკეთა დასკვნები, რომლებიც

დღემდე ცნობილია **კოუზის თეორემის** სახელწოდებით.

კოუზის თეორემა (Coase's theorem) – თეორემა, რომელიც ეფუძნება მტკიცებას იმის შესახებ, რომ გარე ეფექტები (ექსტერნალიები) იმ შემთხვევაში არ გამოიწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუ არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები.

კრედიტი (credit, loan) [<ლათ. creditum სესხი, ვალი <credere ნდობა] - 1. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად. კრედიტის ძირითადი ფორმებია: აქცეპტური, აქცეპტურ-რამბუსნული, იპოთეკური, კომერციული, რელოვერული, საბანკო, საერთაშორისო, საექსპორტო, სავალუტო, სამომხმარებლო. განასხვავებენ მოკლე- და გრძელვადიან კრედიტს. მოკლევადიანი კრედიტი, როგორც წესი, გაიცემა ერთ წლამდე ვადით, ხოლო გრძელვადიანი – ერთ წელზე მეტი ვადით და ძირითადად საინვესტიციო კაპიტალის სახით გამოიყენება; 2. საბუღალტრო ანგარიშის მარჯვენა მხარე. აქტიურ ანგარიშში კრედიტში ჩანაწერი ნიშნავს შემცირებას, ანუ გასავალს, ხოლო დებეტში ჩანაწერი – ზრდას, ანუ შემოსავალს. პასიურ ანგარიშში კი, პირიქით, კრედიტში ჩანაწერი ნიშნავს ზრდას, ანუ შემოსავალს, ხოლო დებეტში ჩანაწერი – შემცირებას, ანუ გასავალს; 3. ნდობა, ნდობით სარგებლობა.

კრედიტის დაფარვის პირობები (credit terms) - 1. პერიოდულად: თვის, კვარტლის, ნახევარი ან ერთი წლის განმავლობაში; 2. თანაბარ ნაწილებად გადახდა: ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების გადახდა თანაბარი ოდენობით დათქმული ვადის განმავლობაში; 3. მზარდი ჯამით გადახდა: ვალის დაფარვისათვის დათქმულ პერიოდში ყოველ მომდევნო წელს გადასახადი თანხის წილის გაზრდა; 4. ნაშთის ერთჯერადი დაფარვა. ფულის საბოლოო გადახდა ვადის დადგომისას. ჩვეულებრივ გადასახდელი თანხა ვალის საერთო რაოდენობის 15-25%-ს არ აღემატება.

კრედიტის რაციონირება (credit rationing) - ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს საბანკო კრედიტის ნორმირებულ განაწილებას.

კრედიტის სიდიდის შეზღუდვა (credit ceiling) - ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტის სიდიდის შეზღუდვის ოფიციალურად დაწესების საფუძველზე.

კრედიტის უზრუნველყოფა (collateral security) - იხ. გირაო.

კრედიტორი (creditor) [ლათ. creditor] - სესხის გამცემი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ვალად იძლევა რაიმე თანხას.

კუკის კოეფიციენტი (Cooke ratio) – კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც მოითხოვს 8%-იანი დონის თანაფარდობას საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს შორის.

კუმულაცია (cumulation) [<ლათ. cumulatio გადიდება, დაგროვება, თავმოყრა] - დასაზღვევი ან დაზღვეული ობიექტების თავმოყრა განსაზღვრულ, შემოფარგლულ სივრცეში, ტერიტორიაზე, ერთ საწარმოში, სადაზღვევო კომპანიაში, პორტში, გემზე, საწყობში და ა.შ.

კუმულაციური ზრდის ინდექსი (cumulative index of growth) - ეკონომიკური საქმიანობის რეალური ზრდის მაჩვენებელი საანგარიშო წლის დასაწყისიდან კვარტალების მიხედვით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

კუმულაციური კენჭისყრა (cumulative voting) - კენჭისყრა აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც ნებას რთავს აქციონერს, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას მხარი დაუჭიროს არა ერთი, არამედ რამდენიმე ხმით, იმ პირობით, რომ სხვა საკითხებზე კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

კუპიურა (denomination) - ნომინალური ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ქაღალდის ფულზე, ბანკნოტებზე, ობლიგაციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე, აგრეთვე თვით ეს ქაღალდის ფული, ბანკნოტი, ობლიგაცია და სხვ.

კუპონი (coupon) - 1. ფულის შემცვლელი სუროგატი; 2. ფასიანი ქაღალდის ნაწილი, მოსაჭრელი ტალონი, რომელიც ხელწერილის ნაცვლად ბანკს წარედგინება სარგებლის ან დივიდენდის მისაღებად.

კუპონიანი ობლიგაცია (coupon bond) – ობლიგაცია, რომელიც ექვემდებარება მრავალჯერად გადახდას დაფარვამდე და ერთ გადახდას განაღდების დროს.

კურტაჟი (courtage) [ფრანგ. courtage კომერციული გასამრჯელო] - გასამრჯელო, რომელსაც იღებს მაკლერი ბირჟის წევრებისაგან — ბროკერებისაგან, დილერებისაგან, მათ შორის გარიგებების დაფიქსირებისათვის. კურტაჟი გაიცემა ოპერაციის განხორციელების შემდეგ, როგორც წესი, ორივე მხრიდან თანაბარი ოდენობით. მაგ., თუ კურტაჟი 0,4%-ს შეადგენს, მაშინ თითოეული მხარე 0,2%-ს იხდის.

ლ

ლაგი (lag) - დროის გარკვეული მონაკვეთი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენებსა და პროცესებს შორის. გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებასა და ამა თუ იმ მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს.

"LAISSEZ-FAIRE" („დაე, წავიდეს თავისი გზით") – თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია, ეკონომიკა სახელმწიფოს ჩაურევლობის გარეშე; ეკონომისტ-კლასიკოსთა შეხედულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში და გადაწყვეტილებების მიღება ბაზარს ეკისრებოდეს. ადამ სმითის აზრით, სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კანონიერებისა და წესრიგის დაცვით (1), ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფით (2) და საზოგადოებრივი საქონლის წარმოებით (3), რითაც ნაკლებად არის დაინტერესებული კერძო ბიზნესი. იგი სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ლაჟი (agio) [<იტალ. laggio]- 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით; 2. ფასიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების საბირჟო (საბაზრო) კურსის ამაღლება მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით (იგივეა, რაც აჟიო).

ლატარეა (Lottery) - მოსახლეობის ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვა სახელმწიფოს, შესაბამისი ორგანიზაციების, ან საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ ლატარიის ბილეთების გაყიდვის გზით, რის შედეგადაც შემოსული სახსრების ნაწილის გათამაშება ხდება ფულადი ან ნივთობრივი მოგების სახით და ეძლევა „ბედნიერი ბილეთის" მფლობელებს.

ლაფერის ეფექტი (Laffer curve effects) - გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირება, საბოლოო ანგარიშით, იწვევს საერთო საგადასახადო შენატანების არა შეკვეცას, არამედ გადიდებას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: საგადასახადო ტვირთის რადიკალური შემსუბუქება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასთან ერთად სახელმწიფო შემოსავლების პრობლემებსაც წყვეტს. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. იგი წარმატებით გამოიყენება დღესაც. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკური განვი-

თარების სახელმწიფო სტიმულირების მთავარი ინსტრუმენტი გახდა. მისი დამახასიათებელი თვისებაა დაბეგვრის განაკვეთის დიფერენცირებული შემცირება (პირველ ყოვლისა, მოგებიდან). სახელმწიფოები ცდილობენ, ისე ააგონ საგადასახადო პოლიტიკა, რომ წაახალისონ კორპორაციები დანაზოგების წარმოებაში დაბანდებისთვის, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებს. მართალია, დაბეგვრის ლიბერალიზაცია თავდაპირველად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ გრძელვადიანი შედეგები სრულიად განსხვავებულია — იგი ზრდის ბიუჯეტში შენატანებს და, მაშასადამე, ამუხრუჭებს ინფლაციას, ამცირებს დეფიციტს. ეს მოვლენა აღმოაჩინა ამერიკელმა ეკონომისტმა ა. ლაფერმა და ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ლაფერის ეფექტის სახელწოდებით.

ლაფერის მრუდი (Laffer curve) - მრუდი, რომელიც გამოხატავს კავშირს საგადასახადო განაკვეთებსა და საგადასახადო შენატანების მოცულობას შორის, ასახავს ისეთ საგადასახადო განაკვეთს (ნულიდან 100%-მდე), რომლის დროსაც საგადასახადო შენატანები მაქსიმუმს აღწევს. ატარებს ცნობილი ეკონომისტის, მიწოდების თეორიის მიმდევრის ა. ლაფერის სახელს. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო განაკვეთის ნულიდან 100%-მდე ზრდის კვალობაზე საგადასახადო შენატანები გაიზრდება ნულიდან რაღაც მაქსიმალურ (M) დონემდე, შემდეგ კი იწყებს დაცემას ნულამე, ვინაიდან გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთი აფერხებს ეკონომიკურ აქტიურობას და, მაშასადამე, იწვევს საგადასახადო ბაზის შეკვეცას.

ლევერიჯი (leverage) - მიკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ნასესხ და საკუთარ სახსრებს შორის და ადგენს ფირმის მთელ საინვესტიციო კაპიტალში (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით ფიქსირებული პროცენტით) გრძელვადიანი დავალიანების წილს. ამ მაჩვენებლით აქცენტი კეთდება საინვესტიციო კაპიტალის სტრუქტურაში გრძელვადიანი დავალიანების წილზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრზე. რაც უფრო მაღალია მისი წილი, მით უფრო მაღალია ფირმის ლევერეჯი და, აქედან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკი; 2. კრედიტის გამოყენება პირადი სპეკულაციური შესაძლებლობების გასაფართოებლად.

ლიბერალიზაცია (liberalization) - ეკონომიკის განთავისუფლება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობისაგან და მისი მართვა „უხილავი ხელით“,

რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს უხეში ჩარევის აღკვეთასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნას, თავისუფალი ფასწარმოქმნის დამკვიდრებას, მეწარმეობისათვის ფართო დამოუკიდებლობის მინიჭებასა და ა.შ.

ფასების ლიბერალიზაციას უწოდებენ ფასების განთავისუფლებას სახელმწიფოს „მარწუხებისაგან" და მათ თავისუფალ საბაზრო ფასებზე გადასვლას.

ლიგა (league) - კავშირი, გაერთიანება (სახელმწიფოების, ორგანიზაციების, პირების).

ლიზინგი (lease) - კომერციული საქმიანობის ფორმა, საარენდო ოპერაციების ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, წარმოებითი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიან არენდას 3-დან 9 წლამდე ან ზოგჯერ უფრო ხანგრძლივი ვადით (10-დან 15 წლამდე). ფირმა-არენდატორი თანდათანობით ფარავს დავალიანებას ამ მოწყობილობათა გამოყენების მიხედვით. სალიზინგო კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ არენდატორს შეუძლია შეიძინოს მოწყობილობები ნარჩენი ღირებულების გადახდის კვალობაზე, დადოს ახალი შეთანხმება ან მატერიალური ფასეულობები დაუბრუნოს სალიზინგო კომპანიას.

ლითონის ფული (coinage) — ფულის ლითონურ-ჭედური ფორმა, ლითონის მონეტებისგან შემდგარი ნაღდი ფულის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სრულფასოვან ოქროსა და ვერცხლის მონეტებად და არასრულფასოვან (ბილონურ) ხურდა ლითონის მონეტებად. ეს უკანასკნელი ქაღალდის ფულის ნაირსახეობაა, რომლის ნომინალური ღირებულება აღემატება მის შინაგან ღირებულებას (თვით ლითონის ღირებულებასა და მისი მოჭრის ხარჯებს). ნომინალურ ღირებულებასთან ერთად მასზე აღბეჭდილია უფლებრივი სტატუსის დამადასტურებელი წარწერები. სტაბილური პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში, როგორც წესი, ლითონის ფულის გამოშვებას არეგულირებს სახელმწიფო.

ლიკვიდური აქტივები (liquid assets) - ადვილად რეალიზებადი სახსრები — მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ანგარიშები, ნაღდი ფული, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით.

ლიკვიდური ბაზარი (liquidity market) - ბაზარი, სადაც გარიგებები ყიდვა-გაყიდვის შესახებ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ხორციელდება.

ლიკვიდური სახსრები (means of liquidity) — ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე

ანგარიშზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვ., რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღებისას ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ლიკვიდური „ხაფანგი“ (liquidity trap) - ეკონომიკის მდგომარეობა, როდესაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ნულის ტოლია და რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტისმეტად დაბალი საინვესტიციო აქტიურობა. ამგვარი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ლიკვიდური სახსრების დაგროვებას, რაც კრედიტზე პროცენტის განაკვეთის შემცირების საშუალებას იძლევა.

ლიკვიდურობა (liquidity) - 1. ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა აქტივის ფულად გარდაქმნის შესაძლებლობას. აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენების უნარი მათი ნომინალური ღირებულების შეუცვლელად; 2. ფირმის (კომპანიის, ბანკის და ა.შ.) უნარი, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ლიკვიდურობის დონეს განსაზღვრავს ადვილად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წონა, კრედიტების ოპერატიული მობილიზების შესაძლებლობები, დავალიანების ოდენობისა და კონკრეტულ მომენტში ფირმის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური სახსრების თანაფარდობა და სხვ. ფირმის უუნარობა გადასახადების დროულად გადახდისა და სავალო ვალდებულებების დაფარვაში წარმოებრივი ციკლის დარღვევაზე მეტყველებს. გასაღების სიძნელეები და წარმოების დაუტვირთაობა ფირმას აიძულებს აიღოს მეტისმეტად დიდი კრედიტები, რაც აუარესებს მის ლიკვიდურობას.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი (coefficient of liquidity) - თანაფარდობა კომპანიების ფულადი სახსრებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების (აქციების, ობლიგაციების და ა.შ.) ოდენობასა და მათი მოკლევადიანი ვალდებულებების თანხას შორის. გვიჩვენებს ფირმების ფაქტობრივ შესაძლებლობას, დათქმულ ვადებში შეუფერხებლად შეასრულონ (გადაიხადონ) ყველა ვალდებულება.

ლიკვიდურობის ნორმა (liquidity rate) - ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების დაჯამებული სიდიდე, გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

ლიმიტი (limit) - ზღვრული ოდენობა, დადგენილი რაოდენობრივი შეზღუდვა ყიდვის, გაყიდვის, კრედიტის გაცემის, გარიგების მოცულობის განსაზღვრის,

საქონლის ექსპორტ-იმპორტის, სავალუტო ოპერაციებისა და ა.შ. შესახებ.

ლისტინგი (listing) - საფონდო ბირჟის კოტირების სიაში ფასიანი ქაღალდების შეტანის პროცედურა და მათი ემიტენტის სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობის კონტროლი საფონდო ბირჟის მოთხოვნათა შესაბამისობის გათვალისწინებით. ლისტინგის მეშვეობით საბირჟო ვაჭრობაზე დაიშვება მხოლოდ ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც გაივლის ექსპერტიზას ხარისხსა და საიმედოობაზე.

ლიცენზია (license) [<ლათ. licentia უფლება, ნებართვა] - 1. ოფიციალური ნებართვა, გაცემული სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის, საგარეოსავაჭრო ოპერაციების ჩათვლით. ლიცენზია საქონლის ამა თუ იმ ჯგუფის განსაზღვრული რაოდენობის ექსპორტზე ან იმპორტზე სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა; 2. პატენტით დაცული გამოგონების, ტექნოლოგიის გამოყენების უფლების გაცემა განსაზღვრული ვადით — საპატენტო ლიცენზია.

სალიცენზიო შეთანხმების მოქმედების ვადა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. აქედან აღსანიშნავია: პატენტების მოქმედების ვადები და ამ პატენტების რაოდენობა, ლიცენზიის ასათვისებლად საჭირო დრო, სალიცენზიო ობიექტის მორალურად ცვეთის ვადები, საგადასახადო პირობები, ანალოგიურ ან მსგავს პროდუქციაზე სხვა შეთანხმებათა პირობები და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება სალიცენზიო შეთანხმების სამი ძირითადი სახე: **მარტივი, განსაკუთრებული და სრული.**

მარტივი სახის სალიცენზიო შეთანხმებისას ლიცენზიარი გასცემს და, ამავე დროს, თვითონაც იტოვებს გამოგონების ან „ნოუ-ჰაუს“ გამოყენების უფლებას. ამასთან, მას შეუძლია ეს უფლება სხვა დაინტერესებულ პირებსაც გადასცეს ანალოგიური პირობებით.

განსაკუთრებული სახის სალიცენზიო შეთანხმებისას ლიცენზიატს ეძლევა გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება და ლიცენზიარს უკვე აღარ შეუძლია სხვა პირებს ან ფირმებს მისცეს იგი ანალოგიური პირობებით. სრული სახის სალიცენზიო შეთანხმებისას ლიცენზიარი მთლიანად ლიცენზიატს უთმობს გამომგონებლის ყველა უფლებას ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

სალიცენზიო ობიექტი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური ხასიათის ნებისმიერი დამუშავება, მასალა თუ შენადნობი, ნივთიერება, მკურნალობის მეთოდი, სასარგებ-

ლო წიაღისეულის მოპოვების წესი, ორგანიზაციული, ფინანსური, მმართველობითი ხასიათის ცნობები და ა.შ. ლიცენზიის გაყიდვის ნებართვის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, რომელთაგან ძირითადია სალიცენზიო პასპორტი, გაყიდვის მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და სარეკლამო ტექნიკური აღწერის პროექტი.

ლიცენზიარი (licensor) - გამოგონების, ტექნოლოგიური ცოდნის და ა.შ. მესაკუთრე იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიატზე გასცემს ლიცენზიას განსაზღვრულ ფარგლებში თავისი უფლებების გამოყენებისათვის.

ლიცენზიატი (licensee) [<ლათ. licentiatus დაშვებული] - იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიარისგან შეიძენს ლიცენზიას მისი განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენების უფლებისათვის.

ლოზანის სკოლა (Lousanne School) – შვეიცარიაში ლოზანის უნივერსიტეტში არსებული ეკონომიკური აზრის სკოლა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით საბაზრო ეკონომიკაში ბაზრის ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთდამოკიდებულების ახსნაში. ჯ. ჰიკსი, კ. ეროუ და ფ. ჰანი დიდად არიან დავალებულნი საყოველთაო წონასწორობის თეორიით თავიანთი წინამორბედების, ლოზანის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების ლ. ვალრასისა და ვ. პარეტოს შემოქმედებისადმი.

ლომბარდი (pawnshop) - საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს სესხს მოძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე. ეს ქონება ინახება ლომბარდში. პირველად დაარსდა საფრანგეთში XV საუკუნეში.

ლორენცის მრუდი (Lorents curve) - გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხს მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით და რეალური შემოსავლების მრუდის გადახრის სიდიდეს აბსოლუტური თანასწორობის მრუდისგან. იხ. აგრეთვე ჯინის კოეფიციენტი.

ლოტი (lot) [ჰოლანდ. lood პარტია, სერია] - 1. საზომი ერთეული საბირჟო გარიგებისას. როგორც წესი, გამოიყენება მასშტაბურ გარიგებებში. საფონდო ბირჟებზე განასხვავებენ სრულ და არასრულ ლოტს. **სრული ლოტი** შეიცავს სარეალიზაციო ფასიანი ქაღალდების ყოველი ბირჟისთვის მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობას (მაგ., ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 100 ცალი ფასიანი ქაღალდი შეადგენს ერთ პარტიას, რომელიც მიღებულია ამ ბირჟაზე გარიგების ერთეულად). **არასრული ლოტი** ფასიანი ქაღალდების ის პარტიაა, რომელიც არ ფიქ-

სირდება და ჩვეულებრივ მცირე გარიგებებში გამოიყენება; 2. საქონლის პარტია, მისი მთლიანი რაოდენობის ნაწილი, რომელიც იყიდება ხელშეკრულებით.

ლუის–ფეის–რეინისის მოდელი (Levis-Fei-Ranis model) - უმუშევრობის ეკონომიკური მოდელი განვითარებად ქვეყნებში, რომელიც შექმნა ლუისმა 1954-1958 წლებში და განავითარეს ფეიმ და რეინისმა 1964 წელს. მოდელში დასაბუთებულია ეკონომიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორებად დაყოფის აუცილებლობა და განხილულია მათ შორის სამუშაო ძალის მოძრაობის პრობლემები. სასოფლო-სამეურნეო სექტორში, რომელიც აწარმოებს არსებობისათვის აუცილებელ საშუალებებს, არის ჭარბი სამუშაო ძალა, რომელიც თანდათანობით გადაადგილდება სამრეწველო სექტორში. ამ უკანასკნელის მიერ სამუშაო ძალის შთანთქმა დამოკიდებულია კაპიტალის დაგროვების ტემპზე და, შესაბამისად, მოგების დონეზე. ლუისი განიხილავდა ხელფასის დონეს მრეწველობაში მუდმივ სიდიდედ, რომელიც დაკავშირებულია საარსებო მინიმუმთან სასოფლო-სამეურნეო სექტორში, სრული დასაქმება კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჭარბი სამუშაო ძალა გადავა სასოფლო-სამეურნეოდან სამრეწველო რაიონებში და მას მთლიანად შთანთქავს მრეწველობა. ამ მოდელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის პრობლემების გარკვევაში, ამასთან, ემპირიულმა გამოთვლებმა უარყო მისი ორი ძირითადი დებულება: პირველი, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში არ არის მაღალი უმუშევრობა სამრეწველო რაიონებთან შედარებით; მეორე, მრეწველობაში ხელფასი არ არის მუდმივი სიდიდე და განუწყვეტლივ იზრდება, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელფასის დონისაგან სოფლის მეურნეობაში.

მ

მაასტრიხტის ხელშეკრულება (Maastricht treaty) – 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ევროპული გაერთიანების (EC) ბაზაზე შეიქმნა ევროკავშირი.

მაკლერი (broker, jobber) [<გერმ. makler] - შუამავალი, რწმუნებული გარიგებების დადებისას საფონდო, საქონლის და ვალუტის ბირჟებზე. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების მაკლერი ვაჭრობის მონაწილეა, რომელიც აფიქსირებს გარიგებებს საფონდო ბირჟის წევრებს — ბროკერებსა და დილერებს შორის. ვაჭრობაზე მაკლერის დაშვება განისაზღვრება შესაბამის ბირჟაზე მიღებული კონკრეტული მექანიზმით. ამიტომ მაკლერები ყველა საფონდო ბირჟაზე არ არიან. მაკლერის შემოსავალს — კურტაჟს შეადგენს ბირჟის იმ წევრების მიერ გადახდილი თანხა, რომელთა გარიგებებსაც იგი აფიქსირებს. ბირჟაზე მაკლერი მოქმედებს როგორც რწმუნებული და არ შეიძლება უშუალოდ მონაწილეობდეს გარიგებაში თავისი სახელითა და თავისი ხარჯით. საბირჟო მაკლერად მუშაობისათვის საჭიროა სპეციალური კურსების გავლა, პრაქტიკული გამოცდილება და სახელმწიფო ლიცენზია.

მაკროეკონომიკა (macroeconomics) [<ბერძნ. macros გრძელი, დიდი]- 1. ქვეყნის მთლიანი მეურნეობა; გამოხატავს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობას, განიცდის საბიუჯეტო-საფინანსო, საკრედიტო-ფულადი და სხვა სამთავრობო პოლიტიკის გავლენას; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთლიანის, წარმართვის შესახებ. სწავლობს ეკონომიკის ციკლური მერყეობის მიზეზებს, ურთიერთდამოკიდებულებას საწარმოებისა და დასაქმების დინამიკას შორის, ინფლაციას, უმუშევრობას, ეკონომიკურ ზრდასა და სხვა მაკროეკონომიკურ პრობლემებს. საპირისპიროა — მიკროეკონომიკა.

მაკროეკონომიკური იგივეობა (income identity) - მაკროეკონომიკური დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებს წარმოებული ერთობლივი შემოსავლების იგივეობას მოხმარებულთან.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (macroeconomic indicators) - მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რომელიც გამოიყენება ქვეყნის მთელი ეკონომიკის, მსხვილმასშტაბური ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად. მასში შედის: 1. ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები (მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი,

ეკონომიკის მთლიანი მოგება, ეკონომიკის წმინდა მოგება, მთლიანი ეროვნულ დანაზოგი, წმინდა ეროვნული დანაზოგი და ა.შ.); 2. ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ინდიკატორები (რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის დონე და ხარისხი, არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დონე და ხარისხი და ა.შ.); 3. ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების დონეზე დამოკიდებული ინდიკატორები (ინფლაციის დონე და ტემპი, უმუშევრობის ნორმა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის დონე, სავალუტო რეზერვის ოდენობა, ჯინის კოეფიციენტი (ანუ შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხი), საკუთრების პლურალიზმის ხარისხი, ფარული ეკონომიკის მასშტაბები, სახელმწიფო ვალის ოდენობა და ა.შ.).

მაკროეკონომიკური პოლიტიკა (macroeconomic policy) - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ ეკონომიკის ციკლური მერყეობის შენელების, ინფლაციური და დეფლაციური პროცესების აღმოფხვრის, შემოსავლების განაწილებაში მკვეთრი უთანაბრობის დაძლევის, საზოგადოებრივი საქონლის წარმოების, ურაყოფითი გარე ეფექტების ნიველირების, უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. ამ მიზნით სახელმწიფოს ეკისრება ალოკაციური, გადამანაწილებელი და სტაბილიზაციის ფუნქციების შესრულება.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია (macroeconomic stabilisation) - ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშე ინსტიტუციური, მიკრო-, მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკური პროცესები დეფორმირებულ ხასიათს იღებს. განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ეკონომიკის სისტემური გარდაქმნების სტრუქტურაში. ეკონომიკის კონვერსიის პროცესში მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ინსტიტუციური გარდაქმნები (საკუთრების განსახელმწიფოებრივება, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სხვ.), მიკროეკონომიკური გარდაქმნები (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვ.) და მეგაეკონომიკური გარდაქმნები (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია,

ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და სხვ.). მაგ., მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები აშკარა, დაუფარავ სპეკულაციურ ორიენტაციას იღებს, ფასების ლიბერალიზაცია შეიძლება ჰიპერინფლაციაში გადაიზარდოს და ა.შ. თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია ინსტიტუციური, მიკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკური გარდაქმნების გარეშე განხორციელდეს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების გარეშე, იგი დირექტიულ-ცენტრალიზებულ ფორმას იღებს.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელის პრიორიტეტზე, რომელიც ქვეყანამ აირჩია გარდამავალ ეკონომიკაში, სისტემური გარდაქმნების საწყის ეტაპზე. მსოფლიო ეკონომიკამ ამ თვალსაზრისით თანამედროვე პირობებში წინა პლანზე ე.წ. „შოკური თერაპიისა“ და გრადუალისტური მოდელები წამოწია.

ცნობილია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგი ძირითადი ტიპები: **ორთოდოქსული, ჰეტეროდოქსული და სტრუქტურულ-წარმოებრივი.**

ორთოდოქსულ მიდგომაში აქცენტი კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე როგორც სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიების, კაპიტალდაბანდებებისა და ა.შ.) შემცირების გზით, ისე საშემოსავლო ბაზის გადიდებით. ეს უკანასკნელი მიიღწევა საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებით, საგადასახადო შეღავათების შემცირებითა და გადასახადების გადიდების გზით, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გაზრდითა და ა.შ.

მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას თან ახლავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც **„ძვირი ფულის“ პოლიტიკაში** აისახება. იგი გამოიხატება ფულის მიწოდების შეზღუდვით ან შეწყვეტით (რისი ერთადერთი გზაც ფულის ემისიასთან ერთად, კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებაა), ცენტრალური ბანკის კრედიტების შემცირებით, საპროცენტო განაკვეთის ამაღლებით (რაც ამცირებს კომერციული ბანკების დაინტერესებას, გაზარდონ თავიანთი რეზერვები ცენტრალური ბანკისგან სესხის აღების მეშვეობით), ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებით (რაც ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების რეზერვებს), საფონდო ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვითა

და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური სტაბილიზატორების (ე.წ. „ღუზის“) არჩევის ორი გზა. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიმოქცევაში ეროვნული ფულის შეზღუდვაზე, ე.ი. „**ფულად ღუზაზე**“, რომელსაც საფუძვლად მონეტარული მეთოდები უდევს. იგი ემყარება მკაცრ საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „მცურავი“ გაცვლითი სავალუტო კურსის პირობებში, როდესაც ანტიინფლაციური ღონისძიებები დაყვანილია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასა და ფულადი მასის შეზღუდვაზე. მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე ფიქსირებული კურსის და სავალუტო „დერეფნის“ დადგენის გზით, ე.ი. „**სავალუტო ღუზაზე**“. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს ინფლაციური მოლოდინის შემცირებას, ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და ა.შ. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება უცხოურ ვალუტაზე, პირველ ყოვლისა, აშშ-ის დოლარზე და გაცვლითი ვალუტის კურსის სტაბილურ შენარჩუნებაზე.

ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპი, ერთი მხრივ, მონეტარული („ფულადი ღუზა“) პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ფიქსირებული სავალუტო კურსის („სავალუტო ღუზა“) გამომხატველია. იგი წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შესუსტება, საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება და ა.შ.

ჰეტეროდოქსული მიდგომა აქცენტს აკეთებს შემოსავლებისა და ფასების „გაყინვაზე“, რაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის „მესამე ღუზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მიდგომა, განსაკუთრებით „შოკის“ ფორმით, იძლევა ანტიინფლაციურ ეფექტს, მაგრამ წარმოქმნის ნეგატიურ შედეგებსაც: ქრება წარმოების განვითარების სტიმულები, ჩნდება სასაქონლო დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება, ხდება ფასისმიერი იმპულსების დეფორმაცია და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მესამე ვარიანტი — **სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია** არის გრადუალიზმის ვარიანტი, რომელიც „შოკისაგან“ გან-

სხვავებით ხორციელდება თანდათანობით, ევოლუციურად. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სახელმწიფოს მხარდაჭერა არა მხოლოდ რეგულირების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, არამედ საინვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისებითა და ა.შ.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით ითვალისწინებს არა ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას, არამედ მის სტიმულირებას, როგორც შინამეურნეობების, ისე ფირმების მიმართ. ეს ვარიანტი ეკონომიკის კონვერსიის თვალსაზრისით, ,,შოკური თერაპიის" ანტიპოდია, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ორთოდოქსული და გეტეროდოქსული სტაბილიზაციის ანტიპოდი.

მაკროსტაბილიზაციის ამ მოდელში გარკვეულწილად გაერთიანებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური თეორიების ძირითადი პოსტულატები და იგი ამითაც იმსახურებს ყურადღებას.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის ნიმუშია იაპონია, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით. ამის მაგალითად თანამედროვე ჩინეთიც გამოდგება, რომელიც საბაზრო საწყისებზე ახორციელებს წარმოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მძლავრ მოდერნიზაციას.

აქტიური სტრუქტურული, წარმოებრივი და საინვესტიციო პოლიტიკა განაპირობებს, ეკონომიკური პოტენციალის განახლებისა და დატვირთვის მიზნით, წარმოების ხარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ერთობლივი მიწოდების ზრდას, რაც იწვევს ანტიინფლაციურ ეფექტს. პარალერულად ხორციელდება ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც ერთდროულად სოციალური პრობლემების გადაჭრის საწინდარია. აღნიშნული ეფექტის შედეგად სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის პროგრამები იწვევს საკრედიტო შეზღუდვების შერბილებას, დამატებითი ფულადი ემისიის შესაძლებლობას. ეს ინფლაციის ზრდის საშიშროებას წარმოქმნის, თუმცა, მისი შეკავება შესაძლებელია ინფლაციის კონტროლის გაძლიერებით, რაც გამოიხატება ბუნებრივი მონოპოლიე-

ბის პროდუქციაზე ფასების კონტროლით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების განვითარებით და, საერთოდ, მაკროეკონომიკური დინამიკისადმი მუდმივი ყურადღებით. ამასთან, ასეთი გზით წარმოშობილი ინფლაცია მოკლევადიანია. იგი მხოლოდ საწყის ეტაპზე ვლინდება, ხოლო შემდეგ, წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საფუძველზე, თანდათან ქრება.

ამრიგად, ამგვარი გზით მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია არსებითად განსხვავდება ლიბერალურ-მონეტარისტული პოლიტიკისაგან. რაც მთავარია, იგი იძლევა სამამულო პროდუქციით ბაზრის გაჯერების შესაძლებლობას, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვების გარანტიას.

საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ ტიპზე. ეს არის ლიბერალურ-მონეტარისტული პოლიტიკა, რომელიც „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახა. მას წინ უძღოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური“ გზა, რომელიც შემდგომ თვით პოსტვაშინგტონის კონსენსუსმაც კი უარყოფითად შეაფასა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გრადუალისტური გზით განხორციელების შესაძლებლობები საქართველომ ხელიდან გაუშვა.

მანდელ-ფლემინგის მოდელი (Mundell-Fleming model) - 1. ღია ეკონომიკაში საქონლისა და ფინანსური ბაზრების ერთდროული წონასწორობის მოდელი; 2. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორი ეკონომისტის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ როგორც ფისკალური, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან მიღებული ეფექტი დამოკიდებულია სავალუტო კურსების რეჟიმზე. კაპიტალის აბსოლუტური მობილურობის დაშვებისას, მოდელი გვიჩვენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტიანობას ვალუტის ფიქსირებული კურსის პირობებში და ფისკალური პოლიტიკისა – ვალუტის გაცვლითი კურსის პირობებში.

„მანკიერი წრე“ (“vicious circles”) - ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივ ახასიათებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. ითვლება, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და სარეზერვო მარაგები უმნიშვნელოა ან, საერთოდ, არ იქმნება. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ

არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. ამ „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეძლებს თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი. როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, წარმოების მოცულობა იზრდება, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომელიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

მანქანათმშენებლობა (mechanical enjeneering) - გადამმუშავებელი მრეწველობის დარგთა კომპლექსი. მოიცავს: ზოგად მანქანათმშენებლობას, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობას, რადიოელექტრონულ, ელექტროტექნიკურ, ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, დაზგათმშენებლობას, ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობასა და ა.შ.

მანქანური წარმოება (mechanized production) - ინდუსტრიული წარმოების მატერიალური საფუძვლის შექმნის მნიშვნელოვანი სტადია, რის საფუძველზეც მანუფაქტურა (ხელით შრომაზე დაფუძნებული წარმოება) შეიცვალა ფაბრიკით. წარმოიშვა სამრეწველო გადატრიალების შედეგად XVIII საუკუნის II ნახევარში. მანქანური წარმოების შემდგომი საფეხური უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, რომელიც სათავეს იღებს XX საუკუნის II ნახევრიდან.

მარაგებში ინვესტიცია (inventory investment) - მარაგების დაგროვება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება აღემატება გაყიდვათა ფაქტობრივ მოცულობას. თუ წარმოების მოცულობა გაყიდვის მოცულობაზე დაბალია, მარაგები მცირდება. ხშირად ასეთი ინვესტიციები გაუთვალისწინებელია და ბუფერის როლს ასრულებს გამოშვების მოცულობასა და გაყიდვის განუსაზღვრელ მოცულობას შორის.

მარაგი (stock) – მოცემული თარიღისათვის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული აქტივი და ვალდებულება.

მარეგულირებელი სახელმწიფო კომისია (regulatory state commission) - იქმნება იმ დარგებსა და სფეროებში, სადაც არსებობს მონოპოლიის განსაკუთრებული სახეობა – ბუნებრივი მონოპოლია. სადღეისოდ იგი ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების ნაცადი ინსტიტუტია.

მარეგულირებელი კომისიების სამშობლოა აშშ. შემდეგ მათ იწყეს გავრცელება სხვა ქვეყნებში, თუმცა, ბევრ ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში, არგენტინაში, ნორვეგიაში, შვედეთში და ა.შ.) ისი-

ნი გვიან შეიქმნა. დღეს ასეთი კომისიები პოსტკომუნისტური ქვეყნების დიდ ნაწილშიც (უნგრეთი, პოლონეთი, მაკედონია, რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ბალტიისპირა ქვეყნები, ყაზახეთი და ა.შ.) არის შექმნილი.

საქართველოში პირველი მარეგულირებელი კომისია შეიქმნა ენერგეტიკაში 1996 წელს ეკონომიკის სამინისტროსთან, ხოლო 1997 წლიდან იგი დღემდე დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. რომელიც ფუნქციონირებს. 1997 წელს შეიქმნა ტრანსპორტისა და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ეროვნული კომისიები, რომლებიც გაუქმდა 2007 წელს. ამჟამად გარდა ენერგეტიკისა, ასეთი კომისია მოქმედებს კომუნიკაციების სფეროში, რომელიც შეიქმნა 2000 წელს.

„მართვადი“ კაპიტალიზმი (“managerial” kapitalism) – თანამედროვე კაპიტალიზმში ისეთი ტენდენციების განვითარება, ეკონომიკის ისეთი ორგანიზაცია, რომელშიც არსებით როლსა და საკვანძო ფუნქციებს უმსხვილესი კორპორაციები ასრულებენ, ხოლო რესურსების გამოყენება ხორციელდება მენეჯერთა ჯგუფის მიერ რესურსების მესაკუთრეთაგან განცალკევებით და მნიშვნელოვანწილად მათი კონტროლის გარეშე. ასეთი სიტუაცია არ არის ნიშანდობლივი კორპორატიული კაპიტალიზმისთვის, ვინაიდან მენეჯერებს შეიძლება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზნებისაგან განსხვავებული მიზნები ჰქონდეთ. ამ ტენდენციების გამოვლენაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჯ. გელბრეიტს, ა. ბერლისა და სხვა ცნობილ ეკონომისტებს.

მარკეტინგი (marketing) [<market ბაზარი, გასაღება]-კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებით, ფასის სწორად დადგენით, საქონლის მორალური ცვეთის პროგნოზით, სარეკლამო სტრატეგიითა და ა.შ. განაპირობებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შეუფერხებელ გასაღებას. იგი მოიცავს: 1. საქონელსა და მომსახურებაზე როგორც არსებული, ისე პოტენციური მოთხოვნის ყოველმხრივ შესწავლას ბაზრის კომპლექსური გამოკვლევითა და მისი განვითარების პროგნოზირებით; 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავების ორგანიზაციას; 3. პროდუქციის (მომსახურების) გასაღების სისტემისა და მეთოდების ორგანიზაციასა და სრულყოფას; 4. ფირმის საქმიანობის რეგულირებას, დაფინანსების კოორდინირებას, წარმოების დაგეგმვას, პროდუქციის შეფუთვას, მის ტრანსპორტირებას, ტექნიკურ მომსახურებას (საგა-

რანტიოს, გაყიდვის შემდგომს, სერვისულს), ყველა დონის მუშაკთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სარეკლამო სტრატეგიას და ა.შ.

გამოყენების არეალის მიხედვით გამოყოფენ მარკეტინგის შემდეგ სახეებს: შიდა მარკეტინგი; პირდაპირი ინვესტიციების მარკეტინგი; ექსპორტული და იმპორტული მარკეტინგი; მარკეტინგი საქონლის (მომსახურების) სახეობათა მიხედვით; არაკომერციული საქმიანობის მარკეტინგი; საერთაშორისო მარკეტინგი.

მარკეტინგის გარემო (marketing environment) - გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მარკეტინგის სისტემაზე ახდენენ როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. ეს კომპონენტებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, დემოგრაფია, სამართალი, კულტურა.

მარკირება (labeling) – საიდენტიფიკაციო პირობითი აღნიშვნა, რომელიც კეთდება ტვირთზე (ყუთზე, ტომარაზე) და მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ტვირთის გადატანისა და მყიდველისათვის ჩასაბარებლად. სათანადო მარკირების არარსებობამ შესაძლებელია დამზღვევს ჩამოართვას დაზღვევის ანაზღაურების მიღების უფლება.

მარკოვიცი ჰარი (1927) (Markovitz Harry) – ამერიკელი ეკონომისტ-ფინანსისტი, ფინანსური მართვის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1990) მ. მილერთან (Miller) და უ. შარპთან (Sharpe) ერთად, ფინანსური რისკების მართვაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

XX საუკუნის 50-იან წლებში მარკოვიცის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა პორტფელის (portfolio) თანამედროვე თეორიას. თავდაპირველად მან შეიმუშავა პორტფელის არჩევის თეორია, რომელშიც წარმოდგენილია კორპორაციების მიერ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შერჩევის ძირითადი პრინციპები. ეს თეორია საინვესტიციო სფეროში მენეჯერთა ნორმატიული მოდელი გახდა.

მარკოვიცის ძირითადი ნაშრომებია: „პორტფელის არჩევა: ინვესტირების ეფექტიანი დივერსიფიკაცია“(1959) (“Portfolio selection: Efficient Diversification of Investment”) და „პორტფელის არჩევისას საშუალოსა და დისპერსიის (საშუალოსგან გადახრის – რ.ა.) ანალიზი და კაპიტალის ბაზრები“(1987)(“Mean-Variance Analysis in Portfolio Choice and Capital Markets”).

მარჟა (margin, spread) [<ფრანგ. marge კიდე, არე]-სხვადასხვა მაჩვენებელს (ფასებს, პროცენტულ განაკვეთებს, ფასიანი ქაღალდების კურსებს და ა.შ.) შორის სხვა-

ობის გამომხატველი სიდიდე. მაგ., საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას მარჟა არის სხვაობა მყიდველის ფასსა და გამყიდველის ფასს შორის. გამოიყენება სავაჭრო, საბირჟო, სადაზღვევო და საბანკო პრაქტიკაში.

მარჟინალიზმი (marginalism) [<ფრანგ. margina უკიდურესი, ზღვრული]- ერთ-ერთი მიმდინარეობა, მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის ძირითადი მეთოდები და ინსტრუმენტები გამოიყენება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში. იგი ითვალისწინებს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ზღვრული სიდიდეების გამოყენებას, ეფუძნება რაოდენობრივ ანალიზს და იყენებს ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს. მარჟინალიზმი საქონლის ღირებულებას (ფასეულობას) განსაზღვრავს იმ სასარგებლო ეფექტით, რომელიც მას მოაქვს მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, იგი უპირისპირდება კლასიკური სკოლის შრომითი ღირებულების თეორიას. მარჟინალიზმი მოიცავს ზღვრული სარგებლიანობის, ზღვრული მწარმოებლურობის, ზღვრული ხარჯებისა და ა.შ. თეორიებს. ძირითადი მარჟინალისტური კონცეფციები გამოიყენება მოთხოვნის, ფასის, საბაზრო წონასწორობისა და ა.შ. თეორიებში.

მარჟინალიზმმა ფართო განვითარება პოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰ. კლარკის, ფ. ეჯუორთის, ი. ფიშერის, ა, მარშალის, ვ. პარეტოს, ლ. ვალრასის, კ. ვიქსელისა და სხვათა ნაშრომებში. ამ თეორიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ეკონომიკური აზრის განვითარებაში და „**მარჟინალისტური რევოლუციის**“ სახელითაა ცნობილი.

მარტივი თამასუქი (promissory note) - ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში. მარტივი თამასუქი მოიცავს: 1. დასახელებას – „თამასუქი“, რომელიც ჩართულია ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც ეს დოკუმენტია შედგენილი; 2. მარტივ დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არ არის შეპირობებული; 3. გადახდის ვადის მითითებას; 4. იმ ადგილის აღნიშვნას, სადაც თანხა უნდა გადაიხადონ; 5. იმ პირის დასახელებას, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ; 6. თამასუქის შედგენის თარიღისა და ადგილის მითითებას; 7. თამასუქის გამცემი პირის ხელმოწერას.

გადასაპირებელი თამასუქისაგან განსხვავებით, მარტივ თამასუქში არ არის მითითებული გადამხდელი. მარტივ თამასუქს გამოწერს და ხელს აწერს მევალე.

მარქსი კარლ (1818-1883)

(Marx Karl) – გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტოლოგი. სწავლობდა ბონის, ბერლინისა და იენის უნივერსიტეტებში. იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში. მისი პირველი სტატიები გამოქვეყნდა „რეინის გაზეთში", სადაც იგი პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

მარქსმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. 1849 წლიდან ცხოვრობდა ინგლისში და თავისი მეგობრისა და კოლეგის ენგელსის ფინანსური დახმარებით მრავალრიცხოვან ოჯახს ინახავდა.

მარქსმა უარყო ჰეგელის კონსერვატული პოლიტიკური ფილოსოფია და განავითარა მისი დიალექტიკური მეთოდი. კაპიტალიზმის განვითარების კანონები ახსნა ნაშრომში „კაპიტალი" (I ტ. – 1867, II ტ. – 1885 და III ტ. – 1894). მეორე და მესამე ტომები გამოვიდა ენგელსის რედაქციით. ეკონომიკის სფეროში მარქსის სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომებია „ზედმეტი ღირებულების თეორიები" (სამ ნაწილად, 1905-1910) და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" (1859).

ეკონომიკის დარგში მეცნიერული მიღწევებით მარქსი აღიარებულია მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნედ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ზოგიერთმა დასკვნამ ვერ პოვა პრაქტიკული აღიარება.

მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების ღერძია ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიები. მარქსმა გაცვლის პროცესის განვითარების საფეხურები, როგორც ისტორიულისა და ლოგიკურის ასახვა, დეტალურად გაანალიზა „კაპიტალის" პირველ ტომში.

ენგელსთან ერთად, მარქსმა დაწერა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" (1848), სადაც განხილულია კომუნისტური საზოგადოების პრინციპები. ეს ნაშრომი გახდა საპროგრამო დოკუმენტი იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შეეცადნენ აეშენებინათ სოციალისტური საზოგადოება. მარქსის სახელთან არის დაკავშირებული მიწასა და სხვა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმება და საზოგადოების თითოეული წევრის თანაბარი უფლებით საზოგადოებრივი საკუთრების ცენტრალიზებული მართვის საფუძველზე სახელმწიფო ტიპის ეკონომიკის შექმნა. საკუთრებით ურთიერთობებს მარქსი ანიჭებდა პირველხარისხოვან მნიშვნელობას და მიიჩნევდა წარმოებითი ურთიერთობების დედაარსად. კ. მარქსის მიხედვით, ანტაგონიზმი წარმოიქმნება საკუთრებითი ურთიერთობების წიაღში, ამიტომ კერძო

კაპიტალისტურ საკუთრებაზე და, აქედან გამომდინარე, ექსპლოატაციაზე დაფუძნებული კაპიტალიზმის კრახი გარდაუვალია. კ. მარქსმა ღრმად შეისწავლა ადრეული კაპიტალიზმის ბუნება, მაგრამ ვერ შეძლო განეჭვრიტა მისი მომავალი ბედი და აღმოჩნდა კომუნისტური საზოგადოების შესახებ ცრუ წარმოდგენების ტყვეობაში.

მაშინ, როდესაც ფულის წარმოშობის რაციონალური კონცეფცია ფულს ძველი კანონმდებლების გენიალური ჩანაფიქრისა და, აქედან გამომდინარე, ძველი კანონმდებლობის ნაყოფად თვლის (ფულის წარმოშობისადმი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიდგომა — იდეა, რომელიც ფულის წარმოშობას უკავშირებს ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგს), პირველად არისტოტელესთან გვხვდება (Àðèñòî òåëü. Í èêî ì àõî âà ýòèêà. Ñî ÷. Ò 4. Ì ., 1983, ñ. 156-157) და განუყოფლად ბატონობდა XVIII საუკუნის ბოლომდე. ევოლუციური კონცეფცია ფულის წარმოშობას ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ობიექტურ პროცესად მიიჩნევს. მართალია, ევოლუციური კონცეფცია სათავეს ა. სმითისა და დ. რიკარდოსგან იღებს, მაგრამ ამ მიმართულების ფუძემდებლად აღიარებენ კ. მარქსს, რომელსაც მხარს უჭერენ პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, რ. ბარი და სხვა ცნობილი მეცნიერები.

მარშალი ალფრედ (1842-1924) (Marshall Alfred) — ინგლისელი ეკონომისტი (განათლებით მათემატიკოსი), კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი (1885-1908). მიუხედავად იმისა, რომ ზღვრული ანალიზის ფუძემდებელი იყო, არასდროს არ უარყოფდა თავის კავშირს ინგლისურ კლასიკურ ეკონომიკურ სკოლასთან. მან დაარსა ინგლისურ-ამერიკული სკოლა და XX საუკუნის დასაწყისში წამოაყენა ალტერნატიული ღირებულების (ფასეულობის) თეორია, რომელიც ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორიის სახელითაა ცნობილი.

მარშალმა ღირებულების სხვა თეორიების (შრომითი ღირებულების თეორია, წარმოების დანახარჯების თეორია, მოთხოვნა-მიწოდების თეორია) შეერთებით შექმნა ღირებულების ახალი თეორია, რომელშიც ამოსავალი პოსტულატია მოთხოვნა-მიწოდების კანონი. ამ თეორიის მიხედვით საქონლის მიწოდებას განსაზღვრავს წარმოების დანახარჯები, ხოლო მოთხოვნას — საქონლის ზღვრული სარგებლიანობა. ამრიგად, აღნიშნულ თეორიაში გათვალისწინებულია როგორც იმათი თვალსაზრისი, ვინც ღირებულებას ობიექტური ფაქტორებით განსაზღვრავს, ისე იმათიც, ვინც მათ

სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრავს. მაშასადამე, **ღირებულების მარშალისეული თეორია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით ღირებულების განსაზღვრის თავისებური სინთეზია.** იგი ასაბუთებს ღირებულებასა და სარგებლიანობას შორის ფუნქციონალურ კავშირს და ფასს, როგორც საქონლის საყიდლად გადახდილ ფულის რაოდენობას, განიხილავს ღირებულებისა და სარგებლიანობის ერთობლიობად.

ა. მარშალის ნაშრომების ფუნდამენტური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავენ წონასწორობის საბაზრო ფასებს. იგი აკრიტიკებდა როგორც კლასიკურ, ისე ავსტრიულ სკოლებს და ასაბუთებდა, რომ ისინი ცალმხრივად განიხილავდნენ ფასწარმოქმნას. მარშალი ამტკიცებდა, რომ როგორც მოთხოვნა, ისე წარმოების დანახარჯები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წონასწორობის ფასების ფორმირებაში.

ალფრედ მარშალმა შემოიღო მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობის ცნებები, ლეონ ვალრასთან ერთად შექმნა მოთხოვნა-მიწოდების მარტივი მოდელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის გარკვევაში. მან ხიდი ააგო კლასიკურ (ობიექტურ) და ნეოკლასიკურ (სუბიექტურ) თეორიებს შორის. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ეკონომიქსის პრინციპები“ (1890), „ინდუსტრია და ვაჭრობა“ (1919), „ფული, კრედიტი და კომერცია“ (1923) და სხვ. მარშალის ნაშრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მართვაში, არამედ თანამედროვე მიკროეკონომიკის ფორმირებაშიც.

მარშალ–ლერნერის პირობა (Marshall-Lerner condition) – პირობა, რომელიც ორი ეკონომისტის – ალფრედ მარშალისა და აბა ლერნერის სახელს ატარებს, გულისხმობს გაუფასურების შემდეგ სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის ექსპორტის გაზრდასა და იმპორტის შემცირებას, რათა მოხდეს იმპორტის ფასის ზრდის კომპენსირება. აქედან დასკვნა: რეალური გაუფასურება, საბოლოო ანგარიშით, წმინდა ექსპორტის ზრდას იწვევს.

მასშტაბით განპირობებული ეკონომია (economies of scale) - ეკონომია, რომელიც მიიღწევა გრძელვადიან პერიოდში წარმოების მოცულობის გადიდების პირობებში საშუალო მთლიანი დანახარჯების შემცირებით.

მასშტაბის ეფექტი (returns to scale) - წარმოების მოცულობის ცვლილების კოეფიციენტი ყველა გამოყენებული რესურსის რაოდენობის ცვლილებისას. თუკი,

მაგალითად, როგორც რესურსები ორკეცდება, იმავე ოდენობით იზრდება წარმოების მოცულობა, მაშინ ამბობენ, რომ მასშტაბის ეფექტს არ ჰქონია ადგილი, თუკი წარმოების მოცულობა იზრდება ორჯერ უფრო ნაკლებად, მაშინ უარყოფითი მასშტაბის ეფექტს აქვს ადგილი, ხოლო თუ იგი იზრდება ორჯერ უფრო მეტად, მაშინ – დადებითი მასშტაბის ეფექტს. ეს მოვლენა უნდა განვასხვაოთ მხოლოდ ერთი რესურსის ცვლილების შემთხვევისგან, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, გამოხატავს კლებადი უკუგების კანონს. მზარდი მასშტაბის ეფექტს (increasing returns to scale) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ფირმის გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები ეცემა გამოშვებული პროდუქციის ზრდის პარალელურად.

მატების ტემპი (rate of growth) - გვიჩვენებს მოცემული სიდიდე პროცენტული გამოხატულებით რამდენით გაიზარდა საანალიზო პერიოდში. მატების ტემპი არის ზრდის ტემპს მინუს 100%.

მატერიალური მომსახურება (material service) - შრომის სპეციფიკური ეკონომიკური ფორმა, რომლის სასარგებლო ეფექტიც მატერიალიზებულ მომსახურებაში ვლინდება. საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკატორის მიხედვით, მატერიალური მომსახურება ორ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფი უკავშირდება პროდუქტების მოძრაობას უშუალოდ მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, ხოლო მეორე – საკუთრივ წარმოების გარეთ მატერიალური დოვლათის მოძრაობას. პირველ ჯგუფში შედის: სატვირთო ტრანსპორტი, წარმოებრივი დანიშნულების კავშირგაბმულობა, საბითუმო ვაჭრობა, სასაწყობო მეურნეობა, ელექტრო-, გაზ- და წყალმომარაგება, წარმოებრივი დანიშნულების რემონტი, საქმიანი და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, საფინანსო-საკრედიტო მომსახურება. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება, საბინაო-კომუნალური მომსახურება, კავშირგაბმულობა მოსახლეობის მომსახურების ნაწილში, სამგზავრო ტრანსპორტი. ასეთი დაყოფა რამდენადმე პირობითია, ვინაიდან არსებობს მომსახურების სახეები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფს. მაგ., საქმიანი და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება არ შეიძლება მთლიანად ეკუთვნოდეს მატერიალური მომსახურების პირველ ჯგუფს, ვინაიდან მასში შედის მომსახურების ისეთი სახეებიც, რომლებიც ლოგიკურად მა-

ტერიალური მომსახურების მეორე ჯგუფში უნდა შედიოდეს, კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის არენდასთან დაკავშირებული სალიზინგო მომსახურება და ა.შ.

მატერიალური სტიმულირება (material stimulation) - წარმოების მუშაკთა შრომისადმი წახალისების ეკონომიკური ფორმებისა და მეთოდების სისტემა, მათი შრომითი აქტიურობისა და დაინტერესებულობის ამაღლება წარმოების საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისათვის.

მატერიალურ–ნივთობრივი წარმოების სფერო (material production area, tangible assets) - ეროვნული ეკონომიკის იმ დარგთა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს ნივთობრივი პროდუქტისა და ენერგიის ფორმით. გაეროს **სსდკ**-ის სტრუქტურაში, რომელიც წარმოდგენილია სამი სექტორის სახით, პირველი ორი სექტორი შეადგენს მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს, ხოლო მესამე **–** მომსახურების სფეროს.

მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფერო ოთხ განყოფილებას მოიცავს. აქედან პირველ სექტორში შედის ერთი გა-ნყოფილება: 1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ნადირობა და მეთევზეობა. მეორე სექტორი მოიცავს დანარჩენ სამ განყოფილებას: 2. სამთომოპოვებითი მრეწველობა; 3. გადამმუშავებელი მრეწველობა; 4. მშენებლობა.

მდარე საქონელი (inferior good) - საქონელი, რომელზეც, სხვა თანაბარ პირობებში, მოთხოვნა მცირდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

მდგრადი განვითარება (sustainable development) – ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როცა გამოშვება, კაპიტალი და ეფექტიანი შრომა (შრომა გამრავლებული ტექნოლოგიის დონეზე) ერთნაირი ტემპით ანუ დაბალანსებულად იზრდება. ამ შემთხვევაში გამოშვება კაპიტალითა და ეფექტიანი შრომით წარმოებული საქონელი ან მომსახურებაა. მდგრად მდგომარეობაში ერთ მუშაკზე გამოშვებისა და ერთ მუშაკზე კაპიტალის ზრდის ტემპი ტექნოლოგიური პროგრესის ზრდის ტემპის ტოლია, ანუ გამოშვება და კაპიტალი იმავე ტემპით იზრდება, როგორითაც ეფექტიანი სამუშაო ძალა.

მდგრად მდგომარეობაში გამოშვების ზრდის ტემპი დაზოგვის ნორმაზე დამოკიდებული არ არის, თუმცა, დაზოგვის ნორმის ზრდა მდგრად მდგომარეობაში ეფექტიან მუშაკზე ზრდის გამოშვების მოცულობას.

როდესაც ეკონომიკა მდგრად მდგომარეობაშია, მას ახასიათებენ როგორც დაბალანსებული ზრდის ტრაექტორიაზე მყოფ ეკო-

ნომიკას.

მდგრადი ზრდა (steady growth) - ეკონომიკის დინამიკური მდგომარეობა, როდესაც განვითარება ხდება მუდმივი პროპორციული ტემპებით. ეკონომიკური ზრდის თეორია იკვლევს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

მეგაეკონომიკა (megaeconomics) - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი შემსწავლელი საერთაშორისო ეკონომიკა. იკვლევს საერთაშორისო მასშტაბით ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები და ა.შ.

მეზოეკონომიკა (mesoeconomics) - ქვეყნის ეკონომიკის ქვესისტემების (ინფრასტრუქტურის, სათბობ-ენერგეტიკის, მომსახურების სფეროს და ა.შ.) ეკონომიკა. შეისწავლის ეკონომიკის ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით.

მელქაძე ვალერიანი (1912-1981) (Melkadze Valerian) — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1977), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1937). 1946-1948 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. 1948-1963 წლებში იმყოფებოდა პარტიულ და ხელმძღვანელ სამუშაოებზე. იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (1958-1960), თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1960-1963), საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (1963-1981). ვ. მელქაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების ახალ დარგს — რეგიონალურ ეკონომიკას; შეიმუშავა შიდარესპუბლიკური ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ეროვნული შემოსავლის ანალიზური კვლევის მეთოდი; ორიგინალური ნაშრომები შექმნა ეკონომიკის მართვის, პროგნოზირების, წარმოების სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების პრობლემებზე. ძირითადი შრომებია: „კანონზომიერებები საქართველოს ეროვნული შემოსავლის წარმოებაში.“ თბ., 1974 (რუსულ ენაზე); „საქართველოს ეკონომიკის განვითარე-

ბის კომპლექსური პროგრამა“. თბ., 1975; „საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურა“. თბ., 1978.

მენგერი კარლი (1840-1921) (Menger Carl) – ავსტრიელი ეკონომისტი, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელი. ზღვრული სარგებლიანობაზე აგებული ფასეულობის თეორიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (მისგან დამოუკიდებლად ეს თეორია შექმნეს აგრეთვე ჯევონსმა და ვალრასმა). საქონლის ფასეულობას განსაზღვრავს მისი სარგებლიანობა და არა წარმოების დანახარჯები – ეს თეზა საფუძვლად დაედო მენგერის შემოქმედებას, რითაც იგი (ისევე როგორც ბევრ სხვა ეკონომისტს) დაუპირისპირდა ინგლისური კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს.

დოვლათის ზღვრული სარგებლიანობის შეფასებაში მენგერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის იშვიათობას. როდესაც დოვლათის რაოდენობა იზრდება, ზღვრული სარგებლიანობა მცირდება. მენგერის მიერ დამტკიცებულმა ამ დამოკიდებულებამ **კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონის სახელწოდება** მიიღო.

მენგერს ეკუთვნის აგრეთვე ფაქტორული შემოსავლების განაწილების თეორია.

მენეჯერი (manager) [ინგლ. manager<manage მართვა] - წარმოების მართვის სპეციალისტი, მმართველი, რომელსაც ქირაობს სახელმწიფო, კომპანია ან კერძო მეწარმე.

მენეჯერიზმი (managerialism) - თანამედროვე ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვითაც წარმოების კონტროლი კერძო მესაკუთრეებისაგან გადადის დაქირავებული მმართველების — მენეჯერების ხელში.

მენეჯმენტი (management) [<ინგლ. management მართვა, გამგებლობა] - წარმოების მართვა, წარმოების პრინციპების,მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა, გამოყენებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდების მიზნით. მენეჯმენტი ოთხი ფუნქციისგან შედგება: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი. განასხვავებენ **საერთო და ფუნქციურ მენეჯმენტს**. საერთო მენეჯმენტი გულისხმობს მთლიანად ფირმის მართვას, ფუნქციური მენეჯმენტი კი დაკავშირებულია ფირმის ცალკეული ქვესისტემების მართვასთან. ამ ქვესისტემების (შრომითი რესურსები, ფინანსები, უშუალოდ წარმოების პროცესი და სხვ.) ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირება ფუნქციური მენეჯმენტის პრეროგატივაა.

მენეჯმენტი, როგორც საბაზრო მეურნეობის გაძღოლის ახალი მიმართულება, წარმოების მართვის ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზია. იგი ეფუძნება მმართველობით საქმიანობაში თანამედროვე ფორმების, მეთოდების, პრინციპებისა და საშუალებების გამოყენებას. მენეჯმენტი, როგორც ცოდნის სპეციალური დარგი, დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბდა XX საუკუნის 40-იან წლებში.

მენეჯმენტის არეალი შემოიფარგლება მხოლოდ ბიზნეს-საქმიანობით, ამიტომ იგი განსხვავდება მართვისაგან, რომელშიც სახელმწიფოებრივი მართვა იგულისხმება.

მეორადი რესურსები (secondary resources) - ერთჯერადად გამოყენებული მატერიალური რესურსები ან წარმოების ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება სხვა წარმოებაში.

მეორეული ბაზარი (secondary market) - მიმოქცევაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა დილერების ან ბროკერების მიერ.

მეორეული შრომის ბაზარი (secondary labor market) – შრომის ბაზარი, სადაც ხელფასები დაბალია, შრომის პირობები ცუდი, დროებითი დათხოვნები კი მაღალი. იგი პირველადი შრომის ბაზრის საპირისპიროა.

მერკანტილიზმი (mercantilism) [<იტალ. mercante ვაჭარი, მოვაჭრე] - პირველი ეკონომიკური მიმართულება, მიმდინარეობა, რომელიც სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა XV-XVII საუკუნეებში. ამ მოძღვრების პრინციპი ასეთი იყო: მოგება წარმოიქმნება მიმოქცევის სფეროში. ფულის საზღვარგარეთ გატანა ამცირებს ქვეყნის სიმდიდრეს, შემოტანა კი – ამდიდრებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, **ადრინდელი მერკანტილიზმის** (აღმოცენდა XV საუკუნის უკანასკნელ მესამედში, არსებობდა XVI საუკუნის შუა პერიოდამდე) წარმომადგენლებს (უ. სტაფორდი, გ. სკარუფი, დ. სანტისი და სხვ.) ქვეყნის სიმდიდრის ზრდის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ აქტიური ფულადი ბალანსი, **გვიანდელი მერკანტილიზმის** (განვითარდა XVI საუკუნის შუა პერიოდიდან, აყვავებას მიაღწია XVII საუკუნეში, დაშლა დაიწყო XVIII საუკუნიდან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა ფიზიოკრატიზმით) წარმომადგენლებს (თ. მენი, ა. სერა, ა. მონკრეტიენი და სხვ.) კი – აქტიური სავაჭრო ბალანსი. XVIII საუკუნის შუა ხანებში ეკონომისტთა ყურადღებამ მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადაინაცვლა. მერკანტილიზმი შეიცვალა ფიზიოკრატიზმით.

მერკანტილური (mercantile) [<იტალ. mercante ვაჭარი, მოვაჭრე] - 1. სავაჭრო, კომერციული; 2. ვაჭრული, მეწვრილმანური.

მერყევი ფასი (sliding price) – ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ცვალებადი ფასი. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით საბოლოო ფასს არ ადგენენ, მხარეები თანხმდებიან მხოლოდ მისი დადგენის წესზე. მერყევი ფასის სახესხვაობაა ფასი შემდგომი ფიქსაციით.

მეტრაჟი (metric area) (ფრანგ. metrage) - 1. რაიმეს სიგრძე, გამოხატული მეტრებში; 2. რაიმეს ფართობი, გამოხატული კვადრატულ მეტრებში.

მეწარმე (entrepreneur) - პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. ეკონომიკურ ანალიზში მეწარმის საქმიანობა განიხილება როგორც წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორი. მეწარმეებს ენიჭებათ პასუხისმგებლობა ეკონომიკური გადაწყვეტილებისათვის: რა აწარმოონ, რა რაოდენობით, წარმოების რა მეთოდით. ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისა და წარმოებული საქონლის რეალიზაციას შორის არსებობს გარკვეული დრო, მეწარმე ვალდებულია გააკეთოს მოთხოვნის პროგონოზი. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ მეწარმეობას ახლავს რისკი, რომელიც დაკავშირებულია ამ პერიოდში მოთხოვნის რყევებთან. ინდივიდუალურ ფირმებში მეწარმე ერთდროულად იღებს თავის თავზე საწარმოს ფინანსურ რისკს და მტკიცე პასუხისმგებლობას ფირმის მართვის თვალსაზრისით. აქციონერულ კომპანიებში ეს ორი ფუნქცია დაყოფილია აქციონერებსა, ე.ი. მესაკუთრეებსა (რომლებიც ეწევიან ფინანსურ რისკს) და დირექტორთა საბჭოს (რომლებიც ფაქტობრივად მართავენ ფირმას) შორის.

მეწარმეობა (entrepreneurship) - შემოსავლის, მოგების მიღებისათვის გამიზნული ფიზიკური ან იურიდიული პირების დამოუკიდებელი, კანონით ნებადართული სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი სახელით, ფინანსური რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით.

მთლიანი გამოშვება (gross output) - დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასში.

მთლიანი დამატებითი ღირებულება (gross value added) - სხვაობა მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

მთლიანი დანაზოგი (gross savings) - მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ნაწილი. მიიღება დანაზოგისგან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით.

მთლიანი დანახარჯი (total cost - **TC**) - ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ერთობლიობა, გამოხატული ფულადი ფორმით. ფირმამ თავისი შესაძლებლობები ბაზრის მოთხოვნას უნდა შეუფარდოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წარმოების დანახარჯების შემცირებას. ამიტომ მან უნდა განსაზღვროს რა უნდა აწარმოოს, რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება მისი პროდუქცია, რა ფასად შეიძენს წარმოებრივ რესურსებს, რა დაუჯდება კვალიფიციური სამუშაო ძალის დაქირავება და ა.შ. მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა ფირმის საქმიანობის ლაიტმოტივია, რომელშიც ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი მთლიან დანახარჯებს ეკუთვნის.

მთლიანი ეროვნული დანაზოგი (gross national savings) - განკარგულებაში დარჩენილი მთლიანი ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ შედის საბოლოო მოხმარებაში.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (**მეპ**) (gross national product - **GNP**) - მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო შედეგებს განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) და წარმოადგენს საბაზრო ფასებით პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, მოგება, წარმოებაზე გადასახადები, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები — სარგებელი, დივიდენდი, რენტა და ა.შ.) ჯამს, მიღებულს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით თავისი ქვეყნის **მეპ**-ისა და სხვა ქვეყნების **მეპ**-ის წარმოებაში. **მეპ**, როგორც წესი, მეტია **მშპ**-ზე იმ პირველადი შემოსავლების ჯამით, რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ. ამასთან, იგი არ მოიცავს არარეზიდენტების შემოსავლებს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

მეპ უდრის საბაზრო ფასებში **მშპ**-ს პლუს შრომის ანაზღაურების ჯამი, საკუთრებიდან შემოსავლები, სამეწარმეო შემოსავალი მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან“, მინუს მათი შესაბამისი ნაკადები გადახდილი „დანარჩენი მსოფლიოსათვის“.

1968 წლამდე **მეპ**-ს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ეწოდებოდა. რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით, **მეპ**-სა და **მშპ**-ს შორის განსხვავება დიდი არ არის. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნებისათვის იგი 1%-ს არ აღემატება. **მეპ** შეიძლება გაიზომოს ეროვნული წარმოებით, შემოსავლებითა და საბ-

ოლოო მოხმარებით.

წარმოებით გაზომილი მეპ უდრის განსაზღვრულ პერიოდში ქვეყნის სექტორ-რეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას შუალედური მოხმარების გამოკლებით.

შემოსავლებით გაზომილი მეპ არის ფაქტორული შემოსავლების ჯამი, მიღებული შიდა წარმოებიდან ხელფასის, პროცენტისა და ფირმის მოგების სახით, აგრეთვე საზღვარგარეთის სექტორ-რეზიდენტების წმინდა ფაქტორული შემოსავლები.

საბოლოო მოხმარებით გაზომილი მეპ იმ საქონლისა და მომსახურების ერთობლივი საბაზრო ღირებულებაა, რომელსაც იძენენ შინამეურნეობები (ჰაუსჰოლდები), ფირმები და მთავრობები ძირითადი კაპიტალდაბანდებებისა და არარეალიზებული პროდუქციის ნაშთის ჩათვლით.

მეპ-ის გაზომვის სამივე მეთოდი ერთსა და იმავე რაოდენობრივ შედეგს იძლევა.

მეპ-ის გამოუცხადებელი დეფლატორის ფასების ინდექსი (**GNP** implicit price deflator) - მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს მიმდინარე ფასებში **მეპ**-ის შეფარდებას შესადარ ფასებში **მეპ**-თან, ანუ თანაფარდობას ნომინალურ და რეალურ **მეპ**-ებს შორის.

მეპ-ის დონეთა დაშორიშორება (**სხვადასხვაობა**) (**GNP** gap) - პოტენციური და რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის დონეების ერთმანეთისაგან მოწყვეტა.

მეპ-ის ინდექსი - დეფლატორები (**GNP** deflators) - ინდექსთა ჯგუფი, რომელსაც იყენებენ **მეპ**-ის მაჩვენებელთა აგებისათვის შესადარ ფასებში. მასში შედის: ფასების აგრეგატული ინდექსი, **მეპ**-ის გამოუცხადებელი დეფლატორის ფასების ინდექსი, ფასების ჯაჭვური ინდექსი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი, აგრეთვე, სპეციალურად აგებული ინდექსები.

მთლიანი ინვესტიცია (gross investment) - ეკონომიკაში ინვესტიციების მთლიანი მოცულობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. იგი შედგება წმინდა ინვესტიციებისა და იმ ინვესტიციებისაგან, რომლებიც გამოიყენება მწყობრიდან გამოსული ძირითადი კაპიტალის შესაცვლელად.

მთლიანი მოგება (gross profit) - საწარმოს მოგების მთლიანი თანხა დაქვითვასა და გადარიცხვამდე. იგი დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მეწარმეებს დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების, წარმოებასა და იმპორტზე წმინდა გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვის

შემდეგ. მთლიანი მოგება წმინდა მოგებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჯამია.

მთლიანი შემოსავალი (gross income) - ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც მოგებასთან ერთად გამოხატავს საწარმოს წარმოებრივი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებს. განისაზღვრება, როგორც სხვაობა საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ფულად ამონაგებსა და ამ საქონლის წარმოებაზე გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს შორის.

მთლიანი შიდა პროდუქტი (**მშპ**) (gross domestic product - **GDP**) - მაკროეკონომიკური ინდიკატორი, ქვეყნის შიდა ეკონომიკის, ეროვნული შემოსავლების ანგარიშში ერთობლივი გამოშვების ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელი, ეკონომიკური აქტიურობის საზომი, რომელიც გამოხატავს განსაზღვრული დროის განმავლობაში, როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე (იხ.) რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას. **მეპ** ამოსავალ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად ითვლება გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემაში. მასზე ორიენტირებულია ახალი ეროვნული ანგარიშების სისტემა.

1990-იან წლებამდე ქვეყნების უმრავლესობა ერთობლივი აქტივების მთავარ საზომად იყენებდა მთლიან ეროვნულ პროდუქტს. 1990-იანი წლებიდან ამ უკანასკნელის ადგილს იკავებს მთლიანი შიდა პროდუქტი.

მშპ-ის გაანალიზება ხდება როგორც წარმოების, ისე შემოსავლების მხრიდან.

მშპ-ში წარმოების მხრიდან შედის: პირადი სამომხმარებლო ხარჯები; გრძელვადიანი და მოკლევადიანი საქონელი, მომსახურება, მთლიანი კერძო შიდა ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, არასაბინაო ინვესტიციები, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა, ბინათმშენებლობა, სახელმწიფო შესყიდვები, ეროვნული თავდაცვა, ექსპორტი, იმპორტი, წმინდა ექსპორტი, ბიზნესის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილება.

შემოსავლების მხრიდან **მშპ**-ში აისახება დანარჩენი მსოფლიოდან ფაქტორული შემოსავალი და გამოაკლდება დანარჩენი მსოფლიოსთვის ფაქტორული შემოსავალი, რის შედეგადაც მიიღება მთლიანი ეროვნული პროდუქტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი (gross domestic product deflator) - თანაფარდობა **მშპ**-ის ნომინალურ ზრდასა და რეალურ ზრდას შორის. გარკვეული დროის განმავლობაში წარმოებული საბოლოო პროდუქ-

ტის (საქონლისა და მომსახურების) ფასების ცვლილების საზომი.

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (structure of gross domestic production) – მოხმარების, ფიქსირებული ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯების, მარაგებში ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის ჯამი. აქედან, **მოხმარება მშპ**-ის ყველაზე დიდი კომპონენტია. იგი მოიცავს ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც მომხმარებლები, ვთქვათ, 1 წლის მანძილზე შეიძენენ. **ფიქსირებული ინვესტიციები** არასაბინაო ინვესტიციებისა და ბინათმშენებლობაში ინვესტიციების ჯამია; **სახელმწიფო ხარჯები** გულისხმობს საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებს; **მარაგებში ინვესტიციები** წარმოებასა და გაყიდვებს შორის სხვაობაა. თუ წარმოება აჭარბებს გაყიდვას, მაშინ მარაგებში ინვესტიციები დადებითია, ხოლო თუ წარმოება გაყიდვებზე ნაკლებია, მაშინ მარაგებში ინვესტიციები უარყოფითია. **წმინდა ექსპორტი** ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობაა. თუ ექსპორტი აჭარბებს იმპორტს, მაშინ ქვეყანას აქვს დადებითი სავაჭრო სალდო, ხოლო თუ ექსპორტი იმპორტზე ნაკლებია, მაშინ ადგილი აქვს სავაჭრო დეფიციტს.

მიდრეკილება დანაზოგისადმი (propensity to the savings) - შემოსავლის გადიდების კვალობაზე დანაზოგის წილის გადიდება. იხ. უნივერსალური ფსიქოლოგიური კანონი ეკონომიკაში.

მიდრეკილება იმპორტირებისადმი (propensity to import) - იმპორტზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

მიდრეკილება ინვესტირებისადმი (propensity to invest) - ეროვნული შემოსავლის ის წილი, რომელიც ხმარდება კაპიტალდაბანდებებს.

მიდრეკილება მოხმარებისადმი (propensity to consume) - სამომხმარებლო ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

მიზნობრივი (**საორიენტაციო**) **ფასი** (quide price) - გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში ამა თუ იმ პროდუქციაზე გადასახადის სიდიდის განსაზღვრისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გატარების მიზნით.

მიკროეკონომიკა (microeconomics) [<ბერძნ. mikros პატარა] - 1. ეროვნული მეურნეობის ნაწილის (სექტორის, დარგის, საწარმოს) ეკონომიკა; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ცალკეული სამეურნეო ერთეულების – შინამეურნეობის (ჰაუსჰოლდის ბლოკის), ბიზნესის ბლოკის, სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობას.

მიმდინარე ანგარიში (current account) – 1. ბანკის ანგარიში, რომელიც ემსახურება ფულადი სახსრების შენახვასა და ანგარიშსწორებას (ძირითადად ჩეკების მეშვეობით. მიმდინარე ანგარიშებია, ასევე, საწარმოებისა და ფილიალების სამეწარმეო საქმიანობის მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად ბანკში გახსნილი ანგარიში; 2. ანგარიში, რომელსაც უხსნის ბანკი თავის მუდმივ კლიენტებს, მათ შორის ურთიერთანგარიშსწორებისათვის.

მიმდინარე ანგარიშის სალდო (current account balance) – წმინდა გადახდების ჯამი დანარჩენი მსოფლიოსთვის და დანარჩენი მსოფლიოსგან. თუ წმინდა გადახდები დანარჩენი მსოფლიოსგან დადებითია, ქვეყანას მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი აქვს, ხოლო თუ ის უარყოფითია, ქვეყანას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს.

მიმოქცევაში არსებული ფული (money in circulation) - სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში გაშვებული ქაღალდისა და ლითონის უპროცენტო ფულის ნიშნები.

მინდობილობა (warrant) - იხ. ვარანტი.

მინიმალური მოგება (minimal profit) – მოგების ქვედა ზღვარი, რომელიც აუცილებელია ფირმის ფუნქციონირებისა და შენარჩუნებისათვის, გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით.

მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (minimum consumers budget) - ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის, მომსახურების შეჯამებული ღირებულება ერთ სულზე გაანგარიშებით წელიწადში (ან თვეში). გამოითვლება სამომხმარებლო კალათის საფუძველზე და საცალო ფასებისა და ტარიფების დონის გათვალისწინებით. როგორც წესი, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი წელიწადში ერთხელ უნდა გადაისინჯოს სამომხმარებლო ფასების ინდექსის გათვალისწინებით, ხოლო ბიუჯეტის სტრუქტურისა და ღირებულების შესახებ მონაცემები — რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს. მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანის ნორმალური ცხოვრების ქვედა ზღვარი, ანუ შეფარდებითი (და არა აბსოლუტური) სიღატაკის დონე.

მინიმალური ხელფასი (guaranteed (minimum) wage) - კანონით დადგენილი ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება.

მიქელაძე ირაკლი (1902-1986) (Mikeladze Irakli) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), ეკონომი-

კურ მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1972), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). 1925 წელს დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, შემდგომში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე (1937-1977), ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1954-1956), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1956-1968), 1960 წლიდან მოადგილე მინისტრის სტატუსით.

ი. მიქელაძის კვლევის ძირითადი სფერო მოიცავდა მრეწველობის ეკონომიკას. მისი ნაშრომები ეხება ქვეყნის მეურნეობის დაგეგმვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, ეკონომიკის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების, ტემპების, პროპორციებისა და სტრუქტურის, ელექტროენერგეტიკის ფუნქციონირების, შრომის ტერიტორიული და დარგობრივი დანაწილების პრობლემებს. ძირითადი ნაშრომებია: „საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება“. მოსკოვი, 1964 (რუსულ ენაზე); „საქართველოს მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“. თბ., 1977; „ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები“. თბ., 1980.

მიწა (land) - ეს ტერმინი გამოიყენება ეკონომიკაში არა მხოლოდ დედამიწის ზედაპირის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც არ არის დაფარული წყლით, არამედ როგორც ბუნებრივი რესურსი, რომლის გამოყენება შესაძლებელია წარმოებაში. ამიტომ მიწა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც წარმოების ფაქტორი.

მიწის გადასახადი (land tax) - გადასახადი, რომელიც ამოიღება ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობზე.

მიწის რენტა (land rent) - მიწის მესაკუთრის შემოსავალი, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება მის წარმოებრივ საქმიანობას და მას იგი მიწის გამოყენების უფლების გაცემისათვის იღებს. მიწის რენტა მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის, გამოყენებისგან მიღებული მოგების ნაწილია.

მიწოდება (supply) - ეკონომიკური კატეგორია და ბაზრის მნიშვნელოვანი ელემენტი – საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის, ფულისა და ა.შ. ის ერთობლიობა, რომელიც ბაზარზეა მოცემულ მომენტში. მოიცავს ორ ელემენტს: 1. ამა თუ იმ საქონლის გასხვისებისათვის მზადყოფ-

ნას; 2. პირობებს, რომლითაც მწარმოებელი თანახმაა გაყიდოს თავისი საქონელი. მიწოდების ძირითადი წყაროებია საქონლის წარმოება, მისი იმპორტი, სასაქონლო მარაგი და ა.შ. მიწოდება პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მატერიალური საფუძველია.

მიწოდების ეკონომიკური თეორია (supply-side economics) - დოქტრინა, რომელშიც აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეროვნული წარმოების ზრდის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდებში, ეკონომიკაში შრომისა და კაპიტალის ალოკაცია და ეფექტიანი გამოყენებაა. ამის შესაბამისად ყურადღებაა გამახვილებული იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ხელს უშლის წარმოების ფაქტორების მიწოდებასა და მათ ეფექტიან გამოყენებას. პრაქტიკაში ეს ნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ერთობლივი მიწოდების მრუდის მდგომარეობას, ნაწილობრივი უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს და არა ეფექტიანი მოთხოვნის მოკლევადიან დონეს, როგორც ეს მიღებულია კეინზიანური მოთხოვნის თეორიაში. მიწოდების თეორიის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებია შრომისა და ინვესტირებისადმი სტიმულირების არარსებობა, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდება გადასახადების არაადეკვატურ სტრუქტურას, აგრეთვე იმ ინსტიტუციურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ რესურსების ეფექტიან ალოკაციას. ამ თეორიიდან გამომდინარე, რეკომენდაციები მდგომარეობს გადასახადების შემცირებასა და კონკურენციის გაძლიერებაში.

მიწოდების ეკონომიკური თეორია საფუძვლად დაედო აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკას გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, კონსერვატორული ადმინისტრაციის არჩევის შემდეგ, რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. იგი ეკონომიკურ პოლიტიკაში ორთოდოქსული კლასიკური ეკონომიკური თეორიის დაბრუნების ნათელი მაგალითია და თანამედროვე თეორიის — „ახალი კლასიკური მაკროეკონომიკის“ შემადგენელი ნაწილი.

მიწოდების ინფლაცია (supply-push inflation) - წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია, რაც ფასების საერთო დონის ზრდაში ვლინდება.

მიწოდების მრუდი (supply curve) - მრუდი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას მიწოდების ფასსა და მიწოდების მოცულობას შორის. იგი ასახავს გამყიდველთა საბაზრო ქცევას. მიწოდების მრუდის ყოველი წერტი-

ლი გვიჩვენებს მოცემული საქონლის იმ რაოდენობას, რომლის წარმოებაზეც მწარმოებლები თანახმა არიან შესაბამისი ფასით.

მიწოდების ფასი (supply price) - მინიმალური (ზღვრული) ფასი, რომელზე დაბლაც არ შეიძლება საბაზრო ფასი დაეცეს. ეს წარმოებას არარენტაბელურს გახდის, რაც ეწინააღმდეგება მიმწოდებელთა ეკონომიკურ ინტერესებს. მწარმოებლები ჯერ კიდევ თანახმა არიან ამ ფასად გაყიდონ საქონელი.

მიწოდების შოკი (supply shock) - მაკროეკონომიკაში წარმოების დანახარჯების ან მწარმოებლურობის მოულოდნელი ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვან და შოკისებურ გავლენას ახდენს ერთობლივ მიწოდებაზე. მიწოდების შოკის შედეგად ხდება რეალური **მშპ**-ისა და ფასების დონის უეცარი ცვლილება.

მოგება (profit) - სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის (როდესაც ერთობლივი შემოსავალი სჭარბობს დანახარჯებს). მაკროეკონომიკაში მოგების გაანგარიშებისას მასში შეაქვთ მოგება საკუთარი კაპიტალიდან, ხოლო სასესხო კაპიტალზე სარგებლის სიდიდე დანახარჯებში შედის.

მოგების (შემოსავლის) ნორმა (rate of return) – ფიზიკური ან ფინანსური კაპიტალის (ასევე, ადამიანისეული კაპიტალისაც) წარმოებაში (მეტწილად ბიზნესში) დაგროვებიდან მიღებული შემოსავალი, წილი კაპიტალდაბანდებიდან. მოგების ნორმა, როგორც წესი, განისაზღვრება წმინდა მოგების შეფარდებით საინვესტიციო კაპიტალთან.

მოდელი (model) – ეკონომიკური ანალიზის ამსახველი სქემა, (ფორმალური ან არაფორმალური), რომელიც რეალური სამყაროს სირთულეებისგან აბსტრაჰირების მცდელობაა. მოდელი, განსახილველი ეკონომიკური სისტემის მახასიათებლების გათვალისწინებით, ქვეყანაში არსებული ორგანიზაციული, ტექნიკური და ა.შ. ურთიერთკავშირების ახსნის საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების გაანალიზებასა და მის საფუძველზე ეკონომიკური პროგნოზების შემუშავებას.

მოთხოვნა (demand) - გადახდისუნარიანი მოთხოვნილება, ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება. მოთხოვნა არის ბაზარზე არსებული მოთხოვნილების გამოვლენის ფორმა და მისი განმსაზღვრელი. იგი შეიცავს ორ ელემენტს: 1. მოთხოვნილებას ანუ ამა თუ იმ საქონლის შეძენის სურვილს; 2. ფულად სახსრებს, რაც ინდივიდს აქვს მოცემული საქონლის შესაძენად.

მოთხოვნა-მიწოდების თე-

ორია (the theory of demand and supply) - ამ თეორიის წარმომადგენლები (გ. მაკლეოდი, დ. ლოდლერდელი და სხვები) ღირებულებას აიგივებენ ფასთან და მას განსაზღვრავენ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით. მათი აზრით, ღირებულების რეგულატორი საბაზრო პირობებია.

მოთხოვნის ინფლაცია (demand-push inflation) - ერთობლივი მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია, რაც ფასების საერთო დონის ზრდაში ვლინდება.

მოთხოვნის მრუდი (demand curve) - მოთხოვნის ფუნქციის გრაფიკული ილუსტრაცია. მრუდი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას მოთხოვნის ფასსა (საბაზრო ფასსა) და მოთხოვნის მოცულობას (განსაზღვრული საქონლის რაოდენობა, რომელზეც არის მოთხოვნა) შორის. იგი მომხმარებელთა საბაზრო ქცევის გამომხატველია. მოთხოვნის მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს გარკვეული საქონლის იმ რაოდენობას, რომლის ყიდვაც სურთ მომხმარებლებს შესაბამისი ფასით.

მოთხოვნის რეგულირება (regulation of demand) - ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით.

მოთხოვნის ფასი (cost of demand) - უკიდურესად მაღალი (ზღვრული) ფასი, რომლის ზევითაც საბაზრო ფასი ველარ აიწევს. მომხმარებლები ჯერ კიდევ თანახმა არიან ამ ფასად შეიძინონ ერთეული საქონელი. იგი განისაზღვრება მომხმარებელთა შემოსავლებით და არსებითად გამოხატავს შესაძენი დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობას.

მოკლევადიანი ობლიგაცია (short-term bond) – ობლიგაცია, რომლის დაფარვის ვადა მაქსიმუმ ერთი წელია.

მომსახურება (service, maintenance) - შრომის ეკონომიკური ფორმა, ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს ურთიერთობას შრომის სარგებლიანობის საფუძველზე. მომსახურების სასარგებლო ეფექტი ვლინდება მატერიალური და არამატერიალური მომსახურების სახით. გამოყოფენ მომსახურების შემდეგ ჯგუფებს: ა). წარმოებაზე ორიენტირებული (ამ ჯგუფში შედის საქმიანი მომსახურებისა და მატერიალური დოვლათის წარმოების მომსახურე სხვა დარგები); ბ). სავაჭრო; გ). პირადი და დ). სოციალური მომსახურება.

ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის მიხედვით, მომსახურების მკვეთრად განსხვავებული დარგები ქმნიან მომსახურების სფეროს.

მომსახურების ბაზარი (services market) - მატერიალური და

არამატერიალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა.

ეკონომიკურ ურთიერთობებში მომსახურების მრავალი სახე გამოიყენება. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მისი ისეთი სახეები, როგორიცაა „ნოუ-ჰაუ“ და სალიცენზიო მომსახურება, ინჟინერინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, სატრანსპორტო, ტურისტული, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ. საბაზრო ურთიერთობები სულ უფრო იკიდებს ფეხს განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სპორტში. ამიტომ მომსახურებით ვაჭრობა, შესაბამისად, ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად იყოფა.

განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფმა ტემპმა კოლოსალურად გაზარდა მოთხოვნა როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ მომსახურებაზე, დააჩქარა სპეციალიზებული სერვისული ფირმების ჩამოყალიბება. მათ იკისრეს ის ფუნქციები, რომლებსაც წინათ თვით სამრეწველო კომპანიები ასრულებდნენ. სერვისეული ბიზნესის მასშტაბების გაფართოებამ და მომსახურების სპექტრის განუწყვეტელმა განახლებამ მკვეთრად გაზარდა მომსახურების მოხმარება. მომსახურების ისეთმა სექტორებმა, როგორიცაა საბანკო საქმე, დაზღვევა, განათლება, რეკლამა, სასასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, ბაზრების გამოკვლევა, საინფორმაციო სერვისი, კონსულტაციები მართვის საკითხებში, მსხვილი კორპორაციების შტაბ-ბინების მოწყობა და მათი მომსახურება, ტურიზმი და ა.შ., ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. გაიზარდა მომსახურების წილი პირადი მოხმარების სტრუქტურაში. უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში იგი შეადგენს საშუალოდ 31%-ს, ინგლისში — 37%-ს, შვედეთში — 41%-ს და ა.შ. მსოფლიოში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია იაპონიაში — 52,7%.

სერვისული საქმიანობის განვითარების მთავარ წყაროდ ტექნოლოგიური სიახლენი იქცა. ამჟამად ყველაზე დინამიკური ის დარგებია, რომლებიც ბაზარს მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიით წარმოებულ მომსახურებას აწვდიან და თვითონ ინფორმაციით ვაჭრობენ. ტექნიკურმა სიახლეებმა, საინფორმაციო მომსახურებაზე მოთხოვნის ნახტომისებურმა ზრდამ, კერძო კორპორაციების სასარგებლოდ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ცვლილებებმა განაპირობა ელექტრონული ინფორმაციის გიგანტური ბაზრის შექმნა. ინფორმაციული სერვისი ეკონომიკის მესამეული სექტორის ყველაზე დინამიკური ნაწილი გახ-

და. კომპიუტერულ ავტომატიზაციას ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობისა და, შესაბამისად, ამ დარგში დასაქმებულთა („თეთრსაყელოიანების“) რიცხვის ზრდა მოჰყვა. ძალზე გაიზარდა საინფორმაციო პროდუქციის „საქონლურობა“, ჩამოყალიბდა დიდი მოცულობის დამოუკიდებელი ბაზრები, ხოლო ფირმებმა დაიწყეს ფართომასშტაბური „ექსტერნალიზაცია“.

მომსახურების მარკეტინგის საერთაშორისო მოდელები (International models of marketing services) – თეორიული მოდელები, კონცეფციები. სათავეს იღებს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან და იმ მოვლენის გამოძახილია, რომელიც „მომსახურების სექტორის რევოლუციის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა ჯერ რატმელის მოდელი (1974), შემდეგ მეიგლიესა და ლანგრეარდის მოდელი (1976), გრენროოსის მოდელი, ბიტნერის მოდელი, კოტლერის მოდელი და ა.შ. სხვადასხვა პრინციპზე აგებულ მოდელებში ნაჩვენებია, რეალურ და მომსახურების სექტორებს შორის არსებულ ფუნქციონალურ განსხვავებებთან ერთად, საერთო სტრუქტურული და კონცეპტუალური ნიშნები. თითოეული ავტორი აღიარებს მომსახურების მარკეტინგის მართვისათვის დამატებითი სტრატეგიების (შიდა და ინტერაქტიული მარკეტინგების) გამოყენების აუცილებლობას.

მიუხედავად მომსახურების მარკეტინგის საერთაშორისო მოდელების სიმრავლისა, თეორიული საკითხები დღემდე დისკუსიის საგანია და დასრულებული თეორია დღემდე არ არსებობს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თანამედროვე მსოფლიოში მომსახურების ფართო დივერსიფიკაციაა.

მომსახურების სფერო (services sphere, sector) - ეროვნული ეკონომიკის იმ დარგთა და ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეობათა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურებას. მომსახურების სფერო გაეროს **სნდკ**-ის მიხედვით, ეკონომიკის მესამეული სექტორია. პირველად სექტორად აღიარებულია სოფლის მეურნეობა (მასთან ერთად: ნადირობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა), ხოლო მეორეულად – ინდუსტრია (სამთომოპოვებითი და გადამმუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა). ამასთან, მესამეულ სექტორში გათვალისწინებულია მომსახურების მხოლოდ „ხილული“ სახეები, რომლებიც ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ცალკე, დამოუკიდებელ დარგებად და ქვედარგებად ჩამოყ-

ალიბდა. მასში არ შედის მომსახურების ის „უხილავი“ სახეები, რომლებიც შერწყმულია მეურნეობის პირველადი და მეორეული სექტორების უშუალო ეკონომიკურ საქმიანობასთან. ესენია: სამმართველო სამსახურის, ფირმების, საკონსტრუქტორო, საპროექტო განყოფილებების მომსახურება, საქარხნო მეცნიერება, მუშაკთა შიდაწარმოებრივი სწავლება და ა.შ.

ეკონომიკის მესამეული სექტორის მკვეთრად განსხვავებულ დარგთა ერთ სფეროში გაერთიანებას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათში დასაქმებულთა შრომის სასარგებლო ეფექტი მომსახურების სახით ვლინდება.

გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემის კლასიფიკაციაში, სახელდობრ, „ეკონომიკური სახეების პროდუქციის კლასიფიკაციაში“ მომსახურების სფერო დაყოფილია საბაზრო და არასაბაზრო მომსახურებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ოთხ ჯგუფად: 1. საბაზრო მომსახურების მწარმოებელი დარგები, ანუ საბაზრო დარგები; 2. არასაბაზრო მომსახურების მწარმოებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დარგები; 3. არასაბაზრო მომსახურების კერძო არაკომერციული ორგანიზაციების დარგები; 4. დარგები, რომლებიც შედგება საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის არასაბაზრო მომსახურებისაგან.

მომსახურების სფეროს ასეთი დაყოფა საშუალებას აძლევს სტატისტიკურ ორგანოებს, ამ ნიშნის მიხედვით აწარმოონ გაანგარიშებები. მაგ., XXI საუკუნის დასაწყისში საბაზრო მომსახურების ხვედრითი წონა ევროპული გაერთიანების ექვსი წამყვანი ქვეყნის (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ის, ჰოლანდიის) ერთობლივ დამატებულ ღირებულებაში შეადგენდა 50%-ს, მაშინ როდესაც გადამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა მხოლოდ 30%-ს უდრიდა.

მონეტარიზმი (monetarism) - ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც იკვლევს ფულის მრავალწახნაგოვან ასპექტებს და მის გავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე. მონეტარული თეორიის წარმომადგენლები (მ. ფრიდმენი, ფ. კეიგანი, ა. მელტცერი, ფ. ჰაიეკი და სხვ.) იცავენ დებულებას ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების შესახებ, ხოლო ეკონომიკის არასტაბილურობას ფულადი სისტემის მერყეობით ხსნიან.

ტერმინი მონეტარიზმი შემოიღო კარლ ბრუნერმა 1968 წელს და ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ შეხედულების გამოსახატავად, რომლის მომხრეებიც თვლიან, რომ ერთობლივი ფულადი შემოსავლის

დონის ცვლილებას ძირითადად განაპირობებს ფულადი მასის მოცულობის ცვლილება.

მონეტარიზმის ფუძემდებლად აღიარებულია მილთონ ფრიდმენი, რომელმაც თავის ნაშრომებში – „ფულის რაოდენობრივი თეორია. ახალი ფორმულირება“, „ფულის მიმოქცევის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1867-1960 წლებში“ (ა. შვარცთან ერთად) – დაასაბუთა ფულის ახალი როლი თანამედროვე ეკონომიკაში, ფულად-საკრედიტო რეგულირების პრიორიტეტი ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

მონეტარიზმი ფულის რაოდენობრივი თეორიის სახეშეცვლილი ვარიანტია. მისი არსი გამოიხატება შემდეგში: ფული საბაზრო მეურნეობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს წარმოების დინამიკასა და ფასების დონეზე. ამიტომ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა და არ გამოიყენოს საბიუჯეტო-საგადასახადო ბერკეტები. ცენტრალურმა ბანკმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ფულად მიწოდებაზე. ფულადი მასის მატების ტემპი წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 3-5%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო მეწარმეობის მექანიზმი დაინგრევა და ინფლაცია გაიზრდება. ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება შემოიფარგლება ფულადი მასის მუდმივი ზრდის ტემპების შენარჩუნებით.

მონეტარიზმი დაუპირისპირდა კეინზიანელობას და იგი „ანტიკეინზიანურ რევოლუციად“ არის აღიარებული. ფრიდმენი და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლები, კეინზისაგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით, სახელმწიფოს სოციალური დანახარჯები, ერთი მხრივ, ზრდის ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, მეორე მხრივ, შრომის სტიმულების დაცემით აქვეითებს წარმოების ეფექტიანობას. მონეტარისტებისათვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა, არის ბაზარი, ხოლო ბაზარი – თვითრეგულირებადი სისტემა, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით.

XX საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან მონეტარიზმი საფუძვლად დაედო აშშ-ისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ბოლო პერიოდში მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ მ. ფრიდ-

მენის მონეტარულ თეორიას უკავშირებენ. ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების იგნორირებამ, წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ერთობლივი მოთხოვნის დაცემა.

მონეტარიზმის „ინტელექტუალურმა კოლაფსმა“ კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ასეთ სიტუაციაში წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია.

მონოპოლია (monopoly) [ბერძ. monos ერთი, pole ვყიდი] - 1. წარმოების, ვაჭრობის, რეწვის და ა.შ. განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა განსაზღვრულ ჯგუფს ან სახელმწიფოს; 2. მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება, რომელიც წარმოიქმნება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საფუძველზე. მონოპოლიის ძირითადი სახეებია: კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, კონცერნი, კონსორციუმი, კონგლომერატი; 3. საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არის ერთსახოვანი პროდუქციის ერთი მწარმოებელი (გამყიდველი, მიმწოდებელი) და მრავალი მომხმარებელი, მყიდველი. (საპირისპიროა — მონოპსონია). თუ ბაზარზე ერთი გამყიდველი და ერთი მყიდველია, მაშინ საქმე გვაქვს ორმხრივ მონოპოლიასთან. ასეთ სიტუაციას აბსოლუტურ მონოპოლიას უწოდებენ, თუმცა, როგორც სრულყოფილი კონკურენცია, ასევე, აბსოლუტური მონოპოლია არ გვხვდება რეალურ ცხოვრებაში.

მონოპოლიზაცია (monopolization) - მონოპოლიის დამყარების პროცესი.

მონოპოლისტი (monopolist) - 1. მონოპოლიის მფლობელი; 2. მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენელი.

მონოპოლიური კონკურენცია (monopolistic competition) - არასრულყოფილი კონკურენციის ფორმა. მონოპოლიური კონკურენციის თეორია შექმნეს ე. ჩემბერლინმა („მონოპოლიური კონკურენციის თეორია“, 1933) და ჯ. რობინსონმა („არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“, 1933).

ბაზრის ფაქტობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება მის უკიდურეს სიტუაციებს — მონოპოლიას ან სრულყოფილ კონკურენციას. ფირმები, რომლებიც აწარმოებენ მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას, მუშაობენ მონოპოლიური კონკურენციის პირო-

ბებში. პროდუქციის დიფერენციაცია ფირმებს ანიჭებს მონოპოლიური ძალაუფლების ელემენტებს — ყოველი მათგანისათვის მოთხოვნის მრუდს აქვს უარყოფითი დახრილობა, ამიტომაც ფირმას შეუძლია გავლენა მოახდინოს საბაზრო ფასზე. მაგრამ ზემოგების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია დარგში თავისუფლად შეღწევის გამო, ვინაიდან ახალ ფირმებს შეუძლიათ შეიმუშაონ და აწარმოონ ერთი და იმავე პროდუქციის სხვადასხვა მარკა ანალოგიური წარმოების დანახარჯების პირობებში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოკლევადიანი მოგება ქრება გრძელვადიან პერიოდში ახალი კონკურენტების წარმოქმნით.

მონოპოლიური კონკურენციის თეორია (theory of monopolistic competition) - საბაზრო ქცევის მოდელი, შექმნილი ე. ჩემბერლინისა და ჯ. რობინსონის მიერ 1933 წელს. მის მიხედვით, ბაზრის ფაქტობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება თავისუფალი კონკურენციის ან მონოპოლიების უკიდურეს სიტუაციებს. მსგავსი, მაგრამ არაიდენტური პროდუქციის მწარმოებელი ფირმები მუშაობენ მონოპოლიური კონკურენციის პირობებში და შეუძლიათ საბაზრო ფასებზე აქტიური ზემოქმედება. მაგრამ ზემოგების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია დარგში თავისუფალი შეღწევის გამო. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოკლევადიანი მოგება ქრება გრძელვადიან პერიოდში ახალი კონკურენციის წარმოქმნით.

მონოპსონია (monopsony) - საბაზრო სიტუაციის ერთ-ერთი სახეობა, როდესაც ბაზარზე არის მრავალი გამყიდველი და ერთი მყიდველი. საპირისპიროა — მონოპოლია. თუ ბაზარზე არის რამდენიმე გამყიდველი და ერთი მყიდველი, მაშინ მონოპსონია შეზღუდულია.

მორალური ცვეთა (obsolescence) - ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება: ა). ტექნიკური პროგრესის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად; ბ). უფრო სრულყოფილი, ეკონომიკურად გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარების წარმოებით მოქმედი მანქანა-დანადგარების დაძველება და მათი ფიზიკურად გაცვეთამდე წარმოებიდან განდევნა.

მოსალოდნელი ინფლაციის დონე (expected rate of inflation) - ინფლაციის დონე, რომელიც მომავალი პერიოდისთვის არის მოსალოდნელი არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის საფუძველზე.

მოსალოდნელი მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (net present value) – მომავალ-

ში განსახორციელებელი ოპერაციების დღევანდელი ღირებულება. ამ შემთხვევაში მომავალში გადახდის ფასი დღევანდელი ფულადი ერთეულით განისაზღვრება, სიტყვა „დისკონტირებული“ კი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მომავალი წლის ღირებულება დისკონტირებულია.

მოსახლეობის სოციალური დაცვა (social security, welfare) - კანონმდებლობით განმტკიცებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების მიზნობრივი სისტემა, რომელიც მოქმედებს დესტაბილიზაციის ფაქტორების, პირველ ყოვლისა, უმუშევრობის, ინფლაციის, სიღატაკის წინააღმდეგ. იგი ისე უნდა აიგოს, რომ შრომის დემოტივიზაცია არ გამოიწვიოს.

მოქმედების ლაგი (action lag) - დროის შუალედი პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა (განსაკუთრებით მაკროეკონომიკაში) და მის განხორციელებას შორის. ჩვეულებრივ მოქმედების ლაგს წინ უძღვის გადაწყვეტილების ლაგი. ეს უკანასკნელი პოლიტიკური ლაგის შემადგენელი ნაწილია.

მოქნილი ვალუტის კურსი (flexible exchange rate) - სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების გაცვლითი კურსის განსაზღვრის სისტემა, რომლის დროსაც ვალუტის კურსი ყალიბდება უმთავრესად საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ე.ი. მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე და არა სახელმწიფოს მიერ. ზოგჯერ მას მცურავი ვალუტის კურსის სისტემასაც უწოდებენ. როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს ვალუტის კურსის ფუნქციონირებაში ამა თუ იმ სახით ჩარევაზე, ამ სისტემას მცურავი ვალუტის კურსის წმინდა სისტემას უწოდებენ.

მოქნილი ფასი (flexible prices) - ფასი, რომელიც ადვილად იცვლება ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებისას.

მოხალისე ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი (მესკ) (International Corps of Volunteers Experts) - არაკომერციული და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია მრავალმხრივი დახმარება გაუწიოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. **მესკ** შეიქმნა 1969 წელს და ამჟამად 12 ათასზე მეტ ექსპერტ-სპეციალისტს ითვლის. მას აფინანსებენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, 200-ზე მეტი უმსხვილესი კორპორაცია და სხვ. **მესკ** ეხმარება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების დაწესებულებებს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში. იგი აფინანსებს ეკონომიკის განმსაზღვრელ

დარგებში პროგრესის დაჩქარების პროექტებს. მნიშვნელოვანია **მესპ**-ის საქმიანობა მარკეტინგის სფეროში. იგი ინვესტიციებით დიდად უწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. **მესპ**-მა საქართველოსთან თანამშრომლობა დაიწყო 1993 წლის ივლისიდან.

მოხმარება (consumption) - კვლავწარმოების ციკლის ბოლო სტადია, საქონლისა და მომსახურების გამოყენების პროცესი წარმოებრივი და არაწარმოებრივი (საბოლოო) მოხმარების სახით.

მოხმარება დამოკიდებულია როგორც სიმდიდრეზე, ისე მიმდინარე შემოსავალზე (მოსალოდნელი შრომითი შემოსავლიდან გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი ღირებულება).

მრეწველობა (industry) - გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით, ეკონომიკის მეორეული სექტორის — ინდუსტრიის უმსხვილესი შემადგენელი ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა მოპოვებით და დამმუშავებელ მრეწველობად.

მსოფლიო ბაზარი (World market) - საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის სფერო, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო დანაწილებას. იმ ქვეყნების ბაზრების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი სასაქონლო-ეკონომიკური ურთიერთობებით. მსოფლიო ბაზარმა წანამძღვრები შექმნა მსოფლიო მეურნეობის წარმოშობისათვის. მსოფლიო ბაზრის განვითარების დონე გამოხატავს წარმოების ინტერნაციონალიზაციის დონეს.

მსოფლიო ბანკი (World Bank) - აერთიანებს გაეროს სისტემაში შემავალ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის ხუთ ჯგუფს. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (აერთიანებს 185 ქვეყანას), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (აერთიანებს 166 ქვეყანას), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (აერთიანებს 179 ქვეყანას), მრავალმხრივი ინვესტირების გარანტიის სააგენტო (აერთიანებს 172 ქვეყანას) და საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (აერთიანებს 143 ქვეყანას). ამ ხუთ ჯგუფს ჰყავს საერთო ხელმძღვანელობა და აქვს საერთო მიზანი — განვითარებადი ქვეყნების ფინანსური დახმარება და ცხოვრების დონის ამაღლება. საქართველო ხუთივე ჯგუფის წევრია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum - WEF) – ჩამოყალიბდა 1971 წელს ევროპული მენეჯმენტის ფორუმის სახით, რომლის ძირითადი მი-

ზანი იყო ამერიკული მენეჯმენტის მეთოდების დამკვიდრება ევროპულ კომპანიებში. 1987 წელს, ფუნქციების გაფართოებასთან დაკავშირებით შეეცვალა სახელწოდება და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ეწოდა.

მსოფლიო მეურნეობა - (world economy) - მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა, მათი ეკონომიკური ურთიერთკავშირი, რომელიც მოიცავს საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სამუშაო ძალის (შრომითი რესურსების) მიგრაციას, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების შექმნას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას, ეკონომიკური ხელშეკრულებების დადებასა და ა.შ. თანამედროვე პირობებში გლობალური პრობლემების გამწვავებამ გააძლიერა მსოფლიომეურნეობრივი კავშირები.

მსოფლიო სავალუტო სისტემა (world monetary system) - საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო მიმოქცევას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროს. მან თავის განვითარებაში განვლო ოთხი ეტაპი. **პირველი ეტაპი** იწყება XIX საუკუნი 70-იანი წლებიდან და გრძელდება პირველ მსოფლიო ომამდე. იგი ცნობილია ოქროს სტანდარტის თავდაპირველი ფორმის — **ოქრომონეტური სტანდარტის** სახით. ეს უკანასკნელი გულისხმობდა: 1. ოქროს მონეტების თავისუფალ მოჭრას; 2. ღირებულების ნიშნების თავისუფალ გადახურდავებას ოქროს მონეტებზე; 3. ოქროს თავისუფალ ექსპორტ-იმპორტს. ვალუტის შექცევადობის სრულყოფილი ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ერთი ქვეყნის ვალუტის ფიქსირებული პარიტეტის მიხედვით გაცვლაში არა მხოლოდ სხვა ვალუტაზე, არამედ ოქროზეც, ოქრომონეტური სტანდარტის კრახამდე შემორჩა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის სწრაფმა აღმავლობამ ბევრ ქვეყანაში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.) აღადგინა ვალუტის სრულყოფილი შექცევადობა არა ოქროს მონეტებში, არამედ ოქროს ზოდებში. ჩამოყალიბდა ოქროს სტანდარტის მეორე ფორმა — **ოქროზოდური სტანდარტი**, რომელიც მოქმედებდა XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ეს პერიოდი მსოფლიო სავალუტო სისტემის განვითარების **მეორე ეტაპია**, რომლისთვისაც დამახასიათებელია ღირებულების ნიშნების გადახურდავება ოქროს ზოდებზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მეტწილად კოლონიურ ქვეყნებში), ოქროს ფონდის სიმცირის გამო, შემოიღეს **ოქროდევიზური**

სტანდარტი, რომელიც ძირითადად ითვალისწინებდა ბანკნოტების უცხოურ ვალუტაზე გადახურდავებას. როგორც ოქროზოდური, ისე ოქროდევიზური სტანდარტის დროს ნებადართული იყო თავისუფალი ექსპორტ-იმპორტი. მსოფლიო სავალუტო სისტემის ორგანიზაციის ეს ახალი ტიპი იურიდიულად გაფორმდა 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. მის საფუძველს ოქროს ზოდები და დევიზები შეადგენდა.

ვალუტის სრულყოფილი შექცევადობა (ე.ი. ოქროს სტანდარტული სისტემა) გაგრძელდა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. „დიდი დეპრესიის" წლებმა მძლავრი დარტყმა მიაყენა ოქროს სტანდარტს და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის არსებობას. დაიწყო მსოფლიო სავალუტო სისტემის კრიზისი, რაც გამოიხატა სავალუტო შეზღუდვების შემოღებით, ოქროს თავისუფალი გატანა-შემოტანის აკრძალვით, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების გაუფასურებით და ა.შ. მეორე მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გააღრმავა გენუის სავალუტო სისტემის კრიზისი.

მსოფლიო სავალუტო სისტემის **მესამე ეტაპი** უკავშირდება **ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის** შექმნას. იგი იურიდიულად გაფორმდა ბრეტონ-ვუდსის (აშშ-ის კურორტი) ცნობილ კონფერენციაზე, რომელმაც განსაზღვრა ახალი მსოფლიო სავალუტო სისტემის შემდეგი ძირითადი ფუნქციები: 1) ოქროსავალუტო სტანდარტის შემოღება; 2) ფიქსირებული სავალუტო კურსების დაწესება; 3) მსოფლიო სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნა. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის შექმნით საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ქვეყნის სავალუტო კავშირების სახელმწიფოთაშორის რეგულირებას. შეიქმნა ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლის ანუ ურთიერთკონვერტირების სამართლებრივი მექანიზმი. სავალუტო რეზერვს ოქროსთან ერთად წამყვანი ვალუტებიც შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო მექანიზმის განმსაზღვრელი ძირითადად ამერიკული დოლარი გახდა. მას დაეკისრა მთავარი სარეზერვო ვალუტის როლი. ამასთან, 60-იან წლებში სტაბილური კურსი დაიმკვიდრა გფრ-ის მარკამ და იაპონურმა იენმა.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.

70-იანი წლების დასაწყისში ტრანსნაციონალური კაპიტალის ჩამოყალიბებამ გააძლიერა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია. აშშ-მა შეწყვიტა დოლარის ოქროზე

გაცვლა ოფიციალური ფასებით, რის გამოც საერთაშორისო სავალუტო მექანიზმის ძირითადი რგოლები მწყობრიდან გამოვიდა. დაიწყო მსოფლიო სავალუტო სისტემის კრიზისი, რამაც დღის წესრიგში დააყენა მისი რეფორმის აუცილებლობა. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემამ არსებობა შეწყვიტა.

1976 წლიდან მსოფლიო სავალუტო სისტემის განვითარებაში დაიწყო **მეოთხე ეტაპი.** იამაიკის ქალაქ კინგსტონში განისაზღვრა ახალი მსოფლიო სავალუტო სისტემის კონტურები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებით 1978 წელს გაუქმდა ოქროს პარიტეტი.

ოქრო, რომელიც სავალუტო სისტემაში XX საუკუნის 70-იან წლებამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გამოიდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი საბოლოო დემონეტიზაციის შესახებ. მთავარი ვალუტის სტატუსი მიენიჭა ამერიკულ დოლარს, ხოლო განმსაზღვრელი როლი — საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს. დოლარი, ფაქტობრივად, დარჩა საერთაშორისო საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებად. ეს ძირითადად განაპირობა აშშ-ის უდიდესმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და მსოფლიოში მისმა ყველაზე დიდმა ოქროს მარაგმა (მსოფლიოში არსებული ოქროს მარაგის 35,8 ათასი ტონიდან 8,14 ათასი ტონა აშშ-ზე მოდის). შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემას დოლარის სტანდარტსაც უწოდებენ. **იამაიკის სავალუტო სისტემაში** ახალი სავალუტო რეჟიმის დამყარებით დაკანონდა მცურავი გაცვლითი კურსი. ამის გამო, ამჟამინდელი სავალუტო სისტემა ცნობილია მცურავი კურსის სისტემის სახელწოდებით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია-მსო (world trade organization-**WTO**) - იხ. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება.

მსოფლიო ფასი (world market price) - ფასი, რომელიც გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისას. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში მსოფლიო ფასი ჩვეულებრივ არის ამა თუ იმ სახის საქონლის უმსხვილესი გამყიდველებისა და მყიდველების გარიგების ან ძირითადი მსოფლიო სავაჭრო ცენტრების (მაგ., ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟის, ნიუ-იორკის ბამბის ბირჟის, ლონდონის ლიონის ბირჟის და ა.შ.) ფასი. თანამედროვე მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია ერთსა და იმავე საქონელზე მრავალგვარი ფასი, რაც განპირობებულია ეკონომი-

კური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის ფაქტორებით (საბაჟო და საგადასახადო ბარიერი, სახელმწიფო პროტექციონიზმი, ვაჭრობის განსაკუთრებული პირობები თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში). ამიტომ გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ რეგიონში განსაზღვრულ საქონელზე რეალური ფასი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მსოფლიო ფასისაგან.

არსებობს მსოფლიო ფასის რამდენიმე სახეობა: სავაჭრო გარიგებებისას — ფასები თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის გადახდით; სავაჭრო გარიგებებისას — ფასები არაკონვერტირებადი ვალუტის გადახდით; კლირინგული შეთანხმების ფასები; არასავაჭრო ოპერაციების ფასები; ტრანსფერული ფასები.

„მსხვერპლის“ ნორმა (sacrifice ratio) – ჭარბი უმუშევრობის წლიური ერთეულის ოდენობა, რომელიც საჭიროა ინფლაციის 1%–ით შემცირების მისაღწევად.

მტაცებლური, დამანგრეველი ფასწარმოქმნა (predatory pricing) - ფასების დროებითი დაცემა წარმოების დანახარჯებზე დაბლა, კონკურენციის შევიწროების ან შესუსტების მიზნით. ასეთი პრაქტიკა დამახასიათებელია, როგორც წესი, მსხვილი მრავალპროფილიანი ან რამდენიმე ბაზარზე მომუშავე ფირმებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გაუძლონ ფასების ხანგრძლივ შემცირებას პროდუქციის ერთ სახეობაზე ან ფასების დაცემას ერთ ბაზარზე სხვა პროდუქციაზე ან სხვა ბაზარზე ზარალის კომპენსაციის გზით, მოგების ზრდის მოლოდინით მას შემდეგ, როგორც კი კონკურენტები იქნებიან შევიწროებულნი და შესუსტებულნი.

მტკიცე ფასი (fixed, firm price) - უცვლელი ფასი ხელშეკრულების დადების მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. მოკლევადიან პერსპექტივაში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები მასზე გავლენას არ ახდენს. გრძელვადიან გარიგებებში მხარეები ჩვეულებრივ გაურბიან მტკიცე ფასებს, რითაც ცდილობენ შეამცირონ დანაკარგები საბაზრო ფასების შეცვლის შემთხვევაში. მტკიცე ფასების დაწესება ხელსაყრელია გამყიდველისათვის ფასების დაცემისას, ხოლო მყიდველისათვის — ფასების გაზრდისას.

მუდმივი დანახარჯი (fixed cost) - დანახარჯი, რომლის მოცულობაც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად. ეს ის დანახარჯია, რომელიც მოკლევადიან პერიოდში არ შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს პროდუქციის გამოშვების გადიდების ან შემცირების პროპორციულად. მუდმივ დანახარჯს ფირმა გაიღებს მაშინაც, როცა წარმოება არ ფუნქციონი-

რებს. მას მიეკუთვნება: რენტული გადასახადი, სესხზე სარგებელი, სადაზღვევო შენატანები, დაცვის, შენობის განათების დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ.

მულტიპლიკატორი (multiplier) [<ლათ. multiplicator მამრავლი] - კოეფიციენტი (**K**), რომელიც გამოხატავს გარკვეულ რაოდენობრივ თანაფარდობას ფუნქციონალურად ერთმანეთზე დამოკიდებულ ორ ან მეტ ცვალებად ეკონომიკურ სიდიდეს შორის. ერთობლივი მოთხოვნის მატების ერთ ერთეულზე ერთობლივი მიწოდების ცვლილების კოეფიციენტი.

დასაქმების მულტიპლიკატორი გამოხატავს რაოდენობრივ თანაფარდობას ერთობლივი დასაქმების ნამატსა და ინვესტიციების ნამატს შორის.

ინვესტიციის მულტიპლიკატორი ასახავს რაოდენობრივ თანაფარდობას შემოსავლებისა და ინვესტიციების ნამატს შორის. თუ ინვესტიციის მოცულობა იზრდება, შემოსავალი მატულობს იმ სიდიდით, რომელიც **K**-ჯერ მეტი იქნება ინვესტიციის ნამატზე. მაგ., თუ ინვესტიციის 10 მლნ დოლარით ზრდა იწვევს შემოსავლის ზრდას 40 მლნ დოლარით, მაშინ მულტიპლიკატორი 4-ის ტოლი იქნება.

შემოსავლის მულტიპლიკატორი გამოხატავს რაოდენობრივ დამოკიდებულებას შემოსავლების ნამატსა და ინვესტიციების განსაზღვრულ სიდიდეს შორის. შემოსავლების ნამატი უდრის ინვესტიციების ნამატს, გამრავლებულს მულტიპლიკატორზე. ფორმულით გამოიხატება ასე:

$$\Delta Y W = \Delta iwk.$$

მულტიპლიკატორული ეფექტი (multiplier effect) - რეალური ინვესტიციების ან ერთობლივი მოთხოვნის სხვა კომპონენტების ცვალებადობისას რეალური ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილების ეფექტი. მაგ., როდესაც საბიუჯეტო პოლიტიკა იწვევს ეკონომიკის სუბიექტების შემოსავლების ზრდას, შესაბამისად იზრდება სამომხმარებლო ხარჯებიც.

მუნიციპალიზაცია (municipalization) [<ლათ. municipium თვითმმართველი თემი] - სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კერძო პირთათვის საკუთრების ჩამორთმევა და გადაცემა ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობისათვის – მუნიციპალიტეტისათვის.

მუნიციპალიტეტი (municipality) [<ლათ. municipium თვითმმართველი თემი] - 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე შენობა, რომელიც ამ ორგანოს უკავია; 2. დაბალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ავსტრალიაში, ვენესუელა-

სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

მყიდველის ბაზარი (buyer's market) - სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას, რის გამოც ფასი ეცემა და გამყიდველებს უჭირთ პროდუქციის რეალიზაცია.

მცირე ბიზნესი (small business) - საბაზრო სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე მოქნილი და დინამიკური ფორმა, რომელიც წვრილი მეწარმეობის პრინციპებზეა დაფუძნებული და წარმოდგენილია უმცირესი და მცირე ფირმების სახით. მისი განვითარება ჯანსაღი საბაზრო გარემოს ფორმირების აუცილებელი პირობაა. მცირე საწარმოთა სიმრავლე ხელს უწყობს კონკურენციის წარმოქმნას, მონოპოლიზმის აღმოფხვრას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ყველა სახის რესურსის, მათ შორის, შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნედლეულის წყაროებთან და გასაღების ბაზრებთან სიახლოვის შედეგად სატრანსპორტო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას, როგორც ქალაქში, ისე სოფლად თანამედროვე სტანდარტებისა და ცხოვრების სტილის გავრცელებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს მსხვილი საქალაქო აგლომერაციის ზრდის შეზღუდვას (საქართველოს სინამდვილეში სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებას უნდა დავუკავშიროთ მრავალი მივიწყებული სოფლის აღდგენა-განვითარების საკითხი).

მცირე ბიზნესის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური აგენტების სიმრავლე მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მყარ საფუძველს ქმნის სოციალური განვითარებისათვის. ამიტომ არის, რომ მთელ მსოფლიოში აღინიშნება მცირე ბიზნესის სწრაფი განვითარება, თუმცა, არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და პანაცეად მიჩნევა.

მცირე ბიზნესს არ შესწევს ძალა ძვირადღირებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის. მცირე ბიზნესი ძალზე მგრძნობიარეა ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებისადმი. მასზე ზოგჯერ გამანადგურებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი. მცირე ბიზნესის წარმართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტზე პროცენტის განაკვეთის დონე. საქმე ისაა, რომ მცირე ფირმები გამუდმებით განიცდიან კაპიტალის ნაკლებობას და მსხვილ კომპანიებზე მეტად არიან დამოკიდებული მიმდინარე ბრუნვის დაკრედიტებაზე. ბანკები კი საერთოდ გაურბიან მათ დაკრედიტებას ან ცდილობენ გაწეული რისკისათვის ამ ფირმებისაგან, როგორც ნაკ-

ლებად საიმედო მსესხებლებისაგან, კომპენსაცია მიიღონ ჩვეულებრივზე მაღალი პროცენტის დაწესებით. ბიზნესის მცირე მასშტაბი წვრილ საწარმოებს არ აძლევს საშუალებას, გამოიყენონ კაპიტალის მოზიდვის სხვა წყაროები, მაგალითად, გამოუშვან აქციები. მათ უჭირთ ისეთი ინვესტორების მოძებნა, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან თავიანთი სახსრების ამ ფირმების საქმეში დაბანდებით. მცირე ბიზნესის პრობლემებს კიდევ უფრო ართულებს ინფლაციური პროცესების გაძლიერება, კერძოდ, ფასების ზრდის გამო მატულობს ფულზე მოთხოვნა. ინფლაციის დროს მცირე საწარმოებს არ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ თავიანთი პროდუქციის საბაზრო ფასებისა და დანახარჯების დონეს, რაც ბევრად უფრო ხელმისაწვდომია მსხვილი ფირმებისათვის. ყოველივე ამის გამო, მცირე ფირმები ხშირად ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან. მაგ., დიდი ბრიტანეთის დასაქმების სამინისტროს მონაცემებით, მცირე ფირმების „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა“ 7 წელია.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, მცირე ბიზნესის უარყოფით მხარეებს უდავოდ სჭარბობს დადებითი, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში შესაძლებელი გახადა გიგანტებისა და მცირე ფირმების თანაარსებობა. ამ უკანასკნელთა სიცოცხლისუნარიანობას დიდად უწყობს ხელს მათ დასაცავად გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საგადასახადო, საკრედიტო და სხვა შეღავათებს, ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ. **მცირე ბიზნესს იცავს მცირე და საშუალო საწარმოთა მსოფლიო ასოციაცია.**

ამრიგად, მცირე ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემდეგი ხუთი ძირითადი ფაქტორი: 1. საბაზრო კონიუნქტურის მდგომარეობა; 2. კრედიტზე პროცენტის განაკვეთის დონე; 3. კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები; 4. ინფლაციის ტემპები; 5. ბიზნესის სამთავრობო რეგლამენტაცია.

სხვადასხვა ქვეყანაში უმცირეს, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა კრიტერიუმები განსხვავებულია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტერიუმია დასაქმებულთა რიცხოვნობა, რომელიც სხვადასხვა პარამეტრით ხასიათდება. მაგ., აშშ-ში უმცირესად ითვლება ფირმა, რომელშიც 10 კაცამდეა დასაქმებული, მცირედ – 10-დან 500 კაცამდე, ხოლო მსხვილ ფირმად – 500 და მეტი დასაქმებული. იტალიაში უმცირეს ფირმათა რიცხვს მიეკუთვნება საწარმოები, სადაც 1-დან 20-მდე

კაცი მუშაობს, მცირე საწარმოებში დასაქმებულია 20-დან 100-მდე კაცი, საშუალოში 100-დან 500-მდე, ხოლო მსხვილ ფირმებში – 500 და მეტი. საფრანგეთში საწარმო, სადაც 10-მდე კაცია დასაქმებული უმცირესი ფირმაა, 10-დან 50 კაცამდე – მცირე, 50-დან 500-მდე საშუალო, 500 და მეტი – მსხვილი. დიდ ბრიტანეთში მცირე ფირმებს მიეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულია 1-დან 100-მდე კაცი, საშუალოს – 100-დან 500-მდე. გფრ-ში მცირედ ითვლება საწარმო დასაქმებულთა რიცხოვნობით 1-დან 50 კაცამდე, ხოლო საშუალოს მიაკუთვნებენ ისეთ ფირმებს, სადაც 50-იდან 500-მდე კაცი მუშაობს.

საქართველოში მცირეს მიეკუთვნება ფირმა, რომელშიც 20-მდე კაცია დასაქმებული, ხოლო საშუალოწლიური ბრუნვა 500 ათას ლარამდეა, საშუალოს მიეკუთვნება 20-დან 100-მდე კაცი (საშუალოწლიური ბრუნვა 500 ათასიდან 1,5 მლნ ლარამდე), მსხვილს – 100 და მეტი (საშუალოწლიური ბრუნვა 1,5 მლნ ლარი და მეტი).

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა წვრილი მეწარმეობის სწრაფი ზრდით ხასიათდება. მაგ., აშშ-ში მცირე ბიზნესს ეწევა ფირმების 99%, რომელთა წილადაც მოდის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 40%, მათ შორის, მომსახურების სფეროში – 81%; იაპონიაში სულ ითვლიან 9 მლნ ფირმას, აქედან, 85%-მდე მცირეა. მცირე ბიზნესს იქ ეწევა დასაქმებულთა 3/4; საფრანგეთში განსაკუთრებით გავრცელებულია უმცირესი ფირმები. ისინი შეადგენენ საწარმოთა საერთო რაოდენობის 96,6%-ს, მცირე საწარმოები – 2,8%-ს, საშუალო – 0,5%-ს (ე.ი. სულ უმცირეს, მცირე და საშუალო ფირმებზე მოდის 99,9%), ხოლო მსხვილი კომპანიები – 0,1%-ს; იტალიაში ყოველ 15 კაცზე მოდის ერთი მცირე ან უმცირესი ფირმა; ბრიტანულ ეკონომიკაში სწრაფად ვითარდება მიკრობიზნესი. ერთკაციანი საწარმო საკმაოდ მრავალრიცხოვანი კატეგორიაა დიდი ბრიტანეთის დასაქმების სტრუქტურაში, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ეს თავისებურება დამახასიათებელია შვედეთისათვისაც, სადაც მომსახურების სექტორის ზოგიერთ დარგში ფირმების ნახევარზე მეტი ერთი კაცითაა წარმოდგენილი. გერმანიაში მცირე ბიზნესი სამეურნეო განვითარების სტაბილიზაციისა და სოციალური ამოცანების გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების რეალიზაციის ძირითადი გზაა. ამ საქმით მომსახურების სფეროში დაკავებულია მომუშავეთა 75%; უკანასკნელ პერიოდში დიდი

გაქანება მიეცა მცირე ბიზნესის განვითარებას სამხრეთ კორეაშიც. ბოლო ათწლეულში ამ ტიპის საწარმოთა რიცხვი ფირმების საერთო რაოდენობაში 9-იდან 62%-მდე გაიზარდა. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესი საქართველოშიც დაიწყო. ბოლო მონაცემებით, მცირე საწარმოთა რიცხვმა 17 ათასს გადააჭარბა, ხოლო საშუალო საწარმოთა რიცხვმა – 3 ათასს.

მცირე პრივატიზაცია (small privatisation) - სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე მრეწველობისა და სხვა დარგების მცირე საწარმოებში. მცირე პრივატიზაცია, როგორც წესი, მოკლე დროში ხორციელდება, რასაც უზრუნველყოფს ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება საბოლოო შედეგებით პრივატიზაციის მონაწილეთა მატერიალური დაინტერესებისათვის. შრომით კოლექტივებს ეძლევათ ფინანსური შეღავათები საწარმოთა შესაძენად. მცირე პრივატიზაციის პრინციპები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას საპრივატიზაციო საწარმოებისადმი ისეთი მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ფართობი, ძირითადი კაპიტალის თავდაპირველი ღირებულება, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა და სხვ. მცირე პრივატიზაციის ობიექტებს მიეკუთვნება: 150 კვ. მ-ზე ნაკლები ფართობის მქონე მაღაზიები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სადაც 50-ზე ნაკლები დასაჯდომი ადგილია, პავილიონები, ფარდულები, კიოსკები, სავაჭრო ავტომატები და სხვა წვრილი ობიექტები. მცირე პრივატიზაცია ფორმდება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებით.

„მცირე ქვეყნები“ (small countries) - ღია ეროვნული ეკონომიკები, რომლებიც ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების ფასების განსაზღვრისას მსოფლიო ბაზრის ფასებს იყენებენ. ერთსა და იმავე ქვეყანას შეუძლია უკარნახოს მსოფლიო ბაზარს ფასები საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე და წარმოადგენდეს „მცირე ქვეყანას“ საქონლის სხვა ჯგუფებზე მსოფლიო ფასების ფორმირებისას ანუ მიიღოს სხვის მიერ დადგენილი მსოფლიო ფასები.

მცურავი გაცვლითი კურსი (floating exchange rate) - გაცვლითი კურსი, რომელიც ვალუტის ბაზარზე ცენტრალური ბანკის ინტერვენციის გარეშე, მოთხოვნა–მიწოდების საფუძველზე განისაზღვრება. ვალუტის კურსის მართვის მეთოდი. გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოცხადებული ვალუტების

ოფიციალური კურსის რეგულირებისათვის. ქვეყნებს აქვთ უფლება, შეცვალონ გაცვლითი კურსი შიდა ბაზრის გაწონასწორების მიზნით.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი (producer price index) - მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს შუალედური მოხმარების ნედლეულზე, მასალებსა და სხვა საქონელზე ფასების ცვალებადობის საშუალო დონეს საბაზისო პერიოდთან შედარებით. გამოიყენება **მეპ**-ის მაქსიმალურად დეტალიზებული კომპონენტების შესადარ ფასებში გასაანგარიშებლად.

მწარმოებლის ფასი (producer price) - ფასი, რომელიც მოიცავს საქონლის (მომსახურების) საბაზისო ფასს, ყველა არაპირდაპირ გადასახადს (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის გარდა) და გამორიცხავს სუბსიდიებს.

მწარმოებლურობა (productivity) - წარმოების რეალური მოცულობის დამოკიდებულება გამოყენებული რესურსების რაოდენობის მიმართ. გამოითვლება ფორმულით:

$$E = \frac{Q}{K},$$

სადაც **E** მწარმოებლურობაა, **Q** - წარმოების რეალური მოცულობა, **K** - დანახარჯი. პროდუქციის ერთეულზე დანახარჯის შემცირება იწვევს მწარმოებლურობის გადიდებას და, პირიქით.

მწარმოებლურობის ზრდა კაპიტალისა და შრომის გამოყენების ეფექტიანობის ზრდის შედეგია, თუმცა, ხშირად შეუძლებელია კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობის გამიჯვნა. პრაქტიკაში ეს ტერმინი, ჩვეულებრივ, გამოიყენება შრომის მწარმოებლურობასთან მიმართებაში.

მწარმოებლურობის თეორიები (theory of productivity) - ეკონომიკური თეორიები, რომლებიც განიხილავენ წარმოებისა და განაწილების ურთიერთმოქმედებას, მის შედეგებს და გავლენას წარმოების მონაწილეებზე. თავდაპირველად გამოდიოდა **წარმოების ფაქტორთა თეორიების** (ჟ.ბ. სეი, ფ. ბასტია და სხვ.) სახით, რომელთა მიხედვით წარმოების თითოეული ფაქტორი (შრომა, კაპიტალი, მიწა) მონაწილეობს საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში და, შესაბამისად, შემოსავალი ანაწილდება ხელფასის, მოგების და რენტის სახით. XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელი ეკონომისტის ჯ.ბ. კლარკის მიერ შემუშავებულ იქნა **ზღვრული მწარმოებლურობის თეორია.** თავდაპირველად წარმოიშვა როგორც ღირებულების შექმნისა და განაწილების თეორია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მან ბიძგი მისცა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებას.

ნ

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (Organization of Petroleum Exporting Countries - **OPEC**) - საერთაშორისო ოლიგოპოლიური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1960 წელს და აერთიანებს „მესამე სამყაროს" ნავთობის ექსპორტიორ 13 ქვეყანას. ესენია: ვენესუელა, საუდის არაბეთი, ალჟირი, ნიგერია, ლიბია, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ირანი, ერაყი, ეკვადორი, კატარი, გაბონი და ინდონეზია. ორგანიზაციის მთავარი მიზანია ნავთობის მოპოვების კოორდინაცია, ექსპორტიორი ქვეყნებისათვის ნავთობზე ფასისმიერი პოლიტიკისა და წარმოებრივი სტრატეგიის შემუშავება. ამასთან, იგი ითვალისწინებს კრედიტების მიცემით არაწევრი განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას, როგორც საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად, ისე განვითარების პროექტების დასაფინანსებლად.

ორგანიზაციის გავლენა მკვეთრად დაეცა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც მსოფლიოში გაიზარდა ნავთობის მიწოდება არაწევრი ქვეყნებიდან.

ნატურალური მეურნეობა (subsistence economy) - მეურნეობის ტიპი, რომლის დროსაც შრომის პროდუქტები იწარმოება თვით მწარმოებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და არა გასაყიდად.

ნაღდი ბაზარი (spot market) - ბაზარი, სადაც ხორციელდება საქონლით ან ვალუტით ვაჭრობა დაუყოვნებელი მიწოდებით. ასეთი ბაზრები უნდა განვასხვაოთ ფიუჩერსული ან ფორვარდული ბაზრებისაგან, სადაც იდება კონტრაქტები სამომავლოდ, რომელიღაც თარიღისთვის მიწოდებაზე. საქონლის ბაზრებზე ფასებს უწოდებენ „ნაღდ ფასებს" – „ნაღდ კურსს" ან „სპოტ კურსს".

ნაციონალიზაცია (nationalization) – კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გარდაქმნა ანუ პრივატიზაციის საწინააღმდეგო პროცესი.

ნეგოციანტი (merchant) - ბითუმად მოვაჭრე, კომერსანტი, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობის ოპერაციებში.

ნეკროეკონომიკა (necroeconomy) – ეკონომიკის პათოლოგიური, შეიძლება ითქვას, მკვდარი ნაწილი, რომელიც მცდარი გზით განვითარებული კომუნისტური და ამჟამად პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ნეკროეკონომიკა მართალია ახორციელებს მიწოდებას, მაგრამ მის მიერ წარმოებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია (დაბალხ-

არისხიანი ან ძვირადღირებული) საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. ამიტომ ასეთ პროდუქციაზე არ არსებობს მოთხოვნა, თუმცა, რამდენადაც ალოგიკურად უნდა მოგვეჩვენოს, მთავრობის ხელშეწყობით არსებობს მიწოდება (წარმოება).

ნეკროეკონომიკა ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორების გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო საწარმოებში.

როგორც ცნობილი მეცნიერი და ეკონომიკის ექსპერტი ვ. პაპავა აღნიშნავს, „იქ წარმოებული პროდუქტი, სახეობათა დანიშნულებიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც სტრატეგიული, თუმცა, არაკონკურენტუნარიანობის გამო, ეს საწარმოები ბაზრის პირობებში მკვდარია“ (**ვ. პაპავა**. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, 2011).

ნეკროეკონომიკისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ხელს უშლის აღნიშნულ ქვეყნებს განთავისუფლდნენ ამ არატრადიციული ეკონომიკისაგან. პრივატიზაციის პროცესმა კიდევ უფრო დაამძიმა იგი, ვინაიდან სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლა სულაც არ ნიშნავს ასეთი, ბაზრის არაადეკვატური საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას. რეფორმების საწყის ეტაპზე, ინვესტირებისგან იზოლირებულად, პრივატიზაციის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო, რაც განსაკუთრებით მცირე პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის გახდა თვალჩენილი. იხ. რუტინა.

ნეოგლობალიზმი (neoglobalism) – (neoglobalism) - ამერიკული დოქტრინა, რომელიც ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით, შეიქმნა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე. ითვალისწინებს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევას), მის საფუძველზე ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრას, რომელშიც დომინირებული პოზიცია აშშ-ს უკავია, თუმცა, 1997 წლიდან ამ პროცესში მონაწილეობს „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს“ გაფართოების საფუძველზე შექმნილი „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ სხვა უმსხვილესი ქვეყნებიც.

ნეოკეინზიანელობა (Neo-Keynesianism) - ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე თეორია, რომელიც აღმოცენდა XX

საუკუნის 50-იან წლებში კეინ-ზიანელობის საფუძველზე და მისი მოდერნიზებული ფორმაა. ნეოკეინ-ზიანელებმა (დომარი, კალდორი, ჰაროდი, ფელნერი, რობინსონი, ჰამ-ბერგი, ჰანსენი და სხვ.) კეინზის თეორია გამოიყენეს, როგორც პლაცდარმი, მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახ-ელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის. კეინზის თეორიაზე დაყრდნობითა და, ამავე დროს, მისი კრიტიკით, მათ შექმნეს სრულიად ახალი კონცეფცია. ნეოკეინზიანელები ას-აბუთებენ იმ სახელმწიფო ორგა-ნოების საქმიანობის ცენტრალი-ზებული კოორდინაციის აუცილე-ბლობას, რომლებიც ეკონომიკის გრძელვადიანი „დაგეგმვის“ საფუძ-ველზე ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. საქმე ეხება ინდიკატურ დაგეგმ-ვას, რომელიც არ ზღუდავს კერ-ძო კაპიტალის სუვერენულ უფლე-ბებს. ნეოკეინზიანელები დი-ნამიკური წონასწორობის პირო-ბად ეროვნული შემოსავლის მატე-ბის მყარ ტემპს მიიჩნევენ, ხოლო ეროვნული შემოსავლის ზრდას მხოლოდ კაპიტალის დაგროვებ-ის ფუნქციაში ხედავენ, დანარჩენ ფაქტორებს კი (დასაქმების გა-დიდებას, მოწყობილობათა გამოყე-ნების ხარისხს, წარმოების ორგა-ნიზაციის სრულყოფას და სხვ.) მთლიანად გამორიცხავენ.

ნეოკეინზიანელობა უპირის-პირდება ნეოკლასიკურ მიმა-რთულებას: პირველი ყურადღებას ამახვილებს მოთხოვნაზე, მეორე – მიწოდებაზე. ნეოკეინზიანელე-ბი მოითხოვენ ეკონომიკური ზრ-დის ექსტენსიური ფაქტორების სტიმულირებას სახელმწიფო ხარ-ჯების გადიდების საფუძველზე, ხოლო ნეოკლასიკოსები, პირიქით, სახელმწიფო სახსრების ეკონომი-ის აუცილებლობაზე მიუთითებენ და ხაზს უსვამენ ინტენსიური ფაქ-ტორების მნიშვნელობას ეკონო-მიკური ზრდის ტემპების ამაღ-ლებაში. ეკონომიკის სტაბილიზა-ციაში ნეოკეინზიანელები უპირატე-სობას ანიჭებენ საბიუჯეტო-სა-გადასახადო რეგულირების ინ-სტრუმენტების გამოყენებას, ხოლო ნეოკლასიკოსები – ფულად-საკრედიტო სისტემას.

ნეოკლასიკური ეკონომი-კური თეორია (neoclassic econo-mic theory) - ეკონომიკური თეო-რიის ერთ-ერთი ძირითადი მიმა-რთულება. წარმოიშვა XIX საუკუ-ნის 70-იან წლებში. მის სათა-ვეებთან იდგნენ კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი (ავსტრი-ული სკოლა), უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო (მათემატიკუ-რი სკოლა) ჯ. ბ. კლარკი (ზღვრუ-ლი მწარმოებლურობის ამერიკუ-ლი სკოლა). ნეოკლასიკურმა მი-მართულებამ დასრულებული სახე

ა. მარშალის (კემბრიჯის სკოლა) ნაშრომებში მიიღო. მისი თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი (დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი (აშშ) და სხვები.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ეყრდნობა XX საუკუნის მარჟინალიზმის ძირითად მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. იგი წარმოიშვა, პირველ ყოვლისა, შრომითი ღირებულების თეორიის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე. ავსტრიული და მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჯ. ბ. კლარკმა, დასაბამი მისცეს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას. პირველი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელშიც ზღვრული სარგებლიანობა ფასის ერთადერთ საფუძვლად არის მიჩნეული, შექმნა ჯევონსმა. მოგვიანებით ეს კონცეფცია განავითარა ვალრასმა საყოველთაო ეკონომიკური წონასწორობის მოდელის ასაგებად. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ზოგადმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა კლარკის ზღვრული მწარმოებლურობის თეორიაში.

ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანელობის წარმოშობამ. კეინზიანელების კრიტიკისა და ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოთხოვნილებების გავლენით, ნეოკლასიკური მიმართულების მიმდევრებმა გადასინჯეს ზოგიერთი ძველი კონცეფცია და ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. ისინი აღიარებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას საბაზრო ძალების თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფისათვის. ამასთან, ნეოკლასიკური მიმართულების თანამედროვე წარმომადგენლებიც, კეინზიანელებისაგან განსხვავებით, უარყოფენ სახელმწიფო კონტროლს კვლავწარმოების პროცესებისადმი, განსაკუთრებით სახელმწიფო ხარჯების ზრდისადმი და მოითხოვენ ეკონომიკაში ჩარევის შემოფარგვლას რეგულირების ფულად-საკრედიტო ფორმებით.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მოდელის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ გაილაშქრა ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ნაირსახეობამ — მონეტარიზმმა. მისი მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი ეკონომისტი მ. ფრიდმენი. ამ მიმდინარეობას დასავლეთში „ფრიდმენის ანტიკეინზიანურ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ. მონეტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად თვლიან მიმოქცევაში ფულადი მასის მყარ ზრ-

დას წლიურად 3-5%-ის ფარგლებში და მოითხოვენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას.

არსებითი ევოლუცია განიცადა **ზღვრული სარგებლიანობის თეორიამ**. ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზის აუცილებლობამ მის წარმომადგენლებს უკარნახა, უარეყოთ ამ პროცესების ახსნა მხოლოდ სარგებლიანობის სუბიექტური ფაქტორის საფუძველზე. ამის შედეგად ყურადღების ცენტრმა სარგებლიანობიდან ფასწარმოქმნის ფაქტორების კომპლექსზე გადაინაცვლა. ამაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ა. მარშალმა. მან კვლევის ცენტრში მოაქცია ფასების ფორმირება სხვადასხვა ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმოქმედების გავლენით. ამასთან, იგი იმ აზრის იყო, რომ სარგებლიანობა ფასების განსაზღვრაში შეიძლება მთავარ როლს ასრულებდეს დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს წარმოების დანახარჯები.

მარშალის მოძღვრებიდან იღებს სათავეს აგრეთვე თანამედროვე ნეოკლასიკური მიმართულების ორი განშტოება — ფირმის თეორია და კეთილდღეობის თეორია. ზღვრული სარგებლიანობის თეორია არსებითად სამომხმარებლო არჩევნის თეორიაში გადაიზარდა, ამასთან, ამოსავალმა დებულებებმა კარდინალური ცვლილებები განიცადა.

ზღვრული მწარმოებლურობის თეორია თავდაპირველად წარმოიშვა როგორც ღირებულების შექმნისა და განაწილების თეორია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მან ბიძგი მისცა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებას. ამასთან, ნეოკლასიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს მაკროეკონომიკური მეთოდების ანალიზზე. მათ მთავარ მიზნად იქცა ეკონომიკის ბალანსირებული ზრდის პირობების ანალიზი, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ცალკეული ფაქტორების როლის შეფასება, რამაც წარმოებრივი ფუნქციების კვლევის განვითარება განაპირობა.

ნეოკლასიკური პრინციპების რეალიზაციის ახალი სფერო ტექნოლოგიური ცვლილებების ანუ **ტექნიკური პროგრესის თეორია** გახდა. ამ თეორიის მიმდევრები არიან რ. სოლოუ, მ. ბრაუნი და სხვ.

ეკონომიკაში მიმდინარე ტექნიკურ ცვლილებებს წარმოებრივი ფუნქციების პარამეტრების ცვლილებებს უკავშირებენ. ნეოკლასიკურმა მიმართულებამ, კეინზიანელობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა „ნეოკლასიკურ სინთეზს“, რომელმაც ფართო განვითარება პოვა ეკონომიკური ზრდის თეო-

რიაში.

„ნეოკლასიკური სინთეზი“ („neoclassical synthesys“) - კეინზიანური და ნეოკლასიკური შეხედულებების თავისებური სინთეზი ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინება სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში. ნეოკლასიკური სინთეზი მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის კონცეფციას აერთიანებს ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ ფასწარმოქმნისა და შემოსავლის განაწილების ზოგად კონცეფციასთან. იგი გულისხმობს ეკონომიკური დაცემის პირობებში მოთხოვნის რეგულირების კეინზიანური მეთოდების გამოყენებას და, პირიქით, საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის არსებული რეზერვების ამოწურვისას წარმოებრივი პოტენციალის ზრდის ყოველმხრივ სტიმულირებას. ნეოკლასიკური სინთეზი წინა პლანზე პრობლემათა ორ ჯგუფს აყენებს: ეკონომიკის დინამიკური (მდგრადი) წონასწორობისა და პოტენციური შესაძლებლობების ზრდის პრობლემებს, რომელთა გადაჭრაში მაკროეკონომიკურ პროპორციებს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მაკროეკონომიკური რეგულირების „ტრადიციულმა მოდელმა“ არსებითი ცვლილებები განიცადა. გამოიკვეთა საბაზრო სისტემის განვითარების ახალი მიმართულებები, რომლებიც ატარებენ არა კონიუნქტურულ, არამედ გრძელვადიანი ტენდენციების ხასიათს. XX საუკუნის 80-იან წლებში მათ ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად დაედო „ნეოკლასიკური სინთეზი“, რომელიც ერთ ათეულ წელზე მეტ ხანს გამოიყენებოდა წარმატებით ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ნეოლიბერალიზმი (neoliberalization) - ნეოკლასიკური და ტრადიციული ლიბერალიზმის ბაზაზე, ისტორიული სკოლის გავლენით XX საუკუნეში აღმოცენებული ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც ფართოდ გავრცელდა გერმანიაში, II მსოფლიო ომის შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც. იგი კეინზიანელობის პარალელურად წარმოიშვა როგორც „დიდ დეპრესიაზე“ რეაქცია. ამ მიმდინარეობის მამამთავარია ვალტერ ოიკენი.

კეინზიანელობისგან განსხვავებით, ნეოლიბერალიზმი კაპიტალიზმის კრიზისის მთავარ მიზეზს ეკონომიკის მონოპოლიზაციას უკავშირებს, ხოლო გამოსავალს კონკურენციის თამაშის წესების დადგენასა და მის განვითარებაში ხედავს. ნეოლიბერალიზმში ცენტრალური ადგილი არ უჭირავს მარჟინალიზმს, სამაგიეროდ, ყურადღებაა გამახვილებული სახელმწიფოს

როლზე სოციალური საკითხების მოგვარებაში.

ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმართულებაა **ორდოლიბერალიზმი**. ორდოლიბერალებმა (ვ. ოიკენი, ვ. რიოპკე, ლ. ერჰარდი, ა. მიულერ-არმაკი, ა. რიუსტოვი და ა.შ.) ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოჰყვეს შემდეგი მიმართულებები: 1. სახელმწიფო და კერძო საკუთრების თანაფარდობის რეგულირება; 2. კონკურენტული წესრიგის დამყარება, მონოპოლიისა და კონკურენციის რეგულირება; 3. სამეწარმეო კანონმდებლობის შექმნა; 4. ეკონომიკური ზრდის რეგულირება. მათ გამოიჯნეს ორდოლიბერალური იდეები კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სხვა ანალოგიური იდეებისგან და „მესამე გზის“ კონცეფცია აირჩიეს. მათი აზრით, ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობაა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის დამყარება, ანტიმონოპოლიური სამსახურის მეშვეობით კონკურენციის თავისუფლების პრინციპით მოქმედება.

ნეტო (net)[<ლათ. netto - წმინდა] - საქონლის სუფთა წონა ტარის, შეფუთვის გარეშე. საპირისპიროა — ბრუტო.

ნეტო-ბალანსი (trade balance) - ექსპორტისა და იმპორტის ტოლობის ამსახველი ბალანსი.

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა (New York stock exchange) - აშშ-ის მთავარი საფონდო ბაზარი, სადაც 1000-ზე მეტი დასახელების ფასიანი ქაღალდის კოტირება ხდება.

ნოვაცია (novation) [<ლათ. novatio განახლება, შეცვლა] - ვალდებულების გაუქმება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მისი ახალი ვალდებულებით შეცვლის გზით.

ნომინალური გაცვლითი კურსი (nominal exchange rate) - თანაფარდობა ეროვნული და უცხოური ვალუტების ერთეულების რაოდენობას შორის, რომლის საფუძველზეც ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი კურსის მიხედვით.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (nominal gross domestic product) - წარმოებული საბოლოო პროდუქტის მთლიანი რაოდენობის მის მიმდინარე ფასებზე ნამრავლთა ჯამი. იგი მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორისა და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ნამრავლის ტოლია. ზრდის ტემპის თვალსაზრისით, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ინფლაციის ტემპისა და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ჯამის ტოლია.

ნომინალური ფასი (nominal price) - პირობითი ფასი, რომელიც განისაზღვრება საბირჟო ვაჭრობის ცენტრებში ინფორმაციის არქონის შემთხვევაში რეალურ გარიგებებზე გამყიდველთა დაუკმაყოფილებელი მიწოდების ან მყიდველთა მოთხოვნის მონაცემების შეფასების საფუძველზე.

ნომინალური ღირებულება (par value) – 1. კორპორაციის წესდებაში ერთ აქციაზე მიკუთვნებული თანხა, რომელიც სერტიფიკატშია მითითებული და წარმოადგენს აქციაზე კანონიერ წილს. ნომინალური ღირებულება აქციონერული კაპიტალის ანგარიშში ჩასაწერი თანხაა, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთი აქციის საბაზრო ფასზე დაბალია; 2. ოფიციალურად გამოცხადებული ღირებულება, რომელიც მითითებულია ფულის ნიშნებზე, ფასიან ქაღალდებზე, ბანკნოტებსა და მონეტებზე.

ნომინალური „ღუზა“ (nominal „anchor“) — მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრულ დონეზე ფიქსირდება. სტაბილიზაციის პროგრამების განხორციელებისას ნომინალური „ღუზის“ სახით ხშირად გამოიყენება ფიქსირებული ვალუტის კურსი.

ნომინალური ცვლადები (nominal variables) - ფულადი ერთეულებით გაზომილი სიდიდეები (იხ. კლასიკური დიჰოტომია).

ნომინალური ხელფასი (nominal wage) - ხელფასი ფულად გამოხატულებაში.

ნორთი დუგლას სესილი (დაიბ. 1920) (Douglas Cecil North) - ამერიკელი ეკონომისტი, კლიომეტრიკის (ეკონომიკური ისტორიის შემსწავლელი დისციპლინა) ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ ფოგელთან ერთად (1993) ნაშრომებისათვის ახალი ეკონომიკური ისტორიის სფეროში. მან ვაშინგტონში ჩამოაყალიბა პოლიტიკური ეკონომიის ცენტრი, რომელიც იქცა ახალი ეკონომიკური ისტორიის კვლევის ცენტრად. ნორთის ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკის ფუნქციონირება“ (1990), რომელშიც დასაბუთებულია ინსტიტუტების როლი ეკონომიკის განვითარებაში, სიმდიდრის ზრდასა და სიღარიბის დაძლევაში. გარდა ამისა, დ. ნორთის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „დასავლეთის სამყაროს აღმავლობა: ახალი ეკონომიკური ისტორია“ (1973), „ეკონომიკური ისტორიის სტრუქტურა და მოძრაობა“ (1981) და სხვ.

ნორმალური მოგება (normal profit) - მინიმალური მოგება, რომელიც უნდა მიიღოს ფირმამ საქმიანობის გასაგრძელებლად. თუ მთლიანი ამონაგები უბრალოდ ფარავს ყველა ალტერნატიულ დანახარჯს ადგილი აქვს მოგების ნულოვან დონეს. ნორმალური მოგებისგან განასხვავებენ ზენორმალურ მოგებას.

ნორმალური საქონელი (normal good) - საქონელი, რომელზეც, სხვა თანაბარ პირობებში, მოთხოვნა იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

ნორმატიული ეკონომიკური თეორია (normative econom-

ics) - ეკონომიკური თეორიის ნაწილი, ეკონომიკური ანალიზის ის ტიპი, რომელიც შეისწავლის, რამდენად ეფექტიანია ესა თუ ის ეკონომიკური პირობები და პოლიტიკა, უპასუხებს კითხვას – „რა უნდა იყოს“ და არა – „რა არის“ ნორმატიული ეკონომიკური თეორია იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს. იგი პრინციპულად განსხვავდება პოზიტიური ეკონომიკური თეორიისაგან, რომელიც სწავლობს ეკონომიკას ისეთს, როგორიც არის ფაქტობრივად. ნორმატიული ეკონომიკური თეორია ეყრდნობა პოზიტიურ ეკონომიკურ თეორიას და ფაქტებზე დაყრდნობით უპასუხებს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: ვინ უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილები – საზოგადოებრივმა სექტორმა თუ კერძო სექტორმა (ბიზნესმა)? რა გზით უნდა შემცირდეს საბიუჯეტო დეფიციტი – მაღალი ბეგარის შემოღებით თუ სახელმწიფო ხარჯების შემცირებით?

„ნოუ-ჰაუ“ (“know-how”) [<ინგლ. know-how ვიცი როგორ] - წარმოების საიდუმლოებათა ამსახველი განზოგადებული ტერმინი, მთლიანად ან ნაწილობრივ კონფიდენციალური (საიდუმლოდ გასანდობი) ცოდნის, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური ხასიათის ცნობების ერთობლიობა, რომელთა გამოყენება განსაზღვრულ უპირატესობებს ანიჭებს მათ მიმღებ პიროვნებას თუ ფირმას. „ნოუ-ჰაუ“ დაუპატენტებელი ლიცენზიაა. უფლებრივი დაცვის არქონამ განსაზღვრა „ნოუ-ჰაუს“ ხელშეკრულების სპეციფიკა, რომელიც შეიცავს სპეციალურ პუნქტს გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვისა და მისი დარღვევის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების შესახებ. „ნოუ-ჰაუ“ (ისევე როგორც ლიცენზია) არის რეალიზაცია წარმოებრივი დანიშნულების არაკვლავწარმოებადი ცოდნისა, რომელსაც ფლობს გამყიდველთა შეზღუდული რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება არა ცოდნის გამოყენების უზრუნველყოფისათვის გაწეული მომსახურება, არამედ თვით ცოდნა, როგორც მონოპოლიური საქონელი. ამის შედეგად, „ნოუ-ჰაუს“ ფასი მონოპოლიურია და განისაზღვრება მასზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით.

ნუმიზმატი (numismatist) [<ლათ. numisma მონეტა] - პირი, რომელიც მისდევს ნუმიზმატიკას. მონეტებისა და მედლების შემგროვებელი ან მცოდნე.

ნუმიზმატიკა (numismatics) [<ლათ. იხ. ნუმიზმატი] - მონეტების შემსწავლელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა. ნუმიზმატიკაში შედის ბონისტიკა, აგრეთვე მედლების, ორდენების, ჟეტონებისა და ა.შ. შესწავლა.

ო

ობლიგაცია (bond) [<ლათ. obligation ვალდებულება] - 1. განსაზღვრული ვადით გამოშვებული მყარი კურსის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს მითითებულ დროში სესხის დაფარვისა და პროცენტის ყოველწლიური გადახდის ვალდებულებას; საგადასახადო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად იღებს შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ობლიგაციებს უშვებენ სახელმწიფო და აქციონერთა საზოგადოებები; 2. ფიქციური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა.

ოვერდრაფტი (overdraft) - საბანკო დაკრედიტების სისტემა, პირველად გამოყენებული შოტლანდიური ბანკების მიერ, რომლის მიხედვითაც მსესხებელს ეძლევა უფლება, გამოწეროს ჩეკი თავისი საბანკო ანგარიშის ბალანსს ზემოთ რიცხული თანხიდან სპეციალურად შეთანხმებულ ოდენობამდე და გადაიხადოს ყოველდღიური პროცენტი ამ თანხიდან. ბანკს შეუძლია მოითხოვოს ან არ მოითხოვოს კრედიტის უზრუნველყოფა.

ოლიგოპოლია (oligopoly) [<ბერძნ. oligos მცირე, უმნიშვნელო poleo ვყიდი] - 1. ეკონომიკის ერთ რომელიმე დარგში რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობა; 2. ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ბაზარზე რამდენიმე მწარმოებელი (გამყიდველი) და მრავალი მომხმარებელია (მყიდველია). თუ ბაზარზე რამდენიმე გამყიდველი და რამდენიმე მყიდველია, მაშინ საქმე გვაქვს ორმხრივ ოლიგოპოლიასთან. საპირისპიროა — ოლიგოპსონია.

ოლიგოპსონია (oligopsony) - ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ბაზარზე რამდენიმე მყიდველი და მრავალი გამყიდველია. საპირისპიროა — ოლიგოპოლია.

ომოლოგაცია (omologation) - ბაზრის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის შემოწმება, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და შეფასება. პროდუქციის შეფასება ხდება მისი ძირითადი პარამეტრების — ხარისხის, ფასის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და ა.შ. მიხედვით. ომოლოგაცია ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით: საქონლის საცდელი პარტიების რეალიზაციით, პოტენციური მყიდველების გამოკითხვით, სპეციალისტთა საექსპერტო შემოწმების საფუძველზე და სხვ. მსხვილი ფირმები ომოლოგაციის ჩასატარებლად იყენებენ თავიანთი დისტრიბიუტორების ქსელს.

ოპერატიული ლიზინგი (operating lease) - მანქანებისა და მოწყობილობების არენდა 3-დან 9 წლამდე ვადით, არენდის პერი-

ოდში მათი ნაწილობრივი ამორტიზაციით.

ოპერაციები ღია ბაზარზე (open-market operation) – ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების ცვლილების (ზრდა ან შემცირება) განხორციელება სახელმწიფო ყიდვა-გაყიდვის გზით. თუკი ცენტრალურ ბანკს სურს ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა გაზარდოს, მაშინ ის ყიდულობს ობლიგაციებს, მიმოქცევაში ზრდის ფულის რაოდენობას. თუკი ცენტრალურ ბანკს სურს ეკონომიკაში ფულის რაოდენობა შეამციროს, იგი ყიდის მის ხელთ არსებულ ობლიგაციებს, რითაც მიმოქცევიდან ამოიღებს ფულის გარკვეულ რაოდენობას. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს **ღია ბაზარზე ექსპანსიურ ოპერაციებს** (ვინაიდან ფულის მიწოდების ექსპანსიას ახდენს), ხოლო მეორე შემთხვევაში – **ღია ბაზარზე შემზღუდველ ოპერაციებს** (ვინაიდან ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზღუდავს, ამცირებს).

ექსპანსიური ოპერაციები ღია ბაზარზე ობლიგაციების ფასების ზრდასა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას განაპირობებს. შემზღუდველი ოპერაციები ღია ბაზარზე ობლიგაციებზე ფასების შემცირებასა და საპროცენტო განაკვეთის ზრდას განაპირობებს.

ოპციონი (option) - რისკის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმა, კონტრაქტი, რომლის თანახმადაც მყიდველს ენიჭება უფლება (და არა ვალდებულება), შეთანხმებული ფასით დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მომავალში იყიდოს საქონელი ან ფასიანი ქაღალდი. თუ, ვთქვათ, ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასი იზრდება, მაშინ მყიდველი სარგებლობს დადებული კონტრაქტით და ყიდულობს მას საბაზროზე დაბალ ფასად. თუ საბაზრო ფასი ეცემა, მაშინ მყიდველი დადებული კონტრაქტით კი არ სარგებლობს, არამედ ფასიან ქაღალდებს ყიდულობს ბაზარზე კონტრაქტში გათვალისწინებულზე იაფად. ამ შემთხვევაში იგი აგებს იმ თანხას, რაც კონტრაქტის დადებისას დახარჯა, მაგრამ დაცულია რისკისაგან.

ხელშეკრულებას გაყიდვაზე **პუტ-ოფციონი** ეწოდება, ხოლო ყიდვაზე **– კოლ-ოფციონი.** ხშირად მათ უწოდებენ მოკლედ **–** „პუტ“ და „კოლ“.

ორმაგი შრომის ბაზარი (dual labor market) – შრომის ბაზარი, რომელიც აერთიანებს პირველად და მეორეულ შრომის ბაზრებს.

ორმხრივი მონოპოლია (bilateral monopoly) – ბაზრის ფუნქციონირების ფორმა, საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე მოცემული საქონლის (მომსახურების) ერთ მყიდველს უპირისპირდ-

ება მხოლოდ ერთი გამყიდველი.

ოუკენის კანონი (Okun's law) - კანონი, რომელიც ატარებს ამერიკელი ეკონომისტის არტურ ოუკენის (1928-1980) სახელს, გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას **მშპ**-ის ციკლურ რყევადობასა და უმუშევრობის დონეს შორის. ამ კანონის მიხედვით, უმუშევრობის 1%-ით ზრდა იწვევს ფაქტობრივი **მშპ**-ის 3%-ით შემცირებას და, პირიქით, ფაქტობრივი **მშპ**-ის 3%-ით გაზრდა იწვევს უმუშევრობის 1%-ით შემცირებას. ამჟამად, ახალი ემპირიული მონაცემების საფუძველზე, ეს თანაფარდობაა 2 : 1.

ოფერტა (offer) [<ლათ. offertus წინადადების შეთავაზება]- 1. გარიგების შესახებ წინადადების ფორმალური შეთავაზება ამა თუ იმ პირისთვის ყველა აუცილებელი პირობის მითითებით; 2. გარკვეული ფორმის ოფიციალური განაცხადი საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ. ვაჭრობის ორგანიზატორი (ჩვეულებრივ, ტენდერის კომიტეტი) თვითონ ადგენს ოფერტის ფორმას, საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, საჭირო დოკუმენტების სიას და უგზავნის მას ოფერენტებს — ვაჭრობაზე მოწვეულ კომპანიებს, ფირმებს. როგორც წესი, ოფერტის წარდგენის ვადაა სამი თვე, ზოგჯერ კი მეტიც.

ოფიციალური მონეტარიზმის დონე (offical level of monetarism) - ფულადი მასის შეფარდება **მშპ**-თან. მისი ზღვრული ნორმა 30%-ია. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 100%-ზე მეტია (მაგ., იაპონიაში 110-112%-ია), ხოლო განვითარებად ქვეყნებში — 40%.

ოფშორული ბიზნესი (offshore business) - გადასახადების თავიდან აცილებისა (ან შემცირების) და მოგების გაზრდის მიზნით განხორციელებული ბიზნესი მოცემული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. ოფშორული ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებაში აქტიური როლი შეასრულა დიდმა ბრიტანეთმა. თანამედროვე ოფშორული ბიზნესის საფუძვლები შექმნილია ბრიტანელი იურისტების, ბანკირების, დამზღვევებისა და სხვათა მიერ.

ოფშორული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი ინფორმაციულ ტექნოლოგიებს უკავია. მათი ჩამოყალიბებით ამაღლდა ოფშორული სტრუქტურების ფუნქციონირების ეფექტიანობა, რადგან ინტერნეტის მეშვეობით ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული, მეორე (ან რამდენიმე) ქვეყანაში მოქმედი, მესამე ქვეყანაში საბანკო ანგარიშის მქონე კომპანიებისა და მეოთხე ქვეყანაში მცხოვრები მესაკუთრის კავ-

შირურთიერთობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

ოფშორული ზონა (offshore zone) - **თეზ**-ის განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც კონცენტრირებულია საბანკო და სადაზღვევო ბიზნესი. მათი მეშვეობით ხორციელდება საინვესტიციო, სატრასტო და კონსალტინგური საქმიანობა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, აგრეთვე ოპერაციები უძრავი ქონებით.

ოფშორული ზონები, ჩვეულებრივ, მცირე ქვეყნები და ტერიტორიებია. ისინი ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპიროებსა და განვითარებული საერთაშორისო ტურიზმის ადგილებში, ახორციელებენ უცხოური კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკას, რომლის გასატარებლად გამოიყენება საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები.

ოფშორული ზონები ფუნქციონირებენ შესაბამისი იურისდიქციით, რომლის საფუძველზეც მათ გარკვეული სპეციალიზაცია და სტატუსი აქვთ. ოფშორული ზონის სტატუსს განსაზღვრავს მისი ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შინაარსი, რომლის მიხედვით ოფშორული იურისდიქციები იყოფა 4 ჯგუფად:

I ჯგუფში შედის საგადასახადო ოაზისები, 100%-იანი ოფშორები, რომლებიც ახორციელებენ უცხოური საკრედიტო კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკას საგადასახადო და სხვა შეღავათებით. ეს ჯგუფი წარმოდგენილია მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოებით ან თვითმართვადი ტერიტორიებით. მასში შედის კარიბის რეგიონის ოფშორული ზონები, რომელთა უმრავლესობა დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოალიციებია (მაგ., ბრიტანული ვირჯინიის, ბერმუდის, კაიმანის და სხვა კუნძულები), აგრეთვე ევროპული საგადასახადო ნავსაყუდლები;

II ჯგუფში შედის საქმიანობის ცალკეულ სახეებზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ოფშორული იურისდიქციები. მასში შემავალი ოფშორული ფირმები გადასახადს იხდიან მინიმალური განაკვეთით და მათი საქმიანობა კონტროლს ექვემდებარება. ძირითადად ამ ჯგუფში შედის ნიდერლანდის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის ჰოლდინგური კომპანიები და საინვესტიციო ფონდები, სალიცენზიო და სერვისული ფირმები;

III ჯგუფში შედის ქვეყნის შემადგენლობაში არსებული ოფშორული რეჟიმის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები (ოფშორული ტერიტორიები). ამ ჯგუფის ოფშორები ძირითადად დამახასიათებელია ფედერალური წყობის მქონე ქვეყნებისათვის (მაგ., აშშ-ში დელავერის, ვაიომინგისა და ნევადის შტა-

ტები, შვეიცარიაში – ნეშტელი, ფრიბურგი, ცუგი);

IV ჯგუფში შედის არატრადიციული ოფშორული ზონების უნივერსალური ოფშორული იურისდიქციები (მაგ., ირლანდია, კვიპროსი, მალტა).

ოფშორული ზონების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გადასახადების დონეს, ანგარიშგების აუცილებლობას, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას, კონფიდენციალობას. მათი გათვალისწინებით ოფშორული ზონები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფის ოფშორული ზონები ხასიათდება დაბეგვრის დაბალი დონით, აღრიცხვის არარსებობით და კონფიდენციალობის მაღალი დონით. ამ ჯგუფში შედის „მესამე სამყაროს“ პატარა ქვეყნები. ეს ოფშორები ცნობილია „ქოქოსის ოფშორების“ სახელწოდებით. ესენია: ბაჰამის, კაიმანის, პანამის, ბრიტანული ვირჯინიის კუნძულები, მენი, ტერკსი, კაიკოსი და სხვ. ამ ზონებში კომპანიები გადასახადებს არ იხდიან, მაგრამ გათვალისწინებულია ყოველწლიური ფიქსირებული მოსაკრებელი.

მეორე ჯგუფის ოფშორებში დაწესებულია საგადასახადო შეღავათები, ამასთან, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება. ამ ჯგუფში შედის კვიპროსი, აშშ-ის დელავერისა და ვაიომინგის შტატები.

მესამე ჯგუფში შედის ის ქვეყნები, რომლებიც ფორმალურად არ მიეკუთვნება ოფშორულ ზონებს, მაგრამ მათი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დაბალ დაბეგვრას. ეს ქვეყნებია: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, შვეიცარია და სხვ.

ოფშორული კომპანია (offshore company) - ფირმა, რომელიც მთლიანად თავისუფლდება გადასახადებისაგან, ან სარგებლობს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით. იგი, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს თავისი ოფიციალური იურისდიქციის რეზიდენტი, ე.ი. არარეზიდენტულია იმ ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია. აქედან წარმოდგება ტერმინი offshore, რაც „ნაპირს გარეთ“ საქმიანობას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მართვის ცენტრი საზღვარგარეთ მდებარეობს. აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენეს დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი ამავე დროს ნიშნავს საქმიანობას „საზღვრის გარეთ“.

ოფშორული კომპანიის ნებისმიერი კომერციული ოპერაცია უნდა ხორციელდებოდეს იურისდიქციის ზღვარს იქით, სადაც რეგისტრირებულია კომპანია. იგი იხდის მხოლოდ ყოველწლიურ სარეგისტრაციო გადასახადს. ასეთ კომ-

პანიებში გამარტივებულია სარეგისტრაციო პროცედურა და მმართველობა, არ ხორციელდება სავალუტო კონტროლი. მათ არ მოეთხოვებათ აუდიტორული შემოწმება, მინიმუმამდეა დაყვანილი საფინანსო ანგარიშგება.

ოფშორული კომპანიის მფლობელობა ხორციელდება ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის მაღალი გარანტიით, რაც განმტკიცებულია საყოველთაო უფლებათა ნორმებით და იმ კანონმდებლობით, სადაც რეგისტრირებულია იგი. ოფშორულ კომპანიას შეიძლება ჰქონდეს წარმომადგენლობები და ფილიალები საზღვარგარეთაც. უკანასკნელ პერიოდში ოფშორული მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა სულ უფრო მოქნილი ხდება. ამ ბოლო დროს ყურადღებას იპყრობს დაბეგვრის „მცოცავი“ სკალის მქონე საერთაშორისო კომპანიების გამოჩენა, რომელთათვისაც გადასახადს ადგენენ შემოსავლების წყაროს შესაბამისად.

შემოსავალზე გადასახადი ტრადიციულ კომპანიებთან შედარებით ბევრად ნაკლებია ოფშორული კომპანიის მიმართ, ან საერთოდ არ არსებობს. ისინი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სარგებლობენ.

ოფშორული ტიპის ფირმების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე კომპანიები „კერძო“ ოფშორული რეჟიმით. საქმე ეხება ისეთ კომპანიებს, რომელთა ოფშორული ოპერაციები განთავისუფლებულია გადასახადების ნაწილისაგან. ამგვარი კომპანიები რეგისტრირებულია, მაგალითად, შვეიცარიაში. ამ ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრული ტიპის ფირმებს ოფშორული საქმიანობის განხორციელების ნებას რთავს.

ოფშორული ფირმების ფინანსური მომსახურებისთვის იქმნება ოფშორული ბანკები, სხვადასხვა სახის საფინანსო კომპანიები.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს „ანტიოფშორული“ კანონმდებლობა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რთულ სისტემაში ოფშორული ბიზნესის პოტენციალი საკმაოდ დიდია. კერძოდ, ოფშორული კომპანიის მფლობელს ენიჭება უცხოური კომპანიის სახელით ხელმოწერის უფლება, მისი საბანკო ანგარიშის ოპერატიული მართვის ნებართვა, უცხოური კომპანიის სახელით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, შვილობილი კომპანიებისა და საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობების შექმნის უფლება და ა.შ. ოფშორული ფირმის შექმნით მისი მფლობელისათვის ხელმისაწვდომი ხდება საფინანსო და საინვესტიციო მომსახურებით სარგებლობა. მაგ., ფართოდ არის დანერ-

გილი ოფშორული ფირმის მეშვეობით, კორპორაციულ-დებეტური და საკრედიტო-საბანკო ბარათების გახსნა.

ოფშორული კომპანიების რეგისტრაციის ფორმა განისაზღვრება ინგლისურ-საქსონური და ფრანკო-გერმანული სამართლებრივი სისტემებით.

ინგლისურ-საქსონური სამართლებრივი სისტემის ორგანიზაციული ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სრული პარტნიორობა, შეზღუდული პარტნიორობა, კერძო კომპანია, საჯარო კომპანია (კორპორაცია), საერთაშორისო ბიზნესის კომპანია.

ფრანკო-გერმანული სამართლებრივი სისტემის ორგანიზაციული ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სრული ამხანაგობა, კომანდიტური ამხანაგობა, დახურული აქციონერული საზოგადოება, ღია აქციონერული საზოგადოება, საერთაშორისო ბიზნესის კომპანია.

ოფშორული კომპანიის რეგისტრაცია ხორციელდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე

ოქროს ბაზარი (gold market) - ბაზარი, სადაც ოქროს ყიდიან და ყიდულობენ მონეტებისა და ზოდების სახით. ოქროს ბაზარი არსებობს ყველა მთავარ ფინანსურ ცენტრში, ნიუ-იორკის გამოკლებით, თუმცა ოქროთი შეუზღუდავი ვაჭრობა ყველა ქვეყანაში არ ხორციელდება.

ოქროს პარიტეტი (golden parity) - თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის ოქროს წონითი რაოდენობის, ოქროს შემცველობის მიხედვით. ოქროს პარიტეტი გაუქმდა 1978 წელს (იხ. მსოფლიო სავალუტო სისტემა).

„ოქროს საუკუნის“ ზრდა (“golden age” growth) - ბალანსირებული ზრდა ეკონომიკური ზრდის თეორიაში, როდესაც ეკონომიკური ზრდის გარანტირებული ტემპი სრული დასაქმების პირობებში ბუნებრივი ზრდის ტემპის ტოლია. ტერმინი შემოიღო ჯოან რობინსონმა, რომლის აზრითაც, ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში.

ოქროს ტეზავრაცია (hoarding of gold) - 1. ოქროს დაგროვება განძის სახით; 2. ქვეყნის ოქროს მარაგის შექმნა; 3. ფულის დაგროვება მიმოქცევიდან მისი ამოღებით.

პ

პაბლისიტი (publicity) - რეკლამა, პოპულარობა; საქონელმიმოქცევის არხებში ინფორმაციის გავრცელება საქონლისა და მომსახურების და მათი მწარმოებელი ფირმების შესახებ მოთხოვნის სტიმულირების მიზნით; პროპაგანდისტული კამპანია.

პაი (share) - წილი ფულადი შენეტანის სახით ფირმის კაპიტალში ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ.

პანამა (panama) - თანამდებობის პირების მოსყიდვასთან დაკავშირებული მსხვილი თაღლითობა.

პაპავა ვლადიმერი (დაიბ. 1955)(Papava Vladimer) - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1995), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (1977), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურა (მოსკოვი, რუსეთი, 1982). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1977-1978); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის სტაჟიორი-მკვლევარი (1978-1979); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი (1982), უფროსი (1982-1987), წამყვანი (1987-1989), მთავარი (1989-1991) მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი (1991-1996); საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-2000); საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე (2000-2001); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე (2003-2005); ჯონს ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სკოლის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი (2005-2006); საქართველოს პარლამენტის წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (2004-2008). 2001 წლიდან არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. დაცული აქვს საკანდიდატო დის-

ერტაცია თემაზე: „რეგიონის სამშენებლო კომპლექსის მოდელირება სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელთა სისტემაში“ (1982), სადოქტორო – „საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობა და მისი დარგთაშორისი ანალიზი“ (1989).

ვ. პაპავა არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის – მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სტატიების ავტორი, მათ შორის: „საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობა და დარგთაშორისი ბალანსის მოდელები“ (რუსულ ენაზე, თბილისი, „მეცნიერება“, 1989); „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე“ (ქართულ და რუსულ ენებზე, თბილისი, „მეცნიერება“, 1995); „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“ (რუსულ ენაზე, თბილისი, „იმპერიალი“, 2000); „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ (ქართულ ენაზე, თბილისი, „პდპ“, 2002); „საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბრწყინვალება და სიღატაკე პოსტკომუნისტურ საქართველოში“ (ინგლისურ ენაზე, ლარედო (აშშ), „ვიპაბლიშკომი“, 2003); „საფინანსო გლობალიზაცია და პოსტკომუნისტური საქართველო“ (თანაავტორი ვეფხია ჩოხელი, ინგლისურ ენაზე, ნიუ-იორკი, „აიუნივერსი“, 2003); „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“ (თანაავტორები იური ანანიაშვილი, იაკობ მესხია, ავთანდილ სილაგაძე, გიორგი წერეთელი. ქართულ ენაზე, თბილისი, „მეცნიერება“, 2003); „ცენტრალური კავკასია და საქართველოს ეკონომიკა“ (თანაავტორები თეიმურაზ ბერიძე და ელდარ ისმაილოვი, რუსულ ენაზე, ბაქო (აზერბაიჯანი), „ნურლანი“, 2004); „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“ (ქართულ ენაზე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005); „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“ (თანაავტორი თეიმურაზ ბერიძე, რუსულ ენაზე, მოსკოვი (რუსეთი), „დელო ი სერვის“, 2004); „ნეკროეკონომიკა: პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ (ინგლისურ ენაზე, ნიუ-იორკი, „აიუნივერსი“, 2005); „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკამდე“ (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი, რუსულ ენაზე, სტოკჰოლმი, „საისპრესი“, 2006); „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტ-ეკონომიკური ნარკვევები“ (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი, ინგლისურ ენაზე, სტოკჰოლმი, „საისპრესი“, 2006); „ცენტრალური კავკასია: ისტორია, პოლიტიკა, ეკონომია“ (თანაავტორი ელდარ ის-

მაილოვი, რუსულ ენაზე, მოსკოვი (რუსეთი), „მისლი“, 2007); “გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი” (თანაავტორი იური ანანიაშვილი, თბილისი, “სიახლე”, 2009); ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი) (თბილისი, „სიახლე”, 2009); „შავი ზღვის რეგიონის კომპლექსური ეკონომიკური განვითარება: გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა” (ინგლისურ ენაზე, ათენი, შავი ზღვის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი, 2010); „ცენტრალური ევრაზიის ახლებული გეოპოლიტიკური გაზრება” (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი, ინგლისურ ენაზე, ვაშინგტონი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, 2010; რუსულ ენაზე, სტოკჰოლმი, „საისპრესი“, 2010); „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა” (თანაავტორი იური ანანიაშვილი, რუსულ ენაზე, სტოკჰოლმი, „საისპრესი“, 2010); „ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)” (თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010); „არატრადიციული ეკონომიკსი” (თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011) და სხვ.

ვ. პაპავა არის შემდეგი აკადემიების, საზოგადოებებისა და ასოციაციების წევრი: ეკონომიკური თეორიის მიღწევების საზოგადოება (აშშ, 1990), დანახარჯები-გამოშვების საერთაშორისო ასოციაცია (ავსტრია, 1992), ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემია (გაერო, 1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია (საქართველო, 1994), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემია (აშშ, 1995), დასავლეთის საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 1996), მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია (აშშ, 1997), სამეფო ეკონომიკური საზოგადოება (დიდი ბრიტანეთი, 1997), საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოება (აშშ, 1998), ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტი (აშშ, 2006), ამერიკის ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 2006), ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი საზოგადოება (აშშ, 2006), შედარებითი ეკონომიკური კვლევების ევროპული ასოციაცია (იტალია, 2006), ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაცია (აშშ, 2006), პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ამერიკის აკადემია (აშშ, 2006).

სხვა საქმიანობა: ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ – ეკონომიკის სერია, მთავარი რედაქტორი (1992-2005), საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის

სექციის თავმჯდომარე (1992-2003), საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი (1993-2003, 2005 წლიდან დღემდე), მსოფლიო ბანკის ალტერნატიული მმართველი (აშშ, 1994-2000), ჟურნალ „გარდამავალი ეკონომიკის პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი (აშშ, 1997 წლიდან დღემდე), ჟურნალ „საზოგადოება და ეკონომიკის“ რედკოლეგიის წევრი (რუსეთი, 1998 წლიდან დღემდე), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე (2002 წლიდან დღემდე), ჟურნალ „კავკასია და გლობალიზაციის“ რედკოლეგიის წევრი (შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე), დემოკრატიული გარდაქმნების პროექტის ტრანსატლანტიკური მმართველი ჯგუფის წევრი, (აშშ, 2006 წლიდან დღემდე), ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის და სტოკჰოლმის უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის, აბრეშუმის გზის შემსწავლელი პროგრამის ერთობლივი ტრანსატლანტიკური სამეცნიერო ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აშშ-შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე), სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი (პოლონეთი, 2007 წლიდან დღემდე).

ჯილდოები: საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი წიგნისათვის „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია და დაგეგმვა“ (თანაავტორი გიორგი პაპავა, 1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნაშრომთა ციკლისათვის „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები (თანაავტორობით, 2004), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მონოგრაფიისთვის „ნეკროეკონომიკა: პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ (2008).

პარალოგიზმი (paralogism) [ბერძ. paralogismos] - წინასწარ-განზრახულად დაშვებული ლოგიკური შეცდომა, როგორც კანონებისა და დადგენილი წესების დარღვევის შედეგი. ახლოსაა სოფიზმთან.

პარეტო-გაუმჯობესება (Pareto-improvement) - რესურსების ისეთი გადანაწილება, როდესაც ეკონომიკური აგენტების ერთი ნაწილის კეთილდღეობის ზრდა არ ამცირებს მეორე ნაწილის კეთილდღეობის დონეს. პარეტოს თეორია აღიარებულია კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ თეორიად.

პარეტო ვილფრედო (1848-1923) (ParetoVilfredo) - იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი,

რომელმაც ფართო განათლება მიიღო მათემატიკის სფეროში, საერთოდ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში. 1892 წელს გახდა ლეონ ვალრასის მემკვიდრე ლოზანის უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის პოსტზე. 1896-1899 წლებში კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის კურსს. დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკურ თეორიაში სტატისტიკისა და მათემატიკური მოდელების გამოყენებაში. ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო“ (1906) პარეტო უარყოფდა კარდინალური სარგებლიანობის კონცეფციას, გაცვლის ოპტიმალური პირობების კვლევაში იყენებდა განუსაზღვრელობის მრუდებს, რომლებიც მეცნიერულ ბრუნვაში პირველად შემოიტანა ეჯუორთმა. პარეტომ შექმნა კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

პარეტოს ოპტიმუმი (Pareto optimum) **-** რესურსებისა და მზა პროდუქციის ისეთი განაწილება, როდესაც არ ხდება გადანაწილება იმგვარი სახით, რაც გააუმჯობესებდა ერთი ინდივიდის მდგომარეობას სხვათა მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. ეს კონცეფცია ეკუთვნის ვილფრედო პარეტოს და ატარებს მის სახელს. კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია იმ პირობების ანალიზთან, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება პარეტოს ოპტიმუმის მიღწევა. მიუხედავად ამ უკანასკნელის დიდი თეორიული დანიშნულებისა, პარეტოს კრიტერიუმის პრაქტიკული გამოყენება ძალზე შეზღუდულია, ვინაიდან იგი მიუღებელია იმ ალტერნატივების შერჩევისას, რომელიც გულისხმობს ერთი ინდივიდის მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვათა ხარჯზე. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ პოლიტიკას მოაქვს ზიანი ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფისათვის, ეს გარემოება სერიოზულად ზღუდავს პარეტოს ოპტიმუმის პრაქტიკულ გამოყენებას. ამ შეზღუდვის გადასალახავად ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობს სამართლიანი განაწილების კონცეფციით, ან კომპენსაციის კრიტერიუმების გამოყენებით შეავსოს და განამტკიცოს პარეტოს ოპტიმუმი.

„პარიზის კლუბი“ („Paris Club“) **-** არაფორმალური ორგანიზაცია, რომლის ჩარჩოებში კრედიტორი-ქვეყნები აწარმოებენ მოლაპარაკებებს მოვალე-ქვეყნებთან სახელმწიფო ვალის პირობებისა და სტრუქტურის ცვლილებების გადასინჯვასთან დაკავშირებით. პარიზის კლუბს არა ჰყავს მუდმივი წევრები. იგი ღიაა ყველასთვის, ვისაც მოსწონს მისი პრაქტიკული საქმიანობა და მუშაობის პირობები.

პარიტეტი (parity) [<ლათ. paritas (paritatis) თანასწორობა] - 1. ტოლობა, ტოლფასოვნება, თანასწორობა, თანაბარი მდგომარეობა; 2. თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის მათი მსყიდველობითი უნარის მიხედვით (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი).

პარტნიორობა (partnership) - ფირმის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც აერთიანებს ორი ან მეტი სამეურნეო სუბიექტის კაპიტალს. არსებობს პარტნიორობის ორი სახე: გენერალური და შეზღუდული.

გენერალური პარტნიორობა გულისხმობს ფირმის ყველა ვალდებულებაზე მისი თითოეული მესაკუთრის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას. მაგ., ფირმის გაკოტრების შემთხვევაში კომპანიონი, რომელსაც ეკუთვნის ფირმის საკუთრების 1%, ისევე პასუხისმგებელია, როგორც ის, ვისაც დანარჩენი 99% ეკუთვნის.

შეზღუდული პარტნიორობისას ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომპანიონებს შორის იურიდიულად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

პარცელა (parcel) [<ფრანგ. parcelle ნაწილაკი] - მიწის მცირე ნაკვეთი, რომელზეც მეურნეობას ეწევიან.

პასივი (passive voice, liability) - 1. საწარმოს ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა (საპირისპიროა — აქტივი); 2. დანახარჯის გადამეტება შემოსავლებზე; 3. ბუღალტრული ბალანსის მარჯვენა მხარე, რომელიც აღნიშნავს საწარმოს საშუალებების წარმოქმნისა და დაფინანსების წყაროებს.

პასიური საგადასახდელო ბალანსი (unfavourable pay balance) - საგადასახდელო ბალანსი, რომელშიც ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ გაწეული ხარჯები და გადასახდელები აღემატება საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულად საშუალებებს.

პასიური სავაჭრო ბალანსი (unfavourable trade balance) - სავაჭრო ბალანსი, რომელშიც იმპორტი აღემატება ექსპორტს.

პატენტი (patent) [<ლათ. patens (patentis) ღია, აშკარა] - ოფიციალური მოწობა, გაცემული კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამომგონებლის ან იმ პირის სახელზე, რომელსაც გამომგონებელმა დაუთმო თავისი გამოგონება. ეს მოწმობა მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ მონოპოლიურ უფლებას აკონტროლოს თავისი გამოგონების გამოყენება დროის განსაზღვრულ პერიოდში (ვთქვათ, 20 წლის მანძილზე) და მიიღოს გარკვეული საზღაური თავისი გამოგონებისათვის.

პატერნალიზმი (paternalism) [<ლათ. paternus მამობრივი] - იდეოლოგიური დოქტრინა წარ-

მოებაში დასაქმებულთა მიმართ მესაკუთრის დამოკიდებულების შესახებ და ამ დოქტრინის შესაბამისი ღონისძიებების გატარების პოლიტიკა.

პაუპერი (pauper) [<ლათ. pauper ღატაკი] - მათხოვარი, არსებობის საშუალებებს ყველა მხრივ მოკლებული ადამიანი.

პაუშალური თანხა (sum total) (გერმ. pauschal) - ერთიანად აღებული მთლიანი თანხა, მისი შემადგენელი ნაწილების დიფერენციაციის გარეშე; მაგ., სავაჭრო გარიგებისას განსაზღვრული მომსახურებისათვის დაწესებული თანხა და ა.შ.

პენსია (pension) - საპენსიო, სადაზღვევო და სხვა ფონდებიდან გაცემული რეგულარული ფულადი თანხა იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც შეუსრულდათ საპენსიო ასაკი, აგრეთვე ინვალიდობასთან ან მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებით, ასევე, ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც. იგი, როგორც წესი, არსებობის ძირითადი წყაროა და არ ექვემდებარება დაბეგვრას.

პეტი უილიამ (1623-1687) (Petty William) - ინგლისელი ეკონომისტი და მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი. პეტიმ ჯერ მედიცინა შეისწავლა ლეიდენის, პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, ხოლო 1649 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში ფიზიკის დოქტორის ხარისხი მიიღო, 1651 წელს კი ანატომიისა და მუსიკის პროფესორი გახდა. პეტის სპეციალური ეკონომიკური განათლება არ ჰქონია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში შემუშავებული მეთოდოლოგია და პრინციპები მას ეკონომიკის ღრმად შესწავლაშიც დაეხმარა. პეტის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება სიმდიდრის ორ ფაქტორს — შრომასა და მიწას. იგი სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდა არა მიმოქცევის, არამედ მთლიანად წარმოების სფეროს. პეტი აღნიშნავდა: „შრომა მამაა და უაქტიურესი წყარო სიმდიდრისა, ხოლო მიწა დედაა მისი“. პეტიმ პირველმა დააყენა საკითხი დიფერენციული რენტისა და მიწის ფასის შესახებ. მან განსაზღვრა ღირებულება, როგორც დახარჯული შრომის შედეგი, დაადგინა რაოდენობრივი დამოკიდებულება ღირებულების სიდიდესა და შრომის მწარმოებლურობას შორის, მაგრამ ღირებულების სიდიდის გაზომვას ცდილობდა მხოლოდ ორი ფაქტორით: მიწითა და შრომით. იგი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას განიხილავდა ეკონომიკურ კანონებთან დამოკიდებულებაში, თუმცა, აიგივებდა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ბუნების კანონებს, განიხილავდა მათ როგორც მუდმივსა და შეუცვლელს.

პეტის კალამს ეკუთვნის შემ-

დეგი ნაშრომები: „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (1662), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია“ (1672), „პოლიტიკური არითმეტიკა“ (1683), „ზოგი რამ ფულის შესახებ“ (1682), „სიტყვა ბრძენთათვის“ (1662) და ა.შ.

ПИГУ АРТУР (1877-1959) (Pigou Arthur) - ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი. 1908-1944 წლებში კემბრიჯის უნივერსიტეტში იყო ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი. დიდი ღვაწლი მიუძღვის დაბეგვრის თეორიის განვითარებაში. პიგუმ საფუძველი ჩაუყარა გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თეორიას. უარყოფითი გარე ეფექტების ნეიტრალიზაციის პიგუსეულ მეთოდს პიგუს გადასახადი ეწოდა.

პარეტოს კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებით, პიგუ ამტკიცებდა, რომ ვინაიდან გადანაწილება არ ამცირებს მთლიან შემოსავალს, ხოლო ზღვრული სარგებლიანობა შემოსავლის კლებადი ფუნქციაა, ამიტომ სიმდიდრის გადაცემა მდიდრებისაგან ღარიბებისთვის გაზრდის საერთო კეთილდღეობას.

პიგუს ნაშრომები ფულისა და შემოსავლების თეორიაში — „დასაქმების თეორია“ (1933) და „დასაქმება და წონასწორობა“ (1941) — ძირითადად ასახავენ დასაქმებისა და შემოსავლების კლასიკური თეორიის შინაარსს. ამის გამო, კეინზის მხრიდან კრიტიკა უმთავრესად პიგუს დაატყდა თავს. მიუხედავად ამისა, მან შექმნა სრული დასაქმების მიღწევის მექანიზმი კეინზიანური სისტემის ჩარჩოებში. ამ მექანიზმმა მიიღო პიგუს ეფექტის სახელწოდება. იგი მდგომარეობს შემდეგში: არასრული დასაქმების პირობებში ფასების დაცემა ზრდის ნაღდი ფულის რაოდენობას. ეს იწვევს საქონელზე მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, დასაქმების გადიდებას.

პიგუს მტკიცებით, ფასების ზრდასა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო წონასწორობის დარღვევას თან სდევს მომხმარებელთა შესაბამისი საბაზრო ქცევა: მიმდინარე მოთხოვნის ხარჯზე ფულადი შემოსავლების ტეზავრირებული ნაწილის გადიდება. ამას მოჰყვება მოხმარებისათვის განკუთვნილი ფულადი შემოსავლების ოდენობის შემცირება, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე მოთხოვნაზე, გამოიწვევს ფასების შემცირებას და საბაზრო წონასწორობის აღდგენას. ფულადი შემოსავლების გამოყენების სფეროში მოქმედი მექანიზმის გარე ეფექტი, რომელიც აისახება ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებაში, ატარებს ა. პიგუს სახელს და ცნობილია **პიგუს ეფექტის** სახელწოდებით.

პიგუს ნაშრომებიდან, აგრეთვე აღსანიშნავია: „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1912), „კეთილდღე-

ობის ეკონომიკა“ (1921), „ნარკვევები გამოყენებით ეკონომიკურ თეორიაში“ (1923), „სამრეწველო რყევები“ (1927), „სრული დასაქმებიდან გადახრა“ (1945) და ა.შ.

ПИГУС ГАДАСАხАДИ (Pigouian tax) - გადასახადი, დაწესებული უარყოფითი გარე ეფექტების (ექსტერნალიების) კორექტირებისა და ნიველირებისათვის. პიგუს გადასახადით იბეგრება ასეთი გარე ეფექტის წარმომქმნელი. ამასთან, გადასახადის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ გარე ეფექტის კერძო დანახარჯები საზოგადოებრივი ხარჯების ტოლი იყოს.

ПИКИ (peak) - წარმოების აღმავლობის ზედა წერტილი, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური ზრდის უმაღლესი ტემპით. პიკის შემდეგ იწყება წარმოების დაცემა.

ПИНТА (pint) - მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; დიდ ბრიტანეთში 1 პ = 1/8 გალონს ანუ 0,568 ლიტრს; აშშ-ში განასხვავებენ თხევად პინტას (უდრის 1/8 ამერიკულ გალონს, ანუ 0,473 ლიტრს) და ფხვიერ პინტას (უტოლდება 1/64 ამერიკულ ბუშელს, თავის მხრივ, ბუშელი უდრის 0,551 ლიტრს).

ПИРАДИ МОМსАხУРЕБА (personal service) - მომსახურების ის სახეები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე. ამ ჯგუფში პირობითად შედის მომსახურების სფეროს შემდეგი დარგები: განათლება, ხელოვნება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა, ფიზკულტურა და სპორტი, რეკრეაციული მომსახურება, შინამოსამსახურეთა მომსახურება.

ПИРАДИ ШЕМОსАვალი (personal income) - ცალკეული ფიზიკური პირების შემოსავალი გადასახადების გადახდამდე. შედგება ხელფასისა და დამატებითი შემოსავლებისაგან — დივიდენდის, სარგებლის, რენტის, პრემიის, ტრანსფერის ჩათვლით. განასხვავებენ ნომინალურ შემოსავალს, რომელიც გაიანგარიშება უშუალოდ ფულად ფორმაში და რეალურ შემოსავალს, რომელიც გაიანგარიშება ფასების დონით ფულის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით.

ПИРДАПИРი ГАДАСАხАДИ (direct tax) - რეგულარული საგადასახადო ანარიცხი, რომელსაც მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები უხდიან სახელმწიფოს (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს) შემოსავლის ყველა სახიდან, მოგებისა და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება მოგებაზე გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი და ა.შ.

ПИРВЕЛАДИ БАЗАРИ (primary market) - ბაზარი, სადაც ფასიან ქაღალდებს ყიდიან მათი ემიტენტები.

ПИРВЕЛИ ГИРАВНОБИС СИГЕЛИ (senior mortgage) - უძრავი ქონების უზრუნველყოფილი ნაწილი, რომელიც ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კრედიტორს აძლევს უპირატეს უფლებას დაგირავებული ქონების გაყიდვის შედეგად მისაღებ შენატანებზე.

ПИРОБИТИ ПРОГНОЗИ (conditional forecast) - სამომავლო ეკონომიკური მოვლენების განჭვრეტა, გამოხატული განსაზღვრული ფორმით.

ПЛАСТИКУРИ БАРАТИ (plastic card) - ყველა სახის საგადასახდელო ბარათი — საბანკო-საკრედიტო, დებიტორული, სამგზავრო და ა.შ.

ПЛЕБИСЦИТИ (plebiscite) [<ლათ. plebiscitum ხალხის გადაწყვეტილება] - საერთო-სახალხო კენჭისყრა, რეფერენდუმი.

ПЛЕБИСЦИТУРИ ДИКТАТУРА (plebiscite's dictatorship) - სახელმწიფო მმართველობის ისეთი მექანიზმი, რომლის დროსაც ჩვეულებრივად ტარდება არჩევნები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მმართველ ფენებს ან, უფრო სწორად, რამდენიმე მმართველ პირს ყოველთვის აქვთ არჩევნებში სასურველი შედეგის მიღწევის რეალური შესაძლებლობა.

ПОЗИТИВИЗМი (positivism) - ეკონომიკური მეცნიერების ფილოსოფია, ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს, რომ დასკვნები, რომლებიც არ შეიძლება შემოწმებული იყოს ემპირიულად, მეტი რომ არა ვთქვათ, არამეცნიერულია.

ПОЗИТИВУРი ЕКОНОМИКУРი ТЕОРИА (positive economics) - ეკონომიკური თეორიის ნაწილი და ეკონომიკური ანალიზის ის ტიპი, რომელიც ეყრდნობა ფაქტებით განმტკიცებულ დებულებებსა და დასკვნებს. იგი სწავლობს ეკონომიკას ისეთს, როგორიც არის, უპასუხებს კითხვას — „რა არის“ და არა კითხვას — „რა უნდა იყოს“. ნორმატიული ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებით, პოზიტიური ეკონომიკური თეორია არ იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს. იგი ნორმატიული ეკონომიკური თეორიის საყრდენია, ფაქტობრივი მტკიცებით უპასუხებს ისეთ კითხვებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის რამდენი პროცენტია უმუშევარი.

ПОЛИСი (policy) [<იტალ. polizza ხელწერილი, ქვითარი] - მოწმობა, გაცემული სადაზღვევო კომპანიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელზე, რომელმაც ამ კომპანიაში რაიმე დააზღვია. შეიცავს დაზღვევის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობებს.

ПОЛИТИКУРი ЕКОНОМИА (political economy) - მეცნიერება, რომელიც სათავეს იღებს XVIII

საუკუნის უკანასკნელ მესამედში კლასიკურ-ლიბერალური ეკონომიკური მიმდინარეობის წარმოშობის საფუძველზე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სახით, თუმცა, ეს სახელწოდება პირველმა შემოიღო ფრანგმა ა. მონკრეტიენმა, როდესაც გამოსცა ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი" (1615).

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენებით მეცნიერების ერთიან სისტემას გამოეყო ეკონომიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ცოდნის მთელ არსენალს საკვლევი პრობლემის ირგვლივ მოუყარა თავი, სიღრმისეულად გააანალიზა და ერთიან სისტემაში მოაქცია. ამასთან, მან მეცნიერული კვლევის სფერო გააფართოვა და არ შემოიფარგლა მხოლოდ სოფლის მეურნეობით, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სიმდიდრის წყარო უნდა ვეძიოთ არა მიმოქცევაში (მერკანტილისტური მიდგომა) ან მხოლოდ მიწათმოქმედებაში (ფიზიოკრატული მიდგომა), არამედ მთლიანად წარმოებაში. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია თავისი მასშტაბებითა და მეცნიერული სიღრმით, რეალური ეკონომიკური მოვლენებისა და ამოცანების ადეკვატური ახსნითა და სისტემური მიდგომით ჭეშმარიტ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, რომელიც საუკუნენახევარზე მეტ ხანს (XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე) საფუძვლად ედო მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბაზაზე აღმოცენდა სხვადასხვა ეკონომიკური მიმდინარეობა. ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობაა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი და საპროგრამო დოკუმენტად იქცა სოციალისტური საზოგადოების აშენების მსურველი ქვეყნებისათვის. მარქსისტულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, ერთი მხრივ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ გამოკვლეული ზოგიერთი თეორია განავითარა და გააღრმავა, მეორე მხრივ კი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისგან განსხვავებული თეორია შექმნა. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის კვლევის საგანი წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებებია.

მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას დაუკავშირდა ლენინის თეორია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია. ეს უკანასკნელი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილია კაპიტალიზმის, ხოლო მეორე — სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია. კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია აგებულია მარქსის მოძღვრებაზე, ძირითადად მარქსის „კაპი-

ტალზე", რომელშიც გაანალიზებულია იმდროინდელი კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემა. მას აგვირგვინებს ლენინის იმპერიალიზმის თეორია. მეორე ნაწილი — სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია ხოტბას ასხამს და იკვლევს იმ სოციალიზმს, რომელიც არსებობდა კომუნისტურ ქვეყნებში.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მარქსისტულ-ლენინურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელიც საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირისა და სხვა კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, ადგილი დასავლურ თეორიებს დაუთმო.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ტერმინი — „პოლიტიკური ეკონომია" გულისხმობს იმ პოლიტიკური ფაქტორების კვლევას, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. „ახალი პოლიტიკური ეკონომია" შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების კანონზომიერებებს, ურთიერთკავშირს პოლიტიკური საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებსა და წმინდა ეკონომიკურ თეორიას შორის.

პოსესია (possessoin) [ლათ. possessio] - მიწის არენდული მფლობელობა.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება (postindustrial society) – ეს ტერმინი სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა დანიელ ბელიმ. ნაშრომში „პოსტინდუსტრიული საზოგადოების მომავალი" (1973) მან ჩამოაყალიბა პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი შემდეგი ხუთი ნიშანი: 1. მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასთან შედარებით, მომსახურების სფეროს წინგამსწრები ტემპით განვითარება; 2. ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური შეფასებების განსაკუთრებული როლის წარმოჩენა; 3. ახალი „ინტელექტუალური" ტექნოლოგიების შექმნა; 4. დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატესობის ზრდა; 5. თეორიული ცოდნის, როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძვლის, როლის ამაღლება. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება, ბელის განმარტებით, მთავარია არა ძლიერი კუნთები, არამედ ცოდნა და ინფორმაცია.

საქმე ისაა, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში (იაპონიაში კი 70-იანი წლებიდან) გამოიკვეთა ახალი თავისებურება – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებათა ფართოდ დანერგვა, რამაც დააჩქარა მომსახურების სფეროს ეკონომიკის მესამეულ სექტორად ჩამოყალიბება, მისი ხვედრითი წონის არსებითი გადიდება საზოგადოებრივ წარმოე-

ბასა და მოხმარების სტრუქტურაში. ყველა ძირითადი მაჩვენებლით, მათ შორის დასაქმებულთა რიცხოვნებით, მან წინ გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებას და გადაიქცა ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად. წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ, ენერგიის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ეკონომიკურ განვითარებაში. საწარმოო ძალების არნახულმა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებაში, შექმნა განვითარების შემდგომი, უფრო მაღალი საფეხური. წინაინდუსტრიული საზოგადოება შეცვალა ინდუსტრიულმა, ხოლო ეს უკანასკნელი – პოსტინდუსტრიულმა. განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო მაღალი მასობრივი მოხმარების ხანა, რაც გამოიხატა შემდეგში: ა. მკვეთრად გაიზარდა იმ უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მასობრივი მოხმარება, რომლებიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილისათვის; ბ. საგრძნობლად შემცირდა სიღარიბე; გ. მოსახლეობის 10%-მა ფუფუნების დონეს მიაღწია (წინათ იგი ხელმისაწვდომი იყო ერთეულებისთვის). მასობრივ მოხმარებაზე გადასვლას მოჰყვა პროგრესული უკუშედეგები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ПОТЕНЦИУРИ МЕП (potential GNP, potential output) - მეპ, რომლის წარმოებაც შეიძლება არსებული კაპიტალური რესურსებისა და სამუშაო ძალის პირობებში.

ПОТЕНЦИУРИ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ (potential output) - ფირმის, დარგის, სექტორის ან მთლიანად ეკონომიკის მაქსიმალურად შესაძლებელი წარმოების მოცულობა, განსაზღვრული წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფით. სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ წარმოების მოცულობებს შორის ჭარბი სიმძლავრეების ტოლია.

ПРЕЗЕНТАНТИ (presenter) [<ლათ. praesentans წარმომდგენი] - თამასუქის წარმომდგენი.

ПРЕЗЕНТАЦИА (presentation) [<ლათ. presentatio] - 1. ფირმის, საქონლის და ა.შ. წარდგენა მისი გაცნობის ან რეკლამის მიზნით; 2. გადასაპირებელი თამასუქის წარდგენა ტრასატისათვის, პირისთვის, რომელიც ვალდებულია ეს თამასუქი გაანაღდოს.

ПРЕЙСКУРАНТИ (price-current) [<ფრანგ. prix - ფასი corant მიმდინარე] - სხვადასხვა სახის პროდუქტის, საქონლისა და მომსახურების ფასების ცნობარი.

ПРЕФЕРЕНЦИА (preference) [<ლათ. praeferre - უპირატესობის მინიჭება] - 1. უპირატესობა, შეღავათი, შეღავათიანი საბაჟო გადა-

სახადები, დადგენილი სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი ქვეყნის ყველა ან ცალკეული სახის საქონელზე, რაც სხვა ქვეყნების პროდუქციაზე არ ვრცელდება; 2. სავაჭრო შეღავათი, დაწესებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

ПРИВАТИЗАЦИЯ (privatization) [<ლათ. privatus - კერძო] - სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა პერსონიფიცირებულ კერძო საკუთრებად.

ПРИВИЛЕГИРОВАННАЯ АКЦИЯ (preference share) - აქცია გარანტირებული ფიქსირებული დივიდენდის მიღების უფლებით. მის მფლობელს ხმის მიცემის უფლება არა აქვს და ამდენად, არ მონაწილეობს აქციონერული საზოგადოების მართვაში.

ПРИНЦИПАЛ (principal) [<ლათ. principalis მთავარი] - 1. მთავარი, ძირითადი მევალე ვალდებულებაში; 2. პირი, რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი.

ПРИНЦИП – „ТОТ, КТО ЗАГРЯЗНЯЕТ, ПЛАТИТ“ (polluter pays principle) - იდეა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვინც აბინძურებს გარემოს, მან უნდა გადაიხადოს ამ ქმედებისათვის. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ განაცხადა, ამ პრინციპს შეესაბამება პიგუს გადასახადი, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც ასტიმულირებს გარემოს დაბინძურების შემცირების ღონისძიებებს.

ПРОГНОЗИРОВАНИЕ (forecasting) – მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა, დასკვნები ქვეყნის მომავალი ეკონომიკის ან მისი ცალკეული სფეროების შესაძლებელი მდგომარეობის, აგრეთვე ამა თუ იმ დონის მიღწევის ალტერნატიული გზების, მეთოდებისა და ვადების შესახებ.

ПРОГРАММНЫЙ БЮДЖЕТ (programme budget) – მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების, პროგრამების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების ერთობლიობა. საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი **კაპიტალური ბიუჯეტია.**

ПРОГРЕССИВНЫЙ НАЛОГ (progressive tax) - გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთიც იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. პროგრესიული გადასახადი შეიძლება არსებობდეს დანახარჯებზეც, როცა საგადასახადო განაკვეთი იზრდება სამომხმარებლო დანახარჯების ზრდის კვალობაზე.

დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების უმრავლესობაში გადასახადები პროგრესიულია.

ПРОДУКТ (product) [<ლათ. productus წარმოებული] - შრომის მატერიალური (ნივთობრივი) ან

არამატერიალური (მეცნიერული აღმოჩენა, იდეა და ა.შ.) შედეგი.

პროდუქცია (product) [ლათ. productic, producire მზადება, კეთება] - მსოფლიოში, ქვეყანაში, მეურნეობის დარგში, საწარმოში, ცალკეული მუშაკების მიერ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში წარმოებული პროდუქტების ერთობლიობა.

პროდუქციის გამოშვება (output) - რესურსების დოვლათად გარდაქმნის საბოლოო პროცესი. არ არის აუცილებელი პროდუქციის გამოშვება ზუსტად ემთხვეოდეს სარგებლიანობის მომტან დოვლათს: პროდუქცია შეიძლება ფლობდეს ნულოვან და ზოგჯერ უარყოფით საბაზრო ფასსაც კი.

არ არის აუცილებელი პროდუქციას ჰქონდეს ნივთობრივი ფორმა. სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებაც პროდუქციაა. პირველი ჯანდაცვის ინდუსტრიის შედეგია, ხოლო მეორე — განათლების სისტემის საქმიანობისა.

პროდუცენტი (producer) [<ლათ. producens (prodocentis) მწარმოებელი] - მწარმოებელი; ამა თუ იმ საქონლის მწარმოებელი ქვეყანა.

პროლონგაცია (prolongation) [<ლათ. prologare გაგრძელება] - ხელშეკრულების, სესხის, თამასუქისა და ა.შ. მოქმედების ვადის გაგრძელება.

პრომესა (promise) [<ფრანგ. promesse დაპირება] - 1. დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მომგებიანი სესხის, ობლიგაციის ან ლატარიის ბილეთის მფლობელი (პრომესის გამყიდველი) ვალდებულებას იღებს, გარკვეულ ფასში დაუთმოს სხვა პირს თავისი მოგება; 2. ობლიგაციის გამყიდველის ვალდებულება, გადაცვალოს ობლიგაცია სხვა ობლიგაციაზე მისი ტირაჟის გასვლის შემთხვევაში.

პრომპტი (prompt) - სასწრაფოდ დადებული ჩარტერი.

პროპორციული გადასახადი (proportional tax) - გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთი შემოსავლის მიუხედავად უცვლელი რჩება.

პროტექციონიზმი (protectionism) [ფრანგ. protectionnisme <ლათ. protectio დაფარვა] - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან საიმპორტო საქონელზე მაღალი ბაჟის შემოღებით, გარკვეული სახის საქონლის შემოტანის შეზღუდვით ან აკრძალვით.

პროფიციტი (surplus) - ბიუჯეტის დადებითი სალდო, ბიუჯეტის შემოსავლის გადამეტება ხარჯზე. პროფიციტის დროს მთავრობა ჭარბ ფულად სახსრებს იყენებს თავისი დავალიანების დასაფარავად.

პროცენტი (interest) [<ლათ. procentum ყოველ ასზე] - 1. რიცხვის მეასედი, აღინიშნება ნიშნით **-%**; 2. შემოსავალი, რომელსაც მესაკუთრე იღებს გადასახადის

სახით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან თავის საკუთრებაში არსებული ობიექტების გამოყენებისათვის; 3. სასესხო პროცენტი, სარგებელი, რომელსაც იღებს კრედიტორი გაცემულ სესხზე.

პროცენტის (**სარგებლის**) **განაკვეთი** (interest rate) **-** კრედიტის ან სასესხო კაპიტალის გამოყენებისათვის დაწესებული გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს გასესხებული ფულადი ნიშნის ერთეულზე შემოღებული წლიური გადასახადის ოდენობას. მას აწესრიგებენ ბანკები მათ მიერ წარმოებულ ოპერაციებზე (მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დაკრედიტება, ანაბრები და სხვ.) დადებულ საკრედიტო შეთანხმებებში.

პროცენტული განაკვეთი შეიძლება იყოს მცოცავი ან ფიქსირებული მთელი ვადის განმავლობაში. მისი სიდიდე, წმინდა პროცენტის გარდა, დამოკიდებულია კრედიტორის დანახარჯებისა და რისკის საფასურზე. რაც უფრო სარისკოდ მიაჩნია კრედიტორს კრედიტის გაცემა, მით უფრო მაღალია პროცენტის ნორმა თანაბარ პირობებში. პროცენტული განაკვეთის ნორმა მეწარმისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. იგი ყალიბდება ფულის ბაზარზე.

პროცენტის ნორმა დამოკიდებულია: ა). ფულადი სახსრების მიწოდების სიდიდეზე, ანუ იმ დროებით თავისუფალ ფულად სახსრებზე, რომლებიც თავს იყრის ფულის ბაზარზე; ბ). საქონლის ფასებზე. რაც უფრო მაღალია ფასების მოსალოდნელი ზრდა, მით უფრო მაღალია პროცენტის ნორმა.

პროცენტის ნომინალური განაკვეთი (nominal interest) - ფულის რაოდენობა, რომელიც გადახდილია სასესხო ფულადი ნიშნის ერთეულზე გარკვეულ პერიოდში (თვე, წელი); პროცენტის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც დაირიცხება აქტივების ნომინალური ღირებულების ნამატი სადეპოზიტო ანგარიშებსა და ფასიან ქაღალდებზე; პროცენტის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის ჯამი. **ფიშერის ეფექტის** მიხედვით, პროცენტის ნომინალური განაკვეთის დინამიკა მთლიანად ემთხვევა ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის დინამიკას.

პროცენტის რეალური განაკვეთი (real interest rate) **-** 1. პროცენტის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც იზრდება აქტივების რეალური ღირებულება სადეპოზიტო ანაგრიშებსა და ფასიან ქაღალდებზე გარკვეულ პერიოდში; 2. პროცენტის მინიმალური განაკვეთი, კორექტირებული მოცემულ პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის ტემპის მიხედვით; სხვაობა პროცენტის ნომინალურ განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის. არსებობს **მოსალოდნელი** (ex ante) და **ფაქტობრივი** (ex post) პროცენტის რეალური განაკვეთი.

ჟ

ჟენევის კონფერენცია (Geneva Conference) - იხ. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება.

ჟენევის რაუნდი(Geneva round) - ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ჩარჩოებში სავაჭრო მოლაპარაკებების პირველი (1947) და მეოთხე (1955-1956) რაუნდების ფართოდ გავრცელებული სახელწოდება.

ჟირანტი (endorsee) [<იტალ. girante<girare გადაგზავნა (თანხის)] - იგივეა, რაც ინდოსანტი.

ჟირატი (endorser) - იგივეა, რაც ინდოსატი.

ჟირო (endorsement) [<იტალ. giro ბრუნვა, მიმოქცევა] - 1. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 2. იგივეა, რაც ინდოსამენტი.

ჟიროანგარიშსწორება (giro account) - უნაღდო ანგარიშსწორება, რომელსაც აწარმოებენ ბანკები ერთი ანგარიშიდან მეორეზე თანხის გადარიცხვით. იგი გამოიყენება აგრეთვე უნაღდო ანგარიშსწორების მთელი სისტემის აღსანიშნავად.

ჟიროჩეკი (giro cheque) - ჩეკი, რომელიც შეიცავს ჩეკის მფლობელის ნებართვას მისი ჟიროანგარიშიდან ჩეკის ამღების ანგარიშზე განსაზღვრული თანხის გადარიცხვის შესახებ. ჟიროჩეკი გამოიყენება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებისას ერთი ბანკის ფარგლებში, სადაც გახსნილია ორივე მხარის ჟიროანგარიში.

ჟიროცენტრალი (girocentral) - საკრედიტო დაწესებულება, რომელიც კომუნალური შემნახველი ბანკებისთვის ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გერმანიაში.

რ

რა, როგორ, ვისთვის (what, how, for whom) - ეკონომიკური ორგანიზაციის სამი ძირითადი პრობლემა, ტრიადა. **„რა“ –** ეს არის კითხვა იმის შესახებ, თუ რა სახის და რა რაოდენობის საქონელი ან მომსახურება უნდა ვაწარმოოთ შეზღუდული რესურსების პირობებში. **„როგორ“ –** ეს არის კითხვა იმის შესახებ, თუ რა ტექნოლოგიით ვაწარმოოთ ეს საქონელი ან მომსახურება, ხოლო **„ვისთვის“ –** ეს არის კითხვა იმის შესახებ, თუ სამომხმარებლო დოვლათი როგორ განაწილდეს მოცემულ საზოგადოებაში. იხ. საბაზრო ეკონომიკა.

რანტიე (rentier) (ფრანგ. rentier) - პირი, რომლისთვისაც შემოსავლის წყაროა სესხად გაცემული კაპიტალის პროცენტი (სარგებელი) ან ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი.

რაციონალური მოლოდინის თეორია (rational expectations theory) - თეორია, რომლის თანახმადაც მწარმოებლები და მომხმარებლები – ბიზნესისა და ჰაუსჰოლდის ბლოკები არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის საფუძველზე ყველაზე რაციონალურად გეგმავენ თავიანთ ეკონომიკურ ქცევას. ისინი ვარაუდობენ, რომ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა გარკვეულ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე და, ხელმძღვანელობენ რა საკუთარი გამორჩენის სურვილით, ისეთ ღონისძიებებს მიმართავენ, რომლებიც ამ პოლიტიკას არაეფექტიანს ხდის.

რაციონალური სპეკულაციური „საპნის ბუშტი“ (rationalistic speculative “bubble”) – აქციის ფასის ისეთი დინამიკა, როდესაც ფინანსური ინვესტორები გამოხატავენ მზადყოფნას, აქციებში მის ნამდვილ ღირებულებაზე მეტი გადაიხადონ, იმ მოლოდინით, რომ „საპნის ბუშტი“ იბერება, ამიტომ აქციები გააგრძელებს გაფართოებას, რაც ინვესტორებს მათი აქციების უფრო მაღალ ფასად გაყიდვის საშუალებას მისცემდა. სინამდვილეში ეს აქციები შეიძლება „ცხელი“ (ზედმეტად შეფასებული) გახდეს. აქციების ფასის ასეთ გადახრას მათი ნამდვილი ღირებულებიდან ახირება ეწოდება.

რეალური გაცვლითი კურსი (real exchange rate) - გაცვლითი კურსი, რომელიც ითვალისწინებს ორი შესაბამისი ქვეყნის ფასების დონეთა თანაფარდობას. გაიანგარიშება ნომინალური გაცვლითი კურსის გაყოფით შესადარ ქვეყნებში ფასების ინდექსების თანაფარდობაზე.

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (real gross domestic product) - საბოლოო პროდუქტის

მთლიანი რაოდენობის მის მუდმივ (და არა მიმდინარე) ფასებზე ნამრავლთა ჯამი. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გამოშვების მაჩვენებელია. მასში ცვლილებები მხოლოდ საქონლის რაოდენობაში ცვლილებებს ასახავს.

რეალური შემოსავალი (real income) - საქონლისა და მომსახურების რაოდენობა, რომლის შეძენაც შეუძლია ინდივიდს, ოჯახს ან ფირმას თავიანთი ფულადი შემოსავლებით, ან კიდევ, ფულადი შემოსავალი, რომელიც კორექტირებულია ფასების ინდექსით.

რეალური ცვლადები (real variables) - ნატურალური ერთეულებით გაზომილი სიდიდეები (იხ. კლასიკური დიჰოტომია).

რეალური ხელფასი (real wage) - ნომინალური ხელფასი, კორექტირებული ფასების ცვალებადობის დონის მიხედვით. გაიზომება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებით, რომელთა შეძენა შესაძლებელია ამ ხელფასით.

რეგისტრი (register) [<ლათ. registrum> სია, ჩამონათვალი] - 1. ჩანაწერების წიგნი, სააღრიცხვო დოკუმენტი შესაბამისი სიით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგ., კომერციული რეგისტრი, რომელშიც შეტანილია ყველა კომერციული ბანკი; კრედიტორების რეგისტრი, რომელშიც შეიტანება იპოთეკური კრედიტის კრედიტორები; უძრავი ქონების რეგისტრი, რომლის თანახმადაც განისაზღვრება უძრავი ქონების კონკრეტული ობიექტის ფლობის უფლება; ფასიანი ქაღალდების რეგისტრი, რომელშიც შეაქვთ ცნობები ფირმის ყველა ფასიანი ქაღალდის შესახებ; 2. სპეციალური ორგანო, რომელიც მართვის სპეციალურ დარგში ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებს.

რეგიონული ეკონომიკა (regional economics) - ეკონომიკური ანალიზის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიულ განლაგებას და რეგიონებს შორის ეკონომიკური აქტიურობის დონეთა შორის განსხვავებას. იგი იკვლევს მიკრო- და მაკროეკონომიკურ პრობლემებს.

რეგიონული მაკროეკონომიკის ფარგლებში, როგორც წესი, ხორციელდება სხვადასხვა რეგიონების შედარებითი ანალიზი, ხოლო თვით რეგიონები განიხილება როგორც ერთგვაროვანი ეკონომიკური ერთეულები. რეგიონული მაკროეკონომიკა მოიცავს ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონთა ეკონომიკური ზრდისა და უმუშევრობის, წარმოების ფაქტორთა მოძრაობისა და ა.შ. პრობლემებს.

რეგიონული მიკროეკონომიკა უპირატესად დაკავშირებულია

კონკრეტულ ეკონომიკურ ობიექტებს შორის ურთიერთზემოქმედების საკითხების კვლევასთან. იგი შეისწავლის ადგილმდებარეობის გავლენას ეკონომიკურ საქმიანობაზე და არ განიხილავს რეგიონებს როგორც ერთგვაროვან ერთეულებს. დიდი და პატარა ქალაქების თავისებურებების კვლევისთვის გამოიყენება ტერმინი — „ქალაქების ეკონომიკა“.

რეგრესი (regress, recourse) [ლათ. regressus დაბრუნება, უკან სვლა] - 1. განვითარების უფრო მაღალი ფორმიდან დაბალზე გადასვლა, უკან სვლა, ცვლილება უარესისაკენ (საპირისპიროა -პროგრესი); 2. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელსაც ერთი პირი წარუდგენს მეორეს.

რეგრესიული გადასახადი (regressive tax) - გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთიც შემოსავლის ზრდასთან ერთად ეცემა. არაპირდაპირი გადასახადების უმრავლესობა რეგრესიულია.

რეესტრი (register) (ლათ. regictrin) - იხ. კადასტრი.

რეექსპორტი (reexport) [ლათ. reexsportore] - ადრე იმპორტირებული საქონლის გატანა (გადამუშავების გარეშე) მესამე ქვეყანაში.

რევალვაცია (revaluation) [რე + <ფრანგ. evalastion შეფასება] - სხვაგვარად — ვალორიზაცია, რევალორიზაცია — ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ან მისი კურსის ოფიციალური გაზრდა სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით.

ვინაიდან თანამედროვე პირობებში ფულს აღარ აქვს ოქროშემცველობა, ამჟამად რევალვაცია გულისხმობს მხოლოდ ფულის კურსის ოფიციალურ გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით.

საქმე ისაა, რომ იამაიკის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების (1976) შემდეგ, **სსფ**-ის გადაწყვეტილებით, 1978 წელს გაუქმდა ოქროს პარიტეტი (თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის ოქროს წონითი რაოდენობის, ოქროს შემცველობის მიხედვით). ოქრო, რომელიც სავალუტო სისტემაში XX საუკუნის 70-იან წლებამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გამოიდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან. მიიღეს გადაწყვეტილება მისი საბოლოო დემონეტიზაციის შესახებ. მთავარი ვალუტის სტატუსი ამერიკულ დოლარს მიენიჭა. რევალვაცია გულისხმობს ფულის მსყიდველობითი უნარის ამაღლებას გარკვეულ დონემდე. ეს დონე შეიძლება იყოს ისეთივე, როგორიც ინფლაციის დასაწყისში; შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე იმ მომენტში, როდესაც ინფლაციამ მაქსიმუმს მიაღწია. ამრიგად, რევალ-

ვაცია ქაღალდის ფულის ინფლაციამდელი ღირებულების თანდათანობითი აღდგენის პროცესია, რაც ფაქტობრივად ვალუტის კურსის ამაღლებას ნიშნავს. მაგ., 1961 წელს მოხდა დასავლეთ-გერმანული მარკის რევალვაცია. მისი ოქროშემცველობა გაიზარდა 0,211588-დან 0,222168 გრამ წმინდა ოქრომდე, რის შედეგად აშშ-ის დოლარის მიმართ ამ ფულის კურსი, ნაცვლად 4,2 მარკისა, გახდა 4 მარკა.

რევალვაცია ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა, საერთაშორისო სავალუტო პრაქტიკაში იგი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყანა, რომელიც ვალუტის რევალვაციას ახორციელებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საგარეო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალის მიზიდვისა და საერთაშორისო ტურიზმის სფეროში. ეს გამოიხატება შემდეგში: 1. რევალვაცია მოცემული ქვეყნის ვალუტის კურსის აწევით სხვა სახელმწიფოების ვალუტებთან შედარებით იწვევს უცხოურ ვალუტაში საექსპორტო საქონლის ფასების ზრდას, რითაც ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, აფერხებს საქონლის ექსპორტს. რაც შეეხება საქონლის იმპორტს, რევალვაცია, პირიქით, ამცირებს მასზე საკუთარ ვალუტაში გამოხატულ ფასებს, რითაც ზრდის მოთხოვნას იმპორტულ საქონელზე და, საერთოდ, იმპორტს; 2. მოცემული ქვეყნის რევალვირებულ ვალუტასა და სხვა ქვეყნების ვალუტებს შორის წარმოქმნილი ახალი სავალუტო პარიტეტი არახელსაყრელს ხდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყანაში, ვინაიდან ვალუტების გაცვლისას მათი მფლობელები ადგილობრივი ვალუტით ნაკლებ თანხას იღებენ. მეორე მხრივ, ქვეყნებისთვის, რომლებმაც თავიანთი ვალუტის რევალვაცია მოახდინეს, კაპიტალის ექსპორტი უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან იქმნება უცხოური ვალუტის შედარებით იაფად ყიდვის შესაძლებლობა; 3. რევალვაცია ამცირებს ქვეყნის შემოსავალს საერთაშორისო ტურიზმის სფეროში, ვინაიდან უცხოელ ტურისტებს ამ ქვეყანაში მოგზაურობა ძვირი უჯდებათ, და პირიქით, სტიმულს აძლევს ადგილობრივ ტურისტებს საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის, რადგან მათთვის უცხოური ვალუტა იაფი ხდება.

რევალვაცია ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. უცხოური ვალუტის მოძალების შეზღუდვით იგი გარკვეულწილად ხელს უწყობს მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შეჩერებას და ამის საფუძველზე

ფასების მატების შენელებას. ფასების ზრდას აფერხებს აგრეთვე რევალვაციის შედეგად იმპორტზე გაწეული ხარჯების შემცირება. საპირისპიროა — დევალვაცია.

რევერსი (reversion) - ქონების დაბრუნება თავდაპირველი მფლობელისათვის.

რევიზია (revision, audit) - რწმუნებული სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს, დაწესებულების ან თანამდებობის პირების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება მუშაობაში ნაკლოვანებების გამოვლენისა და დაძლევის მიზნით, აგრეთვე მათი მოქმედების კანონიერებისათვის.

რევოკაცია (revocation) - ჩეკის გამცემის წინადადება გაცემული ჩეკის გაუქმების შესახებ.

რეზიდენტი (resident) [ლათ. residens (residents) მჯდომარე] - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ხანგრძლივად (1 წელზე მეტ ხანს) ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში. რეზიდენტზე სრულად ვრცელდება ქვეყანაში არსებული საგადასახადო და საკანონმდებლო რეჟიმი.

რეიდერი ფირმა (raider firm) – ფირმა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა იყიდოს სხვა კომპანია; რეიდერი ფირმა შთანთქავს სხვა კომპანიებს.

რეიგანომიკა (Reaganomics) - ნეოკლასიკური თეორიების, პირველ ყოვლისა, მიწოდების თეორიისა და მონეტარიზმის ძირითადი დებულებების ასახვა აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის (1981-1988) ეკონომიკურ პოლიტიკაში. რეიგანომიკა მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ძირითად მიმართულებებს: 1. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდის შეჩერებას სახელმწიფო ხარჯების შემცირების საფუძველზე; 2. სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდას; 3. კერძო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების მასშტაბის მნიშვნელოვან შემცირებას; 4. ადმინისტრაციის მიერ სარეზერვო სისტემის წახალისებას ფულადი მასის ზრდის ტემპის იმ დონეზე შესანარჩუნებლად, რომელიც საკმარისი იქნებოდა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის; 5. პირადი საშემოსავლო გადასახადისა და კორპორაციების მოგებაზე გადასახადის მკვეთრ შემცირებას.

რეიმპორტი (reimport) [ლათ. reimportate] - საზღვარგარეთიდან სამამულო წარმოების საქონლის (გაუსაღებლის, დაწუნებულის და ა.შ., დროებით გატანილის, მაგალითად, გამოფენაზე) უკან შემოტანა.

რეკამბიო (renewed bill) [იტალ. recambio შებრუნებითი თამასუქი] - სხვაგვარად რეტრატა — 1. თამასუქის მოთხოვნა ვალდებული პირის

მიმართ, რომელსაც წარადგენს გაპროტესტებული თამასუქის გამნაღდებელი გადახდილი თანხის, პროცენტის, საურავის (ჯარიმის) და გაპროტესტებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით; 2. ბანკის ანგარიში ინკასოდ მიღებული თამასუქის გაპროტესტებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

რეკეტი (racketeering) - მეწარმეებისაგან ფულის უკანონო გამოძალვა შანტაჟის გზით.

რეკვიზიტი (requisite) [<ლათ. requisitum საჭირო, აუცილებელი] - დოკუმენტებისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო მონაცემები. თუ რეკვიზიტს თუნდაც ერთი მონაცემი აკლია, მის მფლობელს უფლება არა აქვს, დანიშნულებისამებრ გამოიყენოს იგი.

რეკლამა (advertising) - ინფორმაციის წყარო პოტენციური მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების ფასებისა და თვისებების შესახებ. იგი ზრდის საბაზრო ინფორმაციის ნაკადებს და ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას. რეკლამა ფირმის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მიმართულია პროდუქციის გაყიდვის მოცულობის გადიდებისაკენ. მისი ძირითადი მიზანია მომხმარებელთა რაოდენობის გადიდება და ამით კონკურენტებთან უპირატესობის მოპოვება (რომლებიც უპირატესობას მიანიჭებენ ამ ფირმის პროდუქციას მის კონკურენტებთან შედარებით). თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რეკლამას განიხილავენ როგორც კაპიტალდაბანდებას. რეკლამის აქტივები შედის ფირმის არანივთობრივი აქტივების ღირებულებაში.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Development- **IBRD**) - საერთაშორისო ფინანსური-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია. დაარსდა 1945 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად და გაეროს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილებით (რომელიც ჩატარდა 1944 წლის ივლისში). არაოფიციალურად მსოფლიო ბანკად წოდებულ ორგანიზაციას 1947 წელს მიენიჭა გაეროს სპეციალური ორგანოს სტატუსი.

თავდაპირველად ბანკი დაკავებული იყო კაპიტალური რესურსების თავმოყრითა და განაწილებით ომისშემდგომი ევროპის აღსადგენად. აღდგენის ევროპული პროგრამის მთავარი ამოცანა იყო განვითარების მონაწილე ქვეყნებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემა 5 წლის ვადითა და 15 წლის ან მეტი ხნით დაფარვის პირობით. თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა „მესამე სამყაროს“ ქვეყნების განვითარების დაკრედიტება.

ბანკის საქმიანობა ფინანსდება მონაწილე ქვეყნების შენატანების ხარჯზე (ამ ქვეყნების რაოდენობა 1990 წელს 153 იყო, ამჟამად 185-ია). ბანკი აგრეთვე ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ტექნიკური დახმარების მრავალი სახის პროგრამას. ამასთან, იგი თანამშრომლობს განვითარების პრობლემებით დაკავებულ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ხელმძღვანელობს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტებს, მონაწილე ქვეყნების იმ სამთავრობო ჩინოვნიკების მომზადების სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ განვითარების პროგრამების შეფასებასა და შესწორებაში. სესხების გაცემასა და ტექნიკურ დახმარებაში ბანკის საქმიანობას ავსებს კიდევ სამი ორგანიზაციის მონაწილეობა, ესენია: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, მრავალმხრივი ინვესტირების გარანტიის სააგენტო, რომლებიც, შესაბამისად, შეიქმნენ 1956, 1960 და 1988 წლებში.

რემარკა (remark) [ფრანგ. remarque] - შენიშვნა, მინაწერი ან აღნიშვნა სავაჭრო წიგნში, ანგარიშში და სხვ.

რემისია (remission) [<ლათ. შემცირება] - კომერციული ფასჩამოკლება ანგარიშის მიხედვით გადასახდელი თანხის დამრგვალების მიზნით.

რემიტენტი (remitter) [<ლათ. remittens (remittentis) გამგზავნი] - ფულის მიმღები გადასაპირებელი თამასუქით, ე.ი. პირი, რომელსაც უხდიან თამასუქში აღნიშნულ თანხას. რემიტენტი შეიძლება იყოს როგორც მესამე პირი, ისე ტრასანტი.

რენოვაცია (renovation, renewal) - ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად წარმოებიდან გამოსული მანქანა-მოწყობილობების, ინსტრუმენტების საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე შეცვლის პროცესი.

რენტა (rent) [<ლათ. reddita დაბრუნებული] - 1. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან, ქონებიდან ან მიწის ნაკვეთიდან, რომელიც არ უკავშირდება მისი მიმღების სამეწარმეო საქმიანობას; 2. ყოველწლიური თანხა, რომელსაც სადაზღვევო კომპანია უხდის დაზღვეულს.

რენტაბელობის ნორმა (operating ratio, profitability) - დანახარჯების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. გაიანგარიშება მოგების შეფარდებით წარმოებრივი ძირითადი კაპიტალისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან.

რენტინგი (renting) - მანქანებისა და მოწყობილობების მოკლევადიანი არენდა, არენდატორის

მიერ მათი შემდგომი გამოსყიდვის უფლების გარეშე. არენდის გადასახადი რენტინგის მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე ფინანსური ლიზინგისა.

რეპარაცია (reparation) [<ლათ. reparatio აღდგენა] - დამარცხებული სახელმწიფოს მიერ ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც განიცადა თავდასხმა.

რეპორტი (contango; overspot) - სპეკულაციური საბირჟო გარიგება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კურსის ამაღლებას საკურსო სხვაობის მიღების მიზნით.

რეპრივატიზაცია (pre-privatization) – ადრე კერძო საკუთრებაში არსებული, შემდგომ ნაციონალიზებული ქონების კვლავ ყოფილ მესაკუთრეზე კერძო საკუთრებაში დაბრუნება.

რესტანტი (rest) – 1. ბალანსის შედგენის შემდეგ დარჩენილი ფირმის ვალი. 2. გაუყიდავი საქონლის ნაშთი.

რესტიტუცია (restitution) – 1. ქონების დაბრუნება, რომელიც არამართლზომიერად იყო მიტაცებული და გატანილი მეომარი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. 2. გარიგების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულებით მიღებული ფულისა და საქონლის ურთიერთ დაბრუნება იმ შემთხვევაში, როცა გარიგება მიჩნეულია ბათილად. თუ საქონლის დაბრუნება ნატურალური სახით შეუძლებელია, მაშინ მისი დაბრუნება ფულადი სახით ხორციელდება. თუ აღმოჩნდება, რომ გარიგების კანონიერების დარღვევაში დამნაშავე ერთ-ერთი მხარეა, რესტიტუცია ცალმხრივი ხდება, ე.ი. სახსრების დაბრუნებას მხოლოდ დამნაშავე მხარე ახორციელებს.

რესტრიქცია (restriction) [ლათ. restrictio შეზღუდვა] - 1. მონოპოლიების მიერ საქონლის წარმოების, გაყიდვისა და ექსპორტის შეზღუდვა ფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით; 2. ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტების შეზღუდვა, რაც იწვევს სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების კრედიტების საერთო შემცირებას, წარმოების შეკვეცას ან მისი ზრდის ტემპების დაცემას.

რესტრუქტურიზაცია (restruqturing) – კონტროლირებადი პროგრამა, შედგენილი საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საწარმოს საქმიანობის სფეროს, ან საქმიანობის წარმართვის ხერხებს. რესტრუქტურიზაციის მაგალითებია ასევე: საქმიანობის ნაწილის გაყიდვა ან შეწყვეტა; საქმიანობის დახურვა რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში; საქმი-

ანობის გადატანა ერთი ქვეყნიდან ან რეგიონიდან მეორე ქვეყანაში ან რეგიონში; მენეჯმენტის სტრუქტურის ცვლილება; ფუნდამენტური რეორგანიზაცია, რომელიც არსებით გავლენას მოახდენს საწარმოს საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებაზე. ბოლო ხანებში ეს ტერმინი გამოიყენება ვალებთან მიმართებაში – ვალების რესტრუქტურიზაცია, რაც ნიშნავს ახალი პირობებისა და ვადების განსაზღვრას ვალის დაფარვასთან მიმართებაში.

რესურსების წრებრუნვის მოდელი (The circular - flow model) - ეკონომიკის ვიზუალური მოდელი, მაკროეკონომიკური წრებრუნვის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ მოძრაობს რესურსების ნაკადი შინამეურნეობებსა და ფირმებს შორის სხვადასხვა ბაზრის (რესურსების, საქონლის, მომსახურების) გავლით. სხვაგვარად, მას **საქმიანი აქტიურობის ჩაკეტილი წრიული ნაკადის მოდელს** უწოდებენ.

რეტრატა (renewed bill) (იტალ. ritratta) - იგივეა, რაც რეკამბიო.

რეფაქცია (discount) [ფრანგ. refoction] - ფასის ან წონის დაკლება საქონელზე, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე დაბალია (იხ. ბონიფიკაცია).

რეფერენდუმი (referendum) [<ლათ. referendum ის, რაც უნდა შეატყობინონ] - საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ საკითხზე.

რეფერენცია (reference) [<ლათ. referre ვაცნობებ] - დახასიათება, რომელსაც საქმიან წრეებში ნდობით აღჭურვილი ორგანიზაცია, ბანკი, აქციონერული საზოგადოება და ა.შ. აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. მასში აღნიშნულია იმ პირის თვისებები და კრედიტუნარიანობა, ვისაც დახასიათება ეძლევა.

რეფინანსირება (refinancing) - ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხის დახმარებით. ვთქვათ, კომპანიას სამი წელი დარჩა ხუთი წლით აღებული 50 ათასი დოლარი კრედიტის (წლიურად თანაბარი გადახდის პირობით) დასაფარავად. დარჩენილი 30 ათასი დოლარი მან შეიძლება დაფაროს ახალი ხუთწლიანი ობლიგაციების გამოშვების გზით.

რეცეპისა (receipt) [ლათ. recepisse<recipore მიღება] - წინასწარი საზღვაო ხელწერილი (იხ. კონოსამენტი) საქონლის მიღების შესახებ.

რეცესია (recession) [ლათ. recessus უკან დახევა] - ეკონომიკის ზომიერი დაცემა (უარყოფითი ზრდა) ან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. აისახება სოციალური შემოსავლის შემცირე-

ბასა და უმუშევრობის დონის ამაღლებაში.

რთული პროცენტი (compound, complex interest) - პროცენტულ შემოსავალზე დარიცხული პროცენტი. ამ შემთხვევაში პროცენტის განაკვეთი გაიანგარიშება იმ თანხიდან, რომელიც მოიცავდა ადრე დარიცხულ პროცენტს. მაგ., თუ ინვესტიციებმა შეადგინა 1, ხოლო პროცენტის განაკვეთი r-ის ტოლია, მაშინ ერთი წლის გასვლის შემდეგ თანხა იქნება(1 x r). თუ მიღებული პროცენტი ამოგებული იქნება, მაშინ დარჩება 1, რომელიც შემდეგ წელს ისევ მოიტანს r პროცენტს, მაგრამ თუ დარჩება (1 + r), მაშინ ეს თანხა მომდევნო წელს მოიტანს (1 + r) x r პროცენტს. მეორე წლის ბოლოს თანხა იქნება (1 + r)+(1 + r) x r.

რიკარდო დევიდ (1772-1823) (Ricardo David) - ინგლისელი ეკონომისტი, რომელმაც ნოვატორული წვლილი შეიტანა ეკონომიკის არა ერთი სფეროს კვლევაში. რიკარდოს მთავარი და ცნობილი ნაშრომია „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817), სადაც მან სხვა საკითხებთან ერთად, აბსოლუტური უპირატესობის თეორიის განვითარების საფუძველზე, დაამუშავა შეფარდებითი უპირატესობის თეორია.

რიკარდომ 14 წლისამ დაიწყო მუშაობა საფონდო ბირჟაზე ჯერ ბროკერად, ხოლო შემდეგ მაკლერად. 42 წლის ასაკში მან დიდი სიმდიდრე დააგროვა, რამაც საშუალება მისცა მიეტოვებინა ამ სფეროში საქმიანობა და თავისი შესაძლებლობები მოესინჯა ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ეკონომიკური მეცნიერებისადმი რიკარდოს ინტერესის გაძლიერებაში უდიდესი როლი შეასრულა ა. სმითის ნაშრომმა – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. რიკარდოს პირველი ნაშრომი იყო 1809 წელს გამოქვეყნებული საგაზეთო სტატია, რომელიც საფუძვლად დაედო მის პირველ დიდ ტრაქტატს – „ოქროს ზოდების მაღალი ფასი“ (1810). ამ ნაშრომში რიკარდო ამტკიცებდა, რომ მიმდინარე ინფლაცია გამოწვეულია ფულადი მასის შეზღუდვით და „ინგლისის ბანკის“ წარუმატებლობის შედეგია.

რიკარდოს დიდი წვლილი მიუძღვის შრომითი ღირებულების თეორიის შექმნაში. შემდეგ ეს თეორია განავითარა კ. მარქსმა. მიუხედავად იმისა, რომ რიკარდო ხედავდა სიძნელეებს შრომითი დანახარჯებით ღირებულების (ფასეულობის) ახსნაში, იგი ეყრდნობოდა შეხედულებას, რომ შრომა ხარჯებისა და ფასების მთავარი შემადგენელია.

მეცნიერთა ერთი ნაწილი უპირისპირდება რიკარდოს შრომითი

ღირებულების თეორიას და მას ემპირიულ თეორიად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ დ. რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე 1937 წელს თარგმნა ლაიპციგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა, პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა (რუსულ ენაზე ითარგმნა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ – 1941 წელს).

რიკარდო-ბაროს თეორემა (Ricardo-Barro proposition) - თეორემა, რომლის მიხედვით, ეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედებას არ ახდენს არც ბიუჯეტის დეფიციტი და არც სახელმწიფო ვალი. ეს მოსაზრება ცნობილია აგრეთვე რიკარდოს ეკვივალენტურობის სახელწოდებით.

რობინსონი ჯოან (1903-1983) (Robinson Joan) – ბრიტანელი ეკონომისტი, პოსტკეინზიანური პერიოდის გავლენიანი თეორეტიკოსი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი (1931-1971), კემბრიჯის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ნაშრომით „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“ (1933) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სრულყოფილი კონკურენციის კონცეფციაზე აგებული ფასეულობის თეორიის კრიტიკასა და არასრულყოფილი კონკურენციის თეორიაში (მისგან დამოუკიდებლად მსგავსი თეორია შეიმუშავა ე. ჩემბერლინმა). რობინსონი განიცდიდა კ. მარქსისა და ჯ. კეინზის ნაშრომების გავლენას, აკრიტიკებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის (Laissez-Faire) თეორიას, ზღვრულ სარგებლიანობაზე დაფუძნებულ შემოსავლების განაწილების ნეოკლასიკურ თეორიას. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ზრდის თეორიაში.

ჯ. რობინსონის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ნარკვევი მარქსისტული ეკონომიკური თეორიის შესახებ“ (1942), „ეკონომიკური ფილოსოფია“ (1962), „ეკონომიკური ზრდის თეორიის ნარკვევები“ (1963), „ეკონომიკური მეცნიერება ჩიხში“ (1966), „თავისუფლება და მოვალეობა“ (1970), „ეკონომიკური ერესი“ (აბდაუბდა – რ.ა.) (1971) და ა.შ.

როდი (rod) - სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში; 1 როდი უდრის 51/2 იარდს ანუ 5,0292 მეტრს.

როიალტი (royalties) - სალიცენზიო გასამრჯელო პერიოდული გადარიცხვის ფორმით ლიცენზირებული ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხიდან.

როლოვერული კრედიტი (roll-over credit) - ითვალისწინებს პროცენტის (სარგებლის) განაკვე-

თის პერიოდულ გადასინჯვას. სახელშეკრულებო ვადა იყოფა მოკლე პერიოდებად (3-6 თვედ), ხოლო მტკიცე პროცენტული განაკვეთი დგინდება მხოლოდ პირველ ეტაპზე. ყოველ მომდევნო ეტაპზე ხდება მისი კორექტირება ფასების, პროცენტის განაკვეთისა და ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით. როლოვერული კრედიტი თავიდან აცილებს საბაზრო რისკს როგორც კრედიტორს, ისე მსესხებელს.

„რომის კლუბი“ (“Club of Rome”) -საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. დაარსდა 1968 წელს რომში. ცივილიზებული სამყაროს განვითარების თანამედროვე ტენდენციების საფუძველზე იგი იკვლევს საზოგადოების განვითარების გლობალურ პერსპექტივებს. „რომის კლუბში“ გაერთიანებული არიან მეცნიერები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები, კლუბის დამფინანსებელი კორპორაციები და ფონდების ხელმძღვანელები. მისი კვლევის მთავარი მიმართულებაა კაცობრიობის განვითარების პროგნოზი ერთი საუკუნის განმავლობაში.

რუდი (rood) - ფართობის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში. 1რ. უდრის 42 კვ. როდს ანუ 1011,71 $მ^2$-ს.

რუზის ეფექტი (Roosa effect) - ტერმინი, რომელიც ადრე გამოიყენებოდა იმ მოვლენის ასახსნელად, რასაც ამჟამად უწოდებენ „გაყინვის“ ეფექტს. სახელწოდება წარმოდგება ამერიკელი ბანკირისა და ეკონომისტის რობერტ ვ. რუზის გვარისგან, რომელმაც პირველმა მიუთითა ამ ეფექტის მნიშვნელობაზე.

რურალიზაცია (ruralization) - ურბანიზაციის საპირისპირო პროცესი, როდესაც ხდება მოსახლეობის გადანაცვლება ქალაქიდან სოფლად. თანამედროვე პირობებში დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.).

რუტინა (routines) – ფირმაში ჩამოყალიბებული ქცევის წესები და ხერხები, კვლავწარმოების მარეგულირებელი სტერეოტიპი,ნეკროეკონომიკის არსებობის მთავარი ფაქტორი, რომელიც საწარმოებს არსებული ეკონომიკის რეჟიმში მუშაობას აიძულებს. ამის გამო მათი საწყობები კონკურენტუუნარო პროდუქციითაა გადავსებული, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი და რიგი საწარმოებისა ურთიერთდავალებების ჩახლართულ ქსელშია გახვეული.

ასეთ პირობებში ვალების ჩამოწერის არსებული მექანიზმი ის დამკვიდრებული რუტინაა, რომელიც პერიოდულად ვლინდება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში „საგადასახადო ამნისტიის“ სხვადასხვა ფორმით.

ს

საარსებო მინიმუმი (subsistence level) - ფულადი სახსრების მინიმუმი, რაც აუცილებელია ადამიანის ქმედუნარიანობის შენარჩუნებისა და სამუშაო ძალის აღდგენისათვის. იგი საკმარისი უნდა იყოს მუშაკისა და მისი ოჯახის წევრების საზოგადოებრივად აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საწარმოო ძალების განვითარების დონის გათვალისწინებით. საარსებო მინიმუმი გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელი ცხოვრების დონის ქვედა ზღვარს. საზოგადოების განვითარების მოცემულ პირობებში მისი განსაზღვრის მეთოდიკა ეფუძნება მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის) შექმნას, რომელიც გარკვეული სიდიდის ოჯახის ან ერთი მუშაკის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსს წარმოადგენს (იხ. სამომხმარებლო კალათა).

საამორტიზაციო ანარიცხები (capital allowances) - ძირითადი კაპიტალის ცვეთის კვალობაზე მისი ღირებულების მზა პროდუქციაზე გადატანის შედეგად წარმოების დანახარჯებში შესული ანარიცხები, რომელიც, ამ პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ, სხვა დანახარჯებთან ერთად, უბრუნდება საწარმოს ძირითადი კაპიტალის ფიზიკური აღდგენისათვის.

საბაზისო პუნქტი (basis point) - პროცენტის მეასედი ნაწილი; მაჩვენებელი, გამოყენებული პროცენტულ განაკვეთებში სხვაობის, ფასიანი ქაღალდებით მიღებული შემოსავლების ცვლილებებისა და ა.შ. დახასიათებისთვის.

საბაზისო (ამოსავალი) ფასი (base price) - 1. ფასი, რომელიც გამოიყენება ბაზისად ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას საერთაშორისო ვაჭრობაში. საფუძვლად უდევს საერთაშორისო ვაჭრობაში (საექსპორტო და საიმპორტო) ფასების განსაზღვრას მთელ საქონელსა და მის ცალკეულ ჯგუფებზე; 2. ნაწარმის ფასი გარკვეული ფიქსირებული პარამეტრებით, რომელიც გამოიყენება ნიმუშად მოცემული პროდუქციის საგარეო ვაჭრობის ფასის განსაზღვრისას; 3. მსოფლიო სასაქონლო ბაზრის ფასი, რომელიც ამოსავალია საკონტრაქტო ფასების განსაზღვრაში. მხარეები ითვალისწინებენ აგრეთვე საბაზისო ხარისხიდან დასაშვებ გადახრებს და ამიტომ ათანხმებენ არა მხოლოდ საბაზისო ფასის სიდიდეს, არამედ ფასზე წანამატისა და ფასდაკლების ოდენობას ხარისხის ამაღლების ან დაცემის შემთხვევაში, შესაბამისად წოდებულს ბონიფიკაციად და რეფაქციად.

საბაზრო ეკონომიკა (market economy) - კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის, მისი ევოლუციური განვითარების გზით წარმოქმნილი თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელიც მყარად დამკვიდრდა განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. მის წარმოშობას საფუძველი ჩაუყარა „კეინზიანურმა რევოლუციამ", როგორც 30-იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისით („დიდი დეპრესიის") წამოჭრილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თავისებურმა გამოძახილმა და XX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელსაც თან ახლდა მომსახურების მწარმოებელი დარგების სწრაფი განვითარება.

სხვა ეკონომიკური სისტემებისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა საკუთრების პლურალიზმი ანუ საკუთრების მრავალფორმიანობა, თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით.

საბაზრო ეკონომიკა საბაზრო მექანიზმით რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა, სადაც სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია და მისი მართვა ხორციელდება კონკურენციის პირობებში ბაზრების სისტემის მეშვეობით. ასეთი ტიპის ეკონომიკა თვითონ ადგენს, საზოგადოებამ **რა** უნდა აწარმოოს (ამ საკითხს მომხმარებლები წყვეტენ თავიანთი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მიხედვით), **როგორ** უნდა აწარმოოს (ამას განსაზღვრავენ მწარმოებლები მაღალი შემოსავლის მიღების მცდელობით) და **ვისთვის** უნდა აწარმოოს (ეს საკითხი იმათ სასარგებლოდ წყდება, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს). საბოლოო ანგარიშით, საზოგადოება აღწევს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შესაძლებელი ხდება წარმოების ოპტიმალური სტრუქტურული პროპორციებისა და მოცულობის დადგენა, ყალიბდება ისეთი წარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯების მინიმიზაციასა და მოგების მაქსიმიზაციას. ამიტომ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალზე შეზღუდულია. ამასთან, საბაზრო ეკონომიკა „წმინდა" სახით, სადაც ავტომატურად ხდება ძირითადი ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, არ არსებობს.

საზოგადოების ეკონომიკური ქცევის ზემოთ განხილული მოდელი საბაზრო ეკონომიკის თავისებური აბსტრაქტული მოდელია, რომლის წარმოდგენაც მხოლოდ თეორიულად შეიძლება. ამ მოდელს უახლოვდება მხოლოდ თა-

ვისუფალი კონკურენციის ეკონომიკა, სადაც სახელმწიფოს როლი დაყვანილია თითქმის მხოლოდ კერძო საკუთრების დაცვასა და ისეთი სამართლებრივი სტრუქტურების შექმნამდე, რომლებიც თავისუფალი ბაზრების ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. რეალურ საბაზრო ეკონომიკაში, ბუნებრივია, გვხვდება გადახრები იდეალური მოდელიდან, კერძოდ, ეს გადახრები აისახება: 1. სხვადასხვა მონოპოლიების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, რომლებიც ფასწარმოქმნის დეფორმაციას იწვევენ და აფერხებენ კონკურენციის მონაწილეთა თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; 2. კაპიტალისა და შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების შეფერხებაში; 3. ინფლაციაში, რომელიც იწვევს საბაზრო მექანიზმის მოქმედების დამახინჯებას; 4. ეკონომიკური განვითარების ციკლურობაში; 5. შეფარდებით ჭარბწარმოებაში; 6. უმუშევრობაში, რომელიც აღემატება ბუნებრივ დონეს; 7. ბაზრის კონიუნქტურის განსაზღვრისას დაშვებულ შეცდომებში, რომელთა ერთ-ერთი მიზეზი სრული და უტყუარი ინფორმაციის არქონაა და ა.შ. გარდა ამისა, საზოგადოებაში არსებობს ბევრი მწვავე პრობლემა, რომელთა გადაჭრა ბაზარს არ შეუძლია. ესენია: სოციალური პრობლემების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, უმუშევართა შენახვა, ხელმოკლეთა დახმარება და სხვ.) კომპლექსი, ბუნების დაცვა, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და ა.შ. ამიტომ სამეურნეო ცხოვრების კოორდინაციისა და მართვისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ბაზრის მექანიზმი, არამედ სახელმწიფო რეგულირებაც ისეთი ბერკეტების მეშვეობით, როგორიცაა გადასახადები და სამთავრობო ხარჯები, ფულადსაკრედიტო პოლიტიკა, შემოსავლების რეგულირება, სოციალური, ანტიმონოპოლიური და საგარეოეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური ცხოვრების სტაბილურობის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს ფართოდ მონაწილეობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შვედეთი, სადაც მთავრობა ენერგიულად ახორციელებს შემოსავლების გადანაწილებას (დაბეგვრის დონე მშპ-ის 50%-ს შეადგენს) და ატარებს აქტიურ სოციალურ პოლიტიკას; იაპონია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო-სახელმწიფოებრივი ინდიკატური დაგეგმვის განვითარებული სისტემა; „ახალინდუსტრიული ქვეყნების“ ეკონომიკა (კერძოდ, სამხრეთ კორეის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მთავრობის მიერ მომზადებულმა სამეურნეო განვითარების ხუთწლიანმა ინდიკატურმა გეგმებმა) და სხვ., მაგ-

რამ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე, რომლის იქითაც ეკონომიკაში არსებობას წყვეტს საბაზრო მექანიზმი. სახელმწიფო, გადასახადების საშუალებით, პროცენტის განაკვეთით, სახელმწიფო ხარჯებით, შეღავათებითა და ა.შ. მხოლოდ ინსტიტუტებისა და ინდივიდუუმების ეკონომიკური ქცევის წესებს ადგენს, მაგრამ მათ საქმიანობაში თვითონ არ ერევა, არ ანგრევს საბაზრო მექანიზმს, პირიქით, მას აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს ფასები, რესურსების გამოყენების მიმართულებები. ამრიგად, ეკონომიკას „საბაზრო" შეიძლება ვუწოდოთ, თუ საბაზრო მექანიზმის ყველა რგოლი მუშაობს.

საბაზრო ინფრასტრუქტურა (market infrastructure) - სახელმწიფო და კომერციული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ა.შ. ბაზრების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ ბაზრების მომსახურების ფორმები სხვადასხვაგვარია.

საქონლის ბაზრის ინფრასტრუქტურაში შედის საბითუმო და საცალო ვაჭრობის მთელი ქსელი — მაღაზიები, უნივერმაღები, უნივერსამები და ა.შ., აგრეთვე, აუქციონები, ბაზრობები, კომერციული საშუამავლო ცენტრები და საქონლის ბირჟები, სპეციალური სახელმწიფო ორგანოები: ანტიმონოპოლიური კომიტეტი, ფასების კონტროლის ინსპექცია, საკონტრაქტო სისტემის დაწესებულებები და სხვ. საგარეო ვაჭრობას აქვს თავისი ინფრასტრუქტურა, რომელშიც შედის კომერციული ცენტრები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, საგამოფენო პავილიონები, სავაჭრო სახლები და ა.შ.

კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურა მოიცავს მთელ საბანკო სისტემას, მათ შორის, კომერციულ ბანკებს, საფონდო ბირჟებს, ვალუტის ბირჟებს, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებს, ჰოლდინგებს და ა.შ. მასში შედის აგრეთვე საუდიტორო ფირმები, რომლებიც კომერციულ საწყისებზე ახორციელებენ სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო მომსახურებას, რიგი სახელმწიფო ორგანოებისა: ფასიან ქაღალდებზე კონტროლის ინსპექცია, სახელმწიფო ქონების ფონდი და სხვ.

შრომის ბაზარი ასევე მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელშიც შედის შრომის ბირჟები, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების შესწავლის, კადრების გადამზადების, მიგრაციის რეგულირებისა და სხვა სახელმწიფო სისტემები.

საბაზრო ინფრასტრუქტურის ზოგიერთი რგოლის დანიშნულებაა არა ცალკეული ბაზრე-

ბის, არამედ მთელი საბაზრო მეურნეობის მომსახურება. ესაა: გამყიდველთა და მყიდველთა იურიდიული მომსახურება, სატრანსპორტო-სასაწყობო სისტემა, საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურება და ა.შ.

საბაზრო მომსახურება (market service) - მომსახურება, რომელიც იყიდება საბაზრო ფასით და ერთეული მომსახურების მწარმოებელი რესურსები (50 პროცენტი და მეტი) იქმნება მომსახურების რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან.

გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემის კლასიფიკაციის მიხედვით, საბაზრო მომსახურებას მიეკუთვნება: ნარჩენების (ჯართის, მაკულატურის, ჩვრების და ა.შ.) უტილიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება; ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტთან დაკავშირებული მომსახურება; საბითუმო და საცალო ვაჭრობის, კომერციული შუამავლობის, საბინაო მეურნეობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სარკინიგზო ტრანსპორტისა და თანმხლები მომსახურება, საქალაქო ტრანსპორტის (მეტროს, ტრამვაის ხაზებისა და რეგულარული საავტობუსო მიმოსვლის ჩათვლით), საქალაქთაშორისო სამგზავრო და სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის, მილსადენი ტრანსპორტის, სხვა სახის სახმელეთო ტრანსპორტის (ფუნიკულიორი, საბაგირო გზა), წყლის ტრანსპორტის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის, დამხმარე სატრანსპორტო, სატრანსპორტო სააგენტოებისა და სატრანსპორტო შუამავლების მომსახურება; სასაწყობო მომსახურება; კავშირგაბმულობის, საფინანსო, სადაზღვევო დაწესებულებების მომსახურება (სავალდებულო სოციალური დაზღვევის გარდა); საწარმოებისათვის გაწეული საქმიანი მომსახურება (საფინანსო და სადაზღვევო აგენტების, იურისტების, კონსულტანტების მომსახურება გადასახადებისა და მართვის სფეროში, სარეკლამო მომსახურება, მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული მომსახურება; მოძრავი ქონების არენდასთან დაკავშირებული მომსახურება; საბაზრო მომსახურება განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში (უმაღლესი სასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სკოლამდელი დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები); საბაზრო მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (საავადმყოფოები, კლინიკები, სანატორიუმები, სამედიცინო პერსონალის კერძო პრაქტიკა); სა-

ბაზრო მომსახურება დასვენებისა და კულტურის სფეროში, პირადი მომსახურება ხელოვნების, ლიტერატურისა და ა.შ. სფეროში; ნაგვის გატანასთან, სანიტარიასა და დალაგებასთან დაკავშირებული საბაზრო მომსახურება; ტურისტული ბაზების, პროფესიული, კომერციული და სამეწარმეო გაერთიანებების მომსახურება; სამრეცხაოების, ქიმწმენდის, საპარიკმახეროების, სილამაზის სალონების, ფოტოსტუდიების და სხვა პირადი მომსახურება; საქორწინო და დამკრძალავი სააგენტოების მომსახურება, მკითხაობა და ა.შ.

საბაზრო მომსახურება დამახასიათებელია მატერიალური მომსახურებისათვის, თუმცა, ნაწილობრივ, არამატერიალურშიც გამოიყენება, მაშინ როდესაც არასაბაზრო მომსახურება ნიშანდობლივია ძირითადად არამატერიალური მომსახურებისათვის.

საბაზრო ფასი (market price) – ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით და გასაყიდი საქონლის (მომსახურების) ერთეულზე სუბიექტური სარგებლიანობის მიხედვით. მასში, გარდა წარმოების დანახარჯებისა და მოგებისა, შედის არაპირდაპირი გადასახადები და წვრილმანი გასამრჯელო. საბაზრო ფასი ის ფაქტობრივი ფასია, რომელსაც მყიდველები იხდიან საქონლის (მომსახურების) შესაძენად.

საბალანსო ანგარიში (balance account) – ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიში, რომლის მაჩვენებლები აისახება ბუღალტრულ ბალანსში, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბალანსო მუხლების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს ბალანსის მუხლების სახელწოდებას. ერთი საბალანსო ანგარიშის მონაცემები შეიძლება აისახოს ბალანსის რამდენიმე მუხლში.

საბალანსო მოგება (balance profit) – საწარმოს მოგების მთლიანი თანხა, მიღებული წარმოებრივი საქმიანობის ყველა სახიდან და ასახული მის ბალანსში.

საბალანსო ღირებულება (bookvalue) – აქტივების ღირებულება, რომელიც შეტანილია კომპანიის საბუღალტრო წიგნში (ჩვეულებრივ ამორტიზაციის გამოქვითვით).

საბანკო აქცეპტი (banker's acceptance) – მსხვილი ბანკების მიერ აქცეპტირებული გადასაპირებელი თამასუქი. თამასუქის აქცეპტირებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

საბანკო კრედიტი (bank credit) – ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის გაცემა კლიენტებზე დროებითი სარგებლობისათვის. ხორციელდება სესხის გაცემის, ბანკის მიერ

კლიენტის თამასუქის დისკონტირების, თამასუქის ღირებულების კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე მოთავსებისა თუ სხვა ფორმით. საგარეო ვაჭრობაში საბანკო კრედიტის ფორმებია: ფორფეიტინგი, აქცეპტური კრედიტი, აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტი და სხვ.

საბანკო ლიკვიდური სახსრები (bank liquidity resources) - შედგება ნაღდი ფულის, მოკითხვამდე ანაბრების ანგარიშებზე არსებული ნაშთის, სხვადასხვა მოკლევადიანი (ერთ თვემდე) დეპოზიტების, კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, კომერციული თამასუქისა და ბანკის სხვა ადვილად რეალიზებადი სახსრებისაგან.

საბანკო რეზერვები (bank reserves) - საბანკო შენატანების ის ნაწილი, რომელსაც ბანკი ინახავს ნაღდი ფულის სახით, აგრეთვე ცენტრალურ ბანკში შეტანილი უპროცენტო დეპოზიტები.

საბანკო სესხი (bank loan) - ბანკის ფულადი სახსრები, გაცემული კრედიტის სახით პროცენტის გადახდის წესით. განასხვავებენ მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან სესხებს.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო (Customs Cooperative Consil) - შეიქმნა 1950 წელს საბაჟო საქმიანობის სრულყოფის მიზნით. თავდაპირველად საბჭო ფუნქციონირებდა როგორც საკონსულტაციო ორგანო. ამასთან, იგი ქმნიდა საბაჟო თანამშრომლობის პროექტებს, შესაბამის ორგანიზაციებს აწვდიდა ინფორმაციას საბაჟო პროცედურების შესახებ და ახორციელებდა ზედამხედველობას საერთაშორისო ნორმების დაცვის მიზნით. გარდა ამისა, საბჭო, რომელიც 1985 წელს უკვე აერთიანებდა 85 ქვეყანას, ტექნიკურ დახმარებას უწევდა იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი საბაჟო ტარიფების სისტემა გარდაექმნათ ბრიუსელის სატარიფო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საბაჟო კაშირი (Customs Union) - ქვეყნების ჯგუფი, რომელთა შიგნით ლიკვიდირებულია საბაჟო შეზღუდვები. ეს ქვეყნები ატარებენ შეთანხმებულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას სხვა ქვეყნებთან და ადგენენ საერთო საგარეო საბაჟო ტარიფს იმპორტზე, თუმცა, სატარიფო განაკვეთი სხვადასხვა საქონელზე შეიძლება განსხვავებული იყოს.

საბითუმო ვაჭრობა (whole sale trade) - შიდა ვაჭრობის ფორმა, რომელიც გულისხმობს მწარმოებელი საწარმოების მიერ სამომხმარებლო საქონლის დიდი პარტიებით გაყიდვას საცალო ვაჭრობის საწარმოებზე, ან წარმოების საშუალებების ნაწილის მიყიდვას ამ პროდუქციის მომხ-

მარებელი საწარმოებისათვის.

საბითუმო ფასი (wholesale price) - ფასი, რომლითაც საკუთრების ნებისმიერი ფორმის მქონე საწარმო ან გამსაღებელი ორგანიზაცია თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს მსხვილი პარტიებით, ბითუმად გასაყიდი საქონლის ფასი. ჩვეულებრივ, ფასი საქონლის დიდ პარტიებზე შედარებით ნაკლებია, ვიდრე მცირეზე და საგრძნობლად დაბალია საცალო ფასზე. განასხვავებენ საწარმოს საბითუმო ფასსა და მრეწველობის საბითუმო ფასს.

საბირჟო საქონელი (commodity exchange, commodity market) - მასობრივი წარმოების სტანდარტული და ერთსახოვანი საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეიძლება დიდი პარტიებით ნიმუშების ან ტექნიკური დოკუმენტების მიხედვით. საბირჟო საქონელია: ხორბალი, სიმინდი, შვრია, ზეთისხილის ზოგიერთი პროდუქტი, ფერადი ლითონი (სპილენძი, ალუმინი და სხვ.), სამასალე მერქნის ზოგიერთი სახეობა, ენერგომატარებლების ნაწილი (ნავთობი, სათბობი, მაზუთი, გაზი პროპანი და ა.შ.), ბამბა, შაქარი, კაკაო, ცოცხალი და დაკლული რქოსანი პირუტყვი და სხვ.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (fiscal policy) - სახელმწიფო ხარჯების, საგადასახადო განაკვეთისა და სახელმწიფო სესხების დონის რეგულირების პოლიტიკა ეკონომიკური აქტიურობის საერთო დონეზე ზემოქმედების მიზნით.

საბიუჯეტო ფედერალიზმი (budget federalism) - ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო მოწყობის ფორმა, არა მხოლოდ ფინანსური რესურსების, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება. საბიუჯეტო ფედერალიზმი არის დაბეგვრისა და სახელმწიფო ხარჯების სისტემა, რომელიც გულისხმობს შემოსავლების მიღებასა და ხარჯების მართვაში გარკვეული უფლებების მიცემას სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებისთვის — ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისთვის. საბიუჯეტო ფედერალიზმი ასახავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების წესს.

საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები (budget federalism models) - არსებობს დეცენტრალიზებული და კოოპერაციული მოდელები. **დეცენტრალიზებული მოდელის** დამახასიათებელი ნიშნებია: 1. ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების სამი მთავარი ფუნქციიდან — სტაბილიზაციური, დისტრიბუციული და ალოკაციური ფუნქციებიდან — პირველი ორის მიკუთვნება ხელი-

სუფლების ცენტრალური ორგანოებისათვის, ხოლო მესამის — ხელისუფლების სამივე დონეს შორის განაწილება; 2. ხელისუფლების სხვადასხვა დონეთა შორის საგადასახადო უფლებამოსილების დაყოფა ზემოაღნიშნული ფუნქციების განაწილების შესაბამისად. **კოოპერაციული მოდელის** ძირითადი ნიშნებია: 1. რეგიონული ხელისუფლების შედარებით ფართო მონაწილეობა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებასა და მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში; 2. რეგიონული ხელისუფლების როლის ამაღლება საგადასახადო შემოსავლების გადანაწილების სისტემაში; 3. ჰორიზონტალური საბიუჯეტო გამოთანაბრების აქტიური პოლიტიკის გატარება, ცენტრის პასუხისმგებლობის ამაღლება რეგიონების სახელმწიფო დაფინანსების, ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც განაპირობებს ცენტრის მხრიდან კონტროლის გაძლიერებასა და რეგიონული ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარკვეულ შეზღუდვას.

საბლანკო ინდოსამენტი (endorsement) - გადაცემის აღმნიშვნელი წარწერა ბენეფიციარის სახელის მიუთითებლად.

საბოლოო მოხმარება (final consumption) - საქონლისა და მომსახურების საბოლოო გამოყენების პროცესი.

საბოლოო პროდუქტი (end-product) - საბოლოო გამოყენებისათვის და არა შემდგომი გადამუშავებისათვის წარმოებული პროდუქტი.

საბროკერო ფირმა (brokerage firm) - საშუამავლო ფირმა, რომელიც სპეციალიზებულია საშუამავლო საბირჟო ოპერაციებზე.

საბრუნავი კაპიტალი (current capital) - კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც წარმოებას ემსახურება ერთი ციკლის მანძილზე და მისი ღირებულება მთლიანად გადადის მზა პროდუქციის ღირებულებაში.

საგადასახადო განაკვეთი (tax rate) - შემოსავლების, სამომხმარებლო ხარჯების ან მოგების პროცენტული წილი, რომელსაც სახელმწიფოს უხდის ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, თუკი მათ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი დაბეგვრა ეხებათ.

საგადასახადო შემოსავალი (tax proceeds, tax income) - შემოსავალი, რომელიც მიიღება დამატებული ღირებულების გადახდიდან, აქციზიდან, მოგების გადასახადიდან და ა.შ., რომელზეც დაწესებულია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული საგადასახადო განაკვეთი.

საგადასახდელო ბალანსი (balance of payments) - ქვეყნის

ტრანსაქციები დანარჩენ მსოფლიოსთან, რომელიც მოიცავს როგორც როგორც სავაჭრო, ისე ფინანსურ ნაკადებს, დაჯამებული ანგარიშების სახით. სტატისტიკური ანგარიში, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ გადასახდელებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. მასში ასახულია ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობა ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის.

არსებობს აქტიური და პასიური საგადასახდელო ბალანსები. ტერმინი — საგადასახდელო ბალანსი გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „საბაზრო საგადასახდელო ბალანსი“ და „საანგარიშსწორებო საგადასახდელო ბალანსი“. პირველი ტერმინი გამოხატავს მიმდინარე თანაფარდობას გადასახდელების ორ ნაკადს შორის — ქვეყანაში შემოსულ და მისგან გასულ ნაკადებს შორის. მეორე ტერმინი — საანგარიშსწორებო საგადასახდელო ბალანსი — სტატისტიკური ანგარიშია. იგი აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ ასახავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადების მოძრაობას ეროვნულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის.

საგადასახდელო ბალანსი არეგისტრირებს ოპერაციებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. სტრუქტურულად იგი შედგება სამი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს სავაჭრო ბალანსს, შემოსავლის ბალანსსა და მიმდინარე ტრანსფერებს.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს: კაპიტალურ ტრანსფერებს, პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებსა და სხვა ინვესტიციებს.

მონაცემები საგადასახდელო ბალანსის შესახებ გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, ვინაიდან ისინი ასახავენ ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას საერთაშორისო ბაზარზე. დადებითი საგადასახდელო ბალანსი მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული დროის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში შემოდის იმაზე მეტი ფული, ვიდრე გადის იმავე პერიოდში.

საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდო (trade surplus) - 1. რეზიდენტებსა და არარეზი-

დენტებს შორის მიმდინარე ოპერაციების, კერძოდ, რეალური ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის სალდო. იგი გვიჩვენებს თუ რამდენად მეტი რეალური ეკონომიკური ფასეულობები წარუდგინეს რეზიდენტებმა არარეზიდენტებს; 2. ექსპორტის გადამეტება იმპორტზე.

საგადასახდელო ბალანსის პასიური სალდო (**საგვაჭრო ბალანსის დეფიციტი**) (trade deficit) - 1. გვიჩვენებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის სალდოს, კერძოდ, თუ რამდენად მეტი რეალური ეკონომიკური ფასეულობები წარუდგინეს არარეზიდენტებმა რეზიდენტებს; 2. იმპორტის გადამეტება ექსპორტზე.

საგარეო ვალი (external debt) - მოცემული ქვეყნის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, უცხოური ქვეყნების მთავრობებისგან და კომერციული დაპროექტების ინსტიტუტებიდან მიღებული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები, რომლებიც ამ ქვეყანას აძლევს ინვესტირებისა და მოხმარების იმაზე მეტ შესაძლებლობას, ვიდრე მისი ეკონომიკა ქმნის. ნებისმიერი ქვეყნისთვის საგარეო ვალის მოზიდვა შემდეგი ორი ფაქტორით განისაზღვრება: 1. რა რაოდენობის უცხოური კაპიტალის ათვისება შეუძლია ქვეყანას; 2. რა რაოდენობის ვალის მომსახურება შეუძლია ქვეყანას რისკის გარეშე. საგარეო ვალის განსაზღვრისათვის, ოქროს რეზერვის გარდა, გამოიყენება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: 1. საგარეო ვალის შეფარდება **მშპ**-თან; 2. საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტთან; 3. საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელების საერთო თანხის შეფარდება ექსპორტთან და სახელმწიფოს შემოსავლებთან: 4. საპროცენტო თანხის შეფარდება ექსპორტთან; 5. საგარეო სესხების წილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაში. აქედან გამომდინარე, არსებობს შესაბამისი კრიტერიუმები, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს საგარეო ვალის პარამეტრები.

საგარეო ვაჭრობა (foreign trade) - სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. მოიცავს საქონლის ექსპორტსა და იმპორტს.

საგარეო ვაჭრობის ბალანსი (balance of foreign trade) - ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ნაწილი, რომელშიც ასახულია საქონლის საზღვარგარეთ გატანასა თუ შემოტანასთან დაკავშირებული ოპერაციები, ანუ „ხი-

ლული“ ექსპორტი და იმპორტი. საგარეო ვაჭრობის ბალანსი „უხილავი“ ოპერაციების ანგარიშთან (მომსახურების ექსპორტი და იმპორტი) ერთად ქმნის მიმდინარე ოპერაციების ბალანსს.

საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტი (economic effect of foreign trade) - სხვაობა იმპორტის მისაღებად გამიზნული პროდუქციის სამამულო წარმოებისა და საექსპორტო საქონლის წარმოების დანახარჯებს შორის.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა (foreign trade policy) - ქვეყანაში მიღებული საგარეო ვაჭრობის რეგულირების წესი. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობაზე გადასახადებით, სუბსიდიებით, ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვებითა და ა.შ. მისი ერთ-ერთი უკიდურესი შემთხვევაა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, ხოლო მეორე – ავტარკიის პოლიტიკა. ამ უკიდურეს შემთხვევებს შორის არსებობს სხვადასხვა ხარისხის პროტექციონიზმი, რომელიც რეალიზდება ტარიფების, კვოტების, სავალუტო კონტროლისა და ა.შ. მეშვეობით.

საგირავნო ფურცელი (mortgage) - ფასიანი ქაღალდის ნაირსახეობა, რომელსაც უშვებს იპოთეკური ბანკი გრძელვადიანი სესხის გასაცემად უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე.

სადაზღვევო კომპანია (insurace company) - ორგანიზაცია, რომელიც ეწევა მომსახურებას დაზღვევის სფეროში და გამოდის თავისი კლიენტების ქონებისა და სიცოცხლის დამზღვევის როლში. სადაზღვევო კომპანია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ვითარებისას ანუ სადაზღვევო შემთხვევისას აუნაზღაუროს კლიენტებს ზარალი. საკუთრების ფორმის მიხედვით, სადაზღვევო კომპანია შეიძლება იყოს სახელმწიფო, სახელმწიფო-კომერციული, აქციონერული, კოოპერაციული და კერძო. საბაზრო სისტემაში ამ კომპანიების სხვადასხვა ვარიანტის თანაარსებობა წარმოქმნის სადაზღვევო ბაზარს, სადაც ყალიბდება კონკურენცია სადაზღვევო კომპანიებს შორის. სახელმწიფო, როგორც წესი, წამყვან როლს ასრულებს სავალდებულო დაზღვევის მომსახურების ბაზარზე, რომელიც მოიცავს მოხუცებულობის (საპენსიო უზრუნველყოფა), ინვალიდობის, ავადმყოფობის, უმუშევრობის და ა.შ. დაზღვევას. ამასთან, ბოლო ხანს შეიმჩნევა კერძო სადაზღვევო კომპანიების აქტიური შეჭრა სავალდებულო დაზღვევის მომსახურების ბაზარზე. ისინი ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებენ ნებაყოფლობით სადაზღვევო მომსახურებას. ვინაიდან დასავლეთში სადაზღვევო

მომსახურებაზე არსებობს მყარი და მაღალი მოთხოვნა როგორც კომპანიების, ისე მოსახლეობის მხრიდან, სადაზღვევო ბიზნესი კაპიტალის დაბანდების ძალზე მომგებიანი ფორმაა. სადაზღვევო კომპანიების შემოსავალი იქმნება როგორც სადაზღვევო გადასახდელების თანხიდან, ისე სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. მთლიან შემოსავალს გამოკლებული სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო აგენტებისა და ბროკერების საკომისიო გასამრჯელო და სხვა ხარჯები შეადგენს კომპანიის მოგებას. სადაზღვევო კომპანიების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები ინვესტირდება კერძო კომპანიების აქციებსა და ობლიგაციებში, დაიდება დეპოზიტზე კომერციულ ბანკებში. სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობის საქმიანობის ძირითადი სახეა კომერციული რისკის, სახელდობრ, საკრედიტო რისკის დაზღვევა. მოთხოვნა მომსახურების ამ სახეზე განპირობებულია იმით, რომ ბანკები უარს ამბობენ კრედიტების გაცემაზე სადაზღვევო კომპანიების გარანტიის გარეშე: კრედიტი გაიცემა სადაზღვევო პოლისის გირაოს ან მზღვეველის საგარანტიო წერილის საფუძველზე. სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებას, გადაუხდელობის შემთხვევაში ვალი თვითონ აანაზღაუროს. ამ გზით ბანკი თავს იზღვევს საკრედიტო რისკისაგან და თავისუფლდება კლიენტის გადახდისუნარიანობის დონის დაზუსტებისაგან. პირადი დაზღვევის სფეროში ყველაზე გავრცელებული ფორმებია სამედიცინო დაზღვევა, სიცოცხლის პროგრესული დაზღვევა, ინფლაციისაგან ანაბრების დაცვის სისტემები და სხვ.

სადეპოზიტო სერტიფიკატი (depositary certificate) - ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი ინსტრუმენტი, ეროვნული ვალუტით დენომინირებული ფასიანი ქაღალდი, რომელსაც არამატერიალიზებული ფორმა აქვს და ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციითაა აღჭურვილი. თავისი ლიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდის ეს ახალი სახეობა ბაზრის კონტრაჰენტებს გაცილებით მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს თავიანთი სახსრების ურისკოდ დაბანდების თვალსაზრისით. სადეპოზიტო სერტიფიკატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ფულის ბაზრის განვითარებისათვის, ვინაიდან კომერციულ ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა მეორად ბაზარზე ივაჭრონ ამ ინსტრუმენტით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, „ჰოლანდიური დაავადების“ შემდგომი გამწვავების რისკის თავიდან აცილების მიზნით, შემ-

ოიღო სადეპოზიტო სერტიფიკატები. მათი გამოშვება ემსახურება ჭარბი ფულის სტერილიზაციასა და უცხოური კაპიტალის ნაკადების უარყოფითი ეფექტების განმუხტვას.

საემისიო ბანკი (bank of issue) - სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების (ბანკნოტების) გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტის, სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოფიციალური ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლიური უფლება.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (Bank for International Settlements - BIS) - ცენტრალური ბანკების საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაცია. დაარსდა 1830 წელს ქ. ბაზელში (შვეიცარია).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (international economic relations) - სხვადასხვა ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და ა.შ. სფეროებში.

საერთაშორისო ვაჭრობა (international trade) - საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა ქვეყნებს შორის. საერთაშორისო ანუ საგარეო ვაჭრობა, საშინაო ვაჭრობისაგან განსხვავებით, გულისხმობს სხვადასხვა ვალუტის გამოყენებას და რეგულირდება ტარიფების, კვოტების და სავალუტო კონტროლის მეშვეობით.

საერთაშორისო ვაჭრობის არსებობას განაპირობებს ქვეყნებს შორის ხარჯებში განსხვავება და განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების არარსებობა ზოგიერთ ქვეყანაში. შეფარდებითი უპირატესობის თეორიიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში ეს განსხვავება არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი უპირატესობის გამომხატველი.

საერთაშორისო კრედიტი (international credit) - კრედიტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფირმებსა და სახელმწიფოებს შორის საკრედიტო ურთიერთობებში. არსებობს კომერციული, საბაჟო და სახელმწიფო კრედიტის სახით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (**სსფ**) (international monetary fund) - შეიქმნა 1945 წელს ბრეტონ-ვუდსში, სავალუტო-საფინანსო საკითხებისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების (1944) რატიფიკაციის შედეგად. ფონდი გახდა გაეროს სპეციალური ორგანო. მისი თავდაპირველი ამოცანა იყო ვალუტების კურსების საერთაშორისო სისტემის რეგულირება, მოგვიანებით კი მან მოახდინა

თავისი საქმიანობის მოდიფიცირება. **სსფ**-ის ძირითადი ამოცანებია: საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის სტიმულირება, საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსირებული განვითარებისათვის ხელშეწყობა, მონაწილე ქვეყნებისადმი დახმარება მათი საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის კორექტირებასა და ვალუტის კურსის სტაბილიზაციის მიღწევაში.

ფონდის მიერ შექმნილი ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემა ეყრდნობოდა ვალუტის ფიქსირებული კურსის პოლიტიკას, სავალუტო შეზღუდვების აკრძალვას, ვალუტების კონვერტირებადობისა და საერთაშორისო გადასახადების მრავალმხრივი სისტემის განვითარებას. ვალუტების კურსი ეყრდნობოდა პარიტეტულ სისტემას, რომელიც მონაწილე ქვეყნებისგან მოითხოვდა მათი ვალუტების კურსის მერყეობის შეზღუდვას პლუს-მინუს ერთი პროცენტის ფარგლებში (გამოხატული დოლარებში). მისი უშუალო კონვერტირება ხდებოდა ოქროში ფიქსირებული კურსით.

აშშ-ის მიერ 1971 წელს მიღებული გადაწყვეტილების კვალდაკვალ — შეეჩერებინათ დოლარის კონვერტირებადობა ოქროში, ათი ქვეყნის (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, გფრ, ბელგია, იტალია, შვედეთი, ნიდერლანდი, აგრეთვე შვეიცარია (ფონდის ასოცირებული წევრი) მთავრობებმა ამავე წელს მიიღეს „სმითსონოვის შეთანხმება“, რომელიც ითვალისწინებდა დოლარის ათპროცენტიან დევალვაციას, ყველა ვალუტის კურსის გადასინჯვას და მათი მერყეობის უფრო ფართო საზღვრების დადგენას. 1973 წელს დოლარის შემდგომი დევალვაციის შემდეგ რეგულირებადი პარიტეტის სისტემაზე უარი თქვეს აგრეთვე ევროპული გაერთიანების ქვეყნებმა და შემოიღეს თავიანთი ვალუტების მცურავი კურსი დოლართან მიმართებაში. ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრიზისის კვალდაკვალ, 1972 წელს **სსფ**-მა მის მიერ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმის კომიტეტში შეიმუშავა რეკომენდაციების კომპლექსი, რომელიც მიიღეს 1976 წელს იამაიკის შეთანხმების ფარგლებში.

ფონდი თავის საქმიანობას აფინანსებს მონაწილე ქვეყნების შენატანებისა და სესხების საფუძველზე. შენატანების სიდიდე, გაცემული ნასესხობის სპეციალური წესის მიხედვით, განისაზღვრება თითოეული მონაწილე ქვეყნის კვოტების დამდგენი სისტემით. ეს უკანასკნელი ეყრდნობა მოცემული ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს, სავალუტო რეზერვებსა და სხვა ეკონომიკურ ინდიკატორებს. მონაწილე ქვეყნების კვოტები, რომელიც სისტემატურად გადაის-

ინჯება და იცვლება, განსაზღვრავს აგრეთვე მოცემული ქვეყნის სესხების აღების უფლებას როგორც რეგულარულ, ისე სპეციალურ კრედიტებზე.

კრედიტების გაცემასთან ერთად სსფ-ის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა ვალუტის კურსების სფეროში მონაწილე ქვეყნების პოლიტიკისთვის თვალყურის დევნება მსოფლიო დონეზე თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებისათვის.

საერთაშორისო საგადასახდელო სისტემა (international payment system) – ზოგადი ტერმინი იმ მეთოდებისა, რომელთა საშუალებით ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს შორის სხვადასხვა ეროვნულ ვალუტაში. მოიცავს სავალუტო კონტროლსა და საერთაშორისო ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (International Finance Corporation) - შეიქმნა 1956 წელს მსოფლიო ბანკის ოპერაციების მხარდასაჭერად. გასცემს კრედიტს განვითარებადი ქვეყნების კერძო სამეწარმეო სტრუქტურებზე, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობაში.

„საერთო ბაზარი“ (Common Market) - ევროკავშირის წინამორბედი; დაარსდა 1957 წელს საერთო (ევროპული) ბაზრის სახელწოდებით საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდის მთავრობების მიერ ხელმოწერილი რომის ხელშეკრულების საფუძველზე. ითვალისწინებდა საბაჟო კავშირის შექმნას, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას, საერთო სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას. 1973 წელს დაემატა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1982 წელს – საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს – პორტუგალია და ესპანეთი. 1967 წელს საერთო ბაზარი შეერწყა ნახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებებს (EASC) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (EAEC) სტრუქტურებს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპული გაერთიანება, ხოლო 1993 წლის ბოლოს ევროგაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის სახელწოდება.

საექსპორტო კრედიტი (export credit) - კრედიტი, რომელიც გაიცემა საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაფინანსების მიზნით.

საექსპორტო ლიზინგი (export lease) - მანქანების, მოწყობილობებისა და სხვა ქონების არენდა, გაცემული უცხოელ იურიდი-

ულ ან ფიზიკურ პირებზე.

სავალდებულო რეზერვების ნორმა (**სრნ**) (norm of obligatory reserves) - ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც კომერციულ ბანკებს არა აქვთ და რომელიც თავიანთ ანგარიშზე უნდა იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ინფლაციურ სიტუაციაში, როდესაც აუცილებელია მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შენელება, ცენტრალური ბანკი ამაღლებს **სრნ**-ს; როდესაც აუცილებელია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდა, ცენტრალური ბანკი დაბლა სწევს **სრნ**-ს და ამის საფუძველზე შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს, თავიანთი სახსრების დროებით „გაყინული“ ნაწილი კრედიტად აქციონ.

სავალდებულო სოციალური დაზღვევა (obligatory social insurance) - მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა. გულისხმობს დაზღვევას დროებით შრომისუუნარობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, უბედური შემთხვევისა და უმუშევრობის გამო. მასში შეიძლება შევიდეს რისკის უფრო კონკრეტული სახეები, გამოწვეული შემოსავლების დაკარგვით დაქირავების, დროებითი შრომისუუნარობის და ა.შ. გამო. ეყრდნობა შესაბამის კანონს და ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე. ხორციელდება ხელფასის ფონდიდან ანარიცხების ხარჯზე. სავალდებულო სოციალური დაზღვევა ცალკე განყოფილებად შედის გაეროს **სსდპ**-ის მესამე ვარიანტის სტრუქტურაში.

სავალუტო ანაზღაურება (currency self-repayment) - საწარმოთა და ორგანიზაციათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს მათი დანახარჯების ვალუტით ანაზღაურებას საკუთარი სავალუტო შემოსავლებიდან.

სავალუტო არბიტრაჟი (currency arbitrage) - უცხოური ვალუტის ყიდვა ერთ ვალუტის ბაზარზე იმავდროულად მეორეზე მისი გაყიდვის მიზნით, სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის სხვაობის საფუძველზე მოგების მისაღებად.

სავალუტო დემპინგი (currency dumping) - საქონლის გატანა გაუფასურებული ვალუტის მქონე ქვეყნიდან მტკიცე ან ნაკლებად გაუფასურებული ვალუტის მქონე ქვეყანაში მსოფლიო ფასზე დაბალი ფასით.

სავალუტო ინტერვენცია (currency intervention) - ვალუტის ბაზარზე სახელმწიფოს მიერ ეროვნული ვალუტის ყიდვა-გაყიდვა მის გაცვლით კურსზე ზემოქმედების მიზნით.

სავალუტო კლირინგი (cur-

rency clearing) - სამთავრობათა-შორისო შეთანხმება შემხვედრი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის შესახებ, საქონლის მიწოდებისა და გაწეული მომსახურების ღირებულებითი ტოლფასოვნების საფუძველზე.

სავალუტო კონტროლი (exchange control) - სისტემა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს უცხოური ვალუტისა და ოქროს კონტროლს ყველა ან ზოგიერთ იმ ოპერაციაზე, რომელშიც მონაწილეობს ამ ქვეყნის მოქალაქე. სავალუტო კონტროლი გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის დასაცავად, აგრეთვე ვალუტის კურსის დაცემის თავიდან ასაცილებლად სავალუტო ოპერაციების სრული თავისუფლების პირობებში. სავალუტო კონტროლი პირველად შემოიღეს დიდ ბრიტანეთში 1939 წელს. 1950 წელს იგი საგრძნობლად შესუსტდა, ხოლო მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა 1979 წელს, როდესაც უარყვეს უცხოურ ვალუტასთან და ოქროსთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი ღონისძიება.

სავალუტო კრედიტი (foreign exchange loan) - უცხოური ვალუტით აღებული კრედიტი.

სავალუტო ოპერაცია „სვოპი“ (**“SWAP”** currency operations) - ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ერთ-ერთი ვალუტის გაყიდვას განსაზღვრული დროის შემდეგ იმავე რაოდენობითა და გარიგების მომენტში ფიქსირებული კურსით უკან დაბრუნების პირობით.

სავალუტო პოზიცია (currency position) - უცხოურ ვალუტაზე ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების თანაფარდობა. თუ ისინი ტოლია, სავალუტო პოზიცია ითვლება დახურულად (ჩაკეტილად), ხოლო სხვა შემთხვევაში – ღიად.

სავალუტო რეზერვი (external reserve) - საერთაშორისო დონეზე აღიარებული საგადასახდელო საშუალება, გამიზნული საგარეო საგადასახდელო დეფიციტის დასაფარავად და საკუთარი ვალუტის კურსის ცვლილებების კონტროლის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. ასეთ რეზერვს წარმოადგენს ძირითადად ოქრო და ის უცხოური ვალუტა (ვალუტები), რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობასა და ანგარიშსწორებაში. ისტორიულად მთავარი ვალუტები იყო გირვანქა სტერლინგი და აშშ-ის დოლარი. გირვანქა სტერლინგის, როგორც სავალუტო რეზერვის, როლი ძლიერ დაეცა XX საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო დოლარი ისევ რჩება მთავარ საერთაშორისო სარეზერვო ვალუტად. 2002 წლის 1 იანვრიდან საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის

როლს, დოლართან ერთად, ასრულებს ევროც.

სავალუტო რეზერვის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც ქვეყანა ახორციელებს სავალუტო კურსის სტაბილიზაციას. ამ მიზნით იგი უნდა იყოს მზად განახორციელოს ინტერვენცია ვალუტის ბაზრებზე თავისი ვალუტის კურსის შენარჩუნებისათვის. ამ ღონისძიების გასატარებლად კი ქვეყანას უნდა ჰქონდეს სავალუტო რეზერვი.

სავალუტო რისკი (risk of currency depreciation) - სავალუტო დანაკარგების საშიშროება, რომელიც წარმოიქმნება საგარეოსავაჭრო, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების ჩატარებისას და უკავშირდება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებს.

სავალუტო სალარო (currency fund) - ქვეყნის ფულადი გადასახადებისა და შენატანების ერთობლიობა, გამოხატული უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო სისტემა (exchange system) - ვალუტის ფლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო მიმოქცევას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროს. იგი აყალიბებს იმ მარეგულირებელ გარემოს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს სავალუტო პოლიტიკას. სავალუტო ურთიერთობის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვალუტის კურსის განსაზღვრის რეჟიმი, მისი კორექტირებისა თუ ცვლილების წესი, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანოების საქმიანობის გათვალისწინება სავალუტო რეგულირების სფეროში და სხვ.

საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანია ოქროს სტანდარტის, ბრეტონ-ვუდსისა და თანამედროვე (იამაიკის) სავალუტო სისტემები.

სავალუტო სპეკულაცია (currency speculations) - ბანკების, ფირმების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებს მოგების მიღებას სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად, აგრეთვე წინასწარი განზრახვით სავალუტო რისკს.

სავალუტო ფარი (currency board) - ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსით მიბმა რომელიმე სტაბილურ ვალუტაზე ან ვალუტათა კალათაზე და მისი გაცვლა მათზე ავტომატურ რეჟიმში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

ვალუტების გაცვლითი ოპერაციების შეუფერხებელი განხორ-

ციელება და, საერთოდ, სავალუტო ფარის ინსტიტუტის შემოღება მოცემულ ქვეყანაში მოითხოვს: 1. უცხოური ვალუტის დიდ რაოდენობას. როგორც წესი, უცხოური ვალუტის რეზერვი ემიტირებული ფულის 100%-ზე მეტი უნდა იყოს; 2. უცხოური ვალუტის შემოდინებისა და სავალუტო რეზერვის სტაბილური წყაროს არსებობას; 3. არადეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის უზრუნველყოფისათვის ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის გატარებასა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ფონდის შექმნას, ვინაიდან დეფიციტური ბიუჯეტი შეუძლებელს ხდის სავალუტო ფარის მექანიზმის ამოქმედებას.

სავალუტო ფარის ინსტიტუტის შექმნა ზღუდავს ხელისუფლების დისკრეციულ უფლებებს და გამორიცხავს მავნე პრაქტიკას დამახასიათებელს განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისათვის – ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობისათვის სესხის მიცემას, ვინაიდან ცენტრალური ბანკის ინსტიტუტის ჩანაცვლება ხდება სავალუტო ფარის ინსტიტუტით. თუმცა ცენტრალურ ბანკს აქვს ქვეყანაში ზომიერი ინფლაციის შენარჩუნების ბევრად მეტი ბერკეტი და გარანტია, ვიდრე მთავრობას, რომელიც ხდება ერთადერთი პასუხისმგებელი სავალუტო ფარის პირობებში. სავალუტო ფარი აიძულებს მთავრობას უარი თქვას დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე (ჰქონდეს მცირეოდენი პროფიციტი მაინც) და გაატაროს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებები. მეორე მხრივ, სავალუტო ფარის რეჟიმის პირობებში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც საქმიან აქტიურობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

სავალუტო ფარის მექანიზმი გამოყენებულ იქნა XX საუკუნის 90-იან წლებში ჰიპერინფლაციის დროს ბრაზილიაში, მექსიკაში, ესტონეთში, ლიტვაში. აღნიშნულმა ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა ამ პერიოდში ინფლაციის ტემპების მნიშვნელოვან შემცირებასა და მაკროეკონომიკური პროცესების რეგულირებაში.

საქართველოში 1992-1994 წლებში, როდესაც მძვინვარებდა ჰიპერინფლაცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სავალუტო ფარის მექანიზმის შემოღების იდეა, იგი არ იქნა გამოყენებული, ვინაიდან ქვეყანა ვერ აკმაყოფილებდა ამ ინსტიტუტის ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს.

სავალუტო შეზღუდვა (exchange restrictions) - სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული გზით სავალუტო ოპერაციების შეზღუდვის მიზნით გატარებულ ღონისძიება-

თა სისტემა, გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორების, ქვეყნის ვალუტის კურსის დაცვისა და სავალუტო რესურსების კონცენტრაციისათვის. ითვალისწინებს: 1. ოქროს, ფულადი ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების საზღვარგარეთ გატანას, გზავნილებისა და ფულადი გადასახადების რეგულირებას; 2. უცხოური ვალუტის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას; 3. უცხოური ვალუტის აუცილებლად ჩაბარებას ცენტრალურ ბანკში და გაცვლას ეროვნულ ვალუტაზე ოფიციალური კურსით. სავალუტო შეზღუდვა სავალუტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პასიურს ხდის საგადასახდელო ბალანსს და იწვევს ოქროს რეზერვების შემცირებას. ამ დროს უცხოური ვალუტით ჩასატარებელი ოპერაციები თავს იყრის ცენტრალურ ბანკში. უცხოური ვალუტით გამოხატული სატელეგრაფო გზავნილები, ჩეკები, თამასუქები, საგადასახადო ვალდებულებები ამ ბანკის მეშვეობით იყიდება.

სავალუტო შესწორება (currency reservation) - პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში, საკრედიტო ან სხვა შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებს ფულადი გადასახადის გადასინჯვას ვალუტის კურსის ცვლილების პროპორციულად, ვალუტის გაუფასურების რისკისაგან ექსპორტის ან კრედიტორის დაზღვევის მიზნით.

სავაჭრო ბალანსი (balance of trade) - საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ბალანსი, რომელიც გამოხატავს სასაქონლო ოპერაციების დადებით ან უარყოფით სალდოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო (trade surplus) - სიტუაცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც ექსპორტით მიღებული შეჯამებული შემოსავლები აღემატება იმპორტზე გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო ბალანსის დეფიციტი (deficit of the trade balance) - სიტუაცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც შეჯამებული დანახარჯები იმპორტზე აღემატება ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს.

სავაჭრო ბარიერი (trade barrier) - სავაჭრო პროტექციონიზმი, ანუ საქონლისა და მომსახურების გაცვლის შეზღუდვა ბაჟის, კვოტის, სავალუტო კონტროლის საშუალებით.

სავაჭრო მარკა (trade mark) - სავაჭრო საწარმოს სახელწოდება, ნიშანი — სიმბოლო ან ემბლემა. საფირმო მარკისაგან განსხვავებით, ნაწარმი სავაჭრო მარკით შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ საწარმოს სავაჭრო ქსელიდან, რომლის მარკითაც არის გამოშ-

ვებული საქონელი.

სავაჭრო სახლი (trade house) - სპეციალიზებული ფირმა, რომელიც ვაჭრობს ერთი ან რამდენიმე სახის საქონლით, კლიენტთა დავალებით ან თავისი ფულით.

საზოგადოებრივი დანაზოგი (public save) – სხვაობა წმინდა გადასახადებსა (გადასახადები ტრანსფერის გამოკლებით) და სახელმწიფო ხარჯებს შორის. საზოგადოებრივი დანაზოგი დადებითია და სახელმწიფო ბიუჯეტი პროფიციტური, თუ გადასახადები სახელმწიფო ხარჯებს აღემატება; საზოგადოებრივი დანაზოგი უარყოფითია და სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტური, თუ გადასახადები სახელმწიფო ხარჯებზე ნაკლებია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები (social sciences) - ყოველი მეცნიერება ბუნების ან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს სწავლობს. თითოეულ მათგანს თავისი თავისებურებები აქვს. ამიტომ ასეთ მრავალფეროვან სამყაროს არა ერთი, არამედ ბევრი სხვადასხვა მეცნიერება შეისწავლის. ბუნების საიდუმლოებებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ასტრონომია, ბიოლოგია, ფიზიკა და ა.შ.) იკვლევს, ხოლო საზოგადოების განვითარებას, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს — საზოგადოებრივი მეცნიერებები. მათ რიცხვს ეკონომიკური მეცნიერებებიც მიეკუთვნება. გარდა ეკონომიკისა, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მიმართულებას შეისწავლის ისტორია, სამართალმცოდნეობა, ენათმეცნიერება, სოციოლოგია და ა.შ.

ეკონომიკურ მეცნიერებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის. ეს აიხსნება მისი კვლევის სფეროს განმსაზღვრელი როლით. ამიტომაცაა, რომ მას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეფედ აღიარებენ.

საზოგადოებრივი ოპტიმუმი (social optimum) - საზოგადოების რესურსების ისეთი განლაგება, წარმოებისა და პროდუქციის განაწილების ისეთი სტრუქტურა, რომელიც „საუკეთესოა“ დასახული მიზნების მისაღწევად. ეს ცნება ფართოდ გამოიყენება კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში, როდესაც განიხილება არჩევანი სხვადასხვა სიტუაციას შორის, რომელთაგანაც თითოეული ოპტიმალურია პარეტოს მიხედვით (ე.ი. თითოეულ ამ სიტუაციაში ერთი ინდივიდის კეთილდღეობის ზრდა არ აქვეითებს მეორის კეთილდღეობის დონეს). საზოგადოებრივი ოპტიმუმი არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია, გამოხატოს საზოგადოების კეთილდღეობა მთლიანად, ისევე, როგორც მისი შემადგენელი ინდივიდებისა. პარეტოს მიხედ-

ვით, ყველა ოპტიმალური სიტუაციიდან შეიძლება აირჩეს საუკეთესო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ოპტიმუმს.

საზოგადოებრივი სარგებლობა განათლებისგან (social returns to education) - დამატებითი სარგებლობა განათლებისგან, სხვა დამატებით შემოსავლებთან ერთად. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს განათლების ფასეულობა ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, სადაც შემოსავალი განათლებისგან არ ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას (დემოკრატია და პირადი თავისუფლება, საზოგადოების სოციალური სიჯანსაღე, მაგალითად, დანაშაულის შემცირების შესაძლებლობა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება და სხვ.) და არა მხოლოდ გაითვალისწინოს განათლებისგან მთლიანი შემოსავლები და განათლებაზე სახელმწიფო თუ კერძო ხარჯები. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია განათლების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინვესტიციები განათლებაში ისეთი ფონდებიდან გაიცემა, რომელთა გამოყენება სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მოხმარებისთვის.

საზოგადოებრივი საქონელი (public goods) - ის საქონელი და მომსახურება, რომლებსაც სახელმწიფო მოაქცევს არასაბაზრო სექტორში, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი ეკონომიკური სივრცის არქონა და ბაზრის უუნარობა. ეს გამოწვეულია როგორც პოლიტიკური, სოციალური და სხვა მიზეზებით, ისე საბაზრო მექანიზმის მოქმედების საზღვრების შეზღუდვით. საზოგადოებრივი საქონელი გამოირჩევა ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: **განუყოფლობა, მოხმარების კოლექტიური ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება და საკუთრების სახელმწიფო ფორმის უპირატესი ხვედრითი წონა**. გარდა ამისა, იგი თითქმის ყველა მომხმარებლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია, რაც მისი მითვისებისას გამორიცხავს მეტოქეობას, ე.ი. ერთი ინდივიდის მიერ საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება არ ზღუდავს მის მოხმარებას სხვა ინდივიდის მიერ. მოხმარების ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საქონელი, ისევე როგორც კერძო საქონელი, იყოფა ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების საქონლად. პირველს მიეკუთვნება, მაგალითად, სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიების საქონელი (მარილი, თამბაქო და სხვ.), ხოლო მეორეს — სოციალურ-კულტურული მომსახურება, სახელმწიფო მმართველობის, უშიშროების ორგანოების (ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახანძრო დაცვის) მომსახურება,

ეროვნული საინფორმაციო სისტემა, ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, კომუნიკაციის ეროვნული ქსელი, ფუნდამენტური მეცნიერება, ამინდის ეროვნული სამსახური, ეროვნული პარლამენტი და სხვ.

საზოგადოებრივი საქონლის მთელი დიაპაზონი შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: პირველ კატეგორიას შეადგენს **წმინდა საზოგადოებრივი საქონელი**, რომლის შინაგანი სპეციფიკაც გამორიცხავს მიწოდების საბაზრო ფორმას. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი საქონლის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი. წმინდა საზოგადოებრივი საქონლის ეკონომიკური მითვისების ფორმაა სახელმწიფო საკუთრება და, შესაბამისად, საყოველთაო უფასო სარგებლობის იურიდიული უფლება. მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პრეროგატივაა. მეორე კატეგორიას ეკუთვნის **შერეული საზოგადოებრივი საქონელი**, რომელიც ძირითადად ექცევა საბაზრო მექანიზმის გავლენის ქვეშ, მაგრამ მისი მიწოდებისას ბაზარი ავლენს თავის არასრულყოფილებას. მას ახასიათებს საზოგადოებრივი საქონლის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მოხმარების კოლექტიური და თანაბარი ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება, მაგრამ არ ახასიათებს მოხმარებისაგან განუყოფლობა, რის გამოც ზოგჯერ კერძო საქონლისკენ გადაიხრება. ამიტომ შერეული საზოგადოებრივი საქონელი (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.), ერთი მხრივ, ქმნის ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს, რომელიც არ ექვემდებარება ბაზრის კანონებს და მოსახლეობას ეძლევა უფასოდ ან დაბალი, დოტაციური ფასით, მეორე მხრივ კი, წმინდა საბაზრო ურთიერთობაში ჩაერთვის და ბაზრის კანონებს ემორჩილება. ამრიგად, მის მიმართ გამოიყენება მითვისების როგორც უფასო, ისე ფასიანი ფორმა. ამ შემთხვევაში ბაზარი არასრულყოფილია, ანუ შედარებით უუნაროა და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი გამოიხატება ისეთი პრობლემების გადაჭრით, რომელთა მიმართაც საბაზრო მექანიზმი უძლურია. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოიყენება შერეული საზოგადოებრივი საქონელი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივისა და კერძოს თანაარსებობასა და ამ უკანასკნელისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერასა და დახმარებას. მესამე კატეგორიას შეადგენს ის საქონელი და მომსახურება, რომლისთვისაც, მისი თავისებურებებიდან და ბაზრის ტერიტორიული შეზღუდულობიდან გამომდინარე, **ბუნებრივი მონოპოლია** გარდაუვალია. ამასთან, თეორიულად ის კვაზისაზოგა-

დოებრივი საქონელია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგება, სარკინიგზო მიმოსვლა, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირგაბმულობა და სხვ.

საზოგადოებრივი საქონლის ეს კატეგორიები მთლიანობაში ქმნიან მკვეთრად გამოხატულ სპეციფიკურ სახეს, რომელიც მათ კერძო საქონლისაგან განასხვავებს.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ (public sector) - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ეკონომიკის ნაწილი, რომელიც განსხვავდება კერძო საკუთრებაში არსებულისაგან. იგი არ შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოებრივი საქონლის მწარმოებელი სექტორი, თუმცა, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი საქონელი ძირითადად სწორედ სახელმწიფო სექტორში იწარმოება. საზოგადოებრივი სექტორის სიდიდეს განსაზღვრავს ეკონომიკის ნაციონალიზაციის დონე და ხელისუფლების პოლიტიკური ნება. ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში მისი წილი ეკონომიკაში განსხვავებულია. მაგ., დიდ ბრიტანეთში ჯანდაცვის სისტემა ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაა, ხოლო აშშ-ში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო საკუთრებაშია.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ (economy of public sector) - ეკონომიკური მეცნიერების ახალი დარგი, რომლის წარმოშობა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების კვალდაკვალ მოხდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან და ამის პიონერი აშშ იყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ახალ თვისებრიობაში გადაზრდამ ტრაექტორია შეუცვალა მსოფლიოს განვითარებას. საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებული საბაზრო სისტემის ძირითად მახასიათებლად, ბაზრის პრინციპების რეალიზაციასთან ერთად, სოციალური ორიენტაცია იქნა აღიარებული, რამაც, თავის მხრივ, დაადასტურა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ კეინზიანური თეორიის სისწორე. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორება, რაც ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის საფუძველი გახდა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება დროის მოთხოვნა იყო, მეტიც, იგი თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა და მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების გარანტადაა აღიარებული. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზნეობრივი ფასეუ-

ლობების წინა პლანზე წამოწევას, რომელმაც ჩამოიტოვა მანამდე ფესვებგადგმული, სოციალური ინსტინქტებით განპირობებული მოთხოვნილებები და მათზე მაღლა დადგა. ჩამოყალიბდა ორი ტიპის საზოგადოება — ჩაკეტილი და ღია. ჩაკეტილი — ტოტალიტარული საზოგადოება, რომლის პირობებში პიროვნება კოლექტივის მსხვერპლად იქცა და ღია — ჰუმანური საზოგადოება, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწინდარია. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში სოციალურობის ტენდენციის გაძლიერებამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო, მეტიც, **სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა.**

ეკონომიკისათვის სიცოცხლისუნარიანობის მინიჭებაში უდიდესი როლი 50-იან წლებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შეასრულა, რომელმაც გამოიწვია საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნები, მომსახურების წარმოებრივი დარგების დაჩქარებული განვითარება და მოამზადა პირობები ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდისათვის. მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ახალ ისტორიაში რევოლუციურ მახასიათებლად წარმოჩნდა მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით. ეს მნიშვნელოვანი თეორიული პარადიგმები რეალურად აისახა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში და საფუძვლად დაედო გაეროს საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. **პოსტინდუტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ეს ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის დასაწყისი იყო.**

ამ ისტორიულ წიაღსვლებში, ნახტომისებრ საზოგადოებრივ პროგრესში უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკურმა თეორიამ, როგორც საზოგადოებრივმა მეცნიერებამ. სწორედ „დიდი დეპრესიის“ შემდგომ პერიოდში ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიამ უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკისათვის სოციალური როლის მინიჭებასა და ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებაში.

ამ ობიექტურმა წანამძღვრებმა საფუძველი ჩაუყარეს **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობასა და განვითარებას.** ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი დარგისთვის არ არის ნიშანდობლივი ისეთი ძლიერი ინ-

ტეგრირებული საწყისი, როგორიც ეკონომიკური თეორიის (კერძოდ, მაკროეკონომიკური თეორიის) ამ ახალი განშტოების — საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისთვისაა. ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მინიჭებით წინა პლანზე საზოგადოებრივი ინტერესები წამოიწია და მან გაზარდა სახელმწიფოს როლი ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში. იმ ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ცნობილი ტრეადით — „რა“ „როგორ“ „ვისთვის“ გამოიხატება, საკმარისი არ არის მხოლოდ მოთხოვნით გამოხატული ინდივიდუალური მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება. აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაც, რაშიც გადამწყვეტ როლს სახელმწიფო ასრულებს (ამიტომაცაა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ზოგჯერ გაიგივებულია სახელმწიფო სექტორის ეკონომიკასთან).

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო სექტორში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას. ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, განსაკუთრებით ის, თუ რამდენად არის იგი სოციალურად ორიენტირებული.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროშია მოქცეული ეკონომიკის არასაბაზრო სექტორიც, რაც, ბაზრის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, გარე ეფექტების გაზომვასა და ბუნებრივი მონოპოლიების არსებობის აუცილებლობის დასაბუთებას, რომელთა გარეშე ზედმეტია საუბარი სოციალურ რეფორმებზე. სახელმწიფოსადმი ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნაა ალოკაციური ფუნქციის შესრულება, რაც უკავშირდება განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, ანუ დასავლეთში საკმაოდ აპრობირებული საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, რომელიც არ შეიძლება საბაზრო ფასით მიეწოდოს მოსახლეობას. ჭეშმარიტი სოციალური რეფორმები იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შეიმუშავებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებლობას (მათ შორის, ანტიმონოპოლიურსაც), მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, კონკურენციის დაცვით,

ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნით, მცირე ბიზნესის წახალისებით და, საერთოდ, მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის გაზრდით მოახდენს საბაზრო უწონასწორობის მინიმიზაციას, ისეთ მიმართულებას მისცემს ბაზარს, რომელიც განაპირობებს პიროვნების შესაძლებლობათა რეალიზაციას. ეს პრობლემებიც, რომელთა გადაჭრასაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მივყავართ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებს უჭირავს. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით, სახელმწიფო „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს. მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებით მცირდება ლობიზმის ნეგატიური შედეგების მასშტაბები, ჩქარდება ეკონომიკის ინსტიტუციონალიზმის პროცესი, იზრდება კერძო სტრუქტურების სოციალური პასუხისმგებლობა, ვითარდება სამოქალაქო თვითშეგნება, ფართოვდება თვითმმართველობითი სტრუქტურები და ძლიერდება დემოკრატია. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ჰუმანიზაციის პროცესების გაძლიერებით წარმოშობილი ახალი პრობლემები ამდიდრებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შინაარსს.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და პარამეტრების შემუშავებას, რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პრეროგატივაა.

გადასახადები, როგორც ეკონომიკის სტიმულირებისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი და საბიუჯეტო შემოსავლის ძირითადი წყარო, წინა პლანზე აყენებს დაბეგვრის თეორიის საკითხებს გადასახადებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთქმედების ჭრილში და სახელმწიფოს როლს ოპტიმალური დაბეგვრის ფუნქციონირებაში. ამ კუთხითაც გადასახადების მრავალწახნაგოვანი ფენომენი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გლობალური პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური გადანაწილების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალურია საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხების კვლევა, რომელიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლის ერთ-ერთი სფეროა. მისი კვლევის სფეროა აგრეთვე კეთილდღე-

ობისა და შემოსავლების გადანაწილების პრობლემებიც, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ სიღარიბისა და მინიმალური სოციალური გარანტიების, ინფლაციისა და მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურების, ქველმოქმედების, მეცნიერებისა და განათლების სახელმწიფო დაფინანსების და სახელმწიფოს მიერ მეცნიერების სტიმულირების საკითხებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები კიდევ უფრო აფართოებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის საკვლევ არეალს.

ამასთან დაკავშირებით, დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადსაკაცობრიო ამოცანების განხორციელების თავისებურებების შესწავლას საბაზრო სისტემაზე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა, ფართოდ დაინერგა მრავალი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, გამოვიდა ცნობილ მეცნიერთა (ჟ. სტიგლიცის, ა. ანტკინსონის, მ. რინგკვისტის, ლ. იაკობსონის, ე. ჟილცოვისა და ა.შ.) სახელმძღვანელოებიც. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო მეტად საჭირო და დროის მოთხოვნით წარმოშობილი ეკონომიკური მეცნიერების ამ ახალი დარგის აქტუალური პრობლემების კვლევა და საუნივერსიტეტო სწავლებაში დანერგვა, ხოლო საქართველოში ჯერჯერობით სათანადოდ ვერ იკიდებს ფეხს.

საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების ხელისუფლებისათვის მიწოდება გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია (Association for Studies of Public Economy - ASPE) - დაფუძნდა 2000 წლის 2-3 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საზოგადოებრივი სექტორის რეფორმირებისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე. ASPE საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკური პრობლემების შესწავლა. იგი არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც თავის საქმიანობას ახასიათებს სტოკჰოლმის უნივერსიტეტისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ჩარჩოებში და ითვალისწინებს: ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონ-

ფერენციის ორგანიზებას; ასოციაციის სამეცნიერო მოხსენებების გამოქვეყნებას; სემინარების მოწყობას; უცხოელი სპეციალისტების ლექციების ორგანიზებასა და ა.შ.

საზომთა მეტრული სისტემა (metric system of measures) - ერთეულთა სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეტრი (სიგრძის ერთეული) ან კილოგრამი (მასის ერთეული).

სათავო კომპანია (parent company) - დედა-კომპანია დიდი, როგორც წესი, ტრანსეროვნული კორპორაციისა, რომელიც ფლობს მასში შემავალი შვილობილი კომპანიებისა და სხვა ქვეგანყოფილებების აქციების საკონტროლო პაკეტებს. სათავო კომპანია ტრანსეროვნული კორპორაციის შტაბბინაა, რომელიც სტრატეგიული მართვის ფუნქციებს ასრულებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა წარმოება, გასაღება, ფინანსები, მეცნიერული კვლევა და სხვ., თუმცა, შვილობილ კომპანიებს საწარმოო საგამსაღებლო საქმიანობის ოპერატიული საკითხების გადაჭრაში დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული.

სათამაშო ბიზნესი (gambling industry) - ბიზნესი, რომლის მიზანია, თამაშების ინდუსტრიის საფუძველზე აზარტული თამაშების ორგანიზებით, მოგების მიღება.

საიმპორტო ინფლაცია (imported inflation) - ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით — ქვეყანაში უცხოური ვალუტის ჭარბი მოზიდვითა და იმპორტის ფასების ზრდით.

საინვესტიციო ბანკი (investment bank) - სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულებათა გამოშვებისა და გავრცელების გზით.

საინვესტიციო კაპიტალი (investment capital) - დროის ხანგრძლივი პერიოდით ინვესტიციებში დაბადებული კაპიტალი.

საინოვაციო ბანკი (innovation bank) - სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც შექმნილია შორეულ ეფექტზე გათვლილი სარისკო პროდუქტების დასაკრედიტებლად. ძირითადად აწარმოებს ტექნოლოგიური პროგრესის, უახლესი დამუშავებებისა და სიახლეების დაკრედიტებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები (information technologies - IT) – ახალი, მზარდი საექსპორტო დარგი მთელ მსოფლიოში, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე ეკონომიკაში. ერთი მხრივ, თავად ქმნის საექსპორტო პროდუქციას, მეორე მხრივ კი, წარმოადგენს ყველა დარგის მეცნიერული კვლევებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტს.

პერსონალური კომპიუტერების მასობრივმა მოხმარებამ საინფორმაციო ტექნოლოგიები განვითარებულ ქვეყნებში სულ სხვა მასშტაბებზე გაიყვანა, ბევრი ქვეყნის კომპანიებს შეუქმნა სპეციალიზაციისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის აღმოცენდა ახალი ტიპის ბაზარი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: 1. IT სერვისების აუტსორსინგი და 2. საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციებით აღჭურვილი ბიზნესპროცესების აუტსორსინგი.

IT სერვისების აუტსორსინგს მიეკუთვნება პროგრამირება, სისტემების ინტეგრაცია, პროგრამული გამოყენებების ტესტირება, IT ინფრასტრუქტურა და მისი მომსახურება, IT კონსალტინგი, მონაცემების დამუშავება და მონაცემთა მხარდაჭერის მომსახურება, კონტენტის მენეჯმენტი და განვითარება და ა.შ.

საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციებით აღჭურვილი ბიზნესპროცესების აუტსორსინგია: ქოლცენტრები (მომხმარებლებთან დაკავშირების ცენტრები), მომხმარებელთა კავშირის (შემავალი და გამავალი კავშირების) ცენტრები, შიდა ოფისის მომსახურება (მონაცემთა ბაზის შექმნა, კადრების ადმინისტრირების მხარდაჭერა, ხელფასების გაცემა, ფინანსები) და ა.შ.

IT აუტსორსინგის ბაზრის სეგმენტზე გამუდმებით მძაფრდება კონკურენცია. სულ უფრო მეტი ქვეყანა, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ქვეყნებიც, ცდილობენ ჩაებან ამ გლობალურ ბიზნესში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის მოცულობამ 2010 წელს ტრილიონ დოლარს გადაჭარბა, ზრდის ტემპი კი 2011 წლისთვის 7%-ზე მაღალია. ანალიტიკური კომპანია „გარტნერის" მიხედვით, მოსალოდნელია, რომ IT სერვისების აუტსორსინგის ბაზრის მოცულობამ 2011 წლის ბოლოსთვის 313,2 მლრდ დოლარს მიაღწიოს, რაც 6,9% ზრდაა 2010 წელთან შედარებით.

საქართველო დგამს პირველ ნაბიჯებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გზაზე. ქვეყნის IT სერვისების ბაზარზე მცირე და საშუალო ზომის 20-მდე კომპანიაა. ყველაზე დიდი კომპანიები, როგორიცაა ალტა და UGT (200 თანამშრომლით), ბაზარზე დამკვიდრებისათვის მიმართავენ დივერსიფიკაციის სტრატეგიას და IT სერვისებთან ერთად სთავაზობენ კომპიუტერულ და ელექტრონულ ტექნიკას. ზოგადად, ქართული კომპანიები წარმოდგენილია შემდეგი პროდუქტებითა და სერვისებით: საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დარგების დიდი კომპანიე-

ბისათვის ინტეგრირებული მზა გადაწყვეტილებების (SAP, ERP, CRM) მორგება და დანერგვა, მარტივი პროგრამული გადაწყვეტილებების შემუშავება მცირე ფირმებისათვის (საბუღალტრო პროგრამები, კლიენტთა მომსახურება), ვებ-პროდუქტების შემუშავება, დოკუმენტაციის მენეჯმენტი, ქსელის დიზაინი და ადმინისტრირება. ბაზარზე არსებული კომპანიებიდან, მხოლოდ ერთი-ორი ასრულებს უცხოურ დაკვეთებს. უმნიშვნელო რაოდენობის შეკვეთები მოდის ადგილობრივი ბიზნესიდან და მთავრობიდან IT კონსალტინგზე და სტრატეგიის შემუშავებაზე. ქართულ ბაზარზე ძირითადად დომინირებს სახელმწიფო დაკვეთები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 2010 წელს შეიქმნა სპეციალური ინფოკომუნიკაციების სამმართველო, რომლის ამოცანაა „საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის განსაზღვრა და მონიტორინგი... საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებისა და საშუალებების განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრა და მათზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი.“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი: http://www.economy.ge/?category=20&lang=geo

საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის ღირებულებათა ჯაჭვი (information technologies) – ასახავს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათი კომპონენტების, პროცესებისა და სერვისების მეშვეობით შექმნილ ღირებულებას, რომლის საბოლოო მომხმარებელია მოსახლეობა, მათ შორის, კერძო და სამთავრობო სექტორები, სხვა IT სერვისები, მარკეტინგი, კონსალტინგი და ა.შ.

IT სტრატეგიის შემუშავება ბიზნესისათვის ყველაზე ძვირადღირებულია და წარმოადგენს ამ ჯაჭვის ზედა ნაწილს, სადაც იქმნება ღირებულების 50-55%. შემდეგ მოდის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების (გამოყენებათა) დიზაინი, შემუშავება და დანერგვა, სისტემების ინტეგრაცია, რომლებზედაც ღირებულების 30–35%-მდე ნაწილდება, დაბოლოს, ქსელისა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება, რისთვისაც დარჩენილია ღირებულების 10-15%.

როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების IT კომპანიების პოზიციონირება ხდება IT აუტსორსინგის მცირე ღირებულების სერ-

ვისების სეგმენტზე. ბაზრის მოთხოვნის (ძირითადად წარმოდგენილი განვითარებული ქვეყნების კომპანიების მოთხოვნით) შესწავლა ხდება IT კონსალტინგური კომპანიის მიერ, რომელიც ასევე განვითარებულ ქვეყანაშია და უგზავნის პროგრამული უზრუნველყოფის უკვე მზა სპეციფიკაციებს ოფშორულ კომპანიებს.

„ეკონომისტის დაზვერვის ჯგუფის“ (EIU) მონაცემებით ბოლო ორი წლის განმავლობაში ტაივანი, ინდოეთი, კორეა, სინგაპური, ისრაელი საკმაოდ წინ წაიწია ღირებულებათა ჯაჭვში. ეს გამოწვეულია სამეცნიერო-კვლევითი და ახალი პროდუქციის განვითარების (R&D) ხარჯების ზრდით, რაც საბოლოოდ აისახა IT პატენტების გენერაციის ინდექსის მომატებაში. ტაივანი, ისრაელი და სინგაპური ამ მაჩვენებლით პირველ ხუთეულში შევიდა აშშ-თან ერთად. თუ 4-5 წლის წინ ინდოეთი და ჩინეთი იღებდნენ შეკვეთებს მხოლოდ პროგრამული გამოყენებების მენეჯმენტში, პროგრამების კოდირებაში, ტესტირებაში, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტში, ამჟამად ისინი უფრო რთულ და ძვირადღირებულ შეკვეთებს იღებენ აპლიკაციების ზედა დონის დიზაინსა და შემუშავებაში. ამ სეგმენტში რუსეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ბელარუსის რამდენიმე კომპანია წარმატებულად უწევს მათ კონკურენციას. უფრო დაბალ ღირებულებათა სეგმენტში, სადაც სრულდება მცირე მომსახურება ღირებულების დიზაინში, სისტემების ინტეგრაციაში, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტში კონკურენცია გაცილებით უფრა მძაფრია და ძირითადად წარმოდგენილია ინდოეთისა და ჩინეთის უფრო დაბალანაზღაურებიანი IT კადრებით. ამ სამუშაოებზე არ მოდის შექმნილი ღირებულების მეოთხედიც კი ანუ დაახლოებით ეს არის 200 მილიარდიანი ბაზარი მსოფლიო მასშტაბით, სადაც შესვლას ცდილობს ბევრი განვითარებადი ქვეყანა.

სათანადო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა იმდენად მწვავეა ყველა ქვეყანაში, თვით ინდოეთშიც კი, რომ დანარჩენ ქვეყნებს გზა ეხსნებათ, რათა მათაც მიიღონ შეკვეთები. ყველა განვითარებადი ქვეყნის კომპანია, რომელიც უკვე დამკვიდრდა დაბალი ღირებულების სეგმენტზე, ცდილობს წინ წაიწიოს ღირებულებათა ჯაჭვში.

საკვანძო კომპეტენტურობის თეორია (core competence theory) – კონკურენციის თეორია, რომელიც ასახავს იმ ახალ ტენდენციას, რომელიც ყალიბდება კომპანიებში კოლექტიური ცოდნის სახით. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ხელს უწყობს კომპანიებს არსებული სამეწარმეო

თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში, ინოვაციებზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში.

ეს ტერმინი პირველად გამოქვეყნდა 1990 წელს „Harward Business Review"-ში ჰარვარდის ბიზნესსკოლის წარმომადგენლების ს. პრაჰალადისა და მ. ჰამელის სტატიაში – „საკვანძო კომპეტენტურობა და ორგანიზაცია".

საკომპენსაციო გარიგება (compensatory transaction) - ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფორმა. გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში და ითვალისწინებს საქონელთა ურთიერთმიწოდებას თანაბარი ფასით. ბარტერისაგან განსხვავებით, საკომპენსაციო გარიგება მოითხოვს შეძენილი საქონლის ღირებულების ნაწილობრივ მაინც დაფარვას.

საკრედიტო ბარათი (credit card) - პლასტიკური ბარათი, სახელობითი ფულადი დოკუმენტი, გაცემული საკრედიტო დაწესებულების მიერ, რომელიც აძლევს მის მფლობელს უფლებას შეიძინოს საქონელი ან მომსახურება ნაღდი ფულის გადახდის გარეშე.

საკრედიტო ფული (credit money) - საემისიო ბანკების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელიც შეიცავს განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულებებს. მისი სახეებია: თამასუქი, ბანკნოტი, საბანკო ჩეკი, ობლიგაცია და სხვ.

საკუთრება (property, ownership) - ადამიანთა შორის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების გამომხატველი კატეგორია; წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ჩამოყალიბებული ობიექტური კავშირების სისტემა, მატერიალური დოვლათის მითვისების განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა. საკუთრება საზოგადოების განვითარების გამომხატველი კატეგორიაა და ისეთივე ცვალებადია, როგორც საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, რომელიც ეუფლება ბუნების ნაბოძებს და ითვისებს მას ბუნებასთან ურთიერთობის გაცნობიერების გარეშე, არამედ მასთან ექცევა ეკონომიკური სისტემით განპირობებულ ურთიერთობაში გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით.

ეკონომიქსი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი. ამის საპირისპიროდ ეკონომიკური თეორია საკუთრებას განიხილავს, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მათი მეშვეობით შექმნილი დოვლათის მითვისების გამო.

საკუთრების რეალიზაციის

ფორმებია: **სარგებლობა, მფლობელობა, განკარგვა (სრული საკუთრება).** სარგებლობის უფლება წარმოების საშუალებების ან სხვა ქონების ექსპლუატაციისა და მისგან სარგებლობის მიღების შესაძლებლობას იძლევა; მფლობელობის უფლება წარმოების საშუალებების ან სხვა ქონების ფაქტობრივად დაუფლებისა და საკუთარ მფლობელობაში ქონის შესაძლებლობაა. მფლობელობა მოიცავს სარგებლობას, როგორც დაქვემდებარებულ მარტივ მომენტს. განკარგვის (სრული საკუთრების) უფლება მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს იმოქმედოს თავის შეხედულებისამებრ და თვითონ განსაზღვროს საკუთრების ობიექტი: თავის საკუთრებაში დაიტოვოს თუ გაასხვისოს, გაყიდოს. სრული საკუთრება მოიცავს სარგებლობასა და მფლობელობას.

ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ (property rights) - უფლება, რომელიც განსაზღვრავს რესურსების, მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათისა და მომსახურების გამოყენების ნებართვას. საკუთრების უფლება აქტივებზე მოიცავს მათ გამოყენებას, ფორმისა და შინაარსის შეცვლას, აგრეთვე უფლების გადაცემას მათი გაყიდვის გზით. აქტივებზე საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი, ვინაიდან არსებობს კანონითა და ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული შეზღუდვები.

ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ (protection of property rights) – გულისხმობს ქვეყანაში კარგი პოლიტიკური სისტემის არსებობას, როდესაც თანამდებობის პირს არ შეუძლია მოქალაქეთა საკუთრების კონფისკაცია ან მიტაცება. ეს ნიშნავს ჯანსაღ სასამართლო სისტემას, სადაც დავა სწრაფად და სამართლიანად წყდება. საკუთრების დაცვა ნიშნავს ისეთი კანონების შემოღებას, რომლებიც მიმართულია საფონდო ბაზარზე ინსაიდერული ვაჭრობის წინააღმდეგ; ეს ნიშნავს ისეთი საპატენტო კანონების ამოქმედებას, რომლებიც სტიმულს მისცემდა ფირმებს შეექმნათ ახალი პროდუქცია; ეს ნიშნავს ანტიმონოპოლიური კანონების არსებობას, რომლებიც ხელს შეუწყობდა კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებასა და მონოპოლიური ბაზრის ლიკვიდაციას.

ᲡᲐᲚᲓᲝ (saldo) [<იტალ. saldo ანგარიში, ნაშთი] - სხვაობა საწარმოს ფულად შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში; საერთაშორისო ვაჭრობაში — სხვაობა ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებას შორის (სავაჭრო ბალანსის სალდო). საერთაშორისო საგადასახადო ანგარიშსწორებაში — სხვაობა ქვეყნის საზღვარგარეთულ გადასახდელებსა და შემოსავლებს შორის

(საგადასახდელო ბალანსის სალდო).

ᲡᲐᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ (licencing system) - საგარეო ვაჭრობის ოპერაციების რეგულირება საქონლის შემოტანასა და გატანაზე სახელმწიფო ნებართვისათვის (ლიცენზიების გაცემით).

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ (scientific-technical cooperation) - საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმა, მოიცავს: ერთობლივ სამეცნიერო დამუშავებებს, ლიცენზიებით ვაჭრობას, მსხვილი ტექნოლოგური პროექტების განხორციელებას, ობიექტების ერთობლივ მშენებლობას, ეროვნული კადრების მომზადებას, რელიგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოებასა და ა.შ.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ - ᲡᲢᲞ (scientific-technical progress) - მეცნიერებისა და ტექნიკის ერთიანი, ურთიერთგანპირობებული, თანმიმდევრული განვითარება. **ᲡᲢᲞ**-ის I ეტაპი უკავშირდება მანუფაქტურულ წარმოებას (XVI-XVIII სს.), II ეტაპი – მანქანური ინდუსტრიის განვითარებას (XVIII ს.-ის ბოლოდან), III ეტაპი – სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას (XX ს.-ის 50-იანი წლებიდან), რომლის საფუძველზე მოხდა საზოგადოებრივი წარმოების არნახული დივერსიფიკაცია. თანამედროვე პირობებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი **ᲡᲢᲞ**-ის განვითარებული ფორმაა.

ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ (mining industry) - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გამდიდრების დარგთა კომპლექსი. მასში შედის: სათბობის წარმოება (მრეწველობა), სამთოქიმიური და სამთომადნეულის მრეწველობა, მინერალური ნედლეულის და არალითონური ნედლეულის (ალმასი, გრაფიტი, ასბესტი, ქარსი, კვარციტი, დოლომიტი, მინერალური სამშენებლო მასალები, ცეცხლგამძლე და სხვა თიხები და ა.შ. მოპოვება.

ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲘᲐ (mailing list) - საქონლის ან მომსახურების პოტენციურ მყიდველთა მისამართების სია, რომელიც დგება პირდაპირი საფოსტო რეკლამის მეთოდით სარეკლამო ან საინფორმაციო მასალების დაგზავნის მიზნით.

ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲐ (basket of goods, consumer's basket) - ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ნაკრები. წარმოადგენს ბაზას მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, მინიმალური ხელფასის, პენსიის, დახმარების, სტიპენდიისა და ა.შ. განსაზღვრისათვის.

საქონლისა და მომსახურების

ნაკრები სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფისათვის დიფერენცირებულია და დამოკიდებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებზე. სამომხმარებლო კალათაში შედის საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა ნაკრები: პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, ზეთი, მარგარინი, კარაქი, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, სხვა პროდუქტები; ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი; წამალი, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები; ავეჯი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნები; საცხოვრებელი ბინა, კომუნალური მომსახურება; კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება; საყოფაცხოვრებო მომსახურება; ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა; სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურება.

სამომხმარებლო კალათის შეფასება ხდება საპრეისკურანტო ფასებით განსაზღვრული პერიოდით. სამომხმარებლო კალათაში შესული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტი ასახავს ხალხის ცხოვრების დონეს. რაც უფრო მრავალფეროვანია „კალათაში“ შემავალი კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის ჩამონათვალი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე.

სამომხმარებლო კრედიტი (consumer credit) - სამომხმარებლო საქონლის შესაძენად გაცემული მოკლევადიანი კრედიტი. კრედიტორები შეიძლება იყოს: ბანკები, ლომბარდები, გამქირავებელი პუნქტები, საცალო ვაჭრობის ობიექტები, ფირმები და სხვ.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (consumer price index) - მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო ცვლილების გავლენას ფიქსირებულ სამომხმარებლო კალათაზე. იგი გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილების და მასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზისა და პროგნოზისათვის. გაიანგარიშება 1917 წლიდან და ქვეყნდება ყოველთვიურად. გამოიყენება მოხმარების საშუალო ფასის ანუ ცხოვრების ღირებულების გაზომვისათვის.

სამომხმარებლო ხარჯები (consumer expenditures) - მოხმარებაზე გაწეული ხარჯები. მაკროეკონომიკაში მოიცავს შინამეურნეობათა ყველა საბოლოო დანახარჯს, გარდა საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ან ყიდვისათვის გაწეული ხარჯებისა.

სამოქალაქო საზოგადოება (civil society) - სამოქალაქო მოწყობის ისეთი ტიპი, რომელიც გამოირჩევა დემოკრატიის მაღა-

ლი დონით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ურთიერთობების პლურალიზმით. საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი პერიოდიდან, როდესაც ცივილიზებულ ქვეყნებში **ახალი მსოფლიო წესრიგის** დამყარების აუცილებლობა წარმოიქმნა.

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტს. თანამედროვეობის ასეთი პრიორიტეტი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე მსოფლიო წარმოებაში მიმდინარე მძლავრმა პროგრესულმა ცვლილებებმა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მომსახურების სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაში გამოიხატა. არანაკლები როლი შეასრულა ახალი ეკონომიკური თეორიების ჩამოყალიბებამ და მსოფლიოში ტონის მიმცემი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში მათი გამოყენების მასშტაბების ზრდამ. მსოფლიო ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. კერძო კაპიტალისტური საკუთრების პრიორიტეტზე დაფუძნებულმა გაბატონებულმა ურთიერთობებმა ევოლუციური გზით საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ურთიერთობებს დაუთმო ადგილი. საკუთრების სწორედ ასეთმა ტრანსფორმაციამ გაბატონებულ კერძო საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებულ კაპიტალიზმს ტრაექტორია შეუცვალა და მისი ახალ თვისებრიობაში გადაზრდა დააჩქარა. ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკა, სადაც „პირველი ვიოლინოს“ როლი ბაზარს დაეკისრა. კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა.

ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. იგი აღიარებულ იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რადიკალურმა და ამავე დროს, უაღრესად პროგრესულმა ცვლილებებმა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება. ასეთმა ბაზარმა, შრომის მოტივაციის ეფექტიანი სისტემა შექმნა და მეწარმეობის განვითარებას ფართო შესაძლებლობები მისცა. მან, ჰორიზონტალური კავშირების გაფართოება-განმტკიცების საფუძველზე, საგრძნობლად გაამარტივა მმართველობის იერარქიული სტრუქტურა, განაპირობა კერძო და საზოგადოებრივი ინ-

ტერესების დაახლოება და, საბოლოო ანგარიშით, წარმოქმნა ისეთი ობიექტური კანონზომიერება, რომელმაც გამოხატულება თვისებრივად სრულიად ახალ ეკონომიკურ ზრდაში პოვა. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. დაიწყო სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისა და ქველმოქმედების ორგანიზაციების ფართოდ შექმნის პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივ პროგრამებს მიექცა. ეს პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს განხორციელდა, ითვალისწინებდა უმუშევრობის დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას, ავადმყოფობის გამო დახმარებას, წარმოებაში უბედური შემთხვევის გამო დახმარებას, სამედიცინო დაზღვევას ან უფასო სამედიცინო მომსახურებასა და ა.შ.

სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფომ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნები შეიძინა. განვითარებულმა სამყარომ, შეიძლება ითქვას, მიიღო ახალი დროის გამოწვევა. საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვა უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს, მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარი და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია.

საბრეჭველო ციკლი (business cycle) - ეკონომიკის განვითარების არარეგულარული განმეორებადი პერიოდი. შედგება საერთო საქმიანი აქტიურობის აღმავლობისა და დაცემის პერიოდებისაგან.

სამუელსონი პოლ ენტონი (1915-2009) (Samuelson, Paul A.) - XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ეკონომისტ-თეორიტიკოსი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1970).

სამუელსონის ნაშრომები მოიცავს თანამედროვე თეორიული ეკონომიკური მეცნიერების თითქ-

მის ყველა განყოფილების ფართო სპექტრს. მიუხედავად იმისა, რომ მეტად ნაყოფიერი ავტორია, მან დაწერა მხოლოდ ორი წიგნი – „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები (1948) და ცნობილი სახელმძღვანელო „ეკონომიქსი“ (1945). სამუელსონს მიენიჭა ნობელის პრემია იმ ნაშრომებისათვის, რომლებმაც მათემატიკური მეთოდების გამოყენებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური დონის ამაღლებაში.

სახელმწიფო ფინანსების თეორიაში ფუძემდებლური გახდა სამუელსონის სახელმწიფო ხარჯების წმინდა თეორია, რომელიც ეხება რესურსების ოპტიმალურ განაწილებას როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ საქონელთან მიმართებაში.

სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიაში სამუელსონის მიდგომა საპირისპირო იყო იმ დროს დამკვიდრებული მიდგომისა, რომელიც მდგომარეობდა დედუქციური მეთოდების საფუძველზე სამომხმარებლო ქცევის თეორიის დამუშავებაში. მომხმარებელთა ქცევის დამკვიდრების საფუძველზე გამოვლენილი უპირატესობით სამუელსონმა განსაზღვრა სამომხმარებლო უპირატესობა.

„კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში“ ცნობილია სამუელსონის კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ცვლილების გავლენას კეთილდღეობის დონეზე. ყველა დანარჩენი კრიტერიუმი ამ ზოგადი კრიტერიუმის კერძო შემთხვევაა.

ეკონომიკური დინამიკის თეორიაში სამუელსონმა გამოიკვლია ეკონომიკური სისტემის ცვლილებები წონასწორობის არარსებობის პირობებში და ეკონომიკის გადასვლა ერთი ფაზიდან მეორეში. მან განსაზღვრა ეკონომიკური სისტემის მდგრადობის პირობები, რომლებიც ხშირად ემთხვევა სტატიკური მდგრადობის პირობებს. სტატიკურსა და დინამიკურს შორის ფორმალურ დამოკიდებულებას სამუელსონმა შესაბამისობის პრინციპი უწოდა. თავის ნაშრომში „მულტიპლიკატორის ანალიზისა და აქსელერაციის პრინციპის ურთიერთდამოკიდებულება“ (1939) მან გააანალიზა პროცესი, რომელიც საფუძვლად დაედო **ეკონომიკური ციკლის ანალიზს**.

60-იან წლებში სამუელსონი იცავდა კაპიტალის ნეოკლასიკურ კონცეფციას (თუმცა ვერ მიაღწია სრულ წარმატებას), აგრეთვე დეტალურად დაამუშავა ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკური პირობები.

სამუელსონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **საერთაშორისო ეკონომიკის თეორიაში**.

სტოლპერთან ერთად დაამუშავა თეორია, რომელსაც მათი სახელი მიენიჭა. ამ თეორიის მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობა ამცირებს შეზღუდული წარმოების ფაქტორებით მიღებულ შემოსავალს. ამ დებულებიდან გამომდინარე, მან გამოავლინა წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების პირობები ჰეკშერ-ოლინის სისტემაში. ცნობილია მისი კლასიკური განმარტება „ტრანსფერების პრობლემასთან" დაკავშირებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში, სამუელსონმა თავისი გახმაურებული ნაშრომის — „ეკონომიქსის" გამოცემით (რომელიც 1998 წელს უკვე მეთექვსმეტედ გამოიცა ვ. ნორდჰაუსის თანაავტორობით) დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური განათლების სფეროში, განსაკუთრებით **კეინზიანური თეორიის განზოგადებაში**, სტოკჰოლმის სკოლისა და საკუთარი თეორიების შესახებ ცოდნის გავრცელებაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული „ეკონომიქსი" პერმანენტულად გამოდის სხვადასხვა ენაზე, დაისტამბა მილიონობით ეგზემპლარი. ამით პოლ სამუელსონი არა მხოლოდ ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი გახდა, არამედ სამეცნიერო წრეში ყველაზე შეძლებულიც.

სამუშაო დრო (working time) - წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის მიერ გამომუშავებული საათების რაოდენობა.

სამუშაო დროის საათების მთლიანი რაოდენობა (total working hours) - სამუშაო დროის საათების საშუალო რაოდენობა გამრავლებული დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობაზე.

სამუშაო დროის საათების საშუალო რაოდენობა (average working hours) - სამუშაო დროის საათების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებულია ერთი საშუალო სტატისტიკური მუშაკი.

სამუშაო ძალა (labour force) - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა, რომელიც მოიცავს დასაქმებულებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და რეგისტრირებულ უმუშევრებს. ოფიციალურ სტატისტიკაში სამუშაო ძალად განისაზღვრება ადამიანთა ის ჯგუფი 16 წლიდან პენსიაზე გასვლის ასაკამდე, რომლებიც მუშაობენ ან უმუშევრები არიან. სამუშაო ძალის კატეგორიას არ მიეკუთვნებიან სტუდენტები, პენსიონრები, დიასახლისები, ის პირები, რომლებმაც დაკარგეს სამუშაოს შოვნის იმედი და ამიტომ აქტიურად აღარ ეძებენ მას.

სამუშაო ძალის წილი (**მაჩვენებელი**) (labour force participation rate) - მომუშავეთა და უმუშევართა პროცენტი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში.

სანაცია (sanitation) - 1. ბანკების მიერ (ხშირად სახელმწიფოს მონაწილეობით) გატარებული ზომების სისტემა (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, შეღავათიანი დაბეგვრა და ა.შ.) გაკოტრების თავიდან აცილებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

2. სახელმწიფო და საბანკო ღონისძიებების სისტემა საწარმოების გაკოტრების თავიდან აცილებისათვის, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაკრედიტების, რეორგანიზაციის, გამოსაშვები პროდუქციის სახეობების შეცვლით ან სხვა გზით.

სანქცია (sanction) [<ლათ. sanctio უმკაცრესი დადგენილება] - 1. ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო ღონისძიებები გამოყენებული საერთაშორისო სამართალში იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს საერთაშორისო ხელშეკრულებები;

2. ნებართვა, თანხმობა, დადასტურება, მოწონება.

3. იძულებითი ზემოქმედების ღონისძიებები სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის ნორმალურად გაძღოლის წესების დამრღვევთა მიმართ. სანქციები ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების, ფინანსური და საგადასახადო ორგანოების, აგრეთვე ბანკების მხრიდან. სანქციები მოიცავს: საქმიანობის აკრძალვას ან შეზღუდვას, მატერიალური და ფულადი საშუალებების ამოღებას.

განასხვავებენ შემდეგი სახის სანქციებს; 1). სახელშეკრულებო (ჯარიმები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის; 2). საკრედიტო(საბანკო), გამოიყენება ბანკების მიერ საკრედიტო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში; 3). ფინანსური (ფინანსურ-საგადასახადო დისციპლინის დარღვევისას).

საპრივატიზაციო ჩეკი (privatiozation check, voucher) - 1. მიზნობრივი დანიშნულების ნომინალური ღირებულების მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, რომელიც გამოიყენება როგორც საგადამხდელო საშუალება საპრივატიზაციო ობიექტების შესაძენად.

სარგებლიანობის თეორია (theory of utility) - თეორიული მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც განავითარეს ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა XIX-XX საუკუნეებში. ეყრდნობა სარგებლიანობის ბაზისურ, სუბიექტურ გაგებას, რომელიც აღიქმება როგორც სიამოვნება, რომელსაც ადამიანი იღებს დოვლათის მოხმარების შედეგად. სარგებლიანობის თეორიის ძირითადი პრინციპი ეყრდნობა კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონს, რომლის მიხედვით სარგებლიანობის მატება კლებულობს ერთი ერთეული დამატებითი დოვლათის

(სიკეთის) მიღების შედეგად.

სარეზერვო ვალუტა (reserve currency) - უცხოური ვალუტა, რომელსაც სახელმწიფო ინახავს როგორც თავისი სავალუტო რეზერვების ნაწილს საერთაშორისო ვაჭრობაში გამოსაყენებლად. სარეზერვო ვალუტა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ა). უნდა ჰქონდეს სტაბილური ღირებულება; ბ). უნდა იყოს იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობაში; გ). უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი. სარეზერვო ვალუტის როლს უმეტესად ასრულებს აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი და შვეიცარიული ფრანკი.

სარეზერვო ნორმა (reserve rate) – ბანკების რეზერვების (რომელიც წარმოდგენილია ნაწილობრივ ნაღდი ფულის სახით, ნაწილობრივ კი ცენტრალურ ბანკში მოცემული ბანკის ანგარიშზე) მათ საჩეკო დეპოზიტებთან შეფარდება, რაც, როგორც წესი, 10%–ს შეადგენს. ბანკები დარჩენილ 90%–ს სესხების გასაცემად ან ობლიგაციების შესაძენად იყენებენ.

სარეკლამო სააგენტო (advertising agency) - შუამავალი ორგანიზაცია, რომელიც თავის კლიენტებს უწევს მომსახურებას რეკლამის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და გამოყენებისათვის, აგრეთვე პრესით, რადიოთი და ტელევიზიით მისი გავრცელებისათვის. სარეკლამო სააგენტოები არსებობს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების მფლობელთა და კლიენტთა ჰონორარების საკომისიო გასამრჯელოს ხარჯზე.

სარისკო კაპიტალი (risk capital) – კაპიტალი, დაბანდებული კომპანიაში გაკოტრების მაღალი რისკით (ალბათობით), მაგ., ვენჩურული კაპიტალი.

კომპანიის ფინანსური კაპიტალის სხვადასხვა ფორმა რისკის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. მაგ., კომპანიის მოგების განაწილებისას სავალო ვალდებულებების მფლობელები, სარგებლობენ რა რიგი უპირატესობებით, პირველ რიგში იღებენ მოგების ფიქსირებულ პროცენტს და, აქედან გამომდინარე, მათი კაპიტალი ატარებს მცირე რისკს; პრივილეგიური აქციის მფლობელები თავიანთ შემოსავალს ფიქსირებული დივიდენდის სახით მეორე რიგში იღებენ და მათი კაპიტალი შედარებით უფრო მაღალი რისკის მატარებელია; ჩვეულებრივი აქციის მფლობელები თავიანთ შემოსავალს სულ ბოლოს იღებენ კომპანიის დარჩენილი მოგებიდან, აქედან გამომდინარე, მათი კაპიტალი ყველაზე მაღალი რისკის შემცველია. თუ კომპანიაში იზრდება მოგება, მაშინ ჩვეულებრივი აქციის მფლობელთა შემოსავალი იზრდება, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული ფიქსირებული პროცენტი-

სა და ფიქსირებული დივიდენდის გადიდების შემდეგ, კომპანია მათ უნაწილებს დარჩენილ ქონებას.

არსებობს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის კურსის მოულოდნელ ცვლილებასთან და ადგილი აქვს საგარეო ვაჭრობაში, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების ჩატარებისას და ა.შ.

გარდა ამისა, ადგილი აქვს აგრეთვე ეროვნული ვალუტის საბაზრო ღირებულების მერყეობით გამოწვეულ რისკს.

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია კრედიტების დაუბრუნებლობასთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

საბანკო რისკის ერთ-ერთი სახეობაა სარგებლის რისკი, რომელიც განპირობებულია სარგებლის განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით.

სარისკო კაპიტალი მჭიდრო კავშირშია სამეწარმეო რისკთან, რომელიც თან ახლავს ფირმის ყოველდღიურ საქმიანობას, მისი ზოგადი (corporate risk) და ამავე დროს ერთ-ერთი ძირითადი რისკია.

სასაქონლო ნიშანი (trademark) - დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ასოებრივი ან სხვაგვარი ნიშანი. გამოიყენება სხვადასხვა საწარმოთა მიერ წარმოებული ერთგვაროვანი საქონლის ერთმანეთისაგან განასხვავებლად. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სავაჭრო ნიშნის ორი სახე: 1. სავაჭრო მარკა (trade mark) - ნიშანი-სიმბოლო, სიტყვა ან ამ უკანასკნელთა შეერთება, რომელიც მიუთითებს საქონლის მწარმოებელზე; 2. სავაჭრო სახელწოდება (trade name) - საქონლის მწარმოებლის სახელწოდება, რომელიც ეკუთვნის არა გამოშვებულ პროდუქციას, არამედ თვით ფირმას. სასაქონლო ნიშნები დაცულია კანონით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგი (inventories) - წარმოებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუსაღებელი პროდუქცია, რომელიც მწარმოებლებისა და საბითუმო ვაჭრობის საწყობებში ინახება.

სასესხო კაპიტალის ბაზარი (credit market) - საკრედიტო ურთიერთობების სპეციფიკური სფერო, სადაც მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება გარიგება სესხად გასაცემ ფულად კაპიტალზე.

სასოფლო დასახლება (rural settlement) - დასახლებული პუნქტი, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ ქვეყანაში დადგენილ საქალაქო დასახლების კრიტერიუმებს. სასოფლო დასახლების მაცხოვრებლები ძირითადად დასაქმებულია სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, მისდევენ ნადირობას, რეწვას და ა.შ.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲚᲐᲒᲘ (agricultural lag) - გარღვევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის. ძირითადად წარმოიქმნება განვითარებად ქვეყნებში. თუ სოფლიდან ქალაქში გაზრდილი მიგრაციის გამო კვების პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მათზე მოთხოვნას, მაშინ წარმოიქმნება ამ პროდუქციის დეფიციტი, რაც ზრდის მის იმპორტს. ეს მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას და იწვევს მის შეფერხებას.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ (transport costs) – ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთის გადაზიდვასთან ერთი ადგილიდან მეორეზე. მოიცავს არა მხოლოდ გადაზიდვის პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც განისაზღვრება მანძილით, არამედ დატვირთვის, გადმოტვირთვისა და საგზაო მომსახურების დანახარჯებსაც.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲢᲕᲘᲠᲗᲑᲐᲠᲐᲗᲘ (way bill) - დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სარკინიგზო ან საავტომობილო ტრანსპორტით გადასაზიდი საქონლის აღწერა; კონოსამენტის ანალოგი, რომელიც ფასიანი ქაღალდი არ არის და რომლის ხელიდან ხელში გადაცემა არ შეიძლება.

ᲡᲐᲣᲠᲐᲕᲘ (penalty tax) – სანქცია ფულადი ჯარიმის სახით, რომლითაც ჯარიმდებიან ფულადი ვალდებულებების არადროული შესრულებისათვის, ვადის გადაცილებისათვის. როგორც წესი, საურავი წესდება პროცენტის სახით ვადაგადაცილებულ ვალდებულებების თანხაზე და ერიცხება ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გარკვეული პერიოდის მანძილზე, რომლის შემდეგაც ხდება ერთჯერადი ჯარიმის გადახდა.

ᲡᲐᲤᲐᲥᲢᲣᲠᲝ ᲤᲐᲡᲘ (invoice price) - ფასი, რომელიც მითითებულია ანგარიშში (ფაქტურაში) მიწოდებულ საქონელზე. მიწოდების საბაზისო პირობების მიხედვით, საფაქტურო ფასში შეიძლება შევიდეს საქონლის გადაზიდვასთან, დატვირთვა-გადმოტვირთვასთან, დაზღვევასთან, საექსპორტო ბაჟის გადახდასთან და ა.შ. დაკავშირებული დანახარჯები.

ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ ᲛᲐᲠᲙᲐ (firm mark) - სახელწოდება ან ემბლემა, რომელიც მოცემული საქონლის სხვა საქონლის მასისაგან გამოყოფის საშუალებას იძლევა. საფირმო მარკა საქონლის „სახის“ განუყოფელი ელემენტია (იხ. იმიჯი). ნაწარმი, რომელიც თავისი საფირმო მარკის წყალობით მოიპოვებს აღიარებას ბაზარზე, მტკიცე პოზიციას იკავებს. საქონელი საფირმო მარკით ნებისმიერი სავაჭრო საწარმოდან იყიდება.

ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ ᲑᲘᲠᲟᲐ (stock exchange) - ფასიანი ქაღალდების

ორგანიზებული მეორეული ბაზარი, რომელიც ფუნქციონირებს დადგენილი წესების მიხედვით და კოტირების მექანიზმის მეშვეობით განსაზღვრავს ბირჟაზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეობის — აქციებისა და ობლიგაციების საბაზრო კურსს, ფასს. საფონდო ბირჟა ავლენს ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეს და ახდენს მათს კონცენტრაციას.

საფონდო ბირჟაზე აქციებისა და ობლიგაციების კოტირებისათვის გაშვება ხდება ემიტენტისადმი კონკრეტული მოთხოვნის წაყენებით. ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გამოტანა შეზღუდულია. მსოფლიოს უდიდეს ბირჟებზე (ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს და ა.შ.) მიმოიქცევა მხოლოდ რამდენიმე უმსხვილესი აქციონერული კომპანიის აქციები, რომლებიც საერთოდ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 75%-ზე მეტს შეადგენს. დანარჩენი კომპანიების ფინანსური აქტივები იყიდება სხვა საფონდო ბირჟებზე და მათს გარეთ.

კოტირებული აქციების საერთო თანხისა და დადებული გარიგებების მოცულობის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე დიდი საფონდო ბირჟებია იაპონიის, აშშ-ის, ინგლისისა და ტაივანის ფასიანი ქაღალდების ბაზრები. მაგ., ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დღეში 160 მლნ-ზე მეტი აქცია მიმოიქცევა. საფონდო ბირჟის ყველაზე გავრცელებული მოდელია ანგლო-ამერიკული-კორპორაციული.

საფონდო ბირჟას აქციონერული საზოგადოების იურიდიული სტატუსი აქვს. იგი აერთიანებს თანაბარუფლებიან წევრებს, რომლებსაც ნაყიდი აქვთ „ადგილი" ბირჟაზე ოპერაციების წარმოებისათვის. მაგ., ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ერთი ადგილი 200 ათასი დოლარი ღირს.

საფონდო ბირჟა თვითმმართველობითი ორგანიზაციაა. მისი უმაღლესი ორგანოა საბირჟო საბჭო. საფონდო ბირჟის შემოსავლები იქმნება შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან, ჯარიმებისა და საბირჟო საკომისიოსაგან. ვაჭრობის მონაწილენი არიან ბროკერები, დილერები და შესაბამისი სპეციალისტები. ზოგიერთ ბირჟაზე ვაჭრობაში სხვა შუამავლებიც მონაწილეობენ, მაგ., მაკლერები. როგორც წესი, ფასიანი ქაღალდები იყიდება „მსხვილ ლოტებად". ბროკერი ან საბროკერო ფირმა დავალებას გადასცემს თავის წარმომადგენელს საბირჟო დარბაზში, რომელიც გარიგებას დებს სხვა ბროკერთან. გარიგება რეგისტრირდება ელექტრონული სისტემით. თანხა აისახება საინფორმაციო ტაბლოზე. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხდება დადგენილი დროის მიხედვით (მაგ., აშშ-ში — 5 სამუშაო დღის გან-

მავლობაში). ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ფასი ყალიბდება ორმაგი აუქციონის ან განაცხადების რანჟირების მიხედვით შესასყიდი (ქვედა ზღვარი) და გასაყიდი (ზედა ზღვარი) ფასის ფარგლებში. ყოველი გარიგება ითვალისწინებს ახალ აუქციონს. საბირჟო ფასი დღეში რამდენიმეჯერ ფიქსირდება და ყოველდღიურად ქვეყნდება პრესაში. საფონდო ბირჟების მსოფლიო ფედერაცია და ბირჟების ევროპული თანამშრომლობის ფედერაცია საფონდო ბირჟების შესახებ ცნობების ყოველწლიურ კრებულს უშვებენ.

საფრახტო ბაზარი (freight market) - სატრანსპორტო პროდუქციის მიმოქცევის სფერო. არსებობს **ღია და დახურული საფრახტო ბაზარი.** ღია ბაზარზე საზღვაო გადაზიდვის ფასი მსოფლიო ფასს უთანაბრდება, თავისუფლად წესდება მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობის გავლენით. მის წილად მოდის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის მოცულობის არაუმეტეს 10-15%-ისა. ტვირთის დანარჩენი რაოდენობა გადაიზიდება დახურული საფრახტო ბაზრის მეშვეობით, რომელიც დაცულია ღია ბაზრის ზემოქმედებისაგან სპეციალური სახელმწიფო აქტებით.

საფრახტო განაკვეთი (freight rate) - საზღვაო გადაზიდვის ფასი, რომელიც მოიცავს დანახარჯებსა და საშუალო მოგებას.

საფრონტინგო კომპანია (fronting-company) - დამზღვევი კომპანია, რომელიც სხვა კომპანიის სახელით გასცემს პოლისს იმ პირობით, რომ აღებული პასუხისმგებლობის 100% იქნება გადაზღვეული მეორე კომპანიაში. ამ შემთხვევაში საფრონტინგო კომპანია იტოვებს იურიდიულ პასუხისმგებლობას დამზღვევის წინაშე. საფრონტინგო კომპანიას აქვს უფლება მიიღოს საკომისიო ფრონტინგობისათვის.

საქმიანი აქტიურობის ციკლი (trade cycle) - იხ. ეკონომიკური ციკლი.

საქმიანი თამაში (business game) - სხვადასხვა წარმოებრივ სიტუაციაში რეალური ობიექტის მოდელზე სამმართველო გადაწყვეტილებათა შემუშავების იმიტაციის მეთოდი.

საქონელი (goods) - ყველაფერი, რაც იყიდება ბაზარზე, ე.ი. რაზეც მოთხოვნაა. უფრო ზუსტად, საქონელია შრომის პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას და წარმოებულია გაცვლისათვის, ბაზარზე გასაყიდად. საქონლის სპეციფიკური ფორმაა მომსახურება.

საქონლის ბაზარი (commodity market) - მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. საქონლის ბაზარი მოიცავს წარ-

მოების საშუალებებისა (საწარმოს შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, დანადგარების, ნედლეულის, სათბობისა და ა.შ.) და საბოლოო მოხმარების საგნების (როგორც ყოველდღიური, ისე ხანგრძლივი მოხმარების საგნების) ფართო სპექტრს და, შესაბამისად, იყოფა ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად. საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე მოთხოვნის კონცენტრაციის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე. სამაგიეროდ, პირველი ხასიათდება უფრო მაღალი მოთხოვნის ელასტიკურობით. ამასთან, საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე საქონლის რეალიზაციას ნაკლები შუალედური რგოლი სჭირდება, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე.

საქონლის ბაზრის კონიუნქტურაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ფასების დონე, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, საბანკო პროცენტის დონე, დაკრედიტების რეჟიმი, დაბეგვრის ხასიათი, საინვესტიციო ბაზრის მდგომარეობა და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორს: საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქონლის ბაზრის დეფიციტის დაძლევასა და ინფლაციის დონის დაქვეითებას.

საქონლის ბაზრების გახსნილობა (openness in goods markets) - ფირმებისა და სხვა მომხმარებელთა ალტერნატიული შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი საქონლის შეძენისას.

საქონლის ბირჟა (commodity exchange) [<ლათ. bursa საფულე] - საქონლის ბაზრის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რგოლი, ბაზრის ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა საბითუმო საქონლის ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. საქონლის ბირჟა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. იგი უზრუნველყოფს საბითუმო გარიგებებს და ორგანიზაციას უწევს საბირჟო ვაჭრობას, თვითონ არც ვაჭრობს და არც საშუამავლო საქმიანობას ეწევა. საბირჟო გარიგებები არ შეიძლება დაიდოს ბირჟის სახელით და მის ხარჯზე. ამგვარ გარიგებებს ბირჟის წევრები დებენ. საქონლის ბირჟის მოსამსახურეები არ შეიძლება იყვნენ მისი წევრები, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, ბანკები, სადაზღვევო საინვესტიციო კომპანიები (თუმცა ამ კომპანიებს უფლება აქვთ ითვლებოდნენ საქონლის ბირჟის საფონდო და სავალუტო განყოფილებების წევრებად).

უძრავი ქონება და ინტელექ-

ტუალური საკუთრება არ არის საბირჟო საქონელი. საბირჟო ვაჭრობისას შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გარიგებები: რეალური საქონლის ყიდვა – დაუყოვნებელი მიწოდებით; რეალური საქონლის ყიდვა – განვადებით მიწოდებით, ე.ი. მომავალი საქონლის, მაგ., მომავალი მოსავლის შეძენა; საქონლის მიწოდებაზე სტანდარტული კონტრაქტების, ე.ი. არა საქონლის, არამედ საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვა; მომავალში კონტრაქტის დადების უფლების ყიდვა.

საქონლის ბირჟაზე მყიდველებისა და გამყიდველების სახელითა და დავალებით მოქმედებენ შუამავლები – საბროკერო კანტორები, საბროკერო ფირმები და დამოუკიდებელი ბროკერები, დილერები. საქონლის ბირჟაზე ფასები თავისუფლად ფორმირდება ვაჭრობის პროცესში. ფასების დონის ან მისი საზღვრების დადგენა საბირჟო ვაჭრობაში აკრძალულია. საქონლის ბირჟაზე დამოუკიდებლად განსაზღვრავენ იმ გადასახდელების სიდიდეს, რომლებსაც იღებენ საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთაგან გაწეული მომსახურებისათვის, შუამავლებისაგან საკომისიოს სახით, აგრეთვე ჯარიმას საბირჟო ვაჭრობის წესების დარღვევისათვის და სხვ.

განასხვავებენ სპეციალიზებულ და უნივერსალურ ბირჟებს. სპეციალიზებული ბირჟებია: ფერადი ლითონების ბირჟა, ნავთობის ბირჟა, ბამბის ბირჟა და ა.შ.

საქონლის ბირჟა განსაზღვრავს საბირჟო გარიგებების (ხელშეკრულებების) რეგისტრაციისა და გაფორმების წესებს, აგრეთვე სანქციებს იმ მონაწილეთა მიმართ, რომლებიც ბირჟაზე ახერხებენ გარიგებების დადებას „კულისებში“, ე.ი. ღია ვაჭრობის გვერდის ავლით.

საინფორმაციო სამსახურის სწორი ორგანიზაციის შედეგად ბირჟები მდიდარ ინფორმაციას ფლობენ ფასების დინამიკის, სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბირჟაზე ფასების კოტირებას, რასაც ახდენს სპეციალური კომისია წინა ვაჭრობების შედეგების მიხედვით. კომისია განსაზღვრავს საქონლის ტიპურ, საცნობარო ფასს, რომელიც გამოხატავს ბაზრის კონიუნქტურას ვაჭრობის დღეს. მოცემული საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა სიმრავლის შემთხვევაში ტიპურია დადებულ გარიგებათა საშუალო ფასი. თუ გარიგებათა რიცხვი მცირეა, მაშინ ტიპური ფასი განისაზღვრება სპეციალური მეთოდიკით, რომლის მიზანიც შემთხვევითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვაა. გარდა საინფორმაციო და საანგარიშსწორებო მომსახურებისა, საქონლის ბირჟა ვაჭ-

რობის მონაწილეებს აძლევს გარკვეულ გარანტიებს. საქონლის ბირჟის საქმიანობა, როგორც წესი, რეგულირდება კანონით „საქონლის ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“.

საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები (basis of deliveries) - სპეციალური პირობები საგარეო-სავაჭრო გარიგებებისას, რომელიც განსაზღვრავს და ერთმანეთისაგან გამიჯნავს საქონლის გადაზიდვისას გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებებს, ამასთან, ადგენს მიწოდების ვადებს და საქონლის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გამყიდველისგან მყიდველზე რისკის გადასვლის მომენტს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (1953 და 1980 წწ.) შეიმუშავა და გამოუშვა საქონლის მიწოდების საბაზისო პირობების განმარტებითი კრებული – „ინკოტერმსი“. მასში მოცემულია 14 საბაზისო პირობის განმარტება. აქედან ყველაზე გავრცელებულია: „**სიფ**“-ი, „**კაფ**“-ი, „**ფობ**“-ი, „**ფას**“-ი, „ფრანკო-ქარხანა“, „ფრანკო-ვაგონი“, „მიწოდება საზღვრამდე“, „მიწოდება ბაჟის გადახდით“, „ფრანკო გადამზიდი“ და ა.შ.

საქონლის ხარისხი (quality of products) - პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვისებების ერთობლიობა, რომელიც მისი ვარგისიანობის დონეს განსაზღვრავს.

საქონლის შტრიხული კოდი (bar-code of the goods) – შტრიხული ნიშნის დადება საქონელზე, რომლის მიხედვითაც დგინდება საქონლის სახე, მისი მიკუთვნება გარკვეულ საქონლურ ჯგუფზე, ხარისხობრივი მახასიათებლები და ა.შ.

საქონლისა და მომსახურების ბალანსი (balance of goods and services) - საქონლისა და მომსახურების (ტურიზმის, ტრანსპორტისა და ა.შ.) ექსპორტი, იმპორტი და სალდო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საყოველთაო წონასწორობა (general equilibrium) - სიტუაცია, როდესაც ქვეყანაში არსებული ყველა ბაზარი ერთდროულად იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში, ანუ მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლია, ხოლო ფასები და გამოშვებული საქონლის რაოდენობა – უცვლელი.

ეკონომიკური სისტემების ანალიზისას ტრადიციულად გამოიყენება ორი მიდგომა.

პირველი მიდგომა, რომელიც შედარებით მარტივია, დაკავშირებულია ა. მარშალის სახელთან, ნაწილობრივ წონასწორობის ანალიზთან და გულისხმობს ეკონომიკური სისტემის ელემენტის, მაგ., მარცვლეულის ბაზრის წონასწორობას.

მეორე მიდგომა გაცილებით

რთულია, როგორც კონცეპტუალური, ისე მათემატიკური აპარატის გამოყენების თვალსაზრისით. იგი დაკავშირებულია ლ. ვალრასის სახელთან და გულისხმობს ეკონომიკური სისტემის, როგორც მთლიანის, შიგნით წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების რაოდენობისა და ფასების განსაზღვრას.

საშემოსავლო გადასახადი (income tax) - როგორც წესი, პროგრესიული გადასახადი, რომლითაც იბეგრება დაუბეგრავ მინიმუმს ზევით ფიზიკურ პირთა გასული წლის ერთობლივი შემოსავლები. აიკრიფება ერთჯერადი გადახდის სახით. მისი განაკვეთი წლიური შემოსავლის სიდიდის მატებასთან ერთად იზრდება. საქართველოში 2005 წლის 1 იანვრიდან აღარ არსებობს დაუბეგრავი მინიმუმი, საშემოსავლო გადასახადი აღარ არის პროგრესიული გადასახადი, მისი განაკვეთი იყო ფიქსირებული 12%. 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი გახდა 25%, ხოლო 2009 წლის 1 იანვრიდან – 20%.

საშუალო დანახარჯი (average cost - **AC**) - დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე. გამოითვლება მთლიანი დანახარჯის (**TC**) გაყოფით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე. საშუალო დანახარჯი იყოფა მუდმივ საშუალო (**AFC**) და ცვალებად საშუალო (**AVC**) დანახარჯებად.

მუდმივი საშუალო დანახარჯი გაიანგარიშება მუდმივი დანახარჯის გაყოფით წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაზე. ფორმულით გამოისახება ასე:

$$AFC = \frac{FC}{Q}.$$

ცვალებადი საშუალო დანახარჯი გაიანგარიშება ცვალებადი დანახარჯის გაყოფით წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაზე. ფორმულით გამოისახება ასე:

$$AVC = \frac{VC}{Q}.$$

საშუალოვადიანი ობლიგაცია (medium-term bond) - ობლიგაცია, რომლის დაფარვის ვადა 1-დან 10 წლამდეა.

საცალო ვაჭრობა (retail trade) - საქონლის მცირე რაოდენობით ან ცალობით უშუალოდ მომხმარებელზე მიყიდვა.

საცალო ფასი (retail price) - წესდება მოხმარებისათვის მცირე რაოდენობით გასაყიდ საქონელზე. საცალო ფასებით ვაჭრობენ არა მხოლოდ საცალო ქსელის პუნქტებში, არამედ საამანათო წესით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე. საცალო ფასი აისახება საფირმო პრეისკურანტებში, მასობრივი მყიდველისათვის

გამიზნულ ილუსტრირებულ კატალოგებში. საცალო ფასების მოძრაობა ყოველთვის არ ემთხვევა საბითუმო და საგარეო-სავაჭრო ფასებისას. ზოგჯერ მას შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულება ჰქონდეს.

საცნობარო ფასი (published price) - ფასი, რომელიც ქვეყნდება ცალკეულ პერიოდულ გამოცემებში (საერთო-ეკონომიკურ და დარგობრივ ჟურნალებში, ბიულეტენებში, გაზეთებში), პრეისკურანტებში, გამომცემლობების, სააგენტოების, ასოციაციების, მსხვილი კომპანიების მიერ გამოცემულ კატალოგებში. ჩვეულებრივ გამოითვლება როგორც ფაქტობრივი გარიგებების გასაშუალებული სიდიდე განსაზღვრულ ვადაში საექსპორტო შეფასების გათვალისწინებით. წარმოადგენს ორიენტირს გარიგების დადებისას. ამასთან, საცნობარო ფასი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სახელშეკრულებოსაგან, რასაც განსაზღვრავს მოცემული საქონლის ბაზრის კონკრეტული პირობები.

საწარმო (enterprise) – ზოგადი სახელწოდება ყველა იმ ინსტიტუციური ერთეულისა (კორპორაცია, არაკომერციული ორგანიზაცია, შინამეურნეობა და ა.შ.), რომელიც აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას ანუ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

საწარმოო ძალები (forces of production) – სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების (რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 1. შრომის საგნებად – ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, ძირითადი და დამხმარე მასალები და 2. შრომის საშუალებებად – მანქანა-დანადგარები, ინსტრუმენტები, მოწყობილობები, საწარმოს შენობა-ნაგებობები, და ა.შ.) ერთობლიობა.

საწარმოო ძალები, განვითარების დონით განსხვავებულია ნებისმიერ საზოგადოებაში, ყოველ ეტაპზე განსაზღვრავს ეკონომიკურ ურთიერთობათა ტიპს და წარმოადგენს მოცემული საზოგადოების რეალურ ეკონომიკურ საფუძველს.

საწარმოო ძალები დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად ფორმულირებულია როგორც მარქსისტული კატეგორია, რაც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ შეესაბამება სინამდვილეს და მოითხოვს დაზუსტებას.

საწესდებო კაპიტალი (nominal capital) - ფულადი სახსრები ან ფულადი ფორმით გამოხატული მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, რომლებსაც დამფუძნებლები აბანდებენ საწარმოთა შესაქმნელად. მასში შედის: შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები – პატენტები, ლიცენზიე-

ბი, პროექტები და ა.შ. საწესდებო კაპიტალი ბალანსის პასივში აისახება.

სახაზინო ვალდებულებები (treasury bills – T-bills) – ობლიგაციები გამოშვებიდან ერთ წლამდე დაფარვის ვადით. ეს დისკონტირებული ობლიგაციებია და მათ გადახდის მხოლოდ ერთი ვადა აქვთ.

სახაზინო ობლიგაცია (treasury bond) – ობლიგაცია, გამოშვებიდან 10 წელსა და მეტი დაფარვის ვადით, ხოლო 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით სახაზინო ბილეთი (treasury notes) ეწოდება. სახაზინო ობლიგაცია (ასევე, სახაზინო ბილეთი) კუპონიანი ობლიგაციებია.

სახელმწიფო ბიუჯეტი (state budget) - ფინანსური სისტემის ცენტრალიზებული ფონდი, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეული პერიოდისათვის. მასში ნაჩვენებია სახელმწიფო შემოსავლების წყაროები და სახსრების ხარჯვითი არხები. სახელმწიფო ბიუჯეტს ადგენს მთავრობა, მიიღება და მტკიცდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი იქმნება შემდეგი ძირითადი წყაროების ხარჯზე: პირდაპირი გადასახადი მოგებაზე; შრომის ანაზღაურების სიდიდეზე დამოკიდებულებით ამოღებული გადასახადი (მათ შორის ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი); **ᲓᲦᲒ**-ზე გადასახადი; აქციზი; ლიცენზირებისა და რეგისტრაციის მოსაკრებლები; საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადი; ქონებაზე გადასახადი; ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადასახადი; საგარეო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების გადასახადი (მათ შორის, საბაჟო გადასახადი იმპორტზე); სპეციალური გადასახადი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების სტიმულირებისათვის (მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდებიდან); სხვა გადასახადები და მოსაკრებლები; არასაგადასახადო შემოსავლები (შემოსავლები სახელმწიფო მმართველობის სუბიექტების საქმიანობიდან; სახელმწიფო ქონების, მათ შორის, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი; მიწისა და არამატერიალური რესურსების გაყიდვისგან მიღებული შემოსავალი; კაპიტალური ტრანსფერების შემოსულობანი არასახელმწიფო წყაროებიდან; ადმინისტრაციული გადასახდელები; საჯარიმო სანქციები; სპეციალურ მომსახურებაზე მოსაკრებელი; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული შემოსავლები; საგადასახადო ორგანოების ანგარიშზე შემოსულობანი; სხვა არასაგადასახადო შემოსავლები). აუ-

ნაზღაურებელი გადარიცხვები: არარეზიდენტებიდან, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებიდან, სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის (ხარჯების) ძირითადი არხებია: სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ხარჯები; სასამართლო ხელისუფლების ხარჯები; საერთაშორისო საქმიანობის ხარჯები; ეროვნული თავდაცვის ხარჯები; სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამართალდამცავი ორგანოების ხარჯები; მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობის ხარჯები; მრეწველობის, ენერგეტიკისა და მშენებლობის ხარჯები; სოციალური პროგრამების დაფინანსების ხარჯები; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები; საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები; განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის ხარჯები; სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები; მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდები და ა.შ.

სახელმწიფო დაკვეთა (state order) - ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნაწილი, რომელსაც დირექტიული ხასიათი აქვს. სახელმწიფო ამ გზით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. სახელმწიფო დაკვეთა ეძლევათ არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საკუთრების სხვა ფორმით არსებულ საწარმოებსაც. სახელმწიფო დაკვეთისას გარანტირებულია პროდუქციის რეალიზაცია.

სახელმწიფო ვალი (state debt) - სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი, სავალო ვალდებულებათა ჯამი მათზე საპროცენტო გადასახდელებით, რომლებიც მოცემული მომენტისთვის დაფარული არ არის. არსებობს სახელმწიფო შიდა და საგარეო ვალი.

სახელმწიფო შიდა ვალი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისაგან აღებული ვალია. სახელმწიფო საგარეო ვალი სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ, სხვა ქვეყნებისაგან აღებული ვალია, რომელიც გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის მიმართ.

სახელმწიფო მოხმარება (state consumption, expenditures) - სახელმწიფო სამომხმარებლო ხარჯები. მოიცავს კერძო სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების გარკვეულ ნაწილს, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის, თავდაცვისა და სოციალური დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯებს.

სახელმწიფო ობლიგაცია (government bond) – მთავრობის ან

სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გამოშვებული ობლიგაცია.

სახელმწიფო რეგულირება (state control) - სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე გარკვეული პროცესების შენარჩუნების, ეკონომიკური მოვლენების შეცვლის ან მათი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით. ამისთვის გამოიყენება ღონისძიებათა სისტემა, რომლითაც შეიძლება სამეურნეო სუბიექტების ქცევის პირდაპირი რეგლამენტირება ან ზემოქმედება საზოგადოებრივ წარმოებაზე არაპირდაპირი გზით, ეკონომიკური მეთოდების სისტემის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზემოქმედების ადმინისტრაციულ მეთოდებთან, ხოლო მეორეში – ეკონომიკურ რეგულატორებთან (ფასი, გადასახადები, საბანკო პროცენტი, პრეფერენციები, სანქციები და სხვ).

სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულება (state promissory note) - სახელმწიფოს ვალი მოსახლეობისადმი. მიმოქცევაში გაშვებული სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა. იყოფა საბაზრო და არასაბაზრო კატეგორიებად. საბაზრო კატეგორიას მიეკუთვნება ხაზინის თამასუქი, საშუალოვადიანი ხაზინის თამასუქი და ხაზინის ობლიგაცია. არასაბაზრო საგადასახადო ვალდებულებებიდან (არასაბაზრო ფასიანი ქაღალდები) ყველაზე გავრცელებული ფორმაა შემნახველი ობლიგაცია. ამ ვალდებულებებს მიეკუთვნება აგრეთვე სამთავრობო ანგარიშების სერიები, უცხოური სამთავრობო სერიები, ხელშეკრულების ადგილობრივი ორგანოების სერიები და ა.შ.

სახელმწიფო ფინანსები (public finance) - ტრადიციული სახელწოდება მთავრობის საქმიანობისა ფულადი სახსრების აკრეფასა და ხარჯვასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ ასეთი საქმიანობა მოიცავს სულ ცოტა სამ ფუნქციას: რესურსების ალოკაციას, შემოსავლების განაწილებასა და სტაბილიზაციას. სახელმწიფო ფინანსები დაკავშირებულია სახელმწიფო სექტორის მრავალმხრივ ეკონომიკურ საქმიანობასთან. უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო ხარჯებისა და შედეგების ანალიზმა და გამოსაშვები პროდუქციის ფინანსურმა დაგეგმვამ.

სახელმწიფო შესყიდვა (government purchases) - საქონლისა და მომსახურების შესყიდვა სამთავრობო სექტორის მიერ, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტის გასავლის მუხლებში.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები (state function) – ამერიკელი ეკონომისტის რ. მიუსგრავის მიერ ჩამოყალიბებული

ტიპოლოგიით, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებია: ა). **რეგულირების ფუნქცია.** ეკონომიკური პოლიტიკით სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობას ანუ მისი ფუნქციაა გამოასწოროს მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა, რაც გამოიხატება ეკონომიკური ზრდის დაცემაში, უმუშევრობის, ინფლაციის ზრდაში, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტსა და ა.შ.; ბ). **ალოკაციის ფუნქცია**. გამოიხატება არასასაქონლო დოვლათისა და მომსახურების ანუ საზოგადოებრივი საქონლის წარმოებაში (გზები, საზოგადოებრივი განათება, პოლიცია, თავდაცვა და ა.შ.). მისი ინდივიდუალიზაცია ყიდვით არ შეიძლება და ექვემდებარება კოლექტიურ მოხმარებას. სახელმწიფო თავის თავზე იღებს საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, მისი დაფინანსება კი უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტით ხორციელდება; გ). **გადანაწილების ფუნქცია**. სახელმწიფო საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას ეკონომიკურ აგენტთა მკვეთრი შემოსავლების გადანაწილებით უზრუნველყოფს.

სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები (state liquidity of assets) - მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სტაბილიზაციის ფონდის რეზერვებს, რომლებიც აუცილებელია საზღვარგარეთ დაგეგმილი სასაქონლო და საკრედიტო ოპერაციების მომსახურებისათვის. ოფიციალურ რეზერვებს მიეკუთვნება ოქროს მარაგი და კონვერტირებადი უცხოური ვალუტა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების სარეზერვო პოზიცია (ფონდის კაპიტალში ამ ქვეყნების შესატანი წილი, რომელიც შეიძლება გაასესხონ) და სახელმწიფოთაშორისო მოკლევადიანი კრედიტის სპეციალური სახე.

სახელმწიფოს ფიასკო (government failure) - სიტუაცია, რომლის დროსაც სამთავრობო პოლიტიკა იწვევს რესურსების არაეფექტიან გამოყენებას.

სახელმწიფოს შემოსავალი ფულის ბეჭდვისგან (seigniorage) - წმინდა შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, მიღებული მიმოქცევაში დამატებითი ფულადი სახსრების გამოშვების გზით. ჰიპერინფლაციის პერიოდში, ინტენსიური ფულადი ემისიის შედეგად, აღწევს ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის 12%-ს.

სახელობითი აქცია (registered share, stock) - აქცია, რომლის მფლობელი მითითებულია აქციაზე და მფლობელის სახელით შეტანილია აქციონერული საზოგადოების რეესტრში. მისი მოძრაობა ფიქსირდება აქციონერული საზოგადოების აქციების რეგის-

ტრაციის ბლანკზე. აქციონერული საზოგადოების წესდება შეიძლება მოიცავდეს დამატებით წესებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოების მიერ გამოშვებული სახელობითი აქციების მოძრაობას.

სეკვესტრი (sequester) - 1. სპეციალური საბიუჯეტო მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტის დეფიციტის დონის გადაჭარბების შემთხვევაში და გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების (გარდა დაცვითი მუხლებისა) პროპორციულ შემცირებას მიმდინარე ფინანსური წლის დარჩენილი დროის განმავლობაში; 2. რაიმე ქონებით სარგებლობის ან განკარგვის აკრძალვა, ან კიდევ, შეზღუდვა სახელმწიფო ან სასამართლო ორგანოების მიერ.

სენიორაჟი (seigniorage) [<ფრანგ. seigniorage ბაჟი ფულის ბეჭდვის უფლებისათვის] - მოგება, რომელსაც ხაზინა იღებს ფულის გამოშვების შედეგად. უდრის ფულის ნომინალურ ღირებულებასა და ემისიის ხარჯებს შორის სხვაობას. ფაქტობრივად, მოსახლეობის ხელთ არსებულ ფულზე გადასახადი. ჰიპერინფლაციის პირობებში სახელმწიფოს შემოსავლის მთავარი წყარო.

განვითარებულ ქვეყნებში სენიორაჟი **მშპ**-ის 1-1,5%-ს შეადგენს. ინფლაციურ ეკონომიკებში იგი დიდ საფრთხეს ქმნის, რადგან მაღალი ინფლაცია ნაკლებად მიმზიდველს ხდის ვალუტას და ამცირებს სენიორაჟით მისაღებ მომავალ შემოსავალს.

სერვიტუტი (asement) – კანონით დადგენილი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მიწის ნაკვეთითა და შენობებით სარგებლობის შესახებ იმ პირების მხრივ, რომლებიც მათი მესაკუთრეები არ არიან, მაგრამ იძულებულნი არიან მიმართონ ასსეთ სარგებლობას ობიექტური გარემოებების გამო.

სერტიფიკატი (certificate) [<ლათ. certum-სწორი, უტყუარი, facere-კეთება] - 1. საფინანსო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისი მფლობელი აქციის, ობლიგაციის და სხვა ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეა. სერტიფიკატი ეძლევა მესაკუთრეს ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ, რომლებიც ინახება ან საკრედიტო დაწესებულებაში, ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმში, ან კიდევ, დაცულია ჩანაწერების სახით შესაბამისი დაწესებულებების წიგნებში (არასაბაზრო ფასიანი ქაღალდები); 2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქციონერული საზოგადოების რეგისტრაციას შესაბამის სახელმწიფო საფინანსო ორგანოებში; 3. საკრედიტო დაწესებულებების საანაბრო მოწმობა ამ დაწესებულებაში ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ (დეპოზიტური სერტიფიკატი); გაიცემა მეანაბრის

სახელზე. მასში მითითებულია მეანაბრის უფლება დეპოზიტზე, დეპოზიტის ოდენობა, მისი ვადა და პროცენტის (სარგებლის) სიდიდე; 4. მთავრობის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ობლიგაციური სესხების სახეობა, გამოშვებული მცირე კუპიურებით; შემნახველი სერტიფიკატი, რომელსაც ავრცელებენ შემნახველი დაწესებულებები; 5. სადაზღვევო სერტიფიკატი — დოკუმენტი, რომელსაც გასცემს მზღვეველი დამზღვევის სახელზე სადაზღვევო პოლისის ნაცვლად; 6. სინჯის სერტიფიკატი — ძვირფასი ლითონის სინჯის დამადასტურებელი მოწმობა; 7. საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში — დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქცეპტის ან სასაქონლო დოკუმენტების გადახდისათვის აუცილებელი საქონლის ამა თუ იმ პარამეტრებს: ხარისხის სერტიფიკატი, საქონლის წარმოების სერტიფიკატი, წონის სერტიფიკატი და ა.შ. ბოლო ხანს ძალზე გაიზარდა საქონლის ხარისხის სერტიფიკატის მნიშვნელობა ნაწარმის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. სერტიფიკაციის საერთაშორისო და ევროპულ ცენტრებში ხარისხის სერტიფიკატის მიღება მნიშვნელოვანი რეკლამაა და ხელს უწყობს ექსპორტის გაფართოებას; 8. საინვესტიციო სერტიფიკატი — ფასიანი ქაღალდი „კაპიტალური“ ფასიანი ქაღალდების ჯგუფიდან, რომელიც წარმოადგენს წილს საინვესტიციო ფონდში ანუ ფასიანი ქაღალდების პორტფელში. საინვესტიციო სერტიფიკატის მფლობელი იღებს გასაშუალებულ შემოსავალს საინვესტიციო ფონდში თავისი წილიდან, ამასთან, იგი დაცულია პროცენტთან, დივიდენდთან და ვალუტის კურსთან დაკავშირებული რისკისგან, რომელიც განსაკუთრებით დიდია ფასიან ქაღალდებში სახსრების არაპროფესიული დაბანდებისას, აგრეთვე სახსრების ინვესტირებისას ფასიანი ქაღალდების ერთ რომელიმე სახეობაში.

სერტიფიკაცია (certification) [<ლათ. certum-სწორი, უტყუარი, facere-კეთება] - რწმუნებული ორგანოების მიერ სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დოკუმენტური დადასტურება.

სესხი (borrowing) - ფულადი სახსრების მიღება ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ვადით და უკან დაბრუნების პირობით. განასხვავებენ **უპროცენტო, შელავათიან და კომერციული პირობით გაცემულ,** აგრეთვე **შიდა და საგარეო სესხებს.** სესხი ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგ., უცხოეთის ქვეყნებისაგან აღებული კრედიტებით იქმ-

ნება სახელმწიფოს საგარეო ვალი.

სესხების რეპატრიაცია (repatriation of loans) - ქვეყანაში ემიტირებული იმ ობლიგაციების დაბრუნება, რომლებიც გავრცელებული იყო უცხოელ მსესხებლებს შორის, ამ ობლიგაციების სახელმწიფოს ან მისი მოქალაქეების მიერ გამოსყიდვის გზით.

სექტორული ეკონომიკა (sectoral economy) - განსაზღვრული ეკონომიკური ნიშნებით ცალკეულ სექტორებად დაყოფილი ეკონომიკა. მაგ., დარგობრივ ჭრილში — აგრარული სექტორი, ინდუსტრიული სექტორი, მომსახურების სექტორი; საკუთრების ფორმების მიხედვით — სახელმწიფო სექტორი, კერძო სექტორი, შერეული სექტორი; როგორც სამეურნეო საქმიანობის, ისე თეორიული თვალსაზრისით — მიკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა.

სვიფტი (swift) – საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორებისა და გადასახდელების განხორციელების ავტომატური სისტემა კომპიუტერებისა და ბანკთაშორისი ტელეკომუნიკაციის გამოყენებით.

სვოპი (swap) [<ინგ. swap გაცვლა] - 1. ეროვნული ვალუტის უცხოურზე გაცვლის ოპერაცია განსაზღვრულ ვადაში უკუგაცვლის ვალდებულებით. ახორციელებენ ცენტრალური ბანკები; 2. ფასიანი ქაღალდების ერთდროული გაცვლითი ოპერაცია.

სვოპინგი (swapping) – ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და თითქმის იმავდროული ყიდვა, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ თავი აარიდონ ფასიანი ქაღალდების ხანგრძლივი ვადით ფლობისათვის დაწესებულ გადასახადებს.

სივრცობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტი (concentration coefficient of space) - ეკონომიკური აქტიურობის გეოგრაფიული კონცენტრაციის სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც მოქცეულია რაღაც ჩარჩოში, მაგ., ქვეყნის მასშტაბით. დარგის კონცენტრაციის კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს როგორც დამოკიდებულება ქვეყნის რეგიონებში ამ დარგის განაწილებასა და რაიმე სხვა მახასიათებლის (მაგ., მოსახლეობის სიმჭიდროვე) განაწილებას შორის. თუ მრეწველობის განლაგების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელზე, მაშინ ამბობენ, რომ მრეწველობას აქვს სივრცობრივი კონცენტრაცია. სივრცობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტი გამოისახება ასე:

$$\sum j \cdot \left| Paj - Pij \right| ,$$

სადაც **Paj - a** დარგის პროცენტული წილია **j** რეგიონში, ხოლო

Pij - i მახასიათებლის (მაგ., მომსახურების) პროცენტული წილი **j** რეგიონში. როდესაც კოეფიციენტი ნულის ტოლია, დარგის განაწილება მთლიანად შეესაბამება მოსახლეობის განაწილებას. რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია დარგის გეოგრაფიული კონცენტრაციის დონე.

სილაგაძე ავთანდილი (დაბ. 1954) (Silagadze Avtandil) - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001), ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1990), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1977), ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი (1988). იყო თსუ სახალხო მეურნეობისა (შემდგომში საერთაშორისო ეკონომიკის) და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის მასწავლებელი (1980-1981), დოცენტი (1981-1990), პროფესორი (1990-1994, 1998-2006), გამგე (2004-2006), თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1986-1992), პრორექტორი (1998-2006), საქართველოს კონტროლის პალატის პირველი თავმჯდომარე (1992), საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი (1992-1998), საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1992-1994), საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი (1993-1998), საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008).

ა. სილაგაძე არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის გამოქვეყნებული აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში...) ავტორი და თანაავტორი, რომელთა უმეტესი ნაწილი ეძღვნება ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, საერთაშორისო ეკონომიკის, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის, თანამედროვე ფინანსურ-საკრედიტო სექტორის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს. მათ შორის აღსანიშნავია: „ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. თბ., 1996; „ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები“. თბ., 2001; „ეკონომიკური ლექსიკონი“. თბ., 2001 (თანაავტორი, რედაქტორი); „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“. თბ., 2001 (თანაავტორი); „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. თბ., 2003 (თანაავტორი); „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. თბ., 2005 (თანაავტორი, რედაქტორი); „ბუღალტრული აღრიცხვის გან-

მარტებითი ლექსიკონი“. თბ., 2005 (თანაავტორი, რედაქტორი); „მეცნიერების პერპენტუუმ მობილე“. თბ., 2005 (თანაავტორი); „ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან“. თბ., 2006 (თანაავტორი); „მიკროეკონომიკსი“. სახელმძღვანელო. თბ., 2006 (თანაავტორი); „მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინა“. თბ., 2007; „ეკონომიკური დოქტრინები შუა საუკუნეებში“. თბ., 2007; „ფინანსური პოლიტიკის განვითარება საქართველოში“. პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია, 2007 (თანაავტორი); „ადამ სმითის ეკონომიკური დოქტრინა“. თბ., 2008; „პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა“. თბ., 2008 (თანაავტორი); „თანამედროვე ფინანსურ-მონეტარული ასპექტები საქართველოში“. პოტსდამი, 2008 (თანაავტორი); „ლიბერალიზმის ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა“. თბ., 2008; „პოსტკომუნისტური ფინანსურ-სავალუტო პოლიტიკის წინააღმდეგობები“. ნიუ-იორკი, 2009 (თანაავტორი); „ფიზიოკრატული ეკონომიკური დოქტრინები“. თბ., 2009; „საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო ფინანსები“. კალიფორნია, 2010; „ეკონომიკური დოქტრინები”. თბ., 2010; „ეკონომიკური დოქტრინების ასპექტები საქართველოში”. კალიფორნია, 2010; „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა”. თბ., 2011 – იგივე ინგლისურ ენაზე: http://ifsdeurope.com (თანაავტორი). მისი თანაავტორობითა და რედაქტორობით მომზადდა: „ეკონომიკა“. სახელმძღვანელო X კლასისათვის, 2001-2005; „ეკონომიკა“. სახელმძღვანელო XI კლასისათვის, 2001-2005;

ა. სილაგაძე არის კალიფორნიის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის, განათლებისა და ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1996), რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ მეცნიერებათა და სამეწარმეო საქმიანობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1997).

სხვა საქმიანობა: ჟურნალ „ეკონომიკის“ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე (2003-2006), თსუ ეკონომიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2000-2006), ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1998-2006), ჟურნალების – „ეკონომიკა“, „სოციალური ეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „გადასახადები“, „ეკონომიკა და ბიზნესი“ – სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001), ადამ სმითის მედლით (ა. სმითის ინსტიტუტი, ლონ-

დონი, 1996).

სიმდიდრე (wealth) - ყველაფერი, რასაც აქვს საბაზრო ფასი და შეიძლება მისი გაცვლა ფულზე ან დოვლათზე, შეიძლება განვიხილოთ როგორც სიმდიდრე. იგი მოიცავს ფიზიკურ დოვლათსა და აქტივებს, უნარ-ჩვევებსა და ა.შ., ანუ ყველაფერს, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა. ყველა ეს ელემენტი ითვლება სიმდიდრედ მაშინ, როცა ხორციელდება მათი ყიდვა-გაყიდვა საქონლის ან ფულის ბაზარზე. სიმდიდრე შეიძლება დაიყოს ორ სახედ — ნივთობრივ სიმდიდრედ, რომელსაც კაპიტალი ეწოდება და არანივთობრივ სიმდიდრედ, რომელსაც ადამიანისეული კაპიტალი ეწოდება.

სიმწიფის ეტაპი (maturity) - პერიოდი, რომელიც იწყება საქონლისა და მომსახურების გასაღების ზრდის ტემპების შენელებით.

სინდიკატი (syndicate) [<ბერძნ. syndikos ერთობლივად მოქმედი] - მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ახორციელებს მთელ კომერციულ საქმიანობას, თუმცა, მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ წარმოებრივ და იურიდიულ დამოუკიდებლობას.

სინქრომარკეტინგი (synchromarketing) - მარკეტინგის სახეობა; გამოიყენება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მერყეობის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის სტრუქტურა ხასიათდება სეზონური ან სხვა ცვლილებებით და დროში არ ემთხვევა საქონლისა და მომსახურების მიწოდების სტრუქტურას. სინქრომარკეტინგის ამოცანაა შეისწავლოს და გამორიცხოს მოთხოვნის მერყეობის მიზეზები.

სიურვეიერი (surveyer) – ექსპერტი, რომელიც დაზღვეული ან დასაზღვევი გემებისა და ტვირთის დათვალიერებას ახორციელებს.

სიფ-ი (cost, insurance, freight - **CIF**-ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი) — საქონლის გაყიდვის საბაზისო პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას, რომლის თანახმადაც გამყიდველი ვალდებულია დაფრახტოს გემი, საქონელი გადაზიდოს პორტში, დააზღვიოს და გადაიტანოს გემზე დადგენილ ვადაში; კონტრაქტში **სიფ**-ის შემდეგ ჩვეულებრივ აღნიშნავენ კონკრეტული დანიშნულების პორტს.

სიღარიბე (poverty) - ადამიანის, ოჯახის, ქვეყნის ხელთ არსებული ქონებრივი ფასეულობების, ფულადი სახსრების უკმარისობა ნორმალური ცხოვრებისათვის. სიღარიბის ზღვარს უწოდებენ განსაზღვრული პერიოდისათვის ადამიანის, ოჯახის ფულადი შემოსავლების ნორმატიულად დაწესებულ დონეს, რომელიც მხოლოდ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს.

შეიძლება განხილულ იქნეს

როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიღარიბე. **აბსოლუტური სიღარიბის** განსაზღვრისათვის საჭიროა არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლის მინიმალური დონის განსაზღვრა, მაგ., შეფასებული უნდა იქნეს საკვებზე და აუცილებელი მოთხოვნილების საქონელზე მინიმალური მოთხოვნილება და მისი შეძენის შესაძლებლობები ყველაზე დაბალი ფასით.

შეფარდებითი სიღარიბე განისაზღვრება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შედარებით. მაგ., თუ ინდივიდს აქვს შემოსავალი, რომელიც აღემატება საარსებო მინიმუმს, მაგრამ იგი გაცილებით დაბალია, ვიდრე საზოგადოების სხვა ჯგუფების შემოსავალი, მაშინ ეს ინდივიდი შედარებით სიღარიბეში იმყოფება. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება სიღარიბის ზღვრის განმსაზღვრელი შემოსავლების დონეც.

აბსოლუტური სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია. შეფარდებითი სიღარიბე ყველგან არის, თუმცა, მისი გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია. მთავარია სიღარიბე სოციალურად ასატანი იყოს.

სიღარიბის სამი მაჩვენებელი არსებობს: **სიღარიბის დონე**, რომელიც გამოხატავს ღარიბთა წილს მთელ მოსახლეობაში; **სიღარიბის სიღრმე**, რომელიც გამოხატავს სიღარიბის ზღვრამდე ღარიბთა დაშორების წილს, ე.ი. რამდენად არის ღარიბთა შემოსავალი დაშორებული საარსებო მინიმუმს; **სიღარიბის სიმწვავე**, რომელიც გამოხატავს ღარიბთა შორის სიღარიბის უთანაბრობას.

სიღარიბის ზღვარი (poverty level)- განსაზღვრული პერიოდისათვის ცალკეული პირის, ოჯახის ფულადი შემოსავლების ნორმატიულად დაწესებული დონე, რომელიც საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს.

სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა (culture of poverty hypothesis) – ჰიპოთეზა, რომელიც გამოხატავს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას სიღარიბესა და მის განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა პიროვნების შეზღუდული, სუსტი ინდივიდუალური შესაძლებლობები, განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მუშაკთა ცუდი შრომითი ჩვევები, უნარები და ა.შ. შრომითი უნარების ხარისხს სპეციალისტები უკავშირებენ მეორეული შრომის ბაზრის პირობებს, სადაც, პირველადი შრომის ბაზრისაგან განსხვავებით, არსებული ცუდი პირობები უარყოფითად აისახება მუშაკთა კვალიფიკაციაზე და მათში ცუდ შრომით უნარებს აყალიბებს (იხ. „ხაფანგის“ ეფექტი).

სმითი ადამ (1723-1790) (Smith

Adam) - მრავალმხრივ განსწავლული შოტლანდიელი მეცნიერი, კლასიკური ეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი. განათლება მიიღო გლაზგოსა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. ფუნდამენტურად ფლობდა ფილოსოფიას, ეკონომიკას, პოლიტიკურ მეცნიერებებს, მათემატიკას, ასტროლოგიას, იურისპრუდენციას, სოციოლოგიას, შემდგომ კი გახდა გლაზგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. მისი გამოკვლევები მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, რომელთა ნაწილი ეხება ეკონომიკას. სწორედ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილით დაიმკვიდრა ადამ სმითმა მაღალი რანგის მეცნიერის სახელი. სმითის ცნობილი ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776) პირველი სრულმასშტაბიანი ტრაქტატია ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს წარმოებისა და განაწილების თეორიებს. ეს ნაშრომი კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად არის მიჩნეული, რომელმაც მის ავტორს „ეკონომიკის მამამთავრის“ სახელი მოუტანა. „ხალხთა სიმდიდრის“ მთავარი კრედოა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის, მოთხოვნა-მიწოდების კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების იდეა. ასეთ რეგულირებას ა. სმითმა „უხილავი ხელი“ უწოდა.

ა. სმითმა საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას, გამოიკვლია შრომის მწარმოებლურობის არსი და მისი როლი ღირებულების შექმნაში, ჩამოაყალიბა მოძღვრება შემოსავლების შესახებ, შექმნა დაბეგვრის თეორია და ა.შ. იგი უმთავრესად დაინტერესებული იყო ეკონომიკური ზრდის პრობლემებით, რის მამოძრავებელ ძალადაც შრომის დანაწილებას მიიჩნევდა. სმითმა დაასაბუთა შრომის როლი წარმოების ზრდაში, ტექნიკურ პროგრესსა და კაპიტალის დაგროვებაშიც კი. ეკონომიკური ზრდის მეორე ფაქტორად სმითი თვლიდა კაპიტალის დაგროვებას, რომლის საფუძვლად იგი მომჭირნეობას მიიჩნევდა. ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი სოციალური, ინსტიტუციური და იურიდიული სტრუქტურები და, როგორც სმითი ამტკიცებდა, „ბუნებრივი თავისუფლების ნათელი და მარტივი სისტემა.“ ასეთ სიტუაციაში თითოეული ადამიანის მისწრაფება თავისი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ განაპირობებს საზოგადოების პროგრესს მაშინაც კი, როდესაც ადამიანი არ ისახავს ასეთ ამოცანას. სმითი ეყ-

რდნობოდა თავისუფალი კონკურენციის სისტემას, რომელიც მოიცავს რეგულირების საკუთარ საშუალებებს და, როგორც შემდგომში დაადგინეს ეკონომისტებმა, შეიძლება უზრუნველყოს რესურსების ოპტიმალური ალოკაცია. მართალია, სმითი იყო Laissez-faire-ის (დაე, წავიდეს თავისი გზით) მომხრე, მაგრამ იგი ანარქიის სასტიკი წინააღმდეგი იყო და გარკვეულ შემთხვევებში აღიარებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას, მაგალითად, ტარიფების შემოღების გზით მრეწველობის ახალი დარგების დაცვას, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სამი ფუნქციის (უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამართლიანობის დაცვა და საზოგადოებრივი საქონლის წარმოება) განხორციელებას. სმითი ეჭვის თვალით უყურებდა კერძო კაპიტალით მონოპოლიების შექმნას, რადგან მათი მეშვეობით თამაშიდან გამოდის კონკურენცია, ამიტომ, მისი აზრით, სახელმწიფოს ამოცანაა კონკურენცია დაიცვას კაპიტალისტებისაგან.

ა. სმითმა მაკროეკონომიკის საკითხების გარდა დაამუშავა მიკროეკონომიკური პრობლემებიც. ის ასაბუთებდა, რომ ფასები განისაზღვრება წარმოების დანახარჯებით. რენტა უფრო განისაზღვრება ფასით, ვიდრე იგი განსაზღვრავს მას. სმითმა შექმნა ხელფასის რამდენიმე თეორია, მათ შორის, მოხმარების ფიზიკური მინიმუმის თეორია (საარსებო მინიმუმი).

ა. სმითმა გამოიკვლია ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიმართულება, აკრიტიკებდა მერკანტილისტებსა და ფიზიოკრატებს და დაასაბუთა საერთაშორისო ვაჭრობის აუცილებლობა. მან შექმნა აბსოლუტური უპირატესობის თეორია.

ა. სმითმა თავისი ცნობილი ნაშრომის 1/4 მიუძღვნა სახელმწიფო ფინანსების თეორიას, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაბეგვრის პრინციპებს მიანიჭა. მან გადადგა პირველი ნაბიჯი თავისუფალი კონკურენციის პირობებში რესურსების ოპტიმალური ალოკაციის თეორიის შექმნის გზაზე.

ა. სმითის მთავარი დამსახურებაა ის, რომ იგი ეკონომიკაში ლიბერალური იდეოლოგიის ბურჯი და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის ფუძემდებელია.

სკონტო (sconto) – საქონლის ფასჩამოკლება მისი გადახდის ვადის დადგომამდე განაღდების დროს.

სმითის თეორემა (Smith theorem) - ნებაყოფლობითი გაცვლა, რომელიც ხელსაყრელია მისი მონაწილეებისთვის.

სოლოუ რობერტ (დაბ. 1924) (Solow Robert) - ამერიკელი ეკონომისტი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1987) ეკონომიკური ზრდის გაზომვის

მეთოდებისა და თეორიის შემუშავებისათვის.

რ. სოლოუს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი განსხვავდება ჰაროდ-დომარის მოდელისაგან იმით, რომ უშვებს შრომის ჩანაცვლებას კაპიტალით, რაც საშუალებას აძლევს აიცილოს „დანის პირზე ბალანსირების“ პრობლემები და განახორციელოს მყარი ეკონომიკური ზრდის სისტემატური ანალიზი. სოლოუს მოდელიდან გამომდინარე, დანაზოგი და ინვესტიციები არ წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ურთიერთდამოკიდებულებას კაპიტალ-სამუშაო ძალასა და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობას შორის, მაგრამ არა წარმოების ზრდის ტემპს. სოლოუმ შემდგომ ნაშრომებში დაასაბუთა, რომ კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბიუჯეტო პოლიტიკის თეორიაში, ქალაქების ეკონომიკის კვლევაში, ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემების შესწავლაში, უმუშევრობისა და სტაბილიზაციის პოლიტიკის თეორიაში.

რ. სოლოუს ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ეკონომიკური ზრდის თეორიის საკითხისადმი“ (1956), „ტექნიკური პროგრესი და წარმოებრივი ფუნქცია“ (1957), „ეკონომიკური ორგანიზაციები და სოციალური სისტემები“ (1967) და სხვ.

სოფლის მეურნეობა (agriculture) - მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების მნიშვნელოვანი დარგი; გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით აგრარული სექტორის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, კვების პროდუქტებს საბოლოო მოხმარებისათვის და ნედლეულს — მრეწველობისათვის. მოიცავს მემცენარეობასა და მეცხოველეობას, რომლებიც დიფერენცირებულია ცალკეულ ჯგუფებად და სახეებად.

სოფტიზაცია (soft) [<ინგ. soft - რბილი] - არამატერიალური რესურსების (მომსახურების, საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, მუშაკთა მომზადების დონის, სამმართველო გამოცდილების და ა.შ.) როლის ზრდის საერთო პროცესი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მათი გადაქცევა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად.

სოციალური დაზღვევა (social insurance) - სოციალურად დაუცველი ფენების (დროებით შრომისუუნაროების, მოხუცებულების, ინვალიდებისა და ა.შ.) ფულადი და მატერიალური უზრუნველყოფის სისტემა.

სოციალური დიფერენციაციის მოდელები (social differ-

entiation models) - არსებობს შემოსავლების დიფერენციაციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ოთხ მოდელს: **ზეპოლარულს, ზომიერად პოლარულს, პოლარულსა და ეგალიტარულს (არასაბაზროს).**

ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება, მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე, ქონებრივი დიფერენციაციის მაღალი დონე. ასეთი საზოგადოებისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30 : 1-თან. ამჟამად ეს მოდელი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ზომიერად პოლარული მოდელი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. მისი მიზანია შემოსავლების გადანაწილებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი მოდელისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი არის 10-15 : 1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი ამჟამად დამახასიათებელია ახალინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

ზომიერი მოდელისათვის ნიშანდობლივია საერთო კეთილდღეობის ზრდა და კონსოლიდირებული სოციალური დიფერენციაცია. ეს მოდელი ამჟამად არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით განსხვავდება საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველია ლიბერალური საზოგადოებები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ (აგრეთვე კანადა). ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია სოციალური თანხმო-

ბის მიღწევისა და მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

სოციალური დიფერენციაციის მეოთხე მოდელი — **არასაბაზრო, ეგალიტარული მოდელი** არსებობდა ექსკომუნისტურ ქვეყნებში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, მისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე — 4 : 1-თან.

საქართველოსთვის დღეს დამახასიათებელია ზეპოლარული მოდელი. ძალზე მაღალია შემოსავლების უთანაბრობის, სოციალური დიფერენციაციის ხარისხი. შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი საქართველოში შეადგენს 16 : 1-თან, მაშინ როდესაც უკრაინაში იგი არის 6 : 1-თან, ესტონეთში — 10 : 1-თან, ხოლო რუსეთში — 11 : 1-თან.

სოციალური ინდიკატორები (social indicators) - თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურების — ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლის კრებსითი ინდექსი. სოციალური ინდიკატორები ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას (შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლით ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ.).

სოციალური მომსახურება (social services) - გულისხმობს საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმის, მომსახურებას. პირად მომსახურებასთან ერთად ქმნის არამატერიალური მომსახურების ჯგუფს. ბავშვებისა და მოხუცებულების მომსახურება საცხოვრებლის უზრუნველყოფით (უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, გამოსასწორებელი სახლები, სახლები არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის, მოხუცებულებისთვის, გონებრივი ან ფიზიკური ნაკლის მქონეთათვის, მარტოხელა დედებისა და მათი შვილებისათვის), სოციალური მომსახურება საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე (საქველმოქმე-

დო და აღმზრდელობითი საქმიანობა, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა, დევნილთა, იმიგრანტთა დახმარება და სხვ.).

სოციალური მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ცალკე განყოფილებად შედის გაეროს **სსდკ**-ში.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორია (theory of social stratification) - ამ თეორიის ფუძემდებელია ავსტრიელი ეკონომისტი და სოციოლოგი მაქს ვებერი (1864-1920). მის განვითარებაში წვლილი შეიტანეს ვ. პარეტომ, ჯ. სტიგლიცმა და სხვებმა.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორია იკვლევს სოციალური დიფერენციაციის პრობლემებს. როგორც ცნობილია, საზოგადოება შედგება მრავალი ფენისაგან (სტრატა), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ საკუთრების მიხედვით, არამედ სოციალური სტატუსით, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებითა და ა.შ. აღნიშნული თეორია სოციალურ უთანაბრობას განიხილავს როგორც საზოგადოებისათვის შინაგან დამახასიათებელს, რომლის კვლავწარმოებას ახდენს ყოველი ახალი თაობა. სოციალური სტრატიფიკაციის გასაღებად ფსიქოლოგიურ საწყისს თვლიან (პარეტო). ამიტომაცაა, რომ სიღარიბის მთლიანად დაძლევა შეუძლებელია. იგი ყველგან არის, თუმცა, მისი გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია. მთავარია იგი სოციალურად ასატანი იყოს. სიტყვა „სოციალურობა“ მშვიდობას ნიშნავს. ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია.

სპეკულაცია (speculation) - ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკა მოგების მიღების მიზნით, ფასების ან ვალუტის კურსის ცვლილების საფუძველზე. სპეკულაციას ახორციელებენ სპეკულანტები და ჰეჯერები. სპეკულანტი, ჰეჯერისაგან განსხვავებით, ამჯობინებს რისკს და მხარს უჭერს ღია პოზიციას. ჰეჯერს ხელთ აქვს მომავალი აქტივები და ვალდებულებები, ხოლო სპეკულანტს — მხოლოდ აქტივები, ან მხოლოდ ვალდებულებები, იმის მიხედვით, რომ კონტრაქტის დასრულებისას რა სიტუაცია ჩამოყალიბდება მის სასარგებლოდ.

არსებობს სპეკულაციის ორი ძირითადი სახე — „შორტ-გაყიდვა“ და „შორტ-ყიდვა“, აგრეთვე მოგების მიღების მრავალი ხერხი, რომლებიც უკავშირდება როგორც ფასების ცვალებადობას, ისე რისკის დაზღვევას (ჰეჯირება). სპეკულაცია ხელს უწყობს ფასების გათანაბრებასა და სტაბილიზაციას, უზრუნველყოფს ლიკვიდურობას.

სპეკულაციური უმუშევ-

რობა (speculative unemployment) - ფრიქციული უმუშევრობის ერთ-ერთი ელემენტი. უფრო სწორად მას შეიძლება ვუწოდოთ სპეკულაციური არასრული დასაქმება. ეს მოვლენა წარმოიქმნება ხელფასის დაცემის შედეგად. ასეთ სიტუაციაში ზოგიერთი მუშა დროებით ამცირებს თავის სამუშაო დროის მიწოდებას, მომავალში შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი განაკვეთის მოლოდინის გამო. ეს მოვლენა შეიძლება შეფასდეს როგორც სამუშაო დროის დროებითი გადანაწილება ხელფასის დროებითი შემცირების საპასუხოდ.

სპენსი მაიკლ (დაიბ. 1943) (Spence Michael) - ამერიკელი ეკონომისტი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი (2001) ჯ. აკერლოფთან და ჯ. სტიგლიცთან ერთად. ნობელის პრემია მიენიჭა „ასიმეტრიული ინფორმაციის მქონე ბაზრების ანალიზისათვის".

სპეციალიზაცია (specialization) - შრომის დანაწილება მისი ცალკეული სახეობების მიხედვით; საქმიანობის თავმოყრა შედარებით ვიწრო მიმართულებებზე, ცალკეულ ტექნიკურ ოპერაციებზე; საქმიანობის კონცენტრაცია წარმოების იმ დარგებში, რომლებშიც ფირმას ან ინდივიდს აქვს ბუნებრივი თუ შეძენილი უპირატესობები. სპეციალიზაცია ვაჭრობასთან შეხამებით განაპირობებს გაცილებით მაღალ ცხოვრების დონეს იმ დონესთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ქვეყნის თვითუზრუნველყოფისაკენ სწრაფვის პირობებში. სპეციალიზაციისაგან მიღებული სარგებლობა ილუსტრირებულია აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების თეორიებში, თუმცა, ისინი შეიცავენ დინამიკური მდგომარეობის ელემენტებსაც, რაც გამომდინარეობს მწარმოებლურობის ზრდის თეორიიდან (იხ. შრომის დანაწილება).

სპეციალიზაციის კოეფიციენტი (specialization coeficient of) - სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს რამდენად სპეციალიზებულია ეკონომიკური რეგიონი ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში. სპეციალიზაციის კოეფიციენტი გამოხატავს სხვაობას განსახილველი რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურასა და მთელი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურას შორის, რომლის შემადგენელი ნაწილიც ეს რეგიონია. სპეციალიზაციის კოეფიციენტი გამოისახება ფორმულით:

$$\sum \left| Saj - San \right|,$$

სადაც **Saj - a** დარგის წილია **j** რეგიონის ეკონომიკაში, ხოლო **San - a** დარგის წილი — ქვეყნის მთელ ეკონომიკაში (ორი ვერტიკალური ხაზი გამოხატავს აბსოლუტურ სიდიდეს, ე.ი. იგნორი-

რებულია სხვაობის ნიშანი). კოეფიციენტის ნულთან ტოლობა ნიშნავს, რომ რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა მთლიანად ემთხვევა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას. რაც უფრო მეტია კოეფიციენტის სიდიდე, მით უფრო განსხვავდება რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა ქვეყნის საშუალო ეკონომიკური სტრუქტურისაგან და მით უფრო მაღალია მისი სპეციალიზაცია.

სპოტი (spot) - სავალუტო ან სხვა სახის გარიგებისას ნაღდი, დაუყოვნებელი (ხელშეკრულების დადებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში) ანგარიშსწორება.

სპლიტი (split) – აქციონერული საზოგადოების არარეალიზებული აქციების დაყოფა, დანაწილება ნაკლებად მსხვილი აქციების დიდ რაოდენობად მათი გავრცელების გაადვილების მიზნით.

სპრედი (spread) – 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმავდროული ყიდვა და გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე მიწოდების სხვადასხვა ვადით; 2. ერთი ტიპის ოფციონების იმავდროული ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლის სხვადასხვა პერიოდში.

სრაფა პიერო (1898–1983) (Sraffa Piero) – იტალიური წარმოშობის ბრიტანელი ეკონომისტი. თავისი შემოქმედებით უფრო იხრებოდა კლასიკური მიმდინარეობისაკენ, ვიდრე ნეოკლასიკურისკენ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მას ნეორიკარდოელს უწოდებდნენ. ასეთ შეფასებას კიდევ უფრო ასაბუთებდა სრაფას მიერ რიკარდოს თხზულებათა სრული კრებულის (The Works and Correspondence of David Rikardo(1951-1955) რედაქტირება (1960).

სრაფა იკვლევდა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა კონკურენცია, კაპიტალი და ეკონომიკური ზრდის თეორია, ვიქსელის კრიტერიუმის გავლენა კაპიტალზე, აკრიტიკებდა ფასეულობის ნეოკლასიკურ თეორიასა და ა.შ. მისი ძირითადი ნაშრომებია: „უკუგების კანონი კონკურენტულ პირობებში“ (1926), „საქონლის წარმოება საქონლით“ და სხვ.

სრული დასაქმება (full employment) - არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. ამ დროს დასაქმება სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებს მოიცავს. სრულ დასაქმებას მაშინ აქვს ადგილი თუ იგი უმუშევრობის ბუნებრივი დონის ტოლია.

სრულყოფილი კონკურენცია (perfect competition) - იდეალური საბაზრო სიტუაცია, როდესაც არც ერთი ფირმა ან მომხმარებელი ზემოქმედებას ვერ ახდენს საბაზრო ფასზე. ბაზრის ფუნქციონირების ეს ფორმა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთლი-

ანად გამორიცხულია საბაზრო ძალა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფასების ჩამოყალიბებაზე. სრულყოფილი კონკურენციის ძირითადი მახასიათებლებია: გამყიდველებისა და მყიდველების მრავალრიცხოვანი რაოდენობა, რომელთაგანაც ვერც ერთი ვერ ფლობს სხვაზე მეტ ინფორმაციას, ყველას თანაბრად მიუწვდება მასზე ხელი, ამიტომ ეგუებიან ბაზრის მიერ ნაკარნახებ ნორმებს. თითოეული მეწარმე თანაბარ პირობებში აწარმოებს სტანდარტულ, ერთსახოვან, ურთიერთშემცვლელ პროდუქციას მცირე პარტიობით, რომლის წილი ანალოგიური პროდუქციის წარმოების მთლიან მოცულობაში უმნიშვნელოა და ამიტომ არსებით გავლენას ვერ ახდენს ბაზრის კონიუნქტურაზე. ეკონომიკას სახელმწიფო არ არეგულირებს. პარტნიორთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა ხორციელდება ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე, არსებითად გამორიცხულია ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება ფასწარმოქმნასა და, საერთოდ, საბაზრო მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. საბაზრო ფასები ყალიბდება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური თანაფარდობის შესაბამისად. სრულყოფილი კონკურენციისათვის აუცილებელია აგრეთვე არჩევანის თავისუფლება.

სრულყოფილი კონკურენცია წმინდა სახით მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და არც არსებულა. იგი აბსტრაქციაა და შეიძლება მხოლოდ მისი იდეალურად წარმოდგენა. სინამდვილეში საქმე გვაქვს არასრულყოფილ კონკურენციასთან.

სტაბილიზაციის პროგრამა (stabilization program) – პროგრამა, რომელიც ხელფასებისა და ფასების კონტროლთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს ცვლილებებს როგორც ფისკალურ, ისე მონეტარულ პოლიტიკაში. სტაბილიზაციის პროგრამა წარმატებული რომ იყოს, უნდა მოიცავდეს ფისკალურ ზომებს, რომლის მიზანი დეფიციტის შემცირებაა და მონეტარულ ზომებს, რომლის მიზანი ფულის შექმნის, როგორც დეფიციტის დაფინანსების, შემცირება ან შეჩერებაა.

სტაბილიზაციური პოლიტიკა (stabization policy) - სახელმწიფოს პირდაპირი რეგულირების ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ეკონომიკის ციკლური მერყეობის შენელების და ეკონომიკური ზრდისაკენ. ჩვეულებრივ გამოიხატება სახელმწიფოს ცდაში, აღმოფხვრას პოტენციური **მეპ**-ის ირგვლივ რეალური **მეპ**-ის მერყეობის ინფლაციური და დეფლაციური შედეგები. სტაბილიზაციურ პოლიტიკას ეკონომი-

კაში სახელმწიფო ახორციელებს ფისკალური ან ფულად-საკრედიტო პოლიტიკით.

სტაბილიზაციური ფუნქცია (stabilization function) - სახელმწიფოს ფუნქცია ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისათვის ეკონომიკური აქტიურობის მაღალი და სტაბილური დონის შენარჩუნების მიზნით. ეს ფუნქცია სახელმწიფოს სამი ეკონომიკური ფუნქციიდან ერთ-ერთია, რომელიც დაადგინა რ. ა. მასგრეივმა. ეკონომისტთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ სტაბილიზაციური ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკას, მაშინ როდესაც ეკონომისტთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლები, მაგ., მონეტარისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ცდილობდეს ეკონომიკაში ჩარევას და ამ გზით ბაზრის დათრგუნვას.

სტაგნაცია (stagnation) [<ლათ. stagnum დამდგარი წყალი] - ეკონომიკის ერთ წერტილზე გაყინვა.

სტაგფლაცია (stagflation) - ეკონომიკის მდგომარეობა, როდესაც ერთმანეთს ერწყმის უძრაობა (სტაგნაცია) და ფულის გაუფასურება (ინფლაცია).

სტანდარტი (standard) - ფართო გაგებით — ნიმუში, ეტალონი, მოდელი, რომელიც წარმოადგენს ამოსავალს მასთან მსგავსი სხვა ობიექტების შედარებისათვის. სტანდარტი, როგორც ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, მოიცავს იმ ნორმების, წესების კომპლექსს, რომელიც მოეთხოვება სტანდარტიზაციის ობიექტს. გადატანითი მნიშვნელობით — შაბლონი, ტრაფარეტი, რომელშიც არ არის რაიმე ორიგინალური.

სტატისტიკა (statistics) - მეცნიერება აღრიცვისა და ანალიზის სფეროში, რომელიც მათემატიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე შეისწავლის ტიპურ, მასობრივ, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეებს, მათ ცვლილებას დროში, ე.წ. მაჩვენებელთა მწკრივებს; 2; როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო — საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესახებ მასობრივი მონაცემების შეკრება, გადამუშავება, ანალიზი და გამოქვეყნება.

სტერლინგი (sterling) - 1. ძველებური ინგლისური ვერცხლის მონეტა, იჭრებოდა XII საუკუნიდან; 2. ინგლისური ვერცხლისა და ოქროს მონეტების კანონით დადგენილი სინჯი; გირვანქა სტერლინგი — დიდი ბრიტანეთის ფულადი ერთეული, უდრის 100 პენსს.

სტიგლერი ჯორჯ (1911-1991) (Stigler George) – ამერიკელი ეკონომისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაუ-

რეატი (1982) საბაზრო სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების შედეგების კვლევაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის. მისი ძირითადი ნაშრომებია: „წარმოებისა და განაწილების თეორია“ (1941), „სარგებლიანობის თეორიის განვითარება“ (1951), „ეკონომიკური მეცნიერების ისტორიის ნარკვევები“ (1956), „ინდუსტრიის ორგანიზაცია“ (1968), „ინფორმაციის ეკონომიკური თეორია“ (1970), „პიროვნება და სახელმწიფო“ (1975) და სხვ.

სტივიდორი (stevedore) [<ესპ. estivador, estivar ტვირთის ჩალაგება] - საზღვაო პირი, რომელიც განაგებს საზღვარგარეთის პორტებში გემების დატვირთვასა და გადმოტვირთვას.

სტივიდორული დანახარჯი (stevedore expense) - პორტში დატვირთვა-გადმოტვირთვასთან დაკავშირებული დანახარჯი.

სტორნო [<იტალ. storno ანგარიშის გადაგზავნა] - შეცდომების გასწორების წესი საბულალტრო აღრიცხვაში; შეცდომით შეტანილ ოპერაციას ხელმეორედ ჩაწერენ წითელი მელნით და ამორიცხავენ ანგარიშის ჯამობრივი თანხიდან.

სტრუქტურული გარდაქმნების თეორია (structural changes theory) - ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით „მესამე სამყაროს“ ქვეყნების სუსტი განვითარება განპირობებულია არსებული რესურსების გამოუყენებლობის მაღალი ხარისხით იმ სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების გამო, რომლებიც წარმოიშვა შიდა და გარე მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით.

სტრუქტურული უმუშევრობა (structural unemployment) - იძულებითი უმუშევრობა, გამოწვეული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნით, მოძველებული დარგებისა და პროფესიების ლიკვიდაციით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონითა და ა.შ.

სუბარენდა (sublease) - არენდირებული ქონების ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის არენდით. ამ შემთხვევაში არენდატორი მეარენდის როლში გამოდის.

სუბვენცია (subvention) [<ლათ. subvenire დახმარების გაწევა] - სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ან მეურნეობის ცალკეული დარგებისადმი, გაწეული განსაზღვრული მიზნისათვის; მიზანდასახული დოტაცია.

სუბსიდია (subsidy) - დოტაცია, სახელმწიფოს უსასყიდლო დახმარება ფიზიკური და იურიდიული პირებისადმი, ადგილობრივი ორგანოებისადმი, სხვა ქვეყნებისადმი. იგი ხორციელდება როგორც პირდაპირი ასიგნების (გრანტის) ფორმით, ისე სახელმწიფო გარანტიის, საგადასახადო შეღავათების,

ინვესტიციებისა და ა.შ. სახით.

სუვერენიტეტი (sovereignty) [<ფრანგ. souverainete] - სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებისაგან საშინაო საქმეებსა და საგარეო ურთიერთობებში; ეროვნული სუვერენიტეტი – უფლებათა ერთობლიობა, გამოხატული სოციალური და პოლიტიკური წყობის თავისუფლად არჩევაში, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაში, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში და ა.შ.

სუროგატი (substitute) [<ლათ. surrogatus სხვის მაგივრად დადგმული, ჩადგმული] - შემცვლელი, რომელსაც აქვს შესაცვლელი საგნის, პროდუქტის ზოგიერთი თვისება.

„სწრაფი სტარტის“ ეფექტი (catch effect) - ორი ქვეყნის ეკონომიკაში თანაბარი ინვესტიციების პირობებში წარმოების ზრდის ტემპი უფრო მაღალი იქნება იქ, სადაც საწყისი პოტენციალი იყო დაბალი.

„სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“ („other public socail and personal services“) - გაეროს სსდკ-ის მიხედვით – სპეციალური განყოფილება, რომელშიც შედის: კანალიზაცია და ნარჩენების ლიკვიდაცია, სანიტარიული გადამუშავება და სხვა მომსახურება (ქუჩებისა და გზების დაგვა, მორწყვა, ავტოსტრადებისა და აეროპორტების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან და ა.შ.), კომერციული, სამეწარმეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მომსახურება, რელიგიური, პოლიტიკური ორგანიზაციების, სხვა საწევრო ორგანიზაციების (ომის ვეტერანთა, ახალგაზრდობის, სტუდენტური, კინომოყვარულთა, მებალეობის მოყვარულთა, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარულთა ასოციაციები და სხვ.), საქმიანობა, დასვენებისა და გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზაცია (კინო და ვიდეოფილმების გადაღება და გავრცელება, კინოფილმების დემონსტრაცია, საქმიანობა რადიოს და ტელევიზიის სფეროში, ხელოვნების, კულტურის სფეროში, ბეჭდვითი სააგენტოების საქმიანობა, სპორტული საქმიანობა, დასვენებასა და გართობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა), საფეიქრო და ბეწვეულის ნაწარმის რეცხვა, მშრალი წმენდა და ღებვა, საპარიკმახეროებისა და კოსმეტიკური სალონების მომსახურება, დაკრძალვის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება, საუნების, თურქული და ორთქლის აბანოების, მასაჟის კაბინეტების, სტრესული მდგომარეობის მოხსნის კაბინეტების, წონაში დაკლების სალონების, საქორწინო ბიუროების და სხვა მომსახურება.

ტ

ტაიმ-შიტი (time sheet) - საზღვაო დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად არის ფიქსირებული საზღვარგარეთის ქვეყნებში საზღვაო გადაზიდვისას ჩასატვირთ-გადმოსატვირთი დროის დანახარჯები.

ტაიმ-ჩარტერი (time-charter) - საზღვაო ხელშეკრულება სავაჭრო გემის ან მისი ნაწილის გარკვეული ვადით არენდის შესახებ.

ტანზი-ოლივერას ეფექტი (Tanzi-Olivera's effect) – უკავშირდება გადასახადების აკრეფის დაგვიანებას, რასაც ყურადღება მიაქციეს ეკონომისტებმა – ვიტო ტანზინ და ჯულიო ოლივერამ. ვინაიდან საგადასახადო შემოსავლები განვლილი პერიოდის შემოსავლებიდან ამოიღება, ინფლაციის კვალობაზე მათი რეალური გაუფასურება ხდება. მაგ., თუ ფასების დონე წელს ათჯერ მაღალია, ვიდრე წინა წლის ფასების დონე იყო, ხოლო გადასახადები წინა წელს მიღებულ შემოსავლებზეა გადახდილი, მაშინ ფაქტობრივი საგადასახადო განაკვეთი ოფიციალური საგადასახადო განაკვეთის მხოლოდ ერთი მეათედია. საბოლოო ანგარიშით, მაღალი ინფლაცია, როგორც წესი, მთავრობის რეალურ შემოსავალს ამცირებს, რაც დეფიციტის პრობლემას ამძიმებს.

ზოგჯერ პრობლემას სხვა ეფექტებიც წარმოქმნის. სახელდობრ, ხშირად მთავრობები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებული ფირმებისათვის ფასების გაზრდის აკრძალვით ცდილობენ ინფლაციის შენელებას, მიუხედავად იმისა, რომ მათი დანახარჯი ინფლაციასთან ერთად იზრდება. ფირმებს უჩნდება დეფიციტი რომელიც სამთავრობო სუფსიდებით უნდა დაფინანსდეს. ეს კი ბიუჯეტის დეფიციტს და, შესაბამისად, ფულზე მოთხოვნას კიდევ უფრო ზრდის.

ტარა (packing, tare) - ნაკეთობა, ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია საქონლის შეფუთვის, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის.

ტარიფი (tariff) [<ფრანგ. tarif]-1. განაკვეთთა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა მომსახურების საფასურის ოდენობას; 2. შრომის ანაზღაურების განაკვეთთა სისტემა.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade - **GATT**) - 1947 წელს შექმნილი ორგანიზაციული სტრუქტურით განმტკიცებული შეთანხმება მსოფლიო ვაჭრობაში ტარიფების შემცირების გზებისა და მეთოდების შემუშავების მიზნით. 1947-1962 წლებში ჩატარებული 7 კონფერენციით **GATT**-მა ვერ მიაღწია ხელშესახებ შედეგებს.

წარმატება მხოლოდ 1967 წელს მოვიდა ე.წ. კენედის რაუნდის პერიოდში, როდესაც შესაძლებელი გახდა სანედლეულო საქონელზე სატარიფო განაკვეთების მკვეთრი შემცირება. **GATT**-ს 1995 წლის 1 იანვრიდან ეწოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (**მსო**).

მსო (**World Trade Organization - WTO**) - საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქციებია: მასში შემავალ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ერთიანი სტანდარტების შექმნა; საბაჟო პროცედურების ერთიანი უნიფიცირებული სისტემის შექმნა; ცალკე, განკერძოებული შეღავათების არარსებობა. საქართველო 2000 წლიდან **მსო**-ის სრულუფლებიანი წევრია.

ტეზავრაცია (thesauration) [<ბერძნ. thesauros განძი, მარაგი]- კერძო პირების მიერ მიმოქცევიდან ძვირფასი ლითონების, მონეტებისა და ბანკნოტების ამოღება მათი დაგროვების მიზნით.

ტენდერი (tender) [<ინგლ. tender, tend მომსახურება] - საწარმოს მიერ მყიდველისათვის შეთავაზებული ფასი, რომლის განსაზღვრის დროსაც ამოსავალია არა საკუთრივ საქონლის დანახარჯების დონე ან მასზე მოთხოვნა, არამედ კონკურენტთა მიერ დადებული ფასი.

ტექნიკური პროგრესი (technical progress)- ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი; იძლევა მეტი პროდუქციის გამოშვების საშუალებას წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალის უცვლელი რაოდენობის პირობებში. ტექნიკური პროგრესი განივთდება ძირითად კაპიტალში. იყოფა **შრომადამზოგველ, ნეიტრალურ და კაპიტალდამზოგველ ტექნიკურ პროგრესად.**

ტექნოლოგიური დუალიზმი (technological dualism) - კაპიტალინტენსიური მძიმე მრეწველობის შერწყმა სხვა დარგების შრომაინტენსიურ მეთოდებთან ჭარბი სამუშაო ძალის გამოყენების მიზნით. მძიმე მრეწველობის მოდერნიზაციისა და წარმოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესში სხვა დარგები „ისრუტავენ“ ჭარბ სამუშაო ძალას.

ტექნოლოგიური უმუშევრობა (technological unemployment) - წარმოებაში შრომადამზოგველი ტექნოლოგიის დანერგვით წარმოშობილი უმუშევრობა. ნეოკლასიკოსები ასეთ სიტუაციას დროებითად მიიჩნევენ და უმუშევრობის ამ ფორმას სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

ტექნოპარკი (industrial park) - მაღალტექნოლოგიური პარკი. სათავეს იღებს XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც აშშ-ში,

კალიფორნიის შტატში სტენფორდის უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო პარკი და საფუძველი ჩაეყარა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამჟამად აშშ-ში 160-ზე მეტი ტექნოპარკია, რაც მსოფლიოში არსებული ტექნოპარკების 30%-ს შეადგენს.

ევროპაში ტექნოპარკები გამოჩნდა 70-იანი წლების დასაწყისში. ერთ-ერთი პირველთაგანებია ედინბურგში ჰერიოტუაიტის უნივერსიტეტის კვლევითი პარკი, ტრინიტის სამეცნიერო პარკი კემბრიჯში და ა.შ.

80-იანი წლებიდან ტექნოპარკები იქმნება კანადაში, სინგაპურში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, იაპონიასა და ჩინეთში. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ჩინეთში, სადაც 50-ზე მეტი ტექნოპარკია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ განვითარებას. ეროვნულ ტექნოპარკებს მილიარდობით მოგება მოაქვთ ქვეყნისათვის. ტექნოპარკებს ზოგჯერ **კლასტერებსაც** უწოდებენ.

„ტვინების გადინება“ (brain drain) – კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია, როგორც წესი, ღარიბიდან მდიდარ ქვეყანაში.

განათლება, რომელიც მოითხოვს ინვესტიციებს ადამიანისეულ კაპიტალში, მისი მიღება გაცილებით იაფია დიდი შრომითი რესურსების მქონე ღარიბ ქვეყნებში, ვიდრე მდიდარში. კვალიფიკაციის მიღების შემდეგ ადამიანები გადადიან უფრო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შემოსავალი შედარებით მაღალია. ასეთი მიგრაცია ზოგჯერ წახალისდება კანონებითა და ინსტიტუციური ფაქტორებით, ვინაიდან თვით მიმღები ქვეყნები არიან დაინტერესებული კვალიფიციური კადრების იმიგრაციით.

ტოდაროს მოდელი (Todaro model) – განვითარებად ქვეყნებში შიდა მიგრაციის ზრდის მიზეზებისა და მისი დაძლევის ეკონომიკური მოდელი. ატარებს ამერიკელი ეკონომისტის მაიკლ ტოდაროს სახელს. მოდელი ხსნის თუ რატომაა მიგრაციის მაღალი ტემპი სოფლიდან ქალაქში განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში. ამის მთავარი მიზეზი კი, მოსალოდნელი სხვაობაა რეალურ შემოსავალში სოფელსა და ქალაქს შორის.: პოტენციური მიგრანტი თავისი კვალიფიკაციის შესაბამის შესაძლო შემოსავალს ქალაქად უდარებს იმ შემოსავალს, რომელსაც იღებს ან მიიღებდა სოფლად. მათ შორის სხვაობა მისი გადაწყვეტილების საფუძველია – დატოვოს სოფელი და წავიდეს ქალაქად სამუშაოს შოვნის იმედით. ასეთი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერიოდში შეიძლება იყოს რაციონალური, მაგრამ მოკ-

ლევადიან პერიოდში სარისკოა. მიგრანტებმა შეიძლება იშოვონ სამუშაო მოსალოდნელზე დაბალი ანაზღაურებით და ისიც არაფორმალურ სექტორში.

თუ ქვეყნის ხელისუფლება ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, ბუნებრივია, ქალაქად გაიზრდება დასაქმება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ზრდას. მის შედეგად უმუშევრობაც გაიზრდება, რის გამოც საგრძნობლად შემცირდება მიგრაცია.

პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი ღონისძიებაა ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რაც მათი მოსახლეობის რეალურ შემოსავლებში არსებული განსხვავების შემცირების საფუძველია.

ტრადიციული ეკონომიკა (traditional economy) – ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ვიტაეკონომიკის (იხ.) სახით.

ტრაიბალიზმი (tribalism) [<ინგლ. tribal სატომო, ტომობრივი]-ტომობრივი სეპარატიზმი საზოგადოებაში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფის გადმონაშთები.

ტრანზიტი (transit) [ლათ. transitus გატარება] - ტვირთის გადაზიდვა გაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე შუალედურ პუნქტებში გადმოუტვირთავად.

ტრანსაქცია (transaction) [<ლათ. transactio გარიგება, შეთანხმება] - 1. საბანკო ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების გადაგზავნას (მათ შორის, საზღვარგარეთ) რაიმე მიზნით; 2. საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა.

ტრანსაქციული ხარჯები (transaction costs) – ხარჯები მიმოქცევის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემასთან, ინფორმაციის მოპოვებასთან, კონტრაქტების დადებასთან და ა.შ. ტრანსაქციული ხარჯები მნიშვნელოვანია ისეთ ბაზრებზე, სადაც იყიდება სხვადასხვა სახეობის შედარებით რთული პროდუქტი.

ტრანსფერტი (transfer) - ბანკის გზავნილი ან წერილობითი ბრძანება თავისი კორესპონდენტისადმი ბრძანებაში მითითებული პირის სახელზე გარკვეული თანხის გაცემის შესახებ.

ტრანსეროვნული (**ტრანსნაციონალური**) **კორპორაცია** (transnational (multinational) corporation - **MNC**) - მსხვილი სამეურნეო გაერთიანება, საერთაშორისო, მრავალნაციონალური კორპორაცია, რომელსაც შტაბ-ბინა აქვს მსოფლიოს ერთ-ერთ ქვეყანაში და ფლობს ფილიალების დიდ

რაოდენობას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი კორპორაციის მაგალითად გამოდგება „ფილიპსი“,„ჯენერალ მოტორსი“, „კოკა-კოლა“, „რენო“, „ბრიტიშ პეტროლიუმი“ და ა.შ. მათი რიცხვი მსოფლიოში 60 ათასზე მეტია. **MNC** ახორციელებს ეკონომიკურ ექსპანსიას სხვა ქვეყნებში თავისი განყოფილებების, ფილიალების ფართო ქსლის შექმნით. ტრანსეროვნული კორპორაციების თანამედროვე განვითარების დამახასიათებელი ნიშანია შიდასაფირმო ურთიერთობათა კომპლექსის ინტენსიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კაპიტალის, ტექნოლოგიის, მზა და შუალედური პროდუქციის მოძრაობას შვილობილ კომპანიებს შორის. საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 1/5-დან 1/3-მდე ტრანსეროვნული კორპორაციების შიდასაფირმო არხებით წარმოებს.

ტრანსლაცია (translation) – საქონლის, მომსახურების მოცულობის ღირებულების გადაანგარიშება ერთი ვალუტიდან მეორეში.

ტრანსფერი (transfer) [<ლათ. transferre გადატანა] - 1. ფულის გადაგზავნა ერთი საფინანსო დაწესებულებიდან მეორეში ან ქვეყნიდან ქვეყანაში; 2. სახელობითი ფასიანი ქაღალდების გადაფორმება ერთი მფლობელიდან მეორეზე; 3. გარიგების გადატანა ერთი ანგარიშიდან მეორეზე; 4. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გადანაწილების ერთ-ერთი ფორმა. ფულადი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ხელმოკლე მოქალაქეებზე სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით. ტრანსფერს გასცემენ აგრეთვე ფირმები და კერძო პირები საქველმოქმედო შენატანების სახით. ტრანსფერული გადასახდელი წარმოებრივ საქმიანობას არ უკავშირდება.

ტრანსფერული ფასი (transfer price) - შიდასაფირმო საანგარიშსწორებო ფასი, რომელსაც იყენებენ ანგარიშსწორებისას „დედა“ და „შვილობილ“ კომპანიებს ან საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის. შიდასაფირმო მიწოდების ფასები კონფიდენციალურია.

ტრანსფერული შემოსავლები (transfer incoms) – შემოსავლები (პენსიები, საჩუქრები და ა.შ.), რომლებიც არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გადასახდელები გაწეულ მომსახურებაზე და ამიტომ არ აისახება ეროვნულ შემოსავალში. მათ შეესაბამება ტრანსფერული გადასახდელები (შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდში და სხვ.), რომელთა წყაროა წარმოების ფაქტორებისგან მიღებული შემოსავლები.

ტრასანტი (drawer) [<იტალ. trassante]-პირი, რომელიც გასცემს გადასაპირებელ თამასუქს.

ტრასატი (drawee) [<იტალ. trassare]-პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს თანხა გადასაპირებელი თამასუქის მიხედვით.

ტრატა (bill of exchange, draft) [იტალ. tratta]–თანამედროვე საბანკო და კომერციულ პრაქტიკაში გადასაპირებელი თამასუქის სინონიმი. განასხვავებენ: 1. სავაჭრო ტრატას, რომელსაც გამყიდველი გასცემს მყიდველზე; 2. საბანკო ტრატას, რომელსაც გამყიდველი გასცემს ბანკზე; 3. საფინანსო ტრატას, რომელსაც ბანკი გასცემს ბანკზე. განსაკუთრებით გავრცელებულია საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში.

ტრაქტატი (treatise) [<ლათ. tractata განხილვა]-საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება.

ტრაქტაცია (tractation) - წინადადების შეთავაზება საქონლის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ იმ შესაძლო მყიდველების ან გამყიდველების გამოვლენის მიზნით, რომლებიც გარიგების დადებით იქნებიან დაინტერესებულნი.

ტრეიდერი (trader) - 1. ვაჭარი, სოვდაგარი; 2. საბირჟო მაკლერი – საბროკერო კანტორის ან საფინანსო დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც საფონდო ბირჟაზე გამოდის სპეკულანტის როლში – საკუთარი ფულით ყიდულობს და ყიდის ფასიან ქაღალდებს; 3. სავაჭრო გემი.

ტრესტი (trust) - მეწარმეთა გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები კარგავენ წარმოებრივ, კომერციულ და იურიდიულ დამოუკიდებლობას და ერთიან მმართველობას ექვემდებარებიან.

ტურიზმი (tourism) - 1. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიკურად განვითარებადი დარგი; 2. ადამიანთა ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების (მკურნალობის), შემეცნებითი დონის ამაღლებისა და ა.შ. მიზნით.

უ

უარყოფითი გადასახადი (negative tax) - დოტაცია, სუბსიდია.

უარყოფითი ეფექტების შემცირების ხარჯები (abatement cost) - არასასურველი ეფექტების (გარემოს დაბინძურება, სატრანსპორტო ქსელის გადატვირთვა, ავტომობილის ძრავის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ა.შ.) შემცირების ხარჯები. გარემოს დაბინძურების შემცირების კვალობაზე ხარჯების მრუდი იზრდება სწრაფი ტემპით. ეს აიხსნება იმით, რომ, მაგალითად, გარემოს დაბინძურებული სივრცის გარკვეული მონაკვეთის გაწმენდა შედარებით იაფია, მაგრამ დაბინძურების მთლიანად აღკვეთა გაცილებით ძვირი უჯდება საზოგადოებას. ასეთივე სიტუაციის მაგალითად გამოდგება ავტომობილის ძრავის მუშაობით გამოწვეული ხმაურის აღკვეთა. ერთი მანქანის ძრავის დაფარვა ხმაურსაწინააღმდეგო მასალით საგრძნობლად ამცირებს მის ხმაურს და ამისთვის გაწეული ხარჯებიც არ არის დიდი, მაგრამ ასეთი ტიპის მანქანებისგან ხმაურის მთლიანად აღკვეთა მოითხოვს ძრავის კონსტრუქციულ გადაკეთებას, რაც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი (negative income tax) - სახელმწიფო ანაზღაურების სისტემა იმ ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი დაუბეგრავი საშემოსავლო გადასახადის მინიმუმზე ნაკლებია.

„უბილეთოს“ პრობლემა (“free-rider” problem) - ურთიერთხელსაყრელი კოლექტიური მოქმედების შეფერხება ისეთ ვითარებაში, როცა ეკონომიკურ აგენტებს საშუალება ეძლევათ სარგებლობა მიიღონ საერთო ხარჯებში მონაწილეობის გარეშე.

უკუდემპინგი(reverse dumping) - საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთ შიდა ფასზე უფრო ძვირად მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგების ამოღების მიზნით.

უმუშევრობა (unemployment) - სიტუაცია ეკონომიკაში, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია თავისი ამ უნარის გამოყენება და შრომის სარეზერვო არმიად იქცევა. ძლიერდება ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის პერიოდში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მკვეთრად შემცირების შედეგად.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით უმუშევარი არის 15 და მეტი წლის პირი, რომელიც საკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა საქმი-

ანობას და ეძებს სამუშაოს, ან არ ეძებს, რადგან გადაეწურა მისი შოვნის იმედი (ხელჩაქნეულია), თუმცა, სამუშაოს შემოთავაზების შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას.

რეგისტრირებული უმუშევარი არის დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული პირი.

უმუშევრობის განსაზღვრული დონე – სამუშაო ძალის რიცხოვნობის 6-7% – ნორმალურ მოვლენად ითვლება და იწოდება უმუშევრობის ბუნებრივ დონედ. **არსებობს ფრიქციული, სტრუქტურული, ფარული, ციკლური, ინსტიტუციური, დემოგრაფიული და ა.შ. უმუშევრობა.**

უმუშევრობის ბუნებრივი დონე (natural rate of unemployment) - უმუშევრობის დონე სრული დასაქმების პირობებში. უმუშევრობის ბუნებრივი დონე დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების ისეთი პერიოდისათვის, როდესაც მეპ-ის რეალური და პოტენციური დინამიკა ერთმანეთს ემთხვევა და არ არის დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების რეალურ ტემპებზე. **გაიანგარიშება, როგორც ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის მაჩვენებელთა ჯამი გაყოფილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაზე.** მისი შემცირება შეუძლებელია ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით.

ფილიპსის ვერტიკალური მრუდი გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი მცდელობა უმუშევრობის შემცირებისა მის ბუნებრივ დონეზე დაბლა იწვევს ინფლაციის დაჩქარებას.

გამოიყენება აგრეთვე ტერმინი უმუშევრობის არამზარდი დონე (non-acelerating rate of unemployment), რომელიც გამოხატავს უმუშევრობის დონეს ინფლაციის სტაბილური ტემპების პირობებში რეალური და პოტენციური მეპ-ის დინამიკების დამთხვევის დროს.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე 60-იანი წლების დასაწყისში შეადგენდა 4%-ს, ხოლო 80-იანი წლებიდან – 6-7%-ია.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჰიპოთეზა (natural rate of unemployment hypothesis) - ნეოკლასიკოსთა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკას ახასიათებს ტენდენცია ავტომატურად მიაღწიოს წონასწორობას უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში, ე.ი. წარმოების პოტენციურად სრული მოცულობის პირობებში.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჰიპოთეზას მხარს უჭერენ მონეტარიზმის მომხრეებიც.

უმუშევრობის დონე (unemployment rate) - სამუშაოს მაძიებელი, ან „ხელჩაქნეული“ შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის წილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის

საერთო რიცხოვნობაში. უმუშევრობის დონე სამუშაოს მაძიებელ უმუშევართა წილია სამუშაო ძალაში. ისინი, რომლებსაც არა აქვთ და არც ეძებენ სამუშაოს, სამუშაო ძალის შემადგენლობიდან გასულებად ითვლებიან. მაღალი უმუშევრობის დონე, როგორც წესი, უკავშირდება სამუშაო ძალაში მონაწილეობის დაბალ კოეფიციენტს, რომელიც განისაზღვრება როგორც სამუშაო ძალის რაოდენობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან.

უნაღდო ანგარიშსწორება (settling by written order) - ანგარიშსწორება ნაღდი ფულის გარეშე, რომელიც ხორციელდება ბანკების მიერ გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე გადარიცხვის გზით ან ურთიერთმოთხოვნისა და ვალდებულების ჩათვლით. გამოიყენება როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. განვითარებული ქვეყნების ფულად მიმოქცევაში უნაღდო ანგარიშსწორების წილი ნახევარზე ბევრად მეტია.

უნივერსალური ფსიქოლოგიური კანონი ეკონომიკაში (universal psychological law in economy) - ფორმულირებულია ჯონ მეინარდ კეინზის მიერ, რომლის მიხედვით შემოსავლის გადიდების კვალობაზე იზრდება მოხმარება, მაგრამ არა იმ მოცულობით რა მოცულობითაც იზრდება შემოსავალი. მათ შორის სხვაობა ადიდებს დანაზოგის მოცულობას.

უნიტარიზმი (unitarism) [ფრანგ. unitarisme] - სახელმწიფო მოწყობის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და გამოცალკევებული (დამოუკიდებელი) სახელმწიფო წარმონაქმნების არარსებობა.

უნიტარული სახელმწიფო (unitary state) [ფრანგ. unitaire <ლათ. unitas მთლიანობა] - ერთიანი, გაერთიანებული; მთლიანი უნიტარული სახელმწიფო — სახელმწიფო სისტემის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს, ფედერაციისაგან განსხვავებით, თავის შემადგენლობაში არა აქვს ფედერაციული ერთეულები (შტატები და ა.შ.) და მისი ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (რაიონები, ოლქები და ა.შ.).

უნიფიკაცია (unification) [<ლათ. uni ერთი და facare კეთება] - ერთიან სისტემაში მოქცევა. მაგ., მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია, რაც გლობალიზაციისთვისაა ნიშანდობლივი.

უპატენტო ლიცენზია (non-

patent licence) - ლიცენზია „ნოუ-ჰაუს“ გამოყენებაზე, გამოგონებაზე პატენტის გარეშე.

უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა (liquidity preference) - მომხმარებელთა არჩევანი, თავიანთი დანაზოგის რა ნაწილი იქონიონ ფულადი ფორმით და რა – ნაკლებად ლიკვიდური სახსრების სახით (ფასიანი ქაღალდები, მატერიალურ-ნივთობრივი აქტივები და ა.შ.).

ურბანიზაცია (urbanization) - მოსახლეობის თავმოყრის პროცესი ქალაქებსა და ეკონომიკურ ცენტრებში. საპირისპიროა – რურალიზაცია.

უტილიზაცია (utilization) [<ლათ. utilis სასარგებლო] - გამოყენება, გადამუშავება, სარგებლიანი მოხმარება.

უცხოური ვალუტა (foreign exchange, foreign currency) – საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშანი, აგრეთვე უცხოური ფულადი ერთეულით გამოხატული საკრედიტო და საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქი, ჩეკი და სხვ.), გამოყენებული საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

უცხოური ინვესტიცია (foreign investment) - ნებისმიერი ინვესტიცია სხვა ქვეყნებში, განხორციელებული სახელმწიფოს, კერძო კომპანიის ან კერძო პირის მიერ. უცხოური ინვესტიციების განვითარებად ქვეყნებში დაბანდების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ზოგი ამტკიცებს, რომ ასეთი ინვესტიციები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კოლონიალიზმის გამოვლენაა და ემსახურება ამ ქვეყნებში კონტროლის განხორციელებას. ამასთან, უცხოური ინვესტიციები ხშირად დაკავშირებულია მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტთან, რაც, იმპორტიორი ფირმებისათვის ადგილობრივ იაფ სამუშაო ძალის დაქირავებასთან ერთად, დიდი მოგების მიღების საშუალებაა. უცხოური ინვესტიციების მომხრეები კი ასაბუთებენ, რომ ასეთი სახის ინვესტიციებმა შესანიშნავი შედეგი მისცა დასავლეთის მრავალ ქვეყანას და ისინი სხვა ქვეყნებსაც წარმატებებს მოუტანენ.

ფ

ფარული (**იმპლიციტური**) **დანახარჯი** (implicit expense) **–** ფირმის მესაკუთრის ან ფირმის, როგორც იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული რესურსების გამოყენების ალტერნატიული დანახარჯი, რაც აშკარა დანახარჯის მსგავსად, არ არის გათვალისწინებული კონტრაქტში და არც სავალდებულოა იყოს. ეს დანახარჯი არ ანაზღაურდება. მაგ., ფირმა, რომელიც იყენებს კუთვნილ შენობას და ამისათვის, როგორც მესაკუთრე, გადასახადს არ იხდის, იმავდროულად უარს ამბობს ამ შენობის არენდით გაცემის შემთხვევაში შესაძლო შემოსავალზე. იმპლიციტური დანახარჯი ფირმის საბუღალტრო ანგარიშგებაში არ აისახება.

ფარული ეკონომიკა (underground, hidden economy) - 1. კანონსაწინააღმდეგო ეკონომიკური საქმიანობა (კონტრაბანდა, ნარკობიზნესი, ბრაკონიერობა და სხვ.); 2. არაკანონსაწინააღმდეგო, მაგრამ არალეგალური, ოფიციალურად არარეგისტრირებული, სტატისტიკურად აღურიცხავი ეკონომიკური საქმიანობა.

ფარული (**ჩახშობილი**) **ინფლაცია** (hidden, suppressed inflation) - ინფლაციური პროცესების სპეციფიკური გამოვლენა მკაცრად რეგულირებად ან ფიქსირებული ფასების მქონე ეკონომიკაში. თუ ფასების დირექტიულად დადგენილი დონე შენარჩუნებულია, ინფლაცია გამოვლინდება მიმოქცევაში ჭარბი ფულის მატებისა და მისი მსყიდველობითი უნარის გაუფასურებაში, როგორც საქონლისა და მომსახურების მზარდი დეფიციტისა და მათზე აჟიოტაჟური მოთხოვნის, აგრეთვე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნის დაგროვების შედეგი.

ფარული უმუშევრობა (hidden, latent, concealed, disguised unemlpoyment) - არასრული დასაქმება, რომელიც თავს იჩენს ეკონომიკური აღმავლობის დროს. აქედან გამომდინარე, ფარული უმუშევრობა უნდა დაემატოს უმუშევრობის ოფიციალურ მონაცემებს, რათა მიღებულ იქნეს შრომის ბაზრის რეალური სურათი.

ფასდაკლება (discount on a price, allowance off a price) - სიტუაცია ბაზარზე, როდესაც გამყიდველი საქონელს საბაზრო ფასზე იაფად უთმობს მყიდველს გარიგების პირობებიდან გამომდინარე და არსებული ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით. ჩვეულებრივ აქვს მიზნობრივი დანიშნულება. მაგ., ნაღდი ფულის გადახდის, მასობრივი, სერიული წარმოების საქონლის მიწოდების მოცულობის გადიდების შემთხვევაში, მუდმივ მყიდველებთან მყარი

საქმიანი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, რეკლამისათვის, ახალი მყიდველის მიზიდვისათვის, ჩაწოლილი საქონლის გასაღებისათვის და ა.შ. ზოგ შემთხვევაში საქონლის ფასდაკლებით გაყიდვა ფარულად ხდება. ფასდაკლების ყველა სახეს თავისი პირობითი აღნიშვნები აქვს: მარტივი, რთული, დილერული, სეზონური, პროგრესული, სპეციალური და ა.შ. იგი გვიჩვენებს, რამდენად შეიცვალა ფასები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზოგიერთ საქონელზე.

ფასებზე კონტროლი (price control) - ამ ტერმინში იგულისხმება ფიქსირებულ ფასებზე მთავრობის მიერ კანონის ძალით კონტროლის განხორციელება. როგორც წესი, ეს ხდება ექსტრემალურ სიტუაციებში, მაგალითად, ომების დროს, როგორც ანტიინფლაციური პოლიტიკის ნაწილი, თუმცა, ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, თავისთავად ეს ღონისძიება არ არის ინფლაციისგან განკურნების და მისგან თავის დაღწევის საშუალება.

ფასების ეფექტი (price effect) – საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების ცვლილებით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება. ფასების ეფექტი, რომელიც ეყრდნობა ორდინალურ (ყველაზე მაღალ) სარგებლიანობის კონცეფციას, მოიცავს შემოსავლისა და შენაცვლების ეფექტებს და ცნობილია სლუცკის განტოლების სახელწოდებით:

ფასების ეფექტი = შემოსავლის ეფექტი + შენაცვლების ეფექტი.

რუსმა ეკონომისტმა ე. სლუცკიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოთხოვნის თეორიის განვითარებასა და, აქედან გამომდინარე, ფასების ეფექტის შესწავლაში. სლუცკის მიერ მიღებულმა შედეგებმა შემდგომი განვითარება პოვა ჰიკსისა და ალენის ნაშრომებში.

ფასების ინდექსი (price index) - მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების თანაფარდობას ორ სხვადასხვა პერიოდში. გამოითვლება მიმდინარე წლის ფასების საბაზისო პერიოდის ფასებზე გაყოფით.

ფასების კორექტირება (price adjustment) - საბაზრო სიტუაციის ცვალებადობასთან ფასების თვითშეგუების პროცესი.

ფასების მაკრატელი (price scissors) - ფასების დონისა და დინამიკის დაშორება საქონლის ცალკეული ჯგუფებისაგან, პირველ ყოვლისა, მზა პროდუქციისა და სათბობ-სანედლეულო საქონლისაგან.

„ფასების რევოლუცია“ (“price revolution”) – სახელწოდება იმ მოვლენისა, რომელიც უკავშირდება ამერიკაში აღმოჩენილ ოქროსა და ვერცხლის მოზღვავე-

ბას XV-XVI საუკუნეებში, რამაც გამოიწვია ფასების ოთხჯერადი ზრდა. მიჩნეულია, რომ ასეთი მაღალი ფასები გახდა სტიმული დასავლეთის ქვეყნებში წარმოების ახალი დარგების შექმნისა და კაპიტალის დაგროვებისათვის, რამაც სამრეწველო რევოლუციის დაწყებასა და კაპიტალიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი.

ფასების საერთო დონე (general price level) - განისაზღვრება ნომინალური ფულადი მასის შეფარდებით ფულზე რეალურ მოთხოვნასთან. ფასების საერთო დონის ცვლილება როგორც სამომხმარებლო, ისე საინვესტიციო საქონელზე იზომება მმპ-ის დეფლატორით, მაშინ როდესაც საცალო ფასების ინდექსით იზომება სამომხმარებლო ფასები.

ფასზე წანამატი (premium, (bonus) to a price) - წესდება მყიდველის განსაკუთრებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, სპეციალური, ინდივიდუალური შეკვეთების შესრულებისას, საქონლის ხარისხის ამაღლების შემთხვევაში, დამატებითი მომსახურებისათვის, ნაწილ-ნაწილ გადახდისას და ა.შ. გამყიდველს თავისუფლად შეუძლია დააწესოს ფასზე წანამატი ჩვეულებრივ საქონელზე მისთვის ხელსაყრელი ბაზრის კონიუნქტურის პირობებში.

ფასი (price) - ერთეული საქონლისა და მომსახურების საყიდ-ლად გადახდილი ფულის რაოდენობა, ღირებულებისა და სარგებლიანობის ფულადი გამოხატულება.

ფასი საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულებებში (price in foreign trade) - ერთ-ერთი არსებითი პირობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან, მიწოდებისა და გადახდის ვადებთან და ა.შ. გამოიხატება ეროვნული ან საერთაშორისო ვალუტის ფულად ერთეულებში. სახელშეკრულებო ფასის დონე ყალიბდება გარიგების მონაწილეთაგან დამოუკიდებლად, ობიექტურ გარემოებათა გავლენით (საქონლის თავისებურებები, მისი კონკურენტუნარიანობა, ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, სავაჭრო პოლიტიკური პირობები, კონტრაჰენტთა ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები, ბაზრის მონოპოლიზაციის დონე და ა.შ.). მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ბაზრის, კონტრაჰენტის, დროის, ადგილისა და ხელშეკრულების დადების წესის შერჩევა, ბაზრის კონიუნქტურის კომერციული ცოდნა, გამოცდილება და სხვ.

ფასი შემდგომი ფიქსაციით (price to be fixed) - დგინდება ხელშეკრულების შესრულების მსვლელობაში, მაგ., საქონლის მორიგი პარტიის მიწოდების წინ, ხოლო ზოგ შემთხვევაში – მი-

წოდების შემდგომაც. ხელშეკრულებაში განისაზღვრება ფასების ფიქსაციის წესი, სახელდობრ, ფიქსაციის პერიოდი, მყიდველის მიერ ფიქსაციის დროის არჩევის უფლება ინფორმაციის გარკვეული წყაროს საფუძველზე ან ფასების შეთანხმების პირობებში მხარეებს შორის მოლაპარაკებისას.

ფას-ი (Free Alongside Ship - FAS) - „თავისუფლად გემის ქიმის გასწვრივ", საქონლის მიწოდების საბაზისო პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას, რომლის მიხედვითაც ექსპორტიორს თავისი ხარჯით გადააქვს საქონელი გემის მისადგომამდე, ხოლო შემდგომ ხარჯებს იმპორტიორი გაიღებს.

ფასიანი ქაღალდები (securities) - დადგენილი ფორმის (ნიმუშის) საფინანსო დოკუმენტები. მათში აისახება მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: საგადასახადო დოკუმენტები — ჩეკი, თამასუქი, აკრედიტივი და სხვ., საფონდო ფასეულობები — აქცია, ობლიგაცია და სხვ., ქონებრივი უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები — კონოსამენტი, ლომბარდის საგირავნო ბილეთები, შემნახველი ბანკის წიგნაკების ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა და ა.შ.

ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს სახელობითი და წარმომადგენლობითი. პირველ შემთხვევაში ქონებრივი უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის გვარიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე (შემნახველი ბანკის წიგნაკები, ლომბარდის საგირავნო ბილეთები და სხვ.), მეორე შემთხვევაში — პირს, რომელიც ფლობს ფასიან ქაღალდებს (ობლიგაციები, მოგებული ლატარიის ბილეთები და სხვ.).

ფასიანი ქაღალდების დაფარვა ფიქსირებული ვადით (dated securities) - ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი, მაგალითად, ობლიგაცია, რომლისთვისაც დაწესებულია დაფარვის ვადები. ჩვეულებრივ იყოფა მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებად.

ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ბაზარი (over the counter market) - აქციების ბაზარი, როგორც წესი, მცირე კომპანიებისა, სადაც ოპერაციები ხორციელდება ბირჟის გვერდის ავლით კავშირგაბმულობის საშუალებებით. ასეთი ბაზარი კარგადაა განვითარებული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი (securities market) - ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც ხდე-

ბა საწარმოთა დროებით თავისუ-ფალი ფულადი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მო-ბილიზაცია ეკონომიკაში ინვეს-ტირებისათვის. იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირვე-ლად ბაზარზე იყიდება ახალგა-მოშვებული, ემიტირებული ფასი-ანი ქაღალდები. როგორც წესი, ფირმა-ემიტენტი თავის ფასიან ქა-ღალდებს ავრცელებს ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტე-ბის შუამავლობით ხელმოწერის საფუძველზე (ღია ტიპის აქციო-ნერული საზოგადოება) ან აქ-ციონერ-დამფუძნებელთა შეზ-ღუდულ რაოდენობას შორის (დახ-ურული ტიპის აქციონერული საზოგადოება). ფასიანი ქაღალებ-ის ემიტენტი შეიძლება იყოს ნებ-ისმიერი იურიდიული პირი. ფასი-ანი ქაღალდების მეორეულ ბაზ-არზე ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები ვაჭრობენ იმ ფასი-ანი ქაღალდებით, რომლებიც ერთხ-ელ უკვე გაყიდეს მათმა ემიტენ-ტებმა. ინვესტორები არიან რო-გორც ფიზიკური, ისე იურიდიუ-ლი პირები და სახელმწიფო. შუა-მავალთა ძირითადი კატეგორიე-ბია ბროკერები, დილერები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები, აგრეთ-ვე საკრედიტო ინსტიტუტები. მაგ., ანგლოამერიკულ სისტემაში, რო-გორც წესი, ბანკები განსაკუთრე-ბული სახის (სადაზღვევო, საპენ-სიო) ფასიანი ქაღალდებით ვაჭ-რობენ. მეორეულ ბაზარზე მოთხ-ოვნისა და მიწოდების გავლენით დგინდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი (კურსი). მეორეუ-ლი ბაზარი იყოფა საბირჟო და ბირჟისგარეშე (ფინანსური აქტივე-ბით ვაჭრობა „დახლზე“) ბაზრე-ბად.

ქვეყნის საბირჟო სისტემა შე-იძლება იყოს **მონოცენტრული** (ერთი მსხვილი ბირჟა, მაგ., დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში), **პო-ლიცენტრული** (რამდენიმე მსხ-ვილი ბირჟა, მაგ., კანადაში, გერ-მანიაში, ავსტრალიაში), **გარდა-მავალი** (ერთი უმსხვილესი და რამდენიმე ნაკლებად მსხვილი ბირჟა, მაგ., აშშ-ში, იაპონიაში).

ბირჟების რაოდენობის რეგლა-მენტირება ხდება სახელმწიფოს მიერ. ბირჟისგარე ბაზარზე ძირი-თადად მიმოიქცევა ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა კოტირებაც საფონდო ბირჟაზე არ ხდება, მაგ., თითქმის ყველა ბანკის (ცენტრა-ლურის გარდა) და სადაზღვევო კომპანიების აქციები, ყველა სახელ-მწიფო და მუნიციპალური ობლი-გაცია და სხვ. აქ ფასი ყალიბდე-ბა სახელშეკრულებო გზით. დილე-რის შემოსავალი დგინდება, რო-გორც ყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობა. ბირჟის გარე ბა-ზარზე შესაძლებელია ბროკერისა და დილერის ფუნქციების შეთ-ავსება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და მთლიანად მთელი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორია აქციების კურსის ინდექსები. არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ინდექსი. მაგ., აშშ-ში ყველაზე ცნობილია დოუ-ჯონსის ინდექსი.

ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი (securities depositary) [<ფრანგ. depositare-დეპოზიტორი, შემნახველი] - ორგანიზაცია, რომელიც ინახავს ფასიან ქაღალდებს კლიენტის დავალებით და ახდენს მათი უფლების რეალიზაციას ამ ქაღალდებით. დეპოზიტარიუმს, გარდა ფიზიკური ფორმით (რომელიც მიმოიქცევა ბაზარზე სერტიფიკატის სახით) გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისა, შეუძლია ემიტენტთან სპეციალური შეთანხმებით რეგისტრაციაში გაატაროს ის ფასიანი ქაღალდებიც, რომლებიც მათი გამოშვების პირობების მიხედვით არ ფორმდება, ანუ ისეთები, რომლებზეც საკუთრების უფლება დადასტურებულია სპეციალურ რეესტრში. ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი კლიენტს უხსნის სპეციალურ ანგარიშს, რომელშიც ფიქსირებულია მისი კუთვნილი ფასიანი ქაღალდები, ხოლო კლიენტი იღებს ანგარიშის ამონაწერს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ადასტურებს კლიენტის ფასიანი ქაღალდების შენახვისა და აღრიცხვის ფაქტს ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმში, მაგრამ თვით ფასიანი ქაღალდები არ არსებობს, არ მიმოიქცევა ბაზარზე. გარდა ამ ფუნქციებისა, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი ახორციელებს საინკასო ოპერაციებს ემიტენტებთან და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს შორის ანაწილებს პროცენტების, დივიდენდების, გასანაღდებელი ობლიგაციების და ა.შ. თანხას (ფასიანი ქაღალდების „მომსახურების“ ფუნქცია). იგი ახდენს ერთი კლიენტისაგან მეორისათვის ფასიანი ქაღალდების გადაცემის ფაქტის რეგისტრაციას, შესაბამისად ჩამოწერს მათ ერთი ანგარიშიდან და ჩარიცხავს მეორეზე. ასეთი სახის ანგარიშსწორებისას ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების ფიზიკური მოძრაობა ქაღალდების დეპოზიტარიუმის ფარგლებში არ ხდება. აღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია თავის თავზე აიღოს იმ ტექნიკური ფუნქციებისა და პროცედურების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლისგან განთავისუფლებაც დიდად უმსუბუქებს დატვირთვას ინვესტორებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალებს. მომსახურების ეს სახეობა დიდად გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში, რის გამოც ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი ნაწილი ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმშია „ჩაწოლილი“. ამ პროცეს-

მა საზღვარგარეთ „მობილიზაციის“ სახელწოდება მიიღო.

ფასიანი ქაღალდების კურსის ინდექსი (index of securities) – კოტირების ინდექსი – უმნიშვნელოვანესი აქციების კურსების საშუალო მაჩვენებელი ბირჟაზე, რომელიც უმეტესწილად მსხვილი კომპანიების კურსების მიხედვით გაიანგარიშება. უმარტივესი ფორმით იგი ფასიანი ქაღალდების შერჩეული ჯგუფის კურსების ჯამის შერჩეული გამოშვების რაოდენობაზე გაყოფით გაიანგარიშება.

ფასის(გარიგების) ვალუტა (bargain currency) - ვალუტა, რომლითაც დგინდება ფასი საგარეო-სავაჭრო კონტრაქტებში.

ფასის ეფექტი (price effect) - საქონელზე მოთხოვნის ცვლილება მისი ფასის ცვლილების შედეგად. იგი შედგება შემოსავლისა და შენაცვლების ეფექტებისაგან.

ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია (price balancing function) - საბაზრო სისტემაში წარმოების „მბრძანებელ-განმკარგულებელი“ არის მომხმარებელი. ეკონომიკის თვითრეგულირება ფასისმიერ მექანიზმზეა დამოკიდებული. როდესაც ბაზარზე მომხმარებლები რაიმე არაფასისმიერი ფაქტორის ზეგავლენით შეიცვლის შეძენის სურვილს, ეს მაშინვე დაეტყობა საქონლის ფასს, ვინაიდან ფასი, ფაქტობრივად, მოთხოვნის მოცულობაა. მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად ფასი აიწევს ან დაიწევს. ბაზარზე ფასის ცვლილებებიდან გამომდინარე, მწარმოებლები ცვლიან წარმოების სტრუქტურას. საბაზრო სისტემის უნარს, **მიანიშნოს მწარმოებლებს მოთხოვნის ცვლილებაზე და გამოიწვიოს მათი შესაბამისი რეაქცია, ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია ეწოდება.**

ფასისმიერი დისკრიმინაცია (price discrimination) - არსებობს ფასისმიერი დისკრიმინაციის ორი ძირითადი ფორმა: პირველი გულისხმობს კომპანიების ისეთ პრაქტიკას, როცა მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისათვის განსხვავებული ფასები წესდება, მეორე გულისხმობს ერთი მომხმარებლისათვის განსხვავებული ფასების დაწესებას ერთი და იმავე საქონლის სხვადასხვა ერთეულზე. პირველ შემთხვევაში, როცა მომხმარებელთა თითოეულ ჯგუფს აქვს განსხვავებული მოთხოვნის ფასისმიერი ელასტიკურობა, ფირმას შეუძლია მომხმარებელთა თითოეული ჯგუფისგან მიღებული ზღვრული შემოსავლების გათანაბრების გზით მიიღოს მეტი მოგება, ვიდრე თანაბარი ფასების პირობებში. მეორე შემთხვევაში ფირმამ იდეალში უნდა ამოიღოს მთლიანად სამომხმარებლო ნამატი ანუ მიიღოს ფასისმიერი დისკრიმინაციის დამატებითი სარგე-

ბლობა, რომელიც მომხმარებელს შეეძლო მიეღო იმ შემთხვევაში, თუ საქონელს მუდმივი ფასით შეიძენდა. ეს მიიღწევა პროდუქციის თითოეულ ერთეულზე იმ მაქსიმალური ფასის ტოლი ფასის დაწესებით, რომლის გადახდისთვისაც მომხმარებელი მზადაა მოთხოვნის შესაბამისად. ამ გზით ფირმას შეუძლია მიითვისოს მთელი სამომხმარებლო ნამატი. ფასისმიერი დისკრიმინაციის ეს ფორმა მოითხოვს ყოველი მომხმარებლის მოთხოვნის მრუდის ზუსტ ცოდნას, ამიტომ იგი არასდროს არ გამოიყენება ზემოთ აღწერილი ფორმით. ასეთი დისკრიმინაციის უფრო გავრცელებული ფორმაა გაზისა და ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიერ გამოყენებული ორი ნაწილისგან შედგენილი ტარიფი, რომლის დროსაც ყიდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქსელში ჩართვის უფლებისათვის რენტის გადახდის შემდეგ. ასეთი რენტული გადასახდელით ხელში იგდებენ სამომხმარებლო ნამატის ნაწილს.

ფასწარმოქმნა (price formation) - საქონლისა და მომსახურების ფასების ჩამოყალიბების პროცესი. განასხვავებენ **საბაზრო** და **სახელმწიფო (ცენტრალიზებულ) ფასწარმოქმნას.**

საბაზრო ფასწარმოქმნა ხორციელდება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო ფასწარმოქმნა — სახელმწიფო ორგანოების მიერ ფასების დაწესებით.

ფაქტორინგი (factoring აგენტი, შუამავალი) - სავაჭრო-საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობა, შერწყმული კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, რომლის დროსაც სპეციალიზებული კომპანია — ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის დებიტორულ დავალიანებას, რათა შემდეგში გადაახდევინოს იგი მევალეს. უფრო ხშირად ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის ანგარიშ-ფაქტურას იმ პირობით, რომ მიწოდების ღირებულების 20%-მდე გადაიხადოს დაუყოვნებლივ, დარჩენილი ნაწილი (კრედიტისათვის პროცენტის გამოკლებით) — მკაცრად დადგენილ ვადაში. საფაქტორინგო მომსახურების ღირებულება დამოკიდებულია მის სახეზე, ოპერაციის მოცულობაზე, საგადასახადო ვალდებულებათა ხარისხზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, ფაქტორინგი აღიარებულია კლიენტის მომსახურების უნივერსალურ ფორმად. კლიენტი ფაქტობრივად ინარჩუნებს მხოლოდ წარმოებრივ ფუნქციას. ამის შედეგად დაზოგილი ფულადი სახსრები ხმარდება საფაქტორინგო მომსახურების ამაღლების ანაზღაურებას. კლიენტი მიღებულ კრედიტზე პროცენტის გარ-

და იხდის საკომისიოს წლიური საბრუნავი თანხის 0,75-4%-ის ოდენობით. ფაქტორინგი აჩქარებს კლიენტის კაპიტალის ბრუნვას და აფართოებს საბანკო კრედიტის მიზიდვის შესაძლებლობებს.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მოკლევადიან დაკრედიტებასა და საშუამავლო კომერციულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ფაქტორინგი. ფაქტორ-კომპანია ათავისუფლებს ექსპორტიორს საკრედიტო რისკისაგან (განსაკუთრებით — აუთვისებელ ბაზრებზე) და, აქედან გამომდინარე, კრედიტის დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

ფაქტორ-კომპანია (factor-company) - კომპანია, რომელიც სპეციალიზებულია ფაქტორინგის ოპერაციებზე. გარდა საკრედიტო მომსახურებისა, ფაქტორ-კომპანიები ეწევიან საბუღალტრო, საკონსულტაციო, სარეკლამო, საინფორმაციო, სადაზღვევო, იურიდიულ და ა.შ. მომსახურებას.

ფაქტორული შემოსავალი (factor income) - შემოსავალი, მიღებული წარმოების ფაქტორების გამოყენების გზით რენტის, ხელფასის, სარგებლისა და მოგების სახით.

ფაქტურა (invoice, bill) [<ლათ. factura გადამუშავება, შედგენილობა] - გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი და საქონლის ან მომსახურების და მათი ღირებულების ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ანგარიში.

ფედერალური ბიუჯეტი (federal budget) - სახელმწიფო ბიუჯეტი ფედერაციული სახელმწიფო მოწყობის ქვეყნებში (აშშ, გფრ, შვეიცარია და სხვ.).

ფედერალური სარეზერვო სისტემა (Federal Reserve System) – შედგება სამი ნაწილისგან: I. ფედერალური სარეზერვო ბანკი, თავიანთი რეგიონული ბანკებით; II. მმართველთა საბჭო 7 წევრით, რომელთაგან ერთი ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარეა; III. ფედერალური ღია ბაზრის კომიტეტი, 12 წევრით, რომელთაგან ხუთი ფედერალური სარეზერვო რეგიონული ბანკის პრეზიდენტია, ხოლო დანარჩენი შვიდი — მმართველთა საბჭოს წევრი.

ფედერალური სარეზერვო სისტემის უფლებამოსილება 1978 წელს კონგრესის მიერ ჰემფრი – ჰოუკინსის კანონით განისაზღვრა. 2000 წელს კანონის მოქმედების ვადა ამოიწურა, თუმცა, კონგრესი მის განახლებას არ ჩქარობს.

ფედერალური სარეზერვო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკია. მისი ბიუჯეტი კონგრესის ზედამხედველობას არ ექვემდებარება.

ფერმერული მეურნეობა

(farm enterprise) - ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც მეურნეობას ეწევა საკუთარ ან არენდით აღებულ მიწაზე.

ფიდუციალური ფული (fiducial many) – ფული, რომლის უკან მხოლოდ და მხოლოდ ნდობაა და მეტი არაფერი.

ფიზიკური პირი (physical person, individual) - სამართალურთიერთობის მონაწილე.

ფიზიკური საქონელი (physical goods) - რეალური საქონელი, რომელიც, ვადიანი სასაქონლო კონტრაქტის ამსახველი დოკუმენტისაგან განსხვავებით, იძლევა საქონლის მიღების უფლებას.

ფიზიოკრატიზმი (physiocratism) [<ბერძნ. physis ბუნება + kratos ძალაუფლება) - ეკონომიკური მიმართულება, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში. ფიზიოკრატიზმმა შეცვალა მერკანტილიზმი. ფიზიოკრატები (ფ. კენე, ა. ტიურგო, ვ. მირაბო, გ. ლეტრონი, პ. დიუპონ დე ნემური და სხვ.) სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას მიიჩნევდნენ, ხოლო სამიწათმოქმედო შრომას ერთადერთ მწარმოებლურ შრომად თვლიდნენ. ფიზიოკრატებმა, პირველად ისტორიაში, კვლევის სფერო მიმოქცევიდან მატერიალური წარმოების სფეროში გადაიტანეს. მათი დიდი დამსახურება ის არის, რომ სიმდიდრის წყაროს ეძებდნენ არა მიმოქცევის, არამედ წარმოების სფეროში.

ფილიპსის მრუდი (Phillips curve) - ინფლაციური მოთხოვნის მოდელში ასახული მრუდი, რომელიც გამოხატავს ურთიერთკავშირს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის; ფუნქცია, რომელიც ახასიათებს და გრაფიკულად გამოხატავს დამოკიდებულებას უმუშევრობის დონის დინამიკასა (აბსცისის ღერძი) და ფასების დონის დინამიკას (ორდინატის ღერძი) შორის. იგი შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების შემაერთებელი წრფეა. ფილიპსის მრუდი ასახავს უმუშევრობისა და ინფლაციის ალტერნატიულ ურთიერთკავშირს: ინფლაციის მაღალ ტემპს უნდა ახლდეს უმუშევრობის დაბალი დონე და, პირიქით. ამ ორ მაჩვენებელს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების დასაბუთება ცნობილია „ფილიპსის მრუდის“ კონცეფციის სახით და ატარებს ინგლისელი ეკონომისტის, მაკროეკონომიკური თეორიის სფეროში თვალსაჩინო მკვლევრის ა. ვ. ფილიპსის სახელს. ფილიპსის მრუდი გამოხატავს რეალური მეპ-ის პოტენციურიდან გადახრას.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფილიპსის მრუდის გამოყენება შესა-

ძლებელია მხოლოდ მოკლე პერიოდის სიტუაციის რეგულირებისათვის. გრძელვადიან პერიოდში კი მისი გარე ეფექტი საწინააღმდეგოა: უმუშევრობის მაღალი დონის მიუხედავად, ინფლაცია ღრმავდება, ინფლაციის გადიდებას კი თან ახლავს უმუშევრობის ზრდა.

ფინანსები (finance) - ფინანსური ურთიერთობების და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მიზანდასახულ წარმოქმნასა, განაწილებასა და გემოყენებასთან. მოიცავს, ერთი მხრივ — შინამეურნეობებისა და ფირმების ფინანსებს, მეორე მხრივ — სახელმწიფო ფინანსებს.

ფინანსური კაპიტალი (financial capital) - ლიკვიდური აქტივები, რითაც იგი განსხვავდება მისი ფიზიკური აქტივებისგან. კომპანია შეიძლება ფლობდეს სხვადასხვა სახის ფინანსურ კაპიტალს. ძირითადად განასხვავებენ აქციონერულ და სასესხო ფინანსურ კაპიტალს.

ფინანსური ლიზინგი (financial lease) - მანქანებისა და მოწყობილობების არენდა 10-დან 15 წლამდე ვადით და არენდის პერიოდში მათი სრული ამორტიზაციით.

ფირმა (firm) (იტალ. firma) — ბიზნესის აბსტრაქტული ერთეული, მეწარმეობის ყველაზე ზოგადი სახელწოდება, მისი სიდიდის, ორგანიზაციული თუ საკუთრების ფორმის მიუხედავად. არსებობს ფირმის სამი სახე: 1. **ერთპიროვნული**; 2. **პარტნიორული**; 3. **კორპორაციული.** ფირმების უმეტესი ნაწილი შექმნილია ერთპიროვნული საკუთრების საფუძველზე, ხოლო პროდუქციის ძირითად მასას კორპორაციები აწარმოებენ. მაგ., აშშ-ში ერთპიროვნულ ფირმებზე მოდის ფირმების მთელი რაოდენობის 77%, პარტნიორულზე — 8%, ხოლო კორპორაციებზე — 15%, მაშინ როდესაც კორპორაციები ქმნიან მთლიანი ეროვნული პროდუქტის 85%-ს, ხოლო ერთპიროვნული ფირმები — მხოლოდ 10%-ს.

ფირმის თეორია (theory of the firm) - მიკროეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხსნის ფირმის ქცევას და ახდენს მისი საქმიანობის პროგნოზირებას, განსაკუთრებით ფასწარმოქმნასა და პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით. იგი განიხილავს აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა წარმოების ტექნოლოგიის შერჩევა, სარეკლამო საქმიანობა, პროდუქციის განახლება, საინვესტიციო და სადივიდენდო პოლიტიკა და ა.შ.

ფირმის ლიკვიდური სახსრები (liquidity assets) - სახსრები, რომელიც შედგება ნაღდი

ძლებელია მხოლოდ მოკლე პერიოდის სიტუაციის რეგულირებისათვის. გრძელვადიან პერიოდში კი მისი გარე ეფექტი საწინააღმდეგოა: უმუშევრობის მაღალი დონის მიუხედავად, ინფლაცია ღრმავდება, ინფლაციის გადიდებას კი თან ახლავს უმუშევრობის ზრდა.

ფინანსები (finance) - ფინანსური ურთიერთობების და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მიზანდასახულ წარმოქმნასა, განაწილებასა და გემოყენებასთან. მოიცავს, ერთი მხრივ — შინამეურნეობებისა და ფირმების ფინანსებს, მეორე მხრივ — სახელმწიფო ფინანსებს.

ფინანსური კაპიტალი (financial capital) - ლიკვიდური აქტივები, რითაც იგი განსხვავდება მისი ფიზიკური აქტივებისგან. კომპანია შეიძლება ფლობდეს სხვადასხვა სახის ფინანსურ კაპიტალს. ძირითადად განასხვავებენ აქციონერულ და სასესხო ფინანსურ კაპიტალს.

ფინანსური ლიზინგი (financial lease) - მანქანებისა და მოწყობილობების არენდა 10-დან 15 წლამდე ვადით და არენდის პერიოდში მათი სრული ამორტიზაციით.

ფირმა (firm) (იტალ. firma) — ბიზნესის აბსტრაქტული ერთეული, მეწარმეობის ყველაზე ზოგადი სახელწოდება, მისი სიდიდის, ორგანიზაციული თუ საკუთრების ფორმის მიუხედავად. არსებობს ფირმის სამი სახე: 1. **ერთპიროვნული**; 2. **პარტნიორული**; 3. **კორპორაციული.** ფირმების უმეტესი ნაწილი შექმნილია ერთპიროვნული საკუთრების საფუძველზე, ხოლო პროდუქციის ძირითად მასას კორპორაციები აწარმოებენ. მაგ., აშშ-ში ერთპიროვნულ ფირმებზე მოდის ფირმების მთელი რაოდენობის 77%, პარტნიორულზე — 8%, ხოლო კორპორაციებზე — 15%, მაშინ როდესაც კორპორაციები ქმნიან მთლიანი ეროვნული პროდუქტის 85%-ს, ხოლო ერთპიროვნული ფირმები — მხოლოდ 10%-ს.

ფირმის თეორია (theory of the firm) - მიკროეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხსნის ფირმის ქცევას და ახდენს მისი საქმიანობის პროგნოზირებას, განსაკუთრებით ფასწარმოქმნასა და პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით. იგი განიხილავს აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა წარმოების ტექნოლოგიის შერჩევა, სარეკლამო საქმიანობა, პროდუქციის განახლება, საინვესტიციო და სადივიდენდო პოლიტიკა და ა.შ.

ფირმის ლიკვიდური სახსრები (liquidity assets) - სახსრები, რომელიც შედგება ნაღდი

ფულის, ფასიანი ქაღალდების, ბანკებში ანგარიშზე არსებული რესურსებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგის ზოგიერთი ელემენტისაგან.

ფისკალური გადასახადი (fiscal tax) - საბაჟო გადასახადი, დადგენილი უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსების მიზნით; როგორც წესი, იბეგრება ის სამომხმარებლო საქონელი, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში არ აწარმოებენ.

ფისკალური პოლიტიკა (fiscal policy) - საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს გადასახადებითა და სახელმწიფო ხარჯებით ეკონომიკური აქტიურობის დონის რეგულირებას. თუ უმუშევრობის დონე დაუშვებლად მაღალია, უნდა შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისათვის. ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია გადასახადების ოდენობასა და მულტიპლიკატორზე. ეკონომიკური აქტიურობის დონე იზრდება სიდიდით, რომელიც ტოლია ხარჯების ცვლილება გამრავლებული მულტიპლიკატორზე. რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებს, იგი არ უნდა აღემატებოდეს **მშპ**-ის 40%-ს (მ. ფრიდმენი). თუ სახელმწიფო ხარჯები დაუსაბუთებლად იზრდება, მაშინ იგი დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა.

ფიუჩერული გარიგება (futures) - გარიგების სახე საქონლის ან საფონდო ბირჟაზე, გულისხმობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების წინასწარ შესყიდვას. ფიუჩერული გარიგების პირობა ითვალისწინებს საქონლის (ფასიანი ქაღალდების) რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

ფიქსირება (fixation) [<ლათ. fixus მყარი, მტკიცე, უცვლელი] - დადგენა, განსაზღვრა ფასის, კურსის, განაკვეთის და ა.შ.

ფიქსირებული (fixed) - წინასწარ განსაზღვრული ფასი, კურსი (ასევე, განაკვეთი და ა.შ), რომელიც ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ იცვლება.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი (fixed exchange rate) - სისტემა, რომლის დროსაც ეროვნული ვალუტის თანაფარდობა უცხოურთან ოფიციალურად დადგენილი და უცვლელია.

ფიქციური კაპიტალი (fictitious capital) - კაპიტალი (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.), რომელიც, რეალური კაპიტალისაგან (ფულის ან მოწყობილობის) განსხვავებით, გულისხმობს მხოლოდ შემოსავლის მიღების უფლებას.

ფიშერი ირვინგ (1867-1947) (Fisher Irving) - გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი, რომელსაც შუმპეტერმა 1948 წელს უდიდე-

სი მეცნიერ-ეკონომისტი უწოდა. მან სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო როგორც მათემატიკოსმა, შემდეგ გადაერთო ეკონომიკურ თეორიაზე. ის იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი ეკონომეტრიკული საზოგადოების შექმნისა და გახდა მისი პირველი პრეზიდენტი 1930 წელს. მისი ნაშრომები გამოირჩევა მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების გზების ძიებით. ფიშერის აზრით, **თეორია სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამოყენებითი მნიშვნელობისაა.** მან დიდი წვლილი შეიტანა კაპიტალის, სარგებლისა და ფულის თეორიების კვლევის სფეროში. ფიშერის ცნობილი ნაშრომებია: „კაპიტალისა და შემოსავლის ბუნება“ (1906), „ფულის მსყიდველობითი უნარი“ (1911), „სარგებლის თეორია“ (1930) და ა.შ.

ფიშერი აღიარებულია თანამედროვე ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად. მათემატიკური მეთოდის მოშველიებით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები — მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირ-პროპორციული. მან გამოიკვლია ურთიერთდამოკიდებულება ფულის მასასა და საქონლის ფასების დონეს შორის. ცნობილია ფიშერის გაცვლის ფორმულა, რომელიც ასახავს საქონლის შესაძენად გადახდილი ფულის რაოდენობასა და გაყიდული საქონლის ფასებს შორის ტოლობას:

$$MV=EPQ,$$

სადაც, **M** ფულის საშუალო რაოდენობაა, რომელიც მიმოიქცევა წლის განმავლობაში, **V** - ფულის ბრუნვის საშუალო რიცხვი, **E** - ფულის ის რაოდენობა, რომელიც დახარჯულია მოცემულ საზოგადოებაში საქონლის შესაძენად განსაზღვრულ წელს, **P** - ცალკეული საქონლის საშუალო გასაყიდი ფასი, **Q** - ყველა გაყიდული საქონლის რაოდენობა.

ფიშერის განტოლება (Fisher equation) - განტოლება, რომელიც გვიჩვენებს, რომ სარგებლის ნომინალური განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს სარგებლის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის ცვლილების საფუძველზე. ფორმულით გამოისახება ასე: **i = r + n**, სადაც **i** სარგებლის ნომინალური განაკვეთია, **r** - სარგებლის რეალური განაკვეთი, ხოლო **n** - ინფლაციის ტემპი. ატარებს ამერიკელი ეკონომისტის ირვინგ ფიშერის სახელს. ფიშერის განტოლების თანახმად, ინფლაციის ტემპის 1%-ით გაზრდა იწვევს სარგებლის ნომინალური განაკვეთის გადიდებას 1%-ით. ინფლაციის ტემპსა და სარგებლის ნომინალურ განაკვეთს შორის ამ

თანაფარდობას ფიშერის ეფექტი ეწოდება.

ფიშერის ეფექტი (Fisher's effect) - სარგებლის ნომინალური განაკვეთის ცვლილება ინფლაციის ტემპის ცვლილების შესაბამისად, თანაფარდობით „ერთი ერთთან".

ფლობადი შემოსავალი (disposable income) - შემოსავალი, რომელსაც ფლობენ ეკონომიკური სუბიექტები და იყენებენ ხარჯებისა და დანაზოგებისათვის. განისაზღვრება როგორც სხვაობა შემოსავლებსა და პირდაპირ გადასახადებს შორის.

ფობ-ი ("Free on Board"-FOB „თავისუფლად გემზე") - საქონლის გაყიდვის საბაზისო პირობა საზღვაო გადაზიდვისას საერთაშორისო ვაჭრობაში, რომლის მიხედვითაც ექსპორტიორი ვალდებულია, თავისი ხარჯით დროულად გადაიტანოს საქონელი იმპორტიორის მიერ დაფრახტულ გემზე და გადასცეს მას კონოსამენტი. საქონლის დაზღვევა იმპორტიორის ვალდებულებებში შედის.

ფორვარდი (forward) - ანგარიშსწორება სავალუტო ან სხვა სახის გარიგებისას ხელშეკრულების დადებიდან 1-3 და მეტი თვის შემდეგ, ხელშეკრულების დადებისას დათქმული (პროგნოზებზე დაფუძნებული) კურსის მიხედვით.

ფორვარდული ბაზარი (forward market) - ნებისმიერი გარიგება, დაკავშირებული საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან კონტრაქტით შეთანხმებული ფასით განსაზღვრული დროისთვის მომავალში.

ფორვარდული ვალუტის ბაზარი (forward exchange market) - ბაზარი, სადაც უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხდება მოცემულ მომენტში არსებული კურსით, ხოლო ამ ვალუტის მიწოდება — მომავალში დადგენილი თარიღის მიხედვით.

ფორფეიტინგი (forfeiting) - საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) დაკრედიტება მსხვილი ბანკების ან საფინანსო კომპანიების მიერ ექსპორტიორისაგან გადასაპირებელი თამასუქის ან სხვა საგადასახადო ვალდებულებების ყიდვის გზით რეგრესის უფლების გარეშე, ე.ი. თამასუქის მყიდველი თავის თავზე იღებს საკრედიტო რისკს (გადაუხდელობის მთელ რისკს) და არ შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

ფორფეიტორი (forfeitor) - ბანკი ან საფინანსო კომპანია, რომელიც ექსპორტიორისაგან ყიდულობს გადასაპირებელ თამასუქს გარკვეული დისკონტით.

ფრანკო (free, franco) [<იტალ. franco] - საქონლის მიწოდების საბაზისო პირობა ვაჭრობაში. ხელ-

შეკრულების თანახმად, გამყიდველი მყიდველს ათავისუფლებს ტრანსპორტირების ხარჯებისაგან გზის გარკვეულ მონაკვეთზე.

ფრანშიზა (franchise) [<ფრანგ. franchise შეღავათი, უპირატესობა] - სადაზღვევო ხელშეკრულების პირობა. ითვალისწინებს დამზღვევის განთავისუფლებას ზარალის ანაზღაურებისაგან, რომელიც განსაზღვრულ სიდიდეს არ აღემატება.

ფრანჩაიზერი (franchisor) - მსხვილი მეთაური კომპანია, რომელიც მცირე საწარმოს — ფირმა-ოპერატორს აძლევს ლიცენზიას საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს საკუთარი სავაჭრო მარკებით სარგებლობისათვის.

ფრანჩაიზინგი (franchise) - სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველზეც მსხვილი ცნობილი ფირმა განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურავს მცირე, დამოუკიდებლად მოქმედ ან ახალშექმნილ საწარმოს, რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს სავაჭრო მარკებით სარგებლობის უფლების მინიჭებაში. სახელშეკრულებო ურთიერთობა მათ შორის აგებულია შემდეგნაირად: მეთაური კომპანია საწარმოო ოპერატორისაგან მოითხოვს ერთდროულ თავდაპირველ გასამრჯელოს ბაზარზე მისი სახელით მოქმედების უფლებისათვის. რაც შეეხება კაპიტალდაბანდებას, იგი ხორციელდება როგორც მეთაური კომპანიის მიერ ძირითადი კაპიტალის ფირმა-ოპერატორისთვის არენდით გადაცემის გზით, ისე ამ უკანასკნელის საკუთარი ან ნასესხები საშუალებით. მეთაურ კომპანიას შეუძლია წვრილ მეწარმეს მისცეს კრედიტი 2-3 წლის ვადით, აიღოს მისთვის სესხი ბანკში ან იყოს მისი თავდები სესხის აღებისას. გარდა ამისა, ფრანჩაიზერი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულ საწარმოებს უწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ დახმარებას, აძლევს რეკომენდაციებს სავაჭრო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და სხვ. თავის მხრივ, ფირმა-ოპერატორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხისათვის, სავაჭრო მარკის რეპუტაციისათვის და ა.შ.

ფრახტი (freight) [გერმ. Fracht] - 1. ქირა, რომელსაც ტრანსპორტის მფლობელს უხდიან წყალსავალი ტვირთის გადაზიდვისათვის; ფრახტის ანაზღაურებისა და ოდენობის წესი დგინდება მხარეთა შეთანხმებით (საფრახტო ხელშეკრულების გზით); 2. დაფრახტულ (დაქირავებულ) გემ-

ზე გადასაზიდი ტვირთი, აგრეთვე თვით ასეთი გადაზიდვა.

ფრიდმენი მილთონ (1912 – 2006) (Friedman Milton) - ჩიკაგოს სკოლის მთავარი წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (1976). იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი იყო. ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს 1967 წელს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „დაბეგვრა ინფლაციის ალაგმვის მიზნით“ (1943), „ნარკვევები პოზიტიურ ეკონომიკაში“ (1953), „სამომხმარებლო ფუნქციის თეორია“ (1957), „ფასების თეორია“ (1962), „შეერთებული შტატების მონეტარული ისტორია 1867-1960 წლები“ (1963), „ინფლაციის მიზეზები და შედეგები“ (1963) და სხვ.

ფრიდმენი ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის შემუშავების პიონერია, ხოლო მისმა „სამომხმარებლო ფუნქციის თეორიამ“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის ფორმულირებაში. პოზიტიური ეკონომიკის მეთოდოლოგიური დასაბუთებით, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ფორმულირებით, ეკონომიკაში ფულადი ფაქტორების ახლებური გააზრებით ფრიდმენი დაუპირისპირდა კეინზიანელობას და მკაცრად გააკრიტიკა იგი სტაბილიზაციის პოლიტიკაში. მაშინ, როდესაც კეინზიანური ეკონომიკა თავის გამარჯვებას ზეიმობდა, მ. ფრიდმენი და მონეტარული სკოლის სხვა წარმომადგენლები ანგრევდნენ მის საფუძვლებს.

ანა შვარცთან ერთად, ფრიდმენმა დაწერა „აშშ-ის ფულადი მიმოქცევის ისტორია“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფულის რაოდენობრივი თეორიის განვითარებასა და ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის კეინზიანამდელი რწმენის გამოცოცხლებაში. ფიშერის განტოლებაში ისეთი ცვლადების ჩართვით, როგორიცაა სიმდიდრე, სარგებლის განაკვეთი და მოსალოდნელი ინფლაციის ტემპი, ფრიდმენმა განავითარა მონეტარული მიმართულება მაკროეკონომიკაში. ფრიდმენის მიმდევართა შორის გამოირჩევიან მონეტარიზმის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან თ. შულცი, ჯ. სტიგლერი და სხვები.

მონეტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებენ და მოითხოვენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას. ფრიდმენისა და საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და

საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას (სოციალური პროგრამების შეკვეცის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების შემცირების, ხელფასის მინიმალური განაკვეთის „გაყინვის“ გზით), პროფკავშირების შესუსტებასა და ა.შ.

მილთონ ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებები XXI საუკუნის დასაწყისში აისახა თანდათან მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში ხედავენ. ქვეყნის ფულადსაკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. ამაში ფრიდმენის მონეტარული პოლიტიკის ფართომასშტაბიანმა და უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. ასეთ სიტუაციაში სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია. ეს გამოიხატა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გააქტიურებაში, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდასა და გადასახადების შემცირებაში, ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერასა და ა.შ.

„ფრირაიდერის“ პრობლემა (“free rider’s” problem) **-** პრობლემა, რომელიც უკავშირდება შემდეგ სიტუაციას: ხშირად ადამიანი სარგებლობს ისეთი პროდუქტით, რომლის წარმოებისთვისაც მას არავითარი ხარჯები არ გაუღია. ეს პროდუქტი მიეკუთვნება „წმინდა საზოგადოებრივ საქონელს“, რომელიც ყველა მომხმარებლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. მაგ., შუქნიშანი, რომელიც არეგულირებს მგზავრებისა და მანქანების მოძრაობას, მწერების წინააღმდეგ მიღებული ზომები და ა.შ. ყოველივე ამით საზოგადოებას სახელმწიფო უზრუნველყოფს, დაფინანსება კი ხდება გადასახადების აკრეფის გზით.

ფრიტრედერობა (free trade) **-** თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა. ითვალისწინებს საბაჟო შეზღუდვების გაუქმებასა და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლას. საპირისპიროა — პროტექციონიზმი.

ფრიქციული უმუშევრო-

ბა (frictional unemployment) - დროებითი ნებაყოფლობითი დაუსაქმებლობა, რაც დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან, ან კიდევ, დროებითი სამუშაოდან დათხოვნასთან.

ტრადიციულად განიხილება როგორც „უმუშევრობა სამუშაოს ძებნის დროს“ და იმ ვაკანსიების ტოლია, რომელიც არსებობს შრომის ბაზარზე მოცემულ პროფესიებში. იმისთვის, რომ მუშაკმა „იპოვოს“ თავისი სამუშაო, საჭიროა დრო, ამიტომ უმუშევრობა და შეუვსებელი ვაკანსიები ყოველთვის არსებობს ერთდროულად. უკანასკნელ პერიოდში ფრიქციული უმუშევრობის ფორმებად განიხილება **სპეკულაციური** და **მოლოდინის უმუშევრობა.**

სპეკულაციური უმუშევრობა წარმოიქმნება რეალური ხელფასის დროებითი დაცემის შედეგად. ასეთ სიტუაციაში ზოგიერთი მუშაკი, ელოდება რა შრომის ანაზღაურების უფრო მაღალ განაკვეთს, ამცირებს თავის სამუშაო დროის მიწოდებას. ეს მოვლენა განიხილება როგორც პასუხი რეალური ხელფასის დროებით შემცირებაზე.

მოლოდინის უმუშევრობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სამუშაოს ხასიათი ან შრომის ხელშეკრულების ფორმა აიძულებს მუშაკს უარი თქვას შემოთავაზებულ სამუშაოზე სხვა, უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების გამო, რომელზედაც მოწყობა მას შეუძლია უფრო მოგვიანებით.

ფრიში რაგნარ (1895-1973) (Frisch Ragnar) - ნორვეგიელი ეკონომისტი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი (1969) (ი. ტინბერგენთან ერთად) ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენებისათვის. ეკონომეტრიკული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ცნობილია მის მიერ 30-იან წლებში შექმნილი ეკონომიკური ციკლის დინამიკური მოდელი. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ფრიშმა შეიმუშავა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მათემატიკური პროგრამირების მოდელები და ა.შ. მისი ძირითადი ნაშრომებია: „წარმოების თეორია“ (1965), „მაქსიმუმი და მინიმუმი“ (1966) და სხვ.

ფულადი აგრეგატი (monetary aggregate) - ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურას. იხ.: ფული 1 (**M**1); ფული 2 (**M**2); ფული 3 (**M3**); ფული 4 (**M**4).

ფულადი ბაზა (monetary base, high-powered money) - ნაღდი ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, რომელიც მოიცავს საწარმოთა სალაროებში არსებულ ფულს პლუს კომერციული ბანკების რეზერვებს ცენტრალურ ბანკში.

ფულადი მულტიპლიკატორი (money multiplier) - ერთობლივი ფულადი მასის თანაფარდობა საბანკო სისტემის ერთობლივ რეზერვებთან. განსაზღვრავს ორი მაჩვენებელი: 1. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შეფარდება დეპოზიტების ჯამთან; 2. შეჯამებული საბანკო რეზერვების შეფარდება დეპოზიტების ჯამთან.

ფულადი პოლიტიკა (monetary policy) - სახელმწიფოს მიერ ფულის ერთობლივ მიწოდებაში ცვლილებების გატარების პოლიტიკა. ფულის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე „მგრძნობიარე" ელემენტის, მიმოქცევის ეფექტიან რეგულირებასა და ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნას ემსახურება ქვეყნის ფულადი პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, იგი ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის სწორად წარმართვით ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა: ფულზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, ფულის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნება, მიმოქცევის სფეროში ფულადი მასის რეგულირება და კონტროლი, ეროვნული ვალუტის კურსისა და ეკონომიკური ციკლის რეგულირება, ინფლაციის დონის მინიმიზაცია, ინვესტირების სტიმულირება და ა.შ. ამ ამოცანების რეალიზაციის გარეშე ფულადი პოლიტიკა მოწყვეტილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს და ეკონომიკის დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა.

ფულადი რეფორმა (monetary reform) - სახელმწიფო საკანონმდებლო აქტი, მიმართული ქვეყნის ფულადი სისტემის განმტკიცებისაკენ. ფულადი რეფორმის საფუძველზე მიმოქცევიდან იღებენ გაუფასურებულ ქაღალდის ფულს, გამოიცემა ახალი, ანუ არსებული ფულის ნიშნები იცვლება ახალი ფულის ნიშნებით, მისი ნომინალური ღირებულების შენარჩუნებით, ხორციელდება ერთი ფულადი სისტემის მეორეზე გადასვლა და ა.შ.

ფულადი სისტემა (monetary system) - სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქვეყნის ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმა. სახელმწიფო განსაზღვრავს ფულად ერთეულს, ფასების მასშტაბს, მიმოქცევაში ფულადი ნიშნების სახეებს და მათი ემისიის წესს, ფულის უზრუნველყოფის ხასიათს, უნაღდო საგადასახადო ბრუნვის ფორმებს, ეროვნული ვალუტის კურსს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (monetary policy) - ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ახორციელებს ცენტრა-

ლური ბანკი ფულად სისტემაზე კონტროლის გზით მისი ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა ფულადი მასის მოცულობა, საპროცენტო განაკვეთის დონე და სტრუქტურა, აგრეთვე სხვა მაჩვენებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ კრედიტის ხელმისაწვდომობაზე და მიმართულია ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევისაკენ, როგორიცაა დასაქმებისა და ფასების სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდა, საგარეო გადასახდელების ბალანსირება და ა.შ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებია, პირველ რიგში, ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები, ოპერაციები ღია ბაზარზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავ-კარგიანობაზე, იმაზე თუ რამდენად არის იგი მისადაგებული ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან და, აქედან გამომდინარე, როგორ ასრულებს თავის ამოცანებს, ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკური წესრიგის დამყარება ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, ოპტიმალური შეხამების მიღწევის მეტად რთული პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ფულზე ერთიობლივი მოთხოვნა (aggregate demand for money) - მოთხოვნა, რომელიც განპირობებულია საქმიან გარიგებებში ფულის გამოყენებით (ტრანზაქციული მოთხოვნა) და მოთხოვნა, რომელიც განპირობებულია ფულის დაზოგვით, სიმდიდრის დაგროვების სურვილით, ანუ სხვადასხვა ფინანსური სახსრების შესაძენად ფულის გამოყენებით (სპეკულაციური მოთხოვნა).

ფულზე რეალური მოთხოვნა (real money demand) - განისაზღვრება ნომინალური ფულადი მასის შეფარდებით ფასების დონესთან. ფულზე რეალური მოთხოვნის მოცულობის დინამიკას საფუძვლად უდევს სამი ფაქტორი: ა) რეალური შემოსავლების ცვლილება; ბ) ფულის შენახვის ალტერნატიული ხარჯების სიდიდის ცვლილება; გ) ფინანსური ახალშემონაღებები და ცვლილებები რეგულატორებში (მაგ., საკრედიტო ბარათები).

ფული (money) - აქტივების ერთობლიობა, გამოყენებული გარიგებათა დასადებად; აბსოლუტურად ლიკვიდური სახსარი, საყოველთაო ეკვივალენტი, რომელზედაც ხდება ყველა სხვა საქონლის გაცვლა;

ფული 1 (M1) (narrow money) - „ფული ვიწრო გაგებით“- ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული პლუს ანაბრები მოკითხვამდე, საგზაო ჩეკები და სხვა ანგარიშები; ფულის ის ერთობ-

ლივი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება მიმოქცევის საშუალებად და მომსახურებას უწევს მიმდინარე საგადასახდელო ბრუნვას.

ფული 2 (**M**2) (money 2) - ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის **M**1 პლუს წვრილი ვადიანი ანაბრები (არასაჩეკო შემნახველი და მოკლევადიანი დეპოზიტები).

ფული 3 (**M**3) (broad money) - „ფული ფართო გაგებით“ – ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის **M**2 პლუს გრძელვადიანი ანაბრები, აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სერტიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები) და საბიუჯეტო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხა, ბიუჯეტის (სახელმწიფო და ადგილობრივი) სახსრები, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები.

ფული 4 (**M**4) (money 4) - ერთობლივ ფულად მასას – **M**3-ს პლუს ბანკებში შენახული არაფულადი ლიკვიდური სახსრები.

ფულის ბრუნვის სიჩქარე (velocity) - უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ეკონომიკის განვითარების დონესა და ტემპებთან. რაც უფრო მაღალია ფულის ბრუნვის სიჩქარე, მით ნაკლები ფულის მასაა საჭირო **მშპ**-ის მომსახურებისათვის. წარმოების დაბალი დონის პირობებში ფული სწრაფად ბრუნავს მიმოქცევაში, რაც ფასების ზრდის შედეგია: მიმოქცევაში გაშვებული ფულადი მასის სიდიდე ითვლება ფასების სტაბილიზაციის მადომინირებელ ფაქტორად.

საქართველოში ფულის ბრუნვის სიჩქარე, 2007 წლის მონაცემებით, 11-12-ის ფარგლებში იყო, რაც ეკონომიკის დაბალ დონეზე მიუთითებს (თუმცა 2003 წელს 16,3 იყო). 2011 წლის მონაცემებით, იგი 8-მდე ჩამოვიდა. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 1-დან 2,5-ის ფარგლებშია, რუსეთში 8-მდე, ხოლო უკრაინაში 10-მდეა.

ფულის ენდოგენური მიწოდება (endogenous money) - სიტუაცია, რომლის დროსაც მიწოდების დონე განისაზღვრება ისეთი შინაგანი ფაქტორებით, როგორიცაა სარგებლის განაკვეთი და საქმიანი აქტიურობის დონე. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი არავითარ შეზღუდვებს არ აწესებს, მხოლოდ ახორციელებს იმას, რასაც მოითხოვს ბაზარი.

ფულის ერთობლივი მიწოდება (agregate money supply, money stock) - ფულის ის რაოდენობა, რომელიც მომსახურებას უწევს მთელ ეკონომიკას მოცემულ მომენტში. მოიცავს მიმოქცევაში არსებულ ბანკნოტებს, მონეტებს, მოსახლეობის საბანკო დეპოზიტებს და სხვა ფასიან ქაღალდებს.

ფულის თეორიები (theo-

ries of money) - მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ძირითადად ცნობილია მეტალისტური, ნომინალისტური, რაოდენობრივი, კეინზიანური და მონეტარული თეორიები.

მეტალისტური თეორია (სტაფორდი, მენი, ნორსი, კნისი, ლასბურგი, ლექსისი და ა.შ.) ფულს აიგივებს კეთილშობილ ლითონებთან და მათ მიაწერს ფულის თვისებებს. მისმა მოდიფიცირებულმა ფორმამ, ნეომეტალიზმის სახით, XX საუკუნის 50–60-იან წლებში იჩინა თავი, როდესაც რიგი ეკონომისტებისა, როგორიც იყვნენ ჯ. რუეფი (საფრანგეთი), მ. ჰეილპერინი (აშშ) და სხვები გამოვიდნენ ოქროს სტანდარტის აღდგენის იდეით. ისინი, ძველი მეტალისტური თეორიისგან განსხვავებით, აღიარებდნენ ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდნენ ბანკნოტების ოქროზე თავისუფალ გადახურდავებას.

ნომინალისტური თეორია, რომლის ფუძემდებელი არიან ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ბერკლი და შოტლანდიელი ეკონომისტი ჯ. სტიუარტი, ფულს წმინდა საანგარიშო ერთეულად მიიჩნევს და მის ფუნქციებს მხოლოდ ქაღალდის ფულის ფუნქციებით ფარგლავს. გერმანელი ეკონომისტი გ. კნაპი თავის ნაშრომში – „ფულის სახელმწიფო თეორია“ (1905) – განავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ქაღალდის ფულს არავითარი კავშირი არა აქვს ოქროსთან და იგი ფულის უმაღლესი ფორმაა. კნაპის იდეები შემდეგ განავითარეს ჯ. კეინზმა, პ. სამუელსონმა, ტ. კრამპმა, ჯ. ჰოუტრიმ და სხვებმა.

ფულის რაოდენობრივი თეორია XVIII საუკუნეში წამოაყენეს ფრანგმა შ. მონტესკიემ და ინგლისელმა დ. იუმმა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში – დ. რიკარდომ. იგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა, რომლის მიხედვით საქონლის ფასები და ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით. ამასთან, საქონლის ფასები პირდაპირპროპორციულ, ხოლო ფულის ღირებულება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ფულის რაოდენობასთან. დ. იუმის მტკიცებით, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის დაუსაბუთებელი მატება არ ნიშნავს ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, იგი ხელს უწყობს მხოლოდ საქონლის ფასების ზრდას.

ფულის რაოდენობრივი თეორიის შემდგომი განვითარება ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ირვინგ ფიშერის სახელთანაა დაკავშირებული. თავის ნაშრომში „ფულის მსყიდველობითი უნარი“ (1911) იგი იმ დასკვნამდე მივი-

და, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები – მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპროპორციული. ეკონომეტრიკული აპარატის გამოყენებით შექმნილი ფიშერის გაცვლის ფორმულა ასახავს ტოლობას საქონლის შესაძენად გადახდილი ფულის რაოდენობასა და გაყიდული საქონლის ფასების ჯამს შორის.

ამრიგად, ფულის რაოდენობრივი თეორია ფულსა და საქონელს შორის კავშირს მიმოქცევის სფეროს პოზიციებიდან განიხილავს და უარყოფს წარმოების სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომელსაც ძირითადად შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული პირობებით განსაზღვრავს. ამ თეორიის მომხრეა აგრეთვე კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი ა. პიგუ.

ფულის ერთ-ერთი თეორია ჯონ მეინარდ კეინზის სახელთანაა დაკავშირებული და **ფულის კეინზიანური თეორიის** სახელწოდებითაა ცნობილი.

კეინზის პირველი ნაშრომები ფულის პრობლემებს ეძღვნებოდა. 1913 წელს (ინდოეთში მოგზაურობის შემდეგ) მან გამოაქვეყნა წიგნი „თანამედროვე ინდოეთი და ფინანსები“, 1923 წელს – „ფულადი რეფორმა“ და „მოსაზრებები ფრანკის შესახებ“. 1930 წელს ჯ. მ. კეინზმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი ფულის შესახებ“, ხოლო 1936 წელს მსოფლიოში გახმაურებული წიგნი, XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების შედეგი – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“.

კეინზის მოძღვრება ფულის შესახებ ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტია, რომლის მიხედვით, მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა, განსხვავებული ფასებით, იყოფა ორ ნაკადად: სამომხმარებლო დოვლათისა და საინვესტიციო დოვლათის მოძრაობის მომსახურე ნაკადებად, რომელთა ფასების დონე ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული. კეინზის აზრით, სანამ არსებობს უმუშევრობა, დასაქმება იცვლება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ფულის რაოდენობა, ხოლო თუ სრულია დასაქმება, მაშინ ფასები იცვლება იმ პროპორციით, როგორითაც ფულის რაოდენობა.

კეინზი ფულს განიხილავდა როგორც ლიკვიდურ ქონებას. იგი სასესხო სარგებელსა და მის ნორმას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ეკონომიკაში. კეინზი სარგებლის ნორმას განიხილავდა როგორც ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების თეორიაში კეინზი უმუშევრობის მიზეზებს ფულად-საკრედი-

ტო ფაქტორებს უკავშირებდა. მისი აზრით, **არასრული დასაქმების მიზეზი არასაკმაო ეფექტიანი მოთხოვნაა**, რაც ძირითადად განპირობებულია ინვესტიციების უკმარისობით. ამის მიზეზად კი კეინზი სარგებლის მაღალ ნორმას ასახელებდა და ინფლაციისა და სარგებლის განაკვეთის შემცირების მომხრე იყო. იგი ფულად-საკრედიტო სისტემას სახელმწიფო რეგულირების, ქვეყნის კრიზისისგან დაცვისა და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტად განიხილავდა, მაგრამ **წინა პლანზე საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებას აყენებდა**.

ჯ. მ. კეინზის თეორიის გამოძახილი და მისი ანტიპოდია **მონეტარიზმი,** რომელიც წარმოიშვა XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში აშშ-ში. იგი იკვლევს ფულის მრავალწახნაგოვან ასპექტებს და მის გავლენას ეკონომიკაზე. მონეტარული სკოლის წარმომადგენლებმა დიდი წვლილი შეიტანეს კეინზიანური თეორიის დისკრედიტაციაში. თანამედროვე მონეტარული თეორია ძირითადად ეფუძნება „ჩიკაგოს სკოლის“ დამაარსებლის მილთონ ფრიდმენის გამოკვლევებს. კეინზისაგან განსხვავებით, იგი იცავს დებულებას ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების შესახებ, ხოლო ეკონომიკის არასტაბილურობას არამყარი ფულადი სისტემით ხსნის. მონეტარისტებისთვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა, ბაზარია, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. მონეტარიზმი ეკონომიკაში მთავარ როლს ფულს ანიჭებს, ხოლო მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად მიმოქცევაში ფულადი მასის მყარ ზრდას მიიჩნევს, წლიური 3–5%-ის ფარგლებში. მ. ფრიდმენმა, ი. ფიშერის თეორიაზე დაყრდნობით, სიახლე შეიტანა ფულის რაოდენობრივ თეორიაში. მან ნაშრომებში – „ფულის რაოდენობრივი თეორია. ახალი ფორმულირება“, „ფულის მიმოქცევის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1867–1960 წლებში“ (ა. შვარცთან ერთად) დაასაბუთა ფულის ახალი როლი თანამედროვე ეკონომიკაში და ფულად-საკრედიტო რეგულირების პრიორიტეტი ეკონომიკის სტაბილიზაციაში: ნაშრომში – „ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები“ (1971) ფრიდმენი შეეცადა მოეძებნა კავშირი ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის. იგი უდიდეს როლს ანიჭებდა ფულად მასას ფასების დონის განსაზღვრაში. ფრიდმენის აზრით, ფულადი ფაქტორი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეკონომიკის ციკლურ ხასიათზე, ამასთან, ფულის მიწოდებამ

შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალურ მოცულობაში მოკლევადიანი ცვლილებები, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში ფულის მიწოდების ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

მონეტარული თეორიის თანახმად, ფულის მიწოდების სტაბილური გადიდება მთელ ეკონომიკას დააყენებს აღმავლობის რელსებზე, ეკონომიკურ სისტემას კი საშუალებას მისცემს გამოავლინოს თავისი ბუნებრივი დინამიზმი. თუ ეკონომიკა დაღმა წავა, შენიშნავს ფრიდმენი, მაშინ ფულის მიწოდების მუდმივი მატება მოხმარდება საბანკო რეზერვების გადიდებას, ხელს შეუწყობს იმას, რომ ბანკებმა გასცენ სესხები და, ამდენად, ეკონომიკა გამოიყვანონ კრიზისიდან. თუ ქვეყანაში წარმოიქმნება ინფლაციის მოულოდნელი პიკი, მაშინ ფულის მიწოდების მატების უცვლელი კოეფიციენტი თავისებური ლაგამი იქნება ინფლაციის შესაჩერებლად. მ. ფრიდმენის ამ დებულების და, საერთოდ, მიწოდების თეორიის მიმართ სკეპტიციზმს გამოხატავენ რ. ჰაილბრონერი და ლ. თაროუ. მათი აზრით, ფრიდმენის ეს ვარაუდი ფატალურია.

ფულის ესა თუ ის თეორია სხვადასხვა ეპოქასა და დროში აისახა სახელმწიფოების მიერ დადგენილ ქვეყნის ფულად სისტემასა და შესაბამის პოლიტიკაში. მაგალითად, **მეტალისტურმა თეორიამ** პრაქტიკული ასახვა პოვა ღირებულების ფორმების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, როდესაც აღმოცენდა მისი ფულადი ფორმა – ერთიანი საყოველთაო ეკვივალენტი და ეს როლი კეთილშობილმა ლითონებმა – ვერცხლმა და ოქრომ დაიკავა. ეს იყო ბიმეტალიზმის ეპოქა. იგი გავრცელდა XVI-XVIII საუკუნეებში და არსებობდა XIX საუკუნეშიც კი. ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა თანდათან დაიწყეს ოქროს ვალუტაზე გადასვლა, რის გამოც ბიმეტალური ფულადი სისტემა მონომეტალურით შეიცვალა. მაგალითად, აშშ-ში ეს მოხდა 1832 წელს, იაპონიაში – 1897 წელს, გერმანიაში – 1875 წელს, რუსეთში – 1898 წელს, საფრანგეთში – 1878 წელს, ავსტრია-უნგრეთში – 1892 წელს, ბელგიასა და შვეიცარიაში ეს პროცესი განხორციელდა ფაქტობრივად XX საუკუნის დასაწყისში. რაც შეეხება ინგლისს, იქ ეს მოხდა შედარებით ადრე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს.

ნეომეტალისტური თეორია უკავშირდება მსოფლიო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელმაც თავის განვითარებაში ოთხი ეტაპი განვლო. I ეტაპზე, რომელიც იწყება XIX საუკუნის 70-

იანი წლებიდან და გრძელდება პირველ მსოფლიო ომამდე, არსებობდა **ოქრომონეტური სტანდარტი**, რომელიც გულისხმობდა არა მხოლოდ ოქროს მონეტების მოჭრას, არამედ მათზე ღირებულების ნიშნების თავისუფალ გადახურდავებასაც. ოქროს სტანდარტის მეორე ფორმაც – **ოქროზოდური სტანდარტისთვისაც**, რომელიც მოქმედებდა I მსოფლიო ომიდან 30-იან წლებამდე (მსოფლიო სავალუტო სისტემის II ეტაპი), დამახასიათებელი იყო ღირებულების ნიშნების გადახურდავება ოქროს ზოდებზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მეტწილად კოლონიურ ქვეყნებში), ოქროს ფონდის სიმცირის გამო, შემოიღეს **ოქროდევიზური სტანდარტი**, რომელიც ითვალისწინებდა ბანკნოტების უცხოურ ვალუტაზე გადახურდავებას.

„დიდი დეპრესიის“ წლებმა დიდი დარტყმა მიაყენა ოქროს სტანდარტს და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის არსებობას.

მსოფლიო სავალუტო სისტემის III ეტაპზე ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებამ განაპირობა **ოქროსავალუტო სტანდარტის** შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ქვეყნის სავალუტო კავშირების სახელმწიფოთაშორის რეგულირებას. სავალუტო რეზერვს ოქროსთან ერთად წამყვანი ვალუტებიც შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო მექანიზმის განმსაზღვრელი ძირითადად ამერიკული დოლარი გახდა.

ნომინალისტური თეორიის ძირითადი პოსტულატების პრაქტიკული რეალიზაცია უკავშირდება მსოფლიო სავალუტო სისტემის განვითარებაში IV ეტაპის დაწყებას, როდესაც **სსშ**-ის გადაწყვეტილებით (1976) გაუქმდა ოქროს პარიტეტი (1978). იამაიკის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებით მოხდა ოქროს საბოლოო დემონეტიზაცია და იგი გამოვიდა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან. ოქროსავალუტო სტანდარტი **დოლარის სტანდარტით** (SDR) შეიცვალა. მთავარი ვალუტის სტატუსი ამერიკულ დოლარს მიენიჭა. ეს ძირითადად განაპირობა აშშ-ის უდიდესმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და მსოფლიოში მისმა ყველაზე დიდმა ოქროს მარაგმა, რომელიც მსოფლიო მარაგის (35,8 ათასი ტონა) თითქმის მეოთხედია და 8,14 ათას ტონას შეადგენს.

ფულის რაოდენობრივი თეორია ნეოკლასიკური თეორიის საფუძვლადაა აღიარებული, იმ თეორიისა, რომელსაც ნეოკეინზიანური თეორიის შემდეგ წამყვანი როლი ეჭირა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ფულის კეინზიანურმა თეორიამ ეკონომიკური ზრდის კეინ-

ზიანურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა და სათანადოდ აისახა „კეინზიანურ რევოლუციაში“.

ფულის მონეტარულმა თეორიამ, უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გადამწყვეტი როლი შეასრულა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაკროეკონომიკურ რეგულირებაში მონეტარულ თეორიაზე დაფუძნებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „პირველი ვიოლინოს“ ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული, თუმცა, 2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვა მოითხოვა და კეინზის „რეაბილიტაციის“ კონტურები გამოსახა.

მილთონ ფრიდმენმა შეცვალა ჯონ მეინარდ კეინზის ფილოსოფია, ამ უკანასკნელმა კი ადამ სმითის ფილოსოფია. დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, მილთონ ფრიდმენის ფილოსოფიის შეცვლის მოლოდინშია, რომლის კონტურებიც უკვე გამოიკვეთა და ამ ცვლილების გარეშე გართულდება მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე სწორედ მ. ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო.

ფულის მიწოდების რეგულირება (regulation of money supply) - სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ეს ფუნქცია ძირითადად ცენტრალურ ბანკს აკისრია, რომელსაც ეკუთვნის პრიორიტეტული როლი მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რაოდენობის განსაზღვრასა და ფულის ბაზრის ფორმირებაში. ამასთან, ამ პროცესში მთელი საბანკო სისტემა მონაწილეობს.

მიმოქცევაში ფულადი მასის გაკონტროლებისათვის ცენტრალური ბანკი იყენებს ისეთ ძირითად რეგულატორებს, როგორიცაა: ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ცენტრალური ბანკი ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთისა და სავალდებულო რეზერვების ნორმის რეგულირებით, არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს ფულად მიმოქცევაზე, ხოლო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით უშუალო გავლენას ახდენს მასზე.

ფულის მსყიდველობითი უნარი (purchasing power) - ფულადი ერთეულის უნარი, გაიცვალოს საქონლისა და მომსახურების გარკვეულ რაოდენობაზე.

ფულის რაოდენობრივი თეორია (quantity theory of money) - ფულზე მოთხოვნის თეორია, რომლის მიხედვითაც საქონლის ფასების დონე და ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით. ეს თეორია XVIII საუკუნეში წამოაყენა ფრანგმა შ. მონტესკიემ და ინგლისელმა დ. იუმმა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა დ. რიკარდო.

ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი განხილული აქვს ჯ. კეინზს ნაშრომში — „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია". კეინზიანური ვარიანტის მიხედვით, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა იყოფა ორ ნაკადად: „სამომხმარებლო დოვლათის" და „საინვესტიციო დოვლათის" მოძრაობის მომსახურე ნაკადებად, განსხვავებული ფასებით.

კეინზის აზრით, ფულის რაოდენობის მატება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფასებზე მანამ, სანამ არსებობს უმუშევრობა, ვინაიდან დასაქმება იზრდება მოთხოვნის გადიდების პროპორციულად, რაც გამოწვეულია ფულის რაოდენობის ზრდით. ამასთან, სრული დასაქმების პირობებში მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება. ასეთ შემთხვევაში ფულის რაოდენობისა და მოთხოვნის გადიდება ვეღარ გამოიწვევს დასაქმების გაზრდას, მაგრამ გამოიწვევს ფასების ამაღლებას. კეინზმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ფულის რაოდენობრივი თეორია: სანამ არსებობს უმუშევრობა, დასაქმება შეიცვლება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ფულის რაოდენობა, ხოლო თუ სრულია დასაქმება, მაშინ ფასები შეიცვლება იმავე პროპორციით, როგორითაც შეიცვლება ფულის რაოდენობა.

გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი ირვინგ ფიშერი, რომელსაც თანამედროვე ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად თვლიან, თავის ცნობილ ნაშრომში „ფულის მსყიდველობითი უნარი" (1911) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები — მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპროპორციული.

მ. ფრიდმენმა, ი. ფიშერის თეორიაზე დაყრდნობით, ახალი მომენტები შეიტანა ფულის რაოდენობრივ თეორიაში. ნაშრომში „ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები" (1971) იგი შეეცადა მოეძებნა კავშირი კვლავწარმოების პროცესში ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის. მ. ფრიდმენი უდიდეს როლს ანიჭებს ფულად მასას ფასების დონის განსაზღვრაში. მისი აზრით, ფულადი ფაქტორები გადამწყვეტ გავლენას ახდენს **მშპ**-ის დინამიკასა და ეკონომიკის

ციკლურ ხასიათზე.

მონეტარული თეორია გვთავაზობს გაცვლის შემდეგ ფორმულას: **MV=PQ**, სადაც, **M** არის ფულის მიწოდება, **V** - ფულის ბრუნვის საშუალო რიცხვი, **P** - ფასების დონე, **Q** - წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა.

მონეტარული შეხედულების თანახმად, ფულის მიწოდების (**M**) ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალურ მოცულობაში მოკლევადიანი ცვლილებები, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში **M**-ის ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

ფულის ფუნქციები (functions of money) – ფული, თავდაპირველად, ასრულებდა ორ ძირითად ფუნქციას – ღირებულების საზომისა და მიმოქცევის (გაცვლის) საშუალების ფუნქციებს. ამასთან, ისტორიული განვითარების პროცესში ფულმა შეიძინა დაგროვების (დაზოგვის) საშუალების, გადახდის საშუალებისა და მსოფლიო ფულის ფუნქციები. ეს ფუნქციები თანამედროვე პირობებში სხვაგვარად გამოვლინდება, ვიდრე წინათ ვლინდებოდა. მიუხედავად განსხვავებული დანიშნულებისა, ყველა ფუნქცია ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და ფულის არსი სწორედ ამ ფუნქციებით ვლინდება.

თავდაპირველად ფული როდესაც ზოდების სახით იყო, თვით ფლობდა ღირებულებას და ასრულებდა **ღირებულების საზომის ფუნქციას** იდეალური ფულის სახით ანუ გონებით ხდებოდა საქონლის ღირებულების გამოხატვა ოქროთი. ეს შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ რეალურ სინამდვილეში არსებობდა განსაზღვრული თანაფარდობა ოქროს ღირებულებასა და მოცემული საქონლის ღირებულებას შორის. მონომეტალიზმის ეპოქაში საქონლის ღირებულება გამოიხატებოდა ოქროს განსაზღვრული წონითი რაოდენობით. ოქროს დემონეტიზაციამ და ქაღალდის ფულის განვითარებამ გამოიწვია ოქროს ფულის სტატუსის შეცვლა. იამაიკის სავალუტო სისტემის შემოღებით ოქროს მრავალსაუკუნოვანი „ფულადი ისტორია“ წარსულს ჩაბარდა. იგი, როგორც ფული, აღარ ფუნქციონირებს. ოქროს სტანდარტის სრულ ლიკვიდაციას მოჰყვა მისი საყოველთაო შეცვლა ქაღალდის ფულის სტანდარტით. თანამედროვე პირობებში ყველა ფუნქცია ხორციელდება ქაღალდის ფულით (იხ.). თუმცა, იმის გამო, რომ ქაღალდის ფულს საკუთარი ღირებულება არა აქვს, არ შეუძლია შეასრულოს ღირებულების საზომის ფუნქცია. მან შეიძინა **საანგარიშო ერთეულის ფუნქცია**.

ფული, **მიმოქცევის საშუალების ფუნქციის** შესრულებით

საზოგადოებას თავიდან აცილებს ბარტერული გაცვლის ბევრ უხერხულობას. ამ ფუნქციას ქაღალდის ფულთან ერთად ასრულებს: 'არაკეთილშობილი" მონეტები, ვადიანი და უვადო დეპოზიტები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საპრივატიზაციო ჩეკები, მოძრავი და უძრავი ქონება და ა.შ. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფული განმარტებულია როგორც აქტივების ერთობლიობა, გამოყენებული გარიგებათა დადებისათვის.

ფული, როგორც ყველაზე ლიკვიდური აქტივი, სიმდიდრის დაგროვების მოსახერხებელი ფორმაა. ეს გარემოება მას ანიჭებს განსაკუთრებულ ფუნქციას – წარმოადგენდეს **დაგროვების საშუალებას.** ოქროსთან ერთად ქაღალდის ფული ქმნის ფულად ცენტრალიზებულ მარაგს. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციას ახდენენ აგრეთვე ბანკები, ფირმები და ინდივიდუალური პირები.

ფული **გადახდის საშუალების ფუნქციას** ასრულებს საქონლის განვადებით გაყიდვის, გადასახადების გადახდის, სესხების დაფარვის, ხელფასებისა და პენსიების გაცემისა და ა.შ. შემთხვევაში.

მსოფლიო ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობის მომსახურებით, ფული ასრულებს **მსოფლიო ფულის ფუნქციას**. იგი გადახდის საყოველთაო საშუალებაა საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებათა დაფარვისას, ყიდვის საყოველთაო საშუალებაა საზღვარგარეთ საქონლის ნაღდი ფულით შეძენისას და საზოგადოებრივი სიმდიდრის საყოველთაო გამოხატულებაა, მატერიალიზაციაა და მისი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის საშუალებაა სესხებისა და სუბსიდიების სახით. აქედან ყველაზე ფართოდ გამოიყენება ფული როგორც გადახდის საყოველთაო საშუალება. ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობისას ანგარიშსწორება უმთავრესად კლირინგის მეშვეობით ხორციელდება. ვალდებულებათა ურთიერთჩათვლისას წარმოშობილი სხვაობა სრულყოფილი კონვერტირებადი ვალუტით იფარება.

ფულის ღირებულება (value of money) - ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარი; საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ფულის ერთ ერთეულზე.

ქ

ქაღალდის ფული (paper money) - სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშანი, დეკრეტული ფული, რომლის გარანტი თვით სახელმწიფოა. იგი, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული ნაღდი ფულის 90-95%-ს შეადგენს, იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე და დაცულია გაყალბებისაგან.

ქოიავა ნიკოლოზი (1892-1967) (Koiava Nikoloz) - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1933), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). ნ. ქოიავა იყო ერთ-ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, რომელიც პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1918 წელს დატოვა უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის მეცნიერებებში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1920-1923 წლებში ნ. ქოიავა ბერლინისა და იენის უნივერსიტეტებში სწავლობდა. 1923 წელს დაბრუნდა საქართველოში და სიკვდილამდე ემსახურებოდა მშობლიურ უნივერსიტეტს.

ნ. ქოიავა იყო **თსუ**-ის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე (1930-1933; 1937-1967), ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი (1945-1952; 1957-1960; 1966-1967), პრორექტორი (1961-1964). მისი ნაშრომები ეხება ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების საკითხებს. ძირითადი შრომებია: „ისტორიული სკოლა ეკონომიკურ მეცნიერებაში“ (1926); „კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი“. ნაწ. 1, 2. (1956-1960); „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“ (1963); „შრომის იარაღები და პირადი მოხმარების საგნები შ. რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ (1967) და ა.შ.

ქონება (property) - ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მატერიალური ფასეულობა. განასხვავებენ მოძრავ და უძრავ (მიწა და მასზე განლაგებული ობიექტები) ქონებას.

ქონებრივი უფლება (ownership rights) - სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ქონებრივ ურთიერთობებს, უფლებას ქონებაზე. მაგალითად, ნაანდერძევი ქონება, ფირმის ბალანსზე არსებული ქონება და ა.შ.

ქოუზის თეორემა (Coase theorem) - რ. ქოუზის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა (და არსებითად არა თეორემა), რომლის მიხედვით უარყოფითი გარე ეფექტები არ იწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუკი არ არსებობს ტრანსაქციური ხარჯები. თუ მხარეები უდანახარჯოდ შეთანხმდებიან რესურსების განაწილებაზე, მაშინ ისინი გადაჭრიან გარე ეფექტების პრობლემას. განსაზღვრულ პირობებში გარე ეფექტებისა და ბაზრის არასრულყოფილების კორექტირება ხდება დაინტერესებული მხარეების მოლაპარაკების გზით.

„ქრეატიული ქსელი“ (“creative net”) – ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა მენეჯმენტში. იმის გამო, რომ თანამედროვე ბიზნესმა განიცადა დივერსიფიკაცია, შეუძლებელი ხდება ცენტრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება. ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ამის ერთ-ერთი მაგალითია „ქრეატიული ქსელი“. მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული, რომელთა წარმატება ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. „ქრეატიული ქსელი“ ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები (ტრადიციული იერარქიული პირამიდისგან განსხვავებით) გადაწყვეტილების მიღებაში სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ მცირე კომპანიებს, გადასცემენ მათ პროდუქციის ცალკეულ დეტალებს დასამზადებლად და ა.შ.

მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომა სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვისათვის, ახალი პროდუქციის, მომსახურების წარმოებისთვის და სხვ. ამიტომ XXI საუკუნეში „ქრეატიული ქსელის“ განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული მენეჯმენტის წარმატება.

ქრემატისტიკა (chrematistics) - ფულის კეთების, ქონების მოპოვების ხელოვნება. სხვაგვარად, კაპიტალის დაბანდებისა და დაგროვების ხელოვნება. არისტოტელე ქრემატისტიკას უპირისპირებს ეკონომიკას, როგორც ბუნებრივ-მეურნეობრივ საქმიანობას, დოვლათის შექმნის ხელოვნებას.

ქრონიკული ინფლაცია (chronic inflation) - ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია ინფლაციის მაღალი დონე.

ქსენოფონტი (ძვ. წ. V ს.) (Xenophon) - ანტიკური ხანის ბერძენი მოაზროვნე. პირველმა გამოიყენა ტერმინი „ეკონომიკა“, რომელშიც ნაგულისხმევი იყო მონურ შრომაზე დამყარებული შინამეურნეობის გაძღოლის ხელოვნება. ისტორიაში შევიდა შემდეგი ნაშრომებით: „კიროპედია“, „საბერძნეთის ისტორია“, „ოიკონომიკოსი“, „მოგონებანი სოკრატეს შესახებ“ და ა.შ. ფულის ფუნქციებიდან ქსენოფონტი აღიარებდა მხოლოდ მის ორ ფუნქციას: ფულს როგორც მიმოქცევის საშუალებასა და ფულს როგორც განძის დაგროვების საშუალებას.

ქსენოფონტის შემოქმედება საინტერესოა იმითაც, რომ მას აღწერილი აქვს ქართველ ტომთა (მესხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები, კოლხები, სასპერები და ა.შ.) ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რაც მნიშვნელოვან მასალებს იძლევა მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

ღ

ღია ეკონომიკა (open economy) - ქვეყნის ეკონომიკა, რომელსაც გარე სამყაროსთან აქვს ფართო სავაჭრო-ეკონომიკური თუ ფინანსური კავშირები და ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტს. საპირისპიროა - ავტარკია.

მსოფლიო მეურნეობრივ კავშირებში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხს განსაზღვრავს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობა, საექსპორტო კვოტა, აქტიური საგადასახდელო ბალანსი და ა.შ.

ღია ვაჭრობა (open auction) - საერთაშორისო ვაჭრობა, რომელზეც მიწვეულია მონაწილეობის მსურველი ყველა ფირმა და ორგანიზაცია. ჩვეულებრივ, თავს იყრის ასეთი ვაჭრების დიდი რაოდენობა, რაც ამძაფრებს კონკურენციას და შემკვეთებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ღია საზოგადოება (open society) - ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ანრი ბერგსონმა წიგნში – „რელიგიისა და მორალის ორი წყარო“ (1932). ღია საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა შემდეგ განავითარა ცნობილმა ავსტრო-ინგლისელმა ფილოსოფოსმა კარლ პოპერმა წიგნში – „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1966). ა. ბერგსონი ცნობდა ორი ტიპის საზოგადოებას და, შესაბამისად, ორი ტიპის მორალს: „ჩაკეტილსა“ და „ღიას“. მისი აზრით, პირველი აკმაყოფილებს სოციალური ინსტიქტის მოთხოვნილებებს და მიზნად ისახავს მოდგმის გადარჩენას, რომლის პირობებშიც პიროვნება არის კოლექტივის მსხვერპლი, მეორე კი უკავშირდება ზნეობრივ ფასეულობებს, რომელიც მოდგმის გადარჩენის, მისი შენარჩუნების ინტერესებზე მაღლაა. კ. პოპერმა „ღია“, „ჰუმანური“ საზოგადოება დაუპირისპირა „ჩაკეტილ“, „ტოტალიტარულ“ საზოგადოებას. ამ უკანასკნელს იგი, ანტიკუმონისტური პოზიციებიდან, მიაკუთვნებდა სოციალისტურ საზოგადოებას.

ღირებულება (cost, value) - 1. ეკონომიკური ფასეულობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში; იზომება ფულით; 2. შრომითი ღირებულების თეორიის მიხედვით, საქონელში განივთებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა.

ღირებულების პარადოქსი (cost paradox) - წინააღმდეგობა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ადამიანის არსებობისათვის

ერთ-ერთი ყველაზე საჭირო საქონელი, მაგალითად, პური, ბევრად იაფი ღირს, ვიდრე ადამიანის არსებობისათვის გაცილებით ნაკლებად საჭირო საქონელი - მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტი. მეორე მხრივ, თუ მივმართავთ რესურსების შეზღუდულობის პრინციპსა და სარგებლიანობის თეორიას, პურის ნაჭერს შიმშილისაგან მომაკვდავი ადამიანისათვის გაცილებით მეტი სარგებლიანობა აქვს, ვიდრე მუსიკალურ ინსტრუმენტს.

ყ

ყადაღა (sequestration, attachment, arrest) [არაბ. აკრძალვა, აღკვეთა] - ქონების შესაძლო კონფისკაციის, ჩამორთმევის ან გამოყენების შეჩერების აღსრულების მიზნით შესრულებული ღონისძიება. ქონების დაყადაღება შეიძლება აგრეთვე ჯარიმის ან სხვა გადასახდელის გადახდევინების მიზნით კანონით დადგენილი წესით. ქონებას ყადაღას ადებს სასამართლო და კანონით უფლებამოსილი აღმასრულებელი პირი. დაყადაღებული ქონება აღიწერება და შესაბამისად გადაეცემა შენახვაზე პასუხისმგებელ პირს. ქონებაზე ყადაღის ახსნა შეიძლება სასამართლოს განაჩენით ან მომკვლევი პირის დადგენილებით.

ყაირათიანობა (thriftyness) – წარმოების მომჭირნეობით, ეკონომიურად გამოყენება, გეგმურზე ნაკლები დანახარჯებით უკეთესი შედეგის მიღება.

არსებობს ყაირათიანობის პარადოქსი (paradox of thrit). იგი მდგომარეობს შემდეგში: შინამეურნეობები რაც უფრო ყაირათიანები და ეკონომიურები იქნებიან რესურსების გამოყენებაში, მით უფრო დაბალ დონეზე იქნება წარმოება და დასაქმება. ეს პარადოქსი ამტკიცებს მომჭირნეობის (savings) არასასურველობას იმიტომ, რომ მისი გაზრდა შინამეურნეობებში გამოიწვევს მოხმარების შემცირებასა და, მაშასადამე, ერთობლივი მოთხოვნის დაცემას. ვინაიდან ერთობლივი მოთხოვნის დონე განსაზღვრავს წარმოების დონეს და მასთან დაკავშირებულ დასაქმების დონეს, ყაირათიანობის ზრდას შედეგად მოჰყვება წარმოების დაცემა. ამასთან, ეს ეფექტი გაძლიერდება მულტიპლიკატორის მოქმედებით, რომელსაც აქვს ჯაჭვური რეაქციის ძალა.

ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი (sale and purchase contract) - ხელშეკრულება, რომელსაც დებენ კომერციულ საფუძველზე და ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მიწოდებას. მასში დადგენილია მხარეთა გარკვეული უფლებები და მოვალეობები. კონტრაქტში მითითებულია ხელშეკრულების სუბიექტები, საგანი, ფასი, საერთო თანხა, მიწოდების ვადები და პირობები, გამყიდველთა გარანტიები, დაზღვევა, საჯარიმო სანქციები, არბიტრაჟი. საერთაშორისო ვაჭრობაში ამ კომერციული კონტრაქტის დადებისას ფართოდ გამოიყენება მიწოდების საბაზისო პირობები (იხ. **სიფ**-ი, **ფას**-ი, **ფობ**-ი).

ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (International Standart Industrial Classificatoin of All Economic Activities -

ISIC) - ეკონომიკური საქმიანობის კატეგორიების ნაკრები, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფებისათვის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით.

საქმიანობის სახეობა განისაზღვრება იმ წარმოებით, რომელსაც ახორციელებს სტატისტიკური ერთეული. ამ ნიშნით არჩეული ერთეული ჯგუფდება სხვა ერთეულებთან საწარმოთა სტატისტიკაში კვლევის, შერჩევისა და აღწერის ჩასატარებლად. ამიტომ **ISIC** იძლევა დაკვირვების ობიექტების კლასიფიცირების საშუალებას იმ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, რომელსაც ისინი ეწევიან. ამ განსაზღვრებით **ISIC**-ის კატეგორიები მჭიდრო კავშირშია დაკვირვების ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის პროცესთან და ამ პროცესის სტატისტიკური აღწერის მეთოდებთან.

ISIC წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის და არა დარგების ან პროდუქციისა და მომსახურების კლასიფიკაციას.

ISIC გამოიყენება საწარმოთა რეგისტრებში, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, სტატისტიკურ ანგარიშებში, საგადასახადო სამსახურებში, ლიცენზირებაში და წარმოადგენს ბაზას ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის ეროვნული ვერსიების შესაქმნელად.

ყიდვითუნარიანობა (ability) – გამოხატავს ნომინალური ხელფასის რეალურ შინაარსს, გვიჩვენებს, თუ ამ თანხით რა რაოდენობისა და ხარისხის საქონლის (მომსახურების) შეძენაა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საბაზრო ფასებსა და გადასახადების ოდენობაზე.

შ

„შავი ბაზარი“ (black market) - ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ფუნქციონირებადი ბაზარი. ფარული ეკონომიკის ერთ-ერთი ატრიბუტი. როგორც წესი, იმ სფეროებში წარმოიშობა, სადაც სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური საქმიანობის მკაცრი ადმინისტრაციული რეგულირება არსებობს.

შანსი (opportunity) – წარმატების ალბათობა, შესაძლებლობა რაიმეს განხორციელებაზე.

შანტაჟი (chantage) – გამოძალვის ერთ-ერთი სახე. სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარით რაიმე ქონების ან ქონებაზე უფლებისა თუ ქონებრივი გამორჩენის გამოძალვა, ან პრივილეგიის მითვისება (განსაკუთრებით მწვავეა აქციების ყიდვა-გაყიდვის დროს); დანაშაული, რომელიც რაიმე სარგებლის მიღების მიზნით მხილების მუქარაში, სამარცხვინო მონაცემების გახმაურებაში მდგომარეობს.

შედარება (compare) – ამოსავალ მონაცემთა ურთიერთდაპირისპირება საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესწავლის მიზნით.

შედარების აუცილებელი პირობაა ერთგვაროვნება და შესაბამისობა, შესადარის მაჩვენებლებში მათი განზოგადება. ეკონომიკური მოვლენების ერთმანეთთან შედარება მოვლენის ხარისხობრივი დახასიათების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების შედარება ხდება გეგმასთან, წინა წლების საბაზისო პერიოდის, საუკეთესო, საშუალო ან სხვა ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

შევაჭრებითი ფასი (bargaining overprice) - კომერციული მოლაპარაკების მნიშვნელოვანი რგოლი, როდესაც მყიდველი ცდილობს გამყიდველს საქონელზე ფასი დააკლებინოს ტაქტიკური და ფსიქოლოგიური ხერხების, დამაჯერებელი მოსაზრებების მოშველიებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (**შპს**) (limited liability company) - ორგანიზაცია, შექმნილი იურიდიული ან ფიზიკური პირების შეთანხმების საფუძველზე, მათი კაპიტალის გაერთიანების გზით სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. **შპს** უნდა შედგებოდეს არა ნაკლებ ორი წევრისაგან. საზოგადოება იქმნება და მოქმედებს სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და წესდების საფუძველზე, იძენს იურიდიული პირის უფლებას რეგისტრაციის მომენტიდან. დადგენილი წესის თანახმად, შექმნილი წმინდა მოგება საზოგადოების წევრებს შორის ნაწილდება პრო-

პორციულად, საწესდებო ფონდში მათი წილის შესაბამისად. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა მონაწილეთა კრება ან მათი წარმომადგენლები, რომლებსაც წელიწადში ორჯერ ირჩევენ. კრება განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, წესდებაში შეაქვს ცვლილებები, ამტკიცებს გეგმებსა და ანგარიშებს, ირჩევს აღმასრულებელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიის წევრებს.

ᲨᲔᲛᲐᲕᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ (complementary goods) - საქონელი, რომლის ფასის გაზრდა იწვევს მეორე საქონელზე მოთხოვნის შემცირებას.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ (windfall loss) – მოულოდნელი ზარალი, შემოსავლის არაპროგნოზირებული კლება.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (windfall gain) – მოულოდნელი შემოსავალი, შემოსავლის არაპროგნოზირებული მატება.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (income) - ფულადი ან სხვა ფასეულობები, მიღებული კერძო პირების, ფირმებისა და სახელმწიფოს მიერ დროის გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ საქმიანობიდან.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚᲖᲔ (incom per capita) - მშპ ან მეპ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ფართოდ გამოიყენება ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის დასახასიათებლად, თუმცა, ამ მაჩვენებლებმა შეიძლება ვერ მოგვცეს რეალური სურათი, ვინაიდან არ ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების სისტემას და საკუთრების როლს ამ სისტემაში.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ (income and expediture account) – შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა, ბუღალტრული გეგმა, რომელიც გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებისა და დანიშნულებით გასანაწილებლად.

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ (income effect) - საქონლის ფასების ცვლილება ამცირებს ან ზრდის მომხმარებლის რეალურ შემოსავალს. მომხმარებელი რეალური შემოსავლის ცვლილების საპასუხოდ ყიდულობს ნაკლებ (ან მეტ) საქონელს, მათ შორის მასაც, რომელზედაც შეიცვალა ფასი. ამას ეწოდება ფასების ცვლილებით გამოწვეული შემოსავლის ეფექტი.

ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ (substitute good) - საქონელი, რომლის ფასის გაზრდა იწვევს მეორე საქონელზე მოთხოვნის ზრდას.

ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ (mixed economy) - საკუთრების მრავალფორმიანობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც სამეურნეო ორგანიზა-

ცია ეყრდნობა ფასისმიერ სისტემას (ბაზარს), ამასთან, მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და ბაზრის არასრულყოფილების დაძლევისათვის გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმა.

ШЕРЕУЛИ САКОНЕЛИ (mixed goods) - დოვლათი, რომლის გამოყენებით არ შეიძლება სარგებლობას მხოლოდ ერთი ინდივიდი იღებდეს, მაგრამ იგი თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ნებისმიერისათვის. ეს საქონელი მოქცეულია კერძო კონკურენტულ მოხმარებასა (ანუ ერთი ინდივიდის მიერ ასეთი დოვლათის მოხმარება გამორიცხავს სხვის მიერ მის მოხმარებას) და საზოგადოებრივ საქონელს შორის, რომლის მოხმარება არაკონკურენტულია (ასეთი დოვლათის მოხმარება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასათვის) და მოიცავს ორივე ტიპის საქონლის (კერძოსა და საზოგადოებრივის) ელემენტებს. მაგ., აცრები დაავადების თავიდან ასაცილებლად შერეული საქონელია, ვინაიდან მას მოაქვს სარგებლობა როგორც მისი მიმღები ინდივიდისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის (ამცირებს დაავადების რისკს), თუმცა, ეს საქონელი თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ყველასათვის. ასეთ სიტუაციაში შერეული საქონლის ინდივიდუალური მოხმარება ქმნის დადებით გარე ეფექტს დანარჩენი საზოგადოებისთვის.

ШЕРМАНИС КАНОНИ (Sherman act) - ერთ-ერთი ძირითადი კანონი აშშ-ის ანტიტრესტულ კანონმდებლობაში, რომელიც მიღებულ იქნა 1890 წელს. იგი საზოგადოების აღშფოთების თავისებური გამოძახილი იყო. წარმოების კონცენტრაციის ზღვარგადასულ ზრდასთან დაკავშირებული ქმედებების გამო კანონი კრძალავდა ვაჭრობის თავისუფლების შემზღუდველ კონტრაქტებს, მონოპოლიურ გაერთიანებებსა და ფარულ გარიგებებს, გარდა ამისა, მონოპოლიზაციის მცდელობას. ამ კანონის დარღვევისათვის მაქსიმალური ჯარიმა სახელმწიფოს სასარგებლოდ თავდაპირველად 5000 დოლარს, ხოლო შემდგომ 50000 დოლარს შეადგენდა. 1974 წელს ამ თანხამ კორპორაციებისათვის 1000000 დოლარს მიაღწია.

ШЕФАРДЕБИТИ МОГЕБА (relative profit) - მოგება, რომელსაც გამყიდველი იღებს ყოველ გაყიდულ ნაწარმზე დანახარჯების გამოქვითვით.

ШЕФАРДЕБИТИ УПИРАТЕСОБА (comparative advantage) - უპირატესობა, რომელიც აქვს ერთ ქვეყანას სხვებთან შედარებით, თუ მისი საქონლის წარმოების ალტერნატიული ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ანალოგიური საქონლისა სხვა ქვეყნებში.

საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეფარდებითი და არა აბსოლუტური უპირატესობა, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში წინა პლანზე კონკურენტულმა უპირატესობამ წამოიწია.

ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ (theory of comparative advantage) - თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა სპეციალდებოდეს იმ საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე, რომლის დამზადებაც შეიძლება შედარებით დაბალი დანახარჯებით. ამ შემთხვევაში მისთვის ხელსაყრელია იმ საქონლის იმპორტირება, რომლის დანახარჯებიც ადგილზე შედარებით მაღალია.

შეფარდებითი უპირატესობის თეორია, რომელიც წარმოადგენს ქვეყნების (აგრეთვე ცალკეული პიროვნებების) სპეციალიზაციის საფუძველს, ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის ქვაკუთხედს, ახსნა დევიდ რიკარდომ ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის განვითარების შედეგად შემდეგ მაგალითზე:

პორტუგალიას ერთი გალონი ღვინის საწარმოებლად სჭირდება 80 სამუშაო საათი, ხოლო ერთი მლნ იარდი მაუდის დასამზადებლად – 90 სამუშაო საათი, ინგლისს კი, შესაბამისად, 120 და 100 სამუშაო საათი.

წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო საათების რაოდენობა

	პორტუგალია	ინგლისი
ერთი გალონი ღვინო	80	120
ერთი იარდი მაუდი	90	100

ამრიგად, პორტუგალიას აქვს აბსოლუტური უპირატესობა ორივე საქონლის წარმოებაში, ვინაიდან პორტუგალიაში ამისათვის ნაკლები ხარჯებია საჭირო, ვიდრე ინგლისში. პორტუგალიას აქვს შეფარდებითი უპირატესობა ღვინის წარმოებაში, ვინაიდან პორტუგალიური ღვინის წარმოების ხარჯების თანაფარდობა ინგლისთან ტოლია 80 : 120 და იგი ნაკლებია მაუდის ანალოგიურ თანაფარდობაზე, რომელიც ტოლია 90 : 100. თუ პორტუგალია დასპეციალდება შეფარდებითი უპირატესობის შესაბამისად, მაშინ ყოველ არაწარმოებულ იარდ მაუდზე მას შეუძლია მიიღოს 1 და 1/8 გალონი ღვინო, ვინაიდან როგორც ერთის, ისე მეორის საწარმოებლად საჭიროა 90 სამუშაო საათი. პორტუგალიას შეუძლია გაცვალოს თავისი 1 და 1/8 გალონი ღვინო იმავე რაოდენობის იარდ მაუდზე. ამრიგად, პორტუგალიას 90 სამუშაო საათის განმავლობაში შეუძლია ან თვითონ აწარმოოს ერთი იარდი მაუდი, ან

შემოვლითი გზით მიიღოს 1 და 1/8 იარდი მაუდი. პორტუგალიის აბსოლუტური უპირატესობის მიუხედავად, ინგლისსაც ასევე შეუძლია მიიღოს მოგება საგარეო ვაჭრობით. ყოველი გალონი ღვინო, რომელიც არ იქნა წარმოებული ინგლისში, ე.ი. 120 სამუშაო საათი, საშუალებას მისცემს მას, აწარმოოს 1 და 1/5 იარდი მაუდი, რომელიც საგარეო ვაჭრობის მეშვეობით შეიძლება გარდაიქმნას 1 და 1/5 გალონ ღვინოდ.

შეფარდებითი უპირატესობა ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. როდესაც ესა თუ ის ქვეყანა უშვებს იმ საქონელს, რომლის წარმოებაც სხვებზე ნაკლები ხარჯებით შეუძლია, მაშინ მოგებულია როგორც ეს ქვეყანა, ისე მთელი საზოგადოება, რადგან იქმნება ერთი და იმავე რაოდენობის რესურსების ხარჯვით მეტი საქონლის წარმოების შესაძლებლობა.

თანამედროვე პირობებში საგარეო ვაჭრობისაგან სარგებლობის მიღების აუცილებელი პირობაა სხვადასხვა ქვეყანაში ფასების განსხვავებული თანაფარდობა.

შვილობილი კომპანია (subsidiary company) - სათავო კომპანიის კონტროლით მომუშავე ფილიალი, სადაც კონტროლი ხორციელდება მონაწილეობის სისტემის მეშვეობით, ე.ი. სათავო კომპანია, როგორც ჰოლდინგის როლში მყოფი საზოგადოება, ფლობს შვილობილი კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს. შვილობილ კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. მათი რეგისტრირება ხდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სად არის დაფუძნებული სათავო კომპანია.

შვილობილი კომპანია ორგანიზებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით, ე.ი. გაკოტრების ან გადახდისუუნარობის შემთხვევაში იგი თავის ვალდებულებებს ფარავს არა მესაკუთრის, არამედ მხოლოდ კომპანიის ქონებით. ზოგჯერ შვილობილი კომპანიები მათს დაქვემდებარებაში არსებული შვილიშვილი საზოგადოებების — განყოფილებების აქციების საკონტროლო პაკეტებსაც ფლობენ.

შვილობილ კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი საბუღალტრო ბალანსი და საფინანსო დოკუმენტები, ფართო უფლებებით სარგებლობენ საკუთარი მოგების განაწილებაში, მათი რეინვესტიციის ჩათვლით.

დასავლეთში ტრანსეროვნული კორპორაციების უმრავლესობა ათობით და ასობითაც ფლობს შვილობილ კომპანიებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია განლაგებული. შვილობილი კომპანია შეიძლება იყოს სათავო კომპანიის

სრულ საკუთრებაში, სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების შერეულ საკუთრებაში ან უცხოური ფირმების კერძო საკუთრებაში.

ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, შვილობილი კომპანიები იყოფა საბაზო (ასრულებს ტრანსეროვნულ კორპორაციებში შიდა კორპორაციული ჰოლდინგების როლს), საექსპორტო, საფინანსო, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა განყოფილებებად. შვილობილი კომპანიის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზე მაღალია წარმოებისა და გასაღების სფეროებში, მაშინ როდესაც კაპიტალდაბანდებების, ფინანსების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმართვის, გადასახადების გადახდის საკითხებს სათავო კომპანია წყვეტს.

ШИДА ЕКСТЕРНАЛИЕБИ (internal externalities) - ეფექტები, რომლებიც გარეგანია მოცემული საკონტრაქტო ურთიერთობის მიმართ, მაგრამ შინაგანი – შიდა კონტრაქტში მონაწილე ჯგუფისათვის.

ШИДА ЛАГИ (inside lag) - შეფერხება დროში მოქმედების აუცილებლობის დადგენის მომენტსა და მის განხორციელებას შორის. იგი პოლიტიკური ლაგია და შეიძლება დაიყოს სამ შემადგენელ ნაწილად: გამოვლენის ლაგი, გადაწყვეტილების მიღების ლაგი და მოქმედების ლაგი.

ШИДА ДАНАХАРЯЖЕБИ (internal expenses) – ფირმის მთლიანი დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ფირმის საკუთარ შიდა მატერიალურ თუ შრომით რესურსებზე გაწეულ დანახარჯებს.

ШИНАКЕРი (dishonest trader) - არაკეთილსინდისიერი ვაჭარი.

ШИНАМЕУРНЕОБА (household) - გაეროს ეროვნული ანგარიშთა სისტემის მიხედვით, ერთად მცხოვრებ პირთა მცირე ჯგუფი, რომლებსაც გაერთიანებული აქვთ (მთლიანად ან ნაწილობრივ) თავიანთი შემოსავლები და ქონება და ერთად მოიხმარენ გარკვეული სახის საქონელსა და მომსახურებას, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრისსა და კვების პროდუქტებს. როგორც წესი, შინამეურნეობის თითოეულ წევრს აქვს გარკვეული უფლება ამ მეურნეობის ერთობლივ რესურსებზე.

შინამეურნეობა ხშირად იდენტურია „ოჯახისა“, თუმცა ერთი და იგივე შინამეურნეობის წევრები არ არის სავალდებულო იყოს ერთი ოჯახის წევრები. აუცილებელ პირობას წარმოადგენს რესურსების ერთობლივი მფლობელობა და ერთობლივი მოხმარება. იგი არის ერთ საერთო საცხოვრებელ ფართზე და ერთი საოჯახო ბიუჯეტით მცხოვრებ ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური რგოლი (უჯრედი).

შინამეურნეობა, როგორც მოხმარების სტატისტიკის მნიშვნელოვანი სტატისტიკური ერთეული, განსხვავდება მოსახლეობის სტატისტიკაში ხმარებულ საოჯახო მეურნეობისაგან, როგორც მხოლოდ ერთად მცხოვრებ პირთა ერ-

თობლიობისაგან.

შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული პროდუქცია და მომსახურება (product made by hausholds for their own consumption) – დაუკვირვებადი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. არ შედის არაფორმალურ სექტორში და ამიტომაც განიხილება დაუკვირვებადი ეკონომიკის ცალკე პრობლემად. გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა, მასში შედის საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება. მაგ., საკუთარი სახლების მშენებლობა, შინამოსამსახურეთა ფასიანი მომსახურება და ა.შ.

შიპჩანდლერი (ship-chandler) - ორგანიზაცია ან ფირმა, რომელიც სურსათს აწვდის გემებს და ამარაგებს მათ ტექნიკით.

„შოკური თერაპია“ (shock therapy) - საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი. ეკონომიკის კონვერსიის ეს გზა გრადუალიზმის (ევოლუციური გზის) ანტიპოდია. მისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმის უკიდურესად მაღალი დონე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ფასების ლიბერალიზაციაში, ფასების მოუმზადებელ თავისუფალ აშვებაში, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტებასა და წინა ეკონომიკური სისტემის არა მხოლოდ ინსტიტუტების, არამედ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნგრევაში გამოიხატება.

საქართველომ ამ გზით დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაგრამ ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია. ეს მოდელი შემუშავებულ იქნა ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსის მიერ და თვით პოსტვაშინგტონის კონსენსუნსმაც უარყოფითად შეაფასა. „შოკურმა“ გზამ ვერ გაამართლა საქართველოში, ისე როგორც ბევრ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში.

შრომითი ღირებულების თეორია (labour theory of value) - თეორია, რომლის თანახმადაც ფასწარმოქმნას საფუძვლად უდევს საქონლის წარმოებაზე დახარჯული ანუ საქონელში განივთებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა (შრომის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წარმოების ნორმალურ პირობებში საქონლის დასამზადებლად), ე.ი. მისი ღირებულება. ღირებულების მიხედვით ორი სხვადასხვა საქონლის ტოლობა ნიშნავს იმას, რომ მათში ერთი და იგივე რაოდენობის შრომაა განივთებული. ამ თეორიის ძირითადი პოსტულატებია:

- გაცვლის სხვადასხვა პროდუქტებს აქვთ ერთნაირი შინაარსი – ღირებულება. ამიტომ ისინი ერთმანეთს უტოლდებიან განსაზღვრული საცვლელი ღირებულებით;

- ღირებულება საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომაა. ღირებულების მიხედვით პროდუქციის ტოლობა ნიშნავს იმას, რომ მათში ერთი და იგივე რაოდენობის შრომაა განივთებული;

- თუ შრომა თვისებრივად ერთნაირია, მაშინ რაოდენობრივად იგი იზრდება დროის ხანგრძლივობით;

- ბაზარზე ერთნაირი სახეობის საქონელზე ყალიბდება არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ღირებულება.

შრომითი ღირებულების თეორია ახასიათებს ეკონომიკურ კავშირს, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ ასე: მწარმოებელი — საზოგადოებრივი შრომა — დოვლათის საზოგადოებრივი ღირებულება — ფასი. ამ თეორიაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები განხილულია საქონელმწარმოებლის პოზიციიდან.

შრომითი ღირებულების თეორია ეკუთვნის კლასიკურ სკოლას. მის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დ. რიკარდოს, აგრეთვე კ. მარქსს. შრომითი ღირებულების თეორიას დაუპირისპირდა ზღვრული სარგებლიანობის თეორია, წარმოების დანახარჯების თეორია, მოთხოვნა-მიწოდების თეორია, ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია.

შრომითი ღირებულების თეორიის მთლიანად უარყოფა მეცნიერულად არ არის გამართლებული. იგი, ზღვრული სარგებლიანობის თეორიასთან ერთად, საფუძვლად უდევს ფასწარმოქმნას. ამ თეორიების დაპირისპირება გამოხატავს არა მხოლოდ მათ ურთიერთუარყოფას, არამედ ურთიერთგანპირობებულობასაც, ღირებულებასა და სარგებლიანობას შორის ფუნქციონალურ კავშირს.

ШРОМІІС ВАЗЗАРІ (labor market) - სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემა. გულისხმობს დამქირავებლებსა და დასაქირავებლებს შორის ნებაყოფლობით საფუძველზე აგებულ ურთიერთობას, აგრეთვე თითოეული მათგანის ურთიერთობას სხვა სუბიექტებთან. სამუშაო ძალის ბაზრის კონიუნქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანაფარდობა თავისუფალ სამუშაო ადგილებსა და სამუშაოს აქტიურად მაძიებლებს შორის. სამუშაო ძალის ფასის გადახრა მისი ღირებულებისაგან დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობაზე, განაწილებით ურთიერთობაზე, ხელფასისა და შემოსავლების სტრუქტურის დონეზე, სამომხმარებლო ბაზრის დინამიკაზე, საქონლისა და მომსახურების მოქმედ ფასებზე და სხვ. ამ ფაქტორების ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა აყალიბებს სამუშაო ძალის თვითრეგულირებასა და თვითმოძრაობას მიმოქცევის სფეროში. განვითარე-

ბული სამუშაო ძალის ბაზარი სტიმულს აძლევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხელს უწყობს სამუშაო ძალის განაწილებას პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად. მისი მეშვეობით მცირდება წარმოების დანახარჯები, ხდება სამუშაო ძალის ჭარბი რეზერვის გადანაწილება მეურნეობის პერსპექტიულ დარგებში. სამუშაო ძალის ბაზრის სიდიდეს განსაზღვრავს ვაკანტური სამუშაო ადგილები და სამუშაოს აქტიურად მაძიებელი შრომისუნარიანი მოსახლეობა.

ШРОМІІС ВІРЖА (Labour exchange) - სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც რეგულარულად ახორციელებს შუამავლურ ოპერაციებს შრომის ბაზარზე. იგი აგრეთვე ახდენს უმუშევართა რეგისტრაციას.

ШРОМІІС ДАНАЖІЛЕВА (division of labour) - შრომის დანაწილების პროცესი საქმიანობის სფეროების მიხედვით, ანუ სამუშაოთა იმ სახეების მიხედვით, სადაც ყველაზე მეტად იქნება გამოყენებული პიროვნების კვალიფიკაცია. შრომის დანაწილების შედეგად არც ერთი ადამიანი არ ასრულებს ყველა სამუშაოს წარმოებაში და თითოეული სპეციალიზდება სამუშაოთა იმ სახეებზე, რომლებშიც მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა.

ШРОМІІС МЖАРМОЕВЛУРОВА (labour productivity) - შრომითი რესურსების, ადამიანისეული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. განისაზღვრება **დროის ერთეულში გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობით, ან ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული დროის რაოდენობით.**

ШРОМІІС САЕРТАШОРІСО ДАНАЖІЛЕВА (international division of labour) - ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაცია გარკვეული სახის იმ საქონლის (მომსახურების) წარმოებაში, რომელთა დამზადებისთვისაც თითოეულ მათგანს სხვა ქვეყნებზე უკეთესი პირობები (ბუნებრივი ან შეძენილი) აქვს, ანუ აქვს აბსოლუტური უპირატესობა ამა თუ იმ საქონლის (მომსახურების) წარმოებისთვის. შრომის საერთაშორისო დანაწილება გულისხმობს ქვეყნების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არა მხოლოდ საკუთარი წარმოებით, არამედ საგარეო ვაჭრობის საშუალებითაც.

ШРОМІІС САЕРТАШОРІСО ОРГАНІЗАЦІА – ШСО (International Labour Organization - **ILO**) - შეიქმნა 1919 წელს მოსახლეობის შრომის პირობებისა და სოციალური დაცვის მიზნით ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე. 1946 წლიდან გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელშიც წარმოდგენილი არიან როგორც წევრი მთავრობები, ისე პროფკავშირები და მეწარმე-

თა ორგანიზაციები.

შსო-ს შემუშავებული აქვს შრომის ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირების მაჩვენებელთა სისტემა, ინდიკატორები და კრიტერიუმები. მისი შტაბ-ბინა ჟენევაშია. იკვლევს სამუშაო ძალის მიწოდების, მომზადების და გამოყენების, შიდა და ქვეყანათაშორისი მიგრაციული ნაკადების პრობლემებს. მისი მთავარი ამოცანაა მსოფლიო წარმოების ზრდაზე ზემოქმედება, ცხოვრების დონის ამაღლება შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით.

შრომითი რესურსების ბალანსი (balance of manpower) - ასახავს ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების რაოდენობას, შემადგენლობას, (ასაკის, სქესის, პროფესიის, დასაქმების სახეობების, სოციალური ჯგუფებისა და ა.შ. მიხედვით) განაწილებასა და გამოყენებას.

შტრაიკბრეხერი (strike-breaker) [გერმ. Streikbrecher, streik გაფიცვა + brechen დამტვრევა, მოგლეჯა] - პირი, რომელსაც საწარმო მაშინ დაიქირავებს, როდესაც მისი კოლექტივი გაფიცულია.

შტრიხ-კოდი (bar code) - სპეციალური კოდი, რომელიც საქონლის საფუთავზეა განთავსებული არტიკულის იდენტიფიკაციისთვის.

შუალედური მოხმარება (intermediate consumption) - წარმოების ერთი სტადიის შრომის პროდუქტის გამოყენება შრომის საგნის სახით წარმოების მეორე სტადიაზე.

შუალედური პროდუქტი (intermediate product) - პროდუქტი, რომელმაც გაიარა გარკვეული დამუშავება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ სტადიას, რომელზედაც ჩაითვლება საბოლოო პროდუქტად. მაგ., ფოლადი შუალედური პროდუქტია. შუალედური პროდუქტი გამოიყენება სხვა პროდუქტის საწარმოებლად.

შუალედური ტექნოლოგიები (intermediary technologis) – ალტერნატიული ტექნოლოგიები მოწინავე კაპიტალინტენსიურ და მოძველებულ, შრომაინტენსიურ ტექნოლოგიებს შორის. ტერმინი პრაქტიკაში შემოიტანა ე. შუმახერმა, რომლის ხელმძღვანელობით 1965 წელს ლონდონში შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი განვითარებად ქვეყნებში არსებული მოძველებული ტექნოლოგიების შუალედური ტექნოლოგიებით შეცვლისათვის ღონისძიებების დასახვის მიზნით.

საქმე ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგები (გარემოზე ზემოქმედებისა და სხვა ეკოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით) ძალზე უარყოფითია. წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს

განვითარებული ქვეყნების ახალ, მაღალ კაპიტალინტენსიურ ტექნოლოგიებსა და „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მოძველებულ, მაღალ შრომაინტენსიურ ტექნოლოგიებს შორის, ამჟამინდელი მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის თავისებური გამოძახილიცაა. იგი შემადგენელი ნაწილია თანამედროვე ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფციისა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ენვაირონმენტალური დეტერმინიზმი (environmental determinism). ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნების მიზნით, მრავალ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ყურადღებაა გამახვილებული სუსტად განვითარებულ ქვეყნებში დახმარების პროგრამების შემუშავებისა და კონკრეტული პროექტების რეალიზაციაში შუალედური, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

შუამავლობა (mediation)– ორ მხარეს შორის წარმოქმნილ სამეწარმეო კონფლიქტში ჩარევა მესამე დამოუკიდებელი და არადაინტერესებული მხარისა, რომელიც კონფლიქტის მიზეზების შესწავლის საფუძველზე წარადგენს რეკომენდაციებს მისი დაძლევის მიზნით (თუმცა მხარეები არ არიან ვალდებულნი გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები).

შუმპეტერი იოზეფ (1883-1950) (Sumpeter Joseph) – ჯერ ბონის უნივერსიტეტის (1932 წლამდე), ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. ფართო ინტერესების მქონე მეცნიერი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, თუმცა, სხვადასხვა დროს იყო ფინანსთა მინისტრი და ბანკირი. ცნობილია მისი ნაშრომები ეკონომიკური ციკლის ანალიზში, კერძოდ: „საქმიანი აქტიურობის ციკლი“ (1939) და „ეკონომიკური განვითარება“ (1912). დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინოვაციურ საქმიანობას და, აქედან გამომდინარე, ისეთ მეწარმეს, რომელიც წარმოებაში ნერგავდა ახალ ტექნოლოგიებს, ქმნიდა პროდუქციის ახალ სახეობებს, წარმოების ორგანიზაციის ახალ მეთოდებს, აღმოაჩენდა ახალ ბაზრებს და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს მონოპოლიებს ანიჭებდა. მისი ეს დებულება ცნობილია **შუმპეტერის ჰიპოთეზის** სახელწოდებით.

შუმპეტერის ნაშრომში – „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1947) ლოგიკურადაა დასაბუთებული, რომ **კაპიტალიზმი ადგილს უთმობს სოციალიზმს, მაგრამ არა თავისი მანკიერებების შედეგად** (როგორც ამას კარლ მარქსი ამტკიცებდა), **არამედ ეკონომიკური განვითარებით**. მისი ბოლო დაუმთავრებელი მონუმენტური ნაშრომია „ეკონომიკური ანალიზის ისტორია“, რომელიც გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ (1954).

ჩ

ჩაკეტილი ბაზარი (locked market) - ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მყიდველის კურსი გამყიდველის კურსს უტოლდება.

ჩაკეტილი ეკონომიკა (closed economy) - ეკონომიკა, რომელიც ფინანასურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარე სამყაროსაგან ფაქტობრივად იზოლირებულია; ეკონომიკა, რომელიც ფართოდ არ მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში.

ჩანაცვლების ეფექტი (substitution effect) - ფასების ცვლილების ზემოქმედება საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობაზე, რის საფუძველზეც რეალური შემოსავალი უცვლელი რჩება.

ჩანტლაძე ვასილ (1905-1995) (Chantladze Vasil) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), წევრ-კორესპონდენტი (1974), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1927), მოღვაწეობდა თსუ-ში 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე: იყო ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი (1930-1958), პროფესორი, გამგე (1967-1985). ვ. ჩანტლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ფინანსური მეცნიერებისა და ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატული შეხედულებები პირველად სამი საუკუნის შემდეგ გამოიკვლია ვ. ჩანტლაძემ.

ძირითადი ნაშრომებია: „სამეურნეო ანგარიშიანობა და დაკრედიტება“. თბ., 1937; „სულხან-საბა-ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“. თბ., 1959; „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“. თბ., 1966; „ფინანსების თეორიის საკითხები“. თბ., 1979 (რუსულ ენაზე); „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“. თბ., 1992 და სხვ.

ჩარტერი (charter) - ხელშეკრულება, რომელსაც დებენ ხომალდის მფლობელი და დამქირავებელი მთლიანად ხომალდის ან მისი ნაწილის განსაზღვრული დროით ან გარკვეული რეისისათვის არენდით გაცემის შესახებ.

ჩარტინგი (charting) - გრაფიკებისა და დიაგრამების შედგენა ბაზრის ანალიზისა და ფასების პროგნოზირების მიზნით.

ჩაშენებული სტაბილიზატორები (implanted stabilizators) - ფისკალური პოლიტიკის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკის კერძო სექტორში წარმოშობილი რყევების შერ-

ბილება. ასეთი სტაბილიზატორების მაგალითებია უმუშევრებისადმი დახმარება, პროგრესული საშემოსავლო გადასახადი და ა.შ. იხ. ავტომატური სტაბილიზატორები.

„ჩახშობილი“ უმუშევრობა (repressive unemployment) – ქრონიკული უმუშევრობა მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელმაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმება, ამიტომ ძირითადად ასრულებენ ფიზიკურ, საკუთარი კვალიფიკაციისთვის შეუფერებელ სამუშაოს დაბალი ანაზღაურებით.

ჩეინი (chain) - სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში, უდრის 22 იარდს ანუ 20,1168 მ-ს.

ჩეკი (cheque, check) - 1. დადგენილი ფორმის ფულადი დოკუმენტი, ანგარიშის მფლობელის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი, რათა ამ უკანასკნელმა ჩეკის ხელის მომწერის ანგარიშიდან გასცეს ან გადარიცხოს სხვა ანგარიშზე გარკვეული თანხა; 2. უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება, ფასიანი ქაღალდი; 3. საცალო ვაჭრობაში – სალაროს ქვითარი, რომელიც ადასტურებს მყიდველისაგან ფულის მიღებას.

ჩემბერლინი ედვარდ (1899-1967) (Chamberlin Edward) – ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, განსაკუთრებით ცნობილია როგორც „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის“ (1933) ავტორი. ჯ. რობინსონის (დიდი ბრიტანეთი) ნაშრომებისგან დამოუკიდებლად გააანალიზა მონოპოლისტური კონკურენციის საბაზრო სიტუაცია, ფასწარმოქმნის მექანიზმები, დაასაბუთა კონკურენციისა და მონოპოლიის ერთდროულად არსებობის შესაძლებლობა. ტერმინი – წმინდა კონკურენცია ე. ჩემბერლინმა შემოიტანა. ჯ. რობინსონისგან განსხვავებით, მან მონოპოლია კონკურენციის ნორმალურ პირობად მიიჩნია და უარყო საბაზრო მექანიზმში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა.

ჩერნინგი (churning) – კონცეფცია, რომლის მიხედვით ახალი საქონელი ძველ საქონელს ან ახალი ტექნოლოგიები ძველ ტექნოლოგიებს და ა.შ. მოძველებულს ხდის.

ჩვეულებრივი აქცია (ordinary share, ordinary stock) - აქცია, რომლის მფლობელსაც ენიჭება აქციონერის ყველა ქონებრივი და პიროვნული უფლება: ა) დივიდენდის მიღების უფლება კორპორაციის მოგების სიდიდის მიხედვით; ბ) კორპორაციის მართვაში მონაწილეობის უფლება კრებებზე ხმის მიცემის გზით; გ) ქონებრივი ნაწილის მიღების უფლება კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, კორპორაციის ლიკვი-

დაციის შემთხვევაში. უფლების რეალიზაცია ხდება აქციის სიდიდის პროპორციულად.

„ჩიკაგოს სკოლა“ (“Chicago School”) - მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური სკოლა, ნეოკონსერვატიული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. წარმოიშვა XX საუკუნის 60-იან წლებში. მისი წარმომადგენლები მილთონ ფრიდმენი, ფ. ა. ფონ ჰაიეკი, ფრენკ ნაიტი, თეოდორ უილიამ შულცი, ჯორჯ ჟოზეფ სტიგლერი, ჰენრი საისრედი და სხვები, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების გასაღებს სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალ კონკურენტულ ბაზარში ხედავენ. მათი აზრით: 1. კონკურენტული ბაზრების ფუნქციონირება რესურსების განაწილების პრობლემის გადაჭრის ყველაზე საუკეთესო (ოპტიმალური) საშუალებაა; 2. ეკონომიკური თეორია, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თავისუფალი უნდა იყოს შეფასებითი მსჯელობისაგან.

ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები იზიარებენ ნეოკლასიკური თეორიის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ფასები იძლევა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ზუსტ სურათს. ისინი მონეტარიზმის ურყევი მომხრენი არიან და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შეზღუდვას მტკიცედ უჭერენ მხარს.

სკოლას ეს სახელი ეწოდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი მრავალი ცნობილი წარმომადგენელი მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში.

„ჩინური გზა“ (“Chineese way”) - უკავშირდება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ევოლუციურ მოდელს, რომელიც **გრადუალიზმისა და სტრუქტურულ-წარმოებრივი მაკროსტაბილიზაციის** სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება ჩინეთში და „ჩინური სასწაულის“ ათვლის წერტილადაა აღიარებული. იგი გამორიცხავს უკიდურეს რადიკალიზმს და უშუალოდ გათვლილია ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის ამაღლებაზე. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნებით, საინვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვით, წარმოების მოდერნიზაციითა და ა.შ., ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე, თანდათანობითი, ევოლუციური გზით გარდაქმნა. „ჩინური გზა“ „შოკური თერაპიისა“ და „ორთოდოქსული მაკროსტაბილიზაციის“ ანტიპოდია. ეს მოდელი გათვ-

ლილია ერთობლივი მიწოდების ზრდასა და სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

ჩინეთმა იმთავითვე უარი თქვა „შოკურ თერაპიაზე“ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საქართველოსგან და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან განსხვავებით, დაიწყო არა უკიდურესი რადიკალიზმითა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურებით, არამედ აქცენტი **სტრუქტურულ-წარმოებრივ მაკროსტაბილიზაციაზე** გადაიტანა. მან წინა პლანზე დააყენა ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარება, პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, მოქნილი საგადასახადო მექანიზმით მეწარმეობის სტიმულირება, ეკონომიკის საკვანძო დარგებსა და სფეროებში სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმით შენარჩუნება და ა.შ.

პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ჩინეთი ესოდენ დიდ აღმავლობას განიცდის. განვითარების შედეგების მიხედვით **სურათი რადიკალურად განსხვავებულია „ჩინურ გზასა“ ანუ გრადუალისტური განვითარების გზით მიმავალ ქვეყანასა და ჯერ „შოკურ“, ხოლო ამჟამად ორთოდოქსული განვითარების გზით მიმავალ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის.**

ჩიქავა ლეო (დაიბ. 1928) (Chikava Leo) - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1986), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1994), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი (1996), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დემოგრაფიის კომისიის თავმჯდომარე (2011), თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (2011). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1950). იყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, ჯერ თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1969-1974), ხოლო შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1974-1983), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში (1983-1990), საქართველოს დე-

მოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი (1990-1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი (1991-2006), სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი (1999-2007). უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწევა მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას. იგი, როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, იკვლევს შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრობლემებს რეგიონულ ჭრილში.

ლ. ჩიქავა არის 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათი უმრავლესობა ეძღვნება ეკონომიკური თეორიის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს. ძირითადი ნაშრომებია: „საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.“ თბ., 1965; „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“ (რუსულ ენაზე), თბ., 1968; „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები.“ თბ., 1987; „შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები“ (ქართულ და რუსულ ენებზე). თბ., 1986; ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). თბ., 2001 (თანაავტორობით); „დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები.“ თბ., 2002; „ინოვაციური ეკონომიკა.“ თბ., 2006; „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი.“ დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1997 (პირველი გამოცემა); თბ., 2006 (მეორე გამოცემა). ორიგინალობით გამოირჩევა მისი ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მონოგრაფიული გამოკვლევები: „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. თბ., 2008; „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“. თბ., 2012.

ლ. ჩიქავას ინიციატივითა და ძალისხმევით მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში, რომლის ეკონომიკის სექციასაც თვით ხელმძღვანელობს.

სხვა საქმიანობა: არის შემდეგი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი: „საზოგადოება და ეკონომიკა“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი), „ეკონომიკა“, „საქართვე-

ლოს ეკონომიკა“, „დემოგრაფია“, „ეკონომისტი“, „ახალი ეკონომისტი“, „ფინანსები, საბანკო საქმე, ინვესტიციები“, „ეკონომიკა და ბიზნესი“.

ჯილდოები: ღირსების ორდენი (1998), საერთაშორისო ორდენი საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრიდან (აშშ, 2004). ამავე ცენტრმა იგი აღიარა თავისი მეცნიერული შემოქმედებით საქართველოს 2009 წლის გამორჩეულ მოღვაწედ; ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1988), საქართველოს საპატრიარქოს სიგელი (2007).

ჩრდილოვანი ეკონომიკა (shadow economy) – ფირმებისა და შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის ის არალეგარული სახეობები, რომლებიც შინაარსით კანონიერია, მაგრამ ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მიერ აღურიცხავია. ჩრდილოვანი ეკონომიკა ფარული ეკონომიკის ნაწილია. იგი იქმნება: 1. შემოსავლებზე გადასახადებისგან (დღგ, მოგებიდან გადასახადი და ა.შ.) და სოციალურ დაზღვევაზე ანარიცხებისგან თავის არიდების მიზნით; 2. საკანონმდებლო ნორმებისა და სტანდარტების (მაგ., შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, მინიმალური ხელფასის, მაქსიმალური სამუშაო საათებისა და ა.შ.) დაცვისგან თავის არიდების მიზნით; 3. რიგი ადმინისტრაციული პროცედურების შეუსრულებლობის გამო. ჩრდილოვანი ეკონომიკა არაკანონიერ ეკონომიკურ საქმიანობასთან (ნარკობიზნესი, ბრაკონიერობა, იარაღით ვაჭრობა და ა.შ.) ერთად შეადგენს ფარულ ეკონომიკას.

ც

ცალმხრივი ბაზარი (one-sided (one-way) market) - ბაზარი, სადაც მხოლოდ მყიდველის კურსის კოტირება ხდება.

ცედენტი (cedent) [<ლათ. cedere დათმობა) - კრედიტორი, რომელიც სხვა პირს უთმობს თავის მოთხოვნის უფლებას.

ცენზი (property qualification) [ლათ. census] - 1. ძველ რომში – მოქალაქეთა ქონების პერიოდული შეფასება-აღწერა; 2. რეგულარული ფიქსირებული ღალა ფეოდალიზმის პერიოდში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში; 3. სტატისტიკური აღწერა.

ცენტნერი (centner) [<ლათ. centum ასი] - 1. მასის ერთეული, რომელიც უდრის 100 კგ-ს; 2. მასის ერთეული, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში უდრის 100 გირვანქას; გერმანიაში, დანიაში, უნგრეთში – 50 კგ-ს.

ცენტრალიზაცია (centralization) - 1. რაიმეს თავმოყრა ერთ ადგილზე, ერთის ხელში, ერთ ცენტრში; 2. ცენტრალიზაცია კაპიტალის – კაპიტალის ოდენობის გაზრდა რამდენიმე კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე.

ცენტრალიზმი (centralism) - მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვემდგომი და ადგილობრივი ორგანოები ექვემდებარებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ცენტრს.

ცენტრალური ბანკი (central bank) - სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით ახორციელებს ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირებასა და კონტროლს. ამ მიზნით იგი იყენებს როგორც არაპირდაპირ ინსტრუმენტებს (ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები), ისე პირდაპირ (მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის განაკვეთის დონისადმი პირდაპირი კონტროლი) ინსტრუმენტებს.

ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთით ფულად-საკრედიტო რეგულირება ანუ დისკონტის პოლიტიკა ინფლაციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა. საქმე ისაა, რომ ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი არის პროცენტი იმ კრედიტზე, რომელსაც აძლევს ცენტრალური ბანკი ყველა სხვა ბანკს. თუკი ქვეყანაში შეიმჩნევა ინფლაციური პროცესების დაჩქარება, ცენტრალური ბანკი მაღლა სწევს ამ განაკვეთს, რის საფუძველზეც ეცემა ფულზე მოთხოვნა და შედარებით ნელა იზრდება მიმოქ-

ცევაში ფულადი მასა. მართალია, იგი უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, მაგრამ სახელმწიფოს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია თანმხლები ნეგატიური ეფექტების დაძლევა.

სავალდებულო რეზერვების ნორმა კომერციული ბანკების ფულადი თანხაა, რომლის სესხად გაცემის უფლება მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთ ანგარიშზე იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ეს უკანასკნელი კი სიტუაციის მიხედვით მოქმედებს: ფულადი მასის ზრდის შენელების საჭიროების შემთხვევაში ამაღლებს სავალდებულო რეზერვების ნორმას და, პირიქით, როცა არის იმის აუცილებლობა, რომ მიმოქცევაში გაიზარდოს ფულის რაოდენობა, მაშინ ცენტრალური ბანკი დაბლა წევს სავალდებულო რეზერვების ნორმას, რითაც შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს თავიანთი სახსრების დროებით „გაყინული“ ნაწილი გადააქციონ კრედიტად.

ცენტრალური ბანკი ღია ბაზარზე აწარმოებს ოპერაციებს სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებებით, რომლებიც სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაა და მათი მეშვეობით, არაპირდაპირი გზით, ხორციელდება ზემოქმედება ფულად-საკრედიტო ბაზარზე. ეს ვალდებულებები სახელმწიფო ვალია მოსახლეობისადმი, რომელიც იყოფა საბაზრო და არასაბაზრო კატეგორიებად. საბაზროს მიეკუთვნება სახაზინო თამასუქი (სამ და ექვსთვიანი, 91–დღიანი და წლიური დაფარვის ვადით), საშუალოვადიანი სახაზინო თამასუქი (ერთიდან 10 წლამდე დაფარვის ვადით) და სახაზინო ობლიგაცია.

არასაბაზრო ფასიანი ქაღალდებიდან ყველაზე გავრცელებული ფორმაა შემნახველი ობლიგაცია. გარდა ამისა, მას მიეკუთვნება აგრეთვე სამთავრობო ანგარიშების სერიები, უცხოური სამთავრობო სერიები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სერიები და სხვ. ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით ცენტრალური ბანკი ზემოქმედებს მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ელასტიკურობასა და ფუნქციონირების ხასიათს, ოპერაციებს ღია ბაზარზე და სავალდებულო რეზერვების პოლიტიკას.

დისკონტის პოლიტიკის მიზანია საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირების (ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხით) პირობების ცვლილებებით გავლენა მოახდინოს ფულად-საკრედიტო ბაზარზე. ამასვე ემსახურება ოპ-

ერაციები ღია ბაზარზე, რომლის მექანიზმი დაფუძნებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, საბანკო აქცეპტებისა და სხვა საკრედიტო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვაზე.

ცივილიზებულ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფულადსაკრედიტო რეგულირების პირდაპირი ინსტრუმენტებიდან არაპირდაპირ ინსტრუმენტებზე გადასვლის ხანგრძლივობა. ეს უკანასკნელი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და მერყეობს 1-დან 5 წლამდე, საშუალოდ კი 3,7 წელია.

ცვალებადი დანახარჯი (variable cost) - დანახარჯი, რომლის სიდიდეც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულად. ე.ი. ეს ისეთი დანახარჯია, რომელიც მოკლევადიან პერიოდში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს წარმოებული პროდუქციის მატების ან კლების პროპორციულად. ცვალებად დანახარჯებს მიეკუთვნება: ნედლეულის, სათბობის, ენერგიის, ტრანსპორტის და ა.შ. დანახარჯები. რაც უფრო მეტი პროდუქცია იქმნება, მით მეტია ცვალებადი დანახარჯი.

ციკლი (cycle) - ეკონომიკური აქტიურობის დონეთა აღმავლობისა და დაცემის მონაცვლეობა. ვლინდება რამდენიმე წლის განმავლობაში და მოიცავს ოთხ ფაზას: პიკი, დაცემა, დეპრესია და გამოცოცხლება.

ციკლური მერყეობის ამპლიტუდა (amplitude) - ტერმინი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური ციკლების თეორიაში ნებისმიერი ციკლის მაღალ და დაბალ წერტილებს შორის დისტანციის აღწერისათვის. იგი შეიძლება იყოს ერთნაირი, შეიძლება მცირდებოდეს და მაშინ ამბობენ, რომ ციკლურ მერყეობას შესუსტებისკენ აქვს ტენდენცია, ან კიდევ, შეიძლება იზრდებოდეს მაშინ, როდესაც ციკლური მერყეობა ძლიერდება.

ციკლური უმუშევრობა (cyclical unemployment) - მოკლევადიანი უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება დაბალი ერთობლივი მოთხოვნის შედეგად. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ეკონომიკური ციკლის გარკვეულ ფაზებში წარმოიქმნება სამუშაო ადგილების უკმარისობა მუშაკთა სპეციალობისა და კვალიფიკაციისგან დამოუკიდებლად.

„ცხელი ფული“ (“hot money”) - თუ ქვეყანაში ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთია, ხდება ფულის მოზიდვა საზღვარგარეთიდან. მთავრობა, როგორც წესი, ფრთხილად მოქმედებს „ცხელი ფულის“ მოდინებით საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებისა და

ვალუტის კურსის განმტკიცების შემთხვევაში, ვინაიდან ეს შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე მოკლევადიანი.

ცხოვრების დონე (standard of life) **-** რაოდენობრივი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონესა და ამ დოვლათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს. ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებლებია: რეალური შემოსავლის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის, მომსახურების მოცულობა და სტრუქტურა; სამომხმარებლო საქონლის ფასების დონე და დინამიკა; კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები; განათლების განვითარების დონე; სამედიცინო მომსახურების ხარისხი; საბინაო პირობები; სამუშაო დღის ხანგრძლივობა; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ.

ცხოვრების დონის ინდექსი (living standat index) – ინდექსი, რომელიც ახასიათებს როგორც მთლიანად მოსახლეობის, ისე მისი ცალკეული ჯგუფების რეალური შემოსავლების დონის ცვლილებას. განისაზღვრება მოსახლეობის როგორც ფულადი შემოსავლებით, ისე სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით.

ცხოვრების ღირებულების ინდექსი (cost of living index) – ინდექსი, რომელიც ახასიათებს სამომხმარებლო საქონლის ფასებისა და მომსახურების ტარიფების ცვლილებას საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული ნაკრების მიხედვით, რომელიც შედის მოსახლეობის ცალკეული კატეგორიის სამომხმარებლო კალათაში.

ცხოვრების ინდექსის ღირებულება (cost of living index) – სამომხმარებლო კალათის საშუალო ფასი.

ძ

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა (policy of expencive money) - ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, ნეოკლასიკურ თეორიაზე დაფუძნებული მაკროსტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელზე აგებული პოლიტიკა, რომელიც ლიბერალურ-მონეტარისტულ პრინციპებს ეყრდნობა. იგი, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაში გამოიხატება, ითვალისწინებს ფულის მიწოდების მკვეთრ შეზღუდვას, რისი ერთ-ერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებაა. ეს უკანასკნელი ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების რეზერვებს, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკამ საქართველოში, პოსტვაშინგტონის კონსენსუსის გადაწყვეტილებით, 1995 წლის ბოლოდან შეცვალა „იაფი ფულის“ პოლიტიკა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყანაში ჰიპერინფლაციის წარმოქმნაში.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა არაეფექტიანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. იგი წარმატებულია მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება.

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია დებულება იმის შესახებ, რომ თეორია (და შესაბამისი პოლიტიკაც), რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის წონასწორობით მდგომარეობაზე, შეუძლებელია ქმედითუნარიანი იყოს და სარგებლობა მოუტანოს უწონასწორობის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში.

ეს აქსიომური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში კი ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმა იმთავითვე განწირული იყო მარცხისათვის და ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული მრავალი ნეგატიური მოვლენის მიზეზი გახდა. საქართველოში ტრანსფორმაციული დაცემა გადაიზარდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომელმაც თანდათან სისტემური კრიზისის სახე მიიღო.

ფულის დეფიციტის გზით ლარის კურსის შენარჩუნება არაეფექტიანი, უპერსპექტივო პოლიტიკაა. იგი განაპირობებს ეკონომიკის სტრუქტურულ დეფორმაციას, დაბალ ინვესტიციურ აქტიურობას, ეკონომიკის მონოპოლიზა-

ციასა და კრიმინალიზაციას. იხ., ოფიციალური მონეტარიზმის დონე; ფულის ბრუნვის სიჩქარე.

ძირითადი კაპიტალი (ნატურალურ გამოხატულებაში) (capital goods) - შენობა-ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. მრავალჯერ გამოყენებული წარმოების პროცესში. ძირითადი კაპიტალი წარმოების რამდენიმე ციკლში მონაწილეობს, გამოიყენება 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ცვეთის კვალობაზე გადასცემს თავის ღირებულებას მზა პროდუქციას და ნაწილ-ნაწილადვე ანაზღაურდება.

ძირითადი კაპიტალი (ღირებულებით გამოხატულებაში) (capital stock) - საწარმოს, დარგის, მთელი ეკონომიკის მასშტაბით არსებული შენობების, მანქანა-მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, სანაშენო, სარძეო, მუშა პირუტყვისა და მრავალწლიანი ნარგავების შეჯამებული ღირებულება გარკვეული თარიღისათვის (მაგალითად, 2010 წლის 1 ივნისისათვის).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (consumption capital stock) - საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად.

ძირითადი მომხმარებელი (basic consumer, user) - მომხმარებელი, რომელიც შეძენილ საქონელსა და გაწეულ მომსახურებას საკუთარი, არაკომერციული მიზნებისათვის იყენებს.

წ

წარმოება (production) – წარმოების ფაქტორების საქონლად ან მომსახურებად გარდაქმნის პროცესი.

წარმოებითი ურთიერთობები (relations of production) - მარქსისტული კატეგორია, გამოყენებული ადამიანებს შორის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობების განსაზღვრისათვის. წარმოებითი ურთიერთობები, **ეკონომიკური ურთიერთობებისაგან** განსხვავებით, ეყრდნობა საკუთრებითი ურთიერთობის ერთ გაბატონებულ ფორმას, რაც განსაზღვრავს კლასების მდგომარეობას წარმოებაში, მათ ურთიერთდამოკიდებულებასა და პროდუქტების განაწილების ფორმებს. ასეთი შინაარსის მატარებელი ურთიერთობები არსებობდა საბაზრო ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური სისტემის, ჩამოყალიბებამდე, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სხვა ეტაპზე, მათ შორის, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ანუ სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმის დროსაც. საბაზრო ეკონომიკა კი თეორიულად (კანონმდებლობითაც) გამორიცხავს საკუთრების ერთი რომელიმე ფორმის გაბატონებულ მდგომარეობას. იგი ეყრდნობა საკუთრების პლურალიზმს, ამიტომაც საბაზრო სისტემაში აღარ არსებობს კლასები და ეკონომიკური ურთიერთობაც განსხვავებული შინაარსის კატეგორიაა. **რაც შეეხება წარმოებით ურთიერთობის ტერმინის გამოყენებას თანამედროვე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არამეცნიერულია.** ამიტომაცაა, რომ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი არ იხმარება.

წარმოების დანახარჯების თეორია (the theory of production cost) - წარმომადგენლები (დ. მაკ-კულოხი და სხვ.) ფასწარმოქმნას საფუძვლად უდებენ არა საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივი შრომის რაოდენობას, არამედ მის მხოლოდ იმ ნაწილს, რაც გაიღო უშუალოდ მეწარმემ, ე.ი. საქონლის წარმოების დანახარჯებს. ეს თეორია გამორიცხავს ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც შეადგენს მოგებას.

წარმოების დანახარჯების თეორიაში პოზიტიურია ღირებულების განსაზღვრა ობიექტური ფაქტორებით – წარმოების დანახარჯებით, მაგრამ ნაკლია ის, რომ იგი ღირებულების განსაზღვრაში მოგების იგნორირებას ახდენს.

წარმოების დაცემის უდაბლესი წერტილი (lowest turning point) - ეკონომიკის მდგომარეობა,

რომელიც ხასიათდება წარმოებისა და ეკონომიკური აქტიურობის მაქსიმალური შემცირებით და რომლის შემდეგაც იწყება აღმავლობა.

წარმოების დივერსიფიკაცია (diversification of production) - მრავალი წარმოების ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული სახეების ერთდროული განვითარება.

წარმოების სპეციალიზაცია (specialization of production) - შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი რაციონალური ორგანიზაციის ფორმა. გამოხატავს ცალკეული პროდუქციისა და მისი ცალკეული ნაწილების წარმოების თავმოყრის პროცესს სპეციალიზებულ საწარმოებსა და დარგებში.

წარმოების ფაქტორები (factors of production) - წარმოების პროცესში გამოყენებული რესურსები; ძირითადად მოიცავს შრომას, კაპიტალსა და მიწას, ამასთან, მასში, სავსებით სამართლიანად, შედის სამეწარმეო უნარი, ცოდნა და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

წარმოების ფაქტორთა ბაზრების გახსნილობა (openess in factor productions) - ალტერნატივა, შესაძლებლობა როგორც ფირმებისთვის, ისე სამუშაო ძალისათვის. წარმოების ფაქტორთა ბაზრების გახსნილობა ფირმებს აძლევს შესაძლებლობას აირჩიონ თუ სად მოახდინონ წარმოების განლაგება, ხოლო სამუშაო ძალას აძლევს მიგრაციისა და სამუშაოს არჩევის შესაძლებლობას.

წარმოების წესი (mode of production) – საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლის ამსახველი მარქსისტული ტერმინი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს სოციალურ ინსტიტუტებზე. წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობაში მყოფი საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობას.

წარმოებრივი ფუნქცია (production function) - ფუნქცია, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას პროდუქციის გამოშვების მოცულობასა და წარმოებაში დაბანდებული შრომისა და კაპიტალის რაოდენობას შორის.

წმინდა გადასახადი (net taxes) - სხვაობა გადასახადების აკრეფით მიღებულ სამთავრობო შემოსავლებსა და სამთავრობო ტრანსფერულ გადასახდელებს შორის.

წმინდა დისკონტირებული ღირებულება (net present value) - თანხა, რომელიც მიიღება მოსალოდნელი საინვესტიციო ხარჯების დისკონტირებული ღირებულების გამოქვითვით მოსალოდნელი შემოსავლების დისკონტირებული ღირებულებიდან.

წმინდა ეროვნული დანაზოგი (net national savings) - გაიანგარიშება როგორც სხვაობა მთლიან ეროვნულ დანაზოგსა და

ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

წმინდა ეროვნული პროდუქტი (net national product) - მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა **მეპ**-სა და საამორტიზაციო ანარიცხების შეჯამებულ სიდიდეს შორის.

წმინდა ეროვნული შემოსავალი (net national income) - მთლიან ეროვნულ პროდუქტს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

წმინდა ექსპორტი (net export) - სხვაობა ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებებს შორის.

წმინდა ინვესტიცია (net investment) - ინვესტიცია ამორტიზაციის გამოკლებით.

წმინდა ინკასო (net encashment) - საფინანსო დოკუმენტების ინკასო, რომელსაც არ ახლავს კომერციული დოკუმენტები.

წმინდა კონკურენცია (pure competition) – იგივეა, რაც სრულყოფილი კონკურენცია.

წმინდა მიმოქცევის დანახარჯი (pure cost of curculation) - უშუალოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯი.

წმინდა მოგება (net profit) - თანხა, რომელიც რჩება ფირმის ერთობლივი შემოსავლიდან აშკარა და ფარული (იმპლიციტური) დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. წმინდა მოგება უდრის ბულალტრულ მოგებას მინუს იმპლიციტური დანახარჯები.

წმინდა პროდუქტი (net product) - ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს საწარმოო საქმიანობის შედეგებს. გაიანგარიშება, როგორც სხვაობა მთლიან ეროვნულ პროდუქტსა და ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურების ხარჯებს (ამორტიზაციას) შორის.

წმინდა შემოსავალი (net income) – ანგარიშგების პერიოდში მიღებული ამინაგების მეტობა ამ ამონაგების მისაღებად გაწეულ ხარჯებზე. წმინდა შემოსავალია სხვაობა დაუბეგრავი მოგების თანხასა და მოგების გადასახადთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის.

წონასწორობის ფასი (equilibrium price) - წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობის, მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გამომხატველი ფასი. ფასი, რომლის დროსაც ბაზარი იმყოფება წონასწორობაში. ასეთი ფასი უზრუნველყოფს ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ჭ

ჭარბი მიწოდება (excess supply) - სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას. წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე მაღლა აიწევს. ეს სტიმულს აძლევს მწარმოებლებს, გაზარდონ X საქონლის წარმოება. გარკვეულ წერტილში წარმოებული იქნება იმაზე მეტი, ვიდრე მომხმარებლებს სურთ შეიძინონ. ბაზარი ზედმეტად გაჯერებული აღმოჩნდება X საქონლით. წარმოიქმნება ჭარბი მიწოდება, რაც გამოიწვევს ფასის შემცირებას.

ჭარბი მოთხოვნა (excess demand) - სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას. წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე დაბლა დაიწევს. მომხმარებლებს გაუჩნდებათ სურვილი, იყიდონ იმაზე მეტი X საქონელი, ვიდრე მწარმოებლებს სურთ აწარმოონ. წარმოიშობა ჭარბი მოთხოვნა, რაც გამოიწვევს ფასის გაზრდას.

ჭარბი რეზერვები (excess reserves) - საბანკო რეზერვები, თანხა, რომლითაც ბანკის ფაქტობრივი რეზერვები აღემატება მის სავალდებულო რეზერვებს. იგი არის ფაქტობრივ რეზერვებს მინუს სავალდებულო რეზერვები.

ჭარბი საგადასახადო ტვირთი (excess burden of a tax) - წმინდა სარგებლობის დანაკარგი საზოგადოებისათვის საქონლის წარმოებისა და მოხმარების დონის ოპტიმალურზე დაბლა დაცემის შედეგად, რაც გამოწვეულია გადასახადების შემოღებით.

ჭარბი უმუშევრობის წლიური ერთეული (point-year of excess unemployment) – უმუშევრობის ფაქტობრივ და ბუნებრივ დონეებს შორის სხვაობა 1 პროცენტული პუნქტით ერთი წლისათვის. მაგ., თუ უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6%–ია, ხოლო ფაქტობრივი დონე – 8%, მაშინ 4 წლისათვის უმუშევრობის დონე შეესაბამება ჭარბი უმუშევრობის 4x(8–6)=8 წლიურ ერთეულს.

ჭარბწარმოება (overproduction) - ეკონომიკური ვითარება, როდესაც არსებული ფასების პირობებში საქონლის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას.

ხ

ხაზინა (treasury) - ფინანსთა სამინისტროსთან არსებული და მის შემადგენლობაში შემავალი სპეციალური სახელმწიფო ფინანსური ორგანო, რომელიც განაგებს ბიუჯეტის საკასო (სალარო) შესრულებას. ხაზინა აგრეთვე უშვებს სახაზინო ბილეთებს, ორგანიზებას უწევს გადასახადების, მოსაკრებლების აკრეფას.

ხაზინის თამასუქი (treasury bill) - სამთავრობო საბაზრო ფასიანი ქაღალდი სამ- და ექვსთვიანი, 91-დღიანი და წლიური დაფარვის ვადით.

ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი (durable goods) - საქონელი, რომელსაც მომხმარებელი იყენებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში (არანაკლებ ერთი წლისა); ჩვეულებრივ იყოფა წარმოებრივი დანიშნულების ხანგრძლივი სარგებლობის საქონლად (მანქანები, მოწყობილობები და ა.შ.) და სამომხმარებლო დანიშნულების ხანგრძლივი სარგებლობის საქონლად (ავტომობილები, მაცივრები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ.).

„ხარი“ („bull“) — ბირჟის მაკლერი, რომელიც ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის ამაღლებაზე თამაშობს. იგი შეიძენს, ვთქვათ, აქციებს და ელოდება მათი კურსის ზრდას, რათა შემდეგ გაყიდოს და საკურსო სხვაობიდან მოგება მიიღოს.

„ხარების“ ბაზარი („bull market“) - ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ხასიათდება ფასების ზრდით.

ხარისხის სერტიფიკატი (quality certificate) - საქონლის ხარისხისა და სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. გასცემენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები. გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ხარჯების ინფლაცია (cost push inflation) - ფასების საერთო დონის მყარი ზრდა, გამოწვეული ხარჯების წარმოებისაგან დამოუკიდებელი ზრდით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული პერსონალი წამოაყენებს მოთხოვნას რეალური ხელფასის გაზრდის შესახებ, ან იმპორტულ საქონელზე ფასები მოიმატებს.

ხარჯებისა და შედეგების ანალიზი (cost-benefit analysis) — სახელმწიფო სექტორში საინვესტიციო პროექტების შეფასების სისტემა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კერძო სექტორში პროექტების შეფასებისთვის. იგი, პირდაპირი ფინანსური შედარებ-

ისაგან განსხვავებით, ყოველგვარ ხარჯსა და შედეგს განიხილავს. შედეგი ამ შემთხვევაში სარგებლიანობის დანამატია, ხოლო ხარჯი – სარგებლიანობის შემცირება, გაზომილი განსახილველი პროექტის ალტერნატიული ღირებულებით. პრაქტიკაში მრავალი შედეგის (როგორც დადებითის, ისე უარყოფითის) გაზომვა არ შეიძლება ფულადი ფორმით (მაგალითად, ბუნებრივი ლანდშაფტების განადგურება, საზოგადოებრივი კავშირების მოშლა და ა.შ.), მაშინ როდესაც ხარჯები შეიძლება გაიზომოს ფულადი ფორმით, პროექტის ფაქტობრივი ღირებულებით.

ხარჯთაღრიცხვა (costs estimate) - საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრების შემოსავალ-გასავლის (დანახარჯების) გეგმა, რომელიც დაყოფილია ცალკეულ ელემენტებად და მუხლებად.

„ხაფანგის“ ეფექტი (entrapment effect) – ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორად ბაზრებად. პირველადი სექტორი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორადი სექტორისთვის ნიშანდობლივია ნაკლებანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასტაბილური სამუშაო, არასრული დასაქმება და, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველი. მეორადი სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად ადამიანისეული კაპიტალისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკთა დონეში განსხვავება, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეორეული შრომის ბაზრის პირობები წარმოადგენს მუშაკების მიერ ცუდი შრომის ჩვევების შეძენის მთავარ მიზეზს. „ცუდი“ სამუშაოს მქონე მუშაკები ხდებიან „ცუდი“ მუშაკები. ეს მოვლენა უკუკავშირის დიდი სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია. მასზე გავლენას ახდენს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, მათ შორის, ოჯახური მდგომარეობაც. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება „ხაფანგის“ ეფექტი, რომელიც გამომდინარეობს სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზიდან (culture of poverty hypothesis).

ამ შემთხვევაში სამთავრობო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნას კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაციის ნაცვლად.

განსხვავებული მიდგომა აქვთ ნეოკლასიკოსებს, რომელთა აზრით, შრომის მეორეული ბაზრის ასეთი მდგომარეობა არის ინვესტიციების ნაკლებობის გამოხატულება ადამიანისეულ კაპიტალში. თუმ-

ცა ინვესტიციების დაბალი დონე ადამიანისეულ კაპიტალში ლოგიკური პასუხია დაბალი შემოსავლისა ინვესტიციებიდან, რომელსაც მუშაკები ღებულობენ დისკრიმინაციის შედეგად და ძირითადად განპირობებულია ენდოგენური ფაქტორებით.

ხელფასი (wage, salary) - შრომის ფასი, ფულადი ანაზღაურება შრომისათვის. ხელფასის სიდიდე წესდება კონტრაქტის შესაბამისად, ტარიფების განაკვეთის მიხედვით და თანამდებობრივი სარგოს სახით, მაგრამ არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის დონეზე დაბლა. ხელფასის ზედა ზღვარი შეუზღუდავია.

ხელფასის თეორია (wage theory) - შრომის ნეოკლასიკური თეორია, რომელიც დღესაც რჩება ხელფასის ანალიზის დომინირებულ მეცნიერულ პარადიგმად. ამასთან, ნეოკლასიკური თეორიის ეს უპირატესობა არ იყო მუდმივი და მას წინ უძღვოდა შრომის კლასიკური თეორიის დომინირება. კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს მტკიცედ სწამდათ, რომ ხელფასს ახასიათებს ტენდენცია, მისი ბუნებრივი დონის ან საარსებო მინიმუმის დონის ირგვლივ მერყეობისა. მათ მთავარ ინტერესს წარმოადგენდა ხელფასის საერთო დონისა და მოსახლეობის ზრდის კვალობაზე ეროვნულ პროდუქტში შრომის წილის ცვლილების ახსნა. თანდათანობით ხელფასის თეორიისადმი მიდგომა შეიცვალა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კლასიკური თეორიის წარმომადგენელთა პოზიციების მიმართ დამოკიდებულებამ ცვლილება განიცადა ორი მიმართულებით: პირველი, მარქსისტული თეორიის განვითარებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება კლასიკური ანალიზის მიმართ. ამასთან, მარქსისტული თეორიიდან გამომდინარე, რომ კაპიტალიზმის დროს ხელფასის განაკვეთს აქვს ტენდენცია საარსებო მინიმუმთან მიახლოებისა, პრაქტიკულად ემთხვევა კლასიკური თეორიის წარმომადგენელთა დასკვნებს; მეორე, დადგა მარჟინალისტური რევოლუციის პერიოდი. მაშინ როდესაც კლასიკური სკოლა წარმოების დანახარჯებს განიხილავდა ფასის განმსაზღვრელ ფაქტორად, მარჟინალისტებმა ფასის განმსაზღვრელ ფაქტორად პირველებმა აღიარეს ზღვრული სარგებლიანობა. მათი აზრით, შრომის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს სამუშაო ძალაზე მეორეული წარმოებული მოთხოვნით, რომელიც, თავის მხრივ, შრომის ზღვრულ პროდუქტზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მუშაკის შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს არა ხელფასის ფონდიდან, არამედ იმ საქონლის რეალიზაციით მიღე-

ბული ამონაგებიდან, რომლის შექმნაშიც ეს მუშაკი მონაწილეობს. თუ კლასიკური თეორია თავისი ყურადღების კონცენტრაციას ახდენდა ხელფასის საერთო დონეზე, ნეოკლასიკურმა თეორიამ წინა პლანზე წამოსწია მიკროეკონომიკური ფაქტორები.

ნეოკლასიკოსთა შემდგომ გამოკვლევებში, განსაკუთრებით ა. მარშალის ნაშრომებში, ნაჩვენებია, რომ ხელფასი არის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების შედეგი.

ხელფასის ნეოკლასიკური თეორია, მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით, დღესაც რჩება მთავარ ორიენტირად ხელფასის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, თუმცა, იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ეჭვქვეშ დააყენა „კეინზიანურმა რევოლუციამ“. კეინზი ხაზს უსვამდა ხელფასის არაელასტიკურობას შრომის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, თუმცა, ამის მიზეზი ნაკლებად იყო დასაბუთებული. ამიტომ ხელფასის კეინზიანურმა თეორიამ ვერ დაჩრდილა ნეოკლასიკური თეორია, მაგრამ ხელი შეუწყო ხელფასის ინსტიტუციური თეორიის განვითარებას. ეს უკანასკნელი აქცენტს აკეთებს სოციოლოგიურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე და სრულად გამორიცხავს ეკონომიკურ ფაქტორებს.

ინსტიტუციურმა ეკონომიკურმა თეორიამ რომელიც ფართოდ გავრცელდა 1890-1930 წლებში, ხელფასის დონის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზის სფეროში თავისი სიტყვა თქვა 1940-1950-იან წლებში. ამ თეორიის მომხრეები სკეპტიკურად უყურებდნენ ხელფასის ნეოკლასიკურ თეორიას, თუმცა, მათ ვერ შექმნეს ხელფასის ერთიანი თეორია. ამასთან, იმდენად დიდი იყო ინსტიტუციონალისტთა გავლენა, რომ შრომის ეკონომიკა ამ პერიოდში დიდხანს იყო მოწყვეტილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებისაგან.

XX საუკუნის 70-იან წლების მეორე ნახევრიდან ნეოკლასიკური თეორიის აღორძინების კვალობაზე მწვანე შუქი მიეცა ხელფასის თეორიის ნეოკლასიკურ მოდელს.

ხელფასის ინდექსაცია (wage indexation) – ფასების ზრდის საპასუხოდ ხელფასების ავტომატური გაზრდა.

ხელფასი-ფასის სპირალი (wage-price spiral) – ხელფასის ზრდასა და ფასების ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი სპირალი: ხელფასების ზრდა განაპირობებს ფასების ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს ხელფასების შემდგომ ზრდას.

ხელფასის სტანდარტი (labour standard) – ბრიტანელი ეკონომისტის, ეკონომიკის დარგში (კ.

ეროუსთან ერთად) ნობელის პრემიის ლაურეატის (1972) ჯ. ჰიკსის მიერ შემოღებული ტერმინი, რომელიც განხილულია მის ნაშრომში – „ხელფასის თეორია“ (1932) და უკავშირდება ხელფასის (და, მაშასადამე ფასების) განსაზღვრის წესს.

ჰიკსის აზრით, შეხედულება იმის შესახებ, რომ ხელფასი (ასევე ინფლაცია), განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმოქმედებით, არ არის მართებული. ხელფასი, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების, ძალების ურთიერთმოქმედების შედეგია, ხოლო ხელფასის დონე განსაზღვრავს მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოდენობას.

ხელშეკრულება (agreement, contract) - კონტრაქტი, შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც ითვალისწინებს უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ხელშეკრულება მოიცავს: მის მონაწილეთა მონაცემებს, მხარეთა ვალდებულებებს, გარიგების საგანს, შეთანხმების პირობებს, პასუხისმგებლობის ფორმებს, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან გაუქმების პირობებს, მხარეთა იურიდიულ მისამართებს. ხელშეკრულება მოწმდება მის მონაწილეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების ხელის მოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირის შემთხვევაში).

არსებობს ხელშეკრულების მრავალი სახეობა. მათ შორის აღსანიშნავია: **გენერალური ხელშეკრულება**, რომელსაც აქვს უნივერსალური ხასიათი და წარმოადგენს ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ხელშეკრულების სახესხვაობას; **კორესპონდენტური ხელშეკრულება**, რომელიც წარმოადგენს ბანკებს შორის შეთანხმებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; **შრომითი ხელშეკრულება** – ხელშეკრულება დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის სამეურნეო ხასიათის, პირობებისა და ანაზღაურების შესახებ; **საავტორო ხელშეკრულება**, რომელიც იდება, მაგ., ნაწარმოების ავტორსა და ამ ნაწარმოების გამომცემელს შორის, ან კიდევ, გამოგონების ავტორსა და მის სამართალმემკვიდრეებს შორის და ა.შ.

ხელშეუხებელი კაპიტალი (reserve funds) - ფირმის სავაჭრო მარკის ღირსება, რეპუტაცია, პრესტიჟი, მყარი კლიენტურა, პრივილეგიები და სხვ.

ჯ

ჯარიმა (fine, penalty) - გადასახდელი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები მოქმედი კანონმდებლობის, დადებული ხელშეკრულების ან დადგენილი წესების დარღვევისათვის. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს გადამხდელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

ჯევონსი უილიამ (1835–1882) (Jevons W. Stanley) – ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, მარჟინალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ვალრასსა და მენგერთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ზღვრული სარგებლიანობის თეორიისა და, საერთოდ, პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. მისმა შრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომეტრიკის სფეროში.

ჯევონსის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „მოკლე შენიშვნა პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი მათემატიკური თეორიის შესახებ“ (1862), პამფლეტი – „ოქროს ღირებულების მკვეთრი დაცემა“ (1863), „კითხვარი, რომელიც ერის პროგრესსა და ჩვენი ქვანახშირის საბადოების შესაძლო ამოლევას ეხება“, „პოლიტიკური ეკონომიის თეორია“ (1871), „მეცნიერების პრინციპები“ (1874). ცნობილია აგრეთვე 1972–1981 წლებში გამოცემული ჯევონსის სტატიებისა და კორესპონდენციების შვიდტომეული.

ჯევონსის „მზის ლაქების“ თეორია (Jevons “sun spots” theory) - ინგლისელმა ეკონომისტმა ჯევონსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ციკლების თეორიაში თავისი „მზის ლაქების“ თეორიით: მზეზე ლაქები გავლენას ახდენს ამინდზე, რომელიც, აისახება მოსავალზე, რაზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა.

ჯინის კოეფიციენტი (Gini Coefficient) - შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხის აგრეგირებული რაოდენობრივი მაჩვენებელი. გამოითვლება:

$$G = 1 + \frac{1}{n} - \frac{2}{n^2 \bar{y}}[y_1 + 2y_2 + 3y_3 + \ldots + ny_n],$$

სადაც $y_1, y_2, \ldots, y_n$ ინდივიდუალური შემოსავლებია კლებადი სახით, $\bar{y}$ - საშუალო შემოსავალი, **n** - ინდივიდების რიცხოვნობა.

ჯინის კოეფიციენტი მიიღება ლორენცის მრუდისგან და წარმოადგენს ამ მრუდსა და აბსოლუტური თანასწორობის ხაზს შორის ფართობის შეფარდებას აბსოლუტური თანასწორობის ხაზის ქვეშ არსებულ მთლიან ფართობთან. ჯინის კოეფიციენტს აქვს ნულის ტოლი მინიმალური მნიშვნელობა (აბსოლუტური თანასწორობა) და ერთის ტოლი მაქსიმალური მნიშ-

ვნელობა (აბსოლუტური უთანასწორობა). რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით უფრო მეტია უთანასწორობა შემოსავლების განაწილებაში. რაც უფრო დაბალია კოეფიციენტი, მით უფრო თანაბარია შემოსავლების განაწილება.

ჯობერი (jobber) - ფირმა, რომელიც შეისყიდის საქონლის დიდ პარტიებს სწრაფად გასაყიდად.

ჰ

ჰაიეკი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ (1919-1992) (Hayek Friedrich A. von) - დაიბადა და განათლება მიიღო ვენაში, ხელმძღვანელობდა კათედრებს ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში, ჩიკაგოს, ფრაიბურგისა და ზალცბურგის უნივერსიტეტებში. 1974 წელს გ. მიურდალთან ერთად, მიენიჭა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია. ეკუთვნის ფუძემდებლური ნაშრომები ფულისა და ეკონომიკური რყევის თეორიებში: „ფასები და წარმოება“ (1931), „გზა მონობისაკენ“ (1944), „თავისუფლების კონსტიტუცია“ (1960), „სტიუარტ მილი და ჰერიეთ ტეილორი“ (1951) და ა.შ.

ჰაირინგი (hiring) - მანქანადანადგარების საშუალოვადიანი არენდა არენდატორზე საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე. არენდის ვადა 1-3 წელია.

ჰაროდი როი ფობს (1900-1978) (Harrod Roy F.) - ინგლისელი ეკონომისტი, ნეოკეინზიანელობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე კითხულობდა ლექციების კურსს საერთაშორისო ეკონომიკაში. იყო „ეკონომიკური ჟურნალის“ გამომცემელი 1945-1961 წლებში. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის“ (1948), „ჯონ მეინარდ კეინზის ცხოვრება“ (1951), „პოლიტიკა ინფლაციის წინააღმდეგ“ (1958), „ეკონომიკური დინამიკა“ (1973) და ა.შ.

ჰაროდმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონკურენციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებში. ამასთან, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ეკონომიკური დინამიკისა და, განსაკუთრებით, ეკონომიკური ზრდის ტემპების პრობლემათა კვლევაში. XX საუკუნის 40-იან წლებში მან შექმნა ეკონომიკური ზრდის წონასწორობის მოდელი, რომელიც მისგან დამოუკიდებლად დომარმაც ჩამოაყალიბა და ეკონომიკური ზრდის თეორიაში ცნობილია ჰაროდ-დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელის სახელწოდებით. ჰაროდის ეკონომიკური ზრდის კონცეფციამ საფუძველი დაუდო გრძელვადიან პერიოდში მყარი განვითარების ტემპების შენარჩუნების შესაძლებლობას.

ჰაუსჰოლდის ბლოკი (household block) - შინამეურნეობა, რომელიც, ერთი მხრივ, ბიზნესისათვის რესურსების მიმწოდებელთა მექანიკური გაერთიანებაა, მეორე მხრივ კი — მწარმოებელთა ერთობლიობა, წარმოდგენილი საზოგადოების სახით.

ჰედონიკური შეფასება (hedonic pricing) – მიდგომა, რომე-

ლიც საქონელს განიხილავს როგორც სხვადასხვა მახასიათებელთა (მაგ., პერსონალური კომპიუტერის შემთხვევაში: პროცესორის სიხშირე, მეხსიერება, ინტერნეტით ხელმისაწვდომობა, ფასი და ა.შ.) ნაკრებს, ერთობლიობას.

ჰეილბრონერი რობერტ (1916-2005) (Heilbroner Robert) - ამერიკელი ეკონომისტი, ნეოინსტიტუციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. საბაზრო ეკონომიკას მიიჩნევს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ახალ სტადიად, რომელიც ემყარება თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებს. მისი აზრით, ეს უკანასკნელი განაპირობებს მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს საზოგადოებაში და საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის ტრანსფორმაციას. ჰეილბრონერი საზოგადოების ელიტარულ ნაწილს მიაკუთვნებს მეცნიერულ-ტექნიკურ ინტელიგენციას, აკადემიური წრის წარმომადგენლებს, აგრეთვე სახელმწიფო ადმინისტრაციას, რომლის ზრდას ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ზრდა განაპირობებს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ამერიკული კაპიტალიზმის პრობლემები“ (1966); „კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის“ (1970) და ა.შ.

ჰენდი (hand) [<ინგლ. hand ხელისგული] - სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში: 1 ჰ ტოლია 4 დუიმის ან 10,16 სმ-ის.

ჰეტეროდოქსული სტაბილიზაცია (heterodox stabilization) - მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელი, რომელიც ნეოლიბერალური და ნეოკეინზიანური თეორიების ძირითადი პოსტულატების მექანიკური შეერთების გამოხატულებაა. იგი, ხელფასებისა და ფასების „გაყინვით“, იძლევა სწრაფ ანტიინფლაციურ ეფექტს, მაგრამ იწვევს ფასების დეფორმაციას, ახშობს წარმოების განვითარების სტიმულებს, წარმოქმნის სასაქონლო დეფიციტსა და ა.შ., რითაც ხელს უშლის საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების განვითარებას.

ჰექტარი (hectare) [<ბერძნ. hekaton ასი+არი] - მიწის ფართობის საზომი ერთეული ზომის მეტრულ სისტემაში, უდრის 10000 მ^2-ს ანუ 100 არს.

ჰეჯირება (hedging) - ბირჟის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს ფასების შესაძლებელ არახელსაყრელ მერყეობასთან დაკავშირებული რისკის დაზღვევას; მყიდველის ან გამყიდველის ქცევა მომავალში ფასების ზრდისგან თავისი შემოსავლის დაცვის მიზნით. მაგ., თუ არსებობს გაურკვევლობა მომავალში მწარმოებლისთვის საჭირო სანედლეულე საქონელზე ფასების შესახებ, მაშინ იგი ყიდულობს ფორვარდულ კონტრაქტს, რომე-

ლიც წარმოადგენს გარიგებას დათქმულ ფასში საქონლის ან ფასიანი ქაღალდების მომავალში განსაზღვრულ დროში ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ჰეჯირება ფართოდაა გავრცელებული ვალუტის ბაზარზე, სადაც იგი გამოიყენება ვალუტის კურსების მერყეობისგან დაზღვევის მიზნით.

ჰიკს ჯონ რიჩარდ (1904–1989) (Hiks John Richard) – ბიტანელი ეკონომისტი, მოღვაწეობდა ეკონომიკის ლონდონის სკოლაში, კემბრიჯის, მანჩესტერისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. 1972 წელს, კენეტ ეროუსთან ერთად, გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი. დიდი ღვაწლი მიუძღვის კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის პრობლემების კვლევაში. ნობელის კომიტეტმა განსაკუთრებით გამოყო მისი ნაშრომი „ფასეულობა და კაპიტალი“ (1939), რომლითაც ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საყოველთაო წონასწორობის თეორიაში, კერძოდ, გარე შოკების ზემოქმედებით საყოველთაო წონასწორობის მდგრადი სისტემის პრობლემების ანალიზში.

ჰიკსის ნაშრომებიდან აგრეთვე აღსანიშნავია: „ხელფასის თეორია“ (1932), „მისტერ კეინზი და კლასიკოსები“ (1937), „ეკონომიკური ციკლის თეორიისათვის“ (1950), „მოთხოვნის თეორიის გადასინჯვა“ (1956), „კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა“ (1965), „კეინზიანური ეკონომიკური თეორიის კრიზისი“ (1974) და ა.შ.

ჰიპერინფლაცია (hyperinflation) - ინფლაციის უმაღლესი დონე, რომლის ზრდის ტემპი 200%-ზე მეტია, ზოგჯერ კი წელიწადში რამდენიმე ასეულ პროცენტსაც კი აღწევს. ჰიპერინფლაციის დროს ფასები და ხელფასი კატასტროფულად სცილდება ერთმანეთს. ასეთ პირობებში ცხოვრების დონის დაცემას მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ფენებიც კი გრძნობენ.

„ჰოლანდიური დაავადება“ (“dutch desease”) - ეს ფენომენი უკავშირდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შეუზღუდავ შემოდინებას, გამოწვეულს ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმით. იგი აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძალებამ. ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზღვავების ერთ-ერთი წყარო შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი პრივატიზაციაც.

სახელწოდება – „ჰოლანდიური დაავადება“ ასოცირდება არაგონივრულად განკარგულ ქვეყნის სიმდიდრესთან და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ჩრდილოეთის ზღვაში ნიდერლანდის მიერ ბუნებრივი აირის

საბადოს აღმოჩენამ გამოიწვია ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების არნახული ზრდა, ეროვნული ვალუტის – გულდენის გამყარება და ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაცემა. ამ პერიოდიდან მოყოლებული „ჰოლანდიური დაავადების“ სახელით ცნობილი ეს მოვლენა არაერთი ქვეყნის „თავის ტკივილი“ გახდა.

„ჰოლანდიური დაავადების“ კლასიკური მოდელი 1982 წელს ჩამოაყალიბეს მ. კორდენმა და პ. ნეარვიმ (**Corden Max W**., **Nearvy Peter J**. Booming Sector and Deindustrialization in a Small open Economy. “The Economic Journal”. Vol. 92, 1982, pp. 825-848). მისი შინაარსი შემდეგია: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმი არღვევს წონასწორობას ამ სექტორს, ტრადიციულ საექსპორტო სექტორსა და არასაექსპორტო სექტორს (მშენებლობა, საცალო ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.) შორის. მართალია, თავდაპირველად ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლებს, მაგრამ მისი გრძელვადიანი ეფექტი საწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ შიდა ვალუტის ბაზარზე ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. თუ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, მაშინ კონვერტირების ეს პროცესი მოითხოვს ფულის მიწოდების ზრდას, რაც ადგილობრივი ფასების მომატებას იწვევს, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა ადგილობრივი ვალუტის გამყარებას გამოიწვევს. ორივე შემთხვევაში გაიზრდება ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური ვალუტის ერთეულით გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ასეთი ვითარება უკუგავლენას ახდენს ტრადიციული ექსპორტის მომგებიანობაზე, ვინაიდან შიდა ფასების ზრდის გამო გაძვირებული საექსპორტო პროდუქცია ნაკლებ-კონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე, რასაც მოჰყვება ტრადიციულ საექსპორტო სექტორში წარმოების მკვეთრი დაცემა, კაპიტალისა და სამუშაო ძალის არასაექსპორტო სექტორში გადანაცვლება („რესურსების გადანაცვლების ეფექტი“). გარდა იმისა, რომ ამის შედეგად ტრადიციული საექსპორტო სექტორი ზარალდება, თუ ვერ მოხერხდა არასაექსპორტო სექტორის ინ-

ფრასტრუქტურის განვითარება და კადრების გადამზადება, გარდუვალია უმუშევრობის ზრდა და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ ზემოთ განხილული გზით ქვეყანაში მიღებული უცხოური ვალუტა იმპორტის ზრდას მოხმარდება, მაშინ ვალუტის ნაკადების შემოდინება პირდაპირ არ აისახება ფულის მიწოდებაზე, თუმცა, იმპორტის ზღვარგადასული ზრდაც გაუმართლებელია.

საქართველოში „ჰოლანდიურმა დაავადებამ" თავი იჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. ოღონდ კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მის წარმომშობ მიზეზებში წინა პლანზე წამოიწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების მოზღვავება, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები, ან დროებით იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი ტრანსფერების ნაკადები და ბოლო დროს ქვეყანაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია.

ჰოლდინგი (holding) - აქციონერული კომპანია, რომელიც ფლობს სხვა ფირმების, კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს. განასხვავებენ **წმინდა ჰოლდინგს**, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ კონტროლი და მართვა, და **შერეულს**, რომელიც, ამასთან, ეწევა სამეწარეო საქმიანობას. არსებობს **სახელმწიფო ჰოლდინგებიც**. ეს არის სპეციალური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა განკარგულებაშიც გარკვეულ პერიოდში იქმნება პრივატიზებულ საწარმოთა აქციების საკონტროლო პაკეტები, ხოლო საწარმოები მათს ფარგლებში აქციების ჯვარედინი მფლობელები ხდებიან.

სხვა კომპანიების აქციების ნაწილის ფლობა ჰოლდინგებს საშუალებას აძლევს კონტროლი გაუწიონ მათ საქმიანობას.

ჰოლდინგური სისტემა მოიცავს სათავო, შვილობილ და შვილიშვილ კომპანიებს. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ სათავო კომპანია ფლობდეს შვილობილი კომპანიების აქციების 51%-ს. მათი საქმიანობის კონტროლისათვის საკმარისია გაცილებით ნაკლები აქცია.

დასავლეთში ჰოლდინგური კომპანიების შექმნის ერთადერთი ბარიერი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაა. ამასთან, კომპანიების შერწყმასთან შედარებით, ჰოლდინგების შექმნას გაცილებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ. ჰოლდინგური სისტემის შემადგენლობაში შესვლით მრავალი ფირმაა დაინტერესებული, ვინაიდან იგი ფირმის სიმტკიცესა და სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში, ისინი სათავო კომპანიებისაგან იღებენ დახმარებას. დამოუკიდებელი ფირმების გაერთიანება ხელსაყრელია ჰოლდინგურ სისტემაში აქციონირებისთვისაც, ვინაიდან იგი ამცირებს რისკს და თითქმის გამორიცხავს გაკოტრების საფრთხეს.

ᲰᲝᲢᲔᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ (Hotelling's rule) - არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების წესი, დადგენილი ჰ. ჰოტელინგის მიერ 1931 წელს (The Economics of Exautible Resources. The Journal of Political Economy. Vol. 39, pp. 137-175). ეს წესი დღემდე რჩება განმსაზღვრელად წიაღისეულის მოპოვების ოპტიმალურობის დადგენაში. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: იმისათვის, რომ მოპოვება იყოს ოპტიმალური, მიწაში დარჩენილი ერთეული რესურსის ნეტო-ფასი (გასაყიდ ფასს მინუს მოპოვების დანახარჯები) დროთა განმავლობაში უნდა გაიზარდოს იმ ტემპით, რა ტემპითაც გაიზრდება სარგებლის განაკვეთი. უფრო ზუსტად, ნეტო-ფასის ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს სარგებლის განაკვეთისას. რესურსის მფლობელი დგას არჩევანის წინაშე: ამოიღოს ერთეული რესურსი და მოახდინოს მისი გაყიდვით მიღებული თანხის ინვესტირება მიმდინარე სარგებლის განაკვეთით, თუ დატოვოს იგი მიწაში.

ჰოტელინგის წესს ალტერნატიული ფორმულირებაც აქვს: ერთეული რესურსის დისკონტირებული ღირებულება უნდა იყოს უცვლელი იმის მიუხედავად, თუ როდის იქნება ეს რესურსი ამოღებული მიწიდან.

ᲰᲝᲣᲢᲠᲘ ᲠᲐᲚᲤ ᲯᲝᲠᲯ (1879-1975) (Hawtrey Raulf George) - ინგლისელი ეკონომისტი, ალფრედ მარშალის მიმდევარი, კემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. შეიმუშავა ციკლებისა და კრიზისების თეორია, ფულადსაკრედიტო პოლიტიკის მეთოდები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბალანსირებული ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტების შესწავლაში.

ლექსიკონის სტატიათა ანბანურ-თემატური საძიებელი

ა

აბანდონმენტი 9
აბსენტეიზმი 9
აბსოლუტური მოგება 9
აბსოლუტური უპირატესობა 9
აბსოლუტური პირატესობის თეორია 10
აბსოლუტური ფასები 10
აბსორბცია 10
აგენტი 10
აგლომერაცია 10
აგრარული რევოლუცია 11
აგრარული სექტორი 11
აგრეგირება 11
აგრეგირებული საწარმოო ფუნქცია 11
ადამიანის განვითარების ინდექსი 11
ადამიანისეული კაპიტალი 12
ადაპტაციის ლაგი 12
ადგილობრივი ბიუჯეტი 12
ადენდუმი 12
ად ვალორემი 12
ადმინისტრაციული ლაგი 12
ადმინისტრაციული ფასი 13
ავალი 13
ავანსი 13
ავანსირება 13
ავანსირებული კაპიტალი 13
ავანტაჟი 13
ავერაჟი 13
ავიაზედნადები 13
ავიზო 13
ა'ვისტა 14
ავისტა 14
ავსტრიული სკოლა 14
ავტარკია 14
ავტომატიზაცია 14
ავტომატური სტაბილიზატორები 14
ავტონომიური ინვესტიცია 15
ავტონომიური ხარჯები 15
ავუარი 16
„აზიური ვეფხვები“ 16
[redacted]ი ჯორჯ 16
აკვიზიტორი 16
აკორდული გადასახადი 16
აკრედიტივი 16
აკრი 16
„ალდაგი“ 16
ალე მორის 17
ალოკაციური ეფექტიანობა 17
ალოკაციური ფუნქცია 17
ალონჟი 17

ალპარი 18
ალტერნატივა 18
ალტერნატიული დანახარჯი (ღირებულება) 18
ამალგამაცია 18
ამბალაჟი 18
ამორტიზაცია 18
ამორტიზაციის ნორმა 19
ამპლიაცია 19
ამხანაგობა 19
ანაბარი 19
ანგარიშგება 19
ანგარიში 19
ანგარიშსწორება 19
ანგარიშსწორების ანგარიში 19
ანგარიშ-ფაქტურა 20
ანდერაიტინგი 20
ანკეტა 20
ანკეტირება 20
ანტიდემპინგური გადასახადი 20
ანტიდემპინგური კანონმდებლობა 20
ანტიდოვლათი 20
ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა 20
ანტიციპაცია 21
ანტრეპრენიორი 21
ანტრეპრიზი 21
ანუიტეტი 21
აჟიო 21
აჟიოტაჟი 21
არაერთგვაროვანი კაპიტალი 21
არაინსტიტუციური სამოქალაქო მოსახლეობა 21
არაკანონიერი წარმოება 22
არაკომერციული ორგანიზაცია 22
არაკონკურენტული მოხმარება 22
არამატერიალური მომსახურება 23
არანივთობრივი აქტივები 23
არაპირდაპირი გადასახადი 23
არასაბაზრო მომსახურება 24
არასაბაზრო ურთიერთობა 25
არასაგადასახადო შემოსავალი 26
არასრულყოფილი კონკურენცია 26
არატრადიციული ეკონომიკა 26
არაფასისმიერი კონკურენცია 26
არაფორმალური ეკონომიკა 26
არაფორმალური სექტორი 27
არბიტრაჟი 27
არბიტრაჟი „ად-ჰოკი“ 27
არენდა 28
არენდატორი 28
არი 28
არჩევანი ალტერნატიული

ვარიანტებიდან 28
ასორტიმენტი 28
ასოციაცია 28
აუდიტი 28
აუდიტორი 29
აუდიტორული ფირმა 30
აუტრაიტი 31
აუტსაიდერი 31
აუტსორსინგი 31
აუქციონი 31
აუქციონური ბაზარი 32
აქსელერატორი 32
აქსელერატორის პრინციპი 32
აქსელერაციის კოეფიციენტი 33
აქტივი 33
აქტიური კაპიტალი 33
აქტიური საგადასახდელო ბალანსი 34
აქტუარიუსი 34
აქცეპტანტი 34
აქცეპტი 34
აქცეპტური კრედიტი 34
აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტი 34
აქცია 35
პრივილეგიური აქცია 289
სახელობითი აქცია 360
აქცია წარმომდგენზე 35
ჩვეულებრივი აქცია 438
აქცია წარმომდგენზე 35
აქციების საკონტროლო პაკეტი 36
აქციზი (აქციზური გადასახადი) 36
აქციის კურსი 36
აქციონერი 37
აქციონერული საზოგადოება 37
აღმავლობა 37
აშკარა დანახარჯი 37
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო 38
ახალი ეკონომიკა 38
ახალი ზრდის თეორია 38
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები 38
ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა 39
ახალი მიკროეკონომიკა 39
ახალი შეხედულება ინვესტიციებზე 40
ახალი პოლიტიკური ეკონომია 40
[redacted] 40

ბ

ბადისებრი გარე ეფექტი 41
ბაზარი 41
გამყიდველის ბაზარი 59
ვალუტის ბაზარი 146
ინვესტიციის ბაზარი 165
კაპიტალის ბაზარი 179
კონკურენციული ბაზარი 200

ლიკვიდური ბაზარი **209**
მეორეული ბაზარი **231**
მომსახურების ბაზარი **241**
მსოფლიო ბაზარი **249**
მყიდველის ბაზარი **254**
ნაღდი ბაზარი **260**
ოქროს ბაზარი **275**
პირველადი ბაზარი **285**
„საერთო ბაზარი“ **320**
სასესხო კაპიტალის ბაზარი **348**
საფრახტო ბაზარი **351**
საქონლის ბაზარი **351**
ფასიანი ქაღალდების ბაზარი **393**
ფორვარდული ბაზარი **403**
„შავი ბაზარი“ **426**
შრომის ბაზარი **433**
ჩაკეტილი ბაზარი **437**
ცალმხრივი ბაზარი **443**
„ხარების“ ბაზარი **453**

ბაზრის კონიუნქტურა 42
ბაზრის ფიასკო 42
ბაზრის წონასწორობა 42
ბაზრობა 42
„ბაი-ბეკი“ 42
ბალანსი 42
აქტიური საგადასახდელო ბალანსი **34**
ბუღალტრული ბალანსი **53**
დარგთაშორისი ბალანსი **81**
ნეტო-ბალანსი **265**
პასიური საგადასახდელო ბალანსი **281**
პასიური სავაჭრო ბალანსი **281**
საგადასახდელო ბალანსი **313**
სავაჭრო ბალანსი **325**
საქონლისა და მომსახურების ბალანსი **354**

„ბალანსირება დანის პირზე“ 42
ბანკების აქტიური ოპერაციები 43
ბანკების პასიური ოპერაციები 43
ბანკი 43
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი **97**
ინოვაციური ბანკი **167**
იპოთეკური ბანკი **176**
კომერციული ბანკი **194**
მსოფლიო ბანკი **249**
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი **298**
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი **318**
საემისიო ბანკი **318**
საინვესტიციო ბანკი **334**
საინოვაციო ბანკი **334**
ცენტრალური ბანკი **443**

ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი 43
ბანკირი 43
ბანკნოტი 43

ბანკომატი 43
ბანკროტი 44
ბაჟი 44
ბარატრია 44
ბარტერი 44
„ბაუმოლის დაავადება“ 44
ბეკერი გარი სტენლი 44
ბემ-ბავერკი ოიგენ 45
ბენეფიციარი 45
ბიზნეს-გეგმა 45
ბიზნეს-ინკუბატორი 46
ბიზნეს ინჟინერინგი 46
ბიზნესი 48
ბიზნესის ბლოკი 48
ბიზნესის სოციალური პასუ-ხისმგებლობა 48
ბიზნესმენი 49
ბილ-ბროკერი 49
ბიმეტალიზმი 49
ბირჟა 49
ვალუტის ბირჟა **146**
კერძო ბირჟა **188**
საფონდო ბირჟა **350**
საქონლის ბირჟა **352**
შრომის ბირჟა **434**
ბიუკენენი ჯეიმს მაკჰილ 49
ბიუჯეტი 49
ადგილობრივი ბიუჯეტი **12**
დაბალანსებული ბიუჯეტი **80**
სახელმწიფო ბიუჯეტი **357**
ფედერალური ბიუჯეტი **398**
ბიუჯეტის დეფიციტი 50
ბიუჯეტის პროფიციტი 50
ბიუჯეტში შენატანები 50
ბლოკირებული ანგარიში 50
ბონი 50
ბონისტიკა 50
ბონიფიკაცია 50
ბონუსი 50
ბორდერო 50
ბოსი 51
ბრაკერაჟი 51
ბრეტონ-ვუდსი 51
ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა 51
ბრეტონ-ვუდსის კონფერენ-ცია 51
ბროკერი 51
ბროკერის გასამრჯელო 52
ბრუტო 52
ბუნებრივი მონოპოლია 52
ბუნებრივი რესურსები 52
ბუნებრივი ფასი 53
ბუტიკი 53
[redacted]**რული აღრიცხვა** 53
ბუღალტრული ბალანსი 53
ბუღალტრული მოგება 53
ბუშელი 53

В

გადამანაწილებელი ფუნქ-ცია 54
გადასაპირებელი თამასუქი (ტრატა) 54

გადასახადი 54
- აკორდული გადასახადი **16**
- ანტიდემპინგური გადასახადი **20**
- არაპირდაპირი გადასახადი **23**
- აქციზი (აქციზური გადასახადი) **36**
- გადასახადი მიღებულ უმაღლეს განათლებაზე **54**
- გაყიდვაზე გადასახადი **65**
- დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი **81**
- იმპორტზე გადასახადი (საიმპორტო ბაჟი) **162**
- ინფლაციური გადასახადი **174**
- მიწის გადასახადი **238**
- პიგუს გადასახადი **284**
- პირდაპირი გადასახადი **285**
- პროგრესიული გადასახადი **288**
- პროპორციული გადასახადი **289**
- რეგრესიული გადასახადი **295**
- უარყოფითი გადასახადი **386**
- უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი **386**
- ფისკალური გადასახადი **401**
- წმინდა გადასახადი **450**

„გადასახადი“ მიღებულ უმაღლეს განათლებაზე 54

გადასახადების სტრუქტურა 55

გადასახადის ზღვრული განაკვეთი 55

გადაწყვეტილების მიღების ლაგი 55

გადახდის ვალუტა 55

გადახდისუნარიანი მოთხოვნილება 55

გადახდისუნარიანობა 55

გადახდისუნარიანობის თეორია 56

გაეროს სსდკ (საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია) 56

გაკოტრება 58

გალონი 58

გამოვლენის ლაგი 58

გამოთვლითი ეკონომიკა 58

გამოშვების ბუნებრივი მოცულობა 59

გამყიდველის ბაზარი 59

განაწილების თეორიები 59

განვითარებადი ქვეყნები 60

განვითარების სტრატეგია 60

განვითარებული ქვეყნები 60

განკარგვადი შემოსავალი 61

განკარგვითი ეროვნული შემოსავალი 61

განკარგვითი მთლიანი ეროვნული შემოსავალი 61

განკარგვითი წმინდა ეროვნული შემოსავალი 61

განსახელმწიფოებრივება 61

გარანტი 62

გარანტია 63
გარდამავალი პერიოდი 63
გარე დანახარჯები 63
გარე ეფექტები 63
ბადისებრი გარე ეფექტი 38
გარე ეფექტის ინტერნალიზაცია 64
გარე ლაგი 64
გასაღების მრუდი 64
გაუთვალისწინებელი დანახარჯი 64
გაუთვალისწინებელი ინფლაცია 64
გაუფასურება 64
გაყიდვაზე გადასახადი 65
„გაცვეთილი ფეხსაცმლის“ დანახარჯები 65
გაცვლითი კურსი 65
მცურავი გაცვლითი კურსი 258
ნომინალური გაცვლითი კურსი 265
რეალური გაცვლითი კურსი 293
ფიქსირებული გაცვლითი კურსი 401
გედონისტიკური ფასი 65
გელბრეითი ჯონ კენეტი 65
გირავნობის სიგელი 66
გირაო 66
გირაოთი უზრუნველყოფილი ობლიგაცია 66
გირვანქა 66
გლობალიზაცია 66
გლობალიზაციის KOF-ინდექსი 69
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 71
გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 75
გოგიჩაიშვილი ფილიპე 76
გრადუალიზმი 77
გრანტი 77
გრანტ-ელემენტი 78
გრძელვადიანი კრედიტი 78
გუგუშვილი პაატა 78
გუდვილი 79
გუნია ავთანდილი 79

დ

დაბალანსებული ბიუჯეტი 80
დაბალანსებული ზრდა 80
დაზოგვის პარადოქსი 80
დაზღვევის პოლისი 80
დაკვეთა 80
[redacted]**ბის პორტფელი** 80
დაკრედიტება 80
„დამამშვიდებელი“ ფასი 81
დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი 81
დამატებული ღირებულება 81
დანაზოგი 81
მთლიანი დანაზოგი 232
მთლიანი ეროვნული დანაზოგი 233

წმინდა ეროვნული დანაზოგი 450

დანაზოგისაკენ მიდრეკილება 81

დანახარჯი 81

ალტერნატიული დანახარჯი (ღირებულება) 18

აშკარა დანახარჯი 38

გაუთვალისწინებელი დანახარჯი 64

ზედნადები დანახარჯი 153

ზღვრული (მარჟინალური) დანახარჯი 154

მუდმივი დანახარჯი 253

საშუალო დანახარჯი 355

სტივიდორული დანახარჯი 377

ფარული (იმპლიციტური) დანახარჯი 390

ცვალებადი დანახარჯი 445

წმინდა მიმოქცევის დანახარჯი 451

დარგთაშორისი ბალანსი 81

დარგობრივი კონკურენტუნარიანობა 82

დასაქმება 84

დასაქმების ბუნებრივი დონე 84

დასაქმების დონე 84

დასაქმებული მოსახლეობა 84

დაუკვირვებადი ეკონომიკა 84

დაუსაქმებლობის კოეფიციენტი 85

დაფრახტვა 85

დაჩქარებული ინფლაცია 85

დაცემა (ეკონომიკური) 85

დაცემის ეტაპი 85

დებენტურა 85

დებიტანტი 85

დებიტორი 85

დებიტორული დავალიანება 85

დებურსი 85

დევალვაცია 85

დევიზი 86

დეზინვესტიცია 86

დეზინფლაცია 86

დეკუვერი 86

დელივერი 86

დელისტინგი 86

დემერეჯი 87

დემონოპოლიზაცია 87

დემპინგი 87

დენადობის კოეფიციენტი 87

დენომინაცია 87

დეპოზიტი 87

დეპოზიტი მოთხოვნამდე 87

დეპოზიტი მოკითხვამდე 87

დეპოზიტორი 88

დეპონენტი 88

დეპონირება 88

დეპორტი 88

დეპრესიული რაიონი 88

დეპრივატიზაცია 88

დესეტინა 88

დეფიციტი 89
დეფიციტის დაფინანსება 90
დეფიციტური ვალუტა 90
დეფლატორი 90
დეფლაცია 90
დეფოლტი 90
„დიდი დეპრესია“ 90
„დიდი შვიდეული“ 90
დივერსიფიკაცია 90
დივერსიფიცირებული პორტ-ფელი 91
დივიდენდი 91
დივიდენდი ფასიანი ქაღალ-დების ფორმით 91
დიზაჟიო 91
დილერი 91
დისბალანსი 91
დისკონტი 92
დისკონტირება 92
დისკონტირებული ღირე-ბულება 92
დისკონტის პროცენტი 92
დისკონტური ობლიგაცია 92
დისკრეცია 92
დისკრეციული მოქმედება 92
დისპაშა 92
დისპაჩი 92
დისტანციური სწავლება 92
დისტრიბუტორი 93
დოლარი 93
დომარი ევსეი 94
დოტაცია ბიუჯეტიდან 94
დოუ-ჯონსის ინდექსი 94
დუალიზმი 95
დუალიზმის თეორია 95
დუიმი 95
დუოპსონია 95

ე

ეგზოგენური მტპ 96
ევრო 96
ევროდოლარი 96
ევროკავშირი 97
ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს-საბჭო 97
ევროობლიგაცია 97
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 97
ევროპული გაერთიანება 98
ევროპული ეკონომიკური გა-ერთიანება 98
ევროპის ცენტრალური ბანკი 99
ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის [redacted]ური სამრეწველო კლასიფიკაცია 99
ეკიუ 99
ეკოლოგიური ბანკი 99
ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია 100
ეკოლოგიური უსაფრთხოება 100
ეკონომეტრია, ეკონომეტრი-კა 100
ეკონომეტრიკული მოდე-

ლი 100
ეკონომიკა 100
ფარული ეკონომიკა 390
ღია ეკონომიკა 422
შერეული ეკონომიკა 427
ჩაკეტილი ეკონომიკა 437
ეკონომიკის სერვიზაცია 102
ეკონომიკის წმინდა მოგება 102
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 102
ეკონომიკურად აქტიური სამოქალაქო მოსახლეობა 103
ეკონომიკური ადამიანი 103
ეკონომიკური აზროვნების წესი 103
ეკონომიკური განვითარება 103
ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია 104
ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი 106
ეკონომიკური ეფექტიანობა 107
ეკონომიკური ზრდა 107
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 107
ეკონომიკური თეორია 107
ეკონომიკური ინფორმაცია 118
ეკონომიკური კიბერნეტიკა 119
ეკონომიკური კრიზისი 119
ეკონომიკური პოლიტიკა 119
ეკონომიკური საქმიანობა გაუთვალისწინებელი სტატისტიკური ორგანოების მიერ ძირითადი მონაცემების შეკრების სისტემის ნაკლოვანებათა შედეგად 119
ეკონომიკური სისტემა 120
ეკონომიკური ტერიტორია 120
ეკონომიკური ტრენინგი 121
ეკონომიკური უსაფრთხოება 121
ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები 121
ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია 121
ეკონომიკური ციკლი 122
ეკონომიკური წარმოება 122
ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა 122
ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები 123
ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები 123
ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები 123
ეკონომიქსი 123
ელასტიკური მოთხოვნა 127
ელასტიკურობა 127
ელექტრონული ფული 128
ემბარგო 129
ემისია 129
ემისიური მოგება 129
ემისიური შემოსავალი 129

ემიტენტი 130
ემიტირება 130
ენგელის კანონი 130
ენგელის კოეფიციენტი 130
ენდოგენური ზრდა 130
ენდოგენური მტპ 130
ენერგოტევადობა 131
ერთობლივი დანახარჯები 131
ერთობლივი დასაქმებული მოსახლეობა 131
ერთობლივი მიწოდება 131
ერთობლივი მიწოდების ელასტიკურობა 131
ერთობლივი მიწოდების მრუდი 131
ერთობლივი მოთხოვნა 131
ერთობლივი მოთხოვნის ელასტიკურობა 131
ერთობლივი მოთხოვნის მრუდი 132
ერთობლივი შემოსავალი 132
ერთობლივი (აგრეგატული) წარმოებრივი ფუნქცია 132
ერთობლივი ხარჯები 132
ერთპიროვნული მფლობელობის ფირმა (ემფ) 133
ეროვნული ანგარიშთა სისტემა 133
ეროვნული ანგარიშები 134
ეროვნული ანგარიშიანობა 134
ეროვნული სიმდიდრე 135
ეროვნული უპირატესობის რომბი 136
ეროვნული შემოსავალი 137
  განკარგვითი ეროვნული შემოსავალი **61**
  განკარგვითი მთლიანი ეროვნული შემოსავალი **61**
  განკარგვითი წმინდა ეროვნული შემოსავალი **61**
  წმინდა ეროვნული შემოსავალი **450**
ეროუ კენეთ ჯ. 139
ეროუ-დებრიოს მოდელი 140
ეროუ-პრატას კოეფიციენტი 140
ეტატიზმი 140
ეფექტიანი მოთხოვნა 140
ეფექტიანობა 141
  ალოკაციური ეფექტიანობა **17**
  ეკონომიკური ეფექტიანობა **106**
ექსპატრიანტი 141
ექსპლუატაცია 141
ექსპორტი 141
ექსტრაპოლაცია 141
ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები 141
ექსტერიტორიულობა 142
ექსტერნალიზაცია 142

ეჯოურტი ფრენსის ისიდ-
რო 142

ვ

ვაგნერის კანონი 143
ვადიანი ანაბარი 143
ვადიანი თამასუქი 143
ვაკუფი 143
ვალვაცია 143
ვალი 143
ვალორიზაცია 143
ვალრასი ლეონ 144
ვალუტა 144
გადახდის ვალუტა 55
სარეზერვო ვალუტა 347
უცხოური ვალუტა 389
ფასის (გარიგების) ვალუ-
ტა 396
ვალუტის ბაზარზე ზეწო-
ლის ინდექსი 145
ვალუტის ბაზარი 146
ვალუტის ბირჟა 146
ვალუტის ბლოკირება 147
ვალუტის კალათა 148
ვალუტის კონვერტირება
148
ვალუტის კურსი (გაცვლითი
კურსი) 148
ვალუტის კურსის დაცემა
149
ვალუტის კურსის ზრდა
149
ვარანტი 149
ვაუჩერი 149
ვაჭრობა 149
საბითუმო ვაჭრობა 311
საგარეო ვაჭრობა 315
საცალო ვაჭრობა 355
ღია ვაჭრობა 422
ვებლენი ტორსტეინ 150
ვებლენის ეფექტი 150
ვენჩურული კაპიტალი 151
ვენჩურული ოპერაციები 151
ვენჩურული (სარისკო)
ფირმა 151
ვირემენტი 151
ვიტაეკონომიკა 151
ვიქსელის კრიტერიუმი 152

ზ

ზარალი 153
ზარალის ზღვრული ღირე-
ბულება 153
ზარალის ღირებულება 153
ზარაფხანა 153
[redacted]ბი დანახარჯი 153
ზენორმალური მოგება 153
ზომბიეკონომიკა 153
ზრდის ინდექსი 154
ზრდის ტემპი 154
„ზუსტი მომართვა“ 154
ზღვრული ანტისარგებლი-
ანობა 154
ზღვრული ერთეული 155
ზღვრული (მარჟინალური)
დანახარჯი 155

ზღვრული მაქსიმალური ფასი 155
ზღვრული მინიმალური ფასი 155
ზღვრული მწარმოებლურობა 155
ზღვრული პროდუქტი 155
ზღვრული პროდუქტის ღირებულება 155
ზღვრული სარგებლიანობა 155
ზღვრული სარგებლიანობის თეორია 156
ზღვრული შემოსავალი 156

თ

თავდაპირველი ღირებულება 157
თავისუფალი ბაზრის ნიშნები 157
თავისუფალი (სპეციალური) ეკონომიკური ზონა (თეზ) 158
თავისუფალი ვაჭრობა 158
თავისუფალი ვაჭრობის ზონა 158
თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის ზონა 158
თამასუქი 159
  გადასაპირებელი თამასუქი (ტრატა) **54**
  მარტივი თამასუქი **223**
  ხაზინის თამასუქი **453**
თამასუქის დისკონტი 160
თამაშთა თეორია 160
თარგეტირება 160
„თეთრსაყელოიანები“ 160
თვითდაფინანსება 160
„თითქმის ფული“ 161

ი

იარდი 162
„იაფი ფული“ 162
იმიჯი 162
იმპორტზე გადასახადი (საიმპორტო ბაჟი) 162
იმპორტი 162
იმპორტის შენაცვლება შიდა წარმოებით 162
იმპორტირებისადმი მიდრეკილება 163
ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია 163
ინდემნიტეტი 163
ინდექსაცია 163
ინდექსი 164
[redacted]ალური მეწარმეობა 164
ინდიკატური დაგეგმვა 164
ინდოსამენტი 164
  საბლანკო ინდოსამენტი **293**
ინდოსანტი 164
ინდოსატი 164
ინდუსტრია 164
ინდუსტრიული საზოგადოება 165

ინერცია 165
ინვესტირებისადმი მიდრეკილება 165
ინვესტიცია 165
ავტონომიური ინვესტიცია **15**
მარაგებში ინვესტიცია **220**
მთლიანი ინვესტიცია **234**
უცხოური ინვესტიცია **389**
წმინდა ინვესტიცია **451**
ინვესტიციის ბაზარი 165
ინვესტორი 166
ინკასაცია 166
ინკასო 166
წმინდა ინკასო **419**
ინოვაცია 167
ინოვაციური ბანკი 167
ინოვაციური ეკონომიკა 168
ინჟინერინგი 168
ინსტიტუციონალიზმი 170
„ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია 170
ინსტიტუციური უმუშევრობა 171
ინტელექტუალური საკუთრება 171
ინფლაცია 171
გაუთვალისწინებელი ინფლაცია **64**
დაჩქარებული ინფლაცია **85**
მოთხოვნის ინფლაცია **241**
საიმპორტო ინფლაცია **334**
ფარული (ჩახშობილი) ინფლაცია **390**
ქრონიკული ინფლაცია **420**
ხარჯების ინფლაცია **453**
ინფლაციის დონე 173
მოსალოდნელი ინფლაციის დონე **247**
ინფლაციის კრიტიკული წერტილი 173
ინფლაციის ნორმა 174
ინფლაციის თარგეტირება 174
ინფლაციის ტემპი 174
ინფლაციური გადასახადი 174
ინფლაციური ეკონომიკა 175
ინფლაციური მოლოდინი 175
ინფორმაციის ასიმეტრია 176
ინფრასტრუქტურა 176
იპოთეკა 177
იპოთეკური ბანკი 177
იპოთეკური კრედიტი 177
[redacted]ალური მოთხოვნა 177
ისტორიული მოდელები 177
„ისტორიული სკოლა“ 177
იურიდიული პირი 177
იჯარა 178

კ

კადასტრი 179
კალკულაცია 179

კამბიო 179
კანი რიჩარდ 179
კაპიტალი 179
ადამიანისეული კაპიტალი 12
ავანსირებული კაპიტალი 13
არაერთგვაროვანი კაპიტალი 21
აქტიური კაპიტალი 34
ვენჩურული კაპიტალი 151
საინვესტიციო კაპიტალი 334
ფინანსური კაპიტალი 400
კაპიტალის ბაზარი 179
კაპიტალის გადაცემაზე გადასახადი 180
კაპიტალის დაგროვება 180
კაპიტალტევადობა 180
კაპიტალუკუგება 181
კაპიტალური აქტივები 181
კაპიტალშეიარაღების კოეფიციენტი 181
კარატი 181
კარგო 181
კარტელი 181
კასკო 181
კაფ-ი 181
კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია 182
კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები 182
„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორია 183
კეინზი ჯონ მეინარდ 184
კეინზიანელობა 185
კეინზიანური მოდელი 187
კეინზის ეფექტი 187
„კემბრიჯის სკოლა“ 187
კენე ფრანსუა 188
კერძო ბირჟა 188
კერძო დანაზოგი 189
კერძო საქონელი 189
კვაზიფული 189
კვოტა 189
კვოტირება 189
კლანი 189
კლასიკური დიჰოტომია 190
კლასიკური პოლიტიკური ეკონომია 190
კლასიფიკაცია (ეკონომიკური საქმიანობის) 192
კლასტერი 192
კლებადი უკუგების კანონი 193
კლეიტონის კანონი 193
კლერკი 193
კლიომეტრია 193
კლირინგი 193
კომანდიტური ამხანაგობა 194
კომერცია 194
კომერციალიზაცია 194
კომბინირება 194
კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები 194
კომერციული ბანკი 194
კომერციული კრედიტი 195
კომერციული საქმიანობა 195
კომივოიაჟორი 196

კომპანიონი 196
კომპენსაცია 196
კომპარატივიზმი 196
კომპლემენტარი 196
კონგლომერატი 196
კონგლომერაცია 196
კონდიცია 197
კონვენცია 197
კონვერსია 197
კონვერტირებადი ობლიგაცია 197
კონვერტირებადობა 197
კონიუნქტურა 197
კონკურენტი 198
კონკურენტული უპირატესობა 198
კონკურენტული უპირატესობის თეორია 199
კონკურენტუნარიანობა 199
კონკურენცია 200
არასრულყოფილი კონკურენცია **26**
არაფასისმიერი კონკურენცია **26**
მონოპოლიური კონკურენცია **246**
სრულყოფილი კონკურენცია **375**
წმინდა კონკურენცია **451**
კონკურენციული ბაზარი 200
კონოსამენტი 201
კონსალტინგი 201
კონსიგნანტი 201
კონსოლიდირებული ვალი 201
კონსორციუმი 202
კონტრაჰენტი 202
კონფისკაცია 202
კონფრონტაცია 202
კონცენტრაცია 202
კონცენტრაციის აგრეგატული მაჩვენებელი 202
კონცერნი 202
კონცესია 203
კონცესიონერი 203
კოოპერაცია 203
კოორდინირებული პოლიტიკა 203
კორექტირებადი გადასახადი 203
კორექტირებადი სუბსიდია 203
კორპორაცია 203
კორპორატიული ობლიგაცია 204
კორუფცია 204
კოტირება 204
კოუზი რონალდ 204
კოუზის თეორემა 205
კრედიტი 205
აქცეპტური კრედიტი **34**
აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტი **35**
გრძელვადიანი კრედიტი **78**
იპოთეკური კრედიტი **177**
კომერციული კრედიტი **195**

როლოვერული კრედიტი **303**
საბანკო კრედიტი **310**
საერთაშორისო კრედიტი **318**
საექსპორტო კრედიტი **320**
სავალუტო კრედიტი **322**
სამომხმარებლო კრედიტი **341**
კრედიტის დაფარვის პირობები 205
კრედიტის რაციონირება 205
კრედიტის სიდიდის შეზღუდვა 205
კრედიტის უზრუნველყოფა 205
კრედიტორი 206
კუკის კოეფიციენტი 206
კუმულაცია 206
კომულაციური ზრდის ინდექსი 206
კუმულაციური კენჭისყრა 206
კუპიურა 206
კუპონი 206
კუპონიანი ობლიგაცია 206
კურტაჟი 206

ლ

ლაგი 207
ადაპტაციის ლაგი **12**
ადმინისტრაციული ლაგი **12**
გადაწყვეტილების მიღების ლაგი **55**
გამოვლენის ლაგი **58**
მოქმედების ლაგი **248**
სასოფლო-სამეურნეო ლაგი **349**
შიდა ლაგი **431**
laissez-faire 207
ლაჟი 207
ლატარეა 207
ლაფერის ეფექტი 207
ლაფერის მრუდი 208
ლევერიჯი 208
ლიბერალიზაცია 208
ლიგა 209
ლიზინგი 209
ოპერატიული ლიზინგი **269**
საექსპორტო ლიზინგი **320**
ფინანსური ლიზინგი **400**
ლითონის ფული 209
ლიკვიდური აქტივები 209
ლიკვიდური ბაზარი 209
ლიკვიდური სახსრები 209
საბანკო ლიკვიდური სახსრები **311**
სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები **360**
[redacted]ს ლიკვიდური სახსრები **400**
„ლიკვიდური „ხაფანგი“ 210
ლიკვიდურობა 210
უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა **389**
ლიკვიდურობის კოეფიციენტი 210
ლიკვიდურობის ნორმა 210
ლიმიტი 210

ლისტინგი 211
ლიცენზია 211
ლიცენზიარი 212
ლიცენზიატი 212
  უპატენტო ლიცენზია 388
ლოზანის სკოლა 212
ლომბარდი 212
ლორენცის მრუდი 212
ლოტი 212
ლუის-ფეის-რეინისის მოდელი 213

მ

მაასტრიხტის ხელშეკრულება 214
მაკლერი 214
მაკროეკონომიკა 214
მაკროეკონომიკური იგივეობა 214
მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 214
მაკროეკონომიკური პოლიტიკა 215
მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია 215
მანდელა-ფლემინგის მოდელი 219
„მანკიერი წრე“ 219
მანქანათმშენებლობა 220
მანქანური წარმოება 220
მარაგებში ინვესტიცია 220
მარეგულირებელი სახელმწიფო კომისია 220
„მართვადი“ კაპიტალიზმი 221
მარკეტინგი 221
მარკეტინგის გარემო 222
მარკირება 222
მარკოვიცი ჰარი 222
მარჟა 222
მარჟინალიზმი 223
მარტივი თამასუქი 223
მარქსი კარლ 223
მარშალი ალფრედ 225
მარშალ—ლერნერის პირობა 226
მასშტაბით განპირობებული ეკონომია 226
მასშტაბის ეფექტი 226
მატების ტემპი 227
მატერიალური მომსახურება 227
მატერიალური სტიმულირება 228
[redacted]ლურ-ნივთობრივი წარმოების სფერო 228
მდარე საქონელი 228
მდგრადი განვითარება 228
მდგრადი ზრდა 229
მეგაეკონომიკა 229
მეზოეკონომიკა 229
მელქაძე ვალერიან 229
მენგერი კარლ 230
მენეჯერი 230
მენეჯერიზმი 230

მენეჯმენტი 230
მეორადი რესურსები 231
მეორეული ბაზარი 231
მეორეული შრომის ბაზარი 231
მერკანტილიზმი 231
მერკანტილური 232
მერყევი ფასი 232
მეტრაჟი 232
მეწარმე 232
მეწარმეობა 232
მთლიანი გამოშვება 232
მთლიანი დამატებითი ღირებულება 232
მთლიანი დანაზოგი 232
მთლიანი დანახარჯი 233
მთლიანი ეროვნული დანაზოგი 233
მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) 233
პოტენციური **მეპ 287**
მეპ-ის გამოუცხადებელი დეფლატორის ფასების ინდექსი 234
მეპ-ის დონეთა დაშორიშორება (სხვადასხვაობა) 234
მეპ-ის ინდექსი – დეფლატორები 234
მთლიანი ინვესტიცია 234
მთლიანი მოგება 234
მთლიანი შემოსავალი 235
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 235
მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 235
მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა 236
მიდრეკილება დანაზოგისადმი 236
მიდრეკილება იმპორტირებისადმი 236
მიდრეკილება ინვესტირებისადმი 236
მიდრეკილება მოხმარებისადმი 236
მიზნობრივი (საორიენტაციო) ფასი 236
მიკროეკონომიკა 236
მიმდინარე ანგარიში 237
მიმდინარე ანგარიშის სალდო 237
მიმოქცევაში არსებული ფული 237
მინდობილობა 237
მინიმალური მოგება 237
მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი 237
მინიმალური ხელფასი 237
მიქელაძე ირაკლი 237
მიწა 238
მიწის გადასახადი 238
მიწის რენტა 238
მიწოდება 238
ერთობლივი **მიწოდება 131**
ჭარბი **მიწოდება 452**
მიწოდების ეკონომიკური

თეორია 239
მიწოდების ინფლაცია 239
მიწოდების მრუდი 239
მიწოდების ფასი 240
მიწოდების შოკი 240
მოგება 240
ბუღალტრული მოგება 53
ეკონომიკის წმინდა მოგება 102
ზენორმალური მოგება 153
მთლიანი მოგება 234
ნორმალური მოგება 267
საბალანსო მოგება 310
შეფარდებითი მოგება 428
წმინდა მოგება 451
მოგების (შემოსავლის) ნორმა 240
მოდელი 240
მოთხოვნა 240
ელასტიკური მოთხოვნა 116
ერთობლივი მოთხოვნა 131
ეფექტიანი მოთხოვნა 140
ირაციონალური მოთხოვნა 177
ჭარბი მოთხოვნა 452
მოთხოვნა-მიწოდების თეორია 240
მოთხოვნის ინფლაცია 241
მოთხოვნის მრუდი 241
მოთხოვნის რეგულირება 241
მოთხოვნის ფასი 241
მოკლევადიანი ობლიგაცია 241
მომსახურება 241
არამატერიალური მომსახურება 23
არასაბაზრო მომსახურება 24
მატერიალური მომსახურება 227
პირადი მომსახურება 284
საბაზრო მომსახურება 309
სოციალური მომსახურება 372
მომსახურების ბაზარი 241
მომსახურების მარკეტინგის საერთაშორისო მოდელები 243
მომსახურების სფერო 243
მონეტარიზმი 244
მონოპოლია 246
მონოპოლიზაცია 246
მონოპოლისტი 246
მონოპოლიური კონკურენცია 246
მონოპოლიური კონკურენციის თეორია 247
მონოპსონია 247
მორალური ცვეთა 247
მოსალოდნელი ინფლაციის დონე 247
მოსალოდნელი მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება 247
მოსახლეობის სოციალური დაცვა 248
მოქმედების ლაგი 248
მოქნილი ვალუტის კურსი 248

მოქნილი ფასი 248
მოხალისე ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი (მმსკ) 248
მოხმარება 249
  არაკონკურენტული მოხმარება 22
  საბოლოო მოხმარება 313
  სახელმწიფო მოხმარება 358
  შუალედური მოხმარება 435
მრეწველობა 249
მსოფლიო ბაზარი 249
მსოფლიო ბანკი 249
მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 249
მსოფლიო მეურნეობა 250
მსოფლიო სავალუტო სისტემა 250
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 252
მსოფლიო ფასი 252
„მსხვერპლის“ ნორმა 253
მტაცებლური, დამანგრეველი ფასწარმოქმნა 253
მტკიცე ფასი 253
მუდმივი დანახარჯი 253
მულტიპლიკატორი 254
  ფულადი მულტიპლიკატორი 408
მულტიპლიკატორული ეფექტი 254
მუნიციპალიზაცია 254
მუნიციპალიტეტი 254
მყიდველის ბაზარი 255
მცირე ბიზნესი 255
მცირე პრივატიზაცია 258
„მცირე ქვეყნები“ 258
მცურავი გაცვლითი კურსი 258
მწარმოებელთა ფასების ინდექსი 259
მწარმოებლის ფასი 259
მწარმოებლურობა 259
მწარმოებლურობის თეორიები 259

ნ

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია 260
ნატურალური მეურნეობა 260
ნაღდი ბაზარი 260
ნაციონალიზაცია 260
ნეგოციანტი 260
ნეკროეკონომიკა 260
ნეოგლობალიზმი 261
[redacted]**ზიანელობა** 261
ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია 262
„ნეოკლასიკური სინთეზი“ 265
ნეოლიბერალიზმი 265
ნეტო 266
ნეტო-ბალანსი 266
ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა 266
ნოვაცია 266
ნომინალური გაცვლითი

კურსი 266
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 266
ნომინალური ფასი 266
ნომინალური ღირებულება 267
ნომინალური „ღუზა“ 267
ნომინალური ცვლადები 267
ნომინალური ხელფასი 267
ნორთი დუგლას სესილ 267
ნორმალური მოგება 267
ნორმალური საქონელი 267
ნორმატიული ეკონომიკური თეორია 267
„ნოუ-ჰაუ“ 268
ნუმიზმატი 268
ნუმიზმატიკა 268

ო

ობლიგაცია 269
კონვერტირებადი ობლიგაცია 197
საშუალოვადიანი ობლიგაცია 355
ოვერდრაფტი 269
ოლიგოპოლია 269
ოლიგოპსონია 269
ომოლოგაცია 269
ოპერატიული ლიზინგი 269
ოპერაციები ღია ბაზარზე 270
ოპციონი 270
ორმაგი შრომის ბაზარი 270
ორმხრივი მონოპოლია 270
ოუკენის კანონი 271
ოფერტა 271
ოფიციალური მონეტარიზმის დონე 271
ოფშორული ბიზნესი 271
ოფშორული ზონა 272
ოფშორული კომპანია 273
ოქროს ბაზარი 275
ოქროს პარიტეტი 275
„ოქროს საუკუნის“ ზრდა 275
ოქროს ტეზავრაცია 275

პ

პაბლისიტი 276
პაი 276
პანამა 276
პაპავა ვლადიმერი 276
პარალოგიზმი 279
პარეტო-გაუმჯობესება 279
პარეტო ვილფრედო 279
პარეტოს ოპტიმუმი 280
[redacted]ს კლუბი“ 280
პარიტეტი 281
პარტნიორობა 281
პარცელა 281
პასივი 281
პასიური საგადასახდელო ბალანსი 281
პასიური სავაჭრო ბალანსი 281
პატენტი 281

პატერნალიზმი 281
პაუპერი 282
პაუშალური თანხა 282
პენსია 282
პეტი უილიამ 282
პიგუ არტურ 283
პიგუს გადასახადი 284
პიკი 284
პინტა 284
პირადი მომსახურება 284
პირადი შემოსავალი 284
პირდაპირი გადასახადი 284
პირველადი ბაზარი 285
პირველი გირავნობის სიგელი 285
პირობითი პროგნოზი 285
პლასტიკური ბარათი 285
პლებისციტი 285
პლებისციტური დიქტატურა 285
პოზიტივიზმი 285
პოზიტიური ეკონომიკური თეორია 285
პოლისი 285
პოლიტიკური ეკონომია 285
პოსესია 287
პოსტინდუსტრიული საზოგადოება 287
პოტენციური მეპ 288
პოტენციური წარმოების მოცულობა 288
პრეზენტანტი 288
პრეზენტაცია 288
პრეისკურანტი 288
პრეფერენცია 288
პრივატიზაცია 289
  მცირე პრივატიზაცია 258
პრივილეგიური აქცია 289
პრინციპალი 289
პრინციპი — „ვინც აბინძურებს, ის იხდის“ 289
პროგნოზირება 289
პროგრამული ბიუჯეტი 289
პროგრესიული გადასახადი 289
პროდუქტი 289
პროდუქცია 290
პროდუქციის გამოშვება 290
პროდუცენტი 290
პროლონგაცია 290
პრომესა 290
პრომპტი 290
პროპორციული გადასახადი 290
პროტექციონიზმი 290
პროფიციტი 290
პროცენტი 290
  [redacted]ული პროცენტი 302
პროცენტის (სარგებლის) განაკვეთი 291
პროცენტის ნომინალური განაკვეთი 291
პროცენტის რეალური განაკვეთი 291

ჟ

ჟენევის კონფერენცია 292
ჟენევის რაუნდი 292

ჟირანტი 292
ჟირატი 292
ჟირო 292
ჟიროანგარიშსწორება 292
ჟიროჩეკი 292
ჟიროცენტრალი 292

რ

რა, როგორ, ვისთვის 293
რანტიე 293
რაციონალური მოლოდინის თეორია 293
რაციონალური სპეკულაციური „საპნის ბუშტი“ 293
რეალური გაცვლითი კურსი 293
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 293
რეალური შემოსავალი 294
რეალური ცვლადები 294
რეალური ხელფასი 294
რეგისტრი 294
რეგიონული ეკონომიკა 294
რეგრესი 295
რეგრესიული გადასახადი 295
რეესტრი 295
რეექსპორტი 295
რევალვაცია 295
რევერსი 297
რევიზია 297
რევოკაცია 297
რეზიდენტი 297
რეიდერი ფირმა 297
რეიგანომიკა 297
რეიმპორტი 297
რეკამბიო 297
რეკეტი 298
რეკვიზიტი 298
რეკლამა 298
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი 298
რემარკა 299
რემისია 299
რემიტენტი 299
რენოვაცია 299
რენტა 299
რენტაბელობის ნორმა 299
რენტინგი 299
რეპარაცია 300
რეპორტი 300
რეპრივატიზაცია 300
რესტანტი 300
[redacted]ეცია 300
რესტრიქცია 300
რესტრუქტურიზაცია 300
რესურსების წრებრუნვის მოდელი 301
რეტრატა 301
რეფაქცია 301
რეფერენდუმი 301
რეფერენცია 301
რეფინანსირება 301

რეცეპისა 301
რეცესია 301
რთული პროცენტი 302
რიკარდო დევიდ 302
რიკარდო-ბაროს თეორემა 303
რობინსონი ჯოან 303
როდი 303
როიალტი 303
როლოველური კრედიტი 303
„რომის კლუბი“ 304
რუდი 304
რუზის ეფექტი 304
რურალიზაცია 304
რუტინა 304

ს

საარსებო მინიმუმი 305
საამორტიზაციო ანარიცხები 305
საბაზისო პუნქტი 305
საბაზისო (ამოსავალი) ფასი 305
საბაზრო ეკონომიკა 306
საბაზრო ინფრასტრუქტურა 308
საბაზრო მომსახურება 309
საბაზრო ფასი 310
საბალანსო ანგარიში 310
საბალანსო მოგება 310
საბალანსო ღირებულება 310
საბანკო აქცეპტი 310
საბანკო კრედიტი 310
საბანკო ლიკვიდური სახსრები 311
საბანკო რეზერვები 311
საბანკო სესხი 311
საბაჟო თანამშრომლობის საბჭო 311
საბაჟო კავშირი 311
საბითუმო ვაჭრობა 311
საბითუმო ფასი 312
საბირჟო საქონელი 312
საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა 312
საბიუჯეტო ფედერალიზმი 312
საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები 312
საბლანკო ინდოსამენტი 313
საბოლოო მოხმარება 313
საბოლოო პროდუქტი 313
საბროკერო ფირმა 313
საბრუნავი კაპიტალი 313
[redacted]ახადო განაკვეთი 313
საგადასახადო შემოსავალი 313
საგადასახდელო ბალანსი 313
საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდო 314
საგადასახდელო ბალანსის პასიური სალდო (სავაჭრო ბალანსის

დეფიციტი) 315
საგარეო ვალი 315
საგარეო ვაჭრობა 315
საგარეო ვაჭრობის ბალანსი 315
საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტი 316
საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა 316
საგირავნო ფურცელი 316
სადაზღვევო კომპანია 316
სადეპოზიტო სერტიფიკატი 317
საემისიო ბანკი 318
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი 318
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები 318
საერთაშორისო ვაჭრობა 318
საერთაშორისო კრედიტი 318
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) 318
საერთაშორისო საგადასახდელო სისტემა 320
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია 320
„საერთო ბაზარი“ 320
საექსპორტო კრედიტი 320
საექსპორტო ლიზინგი 320
სავალდებულო რეზერვების ნორმა (სრნ) 321
სავალდებულო სოციალური დაზღვევა 321
სავალუტო ანაზღაურება 321
სავალუტო არბიტრაჟი 321
სავალუტო დემპინგი 321
სავალუტო ინტერვენცია 321
სავალუტო კლირინგი 321
სავალუტო კონტროლი 322
სავალუტო კრედიტი 322
სავალუტო ოპერაცია „სვოპი“ 322
სავალუტო პოზიცია 322
სავალუტო რეზერვი 322
სავალუტო რისკი 323
სავალუტო სალარო 323
სავალუტო სისტემა 323
სავალუტო სპეკულაცია 323
სავალუტო ფარი 323
სავალუტო შეზღუდვა 324
სავალუტო შესწორება 325
სავაჭრო ბალანსი 325
სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო 325
სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 325
სავაჭრო ბარიერი 325
სავაჭრო მარკა 325
სავაჭრო სახლი 326
საზოგადოებრივი დანაზოგი 326
საზოგადოებრივი მეცნიერებები 326
საზოგადოებრივი ოპტიმუმი 326

საზოგადოებრივი სარგებლობა განათლებისგან 327
საზოგადოებრივი საქონელი 327
საზოგადოებრივი სექტორი 329
საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა 329
საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია 333
საზომთა მეტრული სისტემა 334
სათავო კომპანია 334
სათამაშო ბიზნესი 334
საიმპორტო ინფლაცია 334
საინვესტიციო ბანკი 334
საინვესტიციო კაპიტალი 334
საინოვაციო ბანკი 334
საინფორმაციო ტექნოლოგიები 334
საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის ღირებულებათა ჯაჭვი 336
საკვანძო კომპეტენტურობის თეორია 337
საკამპენსაციო გარიგება 338
საკრედიტო ბარათი 338
საკრედიტო ფული 338
საკუთრება 338
საკუთრების უფლება 339
საკუთრების უფლების დაცვა 339
სალდო 339
სალიცენზიო სისტემა 340
სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა 340
სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი 340
სამთომოპოვებითი მრეწველობა 340
სამისამართო სია 340
სამომხმარებლო კალათა 340
სამომხმარებლო კრედიტი 341
სამომხმარებლო ფასების ინდექსი 341
სამომხმარებლო ხარჯები 341
სამოქალაქო საზოგადოება 341
სამრეწველო ციკლი 343
სამუელსონი პოლ ენტონი 343
სამუშაო დრო 345
სამუშაო დროის საათების მთლიანი რაოდენობა 345
სამუშაო დროის საათების საშუალო რაოდენობა 345
სამუშაო ძალა 345
სამუშაო ძალის წილი (მაჩვენებელი) 345
სანაცია 346
სანქცია 346
საპრივატიზაციო ჩეკი 346
სარგებლიანობის თეორია 346
სარეზერვო ვალუტა 347

სარეზერვო ნორმა 347
სარეკლამო სააგენტო 347
სარისკო კაპიტალი 347
სასაქონლო ნიშანი 348
სასაქონლო-მატერიალური მარაგი 348
სასესხო კაპიტალის ბაზარი 348
სასოფლო დასახლება 348
სასოფლო-სამეურნეო ლაგი 349
სატრანსპორტო დანახარჯები 349
სატრანსპორტო ტვირთბარათი 349
საურავი 349
საფაქტურო ფასი 349
საფირმო მარკა 349
საფონდო ბირჟა 349
საფრახტო ბაზარი 351
საფრახტო განაკვეთი 351
საფრონტინგო კომპანია 351
საქმიანი აქტიურობის ციკლი 351
საქმიანი თამაში 351
საქონელი 351
მდარე საქონელი **228**
ნორმალური საქონელი **267**
ფიზიკური საქონელი **399**
შემავსებელი საქონელი **427**
შემცვლელი საქონელი **399**
საქონლის ბაზარი 351
საქონლის ბაზრების გახსნილობა 352
საქონლის ბირჟა 352
საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები 354
საქონლის ხარისხი 354
საქონლის შტრიხული კოდი 354
საქონლისა და მომსახურების ბალანსი 354
საყოველთაო წონასწორობა 354
საშემოსავლო გადასახადი 355
საშუალო დანახარჯი 355
საშუალოვადიანი ობლიგაცია 355
საცალო ვაჭრობა 355
საცალო ფასი 355
საცნობარო ფასი 356
საწარმო 356
საწარმოო ძალები 356
საწესდებო კაპიტალი 356
სახაზინო ვალდებულებები 357
სახაზინო ობლიგაცია 357
სახელმწიფო ბიუჯეტი 357
სახელმწიფო დაკვეთა 358
სახელმწიფო ვალი 358
სახელმწიფო მოხმარება 358
სახელმწიფო ობლიგაცია 358
სახელმწიფო რეგულირება 359
სახელმწიფო საგადასახადო

ვალდებულება 359
სახელმწიფო ფინანსები 359
სახელმწიფო შესყიდვა 359
სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები 359
სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები 360
სახელმწიფოს ფიასკო 360
სახელმწიფოს შემოსავალი ფულის ბეჭდვისგან 360
სახელობითი აქცია 360
სეკვესტრი 361
სენიორაჟი 361
სერვიტუტი 361
სერტიფიკატი 361
სერტიფიკაცია 362
სესხი 362
სესხების რეპატრიაცია 363
სექტორული ეკონომიკა 363
სვიფტი 363
სვოპი 363
სვოპინგი 363
სივრცობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტი 363
სილაგაძე ავთანდილი 364
სიმდიდრე 366
სიმწიფის ეტაპი 366
სინდიკატი 366
სინქრომარკეტინგი 366
სიურვეიერი 366
სიფ-ი 366
სიღარიბე 366
საღირიბის ზღვარი 367
სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა 367
სმითი ადამ 367
სკონტო 369
სმითის თეორემა 369
სოლოუ რობერტ 369
სოფლის მეურნეობა 370
სოფტიზაცია 370
სოციალური დაზღვევა 370
სოციალური დიფერენციაციის მოდელები 370
სოციალური ინდიკატორები 372
სოციალური მომსახურება 372
სოციალური სტრატიფიკაციის თეორია 373
სპეკულაცია 373
სპეკულაციური უმუშევრობა 373
სპენსი მაიკლ 374
სპეციალიზაცია 374
სპეციალიზაციის კოეფიციენტი 374
სპოტი 375
სპლიტი 375
სპრედი 375
სრული დასაქმება 375
სრულყოფილი კონკურენცია 375
სტაბილიზაციის პროგრამა 376

სტაბილიზაციური პოლიტიკა 376
სტაბილიზაციური ფუნქცია 377
სტაგნაცია 377
სტაგფლაცია 377
სტანდარტი 377
სტატისტიკა 377
სტერლინგი 377
სტიგლერი ჯორჯ 377
სტივიდორი 378
სტივიდორული დანახარჯი 378
სტორნო 378
სტრუქტურული გარდაქმნების თეორია 378
სტრუქტურული უმუშევრობა 378
სუბარენდა 378
სუბვენცია 378
სუბსიდია 378
სუვერენიტეტი 379
სუროგატი 379
„სწრაფი სტარტის“ ეფექტი 379
„სხვა კომუნალური, სოციალური და „პერსონალური მომსახურება“ 379

ტაიმ-შიტი 380
ტაიმ-ჩარტერი 380
ტანზი-ოლივერას ეფექტი 380
ტარა 380
ტარიფი 380
ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება 380
მსო 381
ტეზავრაცია 381
ტენდერი 381
ტექნიკური პროგრესი 381
ტექნოლოგიური დუალიზმი 381
ტექნოლოგიური უმუშევრობა 381
ტექნოპარკი 381
„ტვინების გადინება“ 382
ტოდაროს მოდელი 382
ტრადიციული ეკონომიკა 383
ტრაიბალიზმი 383
ტრანზიტი 383
ტრანსაქცია 383
ტრანსაქციული ხარჯები 383
[redacted]ორტი 383
ტრანსეროვნული (ტრანსნაციონალური) კორპორაცია 383
ტრანსლაცია 384
ტრანსფერი 384
ტრანსფერული ფასი 384
ტრანსფერული შემოსავლები 384
ტრასანტი 385
ტრასატი 385

ტრატა 385
ტრაქტატი 385
ტრაქტაცია 385
ტრეიდერი 385
ტრესტი 385
ტურიზმი 385

უ

უარყოფითი გადასახადი 386
უარყოფითი ეფექტების შემ-ცირების ხარჯები 386
უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი 386
„უბილეთოს“ პრობლემა 386
უკუდემპინგი 386
უმუშევრობა 386
ინსტიტუციური უმუშევრობა **171**
სპეკულაციური უმუშევრობა **373**
სტრუქტურული უმუშევრობა **377**
ტექნოლოგიური უმუშევრობა **381**
ფარული უმუშევრობა **390**
ფრიქციული უმუშევრობა **407**
ციკლური უმუშევრობა **445**
ჩახშობილი უმუშევრობა **438**
უმუშევრობის ბუნებრივი დონე 387
უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჰიპოთეზა 387
უმუშევრობის დონე 387
უნაღდო ანგარიშსწორება 388
უნივერსალური ფსიქოლო-გიური კანონი ეკონომიკა-ში 388
უნიტარიზმი 388
უნიტარული სახელმწიფო 388
უნიფიკაცია 388
უპატენტო ლიცენზია 388
უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა 389
ურბანიზაცია 389
უტილიზაცია 389
უცხოური ვალუტა 389
უცხოური ინვესტიცია 389

ფ

ფარული (იმპლიციტური) დანახარჯი 390
ფარული ეკონომიკა 390
ფარული (ჩახშობილი) ინფლაცია 390
ფარული უმუშევრობა 390
[redacted] 390
[redacted] კონტროლი 391
ფასების ეფექტი 391
ფასების ინდექსი 391
ფასების კორექტირება 391
ფასების მაკრატელი 391
„ფასების რევოლუცია“ 391
ფასების საერთო დონე 392
ფასზე წანამატი 392
ფასი 392
ადმინისტრაციული ფასი **13**

გედონისტიკური ფასი **65**
„დამამშვიდებელი“ ფასი **81**
ზღვრული მაქსიმალური ფასი **155**
ზღვრული მინიმალური ფასი **155**
მერყევი ფასი **232**
მიზნობრივი (საორიენტაციო) ფასი **236**
მიწოდების ფასი **240**
მოთხოვნის ფასი **241**
მოქნილი ფასი **248**
მსოფლიო ფასი **252**
მტკიცე ფასი **253**
მწარმოებლის ფასი **259**
ნომინალური ფასი **266**
საბაზისო (ამოსავალი) ფასი **305**
საბაზრო ფასი **310**
საბითუმო ფასი **312**
საფაქტურო ფასი **349**
საცალო ფასი **355**
საცნობარო ფასი **355**
ტრანსფერული ფასი **384**
შევაჭრებითი ფასი **426**
წონასწორობის ფასი **451**

ფასი საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულებებში 392
ფასი შემდგომი ფიქსაციით 392
ფას-ი 393
ფასიანი ქაღალდები 393
ფასიანი ქაღალდების დაფარვა ფიქსირებული ვადით 393
ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ბაზარი 393
ფასიანი ქაღალდების ბაზარი 393
ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი 395
ფასიანი ქაღალდების კურსის ინდექსი 396
ფასის (გარიგების) ვალუტა 396
ფასის ეფექტი 396
ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია 396
ფასისმიერი დისკრიმინაცია 396
ფასწარმოქმნა 397
ფაქტორინგი 397
ფაქტორ-კომპანია 398
ფაქტორული შემოსავალი 398
ფაქტურა 398
ფედერალური ბიუჯეტი 398
ფედერალური სარეზერვო სისტემა 398
ფერმერული მეურნეობა 398
ფიდუციალური ფული 399
ფიზიკური პირი 399
ფიზიკური საქონელი 399
ფიზიოკრატიზმი 399
ფილიპსის მრუდი 399
ფინანსები 400

ფინანსური კაპიტალი 400
ფინანსური ლიზინგი 400
ფირმა 400
ფირმის თეორია 400
ფირმის ლიკვიდური სახსრები 400
ფისკალური გადასახადი 401
ფისკალური პოლიტიკა 401
ფიუჩერული გარიგება 401
ფიქსირება 401
ფიქსირებული 401
ფიქსირებული გაცვლითი კურსი 401
ფიქციური კაპიტალი 401
ფიშერი ირვინგ 401
ფიშერის განტოლება 402
ფიშერის ეფექტი 403
ფლობადი შემოსავალი 403
ფობ-ი 403
ფორვარდი 403
ფორვარდული ბაზარი 403
ფორვარდული ვალუტის ბაზარი 403
ფორფეიტინგი 403
ფორფეიტორი 403
ფრანკო 403
ფრანშიზა 404
ფრანჩაიზერი 404
ფრანჩაიზინგი 404
ფრახტი 404
ფრიდმენი მილთონ 405
„ფრირაიდერის“ პრობლემა 406
ფრიტრედერობა 406
ფრიქციული უმუშევრობა 406
ფრიში რაგნარ 407
ფულადი აგრეგატი 407
ფულადი ბაზა 407
ფულადი მულტიპლიკატორი 408
ფულადი პოლიტიკა 408
ფულადი რეფორმა 408
ფულადი სისტემა 408
ფულად-საკრედიტო პოლიტიკა 408
ფულზე ერთობლივი მოთხოვნა 409
ფულზე რეალური მოთხოვნა 409
ფული 409
  საკრედიტო ფული 338
  „ცხელი ფული“ 445
  ფული 1 (1) 409
  ფული 2 (2) 410
  ფული 3 (3) 410
  ფული 4 (4) 410
ფულის ბრუნვის სიჩქარე 410
ფულის ენდოგენური მიწოდება 410
ფულის ერთობლივი მიწოდება 410
ფულის თეორიები 410
ფულის მიწოდების რეგულირება 416
ფულის მსყიდველობითი უნარი 416

ფულის რაოდენობრივი თეორია 417
ფულის ფუნქციები 418
ფულის ღირებულება 419

ქ

ქაღალდის ფული 420
ქოიავა ნიკოლოზი 420
ქონება 420
ქონებრივი უფლება 420
ქოუზის თეორემა 420
„ქრეატიული ქსელი“ 421
ქრემატისტიკა 421
ქრონიკული ინფლაცია 421
ქსენოფონტი 421

ღ

ღია ეკონომიკა 422
ღია ვაჭრობა 422
ღია საზოგადოება 422
ღირებულება 422
ღირებულების პარადოქსი 422

ყ

ყადაღა 424
ყაირათიანობა 424
ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი 424
ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია 424
ყიდვითუნარიანობა 425

შ

„შავი ბაზარი“ 426
შანსი 426
შანტაჟი 426
შედარება 426
შევაჭრებითი ფასი 426
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) 426
შემავსებელი საქონელი 427
შემთხვევითი ზარალი 427
შემთხვევითი შემოსავალი 427
შემოსავალი 427
  არასაგადასახადო შემოსავალი 26
  ემისიური შემოსავალი 129
  მთლიანი შემოსავალი 235
  პირადი შემოსავალი 284
  რეალური შემოსავალი 294
  ფაქტორული შემოსავალი 398
  ფლობადი შემოსავალი 403
  [redacted]ა შემოსავალი 451
შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 427
შემოსავლების და ხარჯების ნუსხა 427
შემოსავლის ეფექტი 427
შემცვლელი საქონელი 427
შერეული ეკონომიკა 427
შერეული საქონელი 428
შერმანის კანონი 428
შეფარდებითი მოგება 428

შეფარდებითი უპირატესობა 428
შეფარდებითი უპირატესობის თეორია 429
შვილობილი კომპანია 430
შიდა ექსტერნალიები 431
შიდა ლაგი 431
შიდა დანახარჯები 431
შინაკერი 431
შინამეურნეობა 431
შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული პროდუქცია და მომსახურება 432
შიპჩანდლერი 432
„შოკური თერაპია“ 432
შრომითი ღირებულების თეორია 432
შრომის ბაზარი 433
შრომის ბირჟა 434
შრომის დანაწილება 434
შრომის მწარმოებლურობა 434
შრომის საერთაშორისო დანაწილება 434
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 434
შრომითი რესურსების ბალანსი 435
შტრაიკბრეხერი 435
შტრიხ-კოდი 435
შუალედური მოხმარება 435
შუალედური პროდუქტი 435
შუალედური ტექნოლოგიები 435
შუამავლობა 436
შუმპეტერი იოზეფ 436

ჩ

ჩაკეტილი ბაზარი 437
ჩაკეტილი ეკონომიკა 437
ჩანაცვლების ეფექტი 437
ჩანტლაძე ვასილი 437
ჩარტერი 437
ჩარტინგი 437
ჩაშენებული სტაბილიზატორები 437
„ჩახშობილი“ უმუშევრობა 438
ჩეინი 438
ჩეკი 438
ჩემბერლინი ედვარდ 438
ჩერნინგი 438
ჩვეულებრივი აქცია 438
„ჩიკაგოს სკოლა“ 439
„ჩინური გზა“ 439
[redacted]ლეო 440
ჩრდილოვანი ეკონომიკა 442

ც

ცალმხრივი ბაზარი 443
ცედენტი 443
ცენზი 443
ცენტნერი 443
ცენტრალიზაცია 443
ცენტრალიზმი 443

ცენტრალური ბანკი 443
ცვალებადი დანახარჯი 445
ციკლი 445
ციკლური მერყეობის ამპლიტუდა 445
ციკლური უმუშევრობა 445
„ცხელი ფული“ 445
ცხოვრების დონე 446
ცხოვრების დონის ინდექსი 446
ცხოვრების ღირებულების ინდექსი 446
ცხოვრების ინდექსის ღირებულება 446

ძ

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა 447
ძირითადი კაპიტალი (ნატურალურ გამოხატულებაში) 448
ძირითადი კაპიტალი (ღირებულებით გამოხატულებაში) 448
ძირითადი კაპიტალის მოხმარება 448
ძირითადი მომხმარებელი 448

წ

წარმოება 449
წარმოებითი ურთიერთობები 449
წარმოების დანახარჯების თეორია 449
წარმოების დაცემის უდაბლესი წერტილი 449
წარმოების დივერსიფიკაცია 450
წარმოების სპეციალიზაცია 450
წარმოების ფაქტორები 450
წარმოების ფაქტორთა ბაზრების გახსნილობა 450
წარმოების წესი 450
წარმოებრივი ფუნქცია 450
წმინდა გადასახადი 450
წმინდა დისკონტირებული ღირებულება 450
წმინდა ეროვნული დანაზოგი 450
წმინდა ეროვნული პროდუქტი 451
წმინდა ეროვნული შემოსავალი 451
წმინდა ექსპორტი 451
წმინდა ინვესტიცია 451
წმინდა ინკასო 451
[redacted] კონკურენცია 451
[redacted] მიმოქცევის დანახარჯი 451
წმინდა მოგება 451
წმინდა პროდუქტი 451
წმინდა შემოსავალი 451
წონასწორობის ფასი 451

ჭ

ჭარბი მიწოდება 452
ჭარბი მოთხოვნა 452

ჭარბი რეზერვები 452
ჭარბი საგადასახადო ტვირთი 452
ჭარბი უმუშევრობის წლიური ერთეული 452
ჭარბწარმოება 452

ხ

ხაზინა 453
ხაზინის თამასუქი 453
ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი 453
„ხარი“ 453
„ხარების“ ბაზარი 453
ხარისხის სერტიფიკატი 453
ხარჯების ინფლაცია 453
ხარჯებისა და შედეგების ანალიზი 453
ხარჯთაღრიცხვა 454
„ხაფანგის“ ეფექტი 454
ხელფასი 455
  მინიმალური ხელფასი 220
  ნომინალური ხელფასი 248
  რეალური ხელფასი 274
ხელფასის თეორია 455
ხელფასის ინდექსაცია 456
ხელფასი-ფასის სპირალი 456
ხელშეკრულება 457
ხელშეუხებელი კაპიტალი 457

ჯ

ჯარიმა 458
ჯევონსი უილიამ 458
ჯევონსის „მზის ლაქების“ თეორია 458
ჯინის კოეფიციენტი 458
ჯობერი 459

ჰ

ჰაიეკი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ 460
ჰაირინგი 460
ჰაროდი როი ფობს 460
ჰაუსჰოლდის ბლოკი 460
ჰედონიკური შეფასება 460
ჰეილბრონერი რობერტ 461
ჰენდი 461
ჰეტეროდოქსული სტაბილიზაცია 461
ჰექტარი 461
ჰეჯირება 461
ჰიკს ჯონ რიჩარდ 462
ჰიპერინფლაცია 462
„ჰოლანდიური დაავადება“ 462
ჰოლდინგი 464
[redacted]ნგის წესი 465
ჰოუტრი რალფ ჯორჯ 465

მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით (2011)[1]

ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნები

1. ნორვეგია (Norway)
2. ავსტრალია (Australia)
3. ნიდერლანდი (Netherlands)
4. აშშ (USA)
5. ახალი ზელანდია (New Zealand)
6. კანადა (Canada)
7. ირლანდია (Ireland)
8. ლიხტენშტეინი (Liechten-stein)
9. გერმანია (Germany)
10. შვედეთი (Sweden)
11. შვეიცარია (Switzerland)
12. იაპონია (Japan)
13. ჰონკონგი (ჩინეთის შემადგ.) (Hong Kong, China (SAR))
14. ისლანდია (Iceland)
15. სამხრეთი კორეა (South Korea)
16. დანია (Denmark)
17. ისრაელი (Israel)
18. ბელგია (Belgium)
19. ავსტრია (Austria)
20. საფრანგეთი (France)
21. სლოვენია (Slovenia)
22. ფინეთი (Finland)
23. ესპანეთი (Spain)
24. იტალია (Italy)
25. ლუქსემბურგი (Luxemburg)
26. სინგაპური (Singapore)
27. ჩეხეთის რესპუბლიკა (Czech Republic)
28. გაერთიანებული სამეფო (United Kingdom)
29. საბერძნეთი (Greece)
30. არაბეთის გაერთიანებული საამიროები (United Arab Emirates)
31. კვიპროსი (Cyprus)
32. ანდორა (Andorra)
33. ბრუნეი (Brunei Darussalam)
34. ესტონეთი (Estonia)
35. სლოვაკეთი (Slovakia)
36. მალტა (Malta)
37. ყატარი (Qatar)
38. უნგრეთი (Hungary)
39. პოლონეთი (Poland)
40. ლიტვა (Lithuania)
41. პორტუგალია (Portugal)
42. ბაჰრეინი (Bahrain)
43. ლატვია (Latvia)
44. ჩილე (Chile)
45. არგენტინა (Argentina)
46. ხორვატია (Croatia)
47. ბარბადოსი (Barbados)

[1] http://en.wikipedia.org/wiki/ List_of_Countries_by_Human_Development_Index#Very_high_human_development

ადამიანის განვითარების მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნები

48. ურუგვაი (Uruguay)
49. პალაუ (Palau)
50. რუმინეთი (Romania)
51. კუბა (Cuba)
52. სეიშელის კუნძულები (Seychelles)
53. ბაჰამის კუნძულები (Bahamas)
54. მონტენეგრო (Montenegro)
55. ბულგარეთი (Bulgaria)
56. საუდის არაბეთი (Saudi Arabia)
57. მექსიკა (Mexico)
58. პანამა (Panama)
59. სერბეთი (Serbia)
60. ანტიგუა და ბარბუდა (Antiqua and Barbuda)
61. მალაიზია (Malaysia)
62. ტრინიდადი და ტობაგო (Trinidad and Tobago)
63. ქუვეითი (Kuwait)
64. ლიბია (Libya)
65. ბელარუსი (Belarus)
66. რუსეთის ფედერაცია (Russian Federation)
67. გრენადა (Grenada)
68. ყაზახეთი (Kazakhstan)
69. კოსტა რიკა (Costa Rica)
70. ალბანეთი (Albania)
71. ლიბანი (Lebanon)
72. სენტ კიტს და ნევისი (Saint Kitts and Nevis)
73. ვენესუელა (Venezuela)
74. ბოსნია და ჰერცეგოვინა (Bosnia and Herzegovina)
75. საქართველო (Georgia)
76. უკრაინა (Ukraine)
77. მალდივის რესპუბლიკა (Mauritius)
78. მაკედონია (Macedonia)
79. იამაიკა (Jamaica)
80. პერუ (Peru)
81. დომინიკა (Dominica)
82. სენტ ლუსია (Saint Lucia)
83. ეკვადორი (Ecuador)
84. ბრაზილია (Brazil)
85. სენტ-ვინსენტ და გრენადინები (Saint Vincebt and the Grenadines)
86. სომხეთი (Armenia)
87. კოლუმბია (Colombia)
88. ირანი (Iran, Islamic Republic of)
89. ომანი (Oman)
90. ტონგა (Tonga)
91. აზერბაიჯანი (Azerbaijan)
92. თურქეთი (Turkey)
93. ბელიზი (Belize)
94. ტუნისი (Tunisia)

ადამიანის განვითარების საშუალო ინდექსის მქონე ქვეყნები

95. იორდანია (Jordan)
96. ალჟირი (Algeria)
97. შრი ლანკა (Sri Lanka)
98. დომინიკელთა რესპუბლიკა (Dominican Republic)
99. სამოა (Samoa)
100. ფიჯი (Fiji)
101. ჩინეთი (China)
102. თურქმენეთი (Turkmenistan)
103. ტაილანდი (Thailand)
104. სურინამი (Suriname)
105. სალვადორი (El Salvador)
106. გაბონი (Gabon)
107. პარაგვაი (Paraguay)
108. ბოლივია (Bolivia)
109. მალდივის კუნძულები (Maldives)
110. მონღოლეთი (Mongolia)
111. მოლდოვა (Moldova)
112. ფილიპინები (Philippines)
113. ეგვიპტე (Egypt)
114. პალესტინა (Palestinian Territories)
115. უზბეკეთი (Uzbekistan)
116. მიკრონესია (Micronesia, Federated States of)
117. გაიანა (Guyana)
118. ბოტსვანა (Botswana)
119. სირია (Syrian Arab Republic)
120. ნამიბია (Namibia)
121. ჰონდურასი (Honduras)
122. კირიბატი (Kiribati)
123. სამხრეთი აფრიკა (South Africa)
124. ინდონეზია (Indonesia)
125. ვანუატუ (Vanutu)
126. ყირგიზეთი (Kyrgyzstan)
127. ტაჯიკეთი (Tajikistan)
128. ვიეტნამი (Viet Nam)
129. ნიკარაგუა (Nicaragua)
130. მაროკო (Morocco)
131. გვატემალა (Guatemala)
132. ერაყი (Iraq)
133. კაბე-ვერდე (Cape Verde)
134. ინდოეთი (India)
135. განა (Ghana)
136. ეკვატორული გვინეა (Equatorial Guinea)
137. კონგო (Congo)
138. ლაოსი (Laos)
139. კამბოჯა (Cambodia)
140. სვაზილენდი (Swaziland)
141. ბუტანი (Bhutan)

ადამიანის განვითარების დაბალი ინდექსის მქონე ქვეყნები

142. სოლომონის კუნძულები (Solomon Islands)
143. კენია (Kenya)
144. საუტომა და პრენ-სიპა (São Tome and Principe)
145. პაკისტანი (Pakistan)
146. ბანგლადეში (Bangladesh)
147. ტიმორ-ლესტე (Timor-Leste)
148. ანგოლა (Angola)
149. მიანმარი (Myanmar)
150. კამერუნი (Cameroon)
151. მადაგასკარი (Madagascar)
152. ტანზანია (Tanzania)
153. პაპუა-ახალი გვინეა (Papua New Guinea)
154. იემენი (Yemen)
155. სენეგალი (Senegal)
156. ნიგერია (Nigeria)
157. ნეპალი (Nepal)
158. ჰაიტი (Haiti)
159. მავრიტანია (Mauritania)
160. ლესოტო (Lesotho)
161. უგანდა (Uganda)
162. ტოგო (Togo)
163. კომოროსი (Comoros)
164. ზამბია (Zambia)
165. ჯიბუტი (Djibouti)
166. რუანდა (Rwanda)
167. ბენინი (Benin)
168. გამბია (Gambia)
169. სუდანი (Sudan)
170. კოტ-დ'ივუარი (სპილოს ძვლის სანაპირო) (Cô te d'Ivoire)
171. მალავი (Malawi)
172. ავღანეთი (Afganistan)
173. ზიმბაბვე (Zimbabwe)
174. ეთიოპია (Ethiopia)
175. მალი (Mali)
176. გვინეა-ბისაუ (Guinea-Bissau)
177. ერითრეა (Eritrea)
178. გვინეა (Guinea)
179. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Central African Republic)
180. სიერა ლეონე (Sierra Leone)
181. ბურკინა ფასო (Burkina Faso)
182. ლიბერია (Liberia)
183. ჩადი (Chad)
184. მოზამბიკი (Mozambique)
185. ბურუნდი (Burundi)
186. ნიგერი (Niger)
187. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (Congo, Democratic Republic of the)

ქვეყნებისა და ტერიტორიების ანბანური ჩამონათვალი ვალუტებისა და კოდების ჩვენებით*

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
036	ავსტრალია	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
040	ავსტრია	ევრო	EUR	978
004	ავღანეთი	ავღანი	AFN	971
031	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანული მანათი	AZM	031
008	ალბანეთი	ლეკი	ALL	008
012	ალჟირი	ალჟირული დინარი	DZD	012
016	ამერიკის სამოა	აშშ დოლარი	USD	840
024	ანგოლა	კვანზა	AOA	973
660	ანგილია	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
020	ანდორა	ევრო	EUR	978
028	ანტიგუა-ბარბუდა	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
784	არაბთა გაერთიანებული ემირატები	დირჰემი	AED	784
032	არგენტინა	არგენტინული პესო	ARS	032
533	არუბა	არუბული გულდენი	AWG	533
554	ახალი ზელანდია	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
540	ახალი კალედონია	ფრანკი CFP	XPF	953
050	ბანგლადეში	ტაკა	BDT	050
052	ბარბადოსი	ბარბადოსული დოლარი	BBD	052
044	ბაჰამები	ბაჰამური დოლარი	BSD	044
048	ბაჰრეინი	ბაჰრეინული დინარი	BHD	048
112	ბელორუსია	ბელორუსული რუბლი	BYR	112
056	ბელგია	ევრო	EUR	978
084	ბელიზი	ბელიზური დოლარი	BZD	084
204	ბენინი	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
060	ბერმუდა	ბერმუდული დოლარი	BMD	060
068	ბოლივია	ბოლივიანო	BOB	068
070	ბოსნია-ჰერცოგოვინა	კონვერტირებადი მარკა	BAM	977
072	ბოტსვანა	ფულა	BWP	072
076	ბრაზილია	ბრაზილიური რეალი	BRL	986
086	ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში	აშშ დოლარი	USD	840
096	ბრუნეი	ბრუნეის დოლარი	BND	096
100	ბულგარეთი	ლეკი	BGN	975
074	ბუვე	ნორვეგიული კრონა	NOK	578
854	ბურკინა-ფასო	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952

*ვალუტების კლასიფიკატორი. ოფიციალური გამოცემა. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004.

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
108	ბურუნდი	ბურუნდული ფრანკი	BIF	108
064	ბუტანი	ნგულტრუმი	BTN	064
		ინდური რუბი	INR	356
266	გაბონი	ფრანკი CFA BCEAO	XAF	950
826	გაერთიანებული სამეფო	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
328	გაიანა	გაიანური დოლარი	GYD	328
270	გამბია	დალასი	GMD	270
288	განა	სედი	GHC	288
276	გერმანია	ევრო	EUR	978
312	გვადელუპა	ევრო	EUR	978
320	გვატემალა	ქეთსალი	GTQ	320
324	გვინეა	გვინეური ფრანკი	GNF	324
624	გვინეა-ბისაუ	გვინეა-ბისაუს პესო	GWP	624
		ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
292	გიბრალტარი	გიბრალტარული ფუნტი	GIP	292
308	გრენადა	აღმოსავლეთ კარიბული		
		დოლარი	XCD	951
304	გრენლანდია	დანიური კრონა	DKK	208
316	გუამი	აშშ დოლარი	USD	840
208	დანია	დანიური კრონა	DKK	208
732	დასავლეთი საჰარა	მაროკოული დირჰემი	MAD	504
212	დომინიკა	აღმოსავლეთ კარიბული		
		დოლარი	XCD	951
214	დომინიკელთა რესპუბლიკა	დომინიკანური პესო	DOP	214
818	ეგვიპტე	ეგვიპტური ფუნტი	EGP	818
231	ეთიოპია	ეთიოპიური ბირი	ETB	230
218	ეკვადორი	აშშ დოლარი	USD	840
226	ეკვატორული გვინეა	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
368	ერაყი	ერაყული დინარი	IQD	368
232	ერიტრეა	ნაკფა	ERN	232
724	ესპანეთი	ევრო	EUR	978
233	ესტონეთი	კრონი	EEK	233
548	ვანუატუ	ვატუ	VUV	548
336	ვატიკანი	ევრო	EUR	978
862	ვენესუელა	ბოლივარი	VEB	862
704	ვიეტნამი	დონგი	VND	704
850	ვირჯინიის კუნძულები, აშშ	აშშ დოლარი	USD	840
092	ვირჯინიის კუნძულები,			
	ბრიტანეთი	აშშ დოლარი	USD	840
894	ზამბია	კვაჩა	ZMK	894
716	ზიმბაბვე	ზიმბაბვის დოლარი	ZWD	716
796	თერქს-ქაიქოსის კუნძულები	აშშ დოლარი	USD	840
792	თურქეთი	თურქული ლირა	TRL	792
795	თურქმენეთი	მანათი	TMM	795
388	იამაიკა	იამაიკური დოლარი	JMD	388
392	იაპონია	იენი	JPY	392
887	იემენი	იემენის რიალი	YER	886

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
356	ინდოეთი	ინდური რუპი	INR	356
360	ინდონეზია	ინდონეზიური რუპი	IDR	360
400	იორდანია	იორდანული დინარი	JOD	400
364	ირანი	ირანული რიალი	IRR	364
372	ირლანდია	ევრო	EUR	978
352	ისლანდია	ისლანდიური კრონა	ISK	352
376	ისრაელი	ახალი ისრაელური შეკელი	ILS	376
380	იტალია	ევრო	EUR	978
132	კაბოვერდე	კაბოვერდეს ესკუდო	CVE	132
136	კაიმანის კუნძულები	კაიმანის კუნძ.-ის დოლარი	KYD	136
116	კამბოჯა	რიელი	KHR	116
120	კამერუნი	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
124	კანადა	კანადური დოლარი	CAD	124
404	კენია	კენიური შილინგი	KES	404
196	კვიპროსი	კვიპროსული ფუნტი	CYP	196
296	კირიბატი	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
170	კოლუმბია	კოლუმბიური პესო	COP	170
174	კომორები	კომორების ფრანკი	KMF	174
178	კონგო	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
180	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	კონგოს ფრანკი	CDF	976
410	კორეა	ვონი	KRW	410
408	კორეის სახალხო დემოკრატიული რეს.	ჩრდილო-კორეული ვონი	KPW	408
188	კოსტა-რიკა	კოსტარიკული კოლონი	CRC	188
384	კოტ-დ'ივუარი	ფრანკი CFA BEAC	XOF	952
192	კუბა	კუბური პესო	CUP	192
184	კუკის კუნძულები	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
833	კუნძული მენი	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
418	ლაოსი	კიპი	LAK	418
428	ლატვია	ლატვიური ლატი	LVL	428
426	ლესოთო	ლოტი	LSL	426
		რენდი	ZAR	710
422	ლიბანი	ლიბანური ფუნტი	LBP	422
430	ლიბერია	ლიბერიული დოლარი	LRD	430
434	ლიბია	ლიბიური დინარი	LYD	434
440	ლიტვა	ლიტვური ლიტი	LTL	440
438	ლიხტენშტაინი	შვეიცარიული ფრანკი	CHF	756
442	ლუქსემბურგი	ევრო	EUR	978
450	მადაგასკარი	მალაგასიური ფრანკი	MGF	450
480	მავრიკი	მავრიკიული რუპი	MUR	480
478	მავრიტანია	უგია	MRO	478
446	მაკაუ	პატაკა	MOP	446
807	მაკედონია	დინარი	MKD	807
454	მალავი	კვაჩა	MWK	454
458	მალაიზია	მალაიზიური რინგიტი	MYR	458

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
462	მალდივები	რუფია	MVR	462
466	მალი	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
470	მალტა	მალტური ლირა	MTL	470
504	მაროკო	მაროკოული დირჰემი	MAD	504
474	მარტინიკა	ევრო	EUR	978
584	მარშალის კუნძულები	აშშ დოლარი	USD	840
175	მეიოტი	ევრო	EUR	978
484	მექსიკა	მექსიკური პესო	MXN	484
104	მიანმა	კიატი	MMK	104
583	მიკრონეზია	აშშ დოლარი	USD	840
508	მოზამბიკი	მეტიკალი	MZM	508
498	მოლდავეთი	მოლდოვური ლეი	MDL	498
492	მონაკო	ევრო	EUR	978
496	მონღოლეთი	ტუგრიკი	MNT	496
500	მონსერატი	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
516	ნამიბია	რენდი	ZAR	710
		ნამიბიური დოლარი	NAD	516
520	ნაურუ	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
524	ნეპალი	ნეპალის რუბი	NPR	524
562	ნიგერი	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
566	ნიგერია	ნაირა	NGN	566
528	ნიდერლანდი	ევრო	EUR	978
530	ნიდერლანდის ანტილები	ანტილიური გულდენი	ANG	532
558	ნიკარაგუა	კორდობა ორო	NIO	558
570	ნიუე	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
578	ნორვეგია	ნორვეგიული კრონა	NOK	578
574	ნორფოლკი	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
512	ომანი	ომანის რიალი	OMR	512
586	პაკისტანი	პაკისტანური რუბია	PKR	586
585	პალაუ	აშშ დოლარი	USD	840
591	პანამა	აშშ დოლარი	USD	840
598	პაპუა-ახალი გვინეა	კინა	PGK	598
600	პარაგვაი	გვარანი	PYG	600
604	პერუ	ახალი სოლი	PEN	604
612	პიტკერნი	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
616	პოლონეთი	ზლოტი	PLN	985
620	პორტუგალია	ევრო	EUR	978
630	პუერტო-რიკო	აშშ დოლარი	USD	840
638	რეუნიონი	ევრო	EUR	978
646	რუანდა	რუანდის ფრანკი	RWF	646
642	რუმინეთი	ლეი	ROL	642
643	რუსეთი	რუსული რუბლი	RUB	643
300	საბერძნეთი	ევრო	EUR	978
222	სალვადორი	სალვადორული კოლონი	SVC	222
		აშშ დოლარი	USD	840

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
882	სამოა	ტალა	WST	882
710	სამხრეთი აფრიკა	რენდი	ZAR	710
239	სამხრეთი ჯორჯია - სამხრეთ სენდვიჩის კუნძულები	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
674	სანმარინო	ევრო	EUR	978
678	საუტომა-პრინსიპა	დობრა	STD	678
682	საუდის არაბეთი	საუდური რიალი	SAR	682
250	საფრანგეთი	ევრო	EUR	978
254	საფრანგეთის გვიანა	ევრო	EUR	978
260	საფრანგეთის სამხრეთი ტერიტორიები	ევრო	EUR	978
258	საფრანგეთის პოლინეზია	ფრანკი CFP	XPF	953
268	საქართველო	ლარი	GEL	981
690	სეიშელები	სეიშელის რუპი	SCR	690
686	სენეგალი	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
654	სენტელენა	სენტელენის ფუნტი	SHP	654
670	სენტვინსენტ-გრენადინები	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
659	სენტკიტს-ნევისი	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
662	სენტლუსია	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
666	სენპიერ-მიკელონი	ევრო	EUR	978
891	სერბია-მონტენეგრო	სერბიული დინარი	CSD	891
748	სვაზილენდი	ლილანგენი	SZL	748
744	სვალბარდ-იანმაიენი	ნორვეგიული კრონა	NOK	578
694	სიერა-ლეონე	ლეონე	SLL	694
702	სინგაპური	სინგაპურის დოლარი	SGD	702
760	სირია	სირიული ფუნტი	SYP	760
703	სლოვაკეთი	სლოვაკური კრონა	SKK	703
705	სლოვენია	ტოლარი	SIT	705
090	სოლომონის კუნძულები	სოლომონის კუნძულების დოლარი	SBD	090
706	სომალი	სომალიური შილინგი	SOS	706
051	სომხეთი	სომხური დრამი	AMD	051
736	სუდანი	სუდანური დინარი	SDD	736
740	სურინამი	სურინამული გულდენი	SRG	740
158	ტაივანი	ახალი ტაივანური დოლარი	TWD	901
764	ტაილანდი	ბატი	THB	764
834	ტანზანია	ტანზანიური შილინგი	TZS	834
762	ტაჯიკეთი	სომონი	TJS	972
626	ტიმორ-ლესტე	აშშ დოლარი	USD	840
768	ტოგო	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
772	ტოკელაუ	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
776	ტონგა	პაანგა	TOP	776
780	ტრინიდად-ტობაგო	ტრინიდად-ტობაგოს დოლარი	TTD	780

ქვეყნის კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
			ასოითი	ციფრული
798	ტუვალუ	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
788	ტუნისი	ტუნისური დინარი	TND	788
800	უგანდა	უგანდური შილინგი	UGX	800
860	უზბეკეთი	უზბეკური სუმი	UZS	860
804	უკრაინა	გრივნა	UAH	980
348	უნგრეთი	ფორინტი	HUF	348
876	უოლის-ფუტუნა	ფრანკი CFP	XPF	953
858	ურუგვაი	ურუგვაის პესო	UYP	858
234	ფარერის კუნძულები	დანიური კრონა	DKK	208
608	ფილიპინები	ფილიპინური პესო	PHP	608
246	ფინეთი	ევრო	EUR	978
242	ფიჯი	ფიჯის დოლარი	FJD	242
238	ფოკლენდის (მალვინის) კუნძულები	ფოკლენდის კუნძულების ფუნტი	FKP	238
166	ქოქოსის (კილინგის) კუნძულები	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
162	ქრისტმასი	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
414	ქუვეითი	ქუვეითური დინარი	KWD	414
398	ყაზახეთი	ტენგე	KZT	398
634	ყატარი	ყატარის რიალი	QAR	634
417	ყირგიზეთი	სომი	KGS	417
840	შეერთებული შტატები	აშშ დოლარი	USD	840
581	შეერთებული შტატების შორსმდებარე მცირე კუნძულები	აშშ დოლარი	USD	840
752	შვედეთი	შვედური კრონა	SEK	752
756	შვეიცარია	შვეიცარიული ფრანკი	CHF	756
144	შრი-ლანკა	შრილანკური რუპი	LKR	144
148	ჩადი	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
203	ჩეხეთი	ჩეხური კორუნა	CZK	203
152	ჩილე	ჩილეს პესო	CLP	152
156	ჩინეთი	იუანრენმინბი	CNY	156
580	ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები	აშშ დოლარი	USD	840
140	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
191	ხორვატია	კუნა	HRK	191
262	ჯიბუტი	ჯიბუტის ფრანკი	DJF	262
332	ჰაიტი	აშშ დოლარი	USD	840
334	ჰერდ-მაკდონალდის კუნ-ძულები	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
340	ჰონდურასი	ლემპირა	HNL	340
344	ჰონკონგი (ჩინეთის შემ.)	ჰონკონგური დოლარი	HKD	344

შინაარსი

რეცენზიის მაგიერ . . . 3
წინასიტყვაობა . . . 5
ლექსიკონში გამოყენებული აბრევიატურები . . . 7
ქართული ანბანი . . . 8
ა . . . 9
ბ . . . 41
გ . . . 54
დ . . . 80
ე . . . 96
ვ . . . 143
ზ . . . 153
თ . . . 157
ი . . . 162
კ . . . 179
ლ . . . 207
მ . . . 214
ნ . . . 260
ო . . . 269
პ . . . 276
ჟ . . . 292
რ . . . 293
ს . . . 305
ტ . . . 380
უ . . . 386
ფ . . . 390
ქ . . . 419
ღ . . . 422
ყ . . . 424

შ 426
ჩ 437
ც 443
ძ 447
წ 449
ჭ 452
ხ 453
ჯ 458
ჰ 460
ლექსიკონის სტატიათა ანბანურ-თემატური საძიებელი 466
მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით 503
ქვეყნებისა და ტერიტორიების ანბანური ჩამონათვალი ვალუტებისა და კოდების ჩვენებით . . . 507

Rozeta Asatiani

**ENCYCLOPAEDIC
DICTIONARY
OF MODERN ECONOMY**

(in Georgian Language)

Publishing Company "Siakhle"

Tbilisi 2012

საბეჭდი ქაღალდი 60X92 1/16;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 35,00.

გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი 0162, ყიფშიძის ქ. 10.

ტელ.: 599530487 E–mail: siakhle@gmail.com